

ჯემალ ქირია

ბელეტრისტიკა

ტომი 6

მუვდარი სხლი

(რომანი)

ჭიანჭველების ხელომნიფე

ანდუყაფარი

(ზღაპარი დიდებისათვის)

თბილისი 2006
გამომცემლობა „საარი“

„მკვდარი სახლი“ დაიწერა 1979 – 1982 წლებში. რომანი გამოაქვეყნა 1990 წელს გამომცემლობა „მერანმა“.

სატირული ზღაპარი „ჭიანჭველების ხელმწიფე ანდუყაფარი“ დაიწერა 1995 წელს. იგი ცალკე წიგნად 1996 წელს გამოსცა ქუთაისის გ. ტაბიძის სახ. სააქციო საზოგადოება „სტამბის“ საგამომცემლო ცენტრმა.

მკვდარი სახლი

*ღმერთს ვბრძანებ ვინაიდან მშობლები მღვდელ-ის
მშობელი წინადაც, მღვდელ-ის მშობლები, მღვდლები
მშობლები, მშობლები, მშობლები, მშობლები,
მღვდელ-ის მშობლები მშობლები. მშობლები
მშობლები მშობლები მშობლები მშობლები, მშობლები
მშობლები მშობლები მშობლები.*

*ო. აინოაანე
„წიგნი იმისა და მშობლები“.*

© ჯემალ ქორია - მკვდარი სახლი
საავტორო უფლებები დაცულია

ტექნიკური რედაქტორი: ირინა მარკოზაშვილი

 გამომცემლობა „სანანი“
ISBN 978-99940-60-37-5

1. ვზა ჰანსიონაციისაჲს

მატარებელი არსად ჩერდებოდა. პაპუნა ჭყონია ლიან-დაგთან დაუდარაჯდა. როცა მატარებელმა სვლა ოდნავ შეანელა, ვაგონის ღია კარში მომცრო ჩემოდანი შეაგდო, მერე თვითონაც აედევნა და შეახტა. ვაგონის გამყოლმა ხელი შეაშველა. „სიყმანვილეში უკეთ დავრბოდი!“ — თავი იმართლა პაპუნამ. გამყოლს ხმა არ ამოუღია. ჩემოდანი აიღო, პაპუნას მკლავში ხელი ჩასჭიდა და ბნელი დერეფნისაკენ უბიძგა. მთელ მატარებელში პაპუნა ერთადერთი მგზავრი იყო და, ალბათ, ამიტომ შუქის ასანთებად თავი არავინ შეინუხა. სიბნელეში გამყოლის სახე ვერ გაარჩია, გაჩხინკული, ღონიერი თითებიდან კი სიცივემ პიჯაკის სახელოს გაატანა და პაპუნას უნებლიე შიში ეწვია. აქამდე გულში მშვიდად ჩათბუნებული ორეული ანრი-ალდა, სამალავს დაუნყო ძებნა. პაპუნას შიში არაფრით გაუმჟღავნებია. დერეფანში გვერდულად მიდიოდა, რადგან ორი კაცი მხარიმხარ ვერ დაეტეოდა, გამყოლი კი ხელს არ უშვებდა.

კუპეში შეიყვანა და იქ დატოვა. წამით ფანჯარაში გარეუბნის ლამპიონებმა შემოანათა. მერე კი სიბნელეს შორეული ვარსკვლავეთის სუსტი ციმციმი თუ არღვევდა. პაპუნამ ხელის ფათურით მიაგნო ლოგინს. რატომღაც შეშფოთებული იყო და არ დანოლილა, ფანჯარასთან დაჯდა.

გამყოლი შემოვიდა. პირისპირ დაუჯდა. ეტყობა, უზომოდ გამხდარი კაცი იყო, რადგან პაპუნამ აშკარად გაიგონა ძვლების ჩხარუნი, თვალის ანარეკლი ვერაფრით დაიჭირა, თითქოს გამყოლს მხრებზე ცარიელი ქალა ედგა.

შიში ორეულს შეატოვა და დუმილი დაარღვია:

„როგორმე ჩემი სადგური არ გამომაპაროთ!“

გამყოლმა კვლავ არაფერი უპასუხა.

ლოტოს ფურცლები გაშალა და კოჭები ამოიღო. ციფრები ბუნდოვნად იკითხებოდა და პაპუნამ თამაშს უხალისოდ აუბა მხარი. მალე ყველა ნომერი შეავსო, მაგრამ გამყოლი უხმოდ აწვდიდა ახალ კოჭებს. პაპუნამ უკვე არ იცოდა, სად წაელო

ისინი, ერთი სული ჰქონდა, თავს როდის დაანებებდნენ.

ახლა ნანობდა, ბილეთი მაინცდამაინც ამ მატარებელზე რად ავიღეო.

კიდევ ერთი ფურცელი დაიდო და იმაზე დაიწყო კოჭის ჩამორიგება.

იცოდა, ძილი არ ეღირსებოდა, ფხიზლად უნდა ყოფილიყო, რათა თავის სადგურს არ გასცდენოდა.

ბოლო კოჭს ახალ ფურცელზე ვერ მოუძებნა ადგილი და ამ დროს კუპეში დღის სინათლე შემოიღვარა, თითქოს აქამდე გამომწყვდეული ჰყავდათ და ახლა გამოათავისუფლესო.

პაპუნამ თვალი მოიფშვნიტა. გამყოლი კუპეში არ იყო. ლოტო თან წაეღო, პაპუნა კი კოჭის ნაცვლად საკუთარი პიჯაკის ღილს აწვალებდა...

ორმოცი წლის მწერალმა პაპუნა ჭყონიამ გადაწყვიტა თავი მოეკლა. ეს აზრი ზუსტად დაბადების დღეს გაუჩნდა. დილაუთენია გამოეღვიძა, მზერა ჭერს მიაპყრო და მაშინ თითქოს უცხო ხმამ ჩასჩურჩულა: „თავი უნდა მოიკლა!“ თათულის მშვიდად ეძინა. პაპუნას მისკენ არ მიუხედავს. იცოდა, მძინარე ცოლის დანახვა ნებისყოფას გაუნახევრებდა. ჯობდა, ახლავე ამდგარიყო და განზრახვა სისრულეში მოეყვანა. ტანი ვერ აზიდა. საკმაოდ მონჯლრეული საწოლი აჭარაჭუნდებოდა და თათულის ძილს დაურღვევდა... იწვა ასე გაუნძრევლად და ჭერს მიშტერებოდა. ზემო სართულიდან ჯერ კიდევ შარშან ჩამოჟონა წყალმა. მეზობელმა მოუბოდიშა. ზარალის ანაზღაურება შესთავაზა, მაგრამ პაპუნამ ფულის აღება იუკადრისა. არადა, რემონტის თანხა არ ჰქონდა. ისედაც ძლივს ჰყოფნიდათ ხელფასი და იშვიათი, არცთუ უხვი ჰონორარი... დღეს განა ღირდა ამ წვრილმანზე ფიქრი? ყოველივე არარა იყო და ამ არარადან თავის დაღწევა მხოლოდ სიკვდილით შეიძლებოდა, უცბად იგრძნო, რომ უყურებდნენ. თათულის თვალი გაეხილა და ქმრის პროფილს უხმოდ უთვალთვალებდა. „გღვიძავს?“ — გულსგარეშე ჰკითხა პაპუნამ. თათული მოუჩოჩდა, ლოყაზე მოაორთქლა, ბავშვივით აკოცა: „მომილოცავს!“ მერე ბალიშიდან შეხვეული გამოაძვრინა. ალბათ, წინდები იქნებოდა, ანდა ცხვირსახოცები, ან კიდევ საცვლე-

ბი. „გათავდა ნახევარი ცხოვრება!“ — ხმამალა ასე თქვა, გუნებაში კი ეს ფრაზა გაიმეორა, გემო გაუსინჯა, თან სიტყვა „ნახევარი“ გამოტოვა...

მთელი დღე ვერ მოიცალა, რათა ამდილანდელი გადანყვეტილება რამენაირად აენონა. იუბილარის როლს საკმაოდ კარგად თამაშობდა, რადგან ვერავინ ვერაფერი შეამჩნია. ფაციფუცი, მისვლა-მოსვლა, ტელეფონის რეკვა, — ყოველივე, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, თითქოს მას არც ეხებოდა, ოდნავადაც არ ეკარებოდა მის გულს, სადაც მარტო იმ ერთადერთი, ბრმა და აუნონავი გადანყვეტილებისათვის დარჩენილიყო ადგილი.

ღვინო ცოტა დალია. სულ ათიოდე სტუმარი მოვიდა, უფრო თათულის კურსის ამხანაგები, ჯერაც გაუთხოვარი გოგოები, რომელთაც იმედი თითქმის გადასწურვოდათ და სხვათა გაკილვით იოხებდნენ გულს. საკმაოდ გვიანი იყო, როცა სტუმრები სათითაოდ გააცილა, ყველას ცალ-ცალკე გამოემშვიდობა, ქათინაურები მშვიდად მოისმინა, პასუხად თავის ლექსიკონში თბილი სიტყვები მოიძია. ორიოდეჯერ ენამოსწრებული ხუმრობაც მოახერხა. უკმაყოფილო არავინ დარჩენია, საკუთარი თავის გარდა.

შინ შებრუნებულმა ცოლს მზერა აარიდა. ქალი მთელი დღე ცდილობდა მისი გულის მოგებას, მაგრამ ეს უკვე ვერაფერს შეცვლიდა. სანერ მაგიდას მიუჯდა, უგულოდ გადაფურცლა ხელნაწერი. მომავალი რომანის ფრაგმენტები აღიზიანებდა, რადგან ვერ იქნა, ფრაგმენტებს იქით ვერ წაიწია. ახლა უკვე ამაზე ფიქრი ზედმეტი იყო. დილის გადანყვეტილებას სულიერი წონასწორობა დაერღვია.

თათული სამზარეულოში თეფშებს რეცხავდა. პაპუნამ მიაყურადა. წყლის ჩხრიალი ფარავდა ცოლის ხმადაბალ ღიღინს. საქმიანობის დროს ასე ღიღინებდა ხოლმე, ალბათ ფიქრობდა, პაპუნას ვასიამოვნე და ამჯერად საშიშროებას თავი დავალწიეო. პაპუნამ ხელნაწერი მიაგდო და სააბაზანოში ჩაიკეტა. სარეცხის თოკი ჩამოხსნა, კარის ძვიდეზე მიამაგრა, შესანიშნავი მარყუჟი გამოუვიდა, მაგრამ შიგ თავი რომ გაყო, ორეული აუჯანყდა, ჭიჭყინი და მოთქმა დაიწყო, თმები და-

იგლიჯა. საცოდავი სანახავი გახდა და პაპუნას თავი შეზიზღდა. თოკი ჩამოხსნა, ცივი წყალი გადაივლო. მეორე დღეს კი, სამსახურში პროფბიუროს თავმჯდომარეს სთხოვა, საგზური მინდა, სადმე შორს, ნაკლებად ცნობილ ზღვისპირა კურორტზე გამიშვიო. იმან წინ საგზური დაუდო, ბედი გქონიაო. არავის ახსოვს, ეს საგზური როდის მოგვივიდა, მაგრამ პანსიონატ „პლუტონში“ გამგზავრების მსურველი ვერა და ვერ დაიძებნა, შენც თუ არ ნახვალ, გავაუქმებ და ეგ იქნებაო...

კუპეს კარზე დააკაკუნეს.

პაპუნა ფანჯარას მოსწყდა. მის მიღმა ცის კიდემდე სწორი, გადამწვარი ტრამალი გაშლილიყო და ადამიანის არსებობის კვალი არსად ჩანდა.

კარიდან გაიხედა. დერეფნის ბოლოს კოჭლობით მიჩლახუნებდა ვაგონის გამყოლი. გაძვალტყავებულ მხრებზე ფორმის ტანისამოსი ჩამოჰკიდებოდა. ქუდსა და საყელოს შორის კისერი კი არა, თითქოს წვრილი ჩხირი ჰქონდა.

პაპუნას უსიამოდ გააჟრჟოლა. თავი მოითოკა, შიშისათვის ასპარეზი არ უნდა მიეცა. დაელოდა, სანამ გამყოლი თავის კუბეში გაუჩინარდებოდა. ფეხის წვერზე შედგა და გასასვლელისაკენ უჩუმრად გაიპარა.

მატარებელმა სვლა შეანელა და პაპუნამ ძლივს მოასწრო ჩამოხტომა. ჩემოდანი გაუვარდა, თვითონაც წაიფორხილა, მუხლი მსუბუქად დაჰკრა.

ბოლო ვაგონი რახრახით გაეცალა. გვირაბში თავშერგულ მატარებელს მიჰყვა. ღია კარიდან გამყოლი ხელის უსამველოდ გრძელ მტევანს უქნევდა და რაღაცნაირი ხრჭიალით იცინოდა.

ჩემოდანი დადგა, ზედ ჩამოჯდა. აქედან გახედა იმ ბოლო ვაგონს, უჩინარი მატარებელი გვირაბის შავ ხახაში რომ მიაქანებდა. მერე სიბნელემ შეისრუტა ვაგონი, მოცინარე ჩონჩხი, ძარაზე დაკიდებული წითელი ფარანი. წუთიც და გვირაბის სიშავე შეერწყა კლდის სიშავეს. პაპუნამ დაინახა, რომ არც გვირაბი არსებობდა, არც მატარებელი და იმ მხარეს რკინიგზა საერთოდ არ მიდიოდა.

არაფერი გაჰკვირვებია. ეს ბოლო დროა, გაკვირვების

უნარი დაკარგა. გონების ის ნაწილი ცინიკურმა გულგრილობამ მოიცვა, თან კარზე მიიჭედა ეკლესიასტეს სიბრძნე — „ამაობაი ამათა, ყოველივე ამაო“, რომლის ჭეშმარიტებაში ეჭვი არ ეპარებოდა.

გულდამძიმებულს არაფერი ახარებდა. მთელი სამყარო მის გაცურებას ცდილობდა. ამჯერად არც იცოდა, ვისზე უნდა განანყენებულყო: რკინიგზის სამმართველოზე, ვინაც მატარებელი გაუშვა, გაჩერება კი არსად დაუკანონა; პროფბიუროს თავმჯდომარეზე, მაინცდამაინც ამ პანსიონატის საგზური რომ შემოაჩენა; იმ ჭკუათმყოფელზე, უდაბნოში რომ პანსიონატი ააშენა, მისასვლელი გზების გაყვანა კი საჭიროდ არ ჩათვალა.

ცოტა ხანს ასე იჯდა. მატარებლის დაგადუგი ედგა ყურში. მერე ერთბაშად ჩამოწვა უჩვეულო მდუმარება. მოუსვენრობამ შეიპყრო. ქალაქში ცხოვრებამ ისე მიაჩვია უწყვეტ გუგუნს, ზედმეტ სიჩუმეს არ ენდობოდა. ახლალა შეამჩნია, ბაქნის ტკეპნილი მინა მზეს თეთრად გადაეტკეცა. დაცემისას მუხლისთავი დაესვარა, ფეხსაცმელებს წვრილი ხრილი დაჰფენოდა. შარვლის ტოტი ჩამოიფერთხა. ჯიბეში ქალაღდის ხელსახოცი მოიძია. ფეხსაცმელებიდან მტვერი ზიზლით გადანიშნდა. გაჭუჭყიანებული ქალაღდი ხელში ატრიალა, სანაგვე ყუთი ვერსად შენიშნა და იქვე, — კი არ დააგდო, — ფრთხილად დადო, თითქოს მზად იყო უკანვე წაელო და ჯიბეში ჩაეკუჭა, ვინმე თუ საყვედურს შეჰკადრებდა.

კარ-ფანჯარა ჩამოღებული, მტვერიანი შენობიდან, საუკუნის წინ მიტოვებულს რომ ჰგავდა, ზორბა მორიგემ გამოალაჯა. ფეხები ფართოდ გააბჯინა, ხელები მრგვალ მუცელზე გადაიჭდო და ასე მოაშტერდა. თავზე წითელი, გახუნებული ქუდი ეხურა. უღვაშზე ობობას ქსელი მოსდებოდა. დამფრთხალი ობობა ფაცხაფუცხით გარბოდა კიტელის ჯიბესთან.

პაპუნა წამოდგა, თავი ოდნავ დაუკრა. უცხო კაცთან გამოლაპარაკება დიდად არ ეხალისებოდა, მაგრამ თვალსაწიერზე თეთრი უდაბნოს მეტი ვერაფერი შენიშნა და უამრავი კითხვა დაეხადა.

მორიგე არ განძრეულა, კვლავ ისე იდგა, თვალებით — შავი ფოსოებით სადღაც პაპუნას მიღმა იყურებოდა.

„საინტერესოა!“ — გაიფიქრა პაპუნამ, ჩემოდანს ხელი დაავლო და გაშორდა. იმ ადგილას კი, სადაც აქამდე პაპუნა იჯდა, მისი ორეული დარჩა. „საინტერესოა!“ — გაიფიქრა ორეულმა და სადგურის მორიგეს ჩაეხუტა, მისი თვალის ფოსოებიდან გამოიხედა. თითქოს ყინულის თოში შემოეჭდო, ააკანკალა. თავზარდაცემული უკანვე გამოვარდა, პაპუნას დაენია და შეუერთდა. შიში გადაედო პაპუნასაც, ფეხს აუჩქარა. ირგვლივ მშველელი არავინ ჩანდა, სადგურის მორიგე კი იდგა თეთრი შენობის ფონზე და მკვლელის მზერას სტყორცნიდა ზურგში.

„სად გავრბივარ? — შიშნარევი გულგრილობით ფიქრობდა პაპუნა, — მოხდეს, რაც მოსახდენია!“

„მომკლავს, მომკლავს...“ — ცახცახებდა ორეული, გულს უფორიაქებდა, მოსვენებას აკარგვინებდა.

„თუ არ დაეზარა, მომკლავს!“ — დაუდასტურა პაპუნამ.

„გავიქცეთ, გავიქცეთ!..“ — არ ისვენებდა ორეული.

ქვა-ღორღით მოფენილი ველის კიდეზე პაპუნა შეყოვნდა, სული მოითქვა, ოფლი მოინმინდა. სადგურის შენობა ცის ფონზე თეთრად იკვეთებოდა. მორიგე კვლავაც იქ იდგა, მაგრამ ამ მანძილიდან ერთი ციცქნა ეჩვენა და რამ შემამინაო, მხრები აიჩჩია. ნერვები აღარ უვარგოდა უკვე.

ვინრო ბილიკი ოდნავ აჩნდა მზისგან დახეთქილ კლდოვან ველს. ცხელი ჰაერის ჭავლი ლივლივებდა გახურებულ ლოდებზე, კლდეთა ანახლეჩზე.

ბორძიკ-ბორძიკ მიდიოდა. ტვინი უხურდა. სიმხურვალემ ფეხსაცმლის ლანჩებშიც გაატანა.

დაჰბერა ცხელმა ხორშაკმა, თვალში გახურებული ქვიშა მოაყარა.

ღერი ბალახი ვერსად დალანდა მთელ გზაზე, ნვეთი წყალი არასოდეს ჩამოვარდნილა, ალბათ, ამ მხარეში.

„ესეც შენი პანსიონატი!“ — გულჯავრიანად ნუნუნებდა ორეული.

პაპუნა ყურს არ უგდებდა, წინ მიიწევდა, რადგან უდაბნოში თუ პოვებდა სულიერ სიმშვიდეს.

ოღროჩოღრო ხრიატი გადალახა და ბილიკის მოსახვევთან წაიკითხა ქვაზე ამოკვეთილი წარწერა:

მდ. სტიქსი — 200 მ.

მზემ გადაინია. სიცხემ სწრაფად იკლო. მცხუნვარე, ოქროსფერი მნათობი დაპატარავდა, სისხლისფრად შეილება, დაიჭმუჭნა, იმ გასაბერ ბუშტს დაემსგავსა, ჰაერი რომ გამოუშვეს.

პაპუნა აჩქარდა. ორასი მეტრი ბაზალტში მირიადი ფეხით ამოკვეთილ, ღრმა ხაროში გადიოდა. დამრეცზე ფეხსაცმლის ლანჩა უცურდებოდა და ცდილობდა, წონასწორობა არ დაეკარგა.

მდინარე უცბად გადაიშალა. არც წყლის დუდუნი გაუგონია, არც მსუბუქი ტალღების ტყლაშუნი. ნელი ნიავი ქერცლავდა ზედაპირს. სიგრილე არ მოჰფენია სახეზე. შორით შორამდე გადაშლილიყო კუპრივით შავი და მდორე რამ თხიერი. აღმაც და დაღმაც ბოლო არ უჩანდა, გაღმა ნაპირზე კი ჩრდილოვანი კლდეები წამოშვერილიყო.

თითქოს ნისლის ნაცვლად სიფრიფანა კვამლი დაჰფენოდა ზედაპირს და ისიც უძრავად ეკიდა.

მთელი ეს სურათი უზარმაზარ ტილოზე დახატულსა ჰგავდა, სადაც მოძრაობა მხოლოდ ნაგულისხმევია.

ქარაფზე შეყოვნებულს მოეჩვენა, თვით ამ უძრაობაში ჩაბუდებულიყო მარადი ლტოლვა. ეს იყო წამიერი ხილვა, როცა „სტატიკური ფორმის ყოველი ცალკეული დეტალი თრთოლვით იმუხტება ცვალებადობის დიადი სურვილით“ (გონების თეთრ ქალღმერთზე ჩაინერა ეს ფრაზა). სადღაც ამ შავ-თეთრ პანორამაში იმალებოდა კალეიდოსკოპი ფერებისა, სტიქსის სიღრმეს რომ შთაენთქა, მაგრამ ტყვეობიდან დახსნილებს ყოველ წამს შეეძლოთ პირველქმნილი სიხასხასით აელვარება.

პაპუნას შესცივდა.

მზერა მოავლო უდაბურ ნაპირს.

უთვალავ ნაფეხურს პირწმინდად გაეპრიალებინა ბაზალტოვანი ველი.

უცაბედად ქვა დაინახა. ვილაცას ზედ აცაბაცა ასოებით ამოეკვეთა:

**მენავე ხარიტონა
გადაყვანა — შაური
ნისიად არ იქნება
გთხოვთ შეკითხვებით გულს ნუ გამინყალებთ**

პაპუნას გაელიმა. უმაღვე თვალში ეცემოდა სტილისტიკური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური დაუდევრობა. ახლა კი ამ წარწერამ თითქოს სხვა პლანეტიდან მიწაზე ჩამოიყვანა, რალაცნაირად გულზე მოეშვა.

მდინარეზე უხმოდ განოლილ კვამლისფერ ნისლს შავი საგანი გამოეყო. სწრაფად მოინვედა ნაპირისაკენ.

პაპუნამ მღელვარება დაიოკა. უნებლიე ცნობისნადილმა გულისცემა აუჩქარა.

შავი საგანი მალე გამოიკვეთა. ერთი ფარღალალა ნავი აღმოჩნდა, დრო-ჟამისაგან დაფუტუროებული, საცერივით დაცხრილული. წესით ათასჯერ უნდა დაშლილიყო, იგი კი უხმო ზვირთებზე ისე მოსრიალედა, ზედაპირს არც ეკარებო.

პაპუნას ღიმილი პირზე მიეყინა.

ნავში შიშველი, ზორბა ბერიკაცი იჯდა. ერთმანეთში აბურდული, ჭუჭყიანი თმა-წვერი მუხლებამდე სცემდა. არა თუ თმა-წვერი, ტანზე მოდებული ბანჯგვლიც ერთიანად გასჭალარავებოდა.

დროს დაეჭმუჭნა მისი სახის კანი, ჩაეჟანგა. ბლუჯად ჩამოფარცხული წარბებიდან, ვითარცა ბნელი ტვერიდან, ისე იმზირებოდა ქურუში, აზრისაგან დაცლილი, თუმცა ჯერაც ლურჯი, საცრისოდენა თვალეები.

ნავი ნაპირს მოაყენა ხარიტონამ. გულგრილი მზერა ესროლა მგზავრს. უხმოდ დაელოდა, სანამ პაპუნა ჯიბეში მოიძიებდა შაურთანს. ჭიანი კბილებით გასინჯა, ნამდვილი თუ არისო. მოწონების ნიშნად სახე წვრილი ნაოჭებით დაექსელა, სიხარულის გამომხატველი უცნაური ხავილი გამოსცა.

შიშისაგან დაზაფრული პაპუნა კიჩოზე ფრთხილად ჩამოჯდა. ხარიტონამ ნიჩაბი მოუსვა და ნავი გაღმა ნაპირისაკენ გააქანა.

პაპუნა გაუნძრევლად იჯდა ვინრო, მრავალგზისი ხმარებისაგან გასლიპულ სკამზე. ეშინოდა, ვაითუ ჩამიტყდესო; ეშინოდა, ეს დაფუტუროებული ნავი ვაითუ მაინცდამაინც ახლა დაიშალოსო: ეშინოდა სტიქსის უხმო, შავი სივრცისა, ერთ სხივსაც რომ არ ირეკლავდა; კვამლისფერი ნისლისა, დამწვრის სუნი რომ სდიოდა. ყოვლისმომცველ მღუმარება-

ში, ხარიტონას რიტმული ხვნემა და ნიჩაბის ხმაური რომ არღვევდა, იპარებოდა რალაც უჩვეულო, შორეული, ზარისმომგვრელი ხმები, თითქოს სტიქსის ბნელ ფსკერზე მირიადი ტანჯული სული დაბორიალობდა და თავის სვეს უჩიოდა.

ყველაზე მეტად მაინც ხარიტონასი ეშინოდა. ბერიკაცს ნიჩბისაგან ხელისგულები დაჰკორძებოდა. იქ, სადაც ფეხებს აბჯენდა, შიშველ ქუსლებს ნავის ფსკერი ამოელრუტნა. ჩვეული რიტმით ქანაობდა, ნიჩაბს ოსტატურად უსვამდა და ამ დროს მის მხარ-მკლავზე რკინის ბურთები დაგორავდა.

ნახევარი გზა ისე დაილია, მგზავრისათვის ერთიც არ შეუხედავს. თავზევით იყურებოდა. გეზი პირნამახული კლდეებისაკენ ეჭირა.

მოულოდნელად მზერა გადმოჰკრა კიჩოზე მოკუნტულ პაპუნას. ჭიანი ღოჯები გამოაჩინა.

„გეშინია?“ — ჩაიხრიალა და უცაბედად ნერწყვი გადასცდა... სახე შეეცვალა, თვალეები კინალამ ბუდეებიდან გადმოუცვივდა, წამოჭარხლდა, ნიჩაბი ხელში გაუშეშდა და საშინელი ხმით დაახველა... დაახველა კი არა, დააქუხა... წელში მოიკაკვა და ისეთი ამბავი ატეხა, ქუხილმა მთელი სივრცე აავსო. ნავი ადგილზე დაბზრიალდა, სტიქსის ზედაპირი აქერცლა, ფუტურო გვერდებიდან ნაფოტები ჩამოცვივდა... პაპუნა ჩააფრინდა კიჩოს, ორეული კი მთლად სკამქვეშ შეძვრა და ფიცარს სამჯერ შემოეხვია.

ბერიკაცმა ერთი-ორჯერ კიდევ ამოიხრიალა, ოჰ, ოჰო, — დაუმატა და ნიჩაბი ისევ მოუსვა.

პაპუნამ ხუთჯერ ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, კლდოვან ნაპირს რომ მიადგნენ.

„გამაყურებელი რამე არა გაქვს?“ — ჩაიხინა ხარიტონამ. პაპუნამ პირი დაალო, პასუხი უცბად ვერ მოიზრა.

„პირამიდონი, ანალგინი, სხვა რამე, ჰა? ვგიჟდები, კბილი ისე მტკივა!“

პაპუნამ თავი გააქანა.

„გადადი!“ — ძველი გრამაფონის გაბზარული ხმით მიაყეფა ხარიტონამ და ნიჩბის წვერით მოურიდებლად უბიძგა ოდნავ შეყოვნებულ მგზავრს. ინტელიგენტის შეურაცხყო-

ფილი თავმოყვარეობა შიშის გრძნობამ ჩააჩუმა და პაპუნა ნამში ნაპირზე აღმოჩნდა.

ხარიტონას უხიაგი ხავილი აღმოხდა. იცინოდა თუ კვლავ ყელს იწმენდდა, ძნელი გასარკვევი იყო. არც ფიქრისათვის რჩებოდა დრო. ნაპირზე დადგა ფეხი თუ არა, ორეულმა სიხარულით შეჰკვივლა და პაპუნას ორი ნაბიჯიც არ ექნებოდა გავლილი, იგი უკვე თხემს მოევლო თავზე.

პაპუნამაც ფეხს აუჩქარა, სწრაფად გაშორდა აბეზარ ბერიკაცს, თხემის თავზე წამოენია აქოშინებულ ორეულს.

აქედან მოჩანდა ზღვის ვრცელი სივრცე და ელნათურებით გაჩახჩახებული პანსიონატი „პლუტონი“.

ალბათ, ნაშუადღევიც არ იქნებოდა. რატომღაც დაბნელდა. ფორთოხლისტოლა მზე ძლივს ბჟუტავდა ცაზე და იმასაც წამდაუნუმ კვამლივით შავი ღრუბელი ეფარებოდა. ბინდში თეთრად გამოიკვეთა მარმარილოს სვეტებიანი ფანჩატური, თხემის თავზე რომ წამოემართათ. აქედან ზღვისპირამდე აგურის ნამტვრევებით მოფენილი სასეირნო ბილიკი ჩადიოდა და პაპუნა ჭყონია იმ ბილიკს ჩაჰყვა.

მალე გაივარდა, ბრტყელი ქვიშნარი გადაკვეთა.

მოსახვევთან ზღვა ახლოს გამოჩნდა. ტალღების ჩვეული ტყლაშუნი არ გაუგონია, თითქოს ფაფა ბრუნავდა და ბუყბუყებდა გიგანტურ ქვაბში.

არც ღრუბელი ჰგავდა ღრუბელს, რუხი აირი დაჰფენოდა ზღვის ზედაპირს და ეს ორი სტიქია, თხიერი და აირადქცეული, ქმნიდნენ უჩვეულო სამყაროს, სადაც ყოველივეს დაჰკარგოდა წონასწორობა.

პაპუნა წამით შეყოვნდა. ზღვის გრილი ნიავის ნაცვლად მომწამვლელი სუნთქვა შეეხო, კინალამ გონი დაკარგა. ზურგი სწრაფად აქცია უცნაურ სახილველს.

ჭიშკარი უფრო ანტიკურ სტილში აგებულ ტრიუმფალურ თაღს ჰგავდა, რომლის თავზე კვადრიგის შემოდგმაც არ დავინწყებიათ და გაქანებული ცხენების ხილვისას პაპუნამ ნაბიჯი შეანელა. მეხსიერება გადაახალისა, ვინ იქნებოდაო ის

ხელოვანი, ბრინჯაოს ამ ცხენებს ეგოდენი სრულყოფილება და დაუოკებელი სწრაფვა რომ შესძინაო. ხელოვნების ისტორიის მისეული ცოდნა საკმარისი არ აღმოჩნდა. ერთხანს ტკბებოდა მარმარილოს თეთრი კოლონადით. მარჯვნივ და მარცხნივ, სანამ თვალი მისწვდებოდა, თეთრი გალავანი შემოევლოთ პანსიონატის ეზოსათვის. გალავანზე ბარელიეფები ამოეკვეთათ. ძველი მითების ან გადავინწყებული სახელები ძლივს გაიხსენა. პირველსავე ბარელიეფზე გამოსახული იყო ყველა ის გმირი, რაღაც მანქანებით ბებერი ქარონის გული რომ მოიგეს, ცოცხლებმა გადალახეს სტიქსი, ჰადესიდან კვლავ მზენათელ დედამინაზე დაბრუნდნენ.

კოლონადის უკან მუქ-მწვანე ფერით უგერგილოდ შეთხიპნილი ჯიხური აღმოჩნდა. ღია კარის თავანზე სუსტი, მტვრიანი ნათურა ბჟუტავდა. ერთადერთ საფეხურზე თხელი კაცი იჯდა, ხელში ჯიბის სარკე ეჭირა და ქიმიური ფანქრით უღვაშებში გარეულ ქალარას იღებავდა. საქმიანობა არ მიუტოვებია, სარკის ზემოდან გადმოხედა პაპუნას, თითები და ტუჩები ფანქრით დაესვარა, მაგრამ, ალბათ, ამას ვერ ამჩნევდა.

„მოხვედი?“ — ისეთი ხმით შეეკითხა, თითქოს ტუჩებით შაურიანი ეჭირა და ეშინოდა, არ დამივარდესო.

პაპუნა თავის ქნევით მიესალმა, დაელოდა.

დარაჯმა ძლივს მოიცალა, ფანქარი და სარკე ჯიბეში შეინახა.

„რა მოგეჩქარებოდა?“

„გადავიღალე, დასვენება მჭირდება“.

„დასვენება, დასვენება... — დარაჯმა იქედნურად ჩაიღიმია. — ყელში ამოგივა ეგ დასვენება!“

„ამომივა და ვინ დამიჭერს?“

„ჰო, ჰო...“

დარაჯი ორაზროვნად იღიმებოდა. პაპუნა შეშფოთდა. ორეული სწრაფად გადაბარგდა დარაჯის სულში და იქ მწირი უდაბნო აღმოაჩინა. პაპუნასაკენ რომ გამოიხედა, თავდაპირველად ვერ მიხვდა, რა ხდებოდა. დარაჯის მზერა აშიშვლებდა პაპუნას, მამაკაცურ შესაძლებლობებს უმოწმებდა. ორეული ზიზლით უკანვე გამოიქცა. ზიზლი იგრძნო პაპუნამაც. სწრაფად გაეცალა. დარაჯმა ერთხანს უყურა, მერე კვ-

ლავ სარკე და ფანქარი დააძრო, უღვაშის ლებვა განაგრძო.

პანსიონატის დიადი ნაგებობა უცბად გადაიშალა თვალ-წინ. მთის ბნელ კალთას შეჭფენოდა, მალლა აჰყოლოდა. ზედა სართულებს ღრუბელთა ფთილები ედებოდა. არც დასაწყისი ჩანდა ფანჯრების გირლიანდებისა, არც დასასრული. ისე იყო ერთიანად გაჩახჩახებული, მთელ ქალაქს უტოლდებოდა. ლამპიონების ანარეკლი პანსიონატსა და ზღვას შორის გადაშლილ ბურუსიან პარკსაც ეფინებოდა. პარკი პაპუნამ უწოდა ამ სივრცეს. ერთგვარი წესრიგი აქ მართლაც იგრძნობოდა. მთელი ველი სასეირნო ბილიკებით იყო დასერილი, ოღონდ ხეების ნაცვლად სკვერებში ერთმანეთზე ფანტასტიკურად ახორხლილი რუხი ლოდები ეყარა. ზოგან ლოდებს ხორკლიანი ხვიარა შემოჭხვეოდა და პაპუნას პირველად უხსენებელი ეგონა. აქა-იქ ასფოდელოსის უფერულ ყვავილებსაც წამოეყო თავი. ერთი დანახვით, ყოველივე ეს არ იყო მშვენიერებას მოკლებული, მაგრამ თვალს აკლდა ფოთოლთა სიხასხასე.

უცებ რალაცამ გაირბინა. პატარა ცხოველი ეგონა. იქვე ლოდი ეგდო. იმის მიღმა ბავშვის თავი გამოჩნდა, ოთხი-ხუთი წლისა თუ იქნებოდა. შავი, დაუვარცხნელი თმა შუბლზე ჯიუტად ეყარა. ცხვირს აქმუტუნებდა. დაუბანელ ცხვირ-პირზე წვინტილი შეხმობოდა და თითით იჩიჩქინდა.

ცნობისმოყვარე თვალები შემოანათა პაპუნას. ეტყობა, შიშმა გაუარა, წამოიმართა.

გაზინთული პერანგი ჭიპს ძლივს უფარავდა და პანია ჭუჭუ მოუჩანდა.

„აქ რას აკეთებ?“ — შეეკითხა პაპუნა.

„კაკა მინდა!“ — გულუბრყვილოდ უპასუხა ბავშვმა და ჩაცუცქდა.

„ეშმაკის ფეხი!“ — მეტი ვერაფერი თქვა პაპუნამ.

„შენც თუ გინდა, აი, იქ ქენი!“ — ნება დართო ბიჭმა, ასფოდელოსის ფოთლით მოიხოცა და სულმოუთქმელად გაიქცა, თეთრი ტაკუნები გამოუჩნდა.

პაპუნა ნელი ნაბიჯით მიჰყვა. ორეულმა გადაასწრო, ბავშვს მიენია და მისი თვალებით გაიხედა.

თავბრუ დაესხა. ფერთა სიმკვეთრემ თვალი მოსჭრა... სიმინდის ხასხასა ყანაში მირბოდა თითქოს. თავზევით დიდი,

ბარჩხალა მზე სხივებს უხვად აფრქვევდა. სიმინდის ფოთლები სახეზე სცემდა... სიმინდის ყანაში ჩაკარგული ბავშვი შიშინანად მისწრაფოდა ფიცრული სახლისაკენ... ორეულმა დიდხანს ვერ გაუძლო სწრაფ სრბოლას. ქოშინი აუტყდა. ბავშვს ჩამოშორდა და პაპუნა მიხვდა, ფერთა სიხასხასე მხოლოდ მისმა მეხსიერებამ წამოატივტივა. ეს იყო იმ დროის გახსენება, როცა არარსიდან ყოფიერებაში გადმოვიდა და ნინუცა ბეზიას ფიცრულიდან სიმინდებში ჩაკარგულ საპირფარეოში ვერ ბედავდა გასვლას, რადგან სიმინდის ყანა იდუმალი და საშიში არსებებით იყო დასახლებული.

პაპუნამ ამოიოხრა. ირგვლივ კვლავ ის რუხი ლოდები ეყარა.

ახლოდან პანსიონატი კიდევ უფრო უცნაური ჩანდა. მას არ ეტყობოდა ერთიანი ატქიტექტურული ნება. ყოველი დროისა და ხალხის არქიტექტორებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ისე ეშენებინათ, როგორც მოესურვებოდათ. ენით აუნერელი ეს ქაოსი მთლიანობაში რალაც გრანდიოზულ ჰარმონიას ქმნიდა, რაიც თითქოს შეუჩერებლივ იცვლებოდა და მარადიულობის სული ეცხო, რამეთუ არაფერია ცვალებადზე მარადიული.

პანსიონატის წინ, იქ სადაც ნათურების ანარეკლი სუსტად ებრძოდა მონოლილ ბინდს, დამსვენებლები ჯგუფ-ჯგუფად დასეირნობდნენ. წყვილები მყუდრო ადგილებს ეძებდნენ. თითო-ოროლა ახირებული ბერიკაცი ჯოხის კაკუნით გარიდებოდა სხვებს. სკამებზე ჭოტებივით ჩამომწკრივებული დედაბრები ჭორებით ირთობდნენ თავს. ერთგან დომინოს უხათქუნებდნენ გულმოდგინედ, მეორეგან ხელების ქნევით კამათობდნენ, ხმები კი პაპუნამდე ვერ აღწევდა.

თანდათან უბრუნდებოდა გაკვირვების უნარი, მთლიანად დაკარგული რომ ეგონა. უჩვეულო სამყაროსთან ამ შეხვედრამ ინტერესი გაუღვიძა და გულგრილობის ქრონიკული სენი შეუნელა.

ერთგან აივანზე ტანმსხვილი დედაბერი გადმოდგა. მანდილი მოიხსნა, კისერზე ოფლი მოიწმინდა, ალბათ, აქამდე სამზარეულოში საქმიანობდა. გადმოხედა ჩაბნელებულ პარკს და ბოხი, მამაკაცური ხმით გადმოსძახა:

„ვერონიკა, შე საძაგელო, სად დაიკარგე?!“

გვერდით ვილაცხამ შურდულივით გაიეღვა. პაპუნამ მხოლოდ გამხდარ ფეხებს და მოკლე კაბაში გამომწყვდეულ ბავშვურ სხეულს შეასწრო თვალი. გოგონა უმაღვე ღია კარში გაუჩინარდა.

თითქოს რაღაცამ გულზე უჩხვლიტა, რაღაც გაახსენდა, მაგრამ განცდა წამიერი იყო და გოგონა უმაღვე დაავიწყდა.

მერე მოხდა უცნაური და შიშისმომგვრელი რამ. ზღვიდან წამოუბერა. ჰაერი თითქოს სანამლავით აივსო. პაპუნას სუნთქვა შეეკრა. ცისპირი დაიპყრო შავზე შავმა ზონზროხა ღრუბელმა, მთელ ცაზე გაიწელა და ჩამოაბნელა. ზემო სართულებს თითქოს კვამლი შემოეხვია. აივნები სწრაფად დაიცალა მოყურადე დამსვენებლებისაგან. კარებსა და ფანჯრებს რახარუხით ხურავდნენ. პარკში მოსეირნენი აწრიალდნენ, შესასვლელისაკენ დაიძრნენ. პაპუნა ცდილობდა გაერკვია, რა ხდებოდა, მაგრამ ფეხაჩქარებულ ადამიანთა ტალღაში ვერავის გამოელაპარაკა, თითქოს ადამიანები კი არა, უფორმო ლანდები მოძრაობდნენ ირგვლივ.

ყრუ გუგუნი გაისმა. მიწა აზანზარდა. რაღაც ბნელი და კოლოსალური მოაბიჯებდა მიწის პირამდე ჩამოწოლილი ღრუბლებიდან.

იკივლა ვილაცხამ, ქალის ხმა იყო. იხუვლა ხალხმა, შესასვლელში გაიჭედა.

თითქოს დინოზავრის უზარმაზარი თავი გამოეყო ბნელ ღრუბლებს, თითქოს პტეროდაქტილების ფრთათა უსიამოვნო ტყლაშუნი მოისმა, თითქოს მასტოდონტების ჯოგი ღრიალებდა შემადრწუნებლად.

პაპუნას ზარი დაეცა. თვითონაც ადგილს მოსწყდა. გადაასწრო ერთს, მეორეს, ვილაცხამ გამოედო, კინალამ გადათელა. ეს ის ბიჭუნა იყო. ბავშვმა შიშით გაფართოებული თვალები შეაგება და პაპუნა მიხვდა, საფრთხემ ადამიანობა გადაავიწყა. ორეული უკვე კარში ჭეჭყვა-ჯგლეითით მიძვრებოდა, პაპუნამ კი ნებისყოფას და სიდინჯეს მოუხმო, ბავშვი ხელში აიტაცა.

შავი ღრუბელი შემოეხვია მთელ პანსიონატს. აგრიალდა ელჭექი, მაგრამ ამას არ მოჰყოლია მაცოცხლებელი წვიმა. ციდან მხოლოდ შავი ფერფლი ცვიოდა.

უკანასკნელად მოიხედა. სიბნელეს გამოეყო შავი ურჩხული, მყრალი ამონასუნთქი ამოაფრქვია. პაპუნამ ბავშვითურთ შემინულ კარში შეასწრო.

ვესტიბიული ბრბოს გაეჭედა. ირგვლივ ყაყანი და ნერვული ხითხითი მოისმოდა. სახეები — ცვილისფერი ნიღბები ყველა ერთმანეთსა ჰგავდა.

ბრბო გაარღვია და წინ ატირებული ქალი შემოეჩხა.

„ვაიმე, შვილო, დედა გენაცვალოს!“

პაპუნას გული გადაუქანდა, იმდენად ნაცნობი და მოულოდნელი იყო ქალის ხმა.

ბიჭი სწრაფად მიანოდა, გასცილდა.

ერთგან, ვესტიბიულის სიღრმეში კარზე ეწერა:

დირექტორი ადიკო

პაპუნამ დააკაკუნა და კარს უბიძგა...

2. ჯარისკაცი. რიკა. ბიჭუნა

ჯარისკაცი

სახლის გადახურვა მოასწრო. ბოლო ყავარი რომ დააჭედა, სახურავის კუნუბზე ჩამოჯდა.

ჯიბიდან თუთუნი ამოიღო, გაზეთის ნახევმი გაახვია, გააბოლა.

ჩხოუმის სანახებს გადაანვდინა მზერა. ადრიანი ზაფხულის ხასხასა სიმწვანეში იფლობოდა ყავრისა და კრამიტის სახურავები. ბოტანიკური ბალისა და ბულვარის ქადრები ზევივით დასწოლოდა ქალაქს. თითქოს აქვე, გარეუბანშივე იწყებოდა მთის მწვანე კალთები, აღმა არბოდა, ცისკენ ისწრაფვოდა, სადაც კავკასიონის თოვლიანი მწვერვალები ელვარებდა.

— ესეც ასე! — თქვა კაცმა და ბოლო ნაფაზი დაარტყა. მზერა ხელისდადება ეზოზე გადაიტანა. რამდენი გაკეთდა და რამდენია კიდევ გასაკეთებელი. სახლის წინ ვენახი ახლადჩაყრილი იყო. გადაბრუნებულ მიწაზე მწკრივებდა აჩნდა უფერული ჩხირები. უკანა ეზოში ახლადდარგული ბალი და

ატამი, ხურმა და ტყემალი იყრიდა ტანს.

— ესეც ასე! — ერთხელაც გაიმეორა კაცმა. ხელსაწყოების ყუთს ხელი დაავლო და ის იყო, ჩამოსვლა დააპირა, ქიშკარს ფარაჯიანი მაცნე მოადგა:

— ომია, ამხანაგო!

მშვიდი დღე იდგა და ირგვლივ ყოველივე სიმშვიდით სუნთქავდა.

კაცი აულელებლად ჩამოჰყვა ქანქარა კიბეს.

მინას ფეხი რომ დააბიჯა, მაშინლა ჩაეკითხა:

— ომიაო?

— ომია, ამხანაგო! — დაღლილი ხმით შეეპასუხა ფარაჯიანი.

კაცმა სათუთუნე გაუნოდა. ფარაჯიანი ნელა ახვევდა, დღეს ბევრი ევლო და, მუხლებიდან ქარი უნდა ამოვიდოო, მოიბოდიშა.

— გაიგე, დედაკაცო? — კაცმა მზერა აარიდა ქალის დამფრთხალ თვალებს.

ატირდა ქალი, — მისი შვილების დედა, — უხმო ცრემლები ჩამოაღვარღვალა.

— გაჩუმდი, დედაკაცო, ბავშვები არ შეაშინო! — გულსგარეთ დაუცაცხანა...

მერე გვიანობამდე საქმიანობდა. ოჯახი ახლა იდგამდა ფეხს და საქმე უღევი ჰქონდა. სალაპარაკოდ მხოლოდ მაშინ მოიცალა, როცა მცირე ვახშმის შემდეგ ბავშვებმაც დაიძინეს და ქალის გვერდით, ერთ ბალიშზე მიდო თავი.

ქალი ჩაეხუტა, ცრემლით ბალიში დაუსველა. კაცი უხეშად ეფერებოდა და იმ ღამეს წვრილშვილა ოჯახს ერთი ბიჭიც შეჰმატა.

დილას მცირე საგზალი აიღო, თუთუნით სავსე ქისა, საპონი, ჯიბის დანა...

მატარებლამდე მიაცილეს. ბავშვები ჩაებლაუჭნენ დედის კალთას. შეშინებულნი უყურებდნენ ვაგონის ფანჯრის ჩარჩოში გამოკვეთილ მამას. ასევე დაამახსოვრდათ. მსგავსი სურათი ეკიდა სასტუმრო ოთახის კედელზე — ჩარჩოში გამომწყვდეული კაცის სახე... ნაბოლარა რომ დაიბადა, იმან მხო-

ლოდ ეს სურათი ნახა — ყვითელ, უხეირო ქალაღზე აღბეჭდილი შემელოტებული კაცი. ცოცხლისას იგი არა ჰგავდა და ნაბოლარა მზერას ვერ უსწორებდა სურათის ჩაშრეტილ თვალებს.

კაცი კი ერთხანს ინერებოდა...

თავდაპირველად წერილი თბილისიდან მოვიდა, შენი შეკერილი ხალათი გამხადეს და ფარაჯა ჩამაცვესო. რამოდენა ქალაქი ყოფილა ეს ქართიო. მთანმინდაზე მინდოდა ასვლა, მაგრამ ვინ გაგიშვავო. იცოდე, ბავშვებს მიხედე და არ შემარცხვინოო...

ბაქოდან სამკუთხა ბარათი გამოაგზავნა. ჩემზე ნუ ინუხებთ, აქ მზე აცხუნებს, ბაზარში ალუბალი თავზე საყრელადაა. ნუხელ ყველანი დამესიზმრეთ. ამბობენ, ეს ომი ერთ თვეში დამთავრდება და მალე ყველანი დავბრუნდებითო...

ასტრახანიდან ხმა მოაწვდინა, — სამი თვის შემდეგ მოვიდა ეს ამბავი, დაჭრილმა მატროსმა მოიტანა, — ზღვა გადავცურეთო. იმოდენა გემზე ვიმგზავრე, ასი ჩვენისნაირი სახლი დაეტეოდაო. თურმე სვასტიკიანი თვითმფრინავი მოფრენილა, ორიოდ ბომბი ჩამოუგდია, ისინიც მიზანს ასცდენია... შიში კი მაგარი ვჭამეთო...

მერე ნახევარი წელი არაფერი მოუწერია... უკვე ზამთარი იყო. სამკუთხა წერილს წეკოს ნამცეცები მიჰყინვოდა თითქოს. ასოებიც აცაბაცა ეწერა. გათოშილი ხელით იყო გამოყვანილი... შემცივდაო, ინერებოდა, იმოდენა თოვლი დადო, სახლებში სახურავებიდან ჩავდივართო... ნეტავი ცოტა ხანს ჩვენს ბუხართან მიმაფიცხაო...

(ნანყვეტი პაპუნა ჭყონიას ნოველიდან)

„...შაშხანაში ვაზნა გამოილია, ხელყუმბარა ადრევე გაიხარჯა. ტანკი კი გაავებული მოგრილებდა, მუხლუხებით ლენავდა ახლადამოყრილ ნორჩ ფიჭვს, ჯუჯა არყს, ქვიშასა და თოვლში ზელდა, ნაზამთრალ ჭაობს პირს უხსნიდა.

ადრიან გაზაფხულზე თოვლს წყალი გაუჯდა. უჩინარი წყაროების ჩუმი ჩურჩული მანქანის გუგუნში ჩაინთქა.

ყინვას ძალა დაჰკარგოდა, ხემ გამოიხედა, მალე აკვირტდებოდა, ალბათ.

ჯარისკაცი ტანკს გამოექცა.

იქ, შორეთს იქით შორეთში, ახალი ოდის ბუხრიდან ცისფერი ბოლი ამოდიოდა. ღულუნა ბუხართან თავმოყრილი ბასარსხლები სამკუთხა ბარათს ელოდნენ...

ჯარისკაცი დაჭრილი იყო და სიცოცხლე სწყუროდა. ვერ გაერკვია, სად იყო დაჭრილი, არ იცოდა, რამდენ ხანს ეყოფოდა ღონე. შუბლზე ოფლი სისხლს უერთდებოდა, უპეში ჩასდიოდა... ტანისამოსი მთლად გაჟიჟინდა, ოფლისა ან სისხლისაგან...

ტანკი კი თანდათან ეწეოდა. ავბედიტად ირხეოდა ქვემეხის ლულა. ტყვიამფრქვევის ვინრო ხვრელი წერტილს ეძებდა ბეჭებს შორის, ზუსტად უნდა ჩაეჭედა ტყვია ტყვიაში.

ჯარისკაცი გარბოდა.

მწირი ტყის სიმშვიდეს მხოლოდ ძრავის გუგუნის და მუხლუხების შემზარავი ღრჭიალი არღვევდა.

ჩექმები უსხლტებოდა სველ თოვლში, ფეხებში ებლანდებოდა საიდანღაც გამობობლებული კვანჯღარა ტოტები, ჩაშავებული კუნძი, უდღეური, მინას გართხმული ბუჩქი... ქოშინი აუტყდა, ფილტვებიდან ხრიალით ამოსდიოდა თეთრი ორთქლი.

დაეცა, ადგა, ისევ დაეცა და ისევ ადგა ბარბაცით, ტანჯვით... ღონე არ შერჩენოდა და თვითონაც უკვირდა, კიდევ საიდან ეძლეოდა ძალა... გარბოდა, გარბოდა...

ტანკი ავი გუგუნით ახლოვდებოდა. ვერა ძალა ვერ შეაკავებდა, ზღვარს ვერ დაუდებდა ამ ბოროტ სრბოლას...

იქ კი, შორეთს იქით შორეთში, ჯარისკაცის ოდის ბუხრიდან ცისფერი ბოლი ამოდიოდა. ღულუნა ბუხართან მისი დამშეული ბასარსხლები თბებოდნენ, უდრტვინველად ელოდნენ სამკუთხა ბარათს... ფანჯარას ღამის სიბნელე მოსწოლოდა და შემკრთალ პატარებს ობლობის მახინჯი ღმერთი ქირქილით თვალებს უპაჭუნებდა...

ჯარისკაცი გარბოდა, გარბოდა...

ტანკი ფეხდაფეხ მოსდევდა. მუხლუხები ხრჭიალით, რახრახით ნთქავდა ყოველივეს, ცდილობდა ატალახებულ თოვლში ჩაეზილა, არარაობად ექცია სიკეთე, კაცობა, სიცოცხლე...

„მესროლე, შე უღმერთო, მესროლე!“ — ესლა გაიფიქრა და იგრძნო, ყოველი იოგით, ყოველი უჯრედით იგრძნო, რომ უსაზღვროდ მძიმე, უხეში, ყოვლისდამთრგუნველი ძალა ყალყზე შედგა, ცა გადაფარა, ბოლო ნახტომისათვის განემზადა.

აღშფოთდა უცებ ჯარისკაცი. მის სულში წამოიშრატა რალაც უძლეველი, რალაც თვალშეუწვდომი და აქამდე დაფარული, წამოიშრატა და მდულარე რკინა ჩაეღვარა ძარღვებში.

გამეხებული შემობრუნდა, თვითონაც ტანკად გადაიქცა, ქვემეხს ქვემეხი მიაბჯინა, მუხლუხებს — მუხლუხები და გუგუნით შეასკდა მოსისხარ მტერს...

ღელა

ქალი კი ელოდა... ღამეებს თეთრად ათენებდა. თავფეხშექცევით ერთ სანოლზე მიყრილ ბავშვთა სუნთქვას უსმენდა. დაისლუკუნებდა რომელიმე, — ალბათ, შიმშილი ანუხებდა, — თბილ ხელს შუბლზე შეახებდა, ალერსიანი ჩურჩულით სიზმრებს გაუცოცხლებდა: „ჩუ, ჩუ, დედა გენაცვალოს, იძინე, იძინე“.

დილაუთენია მიიპარებოდა, ჯერ კიდევ ბინდში, ქურდის დროც რომ არ იყო გასული. რაც უნდა ეჩქარა, პურის რიგში ასი კაცი მაინც დახვდებოდა. წენვა-გლეჯა, გნიასი, მინე-მონევა... ხალხის ტალღა წაღმა-უკულმა ატრიალებდა. იჭეჭყებოდა, თავს ნაცემივით გრძნობდა. დახლთან რომ მიაღწევდა, ღონე არანაირი აღარ ერჩოდა.

ბავშვები გასუსულნი ელოდნენ. მხოლოდ ნაბოლარას არ ჰყოფნიდა მოთმინება. ტიროდა, იჭაჭებოდა, დედას უხმობდა.

გემრიელი იყო შავი პურის ციცქნა ნატეხი...

ცხოვრობდა როგორც შეეძლო... ბავშვებსაც ასე ზრდიდა...

ომისშემდგომი მშვიერი წლები... შიში-მდევარი ფეხდაფეხ მოჰყვებოდა, ღმერთო, ბავშვები შიმშილით არ დამიხოცოო... იმედი აძლებინებდა, მაგრამ როდემდე...

ერთი ტომარა დაფნა მოიწია. ურჩიეს, წადი, იქნებ ობლებს პურის ფული მაინც უშოვოო... საკუთარი ხელით შეჭედა ფანერის ჩემოდანი, მეზობელს დაესესხა სამგზავრო ფული...

(ნაწყვეტი პაპუნა ჭყონიას ნოველიდან)

„...ხშირი წარბებიდან თვალები არც მოუჩანდა. ბილა ულვაშებს იწინებდა და დინჯად, მარცვალ-მარცვალ ჯიჯღინებდა:

— დედაკაცო, არ იცი, რა დროა?.. ხალხმა ომი ახლა მოათავა, ყველა უნდა მუშაობდეს. შენ კი ამდგარხარ, შე სპეკულიანტო უბედურო, შე შარახვეტიავ, და ეს სად გადმოკარგულხარ... დასაჭერი ხარ, აბა რა ხარ!.. ციხეშია შენი ადგილი...

დაბალი, მოკლეფეხა მილიციელი ნერვულად იფშვნებდა ხელებს, ცდილობდა ბილაულვაშიანის ილლიდან შემოეჭყიტა კუბეში.

— ნეტა რას უხსნი, რომ უხსნი, ვერა ხედავ, წყალნაღებული სპეკულიანტია!

— აბრძანდი, აბრძანდი, დედაკაცო, ახლა სადგური იქნება და ჩავიდეთ!

ორთქლმავალი მძიმედ მიეზიდებოდა მოხანხალეულ ვაგონებს. ირგვლივ გადაშლილი თეთრი, ერთფეროვანი ტრამალები შიშს ჰგვრიდა ქალს, მოკუნტული იჯდა ფანჯრის კუთხეში. მძიმე ჩემოდანს ეფოფრებოდა, ხელს არ უშვებდა. „ვაიმე, შვილებო!“ — ეს აზრილა უტრიალებდა, ამოკვნესას ვერ ბედავდა.

— ვაი და ვიში არ გამაგონო ახლა აქ! კანონი კანონია! შენ რა, არ იცოდი, თავზე ხელს რომ არ გადაგისვამდნენ?

— უყურე რა ჯიუტია, ვითომ არ ესმის, რასაც ვქაქანებთ! თეთრ სივრცეში ხანდახან თუ გამოკრთებოდა ჩაშავებული ლაქა, ხრამის პირას ჩავარდნილი ბუჩქნარი, ციცქნა სოფლები, ნამჯით გადახურული ქოხმახები. ქათქათა თოვლზე უცაბედად გაკრთებოდა მძივებად დაყრილი ნაკვალევი, იქნებ ცხენოსანმა გაიარა, ან ნადირმა.

„აქ, ალბათ, სულ თოვლია, თოვლი, თოვლი...“ — ფიქრობდა ქალი.

ვაგონში ციოდა, ქალს თითქოს სულიც და გულიც ყინულეთად ქცეოდა. სიცივისა და შიშისაგან აძაგძაგებდა. არ ესმოდა, რას ეჯაჯღანებოდნენ.

— ვითომ ჩვენებურად არ გესმის, ხომ? მაშ, რა ენაზე

გელაპარაკო, ყეფას კი ვერ დაგინყებ...

— ყრუ-მუნჯია იქნებ! — ჯილაულვაშიანი განზე გაენია დაბალს და ახლა თვითონაც გვერდულად გაჩხერილიყო. — ყრუ-მუნჯია, თორემ რუსული როგორ არ ესმის...

„ვაიმე, შვილებო!“ — უჩუმრად კვნესოდა ქალის სული.

მატარებლის დაგადუგი, მონჯღრეული ვაგონების შემამფოთებელი რახრახი... ნეტავი მოასვენებდნენ!.. შოშიე-ბივით პირდაფჩენილი ბავშვები... მეზობლების იმედით დატოვებული ბავშვები... იქნებ აივანზე გადმომდგარან და მოთქმით უხმობენ...

„ვაიმე, შვილებო!..“

ნეტავ რა უნდათ, რას ჩააცივდნენ?

ფანერის ჩემოდანს გადაფოფრებოდა, ისე ჩასციებოდა, ხელები დაძაბულობისაგან გაულურჯდა...

შავი ორთქლმავალი კი მიინეგდა თეთრ ტრამალებზე, ვინ იცის საითკენ, ან ჰქონდა კი ამ გზას დასასრული...“

ბიჭუნა

პირველი სიტყვა იყო „ომი“.

სადღაც ბათქი გაისმა. ფანჯრის შუშა ანკარუნდა და იმით დაინყო მოგონებების გრძელი ჯაჭვი. მანამდე იყო მხოლოდ უკუნი, არარა... მანამდე მზისქვეშეთში ცხოვრობდა პატარა არსება, ვისაც ამწუთიერი მოთხოვნილებანი მთლიანად ავინყებდა წინა წუთის ფათერაკს.

იმ დღიდან კი მეხსიერებამ ჯაჭვი გააბა არარასა და ყოფიერებას შორის, პირველი ღრმა ანაბეჭდი დატოვა ბიჭუნას სულში.

ახლა ხის ის სახლი არ არსებობს. არც ის ოთახი არსებობს, რომლის იატაკზე ბიჭი იჯდა. დიდი ოთახი იყო, ფარლალა. იატაკის ჭუჭრუტანებში სინათლე შემოდოდა. კედლებზე იაფი შპალერი გაეკრათ. ღარიბული ავეჯი იდგა: სასადილო მაგიდა (გასახსნელი), ხის უფარდაგო ტახტი, საკერავი მანქანა... კუთხეში ბუხარი იყო ჩაშენებული. შიგზამთარშიც კი იშვიათად ანთებდნენ ცეცხლს. ბუხარს ყველა ოთახისაკენ ჰქონდა პირი გახსნილი და ყველაზე პატარა ოთახ-

ის სამყოფ შეშას ხარჯავდნენ... ბუხრის თავზე ნავთის ლამპა შემოედგათ, სარკის ნატეხი, ჩახედვადაც რომ არ ღირდა, დამტვერილი საოჯახო ალბომი, — მასში მხოლოდ გაყვითლებული ფოტოები ელაგა, უმთავრესად გარდაცვლილთა; ყრუ კედელზე, ნაქარგი ტილოს თავზე ორი სურათი შეჰყურებდა ერთიმეორეს: დედიკოსი და მამიკოსი...

ფანჯრებიდან ზაფხულის უხვი მზე იღვრებოდა და ჭრელი ფარდაგივით (ეს კარგად დაამახსოვრდა) ეფინებოდა ბიჭუნას ფერხთით.

კვლავ იგრიალა. შუშა უფრო ძალუმად ანკრიალდა. მეზობლის ძალი, აქამდე რომ თამამად ყეფდა, დაფრთხა და ყეფაში ნკმუტუნიც გაურია. ბიჭუნა პირდაღებული შეჰყურებდა ანკრიალებულ შუშას, შიშისაგან ტირილი დავინყებოდა.

რალაც საზარელი და თვალშეუწვდომი გადმოსდგომოდა ხის სახლს და გრიალით მოიწვედა, ალბათ, გადაივლიდა სახურავზე და გასრესდა, მინასთან გაასწორებდა.

— კომბინატს ბომბავენ! — მეზობლის ხმა მოიჭრა საიდანლაც... ამ სიტყვებმა ბიჭუნას ვერაფერი უთხრეს...

ეს იყო და ეს! ომი ამით დაიწყო და ამით დამთავრდა, მაგრამ იმ წუთების ექო თან გაჰყვა, მრავალი წლის მანძილზე ჩასძახოდა ყურში...

ბიჭუნა წამოდგა. აივანზე გავიდა. აქედან პროვინციული ქალაქის ვრცელი ხედი იშლებოდა. ყავრიანი და კრამიტისანი სახურავების უთვალავი რიგი (შიფერი და რკინა არავინ იცოდა), მდინარის ვერცხლისფერი ზოლი (როგორ დამშრალა ის მდინარე, თითქოს ქალაქმა შეინოვაო). იმის იქით ისევ სახლები და სახლები, რომელთა თავზე ორი თეთრი შენობა წამომართულიყო. მერე ჭადართა გვირგვინებს ზევით, თითქოს შუაგულიდან ამოიზარდაო, თოვლიანი კავკასიონი ებჯინებოდა ცის ტატნობს... სამყარო ამ სურათით ისაზღვრებოდა. იმის მიღმა არც არაფერი არსებობდა. იქ იყო კიდე... ერთხელ გადაშლილ წიგნში ჩაიხედა, იქიდან ნახატი დაამახსოვრდა. ქვეყნიერების კიდემდე მისულ კაცს თავი ცაში გაეყო და უსასრულობაში იყურებოდა. ბიჭუნა ხშირად ფიქრობდა სამყაროს კიდეზე, ცდილობდა წარმოედგინა „რა იყო იქ!“ მიღმური სამ-

ყაროს გააზრება მის ღონეს აღემატებოდა, ხილული სამყარო კი ეჭვის საბაბსაც არ იძლეოდა. იმ თეთრი შენობებიდან ერთი „მოსკოვი“ იყო, მეორე — „თბილისი“. ყველა გეოგრაფიული წერტილი, რაც კი მის სმენას მისწვდა, ამ ერთი ხელისდადება მინაზე თავსდებოდა. ყველაფერი, რასაც ყური ჰქიდა, აქ უნდა მომხდარიყო.

„ომი?“ — ფიქრობდა ბიჭუნა.

სად იყო აქ ომი?.. ცდილობდა წარმოესახა, გონების თვალთ მისწვდენოდა. ომში ხომ მამა იბრძვის — გოლიათი ვაჟკაცი, მხრებით რომ კავკასიონის ამ თოვლიან მწვერვალს ეტოლება, ჯარისკაცური მუზარადით ცას ებჯინება. ღონიერი ხელები ჩაუვლია ურჩხულისათვის, ჰიტლერს რომ ეძახიან, ცდილობს ძირს მოიგდოს და მოგუდოს... მაგრამ არც ისე იოლი ყოფილა ძლიერი მტრის დაჯახნვა და ბიჭუნას თითქოს ჩაესმოდა შორეული გუგუნის, მიწის სუსტი ტოკვა, სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილს რომ აღუძრავს...

ძილში ჩაჰყვებოდა ხოლმე უცნაური და შიშისმომგვრელი მოჩვენებები...

სახურავებს შორის ალვის ხეზე უფრო მაღალი კოშკი გადმომდგარა. იმ კოშკზე მუზარადიანი კაცუნა ზის, ხის თოფი უჭირავს და ზევიდან ისვრის. ბიჭუნა უკანა ეზოთი გარბის, იქ უნდა დამალვა, მაგრამ ეზოს ირგვლივ მაყვლის ბარდები იგვერგვება და ბიჭუნა შიგ იხლართება... „ტანკა!“ — სახურავების თავზე წამომართულ საზარელ კოშკს ჰქვია უცნაური სიტყვა „ტანკა“.

მერე თანდათან საგნები გამოიკვეთა. ყოველივეს თავისი სახელი ჩამოურიგდა. ყველაფერი თავის ადგილას განლაგდა. ისიც კი გაიგო, რომ დედამინა მრგვალია და საიდანაც ნახვალ, იქ დაბრუნდები, რომ ადამიანი მოკვდავია და სიკვდილს ვერსად გაექცევი...

„სიკვდილი?“ — თავზარდამცემი იყო ეს აღმოჩენა.

„ცუნცულა დაილუპა!“ — დედამ თქვა. ბიჭუნამ ვერაფერი გაიგო.

კარგა ხანს მიემგზავრებოდნენ ბრეზენტით გადახურული, მონჯლრეული ავტობუსით.

ჭიშკარი ფართოდ იყო გახსნილი. უამრავი ხალხი შედიოდა ეზოში. დარბაისლური რიდით მოძრაობდნენ, ან იდგნენ და ხანდახან ცას ახედავდნენ.

ლურჯ ცაზე ღრუბლის თეთრი, ფაფუკი ქულები მიიწნეოდა.

ცუნცულა მომცრო კუბოში ესვენა. სახე მშვიდი ჰქონდა. წამნამები ისე დაეხარა, თითქოს საცაა გაახელსო.

პანია ხელები მკერდზე სასოებით დაეწყო, გასთეთრებოდა... ტუჩის კუთხეში ღიმილი შეჰყინვოდა, თითქოს უხაროდა, ანგელოზებს რომ მიჰყავდათ.

ლამაზი იყო სიკვდილი...

იქვე ცუნცულას ახალგაზრდა დედა დამხობილიყო, ამოუკვალთავი შავებით მოსილი, თმებჩამოშლილი, ლოყებდახოკილი... კი არ ტიროდა, ხმანართმეულს ლაპარაკი ენადა და ვერას ამბობდა.

ცუნცულას ახალგაზრდა მამასაც ამოუკვალთავი შავი პერანგი მუხლებამდე სცემდა. თავი შავი ტილოთი წაეკრა და თვალები მიწისათვის მიეხრინა, რადგან ცას გადამტერებოდა.

ბიჭუნა ფანჩატურიდან გამოვიდა, ცუნცულას ცქრიალა სურათს შეხედა, ყვავილებში რომ ესვენა, მერე ცისკენ აიხედა, საიტკენაც ცუნცულა გაფრინდა. ისე შორეული და უსასრულო იყო ეს ცა, ისე მიუწვდომელ სიმაღლეზე წარეტაცა სიფრიფანა სული... ბიჭუნამ იგრძნო მარადიული სამყაროს უსაშველო სისასტიკე...

სიკვდილის შიში დარდად შერჩა. „რატომ უნდა მოვკვდე?“ — დღენიდაგ ამაზე ფიქრობდა. ოცნებობდა უკვდავების წყაროზე და ზღაპრების ქვეყანაში დაეხეტებოდა, მისი ჯერაც უმნიფარი გონება ღრმად ვერ სწვდებოდა საფიქრალს, რაიც უპირველეს ბრძენთაც ვერ გადაეწვიტათ.

სიკვდილზე ფიქრი იქნებ მშიერ ბავშვთა ხვედრია. სოფელ დეიდებთან, მამიდებთან, ბიძიებთან საზაფხულოდ ჩასვლისას ცინცხალი შთაბეჭდილებები დევნიდა „ომსა“ და „სიკვდილს“, სულ სხვა ფერებით აკაშკაშდებოდა სამყარო.

სოფელ ბავშვთაგან არც გამოირჩეოდა. სხვაზე სუსტი იყო ოღონდ, ღონე ნაკლებ ერჩოდა, ბურთაობასა და ომობანას დროს იჩაგრებოდა. მთელი დღე ჭყუმპალაობდა, მაგრამ წყლი-

სა მაინც ეშინოდა, შორს შეტოპვას ვერ ბედავდა და ცურვა ვერ ისწავლა. უფრო იმიტომ, ენგურის მღვრიე ტალღებში ფარული და საშიში ზრახვა ელანდებოდა. აქ, ენგურისპირა ვრცელ სანახებში, ზღაპარი და სინამდვილე ერთმანეთში ერეოდა და მის მეხსიერებას რაღაც უჩვეულო ნაზავი შერჩა: ზედ ნაპირთან მორევია, ფესვგაჩაჩხული ხე ჩავარდნილა, ერთ ადგილზე ტრიალებს, ფესვებს ცისკენ იშვერს, თითქოს შველას ითხოვს (მორევში ჩათრეულ შეყვარებულთა ამბავი); სამყურას ხავერდოვან მდელოს თაფლის სურნელი სდის (ოთხფოთოლას თუ იპოვი, ნატვრა აგისრულდება); კამეჩმა ზაქი მოიგო, ახლა მშვიდად დგას და იცოხნება (კამეჩის თვალები ბნელშიც ანათებენ, მგლის ხროვაც უფრთხის); ბაყაყის გაუთავებელ კრუალს ყურთასმენა მიაქვს (ხომ გახსოვთ, საზიზღარმა გომბემომ ცეროდენა დედოფლის შერთვა გადანყვიტა); ჭაობში გველი მისარსალებს (ფრთხილად, ფრთხილად...); სოფლის დანგრეულ სასაფლაოზე უნახავთ... (იქ თურმე ღამღამობით მკვდარი სულები დაძრწიან); ეკალბარდებით დაძენილ თხმელნარში დღენიდაგ ფაჩუნობს უხილავი ნიავი (დეიდას თუ არ დაუჯერე, იქიდან ტყაშიმავა და ოჩოკოჩი მოგაკითხავენ...).

შთაბეჭდილებათა მრავალფეროვანი სამყარო... გამჭვირვალე, მზის სხივებით გამსჭვალული, ცვრით განბანილი დღე... სოფლის ღამე... ცა ვარსკვლავებით მოჭიქულა, რომ მოინდომო, ხელით მისწვდები; ეზოში ჩასვლა ძნელი გასაბედია, ჩაბნელებული ბალიდან ათასი ვინმე გითვალთვალავს... ვახშამი ჭრაქის შუქზე, დაბალ ტაბაკზე; ჭასთან ფეხის დაბანა, კოლოს წუილი და მწარე ნაკბენი; თუნგიდან ცივი წყლის ლიკლიკი: ძილის წინ ზღაპარი და მყუდრო ღამე... საქონლის მშვიდი ფშვინვა, ძაღლის უნებლიე წკმუტუნი, ქარბორიას მოულოდნელი დაქროლება, ფოთლების სუსტი შრიალით რომ მთავრდება... მიმქრალი ფაჩუნი — იქნებ ნიავია, იქნებ მკვდარი სულია, ეზოში დაბორილებს, კვნესის, შინ შეშვებას ითხოვს... ღამის უკუნში ჩაფლული ბიჭი საბანს ნიკაპამდე იქაჩავს და ბნელში თვალეებს აჭყეტს. თითქოს რაღაცა რიალებს, რაღაც მახინჯი სახეები ინაკვთება, რაღაც ფხაჭუნობს, ზედ ყურისძირთან დახშული სუნთქვა მოისმის, თითქოს ოჩოკოჩის ბალნიანი თათები

ეპარება... მერე კარში გასვლა მოუნდება, ვერც ვინმეს მოუხმობს, ვერც ლოგინიდან ჩამოსვლას ბედავს, სანოლქვეშ ხომ რაღაცა ფათურობს... ითმენს, ითმენს, ამასობაში კიდევ გაეპარება და სირცხვილისა და უღონობისაგან დილამდე ტირის, ძილ-ბურანში საკუთარ დანაშაულს მოაშრობს... დილა ყოველთვის გამჭვირვალე, ცვარნაპკური და მზით გასხივოსნებულა. ბიჭს ღამეული განცდები ავიწყდება და მთელი დღე პანია კვიცივით დაჭიხვინებს...

მერე ერთ დღეში დაკაცდა. კითხვა ისწავლა, სკოლაში მიაბარეს. პირველი წიგნი იყო „ნითელქუდა“. სკოლის ბიბლიოთეკარმა, ბავშვების მოუთმენლობით შეწუხებულმა ქალმა, გააფრთხილა, წიგნს სათუთად მოექცეო და აი, აქ ხელი მომიწერეო. მანაც მოანერა: „ჭ. პაპუნა“. ბიბლიოთეკარს, — ეჰ, შე მართლა, ჭიპუნაო, — გაეცინა. ჰოდა, შერჩა მეტსახელად **ჭიპუნა**.

წიგნი ფანჯარა იყო და პატარა ჭიპუნამ იქ ცნობისმოყვარედ შეიჭვრიტა...

(ნანყვეტი პ. ჭყონიას ადრინდელი ნოველიდან)

„...დედა!“ — ხმადაბლა დაიძახა ბიჭუნამ.

სამარისებური სიჩუმე იდგა. ხმა ექოსავით გაისმა, თითქოს თვითონ კი არა, სხვა ვიღაცა იძახდა და ახლა ეს ბგერები ჰაერში ეკიდა, ფანჯრიდან შემოფენილ მზის მტვრიან სხივებში წკრი-ალუბდა.

გამოფხიზლდა. მზე საკმაოდ მაღლა ამოსულიყო. მთელი ღამე ღრმად ეძინა უსიზმრო ძილით, თითქოს ლოგინში ნუთის წინ ჩაანვინა დედამ, უჩვეულოდ მოეფერა. ლოყაზე წვეთიც კი დაეცა, მაგრამ მაშინ ძილმა უცებ ჩაითრია.

„დედა!“ — ხმას აუნია ბიჭუნამ.

ისეთი სინყნარე იდგა, თითქოს მთელი ქალაქი აყრილა და სადღაც გადახვენილაო.

წამოჯდა.

წინაკარი ღიად დარჩენილიყო და მზე ჩახჩახებდა.

„დედა!“ — ჭირვეულად წამოიძახა, ხმაში ტირილნარევი ეჭვები ჩაურთო.

რბილი ბრაგვანი გაისმა. წამოხტა, შიშინად შეალო სამზადის კარი. მაგიდიდან კატა ჩამომხტარიყო და დამნაშავესავით მიიძურნებოდა.

ბიჭუნას გული აუჩქარდა. მთელი მისი არსება რაღაც გამოუცნობმა შიშმა შეიპყრო.

მზით გაკაშკაშებულ აივანზე გამოვარდა, ცრემლი წასკდა და ლურჯი ცის ქვეშ გაყურულ ვრცელ შემოგარენს გასძახა: „დედა-ა-ა!“

ლურჯი ცის ქვეშ განფენილ ამ სამყაროში ძნელი ყოფილა მარტოობა. ცხოვრება რთული ლაბირინთი ჩანდა, სადაც ყოველ მოსახვევთან ხაფანგია დაგებული...

დედა რომ დაბრუნდა, ოჯახი კვლავ აივსო... მამინაცვალი, ძმები, დები... ახალი და ძველი ნათესავები... სახლის ფართო ოთახებში ადგილი არ დარჩა მარტოობისათვის, მაგრამ მაინც მარტო იყო და სიცოცხლის ელექსირსაც მარტო ეძებდა, — უფრო იმ წიგნებში, მილიარდ სხვადასხვა გზას რომ ასწავლიდნენ უკვდავების წყაროსაკენ, მაგრამ რომელი იყო ჭეშმარიტი, ამას არავინ ეუბნებოდა.

ერთხელ ლექსი დაწერა... ალბათ, ლექსი არც ეთქმოდა, ამიტომაც არ შერჩა მეხსიერებას. ლამაზად ჩაწიკნიკებული ლექსის სტრიქონები ბავშვური პატივმოყვარეობის მწველ ცეცხლს უნელებდა... მერე მოთხრობებზე გაინაფა ხელი. ეზოში ბიჭები სტვენა-ყიჟინით ჭინჭის ბურთს დასდევდნენ, ის კი იჯდა და აცაბაცა ასოებით თხზავდა მოთხრობებს ვიღაც ზანგის ბიჭზე, ვიღაც თურქ ბიჭზე, ვიღაც კორეელზე, რომელთა შესახებ არც არაფერი იცოდა, არც არაფერი გაეგონა, მაგრამ კეთილშობილი ცრემლით რწყავდა ცალხაზიანი რვეულის მელნით მოთხვრილ გვერდებს... მერე რომანიც დაწერა... სხვა გზა არც ჰქონდა, რადგან გოგო შეუყვარდა და წარმოიდგინა, თუ როგორ კოცნიდა... რომანი სავსე იყო ყაჩაღებით, მონათმფლობელებით, აფრიკით, მხეცებით და, რასაკვირველია, ამაღლებული, ჯადოსნური სიყვარულით, რადგან მის ფურცლებზე მშვენიერი თავადის ასული და გლეხის ტლუ ბიჭი მთვარის ქათქათა შუქზე „ალისფერი ბაგეებით“ ერთმანეთს კოცნიდნენ.

ეს ბავშვური სიყვარულიც, ალბათ, თავშესაფარი იყო. იქ

გაურბოდა მთავარ საშიშროებას, მის სიცოცხლეს რომ ემუქრებოდა. ოცნების ბურუსში გახვეული ეძებდა ხატებას, ფაიფურზე დახატულ პრინცესას რომ ჰგავდა... მეზობლის გოგონა სიმალლით იმ ინდაურს ვერ ასცილებოდა, ეზოში რომ გაფხორილი დაფაფხურობდა. შეყვარებული რაინდი ჭიშკრის სახელურს ვერა სწვდებოდა, ჭუჭრუტანიდან უთვალთვალებდა თეთრბაფთიან, ლოყანიტელ პრინცესას, მაგრამ შიში ინდაურის წინაშე სიყვარულზე ძლიერი აღმოჩნდა (ოცდაათი წლის შემდეგ ის პრინცესა თავის პრინცს მოძებნის, მაგრამ საბედოსაკენ მიმავალი ავიაკატასტროფაში დაიღუპება)... თვალის დახამხამებაც ვერ მოასწრო, ცეცხლივით წითური ებრაელი გოგონა შეუყვარდა, ჭორფლიანი, თეთრკიჭებიანი, ხვლიკივით ხმელი და მარდი (ოცი წლის შემდეგ სამჯერ ხნიერმა ურიამ რომ მოიტაცა)... მერე თვალსაწიერზე წამოტივტივდა ბუთხუზა, ქათქათა ქეთევანი, პირველი რომანის გმირი. ამ დროს უკვე მესამეკლასელი ბიჭი იყო და „საუკუნო ფიცი“ დადო. თვალანთებული კუდში დასდევდა „ერთადერთს“. ღამით, რბილ ბალიშს ჩახუტებული, უამრავ საგმირო საქმეებს სჩადიოდა რჩეულის გულის მოსაგებად. კლასში კი მისი კიკინებით გონებააბნეულს ენა მუცელში უვარდებოდა, რაც ორიანებით შეიარაღებულ მასწავლებელს მუჟავე გუნებაზე აყენებდა (ალბათ, შვილების დედაა უკვე, იქნებ შვილიშვილებისაც!)... გავიდა ხანი, ვინ იცის ბიჭის თვალწინ რამდენი საოცნებო სახელი ჩამოიკნიკდა... დაბოლოს, ყველანი დავინწყების ბურუსში გაეხვივნენ და მეოცნებე ტვინში წარმოჩინდა ახალი ცით მოვლენილი ხატი, რომელსაც უცნაურად მჟღერი და არაჩვენებური სახელი ერქვა — **ვერონიკა**.

3. რირიქცორი აციოი

პაპუნა ჭყონიამ კარი შეაღო და თავი მისაღებში ამოყო. საწერი მაგიდა, ფერადი ტელეფონები, სავარძლის რიგი კედლის გასწვრივ, — ჩვეულებრივი მისაღები იყო. კუთხეში, საბეჭდ მანქანასთან გამწვანებული მბეჭდავი ქალი ყვინთავდა. კარის ხმამ შეაკრთო, გამოფხიზლდა, საბეჭდი მანქანა ბეჯითად

ააკაკუნა. აქედან მარტო გრძელი ცხვირი და ასი წლის დედაბრის დაჭმუჭნილი სახე მოუჩანდა.

პაპუნა შეყოყმანდა. შუაგულ ოთახში შეჩერდა, ვერ გადაენწყვიტა, ტყავგადაკრული კარი შეეღო თუ დალოდებოდა. კარი თავისით გაიღო და იქიდან მიხრწნილი დედაბერი, კი არ გამოვიდა, გამოცქერიალდა. ხუთი წლის ბავშვის მოკლე კაბა ეცვა. ბავშვურად მოჩაჩული ქვედა საცვალი მოუჩანდა. ჭალარა შუაზე გაეყო და წყვილი კიკინა აქეთ-იქით სასაცილოდ აპრეხოდა.

„დაელოდეთ!“ — ენამოჩლექით წაიჩიფჩიფა ამ საოცრებაში. მაგიდას მიუჯდა, საიდანლაც სარკე დააძრო და მანჭვავრეხას შეუდგა. ეტყობოდა, გაგიჟებით უყვარდა თავისი უკბილო, ნაოჭებით დაფარული სახე.

პაპუნა ჩამოჯდა. მისაღების შემინული კედლის მიღმა, ალბათ, სამანქანო ბიურო იყო. იქიდან უამრავი საბეჭდი მანქანის კაკუნი ისმოდა. წამდაუნუმ საქმიანი ფაციფუცით გადიგამოდინოდნენ, ახტაჯანა გოგოებს რომ დამშვენდება, ისეთი მოკლეკაბიანი მდივანი ქალები, რომლებიც კარგა ხანია გადასცილებოდნენ კუბოში ჩანოლის ასაკს, მაგრამ ისე იქცეოდნენ, თითქოს ჯერ კიდევ საბავშვო ბალის აღსაზრდელები ყოფილიყვნენ.

პაპუნამ ვერ გაუძლო ამ სანახაობას და მზერა მოპირდაპირე კედელზე გადაიტანა. იქ დიდი ფორმატის ფოტოები ეკიდა. თვით დირექტორი ადიკო გახლდათ ზედ გამოსახული, რასაც საგანგებო წარწერები მოწმობდა. პირველ სურათზე ალბეჭდილ ჩვილ ადიკოს ქიტონი ეცვა და, თუმცა პირში საწოვარა ჰქონდა გაჩრილი, უფრო ალექსანდრე მაკედონელს ჰგავდა, ვიდრე აკვნის ბავშვს; მეორეზე — ჯოხის ცხენზე ამხედრებული ადიკო პეტრე დიდს მოჰგავდა, ულვაშები მამაცურად აეპრინხა და მრისხანედ იყურებოდა; მესამეზე — შუახნის ადიკოს ლიმონისფერი სახე გაჰბადროდა და ჩინეთის ბოგდიხანი ეგონებოდა კაცს... სხვა სურათებზე ადიკოს სიბერის ხანა დამდგარიყო, თუმცა ჯერაც ბრგე ვაჟკაცი ჩანდა. თითქოს დრო არ ბატონობდა მასზე, ასაკი არც ეტყობოდა, თუ არ ჩავთვლით ვარცხნილობასა და ჩაცმულობას, რასაც, ალბათ, საუკუნის მოდა ცვლიდა.

ფიქრებიდან მდივანი ქალის ბავშვურმა ჭყლოპინმა გამოიყვანა. ეს გადაღრძობული დედაბერი ისეთი თვალებით უყურებდა, თითქოს თვითონ ცამეტი წლისა ყოფილიყო, პაპუნას კი ასი წელი მაინც ჰქონოდა მოთავებული.

„გელოდებათ!“ — ძლივს გაარჩია მისი ნათქვამი. კარისაკენ გაემართა, თან ცდილობდა არ დასჯახებოდა ბავშვურად აცმუკებულ დედაბრებს, ფეხრებში რომ ებლანდებოდნენ.

დირექტორი ადიკო მალაღზურგიან სკამზე იჯდა, მაგრამ ამას პაპუნა მოგვიანებით მიხვდა, რადგან ორიოდე წუთი მაინც დასჭირდა, რათა გონს მოსულიყო. კაბინეტმა შთაბეჭდილება მოახდინა რომ ითქვას, ეს ოდნავადაც ვერ გამოხატავს იმ გრძნობას, რაც მას დაეუფლა. გაოგნებული იყურებოდა აქეთ-იქით. თითქოს ოთახში კი არა, ფართო გამოქვაბულში მოხვდა, რომლის ჭერისათვის მზერა ვერ მიენვდინა, კედლების არსებობას კი მათ გასწვრივ ჩამწკრივებული შანდლები თუ ადასტურებდნენ. აი, ამ სივრცის ცენტრში იდგა უზარმაზარი საწერი მაგიდა. ზედ იმდენი ფერადი ტელეფონი იყო ჩამორიგებული, რომელიც დიდი საწარმოს სადისპეტჩეროს უფრო ჰგავდა. სიღრმეში, მაგიდის უკან, მძიმე კარადების თაროებზე აურაცხელი საქალაქე ელაგა. კარადებს შორის უსასრულოდ გრძელ დერეფანში ბოლო არ უჩანდა მაგიდების მწკრივს, რომლებსაც შავფრაკიანი, შუაში თმაგაყოფილი მოხელეები უსხდნენ და ქალაქებს საქმიანად აშარშიურებდნენ.

ეს დიდი მაგიდა იქნება დირექტორისო, ივარაუდა, თუმცა აქედან ჯერ ვერაფერი გაარკვია. მაგიდის წინ ხავერდის ტანისამოსიანი ყმანვილი იდგა. კოპნია უღვაშები მალლა აენკიპა. თვალის კმაყოფილებით მიეღულა და პატარა, ფუმფულა კუდს სწრაფად აქიცინებდა. მთელი არსებით გამოხატავდა აღტაცებას მალაღზურგიანი სკამის მიმართ, რომელზეც რაღაც ღრუბლისმაგვარი იბოლქვებოდა.

პაპუნა მორიდებით შედგა. ყმანვილის მოუსვენარი კუდი და ის ღრუბელი აბნევდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

„იცით, მე საგზური მაქვს!“

ღრუბელი თითქოს შეიკუმშა, ფორმა მიეცა, სასიამოვნო

შესახედავი ვაჟკაცი გამოიკვეთა და დირექტორმა ადიკომ თავის ქნევით ანიშნა, დაჯექიო. მჯდომარეც პაპუნაზე მალალი ჩანდა. განიერი მხარ-ბეჭი ლალად გაეშალა, სახის უზადო ნაკვთები ჰქონდა, წვრილი უღვაში, თმა დაუდევრად ჩამოეფარცხა შუბლზე. დიდრონი, გაურკვეველი ფერის თვალები თითქოს ტყვიით ავსებოდა, შიგ ყინულეთი გამეფებულიყო.

მისი მზერის ქვეშ ორეული ისე მოიკუნტა, მუჭში ჩაეტეოდა, მაგრამ პაპუნამ არაფერი შეიმჩნია, იატაკზე მიხრახნილ სკამზე დაჯდა, ჩემოდანი ფერხით დაიღო.

ადიკომ ხორციანი ტუჩები გაანკლაპუნა. თვალები ყურადღებით მოაბჯინა, თითქოს კიდევ რაღაცას მოეღისო. შენითლებული ქუთუთოები მის გამოხედვას უფრო ბოროტსა ხდიდა და პაპუნამ უნებურად მზერა მოარიდა. ადიკოს ნესტოები აუთრთოლდა, დაებერა, საცაა იფეთქებსო, მაგრამ მოულოდნელად ჯიბიდან თეთრი ცხვირსახოცი ამოიღო და მოწოლილი ცხვირისცემა შიგ ჩაახშო, უცნაური სტვენა აღმოხდა.

ტელეფონმა დაინკრიალა. ადიკომ ყურმილი აიღო. შუბლმუჭმუხნული კარგა ხანს უსმენდა ვილაცის წუნუნს.

პაპუნამ დრო იხელთა. მიმოიხედა. მოულოდნელად ნორჩი ქალი იხილა. შორიხლო, დივანზე მოკალათებულიყო ნებიერად. ფეხი ფეხზე შემოედო, აუჩქარებლად ქსოვდა. კაცებისაკენ არც იხედებოდა. პაპუნას ეს არაფრად ჩაუგდია, ორეული კი მის თავმოყვარეობას ფრჩხილებით ჩააფრინდა და წინკნა დაუნყო.

„არა-მეთქი, ერთხელ და სამუდამოდ ხომ აგიკრძალეთ! — დაიღრიალა უცებ ადიკომ, აგზნებისაგან უცებ გაიფუყა, მერე სწრაფად აწონოლავდა და სადღაც ჭერს თავი მიარტყა. პაპუნა კინალამ სკამიდან გადმოვარდა. დირექტორი კი ასევე სწრაფად დაიჩუტა, ხელით ანიშნა, შენ არ გეხებაო და ტელეფონში განაგრძო ყვირილი: — ვინც მეცხრე ბლოკს მიუახლოვდება, თვითონ ისჯის თავის თავს... იქითკენ წასული ბევრი მინახავს, უკან მობრუნებული არავინ... აგრე!“

ტელეფონი დაახეთქა. ბრაზისაგან სახე წამოუჭარხლდა. ავად აბრიალებდა თვალებს.

ფეხზე მდგომმა ყმანვილმა საწყალობლად ჩაიკრუტუნა

და კუდის ქიციანი შეანელა.

ქალმა ქსოვა შეწყვიტა, თავი ასწია.

„ნერვიულობა განწყენს, საყვარელო!“ — ჩაიჟღურტულა.

ადიკო ქალისაკენ შებრუნდა. კისერი წაიგრძელა... წაიგრძელა... ჟირაფს დაემსგავსა. ადგილიდან არც ამდგარა, ისე მიუტანა სახე სახესთან და სისინით უთხრა:

„დედაკაცო, წადი და ვახშმის თადარიგი დაიჭირე!“

ქალი წარწარად წამოდგა. „არ დაიგვიანო!“ — წაუძღვრა. ხმამ წკრიალით გამოსცა მსუბუქი ექო. ახლოს რომ გაიარა, პაპუნას გული გადაუქანდა. ქალის მარად ნორჩ სახეზე საოცარ კონტრასტად ჩანდა უსაზღვროდ დაღლილი ათასწლეული თვალები. მზერა აარიდა. ორეულმა იცუღლუტა ოლონდ, კარამდე მიედევნა ქალს და აფორიაქებული უკანვე გამოიქცა.

მაგიდასთან აყუდებული ყმანვილი ისე ტოკავდა, თითქოს იმ ქალს მიჰყვებოდა ფეხდაფეხ, კუდის ქიციანიც კი შეწყვიტა.

ადიკოს თავიც კარგა მანძილზე მიჰყვა. გრძელი კისერი თითქმის შემოევლო მაგიდას, ყმანვილსაც და სადღაც პაპუნას უკან აღმოჩნდა, მაგრამ სწრაფადვე დაბრუნდა ადგილზე. ამასობაში უღვაშები და შუბლზე ჩამოფარცხული თმა გაქრობოდა და ახლა ადიკოს პატარა ბიჭის ლოყანითელი, მრგვალი თავი ედგა მხრებზე.

ცოტათი დამშვიდდა. ზარი დარეკა.

კიკინებიანი მდივანი შემოფრთხილდა ჩიტივით, კაცებს კინალამ ზედ შეაფრინდა.

„ზემფირა, ნახე ერთი მაგისი საბუთები!“

დედაბერმა საგზური გამოსტაცა პაპუნას, შეატრიალ-შემოატრიალა, „ყველაფერი რიგზეა, ბატონო ადიკო!“ — ისე ჩაიჭიკჭიკა, ბრმაც მიხვდებოდა, რაც მის ამ ფაციფუცში იგულისხმებოდა.

„მით უკეთესი!“ — კეთილმოსურნედ შეეპასუხა ადიკო. სახე დაუნყნარდა, ასაკი დააჩნდა. ახლა უკვე მისი მეფური ნაკვებები მამაკაცური მშვენიერების სრული განსახიერება გახდა.

„უშანგი, მიდი, ახალი დამსვენებლის საქმე მოარბენინე!“

ყმანვილი უცებ გაირინდა. სახეზე ბედნიერი ღიმილი

აღებეჭდა. ელვის უსწრაფესად გაიჭრა კარადებისაკენ. რამდენიმე წუთი დაიკარგა სტელაჟების რიგში. იქიდან მხოლოდ ფხაკუნის და ქალაღების შრიალი ისმოდა.

ადიკო ჩუმად იჯდა და თვალს არ აშორებდა. მის თვალეში გაყინული კრისტალები აშფოთებდა პაპუნას, თითქოს იქიდან სიცივე იღვრებოდა. თუმცა თვითონ თავს იკავებდა, ორეულს უკვე ბაბანი დაანყებინა. ადიკოს კი პირისახე ისევ ეცვლებოდა. თვალსა და ხელს შუა გახდა, დაპატარავდა, ლოყები ჩაუცვივდა, მხრები დაუვიწროვდა, ჭალარაშერთული უღვაშები ამოეზარდა. გამოსწია უჯრა, ფანქარი ამოიღო და უღვაშების ღებვას შეუდგა. პაპუნა მისჩერებოდა და სულ იმას ფიქრობდა, ნეტავი ვის მაგონებს ეს კაციო. მერე უცბად გაახსენდა — მამინაცვლის ძველ ფოტოს აგონებდა...

(ათასი ნემსის ამბავი)

„...ბედი სწყალობდა. ომის დაწყებისთანავე საინტენდენტოში მოხვდა და სხვა თუ ორას გრამ პურს ნატრობდა, იმას ძეხვი და კარაქი ყელში ამოსდიოდა. მაგრამ რა დაღვეს ოხერსა და მოშურნეს... ერთი ვინმე რევიზორი შეუჩნდა, იმდენი ჩიჩქნა, საქმე კინალამ სამხედრო ტრიბუნალამდე მიიყვანა. მაშინ გაახსენდა, რომ ქვეყანაში ომია, და მეც ფრონტზე გამიშვითო, ითხოვა. სინდისის გამოღვიძება არავინ დაიჯერა, მაგრამ ვილაცას მისი თავიდან მოშორება აწყობდა და ერთ კვირაში იქ აღმოჩნდა, სადაც ქვა და რკინა დულდა.

აქაც არ დააგდო ბედმა. პირველსავე იერიშზე, სხვები რომ ბუზებივით იხოცებოდნენ, თავშესაფარი მოძებნა და ვირთხასავით შიგ შეძვრა. ნანგრევებად ქცეული თავშესაფარი მაინცდამაინც მიტოვებული სამკერვალო ფაბრიკა აღმოჩნდა, საიდანაც ყველაფერი გაეზიდათ, გარდა ტყავაცრეცილი ჩემოდნისა, ვილაცას გაქცევის დროს რომ დავარდნოდა. ვინ მოიცლიდა ამ ჩემოდნისთვის, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე ვინ დაინტერესდებოდა, რა იყო შიგ, მაგრამ ის ხომ ბედის ნებიერა იყო და განძს მივაგენიო, იფიქრა.

თავდაპირველად, როცა გახსნა, გუნება გაუფუჭდა. ჩემო-

დანი საკერავი მანქანის ნემსით იყო საცხე. რა თავში ვიხლიო, განზილებული მოშორდა. მერე ფრონტმა გადაინაცვლა, მცირე ხნით სიმშვიდე ჩამოვარდა, ცხელი წვნიანის ხვრეპაც კი მოხერხდა. ამასობაში მისმა ეშმაკმა და კვიმატმა ტვინმა ათასნაირად აწონ-დანონა და მიხვდა, ყოველი ნემსი თავისი წონა ოქრო ეღირებოდა. კვლავ სროლა რომ ატყდა, მტრის ნასროლს არ დაელოდა, ფეხზე მოხერხებულად იკრა ტყვია და თავი მოიმკვდარუნა. ჰოსპიტალში რომ ნააციმციმეს, მკერდზე ის ჩემოდანი ედო, დაჭრილსა და სიცხიანს ვერაფრით გააგდებინეს. ჭრილობა მაინცდამაინც შემანუხარი არ ყოფილა, მაგრამ იმდენი ქნა, ექიმებში თავისი ყაიდის კაცი მოძებნა და შინ ისეთი საბუთებით დაბრუნდა, წყალი არ გაუვიდოდა.

რამე ხომ უნდა ეკეთებინა და ტყემლის დამზადებას მიჰყო ხელი. დადიოდა კარდაკარ. სახელმწიფოს ასარგებლებდა, მაგრამ არც საკუთარი თავი ავიწყებოდა. ეს ნემსებიც თან დაჰქონდა, თითო ცალობით, მამასისხლად ყიდდა. ისეთი დრო იყო, სოფლელი ქალები თვითონ ქსოვდნენ და თვითონ კერავდნენ, საკერავი მანქანის ნემსს დიდი გასაჯალი ჰქონდა. ასე და ამგვარად, კაპიკ-კაპიკ მდიდრდებოდა. ბედი მუხთალი და ოხერია, ერთხელ იქნება და კვანტს დაგიდებს. ის იყო, ცხრაასოთხმოცდაცხრამეტი ნემსი გაასალა, მეათასე ძილში შეერჭო და ისეთი რამ უქნა, ტყვიასაც არ უქნია.

მისი სული მთავარანგელოზს რომ მიჰგვარეს, იმან ძლივს დაიჯერა, ამოდენა კაცი ციცქნა ნემსმა როგორ მოინელაო. სინდისი სასწორზე რომ შეუგდო, სასწორის პინა ჯოჯოხეთისაკენ გადაქანდა და გახარებულმა ეშმაკებმა ათასი ნემსისაგან სკამი გამოუჭედეს, ზედ ღვედებით მიაკრეს და მეორედ მოსვლამდე ასე დატოვეს...”

პაპუნა ჭყონიას აზრი გაუწყდა. ადიკო კვლავ თვალეში უცქერდა და საგრძნობლად იცვლებოდა. ნიკაპზე ჟღალი წვერი ამოეზარდა. ცხვირზე ოქროს სათვალე წამოეკვება, შავი, გასლიპული ქოჩორი ორად გაეყო და მთლად პროვინციელ მოხელეს დაემსგავსა.

უშანგმა მოირბინა, ალერსიანი კრუტუნით დირექტორს

საქალაქადე დაუდო წინ.

ადიკომ სული შეუბერა, მტვერი გადაფერთხა, ზიზლით გახსნა. ერთადერთი, დაკეცილი ქალაქი აღმოჩნდა. რომ გაშალეს, ზენარივით დაფარა მთელი მაგიდა. პაპუნამ ცნობისმოყვარედ წამოინია. ჯერ ტოპოგრაფიული რუკა ეგონა. მერე მიხვდა, ქალაქზე გენეალოგიური ხე ეხატა. ხის ფესვები სადღაც საუკუნეების სიღრმეში ჩასულიყო და იქ ეწერა პირველი სახელი და გვარი — **კოჩი ჭყონია**. იქიდან იტოტებოდა, აუარებელ განშტოებებს ქმნიდა, იხლართებოდა მძლავრი ვარჯი, ხოლო ნახატის ქვედა კიდე — თანამედროვეობა, გაუვალე ჯუნგლებივით იყო დაბურული. პაპუნა ხარბად დააცქერდა ამ უცნაურ სურათს, სურდა მენსიერებაში აღებეჭდა სახელები და თარიღები, მაგრამ თითო-ოროლა თუ დაამახსოვრდა, უმრავლესობას კი თვალი ვერ მიადევნა... შემდგომში, როცა მოინდომა მენსიერებით გენეალოგიური ხის აღდგენა, მხოლოდ მისი მარტივი ასლის დახატვა მოახერხა... ბოლო წამს შემთხვევით მოჰკრა თვალი ციცქნა ოთხკუთხედს, ფურცლის ქვედა კიდეზე რომ იყო ათასობით მსგავს ოთხკუთხედში ჩამალული. მასში ნონპარელით ჩაებეჭდათ:

პაპუნა ჭყონია
1940 — ?

ადიკომ თავი აიღო, გამომცდელად შეხედა.

„ზემფირა, დაკეცი!“

მდივანმა ქალაქი მაგიდიდან დაითრია, უშანგი მიემველა და ორივემ დაკეცა. საქალაქეში ისე ტენილდნენ, თითქოს სამუდამო პატიმრობა მიესაჯათ.

თვით ადიკო ადგილზე ირხეოდა, სახეზე ფერი წამდაუნუმ ეცვლებოდა. მერე იმ ადგილას რაღაც აქოთქოთდა, ღრუბელივით ჩამოეკიდა, ღრუბელი ისევ შეიკუმშა და უშნოდ წაგრძელებული ადიკო კვლავ სავარძელში ჩაეპერტყა. პაპუნა უკვე შეეჩვია დირექტორის ფერისცვალებას და თვითონაც თანდათან მშვიდდებოდა.

„ერთი მითხარი, ვინ ოხერმა შემოგაჩეჩა ეგ საგზური, ან

ხარიტონამ როგორ გადმოგიყვანა?“

„შაურიანი გადავიხადე!“

„ძვირად მოგიქრთამავს ბებერი ხარიტონა!“

„სიკვდილს გადავურჩი, ბატონო, ახლაც არ მჯერა, რომ ცოცხალი ვარ!“ — უნებლიეთ შესჩივლა პაპუნამ და ენაზე იკბინა.

„გონს ვერ მოსულხარ, ხომ? — რატომღაც აღფრთოვანდა ადიკო. — ხელი იმიტომ მოგეცარა, რომ არ გივარჯიშნია! სანამ თავს მოიკლავდე, უნდა ისწავლო სიკვდილის ხელოვნება!“

ეტყობა ამ თემაზე უყვარდა მსჯელობა. წამოდგა, ბოლთის ცემას მოჰყვა, თან ხელების ენერგიული ქნევით სიკვდილის თეორიას ავითარებდა.

„უპირველეს ყოვლისა, ერთი-ორი მკვლელობა მაინც უნდა ჩაიღინო, ასე ვთქვათ, სავარჯიშოდ, ხელი რომ არ აგიკანკალდეს... მაგალითად, შეგიძლია ვინმეს თავი წააგდებინო, მუცელში დანა გაუყარო, ჯვარს აცვა... თუმცა, შენ, ალბათ, მოგუდვის პრაქტიკა უფრო მოგეწონება. შეგიძლია, ყელში წაუჭირო, წყალში თავი ჩააყოფინო, ანდა ასე ქენი...“

ამას რომ ამბობდა, უშანგს გვერდით ჩაუარა. მოულოდნელად ქოჩორში ხელი წაავლო, დაითრია, მაგიდაზე დააგდო და სახეზე მკერდით დაანვა.

უშანგი წყლიდან ამოგდებული თევზივით აბათქუნდა.

შეძრწუნებული პაპუნა სკამიდან წამოვარდა, მკლავზე ეცა დირექტორს.

ადიკომ გაკვირვებით მოხედა. თავი ანება მომჩვარულ მსხვერპლს, წამოაგდო, პანდური ამოჰკრა. გახარებულმა ყმანვილმა კარში დურთა თავი და გაქრა.

„გეტყობა, არ მოგეწონა! თუმცა რა, საამისო ღონე არც გეყოფოდა! მე თუ მკითხავ, გასანთლულ თოკს არაფერი სჯობია!“

კარგა ხანს იქადაგა გასანთლული თოკის უპირატესობაზე სარეცხის უბრალო თოკთან შედარებით.

„ოღონდ მაგალითს ნუ მიჩვენებთ!“ — თავი ვერ შეიკავა პაპუნამ.

„ამაზე ადვილი რა არის?“ — უსიამოვნოდ ჩაიხითხითა, სიმაღლეში გაიწელა, უჩინარ ლავგარდანს თოკის ბოლო გამოაბა და მარწყუთი საცოდავად თვალეპარპალებულ ზემ-

ფირას წამოაცვა კისერზე.

პაპუნას გული ცუდად უხდებოდა, ბავშვივით დაისლუკუნა:

„არ მინდა ამის ყურება!“

ადიკომ ზევიდან გადმოხედა. წამში მამინაცვალს დაემსგავსა, უღვაში მოინიწუნა.

„სწორია! ამ დედაბრის ჩამოხრჩობა არაფერს გვარგებს! უმჯობესია, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ და საკუთარი თავის ჩამოხრჩობა გიჩვენო!“

ქალი სწრაფად გამოათავისუფლა და მარწყუთი თვითონ ჩამოიცვა.

„რას სჩადით, ეს რა სიგიჟეა!“

ადიკომ მის წამოძახილს ყური არ ათხოვა, თოკის მეორე ბოლო მოსწია. იატაკს რომ მოსწყდა, საშინლად აფართხალდა, კისერი დაუგრძელდა, ენა გადმოუვარდა.

თავზარდაცემული პაპუნა კაბინეტიდან გამოვარდა და მისაღებში, სკამზე დაეცა.

სადღაც ზევიდან ადიკოს მოგუდული ხმა მოისმა:

„პანსიონატში მიღებული ხარ, მაგრამ, იცოდე, მეცხრე ბლოკს არ გაეკარო!“

ცოტა ხანში ზემფირა გამოცქრიალდა. ვითომც არაფერიო, ფეხსაცმლების ბაკუნით გადმოჭრა ოთახი და პაპუნას ნომრის გასაღები გადასცა...

4. ყალოღიღოსყოჭი

(სქემა საოჯახო რომანისათვის)

დედა რომ დაბრუნდა, ოჯახი კვლავ აივსო... მამინაცვალის, დები, ძმები... ძველი და ახალი ნათესავები... სახლის ფართო ოთახებში ადგილი არ დარჩა მარტოობისათვის...

სახლი

აგურის სვეტებზე შემდგარ სახლს არაფერი წამატებია. იდგა თავისთვის. ყველა კარი ღია ჰქონდა. უამრავი ადამიანი

შედიოდა და გამოდიოდა და ხის ფარღალა სახლი უდრტვინველად ითმენდა ყოველივეს... ზაფხულში ფანჯრებიდან და კედლის ქუჭრუტანებიდან სასიამოვნო ნიავი დაფოფინებდა... გაზაფხულის წვიმიანობისას სახურავი თითქოს სიცილს იწყებდა, ადგილ-ადგილ იხსნებოდა და არავინ უწყოდა, სად დაედგათ ტაშტები და სათლები. ოთახებში ისეთი რაკარუკი ისმოდა, ერთმანეთის გადანალაპარაკევეს ვერ გებულობდნენ... შემოდგომის ქარიშხლები სახლს აზანზარებდა. იგი ისე ირხეოდა, თითქოს მონყვეტას და გაფრენას ლამობსო... ზამთრის თოვლი შინ ვერ შემოდის, თორემ ბატონი ყინვა ოჯახის წევრი ხდებოდა. მაგიდაზე ჭიქა იყინებოდა. საღამოობით ლოგინებში ჩათბუნება ჭირდა, დილას კი თბილი ლოგინის დატოვება...

მაინც ცხოვრობდნენ... მხიარულად და სევდიანად, ტაშფანდურითა და ჩხუბ-ტირილით, ალერს-მოფერებითა და ხელზე დახვეული ღვედის ტყლაშუნით... ბუხრისპირას მოყოლილი ზღაპრები; დაცარიელებული ოთახების სევდა; სტუმრიანობა... სტუმრიანობა, როცა მასპინძლებისათვის ადგილი არა რჩება და ისინი პირდაპირ იატაკზე მიეყრებიან, თავფეხშექცევით... ფანდური, გიტარა, სიმღერები... შიმშილი, შიმშილი, ღონეს რომ წვეთ-წვეთობით გართმევს... „იცე, ამ ბავშვს კარაქი სჭირდება!“ „ამ ბავშვს მეტი ცხიმი უნდა!“ „ამ ბავშვს ჯირკვლები აქვს...“

ხის ფარღალა სახლში ყოველი მხრიდან შედი-გამოდის სტუმარი და მასპინძელი, ქარი და წვიმა, სიციხე და სიცივე...

მამინაცვალი

ნაბადში მამინაცვალს სძინავს. მთელი საღამო გვიანობამდე იქეიფა, ითამადა, იხტუნავა, მერე ნაბადში გაეხვია და კუთხეში მიეგდო. ხვრინავს... ჭიპუნა გატრუნულა თავის საწოლში. ოცნებათა ოქროს ფრთებს ცის გუმბათზე აჰყავს, მაგრამ ნაბადში გახვეული კაცის ხვრინვა ზმანებებს უფანტავს, ციდან ძირს აბრუნებს, თავის ხის საწოლში, რომლისგან გვერდები უბუყდება. მერე თანდათან ძილი წამოეპარება. შორს-შორს შეტოპავს ბნელეთში და ამ დროს მჭექარედ დაახველებს

ვილაცა. კრუსუნ-კრუსუნით წამოდგება მამინაცვალი.

გათენებულა.

ჩავა ეზოში. დიდხანს ისხამს წყალს. ფრუტუნითა და ხველებ-ხველებით იბანს. სახელდახელოდ ჭიქა არაყს გადაჰკრავს და ალილინდება. ლილინ-ლილინით შეუდგება პარსვას. აუჩქარებლად ლესავს საპარსს, ღვედზე აუსვამს და ჩამოუსვამს. ისე წმინდად იპარსება, ნაოჭებში ღერი თმა არ გამოეპარება. მზე კარგა ხნის ამოსულია და იწყება უღვაშების სწორება. პატარა მაკრატლით ხელში დიდხანს ტრიალებს სარკესთან, ხან ისე მიეზომება, ხან ასე, ლამის შიგ შეძვრეს. ძირითადი საქმე მაინც წინაა: გალიფეს მორგება, ფეხსახვევის კობტად, უნაოჭოდ შემოხვევა, აზიური ჩექმების გაპრიალება (სარკესავით უნდა ბრწყინავდეს)... თეთრი ტილოს კიტელი, გახამებული თეთრი საყელო... აჰა, შუადღეც მოსულა და სამოვარზე გასვლის დროც დამდგარა... მიდის, მიიკვანწება. ქვეყანა რომ ტალახში აიზილოს, ერთი ციციქნა არ მიეცხება... მთელ ქალაქს დაივლის, რაღაცას მართლაც იშოვის, მაგრამ შესალამოვდება და... „ამას ვის ვხედავ!“ „ვაჰ, საიდან, სადაო!“ „მოდო, ერთი ჭიქა წავუქციოთ!“ შუალამემდე გრძელდება „ვართალაღე-ვარაღე...“

ცერებზე ცეკვავს, კრიმანჭულს მღერის, ჯიხვის რქას ლამაზად, მოხდენილად დაცლის, ენას ილესავს... გარეთ მტერს უყენებს თვალს, შინ კი მოყვარეს... ქალები ეტრფიან... კუზიანი, ბრუციანი, კოჭლი და უკბილო, ყველა კუდში დასდევს, კისერზე ეკიდება... არც თვითონ წუნობს ვინმეს...

ყველგან თავკაცობს, ჭინჭყლობს, ბაქიბუქობს, ჩხუბობს... სწყინს და უხარია... იმდენს ტრაბახობს, ნაწილი თვითონაც სჯერა...

როდის-როდის სიბერე მოუკაკუნებს კარზე...

უფროსი და

პირველი წერილი რომ მიიღო, ფერი ეცვალა. ეგონა, ქვეყანაზე ყველამ გაიგო მისი საიდუმლო. გაგებით კი... ალბათ, მარტო ჭიპუნას ჰქონდა თვალი და ყური.

უმცროსი ძმა გაუხდა მესაიდუმლედ. პირველი გაეგებებოდა ფოსტალიონს, სამკუთხა ბარათებს გადაამალავდა. პასუხიც თვითონ მიჰქონდა ფოსტაში.

საიდუმლო კი საცერში ჩასხმულ წყალსა ჰგავს, ყველგან გზას პოულობს... დედის შფოთი და კაპასი, გოგოს ზღუქუნი, „რა გინდა, რა ჩემი ბრალია?“

ბოლო გამოცდები, ატესტატი, კაპიკიანი სამსახური... ფიქრებში და სიზმრებში სამკუთხა ჯარისკაცური ბარათები.

ერთ დღეს კი ჩამოვიდა ფორმიანი ოყრაყი, უტყვი, დინჯი, პროვინციულად ულვაშშეკრეჭილი... კინოში შეისეირნეს, თოჯინებივით ისხდნენ, ხელები მუხლებზე დაეწყოთ და ელეთ-მელეთი მოსდიოდათ, — ვაიმე, ქვეყანა გაიგებს!

ქვეყანა გაიგებს!.. ქვეყანა გაიგებს!..

ქვეყანას კი არაფერი გამოეპარება...

ქორწილი...

ქოხი, ნავთქურაზე გაკეთებული ღარიბული სადილი... ჯარისკაცის ფარაჯას ბენზინის სუნი სდის...

შრომა და შრომა...

ეზო, ოდა-სახლი, შვილები — ერთი, მეორე, მესამე...

კრუხი და მისი წინილები... ბავშვების საჭმელი, ბავშვების ტანისამოსი, სურდო და ბატონები... ბავშვების წიგნები, ყოველდღიური, უთავბოლო ყოფა... დასიებული ფეხები, კუჭის ტკივილი, ათასი ტკივილები...

წლები წარმავალია და შვილიშვილებზე ზრუნვის დროც დგება...

ნახევარდა

ძარღვები — ელსადენები, სადაც მუდამ მაღალი ძაბვის დენი გადის. გვერდით მამაკაცს რომ ჩაეარა, თრთოლვა დაუვლიდა თავიდან ტერფამდე. პირველი, ვინც მოეფერა, უანგაროდ შეიყვარა, მაგრამ უსიყვარულოდ გათხოვდა. ის პირველი ახსოვდა ყოველთვის და ღვთით ბოძებულ მეგვირგვინესთან ჩახუტებას ნახერხით გატენილი მუთაქა ერჩია. გამწარდა კაცი. მძულვარედ შეებრძოლა. სიძულვილის საშოში სიყვარუ-

ლის შვილები წამოიზარდნენ. კაცი კი დამარცხდა და თავი ღვინოში ჩაიხრჩო... მერე მრავალი წელი ზიზლის სველ და ლორწოვან სარეცელში იწვა ქალი და თავისი არეული ცხოვრების უსიხარულო წუთებს ითვლიდა. ოდესმე ხომ უნდა გათავებულყო ყოველივე და გათავდა კიდეც... გამვლელმა ხელი გადახვია და იმ პირველის ხელი ეგონა, თუმცა მხოლოდ სიზმრად ახსოვდა თავისი სიყმანვილე. არაფერი მეორდება და არც ბედნიერი წუთები გამეორებულა... მარტოქალის მძიმე და გაუხარელი ბილიკით იარა. უკვირდა სახეზე დამჩნეული უდროო ღარები. გულს მაინც არ იტეხდა, ჯერ კიდევ არაა გვიან, შეიძლება ყველაფერი თავიდან დაგინყო... სარკის წინ დადგებოდა, ჩასუქებულ ოჯახის დედაკაცებს ადარებდა თავს. თვითონ ტანწერნეტა ქალიშვილსა ჰგავდა, მაგრამ კვალს გამოთებული სიბერის ურჩხული აგერ-აგერ წამოეწეოდა და თვითონაც არ იცოდა, რა ერქვა იმ დღეს, როცა მიხვდებოდა, ყველაფერი გათავდაო...

უფროსი ძმა

უფროსი ძმა შინ ვერ დაეტია. ჯერ მეზობელ ქუჩაში გარბოდა, ხის გვერდებმოყუნცულ სახლში, საიდანაც დღენიდაგ კისკისი და ხითხითი მოისმოდა. მერე ცოტა შორს მოუხშირა სიარული. ზაფხულობით არ ეზარებოდა ზღვისპირეთში განავარდება. სკოლის შემდეგ მთებს მიღმა გადაეშვა. წერილებს იწერებოდა, მიწა მეცოტავა და ასაფრენ ბილიკზე ვდგავარო. შემდგომ ასაფრენი ბილიკიც ეცოტავა, გაიქცა, ხელები გაშალა, მაგრამ ვეღარ აფრინდა. მაშინ ხელი ჩაიქნია და მიწისქვეშეთში, წლობით გამოხრულ მაღაროებში ჩაეშვა. ნახშირის მტვრით გაშავებულ სხვა თანატოლებთან ერთად წლიდან წლამდე მოგუგუნე კომბაინით ხრავდა შავ ქანობს. ზეცის შვილი მიხვდა, რომ გასაფრენად სულაც არაა აუცილებელი სივრცეები და ლურჯი ცა. პატარა, ჩაბნელებულ ოთახში პირველ აკვანზე რომ დაიხარა, ფრთები უკვე ჰქონდა და ჰაერში ნავარდს ხელს ვერ უშლიდა ვინრო კედლები და დაბალი ქერი...

საშუალო ძმა

გამორჩეული, ლურჯთვალეა რომ დაიბადა, ღმერთმა იფიქრა, შევცდიო და უკან მოინდომა წაყვანა, კრუნჩხვები მოუვლინა. სოფლის ექიმბაშმა იხსნა, მინა აჭამა და მინის კაცად აქცია. თოხის სიმძიმისა არც იყო, ხელში რომ თოხი აიღო. სხვები სოფლიდან ქალქს მიეშურებოდნენ, მას კი ქალაქისა არა ესმოდა რა. ძროხის თბილი ფშვინვა, ფოთლების შრიალი, ქათმის კრიახი, კამეჩის ზანტი შემოხედვა, მინიდან ამონვერილი სარჩო, ხეზე ასხმული ხილი მისი სამყარო იყო. ცოლიც იმ დროს შეერთო, როცა ეგონა, ქალი იმისათვისაა საჭირო, ზამთარში კარგად ჩავთბეო. ჭემარიტებას რომ ეზიარა, საამქვეყნიო ვალს ერთგულად იხდიდა და მხოლოდ იმას ფიქრობდა, ვაიმე, ბავშვები არ დამემშესო. დრომ ისე გაირბინა, მოხედვაც ვერ მოასწრო. ბავშვები დაიზარდნენ, თვითონ კი უწყლობისგან გამხმარ ფესვს დაემსგავსა, მინის პირზე რომ განოლილა და მზის შეუბრალებელ სხივებს დაუჟანგავს. ისე დაიარება პროვინციული ქალაქის მოხვინჯკულ შარაზე, თითქოს მისთვის ბედს მხრებზე ქვეყნის ტვირთი აუკიდიაო, ის კი ჭიანჭველის რუდუნებითა და გულმოდგინებით მიეზიდება დათქმული ადგილისაკენ და არც კი ახსოვს სიტყვა „დასვენება“...

ნახევარძმა

მგლის ლეკვივით ურჩი — თავზე ხელი არ გადაუსვა, კბილებს გაგკრავს. მისთვის დედა დედინაცვალია, მამა — მამინაცვალი. ერთ ლოგინში, ერთი საბნის ქვეშ, თავფხბექცევით წვანან ის და ჭიპუნა, ერთმანეთს ათბობენ და სხვადასხვა სიზმრებს ხედავენ. იძულებითია ეს ლამეები ერთ ლოგინში, ერთიანობას ვერ ქმნის იგი. გათენებიდან გვიან ლამემდე ნახევარძმა გარბის სადღაც... ბიჭბუჭებში, ჩხუბში, ხურდა ფულით თამაშში, ზარის თამაშში... ჩხოუშიაში, ხიდქვეშ, ხუთ მანეთად გარეცხილი მანქანები... შოფრებთან ლაზღანდარობა... ფული... დღისით საჭე, ბენზინის სუნი, სახიფათო გზები, როცა

ძარაზე ისეთი რამ მოგაქვს, მილიციას თვალს არიდებ... საღამოს კი — რაც დრო გადის, მით უფრო — ფულიანი კაცის მიხრა-მოხრა, დრაპეს პალტო, ინტელიგენტური ღიპი, ჭრელი, არაქაური ჰალსტუხი, ქედმაღალი ღიმილი: „შენ რა, ძველებურად ჯღაბნი?“

ნაბოლარა

ნაბოლარას გაჩენის დღეს სახლი თეთრხალათიანებით აივსო. ყველასაგან მივიწყებული ჭიპუნა დიდი ოთახის კუთხიდან, მოღიავებულ კარში ხედავდა ერთი ბოლოთი აყირავებულ სარეცელს. „დედა სისხლისგან იცლება!“ — ეს ფრაზა დედის სიცოცხლესთან იყო დაკავშირებული. მხოლოდ ცალი თვალით დაინახა აწყლოპინებული, წითელი თაგუნა და შეზიზღდა, ზურგი აქცია... მერე დედა კარგა ხანს იყო ავად. ჭიპუნა სოფელში გაიხიზნა. როცა დაბრუნდა, აკვანში ცისფერთვალეა, ქათქათა ვარდი დახვდა. დაურწია და ბავშვმა ლულუო, — შემოჰლიმა... ისე სწრაფად გაიზარდა, თითქოს წლებმა კი არა, ეკრანის ჩარჩოში გაელვებულმა ფრაგმენტებმა გაირბინა... გაიზარდა, დამშვენდა, ცხოვრების ზღურბლზე ფეხი შედგა და უცბად ჩამოიქროლა გრიგალმა, გონს მოსვლა არ აცალა, გაიტაცა, გაითავისა... როცა გამოფხიზლდა, უკვე ოთხ პატარას ზრდიდა და დედობას შეჰგუებოდა...

ნათესავები

ცუნცულას გასვენებაზე პირველად იხილა ნათესავთა თავყრილობა. იმდენი იყვნენ, შენუხდა კიდეც. სასჯელად ის ეყოფოდა, ასმა დედაბერმა მაინც ჩაკოცნა, უი, დაგენაცვლე, რამოდენა გაზრდილხარო. ასმა ბერიკაცმა მაინც გადაუსვა ხელი, ეგ როგორ დაკაცებულხარო. უფრო ახალგაზრდების ჩამოსათვლელი არითმეტიკა ჭიპუნამ მაშინ არ იცოდა. მერე თანდათან მის თავში ერთგვარი იერარქია ჩამოყალიბდა. ცისქვეშეთში, სახლის ზღურბლს მიღმა, კაცობრიობის ნახევარი მაინც მისი ნათესავი იყო და ამ აურაცხელ ადამიანს მეტი

საზრუნავი არა ჰქონდა, ობოლს მიაღერებოდა და თავზე ხელი გადაესვა. თვითონაც, რა თქმა უნდა, უყვარდა ისინი, მაგრამ ეს სიყვარული კიბესავით იყო, რომლის პირველ საფეხურზე ბებიები იდგნენ — ერთი მსუქანი და ერთი გამხდარი... ასევე ეძახდნენ — „მსუქანი ბებია“, „გამხდარი ბებია“... საფეხურით დაბლა იდგნენ დეიდები: ერთი ლულუნა, თბილი, ალერსიანი, გელაპარაკებოდა, ბატის ღინღს გისვამდა თითქოს სახეზე; მეორე — ნერვული, მუდამ დამუხტული, ცალკე ქმართან მოჩხუბარი, ცალკე შვილებთან, ჭიპუნას კი თვალებს უკოცნიდა; შემდგომ საფეხურზე ბიცოლები იდგნენ: ერთს ენის წვერზე წყველა ეკერა, გულში — ალერსი; მეორე უტყვი იყო, ჩუმი კრიჟანგი; ერთიც იყო, შეურაცხადი, უთავბოლოდ მოლაქლაქე, ცხოვრებაზე გამწყრალი და ზღაპრეთში მცხოვრები. მერე ბიძები იდგნენ: ღვინის მოყვარული, უშვილძირო, ლაზღანდარა; შვილების მზრდელი, საქმეუღლევი, ფუსფუსა; კეთილი, უღონო, ღვინითა და ტყვიით დაღუპული, მინაში ადრე ჩასული; ახლადნამოჩიტი, ღინღლა უღვაშებით, ფრონტიდან არდაბრუნებული; ქვედა საფეხურზე იდგა დეიდაშვილების, ბიძაშვილების, გარე ნათესავების ლაშქარი... ყველა ერთად ბიჭის ახლობლობა იყო და ისინი ყრმა ჭიპუნას ირგვლივ რალაცნაირ რბილ, ნათესაურ ბურანს ქმნიდნენ... სიყვარულის ის ნამცეცები, ყოველი მათგანი ცალ-ცალკე რომ იმეტებდა, მარტოობის სამკურნალო ნამალი იყო, მაგრამ უკურნებელი სენის ნამალი ჯერ არავის მოუგონია.

მეზობლები

პროვინციული ქალაქის გრძელი ქუჩა... ორივე მხრიდან ჩამომწკრივებული ეზოები. ყოველი ეზო თეატრის სცენასავითაა, მეზობელთა ცხოვრება ყველას თვალწინ, თითქოს ხელისგულზეაო, ისე მიდის. ყველა ერთმანეთს იცნობს, მეგობრობს, მტრობს, ეხმარება, ხელს უშლის, ეფერება, ჩხუბობს, მოკლედ — მეზობლობენ. ყველას თავისი გამორჩეული მეზობელი ჰყავს, ჭიპუნასაც. თუმცა ძნელია გარკვევა, რატომ ურჩევნია ერთი და არა მეორე...

გეოგრაფიის მკაცრი მასწავლებელი... არათუ სხვისი, საკუთარი ბავშვებიც ელდანაცემნი დუმდებიან მის გამოჩენაზე, თამაშის ხალისი ეკარგებათ. წარმოუდგენელია, რომ იგი ოდესმე ფლობდა ბავშვის მოფერების ხელოვნებას. ყოველ ბავშვს თითქოს დუელზე იწვევს, ბრძოლას უმართავს და თავისი ცივი, მიუკარებელი ავტორიტეტით თრგუნავს. ჭიპუნა არ ეპუება, ოდნავ თუ გადადგამს ნაბიჯს უკან, ოდნავ უთმობს, ისიც ასაკის საბაბით... მერე, როცა მოლონიერდა, იქნებ ბოლომდე ვერ დაძლია ცივი ზღუდე, მაგრამ ხანდახან მაინც ახერხებდა ციხეში შეღწევას და იქ პანანინა კოცონების დანთებას...

პედაგოგების ოჯახი... ცხვირზე სათვალენამოკვეხილი დედაბერი ნეტარებით ჩაღრმავებია რუსულ-ქართულ ლექსიკონს. უფროსი შვილი ჩრდილში წამოგორებულა, გაზეთებს იხეპირებს; გაუთხოვარი ქალიშვილი ლორიას მორიგ რომანს გაუტაცნია, მის სახეზე მწუხარება და სიხარული წამდაუნუმ ენაცვლება ერთმანეთს; კიდევ ერთი შვილი საკუთარ მჯიღს ჩამოყრდნობია, სევდიანად მიშტერებია ტრიფოლიატის ლობეს და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა გადატრიალებაზე ოცნებობს... იქ კი, მათი სახლის გრილ ოთახში კარადა სავსეა ნაუკითხავი, გაყვითლებული წიგნებით და ჭიპუნას ცნობისმოყვარე თვალებს ელოდება...

ლატაკი, უიღბლო ოჯახი... შვილის დაღუპვა, შვილი ციხეში, შვილის გაგიჟება და გათახსირება... ათეული წლების მანძილზე ქუჩის სცენაზე გათამაშებული ტრაგედია, შიგადაშიგ მწირი კომიზმით შერბილებული...

კიდევ ერთი ბედმოსწრაფებული ოჯახი... ცეცხლში დამწვარი შვილი, დანით მოკლული შვილი, უწყალო სენით მოთავებული შვილი, დარდს გადაყოლილი მამა, კერპი დედა, უბედურებამ ერთ დღეს რომ მოტეხა... ჩამქრალი კერა...

მარტოკაცის ციხე, რკინითა და ეკლებით შემორაგული... ძუნწის ყურადღებანიანობით ფაქიზად მოვლილი ეზო, ყულაბაში ჩათვლილი ფულები, არმად დარჩენილები...

მარტოხელა დედაბერი... კაპიკიანი სადილი, ჩაი, პური, უგემური ხილი, უკბილო ღრძილებით რომ ვერ ერევა... დამტვრეული ფეხებით ხობიალი, სოფლის სამდურავი, სიმარტო-

ვე... ბებრული, აცახცახებული ხელებით ღამის ქოთანს ძლივს მიათრევს ჩეჩმისაკენ...

უასაკო ქალი... ფერუმარილი, პომადა, ჩამქრალი თვალბის ნაძალადევი ჟუჟუნი, ქრელი ჩითით შემოსილი დალეული სხეული, ბიჭ-ბუჭებთან ცეტური შეხუმრება...

მრავალშვილიანი ოჯახი... გიტარა, ნიგნები, ქორები, სიმღერები, ჩუმი დარდი...

ინტელექტუალური ოჯახი... ბიჭური გოგო და ქალური ვაჟი...

თითო ოჯახი — თითო რომანი, ზოგი კომიკური, ზოგი ტრაგიკული, ზოგიც კიდევ ტრაგიკომიკური...

მეგობრები

იგი წავიდა... მისი გზა რუკაზე რომ დაეხატათ, ალბათ, დედამიწას მრავალგზის შემოუვლიდა. ეს იყო მისი საკუთარი არჩევანი. სხვა ვერავინ ივლიდა ამ გზაზე, მაგრამ იგი წავიდა და... დარჩა, — ბავშვობის მოგონებებში, სიყმაწვილის მოგონებებში, სიჭაბუკის მოგონებებში... ერთად თამაში (ყველა ბიჭი ერთნაირად თამაშობს), ერთად ოცნება (სხვადასხვა რამეზე, მაგრამ ფონი ერთნაირია: ვარსკვლავიანი ზეცა, სამხრეთის ბნელი ღამე, გრილი ნიავი ხვატის შემდეგ), გამონვდილი მარჯვენა (ძნელია მარჯვენას დაენდო, როცა სხვადასხვა გზით მიემართები)... წავიდა, მაგრამ მაინც დარჩა... იგი ერთადერთი იყო მეგობართა შორის, მაგრამ მეორეც იყო, ისიც ერთადერთი... ის არსად წასულა, აქ დარჩა, თავის ადგილას, ფეხიც არსად გაუდგამს, მაგრამ ეს დარჩენა იყო მისი საკუთარი გზა, სხვათაგან განსხვავებული და ამიტომაც, თუმცა ყოველდღე იმავე ადგილას ხედავდა, მაინც „წასული იყო“... ერთისაგან მხოლოდ წარსული დარჩა, მეორე მხოლოდ აწმყოში არსებობდა... განა შეეძლო უანმყოო წარსულს, ან უწარსულო აწმყოს მარტოობის გადალახვა?

გოგონები

ხანდახან სევდა გაუმძაფრდებოდა. ვერონიკას ხატება სიზმარში ჩაჰყვებოდა. თუმცა ვერ წარმოედგინა, როგორი იყო იგი. პრინცესას თეთრი, მსუბუქი კაბა ელანდებოდა მხოლოდ. არადა, ყველა მისი ამხანაგი შეყვარებული იყო. მასაც სწყუროდა ვინმეს შეყვარება და ერთხელ მეგობართან დაიტრახა, ჟიჟი მიყვარსო. აღფრთოვანდა მეგობარი, ჟიჟიც შენზე გიჟდებაო. მთლად პატარა ჰყავდა მრავალი წლის წინათ ნანახი და ახლა არც იცოდა, როგორი გოგო დადგა. როცა ნახა, აღარ მოეწონა. ნათქვამი უკან ვერ შეიბრუნა. გულუბრყვილო, სულელურად წამოსროლილი სიტყვა ჯერ კიდევ უმნიფარ, ბავშვურ სინდისს ჩამოეკონწიალა. თვალს არიდებდა ჟიჟის მზერას, მერე მის წერილებსაც. ცდილობდა, სათქმელი გამოეზომა, რათა საკუთარი სიტყვების ბადეში არ გახლართულიყო...

მეზობლის გოგონა... ახტაჯანა, ოხერი, ეშმაკი... დამალობანას თამაშობენ და ჩაბნელებული სარდაფის სიღრმეში შეკავებული, ნერვული ჩურჩულ-სიცილით გაუბედავად აცეცებენ ხელებს... პატარა გოგოს სხეულის სიმხურვალე, მომრგვალებული მუხლისთავეები... აცახცახებული ბიჭი ძაბუნდება, ღონე ელევა, ხმა ეხრინნება... გოგოსაც ხმა ეზარება, რაღაც სისულელეებს ბუტბუტებს. ნირნამხდრებს ლტოლვა თავბრუს ახვევს, მაგრამ წამლის არსებობისა არა იციან.

ბავშვთა სანატორიუმი... ფიჭვნარი... ზაფხულის სიცხიანობა... ქერა, ცისფერთვალეა ასული, ქალიშვილობის ზღურბლს მიღწეული, გრძელ წამწამებს აფახულებს... თმებს განგებ ჩამოიშლის, მხრებზე დაიფენს... ეჭვით გადარეული ჭიპუნა... გრძელი, უთავბოლო უსტარი, შენზე ვგიჟდები, ჩემი მზე და მთვარე შენა ხარო...

მაცდური ღიმილი, თვალებით ეშმაკური თამაში, ჩურჩულტელა ბარათები...

კოჭლი დეზდემონა, მეცხვარის ოჯახიდან ჩამობრძანებული ჯულიეტა, რკინიგზელის გოგო იზოლდა... და ვერონიკა... ყველა გზა მაინც ვერონიკასკენ მიდის...

სკოლა

სკოლა თვლემას ჰგვრიდა. ვინც ის მოიგონა, ჭიპუნას არ დაეკითხა. კლასში ბოლო მერხებზე უნიჭო და ღონიერი მუტრუკები ისხდნენ. შუა ადგილები მდუმარე უმრავლესობას ეჭირა. მათგან გულუბრყვილო და უცოდველ სიანცეს თუ გამოელოდა მასწავლებელი. ამათ დღიურები აჭრელებული ჰქონდათ ურთიერთგამომრიცხველი ნიშნებით. ნინა მერხებზე ელიტა იჯდა, ფრიადოსანთა პრეტენზიული ხუთეული, რომელთა სიბეჯითე ბევრად აღემატებოდა მათსავე ნიჭიერებას. ჭიპუნა კი ხან სად დაჯდებოდა, ხან სად, იმისდა მიხედვით, რომელი მასწავლებელი შემოვიდოდა კლასში, როგორ იცოდა ვაკვეთილი, ან ვისგან აპირებდა დავალების გადანერას... მასწავლებლები ერთმანეთს ჰგავდნენ, თუმცა მაინც ჰყავდა გამორჩეულები: ქსენია მასწავლებელი, ალბათ იმიტომ, რომ ანაბანა შეასწავლა; პაშა მასწავლებელი, ვინ იცის სად ნასწავლ რუსულს ჩხუბითა და ყურის აწევით ჯიუტ თავებში რომ ტენიდა; ახალბედა ლიტერატორი გოგონა, უფროსკლასელები თვალს რომ უყუყუნებდნენ; ფიზიკის მასწავლებელი, მეოცე საუკუნის ქეშმარიტი შვილი, ფარდობითობის თეორიას რომ ვერ ჩასწვდენოდა და არასრულყოფილების კომპლექსი ტანჯავდა; მოხუცი მათემატიკოსი, თავისი ფორმულების იქით რომ ვერაფერს ამჩნევდა; ისტორიკოსი ქალი, საზოგადო მოღვაწე, თავისი საქმისათვისაც რომ ვერ მოეწლო, ფრიადებს ისე არიგებდა, თითქოს ხონჩით მოეტანა და უკან წაღება ეზარებო... ჭიპუნა ყველას და ყველაფერს ყურს თანაბრად უგდებდა, გული კი იქით მიუწევდა, ჰორიზონტს მიღმა, სამყაროს გზაზე, სადაც შეიძლება იარო, იარო და... ვერონიკას გადააწყდე...

ბიბლიოთეკა

თავშესაფარი ბიბლიოთეკა იყო... ის იყო ტაძარი, სენაკი, მწირის საცხოვრისი... მქრქალი შუქი, სიგრილე, ქალღმერთისა და სიძველის სუნი იდუმალ ხიბლს ჰფენდა. აქ შეიძლებო-

და წიგნების მომხიბლავ სამყაროში ჩაძირვა, ძველი ჟურნალების დასტების გადათვალიერება, გაყვითლებული გაზეთებით ეპოქების გაცოცხლება, გეოგრაფიულ ატლასებსა და ენციკლოპედიებში სამყაროს საიდუმლოებათა ჭვრეტა. შემდგომში, როცა ყველაფერი ეს შორეული ბავშვობის მოგონებად გადაიქცა, როცა ბავშვობის მეტსახელი უკვე არავის აგონდებოდა, იგი მაღლიერებით იხსენიებდა ბედნიერ წუთებს, როცა სტელაჟებს შორის ჩადგმულ ჭრაჭუნა კიბეზე შემდგარი რალაც ახალ და მანამდე არნახულ წიგნს მისწვდებოდა. თავდაპირველად ყველა წიგნი ახალი იყო, მერე არჩევანმა შეუზღუდა ასპარეზი. რასაც წიგნში ვერ პოულობდა, წარმოსახვის ფანტასტიკური ხატებით ავსებდა... ვარსკვლავებით მოჭიქული ზეცა უსასრულობის შეგრძნებას ბადებდა, ისტორიის ფურცლები დროის წარმავლობას აგრძნობინებდა, ოცნებათა ფრთები კი უსაზღვრო მომავლისაკენ მიაქანებდა. დაუსაბამოს მარადიულობა დიახაც რომ აკრთობდა, რადგან გონებას არ ძალუძდა გადაეხედა მარადიულის მიღმა. ბავშვური გონების სუსტი ფეთქვა შესჭიდებოდა ვრცელ სამყაროს და თავისი უძლურებით გულშეჭირვებული ცდილობდა გაქცეოდა არსებობის ჩვეულ ფორმას...

5. ნიხუცა ბებია

ნახევრადჩაბნელებულ დერეფანში აღმოჩნდა. ერთნაირად ტყავგადაკრულ კარებზე ნომრები ცუდად იკითხებოდა. დერეფნის ბოლო სადღაც ბინდში იკარგებოდა და, ალბათ, ნომერთა რაოდენობა ექვსნიშნა რიცხვს გადააჭარბებდნენ, გაიფიქრა. გზად თითო-ოროლა დამსვენებელი შეხვდა, ერთნაირად გრაციოზული სიმსუბუქით ჩაუარეს. სახეებს ვერ არჩევდა და სალამი არავისთვის უთქვამს, თუმცა გრძნობდა, ზურგში ცნობისმოყვარედ უთვალთვალავდნენ.

თავის ნომერს სწრაფად მიაგნო. გასაღები კლიტეს რომ მოარგო, შეყოვნდა. რატომღაც მოუსვენრობამ შეიპყრო. ვინ უნდა დახვედროდა კარს მიღმა? ეს აზრი სასაცილოდაც არ

ეყო, მაგრამ მაინც შეეყოყმანდა. ფრთხილად შეალო, შეაბიჯა. წინკარში სინათლე ენთო. კარი არ დაუკეტავს, უკან დასახვევი გზა მოიტოვა.

მთელი წუთი გაშეშებული იდგა: ეს ხომ თბილისური ბინის წინკარი იყო. უფრო ზუსტად ასლს ვერავინ გადაიღებდა. მისი ძველი პალტოც აგერ ეკიდა. ფლოსტებთან პლასტმასის „მაშველი“ ეგდო. პაპუნასეული, გოცებელი მზერა შეაგება გაბზარულმა სარკემ. ამ რამდენიმე წლის წინათ როცა დაკიდა, მაშინ გაებზარა.

ყოყმანი გაუჭიანურდა. სასტუმროს კარი შეალო, საძილე ოთახსა და კაბინეტში შეიხედა. ყველაფერი ისე დახვდა, როგორც თბილისიდან წამოსვლის წინ. მაინცდამაინც დიდ ფუფუნებაში არ ცხოვრობდნენ. ბინაში გადასვლისთანავე თათული შეეცადა, მისთვის კაბინეტი მოეწყო. სანერი მაგიდა და რბილი სავარძელი უყიდა. დურგალს წიგნის თაროები გააკეთებინა, თუმცა ჭურჭლის კარადა არა ჰქონდათ (რაც მართალია, მართალია, მეუღლის საქმიანობისადმი გულგრილობას ვერ დასწამებდა ცოლს). დანარჩენ ოთახებში ძველი ბინიდან გადმოზიდული ავეჯი იდგა. ტანსაცმლის კარადა ყიდვისთანავე მოფამფალდა (იგი თავისი პირველი ჰონორარით შეიძინა) და ნალურსმალე ახლაც აჩნდა. საძილე ოთახში ის ფართო ტახტი დადგეს, ახლადდაქორწინებულებმა განვადებით რომ გამოიტანეს. მაშინ მანქანის დასაქირავებელი ფული აღარ დარჩათ და პაპუნამ ორი ამხანაგი დაიხმარა, მთელი ჭაჭაჭავაძის პროსპექტი ხელით ჩამოატარეს.

პაპუნამ ხელი შეახო გაქათქათებულ თეთრეულს და მაშინვე მიხვდა, მათში არასოდეს არავინ წოლილა. ყველაფერი მხოლოდ ილუზია იყო, ბუტაფორია. ამან გააღიზიანა. სწორედ რომ ჭრილობაში ხელის ფათურსა ჰგავდა ყოველივე. ერჩივნა ჩვეულებრივ ლუქსში ეცხოვრა, მაგრამ ადიკოსთან პრეტენზიების გამოცხადებას აზრი არ ჰქონდა და ხელი ჩაიქნია.

აბაზანაში შეიჭყიტა. საპირფარეშოც აქ იყო. ყველაფერი სუფთად კრიალვდა. ცივი და ცხელი წყალიც მოდიოდა. ჭერზე კი გასანთლული თოკის მარყუჟი ეკიდა. ვინიცობაა, ვინმე თუ თავის ჩამოხრჩობას გადაწყვეტდა, დიდად არ უნდა შეწუ-

ხებულები მარყუჟის ძეხნით. პაპუნას სახე მოეღრიცა. ხელი ჰკრა და თოკი აქანავდა, დაირწა. ორეული შეიმშუმნა, მოიბუზა, თითქოს კისერში ცივი ხელი ჩაუყვესო. „როგორც კი მოვიცლი, ჩამოვხსნი!“ — დაამშვიდა პაპუნამ და ამ დროს მოესმა ხმადაბალი, ბებრული ლილინი.

ვილაცა სამზარეულოში საქმიანობდა.

პაპუნა ფეხაკრეფით გაემართა იქითკენ. მადისაღმძვრელი სუნი ეცა. ახლავა გაახსენდა, მთელი დღე ხემსი არ ჩასვლოდა პირში. შიმშილის გრძობამ შიში გაუქარწყლა და სამზარეულოში შეაბიჯა.

ტანდაბალ, ფაშფაშა დედაბერს მკლავები დაეკაპინებინა და ღომს მონდომებით ზელდა. ოხშივრისაგან სახეზე ოფლის წინწკლები ასხდა. ჩოგანს ენერგიულად უსვამდა, თან მოგუდულად კრუტუნებდა.

პაპუნას თავზარი დაეცა, კინალამ უკანვე გავარდა.

დედაბერმა მოიხედა. კეთილი, დამჩაჩული პირისახე უკბილო ლიმილმა გაუნათა.

„მოხვედი, ნენა, შენი მოწონებული ელარჯი ამოვზილე!“

ნენაო? პაპუნა სარგადაყლაპულივით იდგა, ენა მუცელში ჩავარდნოდა. თავს მოერია, ნერვული თრთოლვა დაიოკა.

„როგორა ხარ, ბებია?“ — უფრო ეჭვების გასაფანტავად ჰკითხა.

„რა ვიცი, ნენა, შევეგუე აქაურობას! ჰაერსა და ხელფასს არა უშავს, ოღონდ ჩემი ეზო და ბოსტანი მენატრება ნამდვილად... ჩემ გარდა არავინ იცის სად რა თესია... ძუკუიას ღორი გადაჭამდა, ალბათ, კვახს!“

ამ უბრალო სიტყვებმა პაპუნას კინალამ ბოლო მოუღო. შიმშილი გადაავიწყდა, კაბინეტში დაბრუნდა, ჩაიკეტა, შეეცადა ყველაფერი აენონა...

(ძველი ჩანაწერიდან)

„...ასი წლის წინუცა ბებია რომ გარდაიცვალა, მივლინებაში ვიყავი. ახლა არ მახსოვს, რა განვიცადე, მენყინა თუ არაფერი მიგრძენია. ისე, რასაკვირველია, დარდითა და გუ-

ლისტიკვილით მოქარგული დეპეშა გამოვაგზავნე.

მერე ხშირად მახსენდებოდა. წარსულს რომ მივუბრუნდებოდი, ცოცხლად მომაგონდებოდა ნინუცას გამომცხვარი ხაჭაპურები, ნინუცას ამოზელილი ელარჯი, ნინუცას მოხარული ყველიანი კვერები და ვინ იცის კიდევ რა. ბავშვობის ის გემო სამუდამოდ შემრჩა.

ნინუცა ბებიას გარდაცვალების მეათე წლისთავზე კი მოულოდნელად მოსვენება დაეკარგე. თითქოს მართლაც დამიბრუნდა ჩემი ბავშვობა. მისი ხელის სათუთი სილბო ვიგრძენი, მისი ალერსიანი „ნენა“ ჩამესმა, ის სიტბო მეახლა, დაუშურვებლად რომ გვინილადებდა.

ბევრი არ მიჭოჭმანია, ავდექი და სოფელს მივაშურე. არავის ვსტუმრებოვარ, პირდაპირ სასაფლაოსკენ ავიღე გეზი.

ჭიშკართან კაცი ქვას თლიდა. აქამდე არასოდეს მენახა, მაგრამ მეცნაურა. გამხდარი კაცი იყო, უღვაშებს ფანქრის კვალი შერჩენოდა. გვიან მივხვდი, ნემსის გამყიდველს ვადარებდი ქვეშეცნეულად. თავი დავუქნიე. პასუხად სალამი მითხრა და ცნობისმოყვარე მზერა გამომაყოლა.

თითქოს საფლავი ადვილად უნდა მეპოვა. კარგა ხანს ვიბორიალე რკინისა და მარმარილოს სამფლობელოში, მაგრამ ჩემდა სამარცხვინოდ, გზა მთლად ამებნა და ისევ ჭიშკართან აღმოვჩნდი.

„ჭყონიები იმ კუთხეში მარხია! — იქედნური ღიმილი დამახვედრა ქვისმთლელმა. — ეჰ, მკვდრები ვის ახსოვს ახლა!“

არაფრად მეპიტნავა არამკითხეს შენიშვნა. უთქმელად შევბრუნდი. რამდენიმე ადგილას ამოვიკითხე ჩემი გვარი. ზოგი მდიდრული საფლავი იყო, ზოგიც — ღარიბული. ერთი საფლავი მინას არც აჩნდა. თავით რიყის ქვა ედო და დროს იგიც გადაეყირავებინა. ბორცვმა, ალბათ, მაშინ ჩაინია, როცა კუბო ჩატყდა. მერე კი არავის უზრუნია, მინა დაეყარა, აემალლებინა.

მივხვდი, ამ უპატრონო საფლავში ნინუცა ბებია იწვა და შემრცხვა, სახეზე შემახურა.

ვიგრძენი, ზურგს უკან ვილაცა იდგა. ქვისმთლელი იყო, კვლავ იქედნურად ილიმებოდა.

„ბარი მოგიტანოთ?“ — თითქოს ჩემი ფიქრი წაიკითხა.

მართლაც იმ წამში გავივლე გუნებაში, სარეველასაგან მაინც გავწმინდავ და ბორცვსაც გავასწორებ-მეთქი, მაგრამ უცხოს ჩარევა არ მესიამოვნა და პასუხი შევუგვიანე.

„ბარი აქ საქმეს ვერ უშველის!“ — წამომცდა ყოყმანით. ქვისმთლელი უმალ შეიცვალა, ფაციფუცი ატეხა.

„ლამის დარაჯს სთხოვეთ, ის მოასწორებს... სამი თუმანი ეყოფა!“

„მაგი რას უშველის...“

„თუ გნებავთ, მე ვითავებ... რკინით შემოვლობავ, თხუთმეტ თუმნად!“

„მარმარილოს ფილა უნდა დავადო!“ — უცბად მოვჭყერი.

„ოჰო, ძვირი დაგიჯდებათ!“

და დავინწყეთ ვაჭრობა მე და ქვისმთლელმა. კაპიკ-კაპიკ ვიჯანჯლეთ. იმას ჩემთვის ტყავის გაძრობა ეწადა, მე კი ბილეთის ფული მაინც უნდა შემრჩენოდა.

წლები გავიდა. ვერ მოვიცალე და ვერ შევამონმე, რას მოხმარდა ჩემი ფული. იქნებ ზის კვლავ ის ქვისმთლელი ჭიშკართან, ფანქრით უღვაშებს იღებავს და მორიგ სულელს ელოდება...“

კარი დაუკაკუნებლად შემოაღეს, დედაბერმა შემოიჭყიტა.

„მოდი, ნენა, ივანშმე!“

პაპუნამ ამოიხვნეშა. დაღლილობისა და შიმშილისაგან ყველაფერი ერთმანეთში აერია. ბავშვივით დამორჩილდა დედაბერს. მერე სამზარეულოში შინაურულად მოკალათებულმა, ერთი არჩივი ელარჯი რომ მოათავა, თვალთმაქცურად ჰკითხა:

„რამდენი წლისა იქნები, ნინუცა ბებია?“

„რა ვიცი, ნენა!“ — ხელი ჩაიქნია დედაბერმა.

„ბაბუა სადღაა?“

„ლოთობა და ქალებში სირბილი ვერ მოიშალა მაგ გადაღრძუებულმა, გავშორდით, ნენა!“

პაპუნას პირისახე განზე მოექცა. ბაბუა საერთოდ არ ახსოვდა, არც არასოდეს ენახა.

„ღვინო შინაც უყვარდა, ნენა. გეხსომება, მარანი გექონდა. ოჯალეში და ცოლიკაური არ ილეოდა ჩვენთან. მოქეიფე კაცი იყო, იხსენებენ, ალბათ, ძველი მეგობრები, ასწევს ჯამს და ხან ოჯალეშით ევსება, ხან ცოლიკაურით...“

„ცოტა ღვინოს შენც კი წრუპავდი, ნინუცა ბებია!“

„მე ვის ვახსოვარ, ნენა, ჩემი ჯამი ყოველთვის მშრალია.“

დედაბრის ხმაში წყენა იგრძნობოდა და პაპუნას შერცხვა. განაგონი ჰქონდა, ვისაც იხსენებენ, იმის ჯამი ივსებაო.

„ერთხელ გაივსო ჩემი ჯამიც, — თვალი გაუბრწყინდა დედაბერს, — აქ ჩამოსვლიდან მგონი ათი წელი იქნებოდა გასული. ვხედავ, ჯამი ივსება, პირთამდე აპიპინდა და გადმოვიდა თქრიალით... მერე ისევ დავავინწყდი ქვეყანას...“

დედაბერმა ამოიოხრა, თეფშები აალაგა, შემდეგ თითქოს სევდა გადაიგდო, უკბილო ღიმილმა სახე უფრო დაუნაოჭა, დაფაცურდა, წინსაფარი მოიძრო და ხვეწნანარევი კილოთო თქვა:

„დაისვენე, ნენა, დაღლილი ხარ, მე კი წავალ, კლუბი გვაქვს აქ მოხუცებულებს, ხანდახან თავს ვიყრით. ჩემს ბებერსაც ვნახავ, მეცოდება მაინც, მთლად ხელიდან არ მინდა წავიდეს!“

ამ ლაპარაკში საიდანლაც ძველი, ფერგახუნებული ხალჩი გამოათრია და აივნისაკენ გაცუნცულდა.

კარი რომ გაიღო, გარედან ბურუსიანმა ღამემ შემოიხედა და კვამლის სუნი შემოვიდა. ნინუცა ბებია ხალიჩაზე დაჯდა. ერთიც მოიხედა, „მაღე დავბრუნდები, ნენა!“ — დაიბარა და გაფრინდა.

აფორიაქებული პაპუნა სააბაზანოში შევიდა.

სანამ ბანაობდა, ყური დაცქვეტილი ჰქონდა, ცხელი აბაზანა მოუხდა, ბნელი მოჩვენებები თითქოს ჭუჭყს გაატანა. გაუნება გამოუკეთდა.

ფეხი ფლოსტებს წაატანა, დასაძინებლად წაფრატუნდა. ლოგინში ჩაწვა და თვალი დახუჭა.

მოუსვენრად ტრიალებდა. არ ახსოვდა, ძილმა სძლია თუ ფეხზელ ბურანში ჩაძირულიყო. დაუფიქრებლად წამოდგა, ოთახის კარი მაგრად ჩარაზა და მხოლოდ ამის შემდეგ მიეცა მშვიდ ძილს.

6. გენეალოგიური ხე

დილა არ ჰგავდა დილას, ჩვეულ დროს საკუთარ ლოგინში გამოელვიდა, მაგრამ ფანჯარაში ჯერაც ბინდი იყურებოდა. ადრე ყოფილაო, გაიფიქრა. გვერდი იცვალა. მერე პირისახეზე სუსტი სხივი დაეცა. იქ, სადაც რუხი ცა და უფსკრულივით ბნელი ზღვა ერთდებოდნენ, აჭიატდა სუსტი წითელი მნათობი. პაპუნამ საათზე დაიხედა. მზე უკვე უნდა ამოსულიყო. ცოტა ხანს კიდევ დაელოდა. მნათობი ფორთოხლისცოლა გახდა და მაშინლა მიხვდა, სწორედ ეს იყო მზე.

ძილი ჩამოიბერტყა, მაგრამ ადგომა დაეზარა. მეხსიერებაში აღიდგინა გუშინდელი დღის უცნაური ფათერაკები. შფოთმა შეიპყრო. ყოველი წვრილმანი გაიხსენა, ყველაზე მკვეთრად კი დირექტორი ადიკოს მაგიდაზე გადაშლილი ჭყონიების გენეალოგიური ხე. ჭყონიების გვარში პირველი კორი ჭყონია ყოფილა თურმე. მისგან დაიტოტა ხის ის ძლიერი ვარჯი, რომლის ერთი ციცქნა ყლორტი იყო თვითონაც... მოულოდნელად შემოქმედებითი ლტოლვა იგრძნო. ბოლო დროს იშვიათად თუ დაეუფლებოდა წერის ჟინი, რადგან საკუთარ ნიჭიერებაში ეჭვი ეპარებოდა უკვე. ახლა კი უმაღვე დაემორჩილა შინაგან მოწოდებას, ასევე ჩაუცმელად გადაინაცვლა ლოგინიდან სავარძელში, ქაღალდის დასტა მოიჩოჩა და სიტყვების მძივი ჩამოაწიკნიკა...

(კორი ჭყონია)

„...მესამე დღეს თუთაშხა იყო, ღრეობა კი ისევ გრძელდებოდა. არავის გახსენებია ყანა და ვენახი, საქონელი და ეზო-კარი. მწვანე ჭალა გადაითელა, გავერანდა. აქა-იქ ეყარნენ არაქათგამოცლილი მოსმურნი. ძაღლების ხროვა ჩხუბითა და ღრენა-წკიმუტუნით მისეოდა ნამუსრევს. შეზარხოშებული ყმანვილები გოგოებს დასდევდნენ. იყო ერთი კოცნაობა, ჩქმეტა, ბლლარძუნი, ადრე დაქალბუღლთა სირცხვილნარევი შეკივლება. ბავშვები ლეკვებივით ფეხებში ებლანდებოდნენ უფრ-

ოსებს და ქონიან ძვლებს ზუზნიდნენ. შეიჭამა ხორცი და პური, დაილია ღვინო და არაყი, გაცივდა თონე, ამჟავდა ცომი, საძროხე ქვაბი დაიფარა ცხიმის თეთრი აპკით, მინავლდა კოცონი...

თუთაშხა ღამეს ამობრძანდა დიდი ბატონი თუთა. სავსე, ქათქათა პირი მოაბრუნა, ვერცხლის ნათელი მოჰფინა ქალას. დიდ-პატარა დაემხო პირმინაზე, ერთხმად აღრიალდნენ გიჟური აჩემებულობით:

„თუთა ბატონო, კვლავ მოგვივლინე ღვინო და პური და ხორცი!..“

„თუთა ბატონო, თუთა ბატონო!..“

ღრუბლის ობოლი ქულა შემოეგება თუთას, კუნუბი მოაფარა. იკლო ნათებად.

ჩაშრეტილი ნაკვერჩხლები მენამულად ღვიოდა და ნითელი შუქი დაეცა ქალასთავს აღმართულ ბომონს.

ღვთაების ფერხთით წყარო მოჩუხჩუხებდა. დღისით სუფთა იყო და ანკარა. ახლა კი მასში მენამული ანარეკლი ჩაღვრილიყო და მსუბუქ ტალღებში ოქროს თევზები სხმარტალეზდნენ.

ათი წლის კოჩი ჭყონია ტოლებს განერიდა. სამი დღის აურზაურით გაბრუებულს, უძილობისაგან თვალეზდასიებულს, ქალისთავისაკენ იხმოზდა იდუმალი ძალა.

მენამულ ანარეკლს საზარლად აეცრიატებინა თეთრი ბომონი.

შეკრთა კოჩი ჭყონია, მუხლები მოეკვეთა.

„ღმერთო, შემინდე!“ — ფიქრში შესთხოვა, ხმის ამოდება ვერ გაბედა.

გარიჟრაჟამდე ასე იყო დაჩოქილი. გრძნობდა დანაშაულს. სხვათა ცოდვებიც სუსტ მხრებზე ეტვირთა და ახლა ყველას მაგიერ ითხოვდა პატიებას.

მთვარე ჩაესვენა, უკუნში ჩაინთქა მთელი ქალა. ცაზე ვარსკვლავეთი, მინაზე ფერფლადქცეული ნაკვერჩხლები ვერ დევნიდა სიბნელეს. მინელდა მემთვრალეთა როხროხი, დიაცთა კისკისი, ბაღლები ჟრიაამული. ნიავს დაჰქონდა გულისამრევი ნაზავი დაღვრილი ღვინისა, ნასუფრალისა, ცოდვისა... კოჩი ჭყონია თეთრ ბომონს ევედრებოდა პატიებას...

ჭიხვინი შემოესმა. ბნელს შავი რაში გამოეყო. შავი მხედარი ჩამოხტა. წყლის პირას განვა. მზაკვრულად მოიხედა. გაკვესა თვალის გუგისა და კბილების სითეთრემ. ვერ შეამჩნია მოკუნტული ბიჭი და წყალს დაენაფა.

ცის კიდე იძრა.

დილის მქრქალმა სინათლემ გაჰკვეთა ბნელი და გაოცდა კოჩი ჭყონია. ანკარა წყალს კვლავაც მენამული ფერი შერჩენოდა.

„ღვინოდ ქცეულა!“ — წამოიძახა მავანმა ყმანვილმა და წყაროსთან დაემხო.

„ღვინოდ ქცეულა!“ — ყიჟინა დასცა ხალხმა და მიესია, რათა ბოლომდე შეესვათ ეშმაკის გადმონალოცი... ყანნებითა და ჭინჭილებით, კათხებითა და ხელადებით, ორშიმოებითა და დოქებით ისხამდნენ პირში და ველარ ძღებოდნენ.

პირველად ის ყმანვილი ნაიქცა, ღვინოდ ქცეულაო, სხვაზე ადრე რომ დაიძახა. სახე შავი ლაქებით დაეტეტკა. ეგდო ბალახში, იკრუნჩხებოდა. პირიდან დუჟი სდიოდა... მერე მთვრალი ბერიკაცი ნაიქცა და ველარ წამოდგა... ბუჩქს მიღმა ჩახუტებული გოგო და ბიჭი მოულოდნელად გაშავდნენ და მიწას დაუნყეს ფხოჭნა... „ვაი, დედა!“ — იკივლა ბავშვმა, მშობლებს ფერხთით ჩაუგორდა.

ელდა ეცათ მოსმურთ, ნივილ-კივილით წამოიშალნენ.

„ჟამია, ჟამი!“ — დაირხა შემზარავი ხმა.

თითქოს ქარმა ახვეტაო, კისრისტეხით გაეცალნენ ქალას, ყოველმა მიაშურა თავის შუკასა და ეზოს, თან წარიტაცა წყეული სენის დალი...

კოჩი ჭყონია დამხობილიყო ბომონის წინაშე. საყოველთაო ცოდვის სიმძიმე ეტვირთა ჯერაც უცოდველისა და უმნიფრის სულს და პატიებას ითხოვდა...

ბარჩხალა მზე ამოვიდა და ჩავიდა...

ისევე ამოვიდა...“

პაპუნამ თავი ასწია. კალმისტარი ხელში შეეყინა. ამ ბოლო ფრაზაზე წაიბორძიკა. „ბარჩხალა მზე ამოვიდა და ჩავიდა“ — რამდენჯერმე გაიმეორა, მაგრამ უკვე იცოდა, რომ წუთიერ ექსტაზს გამოეთიშა. ნაწერი გადაიკითხა. უკმაყოფი-

ლო დარჩა, თუმცა ვერ მიხვდა რატომ. კარგა ხანი იყო, რაც ახალი არაფერი შეექმნა, იქნებ ამ სუსტი ნაპერწკლიდან ამოიზარდოს ის ერთადერთი „რაღაცა“, რის დაუნერლად მართლაც არ ღირს სიცოცხლე.

ჩუმი ღიღინი და ონკანიდან წყლის ჩხრიალი მოესმა. ნუხელ არ გაუგია, რა დროს დაბრუნდა დედაბერი კლუბიდან.

პაპუნამ კალმისტარი ქალაღზე დააგდო, ჩაცმას შეუდგა, თან დედაბრის ხმადაბალ პუტუნს უგდებდა ყურს. „ნინუცა ბებია უკვე დაემარხეთ!“ — ყოყმანით გაიფიქრა. ვერ გაბედა ნაფიქრალს ჩაღრმავებოდა. ბოლოს და ბოლოს დედაბრის დაკრძალვა არც უნახავს, ის ჩანგრეული საფლავი კი იქნებ მთლად სხვისი იყო.

მიანც ორჭოფობდა. საუზმეზე რომ გამოცხადდა, დედაბერს უცხოსავით მიესალმა, თანაც მზერა კუთხეში მიკეცილი ხალიჩისაკენ გააპარა.

ნინუცა ბებია მჩაღიმღიღა.

„რამე ხომ არ განუხებს, ნენა?“

პაპუნა აირია, არაფერიო, ძღვის ამოღერღა, მერე უფრო გათამამღა, კარგად ვარო, დასძინა და თვითონაც ჯანმრთელობა გამოჰკითხა. „ოჰ, ოჰ, არა მიშავს, გეთაყვა, არა მიშავს! — მხიარულად აჩიფჩიფღა ნინუცა ბებია. — ყვეღიანი კვერი მოგღხარშე, ვიცღი, გიყვარს!“

პაპუნამ მხრეღი შეარღხია. ყვეღიანი კვერი მართლაც უყვარღა. ორი ცაღი გადასანსღა, მერე ჩაღც დაღსღა. ნელნელა ხვრეპღა ცხელ, მაგარ ჩაღს, თან დედაბრის ფუსფუსს აკვერღებოღა...

ერთხელ ნინუცა ბებია მ სოფღიღან ჩამოაკითხა და შინ წაღყვანა. ეს იყო ბიჭის პირვეღი შორეული მოგზაურობა და იმიტომ დაამახსოვრღა. აქამღე ხომ ერთი პატარა ქუჩღისა და წყაღჩაშრეტიღი ჩხოუშის ერფეროვანი სანახეღის მეტი არაფერი ენახა. ბებია და შვიღიშვიღი დღიღაუთენღა დაადგნენ გზას. თხუთმეტი კღლომეტრზე მეტი არ ექნებოღათ გასავღეღი, მაგრამ დღღხანს მღდიოღნენ. ბებღას არსად ეჩქარებოღა. მთეღი გზა ყვებოღა ნაღრ-ნაღრ ზღაპრებს და ბიჭს წარმოსახვა გაუცხოვეღდა, ნუთით ნუთზე ეღლოღა რაღმე უცნაურ ფათ-

ერაკს: ჩაღს ხასხასა პღანტაცღაზე უცბად წამოღგრავნება სამღ გვეღეშაპღ — შავღ, ნითეღი და თეთრღ; ან ევკაღიპტის გაძარცულ რღგებს გადმოღაღჯებს ცხრათავღიანი დევეღ, რომელსაც შეუძღღა ბიჭღ მჯღღში მოღმწყდღოს; ან ქარსაცავღ ზოღის სწორ ხეღვანში რაშზე ამხედრებულღ უფღისწულღ ჩამოღქროღებს, მუხღებზე მზეთუნახავღ რომ უზღს, და მათღ მშვენიერეღისაგან თვაღის ჩღნი ნაერთმევეა მნახვეღს; ანღა თხმელნარზე აძონძღიღ ბარდებღდან ყაჩაღი გამოვარღება, „ფულღ ან სულღო!“ — შესძახებს და ნინუცა ბებღა იძულებულღ გახდება წინღაში შენახულღ ცხვირსახოცი გახსნას... ვაღთუ წითურწვერება მგღის მხედარმა გამოღაროს, ბიჭღ თან გაღტაცოს რკინღს სასახღეღში, საღაც „თონეში შეღღო“, — უბრძანებს...

პაპუნამ ფღქრღ განყვიტა, ჭღქა გასწღა.

„ნინუცა ბებღა, გახსოვს, ყაჩაღებღთ რომ მაშინებღი?“

დედაბერს წამღთ სახეზე გაკვერვება აესახა, უმაღვე ჩაუქრა.

„ეჰ, რამღენღ ერთღ გავღხსენო, ნენა!“

პაპუნა წამოღღა. სანამ გავღღოღა, ცნობღსწადღღმა უბღღღა და იკღთხა:

„ნინუცა ბებღა, ვინ მოგცა ეს ხაღღჩა?“

„სღბერეში მუხღებმა მიმტყუნა, ნენა, აღღკომ მომცა ბაზარში წასასვღეღად!“ — უბრაღღთ თქვა დედაბერმა, მღს ხმაში ოღნავღ დაეჭვებაც არ იგრძნობოღა.

პაპუნამ მხრეღი აჩღეჩა. არ იცოღა, რა ეფღქრა და ნინუცა ბებღა და მღსღ ხაღღჩა თავღღან ამოღღღო.

სანერ მაღღდას მიუბრუნღა. კოჩღი ჭყონღას ამბავღ ჩაღკითხა და განზე გაღადღო. ერთხანს იქექებოღა ქაღაღღებში. არ იცოღა რომეღღ ერთღსათვის მოეკღდა ხეღღ. ჩემოღანში საქაღაღღღე ეღო და ის ამოღღო. მწერღურღ უწაყოფობის პერიოღში მოგონებებს წერღა ხოღმე. აბა, რღსთვის უწდა დასჭღრვებოღა ეს ნეღღღი მასაღა, მაგრამ თაბახს თაბახზე ავსებღა და ინახავღა ამ საქაღაღღღეში, წინათ პღრადღ წერიღებღისა და საბუთებღსათვის რომ იყენებღა და ახღაც გარეღან ეწერა: „სხვადასხვა წვერღღმანი“. ბოღოს და ბოღოს ეს მოგონებეღც ერთურთთან დაუკავშირებღღღი ნაღრ-ნაღრღი წვერღღმანი იყო და წარწერაც ზეღმღინეწღთ უხღღებოღა.

დაბადების დღე გაახსენდა. აქამდე ეგონა, ცხოვრება ვერ ავანყვე და მარყუჟში იმიტომ ვყოფ თავსო. ახლა კი დაასკვნა, შინაგანმა კრიზისმა მაიძულაო, ნევრასტენია სხვადასხვა წვრილმანს დავაბრალებ, ჭეშმარიტი მიზეზი კი ერთია — ბოლო წლების უნაყოფობაო. უცნაურმა ფათერაკებმა თითქოს გამოაცოცხლეს მის ტვინში მიძინებული სახეები. ისეთი განცდა დაეუფლა, ფეხმძიმე ქალს რომ უჩნდება. დიახაც, ის ახალი წიგნითაა ფეხმძიმედ. მან ჯერ არაფერი იცის ამ წიგნზე, ერთი წინადადებაც არ მოსვლია თავში, მაგრამ მთელი არსებით შემზადებულია რაღაც უჩვეულოსა და მნიშვნელოვანისათვის. აჩქარება მაინც არას არგებს. სათუთად უნდა მოუაროს ციციქნა ჩანასახს, სულში რომ იკვირტება...

კვლავ დილის ნამუშევარს მიუბრუნდა. დღეს მეტის დანერას არ აპირებდა, მაგრამ უნებლიეთ კალამს დაავლო ხელი...

„...მესამე დილას დატოვა სალოცავი ბომონი, გვერდი აუარა ცოდვილ სოფელს და გზას დაადგა.

დღე ღამეს ცვლიდა, ღამე დღეს...

ბარჩხალა მზე ამოდიოდა და ჩადიოდა...

კოჩი ჭყონია კი მიდიოდა და მიდიოდა...

ერთგან ძალლი აეკიდა. მურა დაარქვა და თან წამოიყვანა, მტერ-მოყვარეს ყეფას გააგონებსო...

ერთგან კატა აედევნა. ფისო დაარქვა და ესეც თან წამოიყვანა, თავგებს მაინც დამიფრთხობსო...

ერთგან მამალი დაიჭირა, სადაც მამალი ყივის, სოფელიც იქ შენდებო...

ასე გალია ტყე და ღრე, მთა და ველი, გული ვერა ადგილს ვერ დაუდო, რადგან ჟამიანობის კვალს აქაც მოელენია.

უკაცურ სოფელში ობოლ თინანოს გადაეყარა. ფეხშიშველა გოგონას ათჯერ დაკერებული ჩითის კაბა ეცვა, მხრების სიშიშველეს კი წელამდე გადმოფენილი თმები უფარავდა.

„წამოდი!“ — მოკლედ უთხრა კოჩი ჭყონიამ და გზა ერთად განაგრძეს კოჩი ჭყონიამ, თინანომ, ძალღმა, კატამ და მამალმა.

ბოლოს ავიდნენ ლაკადის მაღალ ფერდზე. მთის წვეროზე ხასხასა ველი იპოვეს. უღრანი ტყეები შემორაჯგვოდა ირგვლივ. წყარო დიოდა ანკარა და შეურყვნელი.

გადმოიხედა კოჩი ჭყონიამ ველის კიდიდან. ხელის გულზე ჩანდა მთელი ქვეყნიერება. ცის დასალიერთან კი ლურჯი ზღვა ლივლივებდა.

„აი, აქ დავდგეთ!“ — ბრძანა კოჩი ჭყონიამ და წალდი მოიქნია.

წალდი მოიქნია კოჩი ჭყონიამ, ჟვერი გაკაფა. ტყის პირზე ოთხი ბოძი ჩაასო, კედლები ამოლობა, თიხით შელესა, სელი დაჭრა და იმით გადახურა.

ძალღს ჯიხური მიუშენა.

კატას კუთხეში მიუჩინა ადგილი.

მამალს ქანდარა მიუჭედა, ღამით ზედ იყურყუტოს და მზის ამოსვლა გვამცნოსო.

თინანოს თივის საწოლი მოუწყო, თვითონ კი კლდის ძირას ჟვერი დაიფინა და ღამე იქ ათია.

ტყე სავსე იყო ხილით და კენკრით, წყალი — კალმახით, ჰაერი — ფრინველით, მთები — ნადირით.

ასე დაიწყო ახალი ცხოვრება...

ერთი თვის თავზე წავიდა კოჩი ჭყონია და ბარიდან ამოიყოლა თხა...

ისევ წავიდა და ამოდენა ძროხა და ხარი...

ისევ წავიდა და სადღაც წყვილი კამეჩი იპოვა...

ისევ წავიდა და ტომრით გოჭები ამოიყვანა...

ისევ წავიდა და კალათით ამოათრია კვერცხები და დაკრუხებული დედალი...

ისევ წავიდა და მოიტანა სათესლე სიმინდი და ლობიო...

აივსო და აივსო ოჯახი, აივსო და აივსო...

„დედაკაცო, ბერნი ხომ არა ხარ, ძროხამ ხბო მოიგო, კამეჩმა — ზაქი, ღორმა გოჭი დაშშყარა, ძუკნამ — ლეკვები, წინილებით ეზო გაივსო, ცინდლები ფეხებში გვებლანდებიან...“ — ხმას იბოხებოდა ოჯახის უფროსი.

თინანო ვერაფერს პასუხობდა, სახელანძული ემალებოდა.

ერთ ღამეს კი კლდის ძირას მწოლიარეს მიუჩოჩდა, ჩაეხუტა...

„რა გინდა, დედაკაცო?“ — გაუკვირდა კოჩი ჭყონიას,

განზე გაინია.

„შენი თვალთ ვერ ნახე, მამალმა რა უქნა დედალს?“ — ჩურჩულთ ჰკითხა თინანომ.

და ათი წლის თინანომ კოჩი ქყონიას ასწავლა ღვთით დადგენილი კანონი...“

პაპუნას გაეღიმა. საათზე დაიხედა. შუადღე ახლოვდებოდა. იფიქრა, ცოტას კიდევ ვიმუშავებო, მაგრამ უმაღლე მიხვდა, რომ გამოითიშა. უნდა შეესვენა.

აივანზე გავიდა. ბილიკებზე დამსვენებლები უღიმღამო ჩრდილებივით დაძრწოდნენ. პარკს მიღმა რუხი ზღვის სივრცე დაუსრულებლად თუხთუხებდა, მძიმე აირი ნაცრისფერ ბოლქვებად ასდიოდა ზედაპირს და დაბლა ჩამონოლილ ღრუბლებს უერთდებოდა, რომელთა ქრილიდან აქა-იქ თითქოს წვრილი ვარსკვლავები ცვიოდა. ყოველივე ამას დაჰკრავდა მენამული ფერი, ფორთოხლისტოლა მზე რომ ღრუბლის ნახლეჩიდან აფენდა.

პირდაპირ აივანსქვეშ, პატარა მოედანზე ქალები ისხდნენ და ქსოვდნენ. ერთმა ამოიხედა და ამოსძახა:

„ანიკო, ქალო, ხედავ შენი ვერონიკა რასა შვრება?“

პაპუნას თითქოს გულზე ჭვალმა უჩხვლიტა. მოაჯირზე გადაიხარა. ქვედა აივანზე ზონზროხა დედაბერი გადმოდგა.

მოედანზე პატარა გოგონა სახტუნათი ერთობოდა. აქედან ერთი ციცქნა ჩანდა და პაპუნას გაახსენდა წუხანდელი შიში, შურდულივით გაელვებული ხატი.

უცბად მიხვდა, მთელი ეს დრო სწყუროდა თვალი შეეცლო პანია ეშმაკუნასათვის. მეხსიერებაში ვერ აღიდგინა გოგონა, მაგრამ უნებლიე გულის წინკნა და მოუსვენრობა შემოუბრუნდა. შერცხვა ამ გრძნობისა, ვერანაირად ვერ შეეფასებინა იგი. შეეცადა უსიამოვნო ფიქრები განეფანტა. თავი აიძულა მოაჯირს მოშორებოდა, სანერ მაგიდას მიჰბრუნებოდა...

„...ცხრა ვაჟი და ერთი გოგო გააჩინა თინანომ. უფროსის გამონაცვალს უმცროსს აცმევდა და ისე ზრდიდა. წლებით

კი არა, თვეობით იზრდებოდნენ, თვეობით კი არა — დღეებით, დღეებით კი არა — საათობით...“

ხუთი წლისანი უკვე სათოხარზე გადიოდნენ. მეცხრე, უმცროსი ხუთისა რომ გახდა, სანადიროდ წავიდნენ ცხრანივე, წარაფებზე ჯიხვი მოინადირეს.

არ უშინდებოდნენ შრომას, სიცივეს, შიმშილს, ნადირს, ავ თვალს...

სათუთად ზრდიდნენ ერთადერთ დას, ცივ ნიავს არ აკარებდნენ.

იზრდებოდა მზეთუნახავი, პირად მთვარე, უნაკლო, ისეთი, უცხო თვალს რომ აროდეს უნახავს და მთელი დუნია ეთაყვანება მაინც...

დარაჯობდნენ ძმები ქალწულს, მათი შიშით ძირს ჭიანჭველა ვერ გაივლიდა, ცაში ფრინველი ვერ გადაიფრენდა...

მაგრამ დრო იხელთა მზეჭაბუკმა, მოაგელვა თეთრი ტაიჭი, გაიტაცა პირმშვენიერი...

ცხენები შეკაზმეს გაავებულმა ძმებმა. დგრიალით ჩამოეშვენენ ბარში, მიუხტნენ მოძალადეს...

ცხრა ტყვიის მაგიერ ჯიხვის ცხრა ყანწი შეაგება მზეჭაბუკმა, სიყვარულმა გამაბედვინაო, პატიება ითხოვა.

ხმლები ქარქაშში ჩააგეს ძმებმა, მოუღბინეს. გული იჯერეს ცეკვა-თამაშით, იმ ღამეს სოფლიდან ცხრა ასული მოიტაცეს და ისევ ლაკადას შებრუნდნენ.

ვერ დაეტია დიდი ოჯახი ერთ სახლში, ტყე გაკაფეს და ცხრა ჯარგვალი დადგეს.

დირეზე დაჯდა კოჩი ქყონია, ყალიონი გააბოლა, შვილიშვილები შემოისხა. მოჰყვა ამ ქვეყნისა და იმ ქვეყნის ამბებს... დრო-ჟამისაგან ჩამომქცნარი თინანოც იქვე იჯდა, ჯორკოზე, წინდებს ქსოვდა, ხან ლექსს პუტუნებდა, ხან ზღაპარს...

წამოიზარდნენ შვილიშვილებიც. გოგოები ბარში დათხოვდნენ, ბიჭებმა ბარელი ქალწულები ამოიყვანეს და ახალი ჯარგვლები ჩამომწკრივდა ლაკადის თავზე.

თითქოს თვალსა და ხელს შუა გაიპარა თინანო, იმ ზღაპარსა და ამ ზღაპარს შორის დაილია. აქვე ეზოში პატარა ბორ-

ცვი წამოიმართა. ზედ ვაზის ჯვარი ჩაასვეს შვილიშვილებმა. გაზაფხულზე ვაზმა ყლორტი გამოიღო, მერე ლერწები დაეზარდა, ორ წელიწადში შემოეგრავნა ჯარგვალს...

კვლავ იმ დირეზე იჯდა კოჩი ქყონია. თვალის ჩინი დააკლდა ბერიკაცს. ჭალარა თმა-წვერი ამშვენებდა. შთამომავალთა სათვალავი არეოდა და ახლა შვილთაშვილებს უყვებოდა ძველ თავგადასავლებს.

სოფელმა კი გაინია, მხრები გაშალა, აღმა მთას აჰყვა, დაღმა ფერდობზე ჩამოიბინა, ხევხუეს გადაახტა, საცა სახნავ-სათესი მოიძია, ფუძე იქ ჩაყარა.

მეათე თაობას არც ახსოვდა, ძირი საიდან ჰქონდა. დანყდა ბიძაშვილ-მამიდაშვილობის ძაფები და უცხოებებით ერთურთზე ქორწინდებოდნენ...

კოჩი ქყონია კი იქვე იჯდა.

ჭალარა თმა-წვერი მინამდე დაჰფენოდა.

„უყურეთ, ფესვი გაუდგამს!“ — წამოიძახა მეათე თაობის ბაღმა და ამ ძახილზე მთელი სოფელი შეიყარა.

ბერიკაცს შემოეხვივნენ.

ჭალარა თმა-წვერს ფესვი მოელო და მინაში მაგრად ჩამჯდარიყო. „მოვრწყათ, ხალხო, არ დაჭკნეს!“ — ხმა გაისმა.

წყალი დაუსხეს ფესვებს, დაარწყულეს...

კოჩი ქყონია მუხად იქცა... წამოიმართა ლაკადის მალალ მთაზე, სოფლის შუაგულში, ტოტები მძლავრად გაშალა და შუბლი მარადისობას მიუშვირა...

პაპუნამ სამი წერტილი დასვა, კალამი დადო.

7. მოხუცთა ყოფი

ნასადილევს ვესტიბიულში გაისეირნა. აქ აუარება ხალხი ირეოდა. ტალღა-ტალღა გადიოდნენ ფართო, ჩამინული კარებიდან დაბინდულ პარკში და ასფოდელოსის უხეირო ყვავილებით მორთულ ბილიკებზე იფანტებოდნენ. საპირ-

ისპირო ტალღა პარკიდან უკან ბრუნდებოდა. ეს ორი ნაკადი განუწყვეტლივ ეჯაჯგურებოდა ერთმანეთს, ზოგიერთებს ეზოში გასვლა ეზარებოდა და კედლების გასწვრივ ჩამომწკრივებულ სავარძლებში ყვინთავდნენ. ყველას ერთნაირად ცვილისფერი გადაჰკრავდა, რაც, ალბათ, სუსტი განათების ბრალი იყო.

პაპუნა აუჩქარებლად დააბიჯებდა აქეთ-იქით. შემხვედრთ აკვირდებოდა, ერთი-ორჯერ ნაცნობებს მიახმავდა, მაგრამ ვცდებო და გაშორდა.

ერთგან კარზე „მედპუნქტი“ ეწერა. შეიხედა და პატარა აფთიაქი აღმოაჩინა. ანაღვინი იყიდა, ხანდახან თავის ტკივილს უჩიოდა.

მეორეგან „ფოსტას“ წაანყდა. შეიარა, მაგრამ წერილს არავინ იწერებოდა.

ბოლოს „ბიბლიოთეკასაც“ მიაგნო. გაუხარდა. ჩვეულებად ჰქონდა ყოველდღიურად გაზეთების ჩათვლიერება.

კარი შეაღო მოზრდილ ოთახში, მწვანე მაუდგადაფარებულ მაგიდაზე ჟურნალ-გაზეთები ეყარა. სიღრმეში, მომცრო მაგიდას ბიბლიოთეკარი ქალი უჯდა, მოდების ჟურნალს ათვალთვლიერებდა.

ქალის წინ, შავ დაფაზე ეწერა: *ბიბლიოთეკარი პარაკევა*.

გაზეთები დღევანდელი იყო, ჯერაც საღებავშემუშრალი. ახალი ამბები ჩაიკითხა. სენსაციური არაფერი მომხდარა. მსოფლიო თავისი გზით მიდიოდა. სადღაც დაძაბულობა იზრდებოდა, სადღაც მშვიდობამ და გონიერებამ ნაბიჯი გადადგა... პაპუნა მთლად ასე გულგრილად როდი კითხულობდა ამ ამბებს. მთელი არსებით თავს მსოფლიოს მოქალაქედ გრძნობდა და ხანდახან ათასი კილომეტრის მიღმა დატრიალებულ ტრაგედიას ისე განიცდიდა, თითქოს დედამინის ყოველ მცხოვრებს პირადად იცნობდა. ამიტომაც სხვადასხვა რანგის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეებს, პოლიტიკურ მოძრაობებსა და მმართველებებს ან თანაუგრძნობდა, ან ჩუმად მტრობდა. პოლიტიკით ეს გატაცება ბავშვობიდან გამოჰყვა, თუმცა მოვლენების მისეული გააზრება საგრძნობლად შეიცვალა...

თავი ასწია, ბიბლიოთეკარის მზერას შეეფეთა. ორეული

ანრილდა პაპუნას სულში, მოსვენება დაკარგა. მაინც გარეგნული სიმშვიდე შეინარჩუნა კაცმა. ქალის ირიბი და ლურჯი თვალები გულგრილად შემოსცქეროდა.

კვლავ გაზეთს მიუბრუნდა, მაგრამ ასოები აცაბაცა იკითხებოდა და ვერაფერი გაიგო.

ორეული სწრაფად გაშორდა პაპუნას. ქალთან მიიჭრა, ხან მუხლისთავებზე შემოეტმასნა, ხან უბეში ჩაუძვრა, ხან ზურგში ჩაუსრიალდა. ვნებისაგან აცახცახებულს თავგზა აბნეოდა.

ქალი წამოდგა. ბიბლიოთეკარი პარასკევა ადიკოს ცოლი აღმოჩნდა. მის მოძრაობაში სისხარტე და ძალა იგრძნობოდა. არაფრად ჩაუგდია პაპუნას გაფაციცებულ ყურადღება. გასაღებების ჩხარუნით გაემართა მეზობელი ოთახისაკენ, სადაც წიგნებით დატვირთული თაროები მოჩანდა.

ორეული შაქარყინულივით დადნა, დაიღვარა და ახლა იატაკს სველ ლაქად აჩნდა.

„უკაცრავად, ქალბატონო!“ — უნებლიეთ წასცდა პაპუნას. ქალი შეეყოვნდა.

„მოხუცთა კლუბი მიმასწავლეთ!“

ქალს პირზე ცივი ღიმილი გაუკრთა.

„მარჯვნივ, დერეფნის ბოლოს!“

პაპუნა ცოტა ხანს კიდევ იჯდა, სანამ დაგლახავებული ორეული დაუბრუნდებოდა.

ვესტიბიულში, მერე დერეფანშიც ამ ქალის სახება მოჰყვებოდა. გონს მაშინლა მოეგო, როცა ჩაბნელებულ დერეფანში ყავარჯნის კაკუნი გაისმა. დაჭრილი ჯარისკაცი მძიმედ მოდიოდა. უცბად ყავარჯენი პარკეტზე გაუსრიალდა, დაუვარდა, ალება გაუჭირდა. პაპუნა მიიჭრა, ყავარჯენი მიანოდა. ჯარისკაცი მისი ტოლი თუ იქნებოდა, გიმნასტურის ქვეშ სისხლით დალაქავებული თეთრი სახვევი მოუჩანდა.

პაპუნამ მზერა შეაგება, თანაგრძნობის სიტყვები ვერ ამოლერდა.

„აგაშენა ღმერთმა!“ — ჩამქრალმა თვალებმა სახეზე გულგრილად გადაურბინა პაპუნას. ჯარისკაცმა ყავარჯენი უკეთ მოიმარჯვა და პარკეტზე ააკაკუნა.

ამ შეხვედრამ სისხლი დაუწყნარა, ადიკოს ცოლი მიაგინყა. განსჯის უნარი დაუბრუნდა და მეხსიერებაში თათული ამოუტივტივდა.

შერცხვა... ფიქრსა და ანალიზს გაექცა. დერეფნის ბოლოს გასულიყო და ფიქრისათვის მაინც არა რჩებოდა დრო.

კარზე ფირფიტა იყო გაკრული. ზედ ეწერა:

**მოხუცთა კლუბი
ბებიები და დიდი ბებიები
პაპები და პეპერები
უცხო პირთა შესვლა აკრძალულია!**

პაპუნამ რიდი სძლია და კარი შეაღო. ფარჩა-აბრეშუმით მოფენილ ოთახში არავინ იყო. მოპირდაპირე კედელზე დიდი სურათი ეკიდა. ზედ ჭარმაგი ბერიკაცი ეხატა. ბერიკაცს წვერი ჭიპამდე სცემდა. ფუნჩულა წარბები და არწივის მზერა ჰქონდა. ქვევით ეწერა: „**უსახელგანთქმულესი პეპერა**“. მიხვდა, სურათი ადიკოს ერთ-ერთ ფერისცვალებას ასახავდა.

მომდევნო დარბაზში უზარმაზარი, ხისგან გამოჩორკნილი მაგიდა იდგა. ირგვლივ უხეში, მძიმე სკამები ჩამოემწყრივებინათ. მაგიდაზე ცარიელი ჭურჭელი და ღვინის ჯამები ელაგა. თავდაპირველად იფიქრა, აქაც არავინ არისო, მაგრამ მაგიდას რომ მიუახლოვდა, ბოხმა ხმამ შეაჩერა:

„ჰეი, ყმანვილო!“

მის წინ წარმოსადეგი ბერიკაცი წამოიმართა. ტანზე ახალუხი ეცვა, ფეხებზე ყავლგავლილი წაღები. ჭადარა ქორორი უკან გადაევარცხნა, ლომის ფაფარს მიუგავდა. თეთრი, ქათქათა წვერ-ულვაში და დანაოჭებული სახე მის ასაკზე მეტყველებდა.

„აქ შემოსვლა აკრძალულია, ყმანვილო!“ — დინჯად ჩაახველა ბერიკაცმა.

პაპუნას თითქოს ეცნაურა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა.

„უკაცრავად, ბატონო, მე ახალი დამსვენებელი ვარ!“

„უნდა გაეფრთხილებინეთ“, — შემრიგებლურად თქვა ბერიკაცმა და წვერზე დინჯად ჩამოისვა ხელი.

„წინუცა ბებიას ვეძებ!“ — დედაბერი გაახსენდა პაპუნას.

„არ გადამრიო, მაშ შენა ხარ ჩემი შვილიშვილი? — გაიბადრა ბერიკაცი. — რამოდენა გაზრდილხარ, ბაბუ, მოდი, გადაგეხვიო!“

პაპუნა დაიბნა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ორეულმა იქედნურად ჩაიხიბოთხითა, მაგრამ პაპუნამ ჩააჩუმა. ამასობაში ბერიკაცმა მკლავები გაშალა და ისე ღონივრად ჩაბლუჯა, კინალამ ნეკნები ჩაუმსხვრია.

„ზედგამოჭრილი მამაილა ყოფილხარ, ცხონებული, როგორ გაიხარებდა, რომ ენახე!“ — სიხარულის ცრემლი გადმოუგორდა.

„როგორ ბრძანდებით, ბაბუაჩემო?“ — ხმა ძლივს ამოიღო პაპუნამ.

„ეჰ, ჩემს ყოფნას ყოფნა თუ ჰქვია, ბაბუ! არც კი ვიცი, ვარ თუ არა ვარ! არსებობს ის, ვინც წინ იყურება, ვისი წლებიც გადის, ვინც თანდათან ბერდება, დღეს არ იცის, ხვალ რა იქნება... მე არც რა მაკლდება, არც რა მემატება, ბაბუ. ისლა შემიძლია, წარსულისაკენ შევებრუნო პირი, ისევ და ისევ აღვიდგინო ან გარდასული... ჩემი სიცოცხლის წლებში ვარ, ბაბუ, ჩაკეტილი და ვერა ძალა იქიდან ვერ ამომიყვანს!“

„ეგ როგორ?“

„ახლავე განახვებ! მანამდე კი აი, ამ ჯამით დაგლოცავ!“

ბერიკაცმა ცარიელი ჯამი აიღო, ზევით ასწია და ჭერს ისე ახედა, თითქოს ითხოვდა, ჩამომისხითო. მართლაც ჯამში წითელი ღვინო ჩაისხა თქრიალით, წინწკლები გადმოცვივდა.

„კიდევ ვახსოვარ ჩემს შვილთაშვილებს, — გაიხარა, ღვინო ცარიელ ჯამში გადაანანილა, პაპუნას მიაწოდა, — დამილოცინხარ, ბაბუ!“

სვენებ-სვენებით შესვა, რაც ჯამში ჩარჩენოდა.

„თქვენი ხსოვნისა იყოს, ბაბუაჩემო!“ — პაპუნაც დაენაფა ჯამს, ოჯალეში იყო, მოეწონა.

„აქ ვიკრიბებით ხოლმე, ბაბუ, ვინც ახსოვთ, იმათი ჯამი ივსება... ნახე, რამდენი ცარიელი ჯამია. ზოგს იმედი უკვე გადაეწურა, სამუდამოდ დავინწყების ბნელ ჯურღმულში ჩაიძირნენ... ისეთებიც გამოგვრევია, ვისი ჯამი ერთხელაც არ გავსებულა... ვაი, ფუჭად გავლილო წუთისოფელო!“

ამ ღრმა სევდამ პაპუნაც დაალონა. ჯამები მაგიდაზე დადეს და ბერიკაცი კვლავ გამოცოცხლდა, მხარზე სიყვარულით მოჭხვია ხელი.

„წავიდეთ, სანამ დირექტორი შემოგვისწრებდეს, აქაურობას გიჩვენებ!“

აუჩქარებლად გაჰყვნენ ფართო დერეფანს. კედლებზე ფერადი ფოტოსლაიდები ეკიდა. შორიდან თეთრ ლაქებად ჩანდა, მაგრამ ახლოს რომ ჩაუვლიდნენ, უმალ ცოცხლდებოდა ბავშვობის ხატი: სოფლის ოდა, მწვანე მდელოთი დაფარული ეზო, ხილის ბაღი, სიმინდის ყანა, ჩაის რიგები, ყურძნით დატვირთული ზვარი, ლურჯი ცა, რომელზეც წეროების გუნდი მიფრინავს...

დერეფნიდან უცაბედად გავიდნენ ხალხმრავალ დარბაზში. აქ კაცები და მანდილოსნები ისხდნენ. საუკუნის დასაწყისის ტანისამოსი ეცვათ. მუდშტუკებსა და ჩიბუხებს აბოლებდნენ და დინჯად მასლაათობდნენ.

პაპუნამ ბერიკაცს შეხედა, უნდოდა ეკითხა, ეს რა ხალხიაო, მაგრამ ენა ჩაუვარდა. ბაბუამისიც საგრძნობლად გაახალგაზრდავებულიყო. წვერი სუფთად მოეპარსა. ჭალარაშერთული უღვაშები გოროზად აეპრინა. ნაცრისფერი ჩოხა-ახალუხი ეცვა, წელზე ვერცხლის ქამარ-ხანჯალი ერტყა.

შვილიშვილს გაოცება რომ შეატყო, გაელიმა.

„ეჰ, ამ ასაკში კაი თამადობა და დარბაისლური სიტყვა-პასუხი მშვენოდა, ბაბუ, სოფელი ჭკუას მეკითხებოდა!“

გზა განაგრძეს. დარბაზი გადაკვეთეს. აქა-იქ ჩერდებოდნენ, რათა რომელიმე ნაცნობს დინჯად მისალმებოდნენ. ისე მოიკითხავდნენ, თითქოს წუთის წინ არ ენახოთ ერთმანეთი. არარსებულ პურმარილზეც პატიჟობდნენ და მათი ხელიდან დასხლტომა მართლაც რომ ჭირდა.

მომდევნო დარბაზში უფრო მეტი ხალხი ირეოდა. ყოველი მხრიდან ახალგაზრდული ხორხოცი და კისკისი მოისმოდა. მაგიდებთან ოცი-ოცდახუთი წლის ყმანვილკაცები და ქალიშვილები ისხდნენ. ზოგი ბანქოს თამაშობდა, ზოგიც ნარდის კამათელს აგორებდა. ქალ-ვაჟნი გამომწვევად ეარშიყებოდნენ ერთმანეთს, თუმცა ზრდილობის საზღვარს არავინ გადადიოდა. სხვე-

ბი ჯგუფ-ჯგუფად ერთობოდნენ, ჭორაობდნენ, კინკლაობდნენ, ერთმანეთს აბეზღებდნენ. ვაჟები ქალებსა და ცხენებზე საუბრობდნენ, ქალები — ვაჟებსა და ჩაცმა-დახურვაზე.

პაპუნას არაფერი უკითხავს. ბაბუაც ოცი წლის ჭაბუკად გადაქცეულიყო. ახალთახალი შავი ჩოხა-ახალუხი ეცვა, შავი უღვაშები კოხტად დაეყენებინა. მხრები ფართოდ გაეშალა. წელი საჯირითოდ გამზადებული ულაცივით გაეზნიქა. ალბათ, ასეთებზე წერდა პაპუნა, როცა რომანის გმირს საროს ადარებდა ანდა ალვის ხეს...

ჭაბუკმა ელვარე, გიზგიზა მზერა მოავლო საზოგადოებას, მოუთმენლობა დაეცყო.

„ვის ეძებ?“ — პაპუნამ ვერ გაბედა დაემატებინა „ბაბუაჩემო“.

„უმშვენიერეს ნინუცას, ის რომ ნახო, ქალის უნახავი გახდები!“

პაპუნას გაელიმა, მას ნინუცა მხოლოდ ბებიად წარმოედგინა.

უცბად ჭაბუკს სახეზე დაბნეულობა დაეცყო, განითლდა, ისე დაინმანა, გასაქცევად ემზადებო. მათკენ წყვილი მოემართებოდა. ვაჟი ზუსტი ალიკვალის იყო ჭაბუკისა, თითქოს სარკიდან გადმოსული მისი ორეული ყოფილიყო, ქალი კი სამეფო ტახტიდან ახლახან აბრძანებულ დედოფალსა ჰგავდა.

„ჭკვიანად იყავი!“ — თითი მკაცრად დაუქნია ვაჟმა.

„იცოდე, არ იჩხუბო!“ — მუდარით წარმოთქვა ქალმა.

წყვილი რომ გაშორდა, პაპუნამ მხოლოდ მაშინ იკითხა:

„ვინ იყვნენ?“

„ჩემი დედ-მამა, — კვლავ გამოცოცხლდა ჭაბუკი, ზაფრამ გაუარა, — შენი დიდი ბებია და პეპერა!“

პაპუნამ უკან მიიხედა, მაგრამ წყვილი უკვე ბრბოში ჩანთქმულიყო.

კვლავ გაიარეს გრძელი დერეფანი და უფრო ვრცელ დარბაზში აღმოჩნდნენ. ყურისწამლები ჟრიაბული იდგა. უთვალავი ათი-თორმეტი წლის ბავშვი შეყრილიყო ერთად. ვინ როგორ ერთობოდა და ვინ როგორ. ბიჭები ღორის ბუშტის ბურთს დასდევდნენ, გოგონები ნაჭრების თოჯინებს ევლებოდნენ თავს. ერთ კუთხეში ომობანას თამაშობდნენ, მეორეგან — დაჭერობანას...

პაპუნას თავბრუ დაესხა. არ იცოდა, საითკენ გაეხედა. ხმაური-საგან მთლად დაყრუვდა და თანამგზავრის ხმა ძლივს ესმოდა.

უკვე არაფერი უკვირდა და არც ის გაჰკვირვებია, ბაბუამისი ათი წლის ბიჭუნად რომ გადაიქცა. მკვირცხლი და მოუსვენარი ბავშვი ჩანდა. მოკლე შარვალი ეცვა. პატარა კვიცივით ადგილზე ცმუკავდა. თეთრი პერანგი სადღაც უკვე მოეთხვარა. მუხლი და იდაყვი გადატყავებოდა. ეტყობოდა, რომ სურვილი კლავდა მოძრაობისა. ალბათ, უნდოდა გავარდნილიყო, ვილაცისთვის ბურთი წაერთმია, ვილაცასთან ერხუბა, გოგოსთვის ნაწნავზე მოექაჩა... სიანცე ზედ ცხვირის წვერზე ეჯდა და, შვილიშვილი რომ არა, რაიმე ოინს დაატრიალებდა. ბოლომდე მაინც თავი ვერ შეიკავა, ერთი-ორჯერ ყირაზე გადავიდა. პაპუნას სიცილი აუტყდა და მაშინ ბავშვურად დამორცხვე ბულმა პაპა-ბიჭმა თითი პირში იტაკა, თავი ჩალუნა.

„ნინუცა ბებია სადღა?“ — ჩასძახა პაპუნამ, ძლივს გააგონა.

ბიჭმა მომდევნო დარბაზისაკენ გაიშვირა ხელი. მხოლოდ ზღურბლამდე მივიდნენ, რადგან დარბაზში შესვლა არ ისურვა.

დარბაზი ჩვილ ბავშვებს გაეცხო. მათი ჩხავილი ისეთ ექოს გამოსცემდა, თითქოს ჭერზე ხმის გამაძლიერნი უყენიათო. ცოტათი უფროსები ჭოჭინებით დაბაჯბაჯებდნენ. ზოგი იატაკზე დაცოცავდა, ან საჩხაკუნებლებს ეპოტინებოდა. პირში სატყუარები ჰქონდათ გაჩრილი. უამრავი აკვანი იყო ჩამწკრივებული და შიგ გაკრულ ჩვილებს ზოგს მშვიდად ეძინა, სხვები ლულუნებდნენ ან ჩხაოდნენ. შორიახლო აკვანში ჩაკრულ ქათქათა, ფუნჩულა ჩვილს რძიანი საწოვარა ჩაეჩარა პირში და გემრიელად წუნნიდა.

„ეს ვინაა?“

„ნინუცაა!“ — შეეპასუხა ბიჭი.

უცბად ხმაური მინელდა. უკანა დარბაზებში ჩოჩქოლი და ყაყანი მიწყნარდა.

„ავჩქარდეთ! — დაფრთხა ბიჭი. — დირექტორი ადიკო ჩამოვივლის... არ შეიძლება შენი აქ ყოფნა!“

განზე გაუხვიეს და ბიჭმა პატარა კართან მიიყვანა.

„დროს მხიარულად ატარებ, ბაბუაჩემო!“ — ხელი გაუნოდა პაპუნამ.

„მეტი არ შემიძლია, — მოულოდნელად აჩურჩულდა ბიჭი, — აღარ შემიძლია. ეს ყოველივე ხომ უკვე იყო ჩემს ცხოვრებაში, ეს ყოველივე ხომ გადამხდა!.. ლურჯი ცა მენატრება, მწვანე მთები და ბარჩხალა მზე!“

„რას იზამ? შენ გვახსოვხარ მაინც!“

„სხვა დროს აქ ნუ მოხვალ, აღარ დაგხვდები!.. მეცხრე ბლოკის გზას ვიპოვი, ან სულ გავქრები, ან...“ — სათქმელი ვერ მოამთავრა, კარი გამოუღო, შვილიშვილს უბიძგა.

პაპუნა კვლავ ვესტიბიულში აღმოჩნდა...

8. ზოჯარი

კარ-ფანჯრები მჭიდროდ ჩაგმანა. მთელი ის დღე და მეორეც გარეთ არ გამოსულა. ერთადერთი ნინუცა ბებია იყო, ვინაც ისე გადიოდა და გამოდიოდა, თითქოს ბინას კედლებიც არა ჰქონდა. პაპუნა ამას უკვე ყურადღებას არ აქცევდა. ერთხელაც არ უხსენებია „მოხუცთა კლუბი“ და არც ნინუცა ბეზიას დასცდენია სიტყვა. ოღონდ უფრო ყურადღებიანი გახდა, ათასნაირ სასუსნავს უმზადებდა მთელი დღე, მაგრამ პაპუნას მადა მთლად დაეკარგა და ორიოდე ლუკმით კმაყოფილდებოდა. თავაუღლებლად მუშაობდა. ის, რასაც წერდა, ჯერ კიდევ არ იყო რომანი, მაგრამ რომანის მასალად უთუოდ გამოდგებოდა. ეს იყო მისი სულის რომანი. აქამდე ეგონა, რომ არსებობა იმ დროს დაიწყო, რომანტიკულ ბავშვობაში, როცა თავდავიწყებით ეძებდა ვერონიკას. ახლა მიხვდა, სულის ჭეშმარიტი ბიოგრაფია იმ დღიდან ჰქონდა, როცა მარცხი იწვნია, რამაც საზღვარი აღმართა ბავშვობასა და მოწინააღმდეგობას შორის... უკან დარჩა ფერადი ზღაპარი, როცა სინამდვილეს რეტუშით ალამაზებდა, იმ მარცხიანი დღიდან კი, როცა მშვენიერი ლეგენდა მოკვდა, დაიწყო უსიხარულო, მაგრამ ნამდვილი ცხოვრება...

(მასალები რომანისათვის)

„...თარჯიმანმა მა იურიუნმა ხელი მტკიცედ ჩამოართვა და ამან ნალურსმი შეახსენა. ჭრილობები ყრუდ წინკნიდა, ხუთი ჭრილობა... ყურში კვლავ ის ზრიალი ედგა, როცა გახელებული ბრბო „ვანსაის“ ღრიალით ემაფოტისაკენ მიათრევდა. ათასი ხელი თითქოს ნანილ-ნანილ გლეჯდა მის სხეულს და ჭაბუკს უძღურებისაგან ყვირილიც არ შეეძლო... გონების თვალთვალს ნარმოიდგინა, როგორ იხლანებოდა ჯვარზე და აზრი მაშინ ჩაუქრა, როცა მეხუთე ლურსმანმა გული უპოვა... ახლა ვერც იხსენებდა, სიზმარი იყო ყოველი თუ ცხადი... თარჯიმანმა მამ ხელი რომ ჩამოართვა, ამ უჩვეულო ვითარებისათვის შესაფერისი დელიკატური სიტყვა ძლივს გამოძებნა: „მეგობრებად უნდა დავრჩეთ, მა!“

შუალამე გადასული იქნებოდა. ვარსკვლავებით მოჭედული ცა ძირს ჩამოფენილიყო. თარჯიმანი და მისი მხლებლები მთის თავზე იხსდნენ, ხელისდადება მინდორზე დახვავებულ ყორესთან.

„მეგობრებად დავრჩებით, მა!“ — გაიმეორა ჭაბუკმა. მისი სიტყვები მხოლოდ თარჯიმანს ესმოდა. სხვა გამცილებლები აჩრდილებით აყუდებულიყვნენ, სიბნელეს აკვირდებოდნენ.

მერე ისინი სათითაოდ გაეცალნენ ყორეს და ჭაბუკი მარტო დარჩა.

ფიქრი არაფერზე უნდოდა. მეხსიერება იმ წუთას გადაეკეტა, როდესაც მეხუთე ლურსმანი, — მნიშვნელობა არ ჰქონდა, ცხადი იყო ყოველივე თუ სიზმარი, — ეს მეხუთე ლურსმანი დააჭედეს. რაც მანამდე იყო, — ბიოგრაფიის ერთგვერდიანი ფურცელი, — თეთრად ქათქათებდა და ჭაბუკი მასზე ვერ პოულობდა თარიღებსა და მოვლენებს.

ზურგსუკან წკვარამში იკარგებოდა მთათა ფერდობები. წინ, მინდვრის კიდეზე ტყე იგვერგვებოდა. ალბათ, ფიჭვნარი იყო, რადგან ნიავს იქიდან წინვის მძაფრი სურნელი მოჰქონდა. ხელისდადება მინდორზე დაყრილი ეს ყორე კი, ორ

სამყაროს შორის ვილაცას რუდუნებით რომ დაენყო, თეთრად ქათქათებდა და ჭაბუკმა უნებურად ახლა იგრძნო ქვის სიცივე. თავში ფიქრი დაიძრა: „აქ რამ მომიყვანა?“

მეხსიერება გააცოცხლა. არაფრის განსჯა არ ენადა, მაგრამ წარსულის ფრაგმენტებს ფოტოსურათის სიზუსტით აღიდგენდა: პატარა ოთახი, მაგიდა — მუქი ყავისფერი, სამი ტყავგადაკრული სავარძელი, შავი ფერისა. მაგიდაზე სამი ფინჯანი უშაქრო ჩაი. ერთადერთ ფანჯარას საღამოს თალხი ფერი აფენია. რბილ სავარძელში ნებიერად მიწოლილ ჭაბუკს ჩაის თბილი ორთქლი ცხვირში სასიამოვნოდ უღიტინებს. თანდათან გამოდის ტკბილი ბურანიდან, თითქოს შეორთქლილ შუშაში იყურება. მერე საგნები გამოიკვეთა და ლურჯკიტელიანის მეჩხერწვერიანი სახე იცნო.

ლურჯკიტელიანი ფარისევლურად ილიმებოდა, ხელებს იფშენებდა, გამჭვირვალე ბადეს ქსოვდა თავის უჩვეულო ენაზე, რომლის ანი და ბანი ჭაბუკს ვერანაირად ვერ გაეგო. ვინ იცის, რას ამბობდა. თარჯიმანი პირდაპირ არაფერს თარგმნიდა, მიკიბ-მოკიბვით ლაპარაკობდა, თითქოს პინგ-პონგს თამაშობსო... აგრძნობინა, ცას ნუ ეპოტინები, რაც ბედმა მოგითალა, იმით დაკმაყოფილდიო...

ჭაბუკს არაფერი უთქვამს, არც ჰქონდა ლაპარაკს აზრი. ლურჯკიტელიანი მის ზევით მჯდომარე სხვა ლურჯკიტელიანის ნათქვამს იმეორებდა. ის კიდევ უფრო მაღლა მჯდომისას და ასე მანამდე, სანამ იერარქიის თავამდე მიაღწევდა ქვედა საფეხურზე მჯდომის მზერა. ჭაბუკი ისედაც მიხვდა, ვერონიკას გზა მოლივლივე მირაჟებში გაითქვიფა და მის ნაკვალევს ვერც ამ სამყაროში დაძებნიდა.

უხმოდ გამოემშვიდობა ლურჯკიტელიანს, ბინდიან ეზოში ჩაისეირნა. ალვის ხეები უჩუმრად შრიალებდნენ. ვიწრო არიკში ლუგლუგით მიედინებოდა წყალი.

თარჯიმანი ლანდივით აედევნა. სიბნელეში ხვნეშოდა, დაბნეული იყო და არ იცოდა, რა ეთქვა.

„როდის მივდივართ?“ — ჭაბუკმა ლურჯი ხალათი მჭიდროდ შემოიხვია, გრილოდა...

„ამალამე!“ — დამნაშავეს კილოთი შეეპასუხა თარჯიმანი.

ჭაბუკი სწრაფად გაშორდა.

თარჯიმანი მცირე ხანს ყოყმანობდა. მერე თავის ფანჯარაში შევიდა თადარიგის დასაჭერად. ღია კარის წინ, ოთახიდან გამოსული სინათლის შუქზე პატარა გოგო-ბიჭი მა ტიოდა და მა სიო გაჭიმულ რეზინაზე ხტუნაობდნენ და წკრიალა ხმით ითვლიდნენ:

„ი, ერ, სან, ს, უ, ლიუ, ცზი, ბა, ცზ, შ... შ-ი, შ-ერ, შ-სან...“

ჭაბუკი თავის მიწურში შევიდა, სანოლზე თავდაღმა დავარდა, ბალიშს ჩაეხუტა.

„რა მინდოდა აქ?“ — გაიფიქრა.

„რა მინდოდა აქ?“ — გავიფიქრე და პასუხის გაცემა გამიჭირდა...

ეს იყო უკანასკნელი ცდა. ტრამალებს მიღმა ბნელი უდაბნო ნთქავდა სივრცეს. ვიდექი გატეხილი ყამირის ბოლოს, ნაცრისფერ სერზე და გაცვქეროდი ცის კიდეს, სადაც ცხელი ჰაერის გამჭვირვალე ლივლივში ვერონიკას ლურჯი აჩრდილი მიფარფატებდა.

გზას კვლავ დაუფიქრებლად დავადექი, თითქოს ისევ ბავშვი ვიყავი და პასუხი არაფერზე მომეთხოვებოდა.

ქვიშიანი ბექობი გადავლახე. მდორე და ფართო მდინარეს მივალწიე, ვრცელ უდაბნოს რომ ჰკვეთდა. მივდიე მის ნაპირს. ტრამალების სუსტი ნიავი მომყვებოდა ფეხდაფეხ ჩუმი ფაჩუნით, წყლის ნელი დუდუნე მამშვიდებდა, შიშის გრძნობას მიფანტავდა. უკან-უკან იხევდა ჰორიზონტი და ვერც პირველ დღეს დავძლიე სივრცე, ვერც მეორეს და ვერც მესამე დღეს... ბნელი და საშიში ღამე ჩამოწვებოდა ხოლმე. ვარსკვლავების მრავალრიცხოვნება გზა-კვალს მიბნევდა. საკუთარი ლანდი მსტოვარით ამდევენებოდა, მაფრთხობდა. უფრო და უფრო ნაკლებ ვანყდებოდი ადამიანის კვალს და, თუმცა ფართო მდინარე კვლავ მეხმიანებოდა ბნელი ხევიდან, ღამეული უდაბნოს წინაშე თავს უსუსურად და მარტოსულად ვგრძნობდი.

ერთგან ეული ტირიფი ვნახე. სასწაული მოეხდინა და ქვიშნარში ამოსულიყო. სალოცავად გაეხადათ უდაბნოს იშვიათ მგზავრებს და ათასი ჭინჭით მოერთოთ. მეც მოვიფხრინე პერანგის კალთა და ტოტს შევაბი.

მეოთხე დღეს, როცა მზე უკვე ეშვებოდა და ცის კიდე მენამული ფერით შეიღება, სატრენგულაციო კომპს მივესალმე, ადამიანთა არსებობის ერთადერთ ნიშანს. ჩემსავით ობოლი ტურა ნამომიხტა ფერხთით, შიშისაგან გაიძურნა, მეც შიში და მარტოობა შემატოვა.

ბოლო დღე საქსაულებით მოფენილ ველზე გავატარე. ველის განაპირას მრისხანე მთები ამოიზიდნენ. მათი ცივი ელვარება და სიდიადე ყოველგვარ იმედს მიქარწყლებდა.

მაინც ჯიუტად მივაბიჯებდი კაცთმოყვარეობის შეცდომებით დანაღმულ ბილიკზე, პუნქტირით რომ აჩნდა ხეში ბალახით დაფარულ ველს. ასე ვიარე ის დღე, მერე მთელი ღამე და უცებ, როდესაც ჩემ წინ ნამოიმართა მავთულხლართების დაბალი ზღვარი, მხოლოდ წამით შევყოყმანდი. უკან, ღამის მიღმა დამრჩა ელნათურებით გაჩახჩახებული სოფლები და ქალაქები, წინ კი ნამოიმართა მთვარის სხივით გადასუდრული უდაბნოეთი.

ზამთრის პირი იდგა. თოვლი ეფინა. მთვარის სხივი სიცივით მსჭვალავდა მრუმე ღამეს.

ქანცგანყვეტილს ყინვა მერეკებოდა, აღარ შემეძლო გაჩერება.

მერე მკვდარი სახლი ვნახე. თოვლს სახურავი ჩაექცია, ოთახები ჩაენამქრა. მერე მეორე და მესამე სახლი... ყინვა და თოვლი ჩასახლებულიყო ოთახებში...

გარიჟრაჟამდე ორიოდე საათი რჩებოდა. „ჰაუ-უ!“ — შევკივლე. ნუთუ ცოცხალი არავინ იყო პლანეტაზე?

„ჰაუ, ჰაუ, ჰაუ-უ!..“

პასუხად ძალღმა შეჰყეფა. ბნელი კარიდან ძროხამ შემომფშვინა. შევაბიჯე. უკუნეთში მასპინძლის სიკეთეს დავენდე და ცხვრის ტყაპუჭზე ნამონოლილი სიზმარეთში გადავეშვი. მესიზმრებოდა გულშეჭირვებული დედა, მესიზმრებოდა ზღვარი, ახლახან რომ გადავლახე. თითქოს თავიდან იწყებოდა მომქანცველი გზა და საამისო ღონე უკვე აღარ მყოფნიდა.

„რად მოხვედი?“ — პატარა კაცი საზამთროს შეექცეოდა, შავ თესლს პირდაპირ პარკეტზე ყრიდა. ცხენის კბილები

მხიარულად დაეკრიჭა, სარზე წამოცმულ თავის ქალას ჰგავდა.

„რად მოხვედი?“ — გამიმეორა. საზამთროს წვენში ამოთხვრილი თითები ტვინის სათუთ ხვეულებში მომიფათურა.

ძილის წინ კი ვინროთვალე, ყვრიმალამოზიდულმა ქალმა ლოგინი გამისწორა და თავის უცნაურ ენაზე, — ვაიმე, შვილო, — დაიკვნესა. მაშინლა მივხვდი, შესაძლებლობის ზღვარს გადავაბიჯე, მაგრამ აქაც არსად იყო ვერონიკა.

მერე ზამთარმა გადაიარა. სამხრეთის ცხელ ზაფხულს კვლავ ზამთარი მოჰყვა...

უცხო, პროვინციული ქალაქი. თიხის ბრტყელბანიანი სახლები. მაღალი ზღუდეების მიღმა მხოლოდ სახურავები და ალვათა რიგები მოჩანს. მოედანზე თეთრი სახლები და ვერცხლისფერი ბიუსტები. ლურჯკიტელიანი და ლურჯშარვლიანი კაცები, ქალები, ბავშვები. აღმოსავლური ბაზარი, სადაც გატეხილი ნალი და ლანჩმორღვეული ფეხსაცმელიც კი იყიდება. კინო: ყოველივე მხოლოდ ორ ფერშია, შავი და თეთრი... ოპერა: მარტივი სიუჟეტი, ქალი, ვაჟი, დრაკონი... იეროგლიფების ვერტიკალური სვეტები... ყოველ დილას გიზგიზით ამონათებს მზე, მრგვალი სახე აქვს, ფართოდ იღიმება, მელოტზე ოქროსფერი სხივები რქებივით ეზრდება, თითქოს დოლაბიდან იწვერებო, და თვალის გასწორება ჭირს...

ყოველ დილას პატარა კაცი მეგებება ქლესა ღიმილით. საზამთროს წვენი თითხვრილ თითებს ტვინში მიყოფს და გაზეთის მონინავეს მჩურთავს.

„ერწმუნე!“ — მიბრძანებს პატარა კაცი. მის უკან, კედელზე დიდი კაცის სურათი ჰკიდია: მრგვალი სახე, ფართო ღიმილი, ოქროსფერი სხივები...

„სად არის აქ ვერონიკა?“ — ჯერ კიდევ შემრჩენია ცოცხალი აზრი.

„ერწმუნე, ერწმუნე, ერწმუნე!..“ — ჩაქუჩით იჭედება იეროგლიფების სვეტი, მაგრამ ეჭვი — ციცქნა თაგუნა, კუნჭულში ჩაცუცქულა და კეთილსინდისიერად თხრის თავის უსასრულო ლაბირინთს, რომელიც, ალბათ, ოდესმე რწმენის მყარ შენობას წამოამხოვს...

ვისწავლე ჩხირებით ბრინჯის ჭამა, ათამდე თვლა, გაჭი-

მულ რეზინაზე ხტუნვა, პინგ-პონგი... ყოველდღე აგურით მძიმე ტომზე ვცდილობ აცოცებას. ეს აგურები ვილაცას უკვდავების საძირკვლად ჩაუყრიათ. ასე, ტომიდან ტომზე მივცოცავ გზასაცდენილ ხოჭოსავით, მაგრამ რწმენა არ მომემატა და მაშინ სასჯელი მერგო: სიზმარში ლოგინიდან წამომავდეს, სიზმრის ადამიანებმა სიზმრის ბრბოში შემავდეს, სიზმრის მდელოზე წამომარჩიეს. ავიხედე და ჩემ წინ სიზმრის ბომონი აღმართულიყო. ბუდასავით ფეხმორთხმით იჯდა. ფართო ლიმონისფერი სახე ლიმონის ნილაბს მიუგავდა. ეშმაკური, ვინრო თვალეები მოეჭუტა, მელოტზე შუბების ტყესავით მზის მოგიზგიზე სხივები ედგა... „ვანსაი!“ — იგრილა ბრბომ. ენა ჩამივარდა, ხმა ვერ ამოვიღე. „ვანსაი, ვანსაი!“ — ჟამივით მოედო ყველას, დიდ-პატარა ღრიალებდა და თან ეჭვით მიყურებდნენ. ვიცოდი, საშიში იყო ეს მდუმარება, მაგრამ თავს ძალა ვერ დავატანე. ვერ შევძელი, ქედი მომეხარა, რაც არ მწამდა, იმაზე მელოცნა... ვილაცამ გვერდიდან თითი ლულასავით მატაკა. მოვიხედე. თითები ჩემკენ მოეშვირათ და მტრულად ღრიალებდნენ. ვცადად გამოღვიძება, ქუთუთოები ვერ გავხსენი. ათასი ვინმე დამეხვია, მწენდნენ და მგლეჯდნენ. ხმა კი მაინც ვერ ამოვიღე. მაშინ წამათრიეს, მაღალ ეშაფოტზე ციმციმ ამაგდეს და იქ ძელზე მიმაჭედეს...

ძლივს გამოვიღვიძე...“

ჭაბუკს შეაჟრჟოლა, ფიქრებისაგან გამოერკვა... მთებში ზამთარი მოიპარებოდა და უკვე ციოდა.

მოშორდა თეთრ ყორეს და ფიჭვების გრაგნილს მიაშურა...

უსასოო კივილმა ლოგინიდან წამოავდო. მეზობელ რკინის საწოლზე დაბმული თავგადაპარსული კაცი ღმერთს უხმობდა. უკვე ორი კვირა გრძელდებოდა ასე და ჭაბუკი ვერა და ვერ შეეგუა. კაცი დილაუთენია იწყებდა კივილს — „ო, ალაჰ!“ და მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, როცა არაქათგამოცლილი მშფოთვარე ძილს მიეცემოდა. უფალს არ ესმოდა ეს ძახილი, ჭაბუკს კი ნერვები დააწყდა, თუმცა სხვა არავინ აქცევდა ამას ყურადღებას. მორიგე ექიმი შემოვიდოდა ხან-

დახან, მაჯისცემას გაუსინჯავდა. „არა გიშავს რა, ბუდასავითა ხარ!“ — გაეხუმრებოდა. შეურაცხადს კი არაფერი ესმოდა, მონოტონურად, ერთფეროვნად უხმობდა თავის ღმერთს.

თავდაპირველად, აქ რომ მოიყვანეს, აღშფოთდა. ერთი სული ჰქონდა, ქვეყნისათვის დაემტკიცებინა, ჯანმრთელობას არ ვუჩივიო. დროზე გაჩუმდა, შიშის ნაჭუჭში ჩაიკეტა. ლაპარაკი არავისთან სურდა. საავადმყოფოს ნაცრისფერ ხალათში ჩაცმული ნაპოლეონი, იმპერატორი, მუჰამედი, ჩინეთის ბოგდინანი და უცხოპლანეტელი მაცნე დინჯი მასლაათით მიმოდინდნენ პალატაში, ჭაბუკის მოქცევას ცდილობდნენ, მაგრამ იგი უხმოდ გაეცლებოდა და, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო რწმუნდებოდა, თვითონაც რაღაც არაამქვეყნიური სულის გამოვლენა რომ იყო. მიხვდა, რაც საკუთარი ბიოგრაფია ეგონა, ზღაპრის წიგნში ამოეკითხა. იმ წიგნში ჩაბეჭდილი ფერადი ტექსტი ჰყვებოდა პატარა ბიჭუნა ჭიპუნაზე, ვინაც ფრთახატულა პეპელას გამოეკიდა გვირილებით მოფენილ ველზე.

ორი კვირის თავზე, ღამით, მოულოდნელად გამოეღვიძა და საწოლზე ჩამომჯდარი წმინდანი დაინახა.

წმინდანი მთლად ახალგაზრდა იყო, უწვევრულვაშო. თავლისფერ თვალეებში უსაზღვრო სინაზე ედგა. სახის ნაკვთები ფრესკის ანგელოზს მიუგავდა. ოქროსფერი დაღალეების გადაპარსვა ციხის საავადმყოფოს კანონებსაც ვერ გაებედა.

უბეებში ცრემლი ედგა.

„არა კაც კლა! — ხმადაბლა ბრძანა. — ამოიღე გულიდან ღრძო, ნურვისზე ფიქრობ ბოროტს!“

ჭაბუკმა ნაძალადევად გაულიმა.

„მეგობარო, ჩემი შეცდომების გამო ვისჯები, თორემ გუღლღძობას, ბოროტს, კაცთ კვლას ვერავინ დამწამებს!“

წმინდანი წამოდგა.

„ჩაიხედე საკუთარ სულში, ღრმად ჩაიხედე!“ — ხმაში თხოვნა გაურია. დინჯად გაშორდა ჭაბუკის საწოლს. საავადმყოფოს უხეში ხალათი სამეფო მანტიასავით ეცვა. მის მოძრაობაში იყო რაღაც ამაღლებული, ზეადამიანური.

კართან მოიხედა. საუცხოო, დიდრონი თვალები ერთხელაც მოანათა.

„არა კაც კლა!“ — ბაგეები ოდნავ შეარხია და გავიდა.

„გიჟია რა!“ — ნერვულად აჟღერდა ჭაბუკის ფიქრი.

თვალი ვერ დახუჭა. თეთრ კედელზე არაფერი ჩანდა და მზერა შეიბრუნა. გულის გულში ჩაიხედა, უძირო ჭა აღმოაჩინა. ჭაში ყელგამოჭრილი ვერონიკა ეგდო. მკვლელის ხელები კი ახლა ჭაბუკის ბავშვობას მისწვდნოდა და ახრჩობდა...

სანოლზე წამოჯდა. პალატაში სულით ავადმყოფთ ეძინათ. ფანჯარაში გარიჟრაჟის სუსტი ნათება აღწევდა...

ძილი საბოლოოდ დაუფრთხა. იჯდა და ელოდა მზის ამოსვლას...

მატარებელი რომ ჩამოდგა, მაშინლა წამოიწია. სარკეში ჩაიხედა. გულგრილად შეათვალიერა მზერაჩამქრალი კაცის გამოსახულება. თავის ასაკზე ბევრად უფროსი ჩანდა. გადაპარსულ თავზე ახლამოსული თმა ეზღარბებოდა. გაუპარსავ წვერს აქა-იქ თეთრი შერეოდა.

მატარებელი დიდხანს ჩერდებოდა. ამიტომაც არ აჩქარებულა. სხვა მგზავრებს აცალა ჩასვლა. ბამბურა შეიკრა, ფუთა აიღო. შიგ საცვლები და ორიოდ რვეული ჰქონდა გახვეული, ერთადერთი ქონება, რაც შორეული მოგზაურობიდან ჩამოჰყვა.. წვიმდა.

ბაქანი ისე გაირბინა, თავი არ აუწევია. ერიდებოდა ნაცნობებთან შეხვედრისა.

სახლი არც ისე შორს იყო, მაგრამ წვიმა თავსხმაში გადაიზარდა.

მოსაცდელ დარბაზში გრილი ნესტი დასადგურებულიყო, კარებიდან ორთქლი შემოდისოდა.

ბუფეტში შეიხედა. მანონი და ორცხობილა იყიდა. ორცხობილა უგემურად დაღეჭა, არც მანვნისთვის ჩაუტანებია გემო.

წვიმა ფანჯრებს პანია ნაკადულებით ქსელავდა და შუშაში არაფერი ჩანდა.

ბეტონის კიბეზე ხმაურით იმსხვრეოდა მსხვილი წვეთები, მოძალეული წყალი იღვრებოდა თქრიალით...

ღია კართან შეყოვნდა...

კართან შევეყოვნდი...

წვიმას გავცქეროდი... უსიხარულო ამინდი დამხვდა და ეს კარგად ესადაგებოდა ჩემს გუნება-განწყობილებას.

კიბესთან მანქანა გაჩერდა. წინა სავარძელში მჯდომმა მანდილოსანმა ჯერ ქოლგა გამოაძვრინა, მერე თვითონაც გამოჰყვა.

უკანა კარი მოუთმენლად გაიღო და გოგონა გადმოხტა. — თათული, ქოლგის ქვეშ შემომეფარე!

გოგონას ყურადღება არ მიუქცევია. წვიმაში მხიარულად გამოიქცა. კიბეზე კისკისით ამოირბინა, წამში გაილუმპა.

კარში შემოიჭრა და პირდაპირ დამეტაკა. ბავშვის ცისკროვანი პირისახე მირიადი გამჭვირვალე წინწკლით დაფარულიყო.

ქოლგის მანდილოსანიც ამოქლოშინდა.

— ოჰ, შე საძაგელო!.. უკაცრავად, ბატონო!.. წამოეთრე აქეთ, შე საძაგელო!

თვალი დავხუჭე. ბავშვის პირისახე და ლურჯი თვალების სისველე მეხსიერებაში ჩამებეჭდა.

თავი ჩავღუნე, კიბეზე დავეშვი.

ორი ნაბიჯიც არ მქონდა გავლილი, წყალმა პერანგში გამატანა.

გაქცევას აზრი არ ჰქონდა, აუჩქარებლად მივაბიჯებდი და თბილი წვიმის ნაკადი კისერში ჩამდიოდა.

ვერაფერს ვხედავდი ასფალტზე მოცეკვავე წვეთების გარდა.

თავი რომ ავწიე, ჭიშკართან ვიდექი.

მწვანე ტოტებში წვიმა შხუოდა, ჩვენი სახლაკის შიფერზე რაკარუკობდა, ლაფაროში თქრიალებდა.

ჭაჭანება არ ისმოდა. ქათამი ვერ დავლანდე ეზოში, ძაღლს არ დაუყეფია.

კარზე დავაკაკუნე.

ზამბარები აჭრაჭუნდა, ბებრული კვნესა შემომესმა.

სანოლი ზედ კართან იდგა და დედამ, ალბათ, ურდული გასწია.

შევაღე.

ლოგინზე წამომჯდარიყო. თავშალიდან ჭალარა ბუნკე-ბი მოუჩანდა. სახეზე ნაოჭი მომრავლებოდა.

დამინახა და ფეხზე ვერ წამოდგა.

— შვილო! — ესლა ჩაიჩურჩულა, ბალიშზე მიესვენა და ატირდა...

9. ჯარისკაცი

ნავახშმევს გასეირნება მოუნდა. პანსიონატი თითქმის დაცარიელებულიყო, გზად არავინ შეხვედრია. „ალბათ, აქ ადრე იძინებენ,“ — გაიფიქრა პაპუნამ. თვითონ არ ეძინებოდა. გუნება საგრძნობლად გამოუკეთდა, იქნებ რიგიანად რომ იმუშავა, იმიტომ. დაწერილით დიდად არ იყო კმაყოფილი, მაგრამ თეთრი ქალაღლისადმი ზიზღი დაძლია და ამის შეგნებამ კმაყოფილება მოჰგვარა.

ვესტიბიულში თითო-ოროლა დამსვენებელი თუ ყურყუტებდა. ზოგი სავარძელში თვლემდა, ზოგი კი მასლაათით იქცევდა თავს. პაპუნამ კუთხეში ცარიელი სავარძელი შენიშნა და იქითკენ გაემართა. შიგ ნებიერად მოკალათდა, ფეხები მოხერხებულად დააწყობა და ფიქრს მიეცა. თანდათან თვლემამოეძალა, მსუბუქ ბურანში ჩაიძირა.

იატაკზე ყავარჯნის კაკუნმა გამოაფხიზლა, სახეზე ხელი მოისვა.

მის წინ, სავარძელში, დაჭრილი ჯარისკაცი ჯდებოდა.

პაპუნამ თანაგრძნობით გაუღიმა, უკვე თავის ნაცნობად თვლიდა.

ჯარისკაცმა მზერა ცივად მოაბჯინა.

პაპუნამ თავი უხერხულად იგრძნო, არ იცოდა რა ეთქვა, მაგრამ ჯარისკაცი უცებ ალაპარაკდა.

„საშინელი დღე იყო!..“

„რომელი? დღევანდელი?“ — ენა დაება პაპუნას.

„ტყვია რომ მომხვდა...“ — ჯარისკაცმა ჭრილობაზე სათუთად მიიღო ხელი, თითქოს ტკივილის გაყურებას ცდილობდა.

პაპუნამ პასუხად ვერაფერი მოისაზრა, დუმილი ამჯობინა.

„სამი დღე ვიბრძოლეთ... სმოლენსკში ყოფილხარ?... სმოლენსკამდე ვერ მივალნიე... ქვიშა, ტალახი... ზაფხულობით, ალბათ, კარგია იქაურობა, მაგრამ ზაფხულამდე ვინ დამაცალა... ადრე გაზაფხული იყო, თოვლი დნებოდა უკვე და ტანკები ტალახში ეფლობოდა...“

„უკვე მრავალი წელი გავიდა...“ — ჩაურთო პაპუნამ, მაგრამ ჯარისკაცს ნათქვამი არ გაუგონია.

„ვტოპეთ და ვტოპეთ ტალახში... ჭურვის ნივთილი მოგისმენიათ?... აი, გესმის, გრძნობ, რომ გიახლოვდება, ახლა აფეთქდება, ახლა... ვერსად გაექცევი, ვერსად დაემალები... გინდა გაიქცე, მაგრამ ფეხებით ტალახში ჩაფლულხარ, არ გიშვებს... იქ, ვიაზმასთან, გაგიგონიათ, ალბათ...“

„ნამყოფი ვარ იმ ადგილებში!“ — შენიშნა პაპუნამ.

„ერთგან მდინარე უგრა ასე უხვევს, — ჯარისკაცმა ჰაერში ნახევარწრე შემოხაზა, — ქვიშიანი ნაპირები... თოვლი დნებოდა და ნაპირები ლაფად გადაიქცა... მდინარეზე ყინული უკვე ტყდებოდა, ფეხს შედგამ და ტკაცანი გააქცეს... ეჰ, რამდენი ჩაიხრჩო...“

„თქვენ გადალახეთ?“

ჯარისკაცმა მზერა მიაცივა.

„მე იქ მომკლეს! — პირქუშად წარმოთქვა. — ტყვიამ აქ გამიარა... ახლაც მტკივა...“

(ორი ფურცელი საქალაქედან)

„...შემდგომში არაერთხელ დავფიქრებულვარ, თათული მიყვარდა თუ არა, მაგრამ პასუხი ვერ დავძებნე. მარტოობა მტანჯავდა და მინდოდა გვერდით ვინმე მყოლოდა. სიყვარული არც მიხსენებია. მაშინ რომ წამომცდენოდა ის ფრაზა, რომელსაც მილიონი შეყვარებული ერთნაირად წარმოთქვამს და ყოველი მათგანი ფიქრობს, ეს სიტყვები ჩემი მოგონილიაო, საკუთარი თავისა და თათულის წინაშე ვერ ვიქნებოდი მართალი. მაგრამ რაკი ერთხელ გადავწყვიტე, შევეცადე მტკიცე ვყოფილიყავი.“

თათული უკვე არც მოელოდა ამ სიტყვებს, მგონი, საერთოდ დაჰკარგოდა იმედი.

— ბოლო გამოცდა ხვალ გაქვს? — სასხვათაშორისოდ შევეკითხე.

— თუ გადავურჩი, კურსს დავხურავ...

— უნდა გადაურჩე, ხომ იცი, ზეგ მოსკოვში მივფრინავთ, ბილეთები უკვე ავიღე!

თათულიმ მოულოდნელობისაგან ხელები გაასავსავა. ასე იცოდა უზომო გაკვირვების ჟამს. პირისახე გაუსხივოსნდა, თვალები აუციმციმდა და იმით მაინც ვიყავი ბედნიერი, რომ ასე იოლად გავახარე. ხმამაღლა არაფერი უთქვამს, ლაპარაკი არც იყო საჭირო. ახლა რომ ჭოჭმანი დაეწყო, ოდნავ მაინც შემემჩნია უნდობლობა, შიში, ჩვენი ქორნილი, ალბათ, არც შედგებოდა.

მესამე დღეს მეგობრებმა აეროპორტში გაგვაცვილეს. იყო ყვავილები, შოკოლადი, შამპანური... მერე მგზავრებით სავსე თვითმფრინავში მარტონი დავრჩით, ერთმანეთის გვერდით ილუმინატორს მიჭეჭყილნი. თათული პირველად მიფრინავდა და შიშნარევი სიხარულით დასციცინებდა ღრუბელთა თეთრ ქარავანს. მე კი უპირატესობის შეგრძნებით, — აი, სად იკმაყოფილებს მამაკაცი პატივმოყვარულ ვნებებს, — ვეჩინებოდი ათას რამეზე. ჯერ მისი არსებობის ანაბანა არ ვიცოდი, ჩემი თავგადასავლების ნუსხა კი ხელისგულზე გადავუშალე, რითაც შევეცადე, მისი დაპყრობილი გული ერთხელ კიდევ საფუძვლიანად დამეპყრო.

მონისლულ ცაზე მზე სუსტად ბჟუტავდა და მოსკოვმა სიგრილე დაგვახვედრა. მეტრომ ცენტრში ამოგვიყვანა. ხელიხელჩაკიდებულებმა ვისეირნეთ პროსპექტებსა და მოედნებზე, თითქოს მიზნად დავისახეთ რამდენიმე საათში ყველა მუზეუმისა და ყველა მაღაზიის დათვალიერება. შეღამებულზე, როცა ფეხები დაგვანწყდა, მინსკის ვაგზლის ცივ კედლებამდე მივალნიეთ, ჩახუტებულები შუალამემდე ველოდეთ დასავლეთის მატარებელს.

ძილი იმ ღამეს არ გვლირსებია. რაიცენტრიდან საბურავებით აზელილ გზას თვითმცლელის ძარაში ჩაყრილები რომ დავადექით, მივხვდი, თათული ჯოჯოხეთშიც უკან გამომყვებოდა.

მდორე და წყნარი უგრას ნაპირებზე, ტანწერწეტა ფიჭვნარებში მიკარგულ სოფელში წვიმისაგან გაშავებულ საბჭოს შენობასთან ჩამოვედით.

ქვიშიანი ორლოზე ჩავიარეთ.

ველურ პარკში თეთრი არყის ხეები ნელა შრიალებდა.

ჯარისკაცის ვერცხლისფერი ძეგლი მდუმარედ დაჰყურებდა საფლავთა ბორცვებს. მეჩხერი ყვავილნარი გამოეხმო ჩრდილოეთის ქარს.

თათულიმ ხელჩანთიდან მუჭა მინა ამოიღო, საფლავზე მიმოაბნია...“

„მე იქ მომკლეს!“ — გაიმეორა ჯარისკაცმა და ყავარჯენი მოიმარჯვა, წამოდგა.

„იქნებ მამაჩემს იცნობდით?“ — მიადევნა პაპუნამ, მაგრამ ნათქვამი ხმადაბალი გამოუვიდა და ჯარისკაცს არ გაუგონია, ყავარჯენის კაკუნით გაეცალა.

„ეს უცნაური პანსიონატი!“ — გაიფიქრა პაპუნამ. სავარძელი ოდნავ შეაბრუნა. აქედან პარკი კარგად მოჩანდა. იქ უკვე სინათლეს აქრობდნენ. თითო-ოროლა დამსვენებელი ცდილობდა სიბნელეს გამოქცეოდა.

ყვითელქუდიანი შვეიცარი დაგვიანებულებს აჩქარებდა:

„სწრაფად, სწრაფად, თორემ კარი იკეტება!“

პაპუნას ფიქრი კვლავ ჯარისკაცს დასტრიალებდა. თითქოს სადღაც ენახა, ალბათ, ძალიან ადრე, შორეულ ბავშვობაში.

ძმათა საფლავზე თავისი მოგზაურობა მოაგონდა. იქიდან დაბრუნებულმა ნარკვევი გამოაქვეყნა...

(მცირე ნაწყვეტი „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებული ნარკვევიდან)

„...ტყე მდუმარეა. საანძე ფიჭვებს ნიავიც არ არხევს. რბილ ხავსს ჭრელი ჩრდილი ეფინება. წინვის საამო სურნელე-ბა კაცს ათრობს. ხანდახან კოდალა თუ დაარღვევს მყუდროე-

ბას. უგრაც მდუმარეა, მდორეა, თითქოს არც კი მიეძინება. თავკომბალა თუ აადენს სუსტ ჭავლს წყალმცენარეებში. აქაური მდინარეები სულ ასეთებია — მდუმარენი. ტყეში უჩუმრად განოლილან, თითქოს ეშინიათ, დაარღვიონ დროის აუჩქარებელი მსვლელობა.

მაშინ, სამი ათეული წლის წინათ, ადრიანი გაზაფხული იყო. ყინული იმსხვრეოდა უგრამი და მისი ჭახანი იკარგებოდა ქვემეხების ქუხილში. ტანკები ეფლობოდნენ ქვიშის ოთონთოში. ცრიდა ძვალ-რბილში გამტანი ცივი ჟვავი.

სიკვდილი ჩვეულებრივი იყო.

ყველაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო.

იქნებ ამბრაზურას აეკრა მკერდით. ამბობენ, გერმანელებმა შეჰკრესო უგრას ნაპირები. ტანკები ჩაფლესო მიწაში, დოტები ააგესო ხაბოზე, მდინარის ფორსირება შეუძლებელი გახადესო...

იქნებ ტანკს ჩაუვარდა ხელყუმბარების კონით, ააფეთქა და აფეთქდა თვითონაც. ამბობენ, მტერი ცდილობდაო, რადაც უნდა დასჯდომოდა, შეეჩერებინა ჩვენი შეტევა, რადგან ვიაზმის პლაცდარმის დაკარგვით სმოლენსკსაც კარგავდა თურმე...

იქნებ ხელდახელ გადავიდნენ იერიშზე, გზა ხიშტით გაიკაფეს, მაგრამ თვითონაც მტრის ხიშტით დაიღუპა... ამბობენ, უგრას ფორსირების დროს ტალახში ტანკებიც ვერ გადიოდნენ და ხიშტით აიღესო რაიცენტრი... მტერი უამრავი მოსრეს, თურმე, თვითონაც მოისრნენო..."

პაპუნამ შუბლზე მოისვა ხელი, თითქოს ზმანება ჩამოიშორა... დიახ, ჯარისკაცი ეცნაურა. იგი ბავშვობიდან გამოცხადა, კედელზე ჩამოკიდებული გაცრეცილი პორტრეტიდან ჩამოვიდა.

ახლა ინანა, რატომ მეტი გულისხმიერება არ გამოვიჩინეო. იქნებ მოენახა სადმე, ყოველივე გამოწვლილვით გაეგო, ეჭვები შეემონებინა. უნდოდა ვინმესთვის ეკითხა, მაგრამ ვისკენაც გაიხედა, ყველა შემოეცრიცა, გაქრა.

იმ მხარეს წავიდა, საითკენაც ჯარისკაცი გაუჩინარდა.

ვინრო, ჩაბნელებულმა დერეფანმა მომრგვალებულ

დარბაზში გაიყვანა. დარბაზის კედელი უზარმაზარ პანორამას ეჭირა. ზედ სამყაროს ხედი იყო გამოსახული, კოსმიური ხომალდიდან დანახული.

მირიადი ვარსკვლავი მოისწრაფოდა თითქოს ყოველი მხრიდან, გუგუნებდა, ტრიალებდა გალაქტიკა. შორეულ სიღრმეებს თეთრ ლაქებად აჩნდა სხვა გალაქტიკები. პანორამის ერთი ბოლოდან მეორე ბოლოსაკენ ვერცხლის ფანტელებივით მიექანებოდნენ ირმის ნახტომის ვარსკვლავები.

შუაგულში ოქროს მზე ბრდღვიალებდა, თვალის გასწორება ჭირდა. იქვე ნაყვავილარივით დანინკლული, ვერცხლისფერი მერკური მიცუცქულიყო. თეთრი პირბადე აეფარებინა სიცხისაგან გათანგულ ვენერას, პირისახეს არ აჩენდა. ლურჯად კამკამებდა დედამინა, ციცქნა მთვარე თითქოს ამ ლურჯ სარკეში იხედებოდა. სისხლივით ღვიოდა მრისხანე მარსი. გუნდი და გუნდი ასტეროიდთა შაქარყინულის ნამსხვრევებივით მიმოფანტულიყო. ყრუ გუგუნით ბრუნავდა ქურუში იუპიტერი. თეთრ სარტყელს ზომავდა სატურნი. სახედალარული დედაბერივით მილასლასებდა ნაცრისფერი ურანი. მაცოცხლებელ სხივებს ოდნავდა ირეკლავდა ნეპტუნი. პლუტონი ინთქმებოდა ბნელ კოსმოსში, მზიდან შვიდ მილიარდ კილომეტრზე და მის მონამლულ ღრუბლებში მზის სუსტი ანარეკლი თუ აღწევდა...

იქვე ახლოს, გვერდითა კედელზე, პაპუნამ ლილაკი შეამჩნია და თითი დააჭირა.

უმაღლვე მთელი პანორამა გაცოცხლდა, აივსო ხმითა და მოძრაობით. მრავალი ცთომილიდან ლურჯი პლანეტა გამოიჩინა, თანდათან გაიზარდა, გაიზარდა, მთელი კედელი დაიკავა. კარგად ჩანდა თეთრი ღრუბლების ქარავნები და ღრუბელთა ნახლეჩებს შორის, ცისფერი ნისლით მსუბუქედ დაფარული კონტინენტები.

მერე რაღაც უცნაურობა მოხდა. ეს უზარმაზარი ცთომილი თითქოს ნაღმს წაანყდაო, გრიალით აფეთქდა, უთვალავ ნამსხვრევებად დაიფანტა კოსმოსში და იქ, სადაც წუთის წინ პანორამა იყო გადაშლილი, პაპუნამ ჟანგიანი რკინის კარი დაინახა. ზედ ეწერა:

სახელურს დაეჯავჯურა. კარი მიძიმედ, ჭრიალით გაიხსნა. იმწამსვე ზედ ყურთან ტყვიამ გაიწივლა.

მოულოდნელობისაგან ადგილზევე ჩაცუცქდა, ორეული კი მთლად ძირს დაეცეკა. ჯერ ეგონა, თავს მესხმიანო, მაგრამ შორეულ სიღრმეში საშინელი გრიალი და ბათქაბუთი ატყდა. ალბათ, ჯობდა კარს მოშორებოდა. ცნობისმოყვარეობამ დააბა, მერე კი წინ უბიძგა. წელში მოხრილი პაპუნა, მოკლე გადარბენებით, როგორც ეს ფილმებში ენახა, პირდაპირ შუაგულ ჯოჯოხეთში შევარდა.

საკმაოდ ვრცელ დაბლობს მდორე და წყნარი მდინარე კვეთდა. შემალღებულ ხაბოს სანგრების წყება მიჰყვებოდა. შიგ ჯარისკაცები ისხდნენ, ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ცეცხლს უშენდნენ გაღმა ნაპირს. უფრო შორს ქვემეხები იყო ჩამწკრივებული, ჩახრინული ყეფით ცეცხლსა და ჭურვს ანთხევდნენ.

მეორე, უფრო მოვაკებულ ნაპირზე ტანკები მოგუგუნებდნენ, მუხლუხებით ხნავდნენ ატალახებულ, შავ მიწას.

ჭურვი პირდაპირ განაპირა ქვემეხს მოხვდა. რკინის ნამსხვრევები, ცეცხლი, ადამიანთა სხეულის ნაფლეთები ჰაერში აისროლა.

მდინარის გაღმა უკვე რამდენიმე ტანკი იწვოდა, სხვები კი ჯიუტად მობობლავდნენ.

გაისმა შორეული ყიჟინა. იქ, ტყისპირას ორი არმია ეკვეთა ერთმანეთს და ჯარისკაცები ხელდახელ იბრძოდნენ. მდინარე წითლად შეიღება, გვამებით აივსო.

პაპუნას კინალამ გულზე შემოეყარა. ორეული კი პირველი წუთიდანვე სველ კვალს ტოვებდა, თითქოს იმ ადგილას უზარმაზარ ლოქორას გაეველო.

თავზარდამცემი ნივილი მოისმა, თითქოს ჰაერი ორად გაიპო. პაპუნა ბალახში ჩაემხო, ხელები თავზე დაიფარა. მიწა თითქოს გადაქანდა. ზურგზე გოროხები და მტვერი დაეყარა. არ წამომდგარა, ისე გახობდა. დიდხანს მიიწევდა წინ.

თავი რომ აიღო, ლოდნარში აღმოჩნდა. ბრძოლის ხმაუ-

რი აქაც აღწევდა, მაგრამ ტყვია მაღლა ზუზუნებდა, პაპუნას ვერ მისწვდებოდა და სული მოითქვა.

ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო.

გორაკის მიღმა მშენებარე ქალაქი გამოჩნდა. ამწეები ჭრიალით ეზიდებოდნენ ტვირთს. ათასობით ხურო და კალატოზი აღმა-დაღმა მოძრაობდა ხარაჩოებზე. აქაც ხმაური და გუგუნი იდგა, მაგრამ ეს სატვირთო მანქანების, ამწეებისა და ბეტონსარევი დანადგარების გუგუნი იყო.

კარგა ხანს უყურებდა ამ ჩვეულებრივ და თანაც უცნაურ სურათს. ზურგსუკან ჯერ კიდევ ისმოდა ბრძოლის შორეული ხმები და ქალაქის ხილვამ გააოცა.

„ისინი ანგრევენ, ესენი აშენებენ!“ — ეს უფრო უაზრო თამაშს ჰგავდა, ვიდრე რეალურ ცხოვრებას.

„რომ არ ააშენონ, რა უნდა დაანგრიონ?“ — იქედნურად ჩაიქირქილა ორეულმა.

პაპუნა შებრუნდა. სხვა გზა არ იცოდა და ბილიკს უკანვე დაჰყვა.

კვლავ იმ ლოდნარში შევიდა.

თავი გამოჰყო. თითქოს არაფერი შეცვლილიყო. გაღმელებიც და გამოღმელებიც დაუნდობლად ანადგურებდნენ ერთიმეორეს.

ჯარისკაცს წაანყდა ანაზღეულად, თავის ნაცნობს მიამსგავსა.

დაჭრილი იყო, სისხლი სდიოდა. ხელში ხელყუმბარების შეკვრა ეჭირა. პაპუნამ დაუძახა, უნდოდა შეეჩერებინა, მაგრამ ჯარისკაცს არაფერი ესმოდა, მთლიანად ომის ყოვლისმომცველ ჟინს შეეპყრო. წამოდგა, ბარბაცით გასწია ტანკისაკენ.

პაპუნა გამოედევნა, მირბოდა და უხმობდა:

„მამა, მამა!..“

წაიბორძიკა, ქვა-ლორღში დაეცა.

ტანკი უზარმაზარი ჩანდა, ჯარისკაცი კი — ერთი ციცქნა. მუხლუხებით წამოიძარტა ფოლადის კოლოსი და მთელი სიმძიმით დაასკდა ზევიდან...

პაპუნას გული შეუღონდა. მერე თითქოს გონს მოეგო, მაგრამ არ ახსოვდა, როგორ გადაკვეთა ბრძოლის ველი,

როგორ მიაღწია რკინის კარამდე...

დერეფანში რომ აღმოჩნდა, მხოლოდ მაშინ წამოდგა. თავის ბინამდე ძლივს მილასლასდა...

10. პარასკევა

ლოგინზე გაუხდელად დაეცა, პირისახე ბალიშში ჩარგო. არაფრის თავი არა ჰქონდა. მშვიდი ძილი ყველაფერს ერჩივნა, მაგრამ რული არ ეკარებოდა და შეეცადა დინჯად დაეხარისხებინა უცნაური შთაბეჭდილებები, ჭეშმარიტი ახსნა დაეძებნა თავს გადახდენილი ფათერაკებისათვის. ამას ნათელი გონება სჭირდებოდა, მის ტვინში კი ყველაფერი ყირაზე იდგა, ნააზრევი ლოგიკას ვერა სწყალობდა და პარადოქსებით კმაყოფილდებოდა. უფრო დაქანცა გონებაზე ძალდატანებამ, ერთი აზრიც ვერ მიიყვანა ბოლომდე. ბურანში იძირებოდა თანდათან და უშფოთველ ძილს ნატრობდა, იმას კი ვერ ხვდებოდა, რომ ეს ნატვრა უკვე სიზმარი იყო. ორეულიც ამასვე ნატრობდა, მის ნაფიქრალს იმეორებდა სიტყვა-სიტყვით, ოღონდ საკუთარი განცდების ანალიზი მას არ ძალუძდა და თუ ტანში შეუცნობი თრთოლვა უვლიდა, მხოლოდ იმიტომ, დღევანდელი შთაბეჭდილებებიდან ერთადერთი განცდა რომ შერჩა — პარასკევას სალუქი მუხლისთავების სიგრილე. ამ ერთადერთ შეგრძნებას დანარჩენი წარეშალა და პაპუნა ძილში რომ ჩაიძირა, ორეული გამოეყო მის არეულ სიზმარს, იატაკზე ჩამოცოცდა და სააბაზანოსკენ გაგორდა. კანალიზაციის მილის გასწვრივ ხვრელი ამოეტეხა ვირთხას და ორეული იმ ხვრელში ჩავარდა. დიდხანს მიფრინავდა თავდაღმა და ძირს რომ მოადინა ძნეყვა, ცურცლის სუნი ეცა. ღრმა მიწისქვეშეთი ვირთხებს ხვრელებით დაექსელა. ძნელი იყო გზის პოვნა. ორეულს შიშიც თან წამოჰყვა, მაგრამ უტყუარი ალლოთი მიიკვლევდა გზას. კარგა ხანს იბორიალა ბნელ ლაბირინთში, ვირთხის ცურცლისა და გამოხრული ძვლების მეტი არაფერი შეხვედრია. მერე ერთგან ზონზროხა ვირთხა შემოეფეთა. გრძელ კუდს ძლივს მოათრევდა. ორეული შიშისაგან მთლად დაილია, თუმ-

ცა მას არც ფერი ჰქონდა, არც სუნი და ვირთხამ ვერც შეამჩნია. ორეულმა კი ბუნვის ნაზი შეხება იგრძნო და ელვისუსწრაფესად წინ გასრიალდა.

ერთგან თავი ამოყო ხვრელიდან. ვერ გაარკვია ვის ბინაში იმყოფებოდა. სიბნელეში წყვილს ეძინა. ერთი, ალბათ, მამაკაცი, ისე ხვრინავდა, ჭერს აზანზარებდა, მეორეს კი, ალბათ, ქალს, თავისი მენწყვილესათვის ხმა შეეწყო, საბერველივით ფშვინავდა. სხვაგან მოვხვდიო და უკანვე ჩაძვრა, უფრო იქით აიღო გეზი, სადაც მეტი ხვრელი იტოტებოდა. დირექტორის ნასუფრალი ხომ უფრო გემრიელი იქნებოდა და ვირთხებიც მეტად წაეტანებოდნენ.

სულ მალე უზარმაზარ სამზარეულოში ამოძვრა. ვეებერთელა ღუმელზე დაწმენდილ-დაპრიალებული საძროხე ქვაბები ეწყო და ნაირ-ნაირი საჭმელების სუნი ერთმანეთს შეზავებოდა. ადიკოს მეტს არავის ექნებოდა ამოდენა სამზარეულო და ორეული სწრაფად გაცუნცულდა, წუთში მთელი ბინა შემოირბინა, თუმცა იმოდენა იყო, ოთახები ვერ დაითვლებოდა.

საძილე ოთახში ღამის ნათურა ენთო და მხოლოდ ქალის წყნარი სუნთქვა ისმოდა, თითქოს ტყის მსუბუქი ნიავი ცაცუნობსო.

ორეულს გული აუჩქროლდა. სკამზე შეხტა, რათა უკეთ დაეხედა.

ფართო სარეცელს ნახევრად ანათებდა ღამის ნათურა და თანაბარი სინათლე მძინარე პარასკევას ეფინებოდა. მისი ღამაზი თმები ისე დაღვრილიყო ბალიშზე, თითქოს ცალკე ცოცხლობენ და ნაკადულივით განუწყვეტლივ მოედინებიანო. სახის უზადო ნაკვთები ძილის დროს უფრო სრულყოფილი ჩანდა. ორეულს მხატვრის მთელი ნიჭიერება პაპუნასათვის შეეტოვებინა, თვითონ კი მხოლოდ შიშველი ვნება დაჰქონდა თან. ახლაც დიდხანს არ უფიქრია. სკამიდან ჩამოხტა. სარეცელზე ფერხთით აცოცდა და თავი საბანქევშ შეყო. ასე გასრიალდა, კოცნით აჰყვა ფეხიდან. მუხლების სიგრილემ, მკვრივი მუცლის მხურვალეებამ, ქალწულებრივმა ძუძუებმა მთლად ააბანანა და თავდავიწყებით ჩაეტმასნა ქალს, თეთრ

კისერზე კბილები დაასო. გონდაკარგულს საფრთხე დაავინ-
ყდა, მაგრამ ამ დროს პარასკევამ ძილში ამოიკვნესა, გვერდი
იცვალა და კინალამ ქვეშ მოიყოლია.

ორეული გაინაბა, სული გაკმინდა.

ქალს გამოელვინა, მოუსვენრობამ შეიპყრო, თუმცა
ვერც ვერაფერს ხედავდა, ვერც ვერაფერს გრძნობდა.

სარეცელზე წამოჯდა.

„ჰეი, რა გინდოდა?“ — გაღიზიანებით შეეკითხა გვერ-
დით მწოლს.

იმას სიბნელე ფარავდა და ორეულს აქამდე არ შეუმჩნევია.

„ხომ არ გაგიჟდი, დედაკაცო!“ — კბილების უცნაური
ღრჭილით შეეპასუხა ადიკო.

„ვირთხის სუნი მეცა!“

„მე კი ადამიანისა!“ — ეჭვიანად თქვა ადიკომ.

„ადამიანს აქ რა უნდა, იმ დღეს მწერალს რომ ელაპარაკე,
იმის სუნი გამოგყვებოდა!“ — უკმაყოფილოდ გაანწყვტინა
პარასკევამ.

ადიკო წამოიმართა ჩხრიალ-ჩხრიალით. სინათლის ღი-
ლაკს თითი დააჭირა, ოთახი ააბრღვიალა.

შეხედა ორეულმა და თავზარი დაეცა.

პარასკევას გვერდით, სარეცელზე, ჩონჩხი წამომართუ-
ლიყო, საზარელ ყბებს ახრჭიალებდა. თვალის ცარიელი ფოს-
ოები იმ ადგილისათვის მიებჯინა, სადაც ორეული გაქრობას
ცდილობდა.

ორეული მთლად დაპატარავდა, მუჭისტოლა გახდა, სა-
რეცელიდან ჩამოგორდა და შეუმჩნევლად კვლავ ვირთხის
ხვრელში ჩაძვრა.

გადარჩენის სიხარულით თავბრუდახვეული მიქროდა და
სიცოცხლის მეტი ამ ქვეყანაზე არაფერი ენადა...

პაპუნას გამოელვინა. ვერ გაეგო რა ხდებოდა მის თავს.
სინათლე აანთო. ფანჯარაში გაიხედა, მაგრამ იქ არაფერი ჩან-
და. შუშაზე საკუთარ გამოსახულებას შეავლო თვალი. თმაგაჩე-
ჩილი და წვერგაუპარსავი ვერაფერი სანახავი იყო.

გაიხადა და ისევ ლოგინში ჩაწვა.

ღრმა, უსიზმრო ძილში დაინთქა. როცა გამოელვინა, სა-

ათს დახედა, გაუკვირდა. ის ლამეც და მთელი ის დღეც გასუ-
ლიყო. ნინუცა ბებიას შევეცოდე და იმიტომ არ გამაღვიძაო,
გაიფიქრა.

ნინუცა ბებიას ვახშამი მაგიდაზე გაუშლია, ზედ გაზეთი
გადაუფარებია და, ალბათ, „მოხუცთა კლუბში“ წასულიყო.

მარტომ ივანშმა. მერე სასეირნოდ გავიდა. უკვე დერეფან-
ში გაახსენდა, რომ პარასკევა ესიზმრა. არც ახალი გაზეთები
ჰქონდა ნაკითხული და ბიბლიოთეკისაკენ გასწია.

ვესტიბიულამდე მისულიც არ იყო, ჩხუბის ხმა მოესმა.
მამაკაცის წვრილი ხმა საყვედურებს რეჩიტატივით აფრქვევდა.

პაპუნა ბიბლიოთეკის კართან შეჩერდა, ჩხუბის ხმა იქი-
დან გამოდიოდა.

უცბად კარი გაიღო, უშანგი გამოვარდა საცობივით.
ეტყობა, ვილაცამ მოურიდებლად უბიძგა. პაპუნას შეეჯახა,
თორემ მარმარილოს ფილაქანზე გააფრთხობდა სულს.

„რა მოგივიდა, მეგობარო?“

უშანგი შეცბა. პირზე ნაძალადევი ღიმილი აიკრა, ტანისა-
მოსი გაისწორა, სევდიანად ჩამოშვებული კუდიც შეიმონმა,
ხომ არ მომანწყვტესო.

„ჩხუბია?“ — კვლავ შეეკითხა პაპუნა.

„ისეთი არაფერი, წავიბორძიკე!“ — თავი მოისაწყლა
უშანგმა.

„ერთი ეს მითხარი, თქვენთან რითი ერთობიან? დამსვე-
ნებლებს ვათვალისწინებ, არც ერთი ნაცნობი...“

„სამეჯლისო ბლოკში მიბრძანდით, თქვენ, ალბათ, არც
გსმენიათ სამეჯლისო ბლოკი!“

ბიბლიოთეკიდან გამოსული ხმადაბალი ჩხუბი უსაშვე-
ლო ღრიალში გადაიზარდა. კედლები თითქოს შეზანზარდა,
კინალამ შუშები ჩამოიფშვნა.

„ბოზო, ქუჩის ქალო!“ — ბუხუნებდა კაცი და ამ სიტყვებს
ისეთი ხმა მოჰყვა, თითქოს ჟოკეი ტყავის მათრახს ატკაცუნებდა.

უშანგი გაფითრდა, ცახცახმა დაუარა, სწრაფად გაშორ-
და პაპუნას, შიშისაგან კუდი მთლად ლაჯებში შეემალა.

ორეული აწრიალდა, ყოველ გატკაცუნებაზე ისე შეთრ-
თოლდებოდა, თითქოს ბეჭებზე ხვდებოდა ტყავის მათრახი.

პაპუნამ ერთომა დამალა, კარს მიაწვა და, სანამ მოიაზრებდა, როგორ მოქცეულიყო, მტვრის ბუღში აღმოჩნდა, თაროებიდან გადმოყრილ წიგნებს რომ დაეყენებინა.

კედელთან მშვენიერი პარასკევა იდგა. საკინძე ჩამოხეოდა, ქათქათა ძუძუ მოუჩანდა.

დირექტორი ადიკო ცოფს ყრიდა, ესესელის კიტელზე ლილები ასწყვეტოდა, ოფლი ხვითქად გადმოსდიოდა, ხელში სამპირი მათრახი ეჭირა, შეუბრალებლად უტყლაშუნებდა და ღრიალებდა:

„ბოზო, ქუჩის ქალო!“

ქალი ხმას არ იღებდა. ერთი კვნესაც არ დასცდენია. ჩაშრეტილი თვალები სივრცისათვის მიეპყრო.

მხოლოდ ერთხელ გახსნა ბაგე, ერთადერთი სიტყვა მიუგო:

„ცვედანი!“

ადიკომ თავზე ხელი იტაცა, იატაკზე დაჯდა, ბავშვივით აზღუქუნდა.

ქალს ბაგე ზიზლით მოეხაზა, კედელს მოსწყდა, ატირებულ კაცს აუარა.

პაპუნამ არ იცოდა რა ეთქვა, თვალს ვერ ამორებდა ქალის მოშიშვლებულ სხეულს, ზოლებად დამჩნეულ ნამათრახევს.

ადიკომ ტირილი უცბადვე შეწყვიტა. კვლავ იატაკზე იჯდა და ბრაზისაგან იბერებოდა. მალე უზარმაზარ კასრს დაემსგავსა და კიტელი შემოასკდა.

პაპუნა შეკრთა, ამ გიგანტის აბობოქრება საშიში უნდა ყოფილიყო.

ადიკომ კი ადლიანი ცხვირსახოცი დააძრო, ცხვირი ხმაურით მოინმინდა, წუთში დაიშრიტა, პატარა მაიმუნს დაემსგავსა. ბენვიანი, გამხდარი ხელები პაპუნასაკენ გაიწოდა, ჩიტვით ჩაინკვიტინა:

„უთხარი რა, შენ მაინც უთხარი!“

„მორჩი ერთი!“ — მკაცრად მოუჭრა ქალმა. ჩამოხეული საკინძე აინია, მეორე ხელი პაპუნას გამოსდო მკლავში და გვერდითა კარისაკენ გაიტაცა.

პაპუნა უკან-უკან იხედებოდა, ნაბიჯს ითრევდა.

ადიკო ისევ ისე იჯდა, თვალებს იფშენეტდა, თან რაღაცას უთავბოლოდ ბურტყუნებდა. მალე იმ ადგილას ნაცრისფერი კვამლი დატრიალდა, აქანავდა.

ამასობაში პაპუნა ქალმა გვერდითა კარში გაათრია და ბნელ გვირაბში აღმოჩნდნენ. კაცი მიენდო ქალის ხელს. მკლავზე გრძნობდა მკვრივი, ცხელი ძუძუს შეხებას და გონება ებინდებოდა.

უცბად განათდა. ისინი პაპუნას ოთახში აღმოჩნდნენ.

შიშნარევი მღელვარებისაგან კაცს მუხლები უთრთოდა. ორეულს კი გული შეუღონდა და გონს ვერ მოდიოდა.

ქალმა ხმადაბლა ჩაიცინა, თითქოს ეყვანმა გაინკარუნა.

„როგორ დავიღალე“, — ნიავევით წაიჩურჩულა, სავარძელში ნებიერად მიესვენა.

პაპუნა კარამდე ძლივს მივიდა, ნინუცა ბებიამ არ შემომისწროსო, გასაღები გადააბრუნა.

როცა შემოტრიალდა, ქალს უკვე ღრმა ძილით ეძინა. მოლიავებულის, ქათქათა მკერდი მსუბუქად აუდ-ჩაუდიოდა. დაფხრენილი კაბიდან ურცხვად გამოფენილი შიშველი სითეთრე თვალსა ჭრიდა. სწორი ფეხები ისე გაეშხვართა, კაცს ძალღონის დაძაბვა მოუხდა, რათა მზერა მოერიდებინა. წყალი დაისხა. ცივმა წყალმა მცირედ დააცხრო და ახლა უკვე რცხვენოდა თავისი მღელვარებისა.

თვითონაც სავარძელში ჩაჯდა, თვალს არიდებდა მაცდურ ხატს, თან კი უჩუმრად შემოპარულ ძილს ებრძოდა.

უსაშველოდ გაინელა ბნელი ღამე.

ნადირის ღმუილი ესმოდა საიდანღაც. თითქოს ფანჯრებქვეშ დადიოდა საზარელი ურჩხული და სისხლგამყინავი ხმით ყიოდა. ამ საშინელ ბგერებს უცბად სასონარკვეთილი კვილი დაერთო და პაპუნას გამოეღვიძა.

მარტო იყო.

ცის კიდეზე კვლავ ამოდიოდა მუშტისტოლა, წითელი მზე...

ფიქრიდან ვერაფრით ამოიგდო. ლოგინიდან წამოდგომა შეეზარა. იწვა თვალდახუჭული. მეხსიერების ასპარეზზე

კვლავ და კვლავ წარმოესახებოდა პარასკევას მშვენიერი ნაკვთები. რცხვენოდა ამ არცთუ წმინდა ზმანებისა, მაგრამ თავი ვერაფრით დაეღწია ტკბილი ტყვეობიდან. ქალის სალუქი სითეთრე და ჰარმონიული სისავსე გონებას უბინდავდა. ისევ და ისევ ახსენდებოდა სამოსიდან ურცხვად გამოფენილი, წარმტაცი საცდური და არ იცოდა, რითი დაეთრგუნა მწველი ვნება. ფიქრით თათულისაც მისწვდა, მაგრამ ამ დროს ცოლის გახსენება ურცხვობის ნიშანი უფრო იყო და სინდისმა გაანამა.

მოულოდნელად ტელეფონმა დარეკა. სანოლის თავთან, ყურნალის მაგიდაზე იდგა აპარატი.

„გძინავს, ძამიკო?“ — ადიკოს ჩახრინნული ხმა უმალიცნო.

„ჰო, დილის ძილი გამიტკბა!“ — ნაძალადევი მხიარულებით შეეპასუხა.

„ხომ არ მოინყინე?“

„თანდათან ვეგუები!“ — იცრუა.

„გუშინ მე და ჩემი მეუღლე ცოტათი წავკინკლავდით...“

„უბრალო ხუმრობად ჩავთვალე!“ — თვალთმაქცობა არჩია პაპუნამ.

„ჩვენ უკვე შევრიგდით და ახლა ჩაიზე გეპატიჟებით... მსახური გამოგიგზავნეთ!“

სანამ უარს მოახერხებდა, ტელეფონი დადუმდა.

სანოლიდან წამოხტომა ძლივს მოასწრო. კედელი იმ ადგილას გაიხსნა, საიდანაც წუხელ პაპუნამ და პარასკევამ შემოაღწიეს. ახლა იქიდან უშანგი გამოცუნცულდა. კუდს გამეტებით აქიციებდა და თუმცა ცდილობდა, სიხარული გამოეხატა, სახე მაინც ჩამოსტიროდა. ვირთხის სუნი სდიოდა და პაპუნამ ზიზლი იგრძნო.

„გააჩერე ეს კუდი, რას აქიციებ ნეტავი!“ — გულმოსულად უთხრა.

უშანგმა ფარისევლურად ჩაიხითხითა და კუდი უფრო სწრაფად აამოძრავა.

გვირაბში ორ ნაბიჯზე მოჰყვებოდა. სიბნელეში, ფეხის ხმის ნაცვლად, თათების ფაფუკი ბათქუნი ისმოდა და აქამდე

მძინარე ორეული გამოერკვა, აწრიალდა, საფრთხე დალანდა. პაპუნამ თავი მოითოკა, მღელვარება ოდნავადაც არ დასტყობია. იცოდა, უშანგის სულში მხოლოდ პატარა მხეცუნას იპოვიდა, ამიტომ შიგ ჩახედვას არ დახარბებია.

წინათგრძნობამ უბიძგა. ბნელ მოსახვევში უცბად მოტრიალდა და ნახტომისათვის გამზადებული უშანგი ზედ გადაანყდა. პაპუნამ უხმოდ ჩაბლუჯა, კედელს მიაკრა. უშანგი სუსტ წინააღმდეგობას უწევდა და საცოდავი, მოგუდული ჩხავილი აღმოხდა.

„გამიშვი, მეტკინა!“

პაპუნას შერცხვა, არ ეგონა ეგზომ სუსტი თუ იქნებოდა.

„მეორეჯერ მიფრთხილდი!“

„პარასკევას მოეშვი რა, — აწუნუნდა უშანგი, — ქალების მეტი რა ყრია, სამეჯლისო ბლოკი სავსეა!“

პაპუნამ არაფერი უპასუხა.

გზა უხმოდ განაგრძეს. გვირაბის ბოლოს უშანგმა მკლავზე მოუთათუნა.

„არ გამცე, თორემ დავიღუპები!“

პაპუნამ მხრები აიჩეჩა. კარი შეაღო და დარბაზში აღმოჩნდა.

პარასკევა და ადიკო სპილოს ძვლის მომცრო მაგიდას უსხდნენ. ზედ ტკბილეული და რამდენიმე ბოთლი შამპანური ეწყო. ქალს სადედოფლო კაბა უხდებოდა. თავზე ძვირფასი თვლებით მოოჭვილი გვირგვინი ედგა. ადიკოს ბაკენბარდები ჩამოეზარდა, ხშირი, ჭალარა უღვაშები მოერგო. ტანზე ისეთი ფორმა ეცვა, გენერალსა და შვეიცარს შორის სადავო რომ გახდებოდა.

უშანგმა კარი მიხურა, პაპუნა კი მაგიდას დინჯად მიუახლოვდა.

ადიკო წამოდგა. მტკაველა ფეხებზე იდგა, ტანით კი მაინც პაპუნაზე მაღალი ჩანდა. ხელი რომ ჩამოართვა, ისეთი ცივი ჰქონდა, პაპუნას თითები მსუბუქად მოეყინა და მერე მალულად ისრესდა.

პარასკევამაც გამოუწოდა თავისი ლამაზი ხელი. პაპუნა ზედ ეამბორა და ამ დროს ადიკოს ბოროტი მზერა იგრძნო. დირექტორს არაფერი უთქვამს, შამპანურის ბოთლი

ხმაურით გახსნა, ჭიქები შეავსო.

უხმოდ შესვეს. საუბარი არ გამოსდიოდათ. პაპუნამ გადანყვიტა, რაც შეიძლება თავდაჭერილი ყოფილიყო, ყოველი სიტყვა გამოეზომა. მასპინძლებიც თავს იკავებდნენ ზედმეტი ლაპარაკისაგან. ადიკო ფიქრში ჩაძირულიყო, პარასკევა კი მომაჯადოებლად ილიმებოდა.

„შვილი გყავთ?“ — იკითხა ადიკომ.

კითხვა მჭახედ გაისმა და მოულოდნელი იყო პაპუნასათვის, რადგან საფრთხეს სულ სხვა მხრიდან მოელოდა.

პასუხად თავი გააქნია. ახლა იფიქრა, იქნებ ყოველი მისი სანუხარი ამისგანაა. ჭყონიების სისხლში გამჯდარი ინსტიქტი უჯანყდებოდა უშვილობას.

„შვილი კარგია, — სევდა დაეუფლა ადიკოს, — მე რომ ბიჭი მყავდეს...“

„დაიწყო ახლა ნუნუნი, — უკმაყოფილოდ გაანყვიტინა ქალმა, — უცხოსი მაინც მოგერიდოს!“

„ეჰ, პატარა ადიკო რომ მყავდეს, გოდორა ბიჭი, მოკლე ფეხებზე რომ დაბაჯბაჯებს...“

პაპუნა გაოცებული უსმენდა. კიდევ უფრო გაოცდა, ადიკოს თვალში ცრემლი რომ შენიშნა.

მელანქოლია გადამდები აღმოჩნდა და სამივე დადუმდა.

ადიკომ თავისთვის დაისხა. სტუმრის სასმისი დაავინყდა. პაპუნამ ახლალა შეამჩნია კუთხეში ჯარისკაცებივით ჩამწკრივებული შამპანურის ცარიელი ბოთლები.

„თათულის არ ეჩქარებოდა, — უნებლიეთ თავი იმართლა, — ჯერ უმაღლესს დავამთავრებო, ახალგაზრდები ვართ, მოვესწრებითო...“

„ყურადღებას ნუ მიაქცევ! — ხელზე ხელი ნაზად დაადო პარასკევამ. — სიმთვრალეში სევდიანი ხდება, ცრემლად იღვრება...“

ადიკომ ცოლის ნათქვამს ყური არ ათხოვა. ერთი ჭიქაც გადაკრა და თავი მაგიდაზე მიდო.

„აბა, ესაა ცხოვრება? ჩემისთანა ქალი ამ ყაჩაღის ხელში...“ — გაიხუმრა პარასკევამ და ხელი მოუჭირა.

პაპუნას თითქოს დენმა დაუარაო, თრთოლვა ძლივს შეიკავა, მაგრამ ადიკოს რიდი მაინც შერჩა.

„ანი კარგა ხანს ვერ გამოიღვიძებს. იქნებ გვეცეკვა?“

პარასკევა დაუზარებლად წამოდგა, კუთხისაკენ გაემართა. იქ, მაგიდაზე, მაგნიტოფონი იდგა და კლავიშს თითი დააჭირა. ჩანანური ცოტათი მოძველებული აღმოჩნდა, მაგრამ პაპუნასათვის სულ ერთი იყო.

ქალს წელზე ხელი მოჰხვია, აუჩქარებლად ამოძრავდა.

პარასკევა აეტმასნა, ჩაეხუტა, თავი მკერდზე მიადო და ამ დროს მისი თმები ჩანჩქერივით გადმოიღვარა. კაცმა სახე თმებში ჩამალა, მისი გრილი სილბო აგიჟებდა. ქალის დრეკადმა წელმა, მკვრივმა ძუძუებმა, მუხლების მაცდურმა ხახუნმა წონასწორობა დააკარგვინა.

უძლეველ ვნებას შეეპყრო პაპუნა და მზად იყო ნუთიერი ნეტარებისათვის სამყარო გაეჩუქებინა.

ამ დროს ადიკომ ხვრინვა ამოუშვა და პაპუნა გონს მოეგო.

„საცოდავი, ისე უნდა ბავშვი“, — თავი აიღო პარასკევამ, კაცს კისერზე მკლავები შემოაჭდო, თვალეში ჩახედა.

ქალის ქუთუთოებში მარადიული სიბერე ჩანდა და პაპუნამ საფრთხე იგრძნო, თუმცა ჯერაც ვერ განეჭვრიტა, რანაირ ხაფანგს უგებდნენ. მიხვდა, ეს მშვენიერი სხეული და ნორჩი სახე საფარი იყო, რაიც უცვლელ და უნაყოფო მატერიას ფარავდა, რადგან მხოლოდ ცვალებადი მოიღებს ნაყოფს.

თათული დაუდგა თვალწინ. ცოლის სახეზე, ალბათ, მეტი ნაოჭი დაიძებნებოდა, მაგრამ იმ ყამირზე ჯერ კიდევ ამოვიდოდა მწვანე ჯეჯილი, აქ კი უდაბნოს ცხელი ქვიშის მეტს ვერაფერს იხილავდა.

ზედ ზღურბლზე შეჩერდა. იმის იქით ოთახი იყო და თეთრი სარეცელი იხმოზდა.

პარასკევა მკლავზე ჩააფრინდა, მღელვარებით შეეხვეწა: „მაჩუქე შვილი!“

„არა! — მტკიცედ მოჭრა პაპუნამ, ქალის ხელი მოიშორა. — ჩემს შვილს ჯერ იქ არ უცხოვრია, მწვანე სანახებში!“

შებრუნდა და გასასვლელისაკენ გაემართა. უკან არ მოუხედავს, მაგრამ გრძნობდა, ადიკოს ბოროტი მზერა ზურგს უბურღავდა.

კარი თავისთავად გაიღო. მის უკან უშანგი ატუზულიყო.

სიხარულს ვერ მალავდა. კუდს გამეტებით აქიცინებდა. „აქეთ!“ — გრძელი დერეფნისაკენ ანიშნა. პაპუნას მისდა უნებურად შეებრალა უიმედოდ შეყვარებული ყმანვილი, რბილ ბენვზე გადაუსვა ხელი. უშანგი წამით გაიტრუნა, უცბად კარში გასხლტა და მიიხურა.

პაპუნა გვიან მიხვდა, ლაბირინთის დასაწყისში რომ იდგა...

11. *ლობორინი*

კარის გაღება არც უცდია. ხაფანგი რაკი დაიხურა, აქედან თავის დაღწევა არც ისე იოლი იქნებოდა. ამიტომ მიჰყვა გრძელ დერეფანს. სწორი, თეთრად შეფეთილი დერეფანი მალე დაიტოტა. არსად ნათურა არ ეკიდა, არც კარი აჩნდა და არც სარკმელი, თანაბარი, მშვიდი სინათლე კი იდგა. გზის გასაყართან წამით შეყოყმანდა, არ იცოდა რომელი ერთი აერჩია. სადმე მაინც ხომ გამიყვანსო, იფიქრა და ინსტინქტს მიენდო, საითკენაც უკარნახა, იქით გასწია. დერეფნების გაუთავებელი ხლართი იკლაკნებოდა, ტყდებოდა, ერთურთს კვეთდა, იტოტებოდა. ზოგი დერეფანი ყრუ კედლით მთავრდებოდა, ზოგიც წრეზე ატარებდა, საიდან გამოვიდა, კვლავ იქითკენ აბრუნებდა.

კარგა ხანს დადიოდა ასე. არაქათი გამოეღია. მწვავე შიმშილი იგრძნო. ნებისყოფას მოუხმო, შიშს არ უნდა მისცემოდა, მაგრამ დაფეთებულ ორეულს ვერ მოერია, გაუსხლტა, ბრმად ეხლებოდა კედლებს, ზედ იჩეჩქებოდა, მთლად დაეკარგა გონი. სული ეხუთებოდა, ჰაერი არ ჰყოფნიდა, თითქოს ეს ვრცელი, დღესავით განათებული დერეფნები ყოველმხრივ დაგმანული ყოფილიყოს.

„ლაჩარი!“ — თავისთავს მიუსაჯა პაპუნა ჭყონიამ.

სულის მოსათქმელად შეყოვნდა. ცივ კედელს მიეყრდნო ზურგით. თვალი დახუჭა. ყოველივე უნდა აენონა, გონებით ჩასწვდომოდა, მაგრამ იმედისმომცემი ვერაფერი მოიაზრა.

თვალი გაახილა. მის წინ, იატაკზე ვირთხა ჩაცუცქულიყო და შემოსცქეროდა თვალებით — წვრილი მძივებით.

პაპუნამ ფეხი დაუბაკუნა. ვირთხა ზანტად შებრუნდა. დინჯად მიჰქონდა მსუქანი, თამთამა სხეული, გრძელი კუდი მისთრევდა.

გზა განაგრძო. ვირთხა დაავიწყდა. ერთფეროვან დერეფნებს აკვირდებოდა, რათა მათს განლაგებაში რამენაირი კანონზომიერება აღმოეჩინა.

ერთგან გვერდით გაუხვია და შეძრწუნებული უკანვე გამოვარდა. მოსახვევში გვამი ეგდო და ვირთხები მისეოდნენ.

სირბილით გაშორდა იმ საშინელ ადგილს. საკმაო მანძილი გაიბინა და მაშინ მოიხედა. კვლავ ის პირველი ვირთხა დაინახა. იქნებ ის არც იყო, მაგრამ წვრილი თვალებით ზუსტად იმნაირად უყურებდა. ვირთხა მის კვალზე მოცუნცულეზდა, არც უახლოვდებოდა, არც ჩამორჩებოდა. პაპუნა რომ შეჩერდა, ისიც შეჩერდა, როცა დაიძრა, ისიც გამოედევნა.

ფეხს აუჩქარა პაპუნამ. უნდა გასცლოდა მდევარს. მაინცდამაინც რას დაუშავებდა ერთი ვირთხა, მაგრამ წელანდელმა სურათმა დაზაფრა, მოსალოდნელ საფრთხეს მიახვედრა.

გადამკვეთი დერეფნიდან იმ ვირთხას მეორე დაუამხანაგდა და ახლა ორნი მოცუნცულეზდნენ ჩუმი წრიპინით.

მერე მათ მესამე დაემატა, მეოთხეც...

ისე სანყალობლად წრიპინებდნენ, თითქოს რაღაცას შესთხოვდნენ...

პაპუნა გაიქცა. რამდენჯერმე გამოხრულ ჩონჩხს წაანყდა, არც შეყოვნებულა, ზედ გადაეველებოდა და ისევ გარბოდა. ერთგან ფეხიც კი წამოჰკრა. ჩონჩხი დაიფშვნა, მტვრად იქცა. პაპუნა კინალამ წაიქცა, მაგრამ თავი შეიმაგრა და ისევ გაიქცა.

ორეულს შიშისაგან გული შეუღონდა, აქოშინებულ პაპუნას უჭირდა მისი თრაქვა, მაგრამ არც ვირთხების საჯიჯგნად ემეტებოდა.

უკან არ იხედებოდა. დერეფანს ავსებდა პანია ფეხების პაკაპუკი, თხოვნაგარეული წრიპინი. ხვდებოდა, აურაცხელი ვირთხა მოსდევდა ფეხდაფეხ და გაჩერება არაფრით შეიძლებოდა.

იგრძნო, პატარა მხეცის დრუნჩი შეეხო ქუსლზე, ფეხ-

საცმლის ლანჩი მოუსინჯა კბილებით.

პაპუნამ უკანასკნელი ღონე დაძაბა, რათა გაესწრო და ყრუ კედელს წაანყდა...

(მასალები რომანისათვის)

„...ლამის ცვლა ორ საათზე იწყებოდა. ჭაბუკი ცდილობდა წაძინება მაინც მოესწრო და ადრე წვებოდა, მაგრამ ამ დროს ძილი არ მოდიოდა, ყველა საფიქრალი ერთბაშად მოანვებოდა. ძველ გატაცებებზე ფიქრი კარგა ხანია შეწყვიტა. თავისი ბავშვური ფათერაკები ახლა სხვანაირად ეჩვენებოდა, იგი უფრო წიგნში წაკითხულ ბუნდოვან თავგადასავლებს აგონებდა. საბოლოოდ დარწმუნდა, ვერასოდეს იპოვიდა, რასაც ეძებდა. ამიტომაც მისი გონება იმ ყოველდღიურისა და ჩვეულებრივის ირგვლივ ტრიალებდა, რაც ადამიანთა უმრავლესობის ძირითადი საფიქრალია: უნდა ემუშავა, მაგრამ ისე, წელი რომ არ მოენწყვიტა, ჯანმრთელობა ისედაც საკმარისად შეეღაზა და დღეგამომშვებით პოლიკლინიკის ახალგაზრდა ექთანს განაფული ხელით ვიტამინ ბ-12-ს უკეთებდა. ოღონდ ის იყო, თუ თავს დაიზოგავდა, დიდ ხელფასს არავინ მისცემდა და ამ წინააღმდეგობას ვერაფერი წამალი ვერ მოხსნიდა. ხანდახან ფიქრით ნაკლებ მერკანტილურ სფეროს გადასწვდებოდა. ხომ უნდა ჰქონოდა მის არსებობასაც მიზანი, ცხადია, არა ისეთი გრანდიოზული, ცამდე ასული, რასაც ბავშვობის ოცნებები კვებავდა, მაგრამ მთლად უმიზნო არსებობის გამართლება არ შეეძლო. ამიტომ აირჩია ყველაზე უმტკივნეულო საშუალება, ერთგვარი ხიდი ბავშვობიდან მომავალში — უმაღლესი სასწავლებელი, რამაც ყოფიერებას აზრი მისცა... საღამო სკოლის მოსაწყენი გაკვეთილები ართმევდა ძილისათვის განკუთვნილ მცირე დროსაც. მის ყოფილ თანაკლასელებს უმაღლესი უკვე მოელიათ, ინჟინრებად, დირექტორებად, მმართველებად, კაბინეტების ტყავადაკრულ სავარძლებში ისხდნენ. მსუბუქი მანქანები, ზომიერი ღიპი — ნიშანი სოლიდურობისა და მყარი საზოგადოებრივი მდგომარეობისა — მათს კეთილგანწყობას მეტ წონას აძლევ-

და: „რავა ხარ, ჯიგარო, ენევი ცხოვრების ჭაპანს?“ დიახ, ლაკადის ძირას გაშენებულ დაბაში ენეოდა ჭაპანს. საერთო საცხოვრებლის ცივ ოთახებს შეკედლებულს კვლავ მარტოობა ღრღნიდა და უჩუმრად მიჰქონდა თავისი ხვედრი — მუშაობა, სკოლა, ძილი...

ლამის ცვლამდე კიდევ იყო დრო, მაგრამ ძილი არ მოდიოდა. კედლისაკენ შებრუნებული ჭაბუკი ცდილობდა ფიქრი განედევნა. დღევანდელი გაკვეთილის ტექსტი აეკვირებოდა. ეს გაკვეთილები ღიმილს უფრო ჰგვრიდნენ. მასწავლებელი დამფრთხალი შეჰყურებდა, რაიმე სისულელეში არ გამოიძვროსო. ახალგაზრდა მასწავლებელი ასაკით უმცროსი იყო, თვალი გათხოვებაზე ეჭირა და ცდილობდა თავი გამოეჩინა. ჭაბუკის განაფული სმენა უმაღვე აღნუსხავდა ცრუ ჟღერადობას, რაზეც ორეული ქირქილებდა, მაგრამ ჭაბუკს ბუნებრივი თავშეკავება არ ღალატობდა და მშვიდი, უფრო კი სევდიანი, თვალთ შეჰურებდა მასწავლებელს, ამ დროს კი ფიქრს ქრესტომათიული ჭეშმარიტებებიდან მიღმურ სამყაროში გადაჰყავდა.

ორეული აქ აეტმასნა, ბიბლიოთეკაში. წიგნის თაროებს შორის, ვინრო გასასვლელში იდგა და ერთმანეთს გვერდი ვერ აუქციეს. ჭაბუკი რა წიგნსაც ეძებდა, ორეულს ეჭირა ხელში და, თუმცა უკულმა, მაინც გულმოდგინედ ჩაჰკირკიტებდა. ჭაბუკმა ინტერესი იგრძნო, ოღონდ არც ისე ძლიერი, რომ უხილავი ზღუდე გადაეღაზა. ორეულმაც თვალი შეავლო, ზედმეტი ცნობისმოყვარეობა არც მას გამოუვლენია, წამით განასკვული ძაფი უმაღვე განყდა, ორივე საკუთარ ინტერესთა წრეში ჩაიკეტა.

მეორე შეხვედრაზე ორეული ალაპარაკდა. პირველივე სიტყვები თითქოს აღმოჩენა იყო, რადგან შეხების მრავალი წერტილი იპოვეს. ისინი ტყუპისცალებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, მაგრამ ჭაბუკმა ვერ გაიაზრა, ორ ელექტრონს შეიძლება სხვადასხვა მუხტი ჰქონდეს — დადებითი და უარყოფითი. მაცდური გულუბრყვილობით ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდებოდა ორეული და ჭაბუკი გონს რომ მოეგო, უკვე გვიანი იყო, ორეული უკვე მასში სახლობდა. თავისი ყოველი კაპილარი ჭაბუკის კაპილარისათვის შეეერთებინა და ისე მოხერხებულად

იკვებებოდა, ჭაბუკს ტკივილის შეგრძნება არც დაჰხადებია.

ახლა ორეულს ეძინა. ყოველთვის ჭაბუკზე ადრე იძინებდა. მისი ფშვინვა მარტო ჭაბუკს ესმოდა და თვითონ ძილი უტყდებოდა. უძილობა ანამებდა, თავბრუს ახვევდა. ხანდახან ისე გამოითიშებოდა, მის მაგიერ გარე სამყაროსთან ორეული ამყარებდა ურთიერთობას. ის კი წვრილმან ლალატს იყო ჩვეული. ჭაბუკის ბუნებას სულ სხვანაირად წარმოსახავდა, სიკეთეს ღვარძლად წარმოუჩინდა. მერე, საქმე საქმეზე რომ მიდგებოდა, თვითონ სადღაც კუნჭულში მიიმალებოდა და მსაჯულთა წინაშე ჭაბუკს დატოვებდა ბოდიშების არცთუ მდიდარი მარაგით.

ამ ფიქრში ძილი მართლაც წამოეპარა. რაღაცნაირ ქაოტურ სიზმარში ჩაიძირა, საიდანღაც ორეული თავს შველოდა და მიწიერ ვნებათა დასაკმაყოფილებლად სადღაც მიიპარებოდა: ეძებდა შრომის წილ სიზანტეს, სულის წილ — ნუგბარ ტკბილეულს, სიყვარულის წილ — სიძვას... ჭაბუკი ცდილობდა დაეთერგუნა ორეული, მაგრამ ნებისყოფა არ ჰყოფნიდა და ხშირად თვითონ მარცხდებოდა.

მანქანის გუგუნმა გამოაფხიზლა, ზედ ყურისძირთან მოასიგნალა. დარეტიანებული წამოვარდა. წამწამები დაწებებოდა და თვალის გახელა უჭირდა. ბრმად აფათურებდა ხელს, ჩუმად იცვამდა, რათა დაღლილი ამხანაგებისათვის ძილი არ დაეფრთხო...

ბნელი ღამიდან გამოვარდნილი ცივი ქარი ეკვეთა, კინალამ კალთა შემოახია, სახეზე სუსხი შეატოვა. ჭაბუკს ვერ მოერიდა და სახურავზე ავარდა, იქ სანახევროდ მოგლეჯილი თუნუქი ააბათქუნა.

პატარა, ძველებური გამოშვების ავტობუსი მორჩილად თუხთუხებდა და ღამის ცვლის მუშები მისკენ გარბოდნენ.

ბოლო სკამზე დაჯდა და ორეულმა უმაღვე ძილქუშში ჩაითრია.

თვალი რომ გაახილა, ავტობუსი ბნელი ხევის თავზე მიცოცავდა. ქვევით უჩინარი ენგურის შხუილი ამოდიოდა. მანქანის ფარები სიბნელიდან იტაცებდა ასფალტს, მთის მორღვეულ ფერდს, ობოლ, ტექნიკის მოძალეებით დაჩაგრულ ნაძვებს...

მერე წინ გაიელვა. სადღაც შემდულელი მუშაობდა და თეთრი ცეცხლი კაშკაშებდა, ნაპერწკლებს ფანტავდა.

კაშხალის დასახლების ფინური კოტეჯები ზედ წყლისპირას იყო ჩამწკრივებული.

ბეტონის ქარხანაში გუგუნებდა ბეტონმზელი დანადგარები, ნელი, თანაბარი ზუზუნით მოძრაობდა ტრანსპორტიორი...

გვირაბის უზარმაზარი თალი უცაბედად გამოიკვეთა. მთის გულისაკენ შეჭრილიყო უზარმაზარი პარალელოპიპედი. ჭაბუკი მუდამ ერთნაირი განწყობით უახლოვდებოდა გვირაბს, თითქოს საკუთარი ფეხით შედიოდა ლევიათანის ხახაში...“

პაპუნამ უკანასკნელი ღონე დაძაბა, რათა გაესწრო და ყრუ კედელს წაანყდა.

თავზარდაცემული შემოტრიალდა.

მთელი დერეფანი, სანამ თვალი გასწვდებოდა, ვირთხების ლაშქარს დაეფარა, ერთმანეთზე გადმოდიოდნენ, იგორგლებოდნენ, პაპუნასაკენ მოინევენდნენ.

აზრი განყდა. სხეულმა შეგრძნება დაკარგა. სასიცოცხლო ენერგია მუშტივით შეეკუმშა. აღშფოთებით წამოიმართა, წუთიც და დაერეოდა საზიზღარ არსებათა გორგალს და უცებ გვერდით კედელი გაიხსნა.

„აქეთ!“ — მკლავზე მოჰქაჩა პატარა ვერონიკამ. კაცი ერთი ნახტომით კედელს მიღმა გადავარდა და გოგონამ კარი სწრაფად მიგმანა.

სიგიჟის ზღვარზე მისული პაპუნა ჭყონია ძირს დაემხო, მის წინ ჩაცუცქულ ვერონიკას ბავშვურად გამხდარ მუხლისთავზე აკოცა.

„ადე, ვიჩქაროთ!“ — ვერონიკამ ხელი გამოუნოდა და პაპუნა მორჩილად მიჰყვა თავის მხსნელს. ჯერაც მუხლები უკანკალებდა, საოცარ სისუსტეს გრძნობდა, გული ერეოდა. საშიშროება თითქოს აღარ ჩანდა, მაგრამ შიში მაინც არ ტოვებდა. ლაბირინთის თეთრად გაქათქათებულ კედლებს მიღმა მირიადი მხეცუნას ფუთფუთი ელანდებოდა. ორეული მთლად გადაირია. ისტერიულად ქვითინებდა, იმდენი ცრემლი

ღვარა, პაპუნას გული თბილ აბაზანაში ჩაიძირა.

თანდათან დამშვიდდა და ახლალა შეათვალა გოგონა. სიარულის დროს მხოლოდ მის პროფილს ხედავდა. პირისახე ერთხელაც არ შემოუბრუნებია, წინ იყურებოდა, რათა გზას არ ასცდენოდა. პროფილში კი განსაკუთრებული თითქოს არაფერი იყო. მაგრამ პაპუნამ იგრძნო, მოზარდის ამ სახეს რალაცნაირი სათუთი, თბილი შუქი ეფინა, იგი ასხივებდა შინაგან სილბოს, გულუბრყვილო, ბავშვურ სიკეთეს, მისი ნაკვთების მეტყველი ჰარმონია დამუხტული იყო სინაზითა და ნაურყვნელი სიყვარულით.

ოდნავ წინ გასწრებული გოგონას არსება ბევრად შორს იყო მისგან, ვიდრე ეს მანძილი, და პაპუნამ იცოდა, უკვე ვერაფერი გადალახავდა ასაკის, დროის, ეპოქათა უფსკრულს, რასაც ეს ათიოდე სანტიმეტრი იტევდა.

ერთადერთი, გოგონას პანია ხელი გამხდარიყო მისი საკუთრება. იმ წუთიდან, რაც ვერონიკამ ხელი გამოუწოდა, პაპუნამ თითქოს მიისაკუთრა იგი, თითქოს დაიდო უსიტყვო შეთანხმება. პაპუნას ინტელიგენტური, გამხდარი ხელი ახლა მჭედლის მსხვილ თათს ჰგავდა, რომელშიც მთლიანად ჩამალულიყო ვერონიკას ლბილი და ნერვული თითები და პაპუნას სულში თანდათან იზრდებოდა ენით უთქმელი ნეტარება, რის გამოც სირცხვილი აწვალებდა, ორეული კი შიგადაშიგ ბოროტად აქილიკებდა.

ლაბირინთი უფრო და უფრო დაიხლართა. უამრავი დერეფანი კვეთდა ერთიმეორეს და ყოველი მათგანი ერთნაირი იყო.

პაპუნას თავგზა აებნა და უსიტყვოდ, მორჩილად მიინდობოდა ბავშვის სუსტ ხელს.

უხმოდ მიდიოდნენ. მთელ გზაზე ვერონიკას არაფერი უთქვამს იმ ორი სიტყვის გარდა, — ადე, ვიჩქაროთო, — პაპუნა სიცოცხლისაკენ რომ მოაბრუნეს.

გოგონა თამამად მიაბიჯებდა. ერთი არ შეჩერებულა, ერთხელაც არ შეყოყმანებულა, არ აუნონ-დაუნონია, მისმა თავდაჯერებულობამ პაპუნას განუმტკიცა რწმენა გადარჩენისა.

კარს მოულოდნელად წაანყდნენ. დერეფანი ამ ადგილას

მკვეთრად უხვევდა და თეთრ კედელში ჩასმული კარი შავ ლაქად აჩნდა.

ორეულმა „ვაშა!..“ — იკივლა, სახელურს დაეჯაჯგურა. პაპუნამაც ანგარიშიუცემლად ხელი უშვა ვერონიკას, კარს მივარდა.

კარი თითქოს ადვილად ემორჩილებოდა, სუსტი ქრიალი გამოსცა.

„არ შეიძლება!“ — ვერონიკამ მკლავზე შეახო ხელი.

პაპუნამ მოხედა. წამით დაგინყებოდა თავისი მხსნელი, თვითგადარჩენის ინსტინქტს ხაზი გადაესვა მადლიერების გრძნობისათვის.

შერცხვა, გალახული ბავშვივით ხელები ჩამოუშვა.

„არ შეიძლება, — გაიმეორა ვერონიკამ, — იქ მეცხრე ბლოკია!“

პირველად შეხედა პაპუნამ, პირველად გაუსწორა თვალი და მზერა ზედ შერჩა.

თავს ძალა დაატანა, რათა თვალი მოერიდებინა.

ორეული უხიაგად ქირქილებდა, „შენს მანაკს შეხედე, ძმობილო, ჭალარა იმდენი გაქვს, შავი თმა ცალობით დაითვლება...“

ვერონიკას გამონვდილი ხელი კვლავ აიღო და პირველად მაშინ გაიაზრა თავისი მდგომარეობის მთელი ტრაგიზმი. „ნეტავი იმ ვირთხებს შევეჭამე!“ — გულჯავრიანად მიუგდო ორეულს... გაისუსა ორეული, მას სიცოცხლე ყველაფერს ერჩინა...

კარს დიდ მანძილზე გაშორდნენ, როცა ლაბირინთის მდუმარებაში შორეული გუგუნი შემოიჭრა...

(მასალები რომანისათვის)

„...გვირაბის უზარმაზარი თალი უცაბედად გამოიკვეთა. შესასვლელთან ბეტონსატუმბი დანადგარი იდგა და თვითმცლელს ძარა ზედ გადაეყუდებინა. ბრიგადირი მძლოლს ეჩხუბებოდა, ბეტონი უკვე შეკრულია და დანადგარი ვერ გადატუმბავსო.“

„მანანის ფაფასავითაა, როგორ ვერ გადატუმბავს!“ —

ირწმუნებოდა მძლოლი.

ყაყანი უკვე ზედმეტი იყო.

ჭაბუკმა ნიჩაბს დაავლო ხელი, ძარაზე აცოცდა, ნარჩენები უნდა ჩამოეხვეცა.

ამუშავდა სატუმბი დანადგარი, თუჯის მილებში ტუმბავდა თხევად ბეტონს.

განიფანტა ძილი, სადღაც გაქრა აკვიატებული ფიქრი. ჭაბუკი მუშაობის რიტმში ჩაერთო...

რახრახებს ბეტონსატუმბი, დაგადუგი გააქვს დგუშებს, დანადგარი გუგუნით მიდენის ბეტონს თუჯის მილებში... მოდიან და მოდიან თვითმცლელი მანქანები, მოაქვთ ახლადშეზღული ბეტონი...

თითქმის წელიწადი გავიდა, რაც აქ მუშაობს...

„თითქმის წელიწადი გავიდა, რაც აქ ვმუშაობ. სიყმანვილის ფათერაკებმა ჯანმრთელობა შემირყიეს, მაგრამ დახლთან დგომას მაინც ეს ფართო ნიჩაბი ვარჩიე. ლუკმას ვერავინ დამაყვედრიდა. საკუთარ სინდისზე ვლაპარაკობ, თორემ ვინ მყავდა დამყვედრებელი.

მიჭირდა კი!.. კიდევ კარგი, თუ დანადგარი გამართულად მუშაობდა. თუჯის მილებში ბეტონი ხვნეშით მიიწვედა წინ და გვირაბის გუმბათზე ისხმებოდა. იქ კი, ხარაჩოებში გამოკიდებულნი, ვიბრატორით ვასწორებდით. აპარატის ვიბრირებისაგან გულმუცელი მემღვრეოდა, მაგრამ ნიჩბით მუშაობას მაინც ჯობდა.

იმ ღამეს დანადგარმა გაუჩერებლად სამი საათი იმუშავა. მცირე შესვენებაზე კაცები ქვებზე ჩამოსხდნენ და ხმად-აბლა მუსაიფობდნენ. მე კი, ათიოდე წუთით, ზედ წყლის პირას, ლოდზე წამოვწევი, ელნათურების შუქზე ალაპლაპებულ წყალს ჩავაცქერდი. ქუხილი გაჰქონდა კლდეში შევიწროებულ მდინარეს. ჩქერალები აწყდებოდა ნაპირს. ჰაერი იტაცებდა უჩინარ წინწკლებს და პირზე მაპნევდა... ამ ათმა წუთმა დამასვენა. ბეტონსატუმბს რომ მივუბრუნდი, ბრიგადირი იგინებოდა. უმალ მივხვდი, რაც მოხდა, ხსნარს მსხვილი ქვა შეჰყვა და ბეტონსადენი სადღაც გაიჭედა.

რკინის კეტით მივაბიჯებ ბეტონსადენის გასწვრივ და ვურახუნებ. იქნებ დაიძრას ის ოხერი! ან იქნებ ისეთი ხმა გა-

მოსცეს, მიგვახვედროს, სადაც უჭირს. მაშინ სალტეებს გავხსნით, თქემით გადმოიღვრება ბეტონი. მაღალი წნევის ჰაერს შევუშვებთ და ნარჩენსაც გამოხვეტავს მილიდან. ასე თუ არ მოხდა, დრო გადის, ბეტონი ბლანტი ხდება, იკვრება. იწყება მძიმე და უმადური საქმე! სათითაოდ ვხსნით სალტეებს, წამოვაცირავებთ თუჯის მილებს და რკინის ჯოხებს ვურტყამთ, ვინძლო გაჭედილი, უკვე უვარგისი ბეტონი გამოვდევნოთ... მინისქვეშ დროის მსვლელობა შეუმჩნეველია, მაგრამ გარეუარაჟზე ადამიანი უფრო ითენთება, დაღლილობა მატულობს, ძილი აწვება.

ცვლა დამთავრდა, შემცვლელები მოვიდნენ, ჩვენ კი კვლავ იმ მილებთან ვჯახირობთ...

და უცებ იგრიალა!

ისე მოულოდნელი იყო ეს ხმა, სახტად დავრჩით. გვირაბში, ოთხსართულიანი სახლი რომ შეეტეოდა, ჰაერის ტალღა შეასკდა კედლებს, გუმბათს, ხარაჩოებს... იხუვლა ხალხმა გასასვლელისაკენ, გადარჩენის ინსტინქტი მიგვერეკებოდა უაზროდ... შიში მერე მოვიდა, როცა უკვე ავტობუსში ვისხედით... ძნელია, წარმოიდგინო საკუთარი თავი თალიდან მორღვეულ ლოდებქვეშ... ბენჯზე ჰკიდია ეს სიცოცხლე!..“

...ლაბირინთის მდუმარებაში შორეული გუგუნი შემოიჭრა. პაპუნა კვლავ შფოთმა შეიპყრო, ორეული ისევ აწრიალდა, მაგრამ ვერონიკას არაფერი დასტყობია. თამამად მიუძლოდა თავგზააბნეულ კაცს, დერეფნების ერთფეროვნებაში ალლოთი მიიკვლევდა გზას.

სიგრილე მოელამუნათ. ჰაერი ნესტით გაჯერდა. თეთრ კედლებს დააჩნდა სველი ლაქები, შავი ობი მოსდებოდა კუთხე-კუნჭულებს. პირველი წვეთი მკლავზე დაეცა, შეამცივნა. მალე კედლები გადახაზა წყლის წვრილმა ქსელმა. ჭერიდან წკაპანკუპი ატეხა წვეთებმა. ძირს ციცქნა ნაკადულები გროვდებოდა და თავდაღმართზე მილიკლიკებდა.

გუგუნი უფრო გაძლიერდა, წყლის ვარდნის ხმასა ჰგავდა. უჩვეულო დგრიალი აზანზარებდა მთელ ლაბირინთს.

„რა ხმაურობს?“ — მაშინლა შეეკითხა, როცა უკვე ნათქვამის გაგონება ჭირდა.

„ლეთა!.. ფრთხილად, ლეთაში არ ჩავარდე!“

დერეფანი ვრცელ გამოქვაბულში გავიდა და პაპუნას წინ დიდებული სანახაობა გადაეშალა. გამოქვაბულის ჭერიდან უზარმაზარი მდინარე გადმოქუხდა! წყალი იმსხვრეოდა, მოდგაფუნებდა, მოგრილებდა, მთლიანად თეთრ ქაფად გადაქცეულიყო, თითქოს თვით უფალი ცლიდა რძით საესე ზღვას

ჰაერი აევსი მირიად წინწკლს, წყლის ნვეთები თეთრ ნისლად ქცეულიყო და ირგვლივ ყველაფერს ბურავდა, არარეალურს, ბუნდოვანს ხდიდა, თითქოს ყოველივე იყო მხოლოდ სიზმარი.

თვალი მოსტაცა სანახაობამ, ადგილს მიაჯაჭვა... გამოითიშა... იზიდავდა თეთრი ნაკადი, თავისკენ იხმოზდა, დავინწყების სიტკბოებაში ითრევდა.

იმ ზღვარს მიადგა, როცა ყოველივეს ფასი ეკარგება, არაფერი არ არსებობს, გონება საყოველთაო სითეთრეში იძირება, ერთი ბენო ლაქაც არ ანუხებს.

დაავიწყდა ვინ იყო, აქ რა უნდოდა, საითკენ მიდიოდა, რა ვალი იტვირთა. დაავიწყდა ორეული, სულს რომ უწინკნიდა, ცდილობდა თავი შეეხსენებინა. დაავიწყდა ვერონიკა, ვისკენაც მოისწრაფოდა მთელი სიცოცხლე.

„ვიჩქაროთ, აქ ნუ გავჩერდებით!“

პაპუნამ ნებისყოფა დაძაბა, ზმანებიდან ნელ-ნელა გამოვიდა, გოგონას ხელს დაჰყვა.

ლეთას აქაფებული წყალი ქოთქოთით, ბრუნვით, ღმუილით მიიკვლევდა გზას ფართო გვირაბში და ნაპირზე გაჭრილ ვინრო ბილიკს მიჰყვებდა.

მუხლების სისუსტეს გრძნობდა, ღონე გამოლეოდა, ძლივძლივობით შორდებოდა ჩანჩქერს.

წყლის ნაკადი თანდათან დაცხრა. იკლო გამაყრუებელმა გუგუნმა, იგი თანაბარი შხუილით შეიცვალა.

თეთრი ქაფი დაინმინდა, ლურჯი, გამჭვირვალე წყალი მოედინებოდა. პაპუნას კვლავ იზიდავდა კამკამა ნაკადი, დაიღალა მასთან ჭიდილში, მაგრამ გოგონას თბილი, პანია ხელი

მბრძანებლობდა და ისიც მორჩილებდა.

დიდხანს გაგრძელდა ქანცგამწყვეტი გზა. ბილიკი ხან ფართოვდებოდა, ხან ვიწროვდებოდა, ლეთაც ზოგან მშვიდად მიდუღუნებდა, ზოგან კი ჭორომებში ლუგლუგებდა.

წინ უცბად გაიხსნა სივრცე, წყალი გაიჭრა იქითკენ, სადაც დღის ქურუში სინათლე ჩანდა.

„ფრთხილად“, — ჩასჩურჩულა ვერონიკამ.

მდინარის პირას უზარმაზარი ზვავი ეგდო. სულგანაბულებმა ჩაუარეს. ზვავი თითქოს სუნთქავდა, ზურგი აუდ-ჩაუდიოდა. პაპუნა ვერ მიხვდა, რა უნდა ყოფილიყო, მაგრამ შიშმა წელი მოახრევინა და ასე მიდიოდა. ორეულმა კინალამ იკივლა, დროზე იტაცა პირზე ხელი, ხმა ყელში ჩაიხშო.

ისე ჩაუარეს, თითქმის ეხებოდნენ. ზვავი შეინძრა, რაღაც უზომოდ დიდი წამოიმართა, აბაჯბაჯდა.

„გავიქცეთ!“ — შესძახა ვერონიკამ და ადგილს მოსწყდნენ.

კარგა ხანს გარბოდნენ. აქოშინებულებმა, სირბილისაგან გულამომჯდარებმა ლაბირინთიდან გააღწიეს.

პანსიონატის ეზოში აღმოჩნდნენ. ლეთა მშვიდად მოედინებოდა ლაბირინთიდან და ორიოდ კილომეტრს იქით ზღვას ერთვოდა.

მდინარიდან ათი-თორმეტი წლის ბიჭი ამოცურდა, წყლის ნვეთები ჩამოიბერტყა, გოგონას გაოცებით მიაჩერდა.

„ვერონიკა!“ — აღტაცებულს დასცდა გაუბედავად.

12. ჭიპუნას ჰიროჯილი მოგზაურობა

(სენიორ ხუან დე ჭიპუნას ფათერაკები, ისტორიულ-რომანტიკული მოთხრობის მოკლე კონსპექტი)

სენიორ ხუან დე ჭიპუნამ გადალახა ატლანტის ვრცელი ოკეანე და კუბის გენერალ-გუბერნატორის ჯარში ჩაირიცხა. ესპანეთიდან მან წაიყოლა ფიცხელი დაშნა, კასტილიის ფართო ველების მცხუნვარება და სენიორიტა ვერონიკას პანია

ხელებით მოქარგული ცხვირსახოცი. იქ, ახალი ქვეყნის უკიდევანო ასპარეზზე უნდა მოეხვეჭა ფული, სახელი და ვერონიკას გული...

კორტესის არმადამ მექსიკისაკენ რომ გასცურა, სენიორ ხუან დე ჭიპუნაც მიენდო მის თეთრ იალქნებს და, რაც უფრო შორდებოდა მშვენიერი ტოლედოს სანახებს, მით უფრო ელოლიავებოდა იმ ქათქათა ცხვირსახოცს, დღისით გულთან დაატარებდა, ღამით კი ბაგეებზე იდებდა და ოხვრით წართქვამდა ვერონიკას წმინდა სახელს.

გაუვალი ჭაობები, ხომალდების დანვის ეპოპეა, შეტაკებები ინდიელთა ტომებთან. ტროპიკული მთების მძიმე გზები, მშვენიერი ტენოჩტიტლანი, თავზესაყრელი სიმდიდრე, გასაოცარი სამყარო, აცტეკთა იმპერატორები და ქურუმები, მონტესუმა და კაუპოლიკანი, — ვერაფერმა ვერ დაუბინდა გონება, ვერაფერმა დაავინყა საუკუნო ფიცი, ვერ გაანყვეტინა სამშობლოსთან მაერთებელი ძაფი.

მერე ციებისაგან ლოგინად ჩავარდნილს სამეფო გვარის სალუქი ქალწული უვლიდა, სურნელოვანი წყლით ფეხებს ბანდა, ყვავილების სარეცელში აწვენდა, ოქროს ჭურჭლით მიართმევდა ტროპიკების ნუგბარ ხილეულს, მაგრამ ვერა და ვერ აცდუნა რაინდის ამაყი სული.

ოქროზე უარს არ ამბობდა, მაგრამ უფრო ფათერაკებს ეძიებდა. დატოვა მექსიკა, ბილბაოსთან ერთად პანამა გადაკვეთა და პირველმა იხილა დიდი ოკეანე.

შემდგომ პისაროს აედევნა... ინკების სამეფო... პირველი ინკა... გასაოცარი ფათერაკები, რომელთა აღსაწერად სენიორ ხუან დე ჭიპუნას სიტყვები არ ეყო...

სახელმწიფოეჭილი და მდიდარი დაუბრუნდა ესპანეთს, მაგრამ ბედი მუხთალია, ბოროტმა ინკვიზიტორებმა წაშალეს ვერონიკას კვალი.

კვლავ გადაიხვეწა გულდაკოდილი რაინდი, ქალწულის ნაკვალევს ეძებდა ყველგან.

აფრიკას შემოუარა და კინალამ კანიბალებმა შესანსლეს.

ინდოეთში მაჰარაჯას სტუმარი იყო, ჩინეთში ბოგდინხანისა.

აქლემებით გადაკვეთა აზიის ვრცელი უდაბნოები, ცხენის მარხილით ციმბირი და უთავბოლო რუსეთი.

ივანე მრისხანეს ესტუმრა და მისგან სიასამურის ქურქი მიიღო.

ათ წელს გაგრძელდა ეს მოგზაურობა, თმებში ჭაღარა შეერია, წვერი მკერდზე სცემდა.

დაღლილ-დაქანცულმა მიაღწია კასტილიას... იქ, ტოლედოს შემოგარენში პატარა სასახლე იდგა. აივანზე საქსოვით ხელში ცამეტი წლის ვერონიკა იჯდა და ელოდა თავის რაინდს...

ჭიპუნამ თეთრი ჩქერალებიდან ამოყო თავი და ვერონიკა მაშინ იხილა. გოგონა აუჩქარებლად შორდებოდა ნაპირს, მინარნარებდა, მისრიალებდა მზის სხივებით დალიანდაგებულ ვრცელ მინდვრებზე. მერე თითქოს გაითქვიფა სადღაც შორეთში, მქრქალი ნისლის გამჭვირვალე თალხში, ჰორიზონტზე ალვის ხეებს რომ მოჰფენოდა.

„ვერონიკა!“ — ბაგეებს თავისით მოსწყდა ხმა, წყლის ქაფიან ზედაპირზე გაიფანტა, ჩაიხშო. ჭიპუნა წყლიდან ამოვარდა, ქვებზე დაგდებულ გაქუცულ ტანისამოსს დასტაცა ხელი. შიშველ ტანზე წვეთები ესხურა და გრილმა ნიაგმა გამოაფხიზლა.

სწრაფად იცვამდა, თუმცა უკვე იცოდა, იოლად ვერ მიენეოდა შორეთში წასულს...

ლურჯი ცის ხუფი ეხურა ვრცელ სანახებს, პროვინციული ქალაქი მშვიდად თვლემდა სიცხიან მზისქვეშეთში. ლიანდაგის წყვილი ხაზი შორდებოდა ქალაქს, ჰკვეთდა მწირ ენერს, სადაც იგორგლებოდა, იგრაგნებოდა ეკლიანი ბარდები... შვიდი წლის ჭიპუნა გულის ფანცქალით მიჰყვებოდა ვინრო ბილიკებს, დევებსა და ურჩხულებს ედავებოდა ვერონიკას გულსა და ხელს...

მზე დასავლეთისაკენ გადაქანდა, სიცხემ იკლო... ცხრა წლის ჭიპუნამ მზერა ქალაქს გადაატარა და სამეგრელოს თავზე წამომართულ ლაკადას მიუწვდინა. გაუვალი, უღრანი ტყეები არბოდა ფერდობებზე, ავსებდა ხევხუფებს. იქ იოლი იყო ტარზანობა (იმ დროს ალგზნებული მაცურებლები აწყდებოდ-

ნენ კინოთეატრს), შეეძლია დათვი და მგელი მოეშინაურებინა, ერთხელაც გათამამდებოდა, დიდების ფრთებზე ჩამოიქროლებდა და ვერონიკას თავის ბუნაგში წაიყვანდა...

ჩამავალმა მზემ წითლად გააჩირაღდნა დასავლეთის ცის კიდე... თორმეტი წლის ჭიპუნა განუდგა ზღაპარს, სამყაროს რეალობა ინამა და საგმირო ასპარეზი მოიძია. „ლიმპოპოში უნდა წავიდე, — სკოლის ამხანაგს გაანდო, — მონათმფლობელებს ომი უნდა გამოვუცხადო!“

ბინდი ეშვებოდა. სოფლის ოდა-სახლებში შუქი ინთებოდა. ჭიპკრებთან ძროხები ბლაოდნენ, იდგა რძისა და ჩალის სუნი. სამგზავრო მატარებელმა ჩამოიარა. გაჩახჩახებულ ფანჯრებში მგზავრები ერთობოდნენ და ჭიპუნა მარტო დარჩა თავის ხატოვან წარმოსახვასთან. შავად მზინვარე ლიანდაგი სიბნელეს ერთვოდა და ჭიპუნა ამ სიბნელეში ინთქმებოდა.

მერე წინ სადგური გამოჩნდა. სამანევრო ორთქლმავალი ქშენა-ქშენით მიმოდოდა. ბაქანზე მგზავრებს მოეყარათ თავი. დაღლილი ბიჭი მოსაცდელში შევიდა, თავისუფალი ადგილი ძლივს მონახა. სიცხე და ყაყანი, თამბაქოსა და ოფლის სუნი აბრუებდა, გულს ურევდა; გზასა და ზღაპარს დაექანცა და სკამის საზურგეს მიყრდნობილს ჩაეძინა.

ბურანიდან მკაცრმა ხმამ გამოიყვანა. ვერ გებულობდა, რას ეუბნებოდნენ. გაღიზიანებული ხმა ორად ორ სიტყვას იმეორებდა:

„ვისი ხარ?“

ჭიპუნამ ვერაფერი უპასუხა, სახემოლუშული მილიციელი კი მოურიდებლად ანჯღრევდა.

„ჩემთანაა, ბატონო!“ — პირფერულად ჩაინკვიტინა ვილაცამ.

მილიციელი გაეცალა.

გვერდით მჯდომმა თხელმა კაცმა თვალი ჩაუპაჭუნა. ჭალარაშერთული უღვაშები შეეღება, თითებსა და ტუჩზე ახლაც აჩნდა ფანქრის კვალი. ალბათ, წუთის წინ კოპნიაობდა, რადგან ხელჩანთაში ფანქარი და სარკე შეინახა.

„მეც მეძინება!“ — თქვა კაცმა. სკამზე გაიშოტა და თავი ჭიპუნას მუხლებზე დადო. კობტად დავარცხნილი თმიდან

ქერცლი ცვიოდა და ჭიპუნა ზიზლით აივსო, მაგრამ წამოდგომა ვერ გაბედა და კვლავ მორჩილად იჯდა. კაცი ვერ იძინებდა, მოუსვენრად წრიალებდა, ბინიერ თითებს მუხლისთავზე უთათუნებდა. სიმორცხვეს სძლია ჭიპუნამ, წამოინია.

„უნდა წავიდე!“ — წაიბურტყუნა.

მატარებელმა იკივლა. სადგურის ბაქანზე გამოსულმა ბიჭმა შვებით ამოისუნთქა.

საბარგო ვაგონების წყება რახრახით, ზოზინით ინყებდა სვლას. ბაქნიანი ვაგონი შეარჩია, შეახტა, ვინრო სკამზე მოიკუნტა.

სადგურის შენობიდან ის ხმელი კაცი გამოვარდა, მიიხედ-მოიხედა.

კვლავ იკივლა წინიდან ორთქლმავალმა, ბრაზიანად გამოაფრქვია ორთქლი და კვამლი. ჭახაჭუხი ატეხეს ვაგონებმა, მოუხშირეს რიტმულ დაგადუგს, აჩქარდნენ.

უკან-უკან წავიდა სადგური, ჩაბურულ ტევრებს მიღმა მიიმალა სოფელი, ხანდახან თუ გამოკრთებოდა ობოლი ნათურა.

მიიჩქაროდა მატარებელი, მიჰკიოდა, მიგუგუნებდა, არღვევდა ბნელ სივრცეს, აფრთხობდა უკუნ ღამეს. ეძინა მთელ სამყაროს, წამით ძილგაფრთხობილი ისევ სიზმარში იძირებოდა. მარტო ჭიპუნა ფხიზლობდა და მიჰქროდა შეუცნობელისაკენ.

შიში თანდათან განდევნა, თუმცა შერჩა მაინც მცირე კრთომა, თითქოს სიბნელეში მიმალულ მავანს შეეძლო ვაგონის ეს პანია ბაქანი დაეპყრო, დაუპატიჟებული მგზავრი დაეტყვევებინა. შეეცადა, ეფიქრა მომავალ საგმირო საქმეებზე. დღის სინათლეზე იოლი იყო კაშკაშა ფერებში გათქვეფა, ღამე კი ოცნებას ფრთებს აკვეცდა და ასპარეზს უზღუდავდა.

ვაგონის ღია ბაქანზე ცივი ნიავი დანავარდობდა. ჭიპუნა უფრო მოიკუნტა, შიმშილმაც თავი შეახსენა. ბნელ სივრცეში გაჭრილი მატარებელი კი გაჩერებას არ აპირებდა. დაღლილობამ თავისი გაიტანა, თვალი ელულებოდა. სამუხრუჭეს ჩაეხუტა, რათა სკამიდან არ გადმოვარდნილიყო. გონება ბურანმა მოიცვა. თითქოს ეძინა და არც ეძინა. იცოდა, რომ საბარგო ვაგონით მგზავრობდა, ციციქნა სკამზე იჯდა, კუჭის წვასაც გრძნობდა და სიცივესაც. წამდაუნუნ შიში უბრუნდებოდა, რად-

გან კიბეზე, ორთავე მხრიდან, ვილაცა ამოდიოდა. ორ საფეხურზე ამოვიდოდა, მერე ისევ იმ ორ საფეხურზე ამოვიდოდა, მერე ისევ და ასე დაუსრულებლად...

ფარისევლურმა ხითხითმა ბურანიდან გამოიყვანა.

„მიინი, მეც დამსვი!“

ელდა ეცა, თვალი დაჭყიტა.

გარიჟრაჟს განედევნა ბნელი და ნაცრისფერი ნისლი ეფინა ქართლის ველებს.

ვინრო სკამზე ის ხმელი კაცი მოსჯდომოდა. დიაცურად მიტყუპებულ მუხლებზე ჩანთა დაედო და ორივე ხელით ჩაებლუჯა, თითქოს ვინმე წართმევას უპირებსო.

კაცი პროვინციელ ინტელიგენტს ჰგავდა. ახალთახალი შავი შარვალ-კოსტიუმი ეცვა, შავი ფეხსაცმელები. თეთრი გახამებული პერანგი და ქრელი ჰალსტუხი დასჭმუჭნოდა. თავზე ძველი, მაგრამ კარგად შენახული ცილინდრი ეხურა.

„არა ვართ სწორი! — უღვაშებში ჩაიღიმა კაცმა, ზევინდან წეროსავით დაჰყურებდა ბიჭს. — პარდონ, დამავინყდა, მეთქვა, ჩემი სახელია ტრიფონა!“

ცილინდრი მოიხადა, თავი დაუკრა და ამ დროს მხრები თეთრი ქერტლით მოეფინა.

ჭიპუნამ არაფერი უპასუხა.

„ის თუ იცი, დედაშენს რა დაემართა? გაჭალარავდა!.. ერთ ღამეში გაჭალარავდა!.. მილიცია ჭოკებით გეძებდა ბოტანიკური ბაღის აუზში, ეგონათ, დაიხრჩოვო!..“

ჭიპუნა მდუმარედ მიაცქერდა.

„რაო? დიადი საქმე მსხვერპლს მოითხოვსო?“ — ჩაიქირქილა ტრიფონამ და ჭიპუნა აიმრიზა, ზიზლი ვერ დამალა.

„ჰმ, დიადი საქმე!.. საულაყე თუ წამოგზრდია ჯერ?“ — ვითომ ხუმრობითო, ხვანჯარზე წაავლო ხელი.

ჭიპუნა შფოთით წამოხტა, კიბეს მივარდა, მაგრამ გაქანებული მატარებლიდან ჩამოხტომა ვერ გაბედა.

სახეშეცვლილი კაცი ადგილზე დარჩა, ნაძალადევად ხითხითებდა.

ბიჭი საფეხურზე ჩამოჯდა. სახელურს ჩაეხუტა. გრილი ნიავი თმას უწნავდა, უბეში უვარდებოდა, სირცხვილის სიმ-

ცხუნვარეს უქრობდა.

ვაგონების დაგადუგში კაცის ხითხითი თანდათან ჩაიკარგა. მერე მოსახვევთან მიაკივლა მატარებელმა. ჭიპუნამ მოიხედა, ბაქანზე არავინ იყო.

მცხეთის სადგურის ბაქანზე მორიგე იდგა, წითელი ქუდი ეხურა, ყვითელი ალამი ეჭირა და გულგრილად გასცქეროდა ჩავლილ მატარებელს.

მთაზე წამოიმართა ამომავალი მზის სისხლისფერ სხივებში განბანილი ჯვარი...

დედაქალაქმა თითქოს შეინოვა, შეითბო დაღლილი მატარებელი. ნელა, აუჩქარებლად შეჩოჩდა იგი ქალაქის გულში და ჭიპუნა წამში გაეხვია დიდი ქალაქის ორომტრიალში.

დღე სწრაფად მიიღია. თვითონაც გაუკვირდა, ვერაფერი მოვასწარიო, ფიქრობდა. თანდათან დაცარიელდა ქუჩები და მარტოდ დარჩენილმა მწვავედ იგრძნო თავისი უცხოობა.

პარკში სკამი მონახა, დილამდე იქ ცახცახებდა სიცვი-საგან. მხოლოდ იმიტომ არ ტიროდა, საკუთარი თავისა ერცხვინებოდა. არც საგმირო საქმეები ახსოვდა, არც მომავალი დიდება. ძილბურანში გახვეულიყო და დასვენების მაგიერ უფრო იღლებოდა.

დილის მზემ გამოაღვიძა. პირდაპირ თვალეში უჭყიტინებდა. გამოერკვა, გამხიარულდა... კვლავ ქალაქის რიტმს აჰყვა, რუსთაველი შემოირბინა, მთაწმინდაზე ტრამვაით ავიდა, ზოოპარკში მხეცები მოინახულა, კვლავ რუსთაველს დაუყვა და იქ ვერონიკა იხილა.

ვერონიკას სასკოლო ფორმა ეცვა. თეთრი, ქათქათა საყელო ეკეთა. ჩანთას უდარდელად მიაქნევდა.

ჭიპუნა აედევნა. ვერ გაბედა გზის მოჭრა, გამოლაპარაკება. ახლალა შერცხვა თავისი დაძველებული, ბაღში ღამის თევისას დაჭმუჭნილი ტანისამოსისა.

ვერონიკა ტოლებში გაერია და ჭიპუნას უკვირდა, გოგონები რომ რიდით არ უთმობდნენ გზას, ბიჭები კი მუხლს არ იყრიდნენ მის წინაშე.

სანამ სკოლაში შევიდოდა, ვერონიკამ შაური გადაიხადა, სიროფიანი წყალი დალია და ამ დროს ამაყად აპრეხილი

ცხვირი წვრილი წვეთებით დაენინკლა.

ჭიპუნა შორიახლო იდგა, თვალს არ უჯერებდა ვერონიკა გაქრა, ის კი მაინც იდგა და იდგა.

მერე მძიმედ შებრუნდა, ტროლეიბუსს შეახტა. თავისუფალ ადგილზე დაჯდა. ცილინდრიანი კაცი შემოტრიალდა, მხარზე ხელი მოუთათუნა. ტრიფონა იყო. ჭიპუნა წამოხტა, მაგრამ კაცმა დიაცური ხითხითით შეაჩერა, ხელში თუმნიანი ჩაუკუჭა და გაუშვა.

პირველსავე გაჩერებაზე ჩამოხტა. გაურბოდა ტრიფონას ბინიერ თანადგომას. ფულის გადაგდება უნდოდა, მაგრამ შიოდა და ღვეხელის გამყიდველთან შეჩერდა.

იმ საღამოს ბილეთი აიღო, ბათუმისაკენ გაჰყვა მატარებელს. საერთო ვაგონი მგზავრებით იყო გაჭედული, ცხელოდა. მთელი ღამე ვერ დაიძინა, დილას კი ძილი მოერია და რომ გამოიღვიძა, ვაგონში ძეხორციელი არავინ იყო.

მზე უკვე მალლა იდგა, აცხუნებდა.

პლაჟი მოძებნა, გაუხდელად განვა ქვიშაზე და აქედან გახედა წყლის სივრცეს.

დილის ზღვა მძიმედ ადი-ჩადიოდა. ტყვიისფერი გამხდარიყო და ნაპირს ბოროტად ეხლებოდა. ტალღების შხუილი ნანასავით ჩაესმა.

თვალი მიელულა, თანდათან ღრმა ძილში ჩაეფლო. ცხელოდა, ოფლისაგან იწურებოდა და ნუხდა. მცხუნვარე მზისგან გათანგულს თვალის გახელა ეზარებოდა.

მერე ესიზმრა, რომ ვილაცა ხდიდა, ფრთხილად ამიშვლებდა.

შვება იგრძნო, მაგრამ უცბად გამოეღვიძა.

მის გვერდით ტრიფონა განოლილიყო და ტიტლიკანა მუცელზე კოცნიდა.

თითქოს უხსენებელს ეკბინოსო, ბიჭი ელვისუსწრაფესად წამოხტა. კაცს გაეცალა და ზღვისპირს დაჰყვა. მზეს მენამული ფერი დაედო. ზღვა უფრო და უფრო ქურუში ხდებოდა. ნიავეს სიღამწვრის სუნი მოიტანა. პანსიონატის მთავარი კარიბჭის თეთრ კოლონადას შავი ღრუბელი შემოჰხვეოდა და კვადრიგა არ ჩანდა.

ეზო გადაკვეთა, ლეტას ჩქერალებს მიაშურა, რათა ჭყ-

ჭყი და ბინი ჩამოეხანა.

წყლიდან რომ ამოდოდა, ნაპირზე დედა იხილა. დედას თმებში ჭალარა მართლაც მომრავლებოდა...

13. ბზზარი

ნინუცა ბებიათამ გამომცდელად შეხედა, „ხომ არ გადაიღალე, ნენა?“

პაპუნა ჭყონიას ცუდად ეძინა. ლაბირინთში კვალს ადევნებული ხროვა ესიზმრებოდა. თითქოს ისევ გარბოდა გრძელ დერეფანში, აწყდებოდა ყრუ კედელს, იხსნებოდა კედელი და გადარჩენის სიხარულით თავბრუდახვეული კაცი გამხდარ მუხლებზე კოცნიდა ვერონიკას.

გვიან გამოეღვიძა. ფანჯრის მიღმა მქრქალი დღის სინათლე ვერ ჯაბნიდა ელნათურის შუქს, ნინუცა ბებიათამ რომ აანთო.

„დიდხანს მეძინა?“

„საუზმე მზადა!“

„ჰო, კარგი, ახლავე ავდგები!“

ცოტა ხანს კიდევ იწვა. მოთენთილობას გრძნობდა. არ იცოდა, რა ეკეთებინა. შიში საბოლოოდ გაუქარწყლდა და სალად აწონა თავისი მდგომარეობა. რა უნდა დაეპირისპირებინა პანსიონატის დირექტორისათვის? „რამე იარალი უნდა შევიძინო!“ — ყოყმანით დაასკვნა, თუმცა ვერ მოიაზრა, რა იარალით შეიძლებოდა ადიკოს დამარცხება.

საუზმის დროსაც კვლავ ამ საკითხს უკირკიტებდა. ნინუცა ბებია პირისპირ ეჯდა და თვალეში მისჩერებოდა. დედაბრის მზერაში ალერსისა და სითბოს მეტი არაფერი ჩანდა და პაპუნას ყოველგვარი ეჭვი გაეფანტა, მიენდო.

„მძიმე ფათერაკი გადამხდა, ნინუცა ბებია!“

დედაბერს არ გაჰკვირვებია.

„ვიცი, ნენა!“

„იარალი რამე მინდა შევიძინო!“

„სს-უ, ნენა. კედლებსაც ყურები ასხია!“

პაპუნა ჩუმად შეექცა. ჩაის ჭიქა რომ გასწია, ნინუცა ბე-
ბიამ ხმადაბლა უთხრა:

„ბაზარში უნდა წავიდე“.

„მეც წამოვიდე?“

„სანოვაგის ჩანთა მიმიძიმა, გამომყვი, თუ გცალია“, —
თითქოს სხვის გასაგონად ლაპარაკობდა.

პაპუნა დაფაცურდა, ჯემპრი და კედები ჩაიცვა.

ნინუცა ბებიამ სანოვაგის ჩანთა აიღო, საფულეში ხურდა
ააჩხრიალა. ხალიჩას აივნისაკენ რომ მიათრევდა, გზა-გზა თავს
იმართლებდა, ნამეტანი დამიმტკვერიანდა და გაბერტყვა ვერ
მოვახერხეო. მეშინია, აივანზე გადავკიდო, მომპარავნო.

პარკს გადახედა პაპუნამ. დღე ბურუსიანი იყო, მაგრამ
ნაცრისფერში მაინც შეპარულიყო მენამული, ლურჯი, ყვითე-
ლი... აქაფებული ლეტა მიიჩქაროდა ზღვისაკენ და აქამდეც აღ-
წევდა მისი უწყვეტი, მშვიდი შხუილი. ზღვა კი მოგუდული ხმით
გუგუნებდა, თითქოს გაუთავებელი მინისძვრა არყევდა,
თითქოს დაუსრულებლად ერთმანეთში ირეოდა და ფეთქდე-
ბოდა სითხე თუ აირი, ამის გარკვევა შეუძლებელი იყო, რადგან
ცასა და ზღვას შორის იგორგლებოდა რაღაც გასაოცარი, ბნელ
კვამლში გახვეულ ხანძარს რომ მოჰგავდა.

„ჰა, ნუ მაყოვნებ!“

ნინუცა ბებიას ხალიჩა უკვე გაეშალა და ზედ იჯდა. პაპ-
უნამ ფეხი შედგა. გასაკვირი რა უნდა ყოფილიყო, ერთხელ
ხომ უკვე იხილა ნინუცა ბებიას გაფრენა, მაგრამ ფეხქვეშ ქს-
ოვილის უმდგრადი სირბილე რომ იგრძნო, თავბრუ დაეხვია.
თითქოს ნიადაგი გამოაცალესო, შეტორტმანდა, მუხლებზე
დაეცა და ხელის მოსაკიდებელი სხვა რომ ვერაფერი იპოვა,
ანაფხრენს ჩააფრინდა.

„ჰე, ჰე, ნუ გეშინია!“ — მხიარულად შეუძახა ნინუცა ბე-
ბიამ, ხალიჩის კიდეზე ჩამოსკუპდა, ფეხები გადაიშვირა, ხელ-
ჩანთა მუხლებზე დაიდო. შიშის ნატამალიც არ ეტყობოდა.

პაპუნას შერცხვა. თვითონაც დაჯდა, ოღონდ კიდესთან
მისვლა ვერ გაბედა. ყურებში ქარი ზუზუნებდა. ხალიჩის დაფ-
ლეთილი გვერდები კი ფარფატებდა და ველარ ენდო.

თანდათან დაილია პანსიონატის ერთსახოვანი სარ-

თულები. აივნებზე გადმომდგარი ლანდები გულგრილად აყ-
ოლებდნენ თვალს. მათთვის უჩვეულო არაფერი ხდებოდა.

შენობის უკან უზარმაზარი ქედი განერთხო, მთელ სანა-
პიროს გასდევდა. მისი შორეული მწვერვალები სადღაც ღრუბ-
ლებში იკარგებოდა.

გული მოეცა პაპუნას, გათამამდა. უკვე აღარ აკრთობდა,
ხალიჩა რომ მაღლა და მაღლა მიიწევდა, გახალისდა და ცნო-
ბისმოყვარეობა გაუცხოველდა.

მთის უბეში მიყუჟული პანსიონატი თითქოს დაპატარავ-
და, თუმცა ორივე მხარეს ბოლო არ უჩანდა, უსასრულოდ მიჰყ-
ვებოდა მთის ძირს, ფერდობზეც იქამდე აბობლებულიყო, სა-
დაც ტიტველი გორაკები პირნამახულ კლდეებად იქცეოდნენ.

უცბად თხელი ბოლი მოეფინა ხალიჩას. ნინუცა ბებია
დაიჭყანა. მალე შავ ღრუბელში ჩაიძირნენ. დამწვრის სუნმა
პაპუნას სუნთქვა შეუტკრა. ირგვლივ შავი ფერფლი ცვიოდა და
ცხვირზე პერანგის კალთა აიფარა, ყელს მოწოლილი ხველე-
ბა ჩაიხშო.

ღრუბლის ფენა მალევე გაირღვა. ნაცრისფერი ქარავნე-
ბი განვა ქვევით, თავზევით კი მრუმე ცა ჩამოემხო. ზედ
აუჩქარებლად მიცურავდა მენამული მზე და სუსტი ვარსკვ-
ლავები ბჟუტავდნენ აქა-იქ.

თავი ასწია პაპუნამ, ცაზე დედამიწას დაუნყო ძებნა, მაგ-
რამ ვერსად მიაგნო.

ძირს დაიხედა. ღრუბლებს გასცდნენ უკვე და ქვევით,
მთებსა და ზღვისპირეთს შორის, ვრცელი მინდორი იხილა.
მისი ერთი კიდე ქვიშიან ტრამალში გადადიოდა, მეორე —
ტყეს ებჯინებოდა.

სწრაფად დაემშენნენ. თავზე გადაუქროლეს მინდორზე შეყ-
რილ აურაცხელ ხალხს. უთვალავი კარავი, დუქანი, ჩარდახი,
წერტი ჩამომწკრივებულები და ათასნაირად დახლართულ
რიგებს ვაჭრობის ჟინით შეპყრობილი ადამიანები შესეოდნენ.
იდგა ერთი ყაყანი და გნიასი. არავის აუხედავს ცისკენ, არ შე-
უმჩნევია ხალიჩაზე ჩამომჯდარი დედაბერი და მისი შვილიშ-
ვილი.

ველის კიდეზე, ტყის პირას დაემშენნენ.

ნინუცა ბებია მხალიჩა დაახვია და ილლიაში ამოიღო.

„აბა, ჰე, გავიქეცი! სადილისათვის მწვანისა და ხილს ვიყიდი, შენ კი გაიარ-გამოიარე, თვალს წყალი დააღვეინე, როცა მოგწყინდება, მახსენე და იქ გავჩნდები!“

„ნინუცა-ბები, დამაცა, უნდა გკითხო... ადიკო ძლიერია, მე კი...“

დედაბერს წამით ნირი შეეცვალა, შიშმა გაუელვა, მაგრამ თავს სძლია, გაუღიმა.

„სიცოცხლე უნდა გიყვარდეს, ნენა, სიცოცხლეზე იგი არ ბატონობს!“ — თქვა და ჭრელ ბრბოში გაუჩინარდა.

პაპუნამ დალლა იგრძნო. მწვანე მდელოზე წამოწვა. ფიქრი არაფერზე უნდოდა. ოდნავ მოჭუტული ქუთუთობიდან გასცქეროდა უფერულ ცას და უსმენდა ბრბოს გაუგებარ რუზრუზს.

მცირე დასვენებამ გამოაკეთა, დაამშვიდა, გონება გაუხსნა.

„ვერ მომერევა, — ფრთხილად გაიფიქრა, — სანამ სიცოცხლე მწყურია, ვერ მომერევა!“

ამ აზრმა სითამამე შესძინა.

წამოჯდა და ამ დროს უცნაური ხმაური მოესმა. თითქოს მძიმე რამ კოლოსი მოაბიჯებდა ტყეში, ტოტებს ლანალუნნი გაუდიოდა.

ველური ყიჟინით ტყიდან გამოცვივდნენ ტიტლიკანა, ბანჯგვლიანი კაცები. სხეული ნაბლისფერი თმითა ჰქონდათ დაფარული, სახედაჯღანულები, შუბლჩამოზნექილები, ყვითელ-ლოჯებიანები. მოკლე ფეხებზე მოცუნცულდნენ. გრძელი ხელებით ჯოხებსა და ქვებს იქნევდნენ, თითქოს რაღაცას მოერეკებოდნენ, ყურთასმენის წამლები ღრიანცელით აშინებდნენ.

პაპუნა წამოდგა. გასაქცევად გაემზადა, მაგრამ ირგვლივ არავინ გარბოდა და თვითონაც შეყოვნდა.

ხეებს ზემოთ ჯერ თავი გამოჩნდა. ხვლიკისას უფრო ჰგავდა და მაღალ კისერზე ედგა. აინუნშიაც არ აგდებდა ველურთა ყიჟინას, ტოტებსა და კენწეროებს ამტვრევდა და მადიანად ახრამუნებდა. გამოინია, ორი-სამი ხე მოამსხვრია, ქვეშ მოიყოლა. პირდაღებული პაპუნას წინაშე ტყიდან ბრონტოზავრი გამობაჯბაჯდა. რამდენიმე წუთი მაინც დასჭირდა, სანამ ხორ-

ცის ეს მთა მთლიანად გამოაღწევდა ტანზე მოხვავებული ტოტებიდან, მერე კიდევ რამდენიმე წუთს მოსთრევდა გრძელი და მძიმე კუდი.

ამდენი მოსეირე ხალხის დანახვაზე ერთი ზარმაცად შეჰყროყინა და უწყინარი ბაჯბაჯით იქით გასწია, საითაც მოუსვენარი ველურები მიერეკებოდნენ, თან წვეტიანი ჯოხებით უჩხიკინებდნენ, ქვებს უშენდნენ, კუდზე თამამად ასხდებოდნენ.

პაპუნამ ბრბოს მისდია. თვალს ვერ ამორებდა დიდებულ ქვენარმავალს. ის კი მალე მტვრის კორიანტელში გაეხვია. აქეთკენ სახორცე პირუტყვის რიგი აღმოჩნდა. ერთგან ფაფახიანი მწყემსები ცხვარს უდგნენ. იმ მხარეს ცხვრის ფარებს თოვლივით გადაეპენტა თვალსანიერი და იდგა ერთი კიკინი და პეტელი. აქეთკენ კი გაუჩოები დაჯირითობდნენ ცხენებზე, გაველურებულ საქონელს ქართაში უყრიდნენ თავს. მონგოლებს ცხენთა რემა მოერეკათ, არაბებს — აქლემები... უცბად ტირილი და მოთქმა შემოესმა. კანიბალები დანებს ლესავდნენ და ტყვეებს თავს აყრევიანებდნენ. თავზარი დაეცა პაპუნას. სულის პირველი ბიძგი ის იყო, საშინელი ხვედრისაგან დაეხსნა უბედურნი. კანიბალმა კი თეთრი კბილები გამოაჩინა და წუთის წინ დაკლული ბიჭის გულ-ღვიძლი გადმოუფინა. პაპუნამ ყელზე ხელი იტაცა, სწრაფად გასცილდა იქაურობას... კვლავ მინდორში აღმოჩნდა, ოთხად მოიკაკვა და აღებინა. კარგა ხანს ვერ მოეგო გონს.

„სულელი, სულელი, სულელი!..“ — დასჩხავლა ჩახრინწულმა ხმამ.

ნახევრადშიშველ ინდიელს მხარზე მოლაპარაკე თუთიყუში შეესვა. ფრინველი თავის ჭრელ ბუმბულს ისწორებდა, თან წამდაუნუმ ლანძღავდა გამვლელ-გამომვლელს.

პაპუნამ წელი ძლივს აზიდა. გაშორდა, მაგრამ არ იცოდა, საით მიდიოდა.

ვილაცამ მკლავზე ხელი წაატანა.

ბოშა ქალი იყო, ხელში ჭუჭყიანი ბანქოს ქალაღლი ეჭირა.

„გიმარჩიელო?“

პაპუნამ მხრები აიჩეჩა.

„შენი მტერი შენს გულშია...“ — სწრაფად ალაპარაკდა ქალი, მაგრამ პაპუნამ გაანწყვეტინა, ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

უამრავი ხილი, ტკბილეული, ნაირნაირი სანოვავე იხილა, მაგრამ პირი ვერაფერს დააკარა, გული არ მისდიოდა.

ყვავილების რიგში გაერთო მცირე ხანს. მსოფლიოს ყველა კუთხის ყვავილები შემოეზიდათ თითქოს. უმრავლესობა არც არასოდეს ენახა და მათი სახელები არ იცოდა. მინდვრის შროშანი უნდოდა ეყიდა, მაგრამ კვლავ ის ბიჭი გაახსენდა და ერთი ციცქნა ბედნიერებაც ესირცხვილა.

მწვანე ჭალაში გავიდა. სიგრილე მოელამუნა. აქაც ხალხი ირეოდა, თუმცა გასაყიდი საქონელი არსად ჩანდა. აქა-იქ ხეების ძირას, ჩრდილში ისხდნენ ვიღაც კაცები, მათი გარეგნობა მუშტრის მოლოდინს გამოხატავდა, მაგრამ ძნელი მისახვედრი იყო, რას სთავაზობდნენ.

ერთ ჭალარა წვეროსანთან გაჩერდა.

„რას ყიდი, ძია კაცო?“

„სიბრძნეს, საკუთარი თავის შეცნობას! ეს თუ გეცოდინება, ბედნიერი ხარ!“

პაპუნა მეორე კაცთან მივიდა, ისიც ისეთივე ბებერი იყო.

„რას ყიდი, ძია კაცო?“

„სიბრწყვეს! ვინც ბეცი და უვიცია, ისაა ბედნიერი, ცხოვრებას უდარდელად გალევს!“

რამდენიმე კაცს კიდევ მიაკითხა. ერთი სინდისს ყიდდა, მეორე უსინდისობას, ყმანვილი გოგო სინაზეს ასალებდა, ჭაბუკი — ურცხვობას, ერთს თავისი უანგარობა გამოეტანა, მეორეს — ანგარება...

გოგო-ბიჭი მოსეირნობდა. პაპუნა გზაზე გადაუდგა, გაღიზიანებულმა ამათაც ჰკითხა:

„რას ყიდით, ახალგაზრდებო?“

გოგო განითლდა, თავი ჩალუნა. ბიჭმა ნაზად გადაუსვა თავზე ხელი, მერე ალალი თვალები მოაპყრო.

„ეს ჩემი რჩეულია, ამის სიყვარულსა ვყიდი!“

პაპუნა აიმღვრა. უკვე არაფრის მოსმენა არ სურდა. ჭალისპირას მაინც შეჩერდა. ეშაფოტის ქვედა საფეხურზე ინ-

ტელიგენტი ჩამომჯდარიყო. გემოვნებითაც ეცვა და, ალბათ, მაძლარი ბრძანდებოდა. თავი ღირსეულად ეჭირა, წვრილი თვალები გაურბოდა ოღონდ აცაბაცა.

„თქვენ რაღას ყიდით?“

ინტელიგენტმა გაიღიმა. პირი ოქროს კბილებით ჰქონდა სავსე. ხელში ოქროს საჩიჩქნი ეჭირა და იმით მოიჩიჩქნა.

„ყველაზე ძვირფასს, რაც კი შეიძლება ადამიანს ჰქონდეს...“

„საკუთარ მამას და საკუთარ დედას?“

„ოჰ, არა! ჭალის ბოლოს გადით, იქაა ნახმარი ნივთების განყოფილება!“

„დალახვროს ეშმაკმა, თქვენ რითილა ვაჭრობთ?“

„სამშობლოს ვყიდი, მეგობარო, მასზე ძვირფასი რაღა იქნება?“ — ინტელიგენტმა ერთხელ კიდევ მოიჩიჩქნა ოქროს კბილი და უკეთ რომ მჯდარიყო, ეშაფოტზე ერთი საფეხურით აიწია.

პაპუნა ცივად გამორდა. თავგზა აებნა და უკვე არ ახსოვდა, რის ყიდვას აპირებდა...

ერთგან მოულოდნელად წაიკითხა:

**რაგინდარა იარაღი!
რითი მოვაკვდინოთ მტერი
და მოყვარე!**

რიგში პირველი აქაც ბანჯგვლიანი ველური იდგა. პირდაპირ მტვერში დაეწყო სხვადასხვა ზომისა და სისქის კეტები, წვერწამახული კაჟი და რიყის ქვა. შევაჭრებადაც არ ღირდა. ადიკოსა და მის ცოლს კეტით ვერ მოერეოდა. ცოტა იქით ქვის ცულები და დანები სალდებოდა. ველურმა ფული არ იცოდა და საქონელს საქონელზე ცვლიდა. ტყავკაბიანი, წვეროსანი კაცები ბრინჯაოს ცულებს ყიდდნენ, ტანადი, ტაჭურიებული ინდიელები — ტომაჰავკებსა და მშვილდისრებს. ტრამალების ცხელი სუნთქვით გარუჯული მომთაბარენიც აქ ტრიალებდნენ, მიზანში ისროდნენ და ჰაერში უწყვეტად ზუზუნებდა გაფრენილი ისარი.

წინიდან ჩახაჩუხი მოისმა. ყოველი ხალხისა და ერის შვილს მოეტანა საკუთარი ნახელავი ხმალი და ხანჯალი, ერთმანეთს ახარბებდნენ და კაცთაკვლის ოსტატობას უჩვენებდნენ. მინაზე ზოგან სისხლის ტბა იდგა, მაგრამ ამას ყურადღებას არავინ აქცევდა. აქ იყვნენ ეგვიპტელები, სასირცხო რომ თეთრი ნაჭრით დაეფარათ, თეთრქიტონიანი ბერძენნი და რომაელები, გამხდარი, წონოლა არაბები, უდაბნოს ქართაგან ჩაჟანგული სახეებით, დრაკონებიანი აბრეშუმით მოსილი ჩინნი და მაჩინნი, ჰინდონი და მონობას გამოქცეული ზანგნი... ტაიჭზე ჩამოიქროლა ახალგაზრდა, გრუზათმიანმა ალექსანდრემ... თავის კარვის წინ გოროზად იჯდა და კვიციის სისხლს ხვრეპდა ჩინგის ყაენი... კოჭლობით ჩამოიარა თემურ ლენგმა, ელამი მზერა ნამით მიაყინა პაპუნას, ელდა დაუტოვა და წავიდა... ხალიბაურთან შეყოვნდა პაპუნა. მთით ჩამოსულმა ვაჟკაცმა რაღაცა თქვა, ჰგავდა კიდევ ქართულს და არცა ჰგავდა. ხმაღმა ჰაერში გაიელვა და ვერცხლის სხივი დააპნია...

უცბად გავარდა მუშუკეტი. ამას ზარბაზნის ბუხუნი მოჰყვა და ბრბოს თავზე რკინის ბურთმა გადაიშხულია. თოფებსა და ზარბაზნებს თვლა არა ჰქონდა და ფეხს აუჩქარა... კაცი ჩამოყრდნობოდა ზარბაზნის ლაფეტს, სამკუთხა ქუდი ეხურა. პაპუნამ პირი დააღო. ნაპოლეონი უნდა ყოფილიყო, ბონაპარტი. ღრმა ფიქრს წაელო იმპერატორი და პაპუნამ ჩახველებაც ვერ გაბედა... მოულოდნელად გიგანტს შეეჩება, ტალახიანი ბოტფორტები ეცვა. არწივივით ზევიდან დაუბრიალა თვალი, წვრილი უღვაშები მრისხანედ აქაჩა. პაპუნამ პეტრე პირველს მიახმავდა, გზა დაუთმო. პეტრე საზღვაო ზარბაზნებს ათვალიერებდა, თან მის გვერდით ატუზულ ოფიცერს ჯორავდა...

თვითონაც არ უწყობდა საით წასულიყო. პირველსავე მოსახვევთან კინალამ ტანკმა გაიტანა. გრიალით ჩაუარა ჯავშნოსანმა მანქანებმა, ტანკეტკებმა, თვითმავალმა ქვემეხებმა... ხმაური მიწყდა და გზის გაგრძელება დააპირა. ამ დროს მავანმა ყურის ძირში ჩასჩხავლა: „ჰაილ!“ ირგვლივ რამდენიმე კაცმა ერთხმად შესძახა: „ზიგ ჰაილ!“ და ხელები ზევით ატყორცნეს. შუბლზე თმაჩამოფარცხული, ვინროულვაშიანი კაცი

მზერით ბურღავდა პაპუნას. გამხდარი თითი მკერდში ატაკა და შეეკითხა: „ურია ხარ?“ პაპუნამ არაფერი უპასუხა, სწრაფად გაშორდა.

წინ უფრო შთამბეჭდავი სურათი ელოდა. ყოველივე, რაც აქამდე ნახა, სათამაშოს უფრო ჰგავდა ამასთან შედარებით. ვრცელ მინდორში წყება-წყება ჩამომწკრივებულიყო რაკეტული სისტემები, რადარები, ზებგერითი ავიამანადაგურებლები, ასაფრენად გამზადებულ სვავებს რომ ჰგავდნენ. აქ უამრავი მაღალი რანგის ოფიცერი დასეირნობდა, მაგრამ სანამ ერთ ავიამზიდს ჩაუარა (ვინ ოხერმა ამოათრია ნაპირზეო, — გაიფიქრა), მუხლები დაანყდა და მწვანე სკამზე ჩამოჯდა.

ამოსუნთქვაც ვერ მოასწრო, მის წინ ლურჯკიტელიანი, ლიმონისფერი კაცი შეყოვნდა. ასევე ლურჯკიტელიანი პირები ახლდნენ. მათ უკვე მოესწროთ პოლიგონის დათვალიერება და პირზე კმაყოფილება ეხატათ. პირველ ლურჯკიტელიანს ფართო, გაბადრული პირისახე ჰქონდა, მაღალი შუბლი და უკან გადავარცხნილი, მეჩხერი თმა. თავზე თითქოს მზის ოქროსფერი სხივების გვირგვინი ულივლივებდა.

პაპუნამ თავი მოიმძინარა, მაგრამ ლურჯკიტელიანის ყოველ მოძრაობაში რაღაც სიდიადე იგრძნობოდა. ის თითქოს იმქვეყნიური სფეროებიდან მობრძანდა, ფეხს ძირს არ აკარებდა და მტვერზე ნაკვალევს არ ტოვებდა.

„ვეი!“ — უხმო კაცმა.

პაპუნა წამოდგა, მოკრძალებით შეჩერდა. ლურჯკიტელიანი მოგოგმანდა, პაპუნაზე დაბალი ჩანდა. მხარზე ხელი მოუთათუნა. უმაღლე მის უკან თარჯიმანი ამოიზარდა.

„შეგატყვე, დიდი საქმე ჩაგიფიქრებია!“ — ბრძანა ლურჯკიტელიანმა და თარჯიმანმა უმაღლე გადმოუთარგმნა.

„ვერ დაგიმალავთ და თავი უნდა დავიცვა!“ — პირდაპირობა არჩია პაპუნამ.

„მტერი უნდა მოსპო, — კაცის ხმა მტრედის ლულუნსა ჰგავდა, — მტერი თუ გყავს, იარაღი უნდა მოიმარაგო!“

„აქ იმდენი იარაღია, — მხრები აიჩიჩა პაპუნამ, — ავიამზიდი მე რად მინდა, ერთი პანსიონატის დირექტორი მემტერება!“

„მაგას რა ჯობია! — კაცის სახე ლიმილმა მთლად მზი-

სებრ გააცისკროვნა, — გირჩევ, წყალბადის ბომბი შეიძინო, დირექტორსაც მოსპობ და პანსიონატსაც!“

პაპუნამ უკან დაიხია, ენა აუბორძიკდა:

„მე... მე რად მინდა...“

„იყიდე წყალბადის ბომბი! ჩემს ქვეყანას ისეთი ლამაზი ბომბი აქვს! როცა ფეთქდება, მეტად თვალწარმტაცი სანახაობაა... გიგანტური სოკო...“

დამფრთხალი პაპუნა უკან-უკან იხევდა, ლურჯკიტელიანი კი ისევ და ისევ უმეორებდა:

„იყიდე, რა, იყიდე!“

პაპუნა შებრუნდა და გაიქცა.

„იყიდე!.. იყიდე!..“ — მოსძახოდა ლიმონისფერი კაცი თავის უცნაურ ენაზე.

პაპუნას სირბილისაგან ქოშინი აუტყდა. ასე გადაკვეთა მთელი პოლიგონი და წყაროსთან აღმოჩნდა.

მუხის ძირას მორაკრაკებდა ანკარა წყარო. სახეზე შეისხა, ყლუბი დალია. ირგვლივ სინყნარე სუფევდა. მსოფლიო ბაზრის ყაყანი და ხმაური აქ ვერ აღწევდა.

ჩრდილში უხეშად გამოჩორკნილ მაგიდას წმინდანი უჯდა. ოქროსფერი თმები მხრებზე ეყარა. წინ ეტრავტი გადაეშალა და ბატის ფრთით რაღაცას წერდა. საგანგებოდ წვერწამახული კალმები მაგიდის კიდეზე ეწყო.

პაპუნამ იცნო, თავზე წამოადგა.

წმინდანმა აიხედა.

„ვერ მასწავლით?..“

„გისმენთ, უფალო!“ — წმინდანი აზრით სავსე, თავლისფერი თვლებით შემოსცქეროდა და პაპუნა ნდობით განიმსჭვალა.

„იარაღს ვეძებ!.. ძლიერი კაცი მმტრობს და თავი უნდა დავიცვა!“

„რა ხელობა იცით?“

„მწერალი ვარ, — პაპუნას რატომღაც შერცხვა ამ სიტყვისა და სწრაფად დაუმატა, — კლასიკოსი კი არა, რა თქმა უნდა...“

„მწერლის იარაღი სიტყვაა, უფალო!“ — წყნარად თქვა წმინდანმა.

14. მკვლარი წახლი

(მასალები რომანისათვის)

„არ მეგონა, რომ გული ცხოვრებისაკენ მომიბრუნდებოდა, შავ-თეთრის გარდა კვლავაც შევამჩნევედი სხვა ფერებს, გონებაში ისევ გავივლებდი პატივმოყვარულ ოცნებებს, ვერონიკას სახელთან ერთად რომ დავასამარე. დამთავრდა ცხოვრების უმთავრესი ნაწილი — სიყმანვილე... მეოთხედი საუკუნე მოგონებების წიგნში ჩანიკნიკდა, მომავალი კი ნისლით მოცული, ბუნდოვანი ხვალედან თანდათან იკვეთებოდა, თანდათან უფრო ხელშესახები ხდებოდა, თუმცა აკლდა მას ერთი რამ, რაც სიყმანვილის ოცნებებს ახლდა — დაუეჭვებლობა...“

ხელში ასე გვიან ნაშოვნი ატესტატი ეჭირა, ქალაღის ლურჯი ფურცელი...

„თუ ვერ ჩაირიცხე?“ — დედამ მხოლოდ ერთხელ ჰკითხა. მისთვის შვილის მომავალი გაურკვეველი იყო. იმედი მთლად გადაწურვოდა, რადგან აქამდე მრავალი წელი შეაღია შვილის ნაკვალევს ძებნას.

„ჩაირიცხები!“ — მოკლედ მოჭრა ჭაბუკმა და ხელი ჩემოდანს დაავლო.

დიახ, ჩაირიცხა!.. მერე გამოცდები ბუნდოვანი სიზმარით ახსოვდა. თეთრი უნივერსიტეტის მჭიდროდ მიგმანული კარები თავდაპირველად შეუღწეველი ეჩვენა. ნერვული ციებით შეპყრობილი შედიოდა ყოველ მომდევნო გამოცდაზე. თითქოს სიცხიანი ხდებოდა, პირი უშრებოდა, ლუკმას ვერ ყლაპავდა. როცა ეგონა, ფეხი დამიცდებო, მაშინ წამოიწია, წელში გაიმართა, ზღუდე დაძლია და, რომ მოიხედა, განვლილი გზა უბრალო და ჩვეულებრივი მოეჩვენა. მალე დაავიწყდა პირველი მგზნებარება, მოსაწყენი ლექციების უსასრულო რიგი თვლემას გვრიდა.

ხუთი წელი შედგებოდა წვრილმანი გამარჯვებებისა და დამარცხებებისაგან. გამარჯვებებს ორეული იმკიდა. თითი არ გაუწმენდია, მაგრამ პატივმოყვარეობით გაბერილი და-

დიოდა. მარცხთან მარტო რჩებოდა, მოზიარე არავინ ჰყავდა. ასე გაიხლიჩა მისი არსება. ორეული მცონარეობდა, დროს ატარებდა, ოხუნჯობდა, ბაქიბუქობდა, უსაქმურ გოგოებს თავს აწონებდა; ჭაბუკი კი ჭიანჭველის მონდომებით წიგნს თავს აკლავდა, მარტოობის დარდი გულზე აწვა, ნალველს ჩუმად დაატარებდა, რალაც შეუცნობი და შორეული ექო ეხმიანებოდა, თავს ძლივს იკავებდა, რათა კვლავ არ დასდგომოდა უკვე ნაგებულ გზას, თეთრი ტრამალების გავლით, ჩამავალი მზისაკენ, სადაც ბარიკადების მენამულ ზღუდეებზე სისხლისფერი დროშა ფრიალებდა.

სიყვარულში ეძიებდა თავშესაფარს...

გოგოს ერქვა მზისადარი, თუმცა მზისა არაფერი ეცხო, უფრო მთვარის ანასხლეტსა ჰგავდა. სამყაროს შემკრთალი თვალებით შეჰყურებდა, თითქოს კითხულობდა, რისთვისაა საჭირო ეს კოლოსალური, უხეში ქვეყნიერება, როდესაც ადამიანებს შეუძლიათ იცხოვრონ ციციქნა ყვავილნარში და თოჯინებით გაერთონო. ჭაბუკი უყურებდა მის პროფილს, კისერზე ათრთოლებულ ლურჯ ძარღვს (ამ დროს ლექტორი ფილოსოფიის სიღრმეებში დაცურავდა) და ორნაირი გრძნობა ეუფლებოდა — ზიზღნარევი სიყვარულისა, რადგან ამ გამჭვირვალეებს აკლდა სიმყარე, ხორცი, რაიც სულის სამყოფელია. მასში ისეთი ლურჯი ჰაეროვნება ისახებოდა, შეუძლებელი იქნებოდა ჩვეულებრივი, ადამიანური სიყვარულით მისი შეყვარება... საღამოობით, ძველი თბილისის ვიწრო ქუჩებში შინისაკენ რომ მიაცილებდა, თავისი თავი მოუხეშავი ბაცბაცდევით ეგონა, გოგო კი — ფოფინა ანგელოზი, რომლის არსებობაში წამდაუნუმ უნდა დარწმუნებულიყო. ტიკტიკებდა თავის ბავშვურ სისულელეებს, რასაც ორეული უხიავი სიცილით პასუხობდა, უხეში ცინიზმით ყოველივეს წამლავდა. ორეულის თვალში იგი იყო ერთი უღონო, ავადმყოფური არსება, მამაკაცს ვნებას რომ ვერ აღუძრავდა. ჭაბუკი ხშირად აგებდა ბრძოლას ორეულთან, რადგან ორეულის მიერ დაპყრობილი ჯანსაღი გოგოები, რომლებსაც ვერა ფრთები ცაზე ვერ აზიდავდა, ირგვლივ გამაბრუებელ... არა, სურნელს არა... ბიოდენებს აფრქვევდნენ... ჭაბუკი კი ჰარმონიას ეძებდა.

სადაც შუაში უნდა ყოფილიყო იგი, შეხების იმ წერტილში, სადაც სული თანაზიარია ხორცისა... მას ვერონიკა უნდა რქმეოდა, მაგრამ ვერონიკა არსად ჩანდა და მარტოობით გულგაბეზრებული ჩაიკეტებოდა საკუთარ მეში, სულს იწინკნიდა, ორეულს ებრძოდა, მის მიერ დაგებულ ხაფანგებს თავს არიდებდა, მაგრამ ფეხი ხშირად უცდებოდა. დაცემა მტკივნეული იყო. კვლავ წამოდგებოდა. თავს ისჯიდა უზომო შრომით, მეცნიერებათა ანაბანაში ტვინს იჭყლეტდა, ხან საჭირო, ხან უმაქნის წიგნებს ეჭიდებოდა... ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ადიოდა ზევით და ზევით, როცა ეგონა, მალლა ავალნიყო, იქ ორეულის ხაფანგი ხვდებოდა და თავიდან მეორდებოდა სიზიფეს ეს შრომა...

სამი წლის შემდეგ უცბად შეჩერდა. ბნელ ქუჩაში მზისადარს მიაცილებდა. გოგონა სკოლის მონაფესავით მიაქნევდა ჩანთას და ტიკტიკებდა რალაც ბრძნულზე ბრძნულს, რაც ერთ მარტივ სისულელემდე დაიყვანებოდა. ჭაბუკის შეჩერება არ შეუმჩნევეია, ტიკტიკით განაგრძო გზა და ბნელმა შთანთქა. ჭაბუკს მხოლოდ ანგელოზის ფოფინა ხმა ესმოდა კიდევ ცოტა ხანს, მერე ესეც მიწყდა. ვერ გაეგო, შინისაკენ გადაუხვია გოგონამ თუ უხილავმა ღამემ აიტაცა და იქ წაიყვანა, სადაც ასეთივე გოგონები სალამურის ხმაზე ფერხულს უვლიან...

მაშინ იგი გაიქცა... გაექცა ყოველდღიურობას

...მაშინ მე გავიქეცი ყველასა და ყველაფერს! ვერავინ ვერაფერს შემატყობდა. წინანდებურად დინჯად დავდიოდი თანაკურსელებთან ერთად, ლექციაზე დროულად ვცხადდებოდი, ლექციის მერე კი ხან უნივერსიტეტის ბაღში ჩამოვსხდებოდი სალაზღანდაროდ, ხან ლუდხანაში, თუ ჯიბეში ფული გვიჭყაოდა, რა თქმა უნდა... ყველას თვალწინ ვტრიალებდი, მაგრამ მე უკვე გავიქეცი — რომანში...

ოთახში ოთხნი ვცხოვრობდით. ოთხს ოთხ-ოთხი მაინც გვესტუმრებოდა ხოლმე. ერთ მაგიდას უსხდნენ და ჯოკერს თამაშობდნენ. საფერფლედ სამლიტრიან ქილას იყენებდნენ და, როცა ის აივსებოდა, თავს მაშინლა ასწევდნენ. მე კი ჩემი სახელმწიფო მქონდა, ჩემი საუფლო, — რკინის ვიწრო სანოლი, გაქუცული ბალიში, თხელი საბანი, ბამბის ლეიბი. ფეხმორთხმით ვიჯექი, მუხლებზე თაბახის ქალაღი მენყო, ხელ-

ში ბურთულიანი კალამი მეჭირა. ირგვლივ ვეზირნი და სეფე-ქალნი მეხვივნენ და თრთოლვით ელოდნენ, ვის რა განაჩენს გამოვუტანდი. მე მარტო არ ვიყავი, მე მყავდა გმირი-მეგობრები და გმირი-მტრები, ისინი, ვისაც ვეთაყვანებოდი, და ისინი, ვისაც ზიზლით ვანადგურებდი. ჩემთან იყო ჩემი მეხსიერება და ჩემი წარმოსახვა, ჩემი ბავშვობა და აწმყო. თამბაქოს ბოლით გავსებულ ოთახში მე მქონდა ჩემი მობიბინე მინდვრები, სადაც გვირილას ვკრეფდი, როცა მოვისურვებდი, რომ მეათასეჯერ შემემონებინა — ვუყვარდი თუ არ ვუყვარდი... ოღონდ ვის?.. ორი წლის შემდეგ, როცა ბოლო წერტილი დავსვი, ბანქოს ქალაქი გაიცრიცა, სინათლე გასდიოდა, მოთამაშეებს ხელში შემოადნათ. მაშინ გავახსენდით და მკითხეს: „რა დანერე?“ თაბახის თავფურცელი შემოვაბრუნე და ვუჩვენე: „მკვდარი სახლი“. მხრები აიჩეჩეს, საიდანღაც ბანქოს ახალი დასტა დააძვრეს და თამაში განაგრძეს. მე კი გამოვეთხოვე ჩემს გმირებს და მივხვდი, კვლავ მარტო დავრჩი...

(„მკვდარი სახლი“, რომანის წინათქმა)

„უხმოდ ცრიდა და გარიჟრაჟზე ტყის პირას რომ გავალნიე, მწვანე მინდორში მკვდარი სახლი ვიხილე.

დილის ბურუსში თეთრად იბოლქვებოდა ხეთა ტოტებს მოდებულნი ნისლი.

კატაბარდებს დაეფარა ბილიკი მკვდარი სახლისაკენ.

ჩაშავებულ, ხავსიან სახურავს, ოდესღაც თეთრად შეფეთებულ კედლებს დავიწყების მრუმე ფერი დასდებოდა.

სევდასა და ნაღველს შეეპყრო ჩემი სული, თხელი, უხილავი წვიმა ტანზე მადნებოდა.

თავშესაფარს ვეძებდი და არ მახსოვს, როგორ შევალნიე პირველ ოთახში. უხსოვარ დროს მიტოვებულს ნათლად აჩნდა ჟამი ჩუმი რღვევისა. ცალ ანჯამზე ჩამოკიდებული კარი სევდიანი ჭრიალით ირხეოდა. ჩამსხვრეულ ფანჯრებში ობობას ქსელი გაება და წვიმის ბრჭყვიალა წვეთები შეეპყრო.

მქრქალი, ცივი ნათება იდგა და დღე ვერ ბედავდა, განე-

ფანტა სევდა და მოწყენილობა.

შემცივდა, ნესტი მეტმასნებოდა ტანზე. იქნებ ცეცხლი დავანთო-მეთქი, მაგრამ წუმნუმა უმაღვე ჩაქრა, თეთრი, უსიცოცხლო ბოლი გამოუშვა საწყალი ფშლუკუნით...

დავუყვი ოთახების უსასრულო რიგს. მახსენდებოდა რაღაც ძალზე შორეული, რაღაც შეუცნობი, ბავშვობაზე უფრო ადრინდელი, როცა ეს კედლები სითბოსა ჰფენდა, ოთახებში სიმყუდროვე სახლობდა.

მრავალი ოთახი განვლე ასე და სევდა უფრო და უფრო მიმძაფრდებოდა. ველტვოდი რაღაც გამოუცნობს, რაღაც პირვანდელს... მაგრამ დროის უხმო მდინარება მკვდარი სახლის კედლებიდან თეთრ ფერფლად ეშვებოდა და საიდანღაც ქურდულად შემოპარული მენამული სხივი მზისა ცდილობდა უკანვე გაპარულიყო.

ბოლო კარს ჯერაც შერჩენოდა ბრინჯაოს სახელური და მომეჩვენა, რომ ახლახან ვილაცამ შეახო ხელი, თხელი ანაორთქლი შეატოვა.

ფრთხილად შევალე. ოთახის სიღრმეში, მაღალ სარეცელზე, ფაფუკ ბალიშებს მიყრდნობილი ხნიერი მანდილოსანი ვიხილე. ხელში საქსოვი ეჭირა. სასთუმალთან, ვერცხლის შანდალში თაფლის სანთელი ცახცახებდა და ოთახს ფარფატა, მყუდრო შუქით ავსებდა. მანდილოსანმა ოქროს სათვალისა გამომხედა, პირისახეზე სიხარული აღებეჭდა.

თითქოს მენახა ოდესღაც, თითქოს ასევე იჯდა მაშინაც, ასევე ქსოვდა, ასევე მილიმოდა.

მოვუბოდიშე, მყუდროება დაგირღვიეთ-მეთქი. ნამგზავრი ვარ, ტანზე სველი მაცვია, გამოვიცვლი და გეახლებით-მეთქი. მანაც თავი ამაყად დამიქნია, ნება დამართო და მე შემოვბრუნდი, კარი მივხურე.

კვლავ იმ ოთახებში გამოვიარე, ოღონდ აღარ მახსოვს, რა დრო იყო. ყველაფერი შეცვლილიყო. კედლებზე ხამი ფერის შპალერი ეკრა. ჭერზე ბროლის ძვირფასი ჭალები ჩანჩახებდა. ოთახები ანტიკური ავეჯითა და ფარჩა-აბრეშუმით გაეწყობოთ. იატაკზე აღმოსავლური ხალიჩები ეფინა.

მხიარული სტუმრები მომრავლებულიყვნენ. შავფრა-

კიანი მამაკაცები და თეთრსამოსიანი ბანოვანები სუფრას შლიდნენ, ბროლსა და ფაიფურს წკრიალი გაჰქონდა.

აუჩქარებლად გადავკვეთე ყველა ოთახი და სევდა უფრო მომეძალა.

ღია ვერანდაზე გავედი.

წვიმას გადაელო. ვერცხლის წვეთები ციმციმებდა ტოტებში. მწვანე მდელოზე ჟრიამულით დარბოდნენ ბავშვები, ფრთახატულა პეპლებს დასდევდნენ.

მოვიხედე. გვერდით ნორჩი ასული მომყვებოდა. თეთრი, თხელი კაბა ტანზე ფარფატიტ ეხვეოდა. ხელში გვირილა ეჭირა.

ცისფერ თვალელებში ოცნება ჩაჰბუდებოდა.

„თქვენ, ალბათ, გახსოვთ ირენ?“ — მკითხა.

თვალზე ცრემლი მომადგა, ყოველივე გამჭვირვალე და ლიცლიცა გახდა. ყოველივეს ლურჯი ფერი დაედო, წარიშალა, ყოველივეს სევდის ბეჭედი დაესვა.

დავინწყების თეთრი ფერფლი დაეფინა ყველაფერს და მე ვნახე, რომ კვლავ ტყის პირას ვიდექი, ციდან უხმოდ ეშვებოდა მოსაწყენი წვიმა. მკვდარი სახლისაკენ მიმავალი ბილიკი კატაბალახს დაეფარა...“

პაპუნა ჭყონიას ნაღველი მოეძალა. კალამი გაუჩერდა. არ ღირდა სევდიანი მოგონებების გაღვიძება. ის მოსაწყენი რომანი ვერსად გამოაქვეყნა და ეს მარცხი სულს მძიმე ტვირთად აწვა, თითქოს იმთავითვე უიღბლო ბავშვი მოევლინოს დღის სინათლეზე. შემდგომ თათულის წააკითხა. ქალიშვილმა იტირა და მაშინ პაპუნას მოეჩვენა, რომ მან მაინც გაუგო. უფრო გვიან, როცა ოჯახმა ისინი ერთ ჭერქვეშ შეჰყარა და ყოველდღიური წვრილმანები ორივეს აღიზიანებდა, მორიგი კინკლავის ჟამს, თათულიმ წამოსძახა: „შენ გყავდა ირენ!“ პაპუნამ არაფერი უპასუხა. თვითონ კი საკუთარ წარსულს ჩაულრმავდა, მაგრამ მეხსიერების უდაბნოეთში მსგავსი ვერავინ აღმოაჩინა. იფიქრა, ალბათ, სადმე წიგნში ამოვიკითხეო. მერე კი, როცა ამაზე ფიქრს მოეშვა, უცბად ამოუტივტივდა. წინუცა ბებიას სიზმრის გმირი იყო „ირენ“, ჯერ კიდევ სიყრმიდან გამოჰყო-

ლოდა, ვინაობა კი იმასაც არ ახსოვდა.

გახსენებაზე წინუცა ბებია მოისაკლისა. ბაზრიდან დაბრუნების შემდეგ საწერ მაგიდას არ მოშორებია და აქამდე ვერ შეამჩნია, რომ ბინაში არ ისმოდა დედაბრის ხმადაბალი პუტუნი და ფლოსტების მსუბუქი ფრატუნი.

„წინუცა ბებია!“ — გასძახა.

ბინაში ელექტროაღმრიცხველის სუსტი ზუზუნილა მოისმოდა.

პაპუნამ ერთხელაც მოუხმო დედაბერს, მერე წამოდგა და ოთახები დაიარა. ვერსად აღმოაჩინა, თუმცა სუფრაზე განწყობილი სადილი უკვე ცივდებოდა. იქნებ კვლავ „მოხუცებულთა კლუბში“ გაიპარაო, იფიქრა, მაგრამ ამ აზრმა ვერ დაამშვიდა, წინათგრძნობა აშფოთებდა.

ვესტიბიულში დაჭრილი ჯარისკაცი შეხვდა. კვლავ საომრად მიდიოდა ყავარჯნების კაკუნით. იმას შეეკითხა, მაგრამ ჯარისკაცმა ვერაფერი გაიგო და ვერც პაპუნა იცნო.

უშანგმა ჩამოიცუნცულა კუდის ქიცინით. პაპუნამ ზიზლით შეაქცია ზურგი. უშანგმა ნაწყენად ჩაიფხუკუნა და ბიბლიოთეკაში გაუჩინარდა.

პაპუნა ეზოში გავიდა.

ცაზე მუშტისტოლა მზე ოდნავ ბჟუტავდა და გარემოს მენამული ფერი ეფინებოდა. პანსიონატი ჩვეული რიტმით ცხოვრობდა. აივნებზე დამსვენებლები გამოფენილიყვნენ. ზედა სართულების მცხოვრებთ შეზღონგები გამოეთანათ და შავდებოდნენ, თუმცა მზის სითბო არც იგრძნობოდა. ზოგი წიგნს კითხულობდა, ზოგი ნარდის კამათლებს აგორებდა, ზოგი ბანქოს თამაშობდა. პარკში საკმაო ხალხი ირეოდა და ყველა თავის ჭკუაზე ერთობოდა. ახალგაზრდები ბურთს დასდევდნენ. სკამებზე ჩამომსხდარი ბერიკაცები პოლიტიკასა და პენსიებზე მასლაათობდნენ. ერთგან მრგვალ მაგიდას ყომარბაზეები უსხდნენ, საკუთარ თავებზე თამაშობდნენ. წაგებული თავები საზამთროებივით ეყარა კალათაში. უთავონი კი მაინც არ ეშვებოდნენ და, ვინ იცის, რა იმედებს ეპოტინებოდნენ.

პაპუნა არავის გამოლაპარაკებია, ლეტას ნაპირზე ჩაისეირნა. კამკამა წყლის ჩქერალები ამშვიდებდა. უბეებს სასი-

ამოვნო სიგრილე მოელამუნა. გული დაუნყნარდა და ახლა უკვე ყველაფერი როდი ეჩვენებოდა ზედმეტად შავ ფერებში.

განაპირა სკამზე ბიჭი შეამჩნია, ასე, ცამეტიცა იქნებოდა. იცნო, მაგრამ ვერ გაარკვია, ესამოვნა თუ არა მისი ხილვა.

ბიჭმა თავლისფერი თვალები მოანათა. გამხდარი, უჭმელი ბავშვი იყო. მორიდებით წამოდგა.

„იჯექი, იჯექი!“ — მამაშვილურად უთხრა პაპუნამ, თვითონვე არ მოეწონა თავისი ქედმაღლური კილო.

დაჯდა და დაელოდა, სანამ ბიჭიც მორცხვად ჩამოჯდებოდა.

ხელში ყდაჩამოღლებილი საერთო რვეული ეჭირა, თითები მელნით მოეთხვარა.

„კოლეგაა!“ — გაიფიქრა პაპუნამ, კეთილად განეწყო.

„კოლეგაა?“ — ზიზღით აიმრიზა ორეული.

„ვერონიკა ხომ არ შეგხვედრია?“ — ჰკითხა პაპუნამ.

„თქვენ საიდან იცით?“ — კითხვა შეუბრუნა ბიჭმა, ლოყები შეუხურდა.

„რა?“ — ვერ გაუგო კაცმა.

„ვერონიკა აგერაა! — ბიჭმა რვეული შეარხია, მერე გულუბრყვილოდ დასძინა: — ეს ჩემი საიდუმლოებაა!“

პაპუნამ რვეული გამოართვა. ალაგ-ალაგ მელნით დალაქავებულ ფურცელზე მსხვილ-მსხვილი, ოკრობოკრო ასობით ეწერა: „სენიორ ხუან დე ჭიპუნას ფათერაკები“. სწრაფად გადაფურცლა და მხოლოდ ბოლო ფრაზა წაიკითხა: „ცამეტი წლის ვერონიკა იჯდა და ელოდა თავის რაინდს...“

„ცამეტი წლის?..“ — ხმა ჩაუვარდა.

„დიახ, ვერონიკა მარადუჟამს ცამეტიცა იქნება!“ — ბიჭის ხმაში ფარული მტრობა მოისმა. რვეული გამოართვა და წავიდა. პაპუნა კარგა ხანს იჯდა და ისეთი გრძნობით გაჰყურებდა, თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდა საკუთარ ბავშვობას.

ბინაში რომ შებრუნდა, სამუშაოს გული ვერ დაუდო. აივანზე გავიდა და ეზოს გადახედა. ქვეშეცნეულად ყოველ წყვილში ვერონიკას ეძებდა. შერცხვა თავისი შეუცნობელი ზრახვებისა. მაგიდას მიუბრუნდა, თავი აიძულა, ორიოდე სიტყვა კიდევ დაეწერა...

(მასალები რომანისათვის)

„...დიპლომი რომ აიღო, ცასა და მიწას შორის აღმოჩნდა გამოკიდებული. თავდაპირველად ამაზე არც შენუხებულა. ხომ უნდა დაეხვეწა თავისი უიღბლო რომანი. დედის ღარიბ სახლს თავშეფარებული მთელი ზაფხული ბეჯითად უკაკუნებდა საბეჭდ მანქანაზე. სამუშაო მაგიდა დიდი ლეღვის ჩრდილში ედგა და აქედან მეზობელი ეზოების მწკრივი ჩანდა. მონოტონური კაკუნი შორს გაისმოდა. სტუმრად ჩამოცქრიალებული ნატა ცნობისმოყვარეობამ ზედ ლობესთან მოიყვანა. ჭაბუკმა თავი ასწია და არაქაური ასული დაინახა. ჩვიდმეტზე ნაკლები არ მიუცია. ინტერესით შეათვალიერა და თვალი აარიდა.

მანქანაზე კაკუნი არ შეუნყვეტია, მაგრამ უნებლიეთ ხშირ-ხშირად იყურებოდა იქითკენ და ლელავდა. თამამი გოგონა კი იმ ადგილს არ შორდებოდა, წამდაუნუმ თვალწინ ერჭობოდა.

პირველი ნაბიჯიც ნატამ გადმოდგა. რალაც მოიმიზეზა და ეზოში შემოიჭრა. მისი თხელი კაბის შარიშურმა ჭაბუკს თავგზა აუბნია, ხელები ჩამოაყრევინა. ვერ გაიგო, რას თხოვდნენ. თითქოს წიგნის ნათხოვრობაზე ეტიკტიკებოდნენ და თაროსაკენ გაუძღვა. თაროს რომ ვერ მისწვდა, სკამი მისწია და იმ სკამზე ნატა შეფრთხილდა, ზედ ცხვირწინ დაუფრიალა მსუბუქი და გამჭვირვალე კაბა. ხელი თავისთავად გაუცურდა ჭაბუკს, ვითომ ხუმრობითო, გოგონას კანჭზე გაჰკრა. ნატამ ჩაგუდულად გაიცინა, სწრაფად დაიხარა და მოულოდნელად ლოყაზე ტკაცანით აკოცა. ჭაბუკი გაშრა, შიშნარევმა სიხარულმა გათანგა, ჩუმი სიცილით გაქცეულ გოგოს მიედევნა.

საბეჭდ მანქანას რომ მიუჯდა, თითს დიდხანს ვერ ახვედრებდა კლავიშებს.

მეორე დღეს ნატამ დრო იხელთა, ნუთით შემოირბინა. ჭაბუკი უხეშად ჩაეხვია, ტუჩები მოუძებნა. გოგოს არც უცდია გასხლტომა, ბედნიერი სიცილით ეხვეოდა, რალაცას ტიტინებდა, რისი აზრიც დაყრუებულ ჭაბუკს არ ესმოდა.

ასე მოვარდებოდა იგი დღეში ერთხელ, ჭაბუკის სულში ცეცხლს ააგიზგიზებდა და გაქრებოდა...

მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ ჰკითხა, მაინც რამდენისა ხარო. ცამეტისო, რომ გაიგო, დაფრთხა, სიფხიზლეს მოუხმო... ამასობაში ზაფხულიც მიიღია, ხელი დაავლო ხელნაწერს, წიგნებს და დედაქალაქისაკენ გაემგზავრა.

იქირავა იაფი ბინა, იშოვა უბრალო სამსახური და თავის თავს უბრძანა: დროა, ცოლი შეირთო!..“

15. წამიჯლისო ბოლოი

ნინუცა ბებია არ დაბრუნდა. პაპუნა ჭყონია მარტოობამ შეაწუხა. თურმე თვითონაც ვერ ხვდებოდა, როგორ სჭირდებოდა დედაბრის ფაციფუცი და ხმადაბალი პუტუნის. ერთი პირობა, უნდოდა თვით დირექტორთან გაერკვია საქმე, მაგრამ ადიკომ აქეთ დარეკა. ისე მოიკითხა, თითქოს არაფერი მომხდარიყოს. ხომ არ მოინწყინეო, სამეჯლისო ბლოკში რატომ ერთხელაც არ ამობრძანდიო. იმნაირად ბუყბუყებდა, თითქოს პირში წყალს ივლებდა. ნინუცა ბებია არ უხსენებია და პაპუნა არ ჩაეძია.

ყურმილი დადებული არც ჰქონდა, კარზე მსუბუქად დააკაკუნეს. ნინუცა ბებია არასდროს აკაკუნებდა და მიაყურადა, იქნებ მომეჩვენაო.

მორიდებული კაკუნი განმეორდა.

კარს მიღმა ვიღაცა იდგა.

თავში ათასმა სურათმა გაუელვა, მრავალნაირი საფრთხე დალანდა.

ყოყმანით გამოალო და ხელში ვერონიკა შერჩა.

თავი უსიტყვოდ დაუქნია.

ვერონიკამ გვერდით აუარა, თითქოს ნიავი შემოფოფინდაო, კაცს მოელამუნა ყვავილოვანი მინდვრის გრილი მონაბერი. სული რაღაც წმინდამ და უცოდველმა გაუმსჭვალა, კამკამა სინაზე დაუტოვა.

„აი, აქ ვცხოვრობ!“ — უკვე სასტუმრო ოთახში შეეხმინა.

ვერონიკამ არაფერი თქვა. ცნობისმოყვარედ აცეცებდა თვალებს. კარადაში წიგნის ყუებს გაადევნა თითი, თითქოს

დამარცვლით კითხულობსო.

პაპუნა სავარძელში ჩაეშვა და იქიდან უთვალთვალედა. ცდილობდა თავის განცდებში გარკვეულიყო, მაგრამ აზრის დალაგება ვერ შეძლო. სათქმელი არაფერი აგონდებოდა, თუმცა ამის გამო თავი უხერხულად არ უგრძვნია. ოღონდ შორიდან ეყურებინა და მეტი არაფერი ენადა.

ვერონიკა უცბად შემოტრიალდა, სავარძლის სახელურზე ჩამოუსკუპდა.

პაპუნა ჭყონია დაპატარავდა, თითქოს ვიღაც გიგანტმა ჩაავლო ხელი და სავარძლის სიღრმეში ჩააჭყლიტა. მზერა ვერონიკას თვალებს გაუსწორა.

„ბაზარში იყავი?“ — შეთქმულივით შეეკითხა გოგონა. თვალებში უცოდველი გულუბრყვილობა გამოსჭვიოდა და პაპუნამ უკან გადაინია, ველარ გაბედა იმ კამკამა ტბაში ცხოვრებისაგან დაჟანგული გულის ჩარეცხვა.

ჩუმად დაუქნია თავი.

„ნინუცა ბებია მნაგიყვანა!“ — დაასკვნა გოგონამ.

პაპუნამ კვლავ თავი დაუქნია, თან ვერონიკას ხელი აიღო, ტუჩთან მიიტანა.

„ხელზე უნდა მაკოცო?“ — პაპუნას გაელიმა, თბილი ტალღა მოაწვა, ხელისგული გადაუშალა და ზედ აკოცა.

„ჰო, ნინუცა ბებია მნამიყვანა!“ — დაგვიანებული პასუხი ხმამალა გამოუვიდა, რითაც თავისი ფარული მღელვარება გასცა.

გოგონას მონყენილობა დაეტყო, ამოიოხრა.

„ასეც ვიცოდი, ამიტომაც აირჩევენ სილამაზის დედოფლად!“

პაპუნამ ვერაფერი გაიგო, თუმცა მიხვდა, რომ გოგონას გუნება გაუფუჭდა.

„საცა სამართალია, სილამაზის დედოფლად შენ უნდა აგირჩიონ!“

„მე რატომ? — კრთომით იკითხა. — მე ჯერ პატარა ვარ! — დაასკვნა უცბად, ხელი გამოსტაცა და წამოფრთხილდა.

— ძალიან ნუ იდარდებ! რა შენი ბრალია, შენ ხომ არ იცოდი...“

პაპუნა სავარძელში ჩარჩა. გოგონა უკვე არ იყო ოთახ-

ში, მისი წკრიალა ხმა კი კვლავ ეკიდა ჰაერში, ვერცხლის პანია ეფვანივით ჟღერდა. უსმენდა ჩუმ ექოს, აზრს კი გვიან ჩასწვდა, ანონ-დანონა, ვერაფერი გაუგო, ეს აბდაუბდა სიტყვები ბავშვის ახირებად ჩათვალა.

სამეფლისო ბლოკში ისედაც აპირებდა ასვლას.

ტანსაცმელი არც გამოუცვლია, სარკეში ჩაიხედა და თმა გაისწორა, სავარცხელი ერთი-ორჯერ გადაისვა.

დერეფანში ფეხსაცმელების ტყაპატყუპი ისმოდა. კარი გაიკეტა და შეუერთდა დამსვენებელთა მდინარებას. ყველანი ერთი მიმართულებით მიემართებოდნენ. სახეზე ნიღბები ეკეთათ, სამასკარადო ტანისამოსი ეცვათ, მაგრამ მხიარულება არ იგრძნობოდა, ხენეშა და ფეხის ტყაპუნია არღვევდა მდუმარებას, თითქოს ეს აურაცხელი ბრბო, ადგილიდან რომ დაძრულიყო, რაღაც მძიმე და სავალდებულო უღელს შეებმოდა.

ლიფტებთან ზედახორა იდგა. დაცდას აზრი არ ჰქონდა და კიბეებს ფეხით აუყვავა. თავდაპირველად სართულებს ითვლიდა, მაგრამ ანგარიში მალე აერია. ყოველი სართული დერეფნების სხვადასხვანაირ ლაბირინთს იერთებდა და ყოველი მხრიდან ზღვა ხალხი მოემართებოდა. კიბეებზე ჩოჩქოლი, დრტვინვა, უამრავი სხეულის მოძრაობით გამონვეული გუგუნი ისმოდა. ამ მსვლელობას არაფერი მიუგავდა სახალხო ზეიმს. ნიღბებს თვალს არიდებდა, თითქოს ისინი კეთროვანთა სახეებს მალავდა. მარტო თვალებს თუ ხედავდა ვინრო ჭრილებში, დამფრთხალ, შემფოთებულ, უაზრო მზერას აწყდებოდა. პაპუნამ სიცივე იგრძნო, თითქოს თვითონაც გათოშილ სხეულებში ჩაჭედდელიყო, მაგრამ ბრბოდან თავის დაღწევა შეუძლებელი აღმოჩნდა...

ბოლო ბაქანი უცბად გადაიხსნა. ვარსკვლავიანი ცა გადმოემხო თავზე და პაპუნას მოეჩვენა, კიდეც ცოტა და თავით შევასკდებო. პირველად იხილა ასეთი ჩახჩახა ვარსკვლავითი, მაგრამ ვინ აცალა ყურება, ადამიანთა ტალღამ ხან აღმა აბრუნა, ხან დაღმა და იმასლა დარდობდა, არავის გავეთელინოვო.

ყურისწამლები დგანდგარი იდგა. ტალღამ ჯერ ორკესტრთან მიაგდო და კინალამ დირიჟორის პიუპიტრი წააქცია. თითქოს სასულე ორკესტრი იყო, მაგრამ უფრო შორს რომ

გაიხედა, სასულეს სიმფონიური გადაბმოდა, იმას ელექტროინსტრუმენტებით აღჭურვილი ჯაზი, იმის იქით ათიოდე კამერული ორკესტრი ერთად ხმიანებდა, სულ ბოლოს კი დოლებითა და ტამტამებით შეიარაღებული ველურები ყველა სხვა ხმას ახშობდნენ. ათასნაირ ინსტრუმენტს, რაც კი კაცის გონებას მოუგონებია, ვის როგორ ეპრიანებოდა, ისე აწვალებდა და საშინელი კაკაფონიისაგან პაპუნას კინალამ თავი გაუსკდა.

გაქცევა იოლი არ ყოფილა. გათოშილი სხეულები ყოველი მხრიდან ავიწროებდნენ, ორ-სამ კაცს რომ გაეცლებოდა, სხვებში იჭეჭებოდა და უთავბოლო ჭიდილმა დაღალა.

უცბად ნიღბებს შორის ვერონიკას სახე გაკრთა. გოგონამ შემოსცინა, ხელი გამოუწოდა. პაპუნამ მისი სუსტი თითები ხელში ჩაიგდო და მიენდო, რათა ვერონიკას ისევე დაეხსნა იგი, როგორც ერთხელ დაიხსნა კვალზე ადევნებული ვირთხებისაგან.

თითქოს თავისთავად იხსნებოდა გზა ვერონიკას წინაშე. ნიღბები ერთმანეთს ეტმასნებოდნენ, გასასვლელს ტოვებდნენ და ვერონიკა წინ მიუძლოდა თავგზააბნეულ კაცს.

ორკესტრს რომ გაშორდა, მომღერალთა ლაშქარმა წამოყო თავი. ყველაზე მაღალი სოპრანოდან ყველაზე დაბალ ბანამდე ერთბაშად ამუშავებდნენ სხვადასხვანაირ მელოდიას და, ჩანდა, არავინ არავის უსმენდა. სოლო მომღერლებთან ერთად უამრავი დუეტი, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი იჭაჭებოდა და პაპუნას ვერაფერი გაეგო.

ამათაც თავი დააღწიეს და მოაჯირს მიატანეს. აქედან პანსიონატის პარკი იშლებოდა. დაცარიელებულ პარკს ლეტას თეთრი ნაკადი აცოცხლებდა უწყვეტი, თანაბარი შხუილით. შორს, ბურუსში შემზარავად იგორგლებოდა ზღვა, მასა და ცას შორის საზღვარი არ არსებობდა. თითქოს გიგანტური ურჩხული ქმინავდა, შთანთქმას უქადდა ქვეყნიერებას.

შემობრუნდა პაპუნა ჭყონია. ამ უსაზღვრო სამყაროში რაოდენ სუსტი იყო თვითონ. ვერონიკას გამჭვირვალე თითებს დახედა და გაელიმა:

„ძალა სისუსტეშია!“

მუსიკალურ-ვოკალური ღრიანცელი ახლა მთვრალთა

ღრიანცელმა შეცვალა. მოაჯირის გასწვრივ უზარმაზარი სეფა გაჭიმულიყო, ბოლო არ უჩანდა. აურაცხელი ხორაგი ეყარა ზედ. გაბერილი კასრებიდან წითელი და თეთრი ღვინო გადმოსჩქეფდა. ეს ამდენი ხალხი დასეოდა და მუცელს იყორავდა. ჰაერში იდგა საჭმლის ნამუსრევისა და დაქცეული ღვინის სუნის გულისამრევი ნაზავი. მოქეიფენი უკვე მიეღო უფალს, ზოგან ერთმანეთს ლოშინდნენ, ზოგან კი თავპირს ამტვრევდნენ.

შეთანხმებულებივით გაშორდნენ მელოდართ.

საპირისპირო მხარეს თითქოს მეტი სიმშვიდე სუფევდა. სადღაც, უჩინარ კოშკებზე დაკიდებული პროჟექტორები თანაბარ სინათლეს აფენდა და ვარსკვლავებს აქრობდა ცაზე.

უხილავი ორკესტრი საცეკვაოს უკრავდა. ჩახუტებული წყვილები ნელა ირხეოდნენ.

„ხომ არ გვეცეკვა, პატარა დედოფალო?“

ვერონიკამ ბავშვური მიამიტობით შემოჰღიმა. მხარზე ხელები დაანყო და მუსიკას ნელი ტაატიტ აჰყვა. უცნაური ნეტარებით შეპყრობილ პაპუნას პატარა ფერიას ნელზე შემოეხვია ხელი და ისე სათუთად დაატარებდა, ფაიფურისაა და ვაითუ დამემსხვრესო.

ნაზი მუსიკა იპყრობდა სულს, კაცის მკლავებში მომწყვდეული ვერონიკა მსუბუქად დაფარფატებდა. პაპუნა თითქოს მოსწყდა ყოველივე ამქვეყნიურს, დაავიწყდა ვინ იყო და რატომ აღმოჩნდა აქ. თითქოს იძირებოდა თაფლისფერი თვალების სიკამკამეში და ერთადერთი გიჟური სურვილი, ანგარიშმიუცემელი, გაუაზრებელი, შერჩენოდა, — დაეკოცნა ეს სახე, ეს თვალები, მთრთოლვარე ბაგეები, ოდნავ შეწითლებული ღანვები... თავი ძლივს მოითოკა. მორჩილად მიჰყვა მუსიკის მსუბუქ ტალღებს და მხოლოდ ვერონიკას თვალებს ხედავდა, სადაც გულუბრყვილობის ზღვაში მარადიული სინოორჩე ტივტივებდა.

დროის სათვალავი დაკარგა პაპუნა ჭყონიამ. თითქოს არც არასოდეს დამთავრდებოდა ეს უსაზღვრო ნეტარება, მაგრამ მოულოდნელად გამოირთო მუსიკა და კვლავ ჩოჩქოლი გაისმა.

ფოტოგრაფი დარბოდა სამფეხა ყუთით, ხელს ნუ მიშლითო იხვეწებოდა. ოჯახური ალბომისთვის იღებდა სურათს.

სკამზე მამინაცვალი და დედა ისხდნენ. მამინაცვალს ამაყად აელირა თავი, შეღებულ უღვაშებს ისწორებდა წამდაუნუმ. დედის დაღლილ სახეზე ნაძალადევი ღიმილი კრთოდა. ნაბოლარა მუხლებზე ეჯდა, მაგრამ ბავშვი არ უჩერდებოდა, ხელიდან უსხლტებოდა. უკან ჩამომწკრივებულებივით უფროსი და, ძმები, ნახევარდა და ნახევარძმა. გაყინული თვალებით მისჩერებოდნენ ფოტოაპარატს. „ჭიპუნა სადღაა?“ — იკითხა უცებ დედამ. „ჭიპუნა, ჭიპუნა!..“ — გასძახა ნერვულად მამინაცვალმა. ბრბოს ათი-თორმეტი წლის ბიჭი გამოეყო, დედის ფერხთით ჩაიმუხლა.

„აბა, მიყურეთ, ახლა ჩიტი გამოფრინდება!“ — გაიღიმა ფოტოგრაფმა.

პაპუნა თითქოს გაითიშა. თვალებზე ხელი ჩამოისვა, გონს მოეგო. კვლავ ხმიანობდა საცეკვაო მუსიკა და მოცეკვავე წყვილები როკავდნენ. მამინაცვალი ვიღაც დედაკაცს ატორლიალებოდა, ყურში მაცდურად ჩასჩურჩულებდა. დედაკაცი მეტიჩრული ჟივჟივით იცინოდა, პირზე ხელს იფარებდა. პაპუნამ რომ ჩაუარა, მამინაცვალმა თვალი ჩაუკრა, ჩაიხითხითა: „ცეკვავეთ?.. ასეთი ცეკვები იმნაირად მთავრდება!“ თან თითი მოცეკვავეთა მიღმა გაიშვირა.

გზა მხოლოდ იქით იხსნებოდა. მოცეკვავეები უკან მოიტოვეს. წინ კი გაშლილ მოედანზე მოისმოდა დაუსრულებელი ხითხითი, ქირქილი, კისკისი, ხარხარი, როხროხი... ნიღბოსანი, დედიშობელა წყვილები გორაობდნენ ყოველ ნაბიჯზე და ბლლარძუნობდნენ. პაპუნამ მოიხედა. მამინაცვალი დედაკაცს მოათრევდა და გზა-გზა კაბას ახევდა.

ვერონიკამ ცერზე აინია, ყურში ჩასჩურჩულა:

„ნამიყვანე აქედან.“

პაპუნამ ხელში აიტაცა თავისი ფერია, მკერდზე მიიხუტა. ვერონიკამ სახე მის კისერში ჩამალა და კაცს გოგონას მსუბუქი სუნთქვა ელამუნებოდა ლოყაზე.

ასე ატატებული გადაატარა მთელი ეს სივრცე და მის სულში ამ დროს წმინდა ნათელი იდგა.

განერიდა ბრბოს, უკანა მოაჯირთან გაჩერდა. დაენანა ხელის გაშვება. შეეძლო დიდხანს მდგარიყო ამ მოაჯირთან,

სადაც მის სმენას ოდნავლა წვედებოდა ბრბოს ჟრიაშული.

ვერონიკა გატრუნულიყო მის მკლავებში. ხმას არ იღებდა. მერე თავი ასწია, ღანვები შეფაკლოდა, ბაგეები გახსნოდა და თეთრად ჩანკნიკებული კბილები უჩანდა.

„გიყვარვარ?“ — ჩუმად დაეკითხა.

პაპუნამ უხმოდ დაუქნია თავი.

ვერონიკამ ჩაიცინა. ცხვირი კისერზე მოუხახუნა, მერე კი სწრაფად დაუძვრა ხელიდან.

მოაჯირისაკენ მიიხედა და ნირი უცაბედად შეეცვალა. პაპუნას ხელი სტაცა, მოქაჩა, მოაჯირს მოაცილა.

პაპუნა შიშის მიზეზს ვერ მიუხვდა. გადაიხედა. ქედის გრაგნილი წამომართულიყო, შავად გადამხობოდა მთელ ზღვისპირეთს, უბეში მოეყუყუებინა ვრცელი პანსიონატი.

ქვევით, პროჟექტორების შუქის ანარეკლზე, შემოღობილი ქართა დაინახა. რეზინის ბატებივით უცნაური არსებები დაბობლავდნენ, კისრებს ზევით, მუსიკისა და სინათლისაკენ იწევდნენ. მართლაც ბატები ეგონა, მაგრამ რომ დააკვირდა, მიხვდა, პანსიონატის რამდენიმე სართულს მაინც წვედებოდა იმ არსებათა თავები.

ვერონიკამაც გადაიხედა შიშინად, ოხვრა აღმოხდა.

სწრაფად გაშორდნენ საშიშ ადგილს.

სწორედ ამ დროს გაისმა ფანფარების ხმა.

ფიცარნაგზე ხავერდის კამზოლიანი და წითელჩაჩებიანი ბიჭები ჩამომწკრივდნენ და ბუკ-ნალარას შემოჰკრეს.

ხალხი ამოძრავდა, ორად გაიყო, ცოცხალი დერეფანი დატოვა.

დერეფნის ბოლოს პროცესია გამოჩნდა.

წინ ჯამბაზები და ტაკიმასხარები მორბოდნენ. გზა-გზა მალაყებს გადადიოდნენ. ტიტლიკანა ტანი შავ-თეთრი ზოლებით აეჭრელებინათ. მათრახებივით კუდები მოსთრევდათ. ხუჭუჭა თიმბში მტკაველა რქები მოუჩანდათ.

მერე გრიალ-გრიალით ჩაიარა მეხანძრეთა სასულე ორკესტრმა, რომელსაც ბილაულვაშიანი კონცერტმაისტერი მოუძღოდა.

ექვსწყება, შავად მბზინვარე ცხენებს შავი კარეტა მო-

ჰყავდა. შიგ ადიკო და პარასკევა ისხდნენ. ადიკო პატარა ბიჭს ჰგავდა და ბუნჩულა ლოყები თურაშაულივით უღვიოდა.

„ვაშა!“ — იგრილა ბრბომ, ათასი პირისაგან ამონთხეულმა ხმამ ტალღასავით გადაიარა, ერთი ბოლოდან მეორეს მიასკდა. უჩინარი კაცუნები დაძრნოდნენ აქეთ-იქით, აქეზებდნენ, ყელს ნუ დაიშურებთ, ენა ნუ ჩაგიგდიათ, ჩვენი ადიკო არ გაგვიჯავრდეს, თორემ ეს სამეფლისო ბლოკი უკანა ეზოს ქართაში გადაყირავდებაო.

პირდაღებული იყურებოდა აქეთ-იქით პაპუნა ქყონია, უნებლიეთ წინ გამძვრალიყო და გზიდან გადაკარგვა დავინწყებოდა.

ზედ ცხვირწინ შეყოვნდა კარეტა. ადიკოს ბუნჩულა ლოყები უცებ დაენრიტა, პირი ფართოდ გაეხა და შიგ მეჩხერი კბილები წამოეზარდა.

„როგორ მოგწონს ჩვენი წარმოდგენა?“ — ჩახლეჩილი ხმით ჰკითხა.

პაპუნამ პასუხის გაცემა ვერც მოასწრო, კარეტამ უკვე გაიარა.

უკან ჭრელაჭრულა, ზიზილ-პიპილებიანი ნიღბები მოაქროლებდნენ ცხენებს, პრიალა ცელები ზე აღემართათ და მხიარულად აჟღარუნებდნენ. ხანდახან ანგლობდნენ. ბრბოში შევარდებოდა რომელიმე მათგანი, ცელით მისწვდებოდა მსხვერპლს და თავი გაგორდებოდა მიწაზე. უკან იწევდა დამფრთხალი ბრბო, ერთმანეთს თელავდნენ.

ნიღბების ფეხდაფეხ დინჯად მოაბიჯებდა ზვავივით დიდი ლურჯი სპილო. კავებით შეიარაღებული ჰინდონი უჩხიკინებდნენ. ის კი ყურებს აპარტყუნებდა და სევდიანად იმზირებოდა.

სპილოს ზურგზე ოქროს ტახტრევანი ედგა, შიგ კი „სილამაზის დედოფალი“ იჯდა.

დაბოლოს, ისევ მუსიკოსნი, ჯამბაზები და ათასნაირი ქაჯები ყიჟინით გადადიოდნენ მალაყებს.

სპილომ გვერდით რომ ჩაუარა, მაშინლა იცნო დედოფლის სამოსში ჩაცმული ქალი.

„ნინუცა ბებია!“

არ იცოდა, გასცინებოდა თუ სწყენოდა.

„ნინუცა ბებია!“ — კვლავ გასძახა და ხელი დაუქნია.

დედაბერმა საწყალობლად გადმოხედა. გულში ტკივილად ჩარჩა ეს გამოხედვა.

„ეგ რანაირი ხუმრობაა?“ — შემცბარმა გაიფიქრა.

მობეზრდა უთავბოლო აურზაური. ძლივს გააღწიეს კიბემდე. ვერონიკამ კარამდე მოაცილა, სერიოზული თვალები შეანათა და დარდიანად თქვა:

„საწყალი ნინუცა ბებია!“

პაპუნამ არაფერი უპასუხა. ერთხანს გაჰყურებდა მიმავალ ვერონიკას, თან ფიქრობდა, დედაბრის გამასხრება ვერაფერი ოინიაო.

კარი გააღო და სამზარეულოდან წყლის ჩხრიალი მოესმა...

16. ცრიპციბი

წყლის ჩხრიალი რომ მოესმა, იფიქრა, ნინუცა ბებია მობრუნებულიაო. სწრაფად მიაშურა სამზარეულოს და ზღურბლზე გაშეშდა. „დედა!“ — უნდოდა დაეძახა. თავი შეიკავა. ქალი ზურგით იდგა, ონკანთან საქმიანობდა. ცხადია, ეს იყო დედა, პაპუნას საჭოჭმანო არაფერი ჰქონდა. პანსიონატში ჩამოსვლის პირველ დღეს რომ იხილა, მეტად ახალგაზრდა მოეჩვენა. ახლა ჭაღარა მომრავლებოდა. თმების შესაღებად და საკობტაოდ ვერასოდეს იცლიდა. დროსა და გარჯას თითქოს დაედაბლებინა, მხრები ჩამოეშვა, ჭაპანის თრევას ღონე გამოეცალა. პაპუნა ჩუმად იდგა, მაგრამ ქალმა იგრძნო მისი მზერა და შემობრუნდა. სახე ბედნიერმა ღიმილმა გაუხსნა. შეკრული კოპები გადაეწმინდა. შვილის გამოჩენა არ გაჰკვირვებია. თითქოს წუთის წინ დაშორდნენო, შინაურულად უსაყვედურა:

„ხანდახან სახლიც უნდა გაგახსენდეს, მომკლა შენმა ლოდინმა!“

„ნინუცა ბებია სადღაა?“ — ჰკითხა პაპუნამ, თუმცა პასუხს არ მოელოდა.

დედამ არაფერი თქვა, ოღონდ თვალებში გაკვირვება

გაუკრთა.

„ისადილებ?“ — მცირე დუმისის შემდეგ დაეკითხა.

პაპუნას წუთის წინ კუჭი ეწვოდა, მაგრამ ახლა მადა გადაეკეტა.

„არა!.. თუ ცხელი წყალი მოდის, ვიბანავებ!“

ცხელი წყალი აქ ყოველთვის მოდიოდა.

აბაზანაში დიდხანს ნებივრობდა. ცდილობდა, მეჯლისიდან წამოყოლილი ბინი ჩამოეხანა. ფიქრობდა დედაზე, ვერონიკაზე, ორეულმაც გაახსენა თავი. საყოველთაო მხიარულებას ჩაეთრია, ცნობისმოყვარეობა გაეცხოველებინა... ფიქრით მოულოდნელად თათულის გადასწვდა. ამდენ ორომტრიალში ავიწყდებოდა ხოლმე და სინდისის ქენჯნამ შეაწუხა.

ოთახში შუქი არ აუნთია, ისე დაჯდა ფანჯარასთან. დედა ჩუმად შემოვიდა, იქვე, სავარძელში ჩაჯდა. თან საქსოვი შემოიტანა და უხმოდ შეუდგა ხელსაქმობას.

პაპუნა თითქოს თავის ბავშვობაში გადაბარგდა, იმ იშვიათ საღამოებს ეწვია, როცა შინ მარტოდმარტო რჩებოდა დედასთან (და-ძმები სოფლებში გაიკრიფებოდნენ, არდადეგებზე). დასხდებოდნენ ბნელ აივანზე. დედა ქსოვდა (ბნელში, ბრმად ქსოვდა), პაპუნა კი გარინდული გასცქეროდა ვარსკვლავთა ციმციმით აბრჭყვიალებულ ღამეულ ცას და სულში სინყნარე სუფევდა. ახლაც სინყნარე დაეუფლა პაპუნა ჭყონიას სულს, მაგრამ ფანჯრიდან გადაშლილი სურათი აღარ ჰგავდა ბავშვობისდროინდელს. ბნელი შუშის მიღმა არაფერი ჩანდა, გარდა შავად დაგრავნილი კვამლისა.

მერე ქარმა დაჰბერა, კვამლი წაიღო, ბინდიანი სივრცე გამჭვირვალე გახდა. სადღაც წითელი სინათლის წყარო ამოცოცდა და მენამული ფერი შემოეფინა ოთახსაც. პაპუნამ ამოიოხრა. დედას სავარძელში ჩასძინებოდა, ძაფის გორგალი იატაკზე ეგდო, საქსოვი ჩხირებისათვის ორივე ხელი ჩაეკლო და თითებს ატოკებდა, სიზმარშიც ქსოვდა. პირისახე მშვიდი ჰქონდა, შინაგანი სითბოთი განათებული... პაპუნა ჩუმად წამოდგა, მძინარეს შალი მოახურა და თავის ოთახში გავიდა.

შეეცადა ემუშავა, თაბახის ფურცლებიც დაიდო, მაგრამ კალამს ხელი ვერ მოჰკიდა. მიჰყვა ფიქრის მდინარებას. კვლავ

წარსულს მიუბრუნდა. უმამოდ იზრდებოდა. ამიტომაც თავის ირგვლივ უფრო ქალებს ხედავდა... ბებიებს, დეიდებს, ბიცოლებს... ყველაზე მეტად დედას... მერე კი თათულის...

დედა ეხვეწებოდა, ცოლი შეირთო. ლაპარაკს უფრო მაშინ მოუხშირა, როცა პაპუნამ უმაღლესი დაამთავრა და თბილისში საბოლოოდ გადმობარგდა. ეშინოდა, ქალის ხელი მოაკლდება და რაიმე ხიფათს გადაეყრებაო. „რა ვქნა, დედა, არავის ვუყვარვარ და...“ — იგერიებდა პაპუნა დედის შემოტევას. მართლაცდა რომეოს ასაკი უკვე გასვლოდა, თავის ჯუღი-ეტას კარგა ხანია ასცდა და ამიერიდან ან უშვილძიროდ უნდა გადაგებულყო, ან უსიყვარულოდ უნდა დაედგა გვირგვინი, უფრო — უღელი. ემოვა ერთი ჩვეულებრივი გოგო, ხასიათით რომ შეეწყობოდა და მის სიღარიბესაც გაუძლებდა. მერე და მერე შეეგუებოდა, ალბათ. მაშ რა ექნა, ყოველი გამვლელი და გამომვლელი ამას ეჩიჩინებოდა, კაცო, რას აპირებ, ქორნილი როდის უნდა გვაჭამოო. სინდისი აჩერებდა მხოლოდ, სხვისი შვილი რანაირად მემსხვერპლოსო. მაშინ აუჩურჩულდა ორეული, შე ბედოვლათოო, მთელი ცხოვრება ბრიყვულ ზღაპრებში დაფრინავ, ეძებ ჯუღიეტებს, ბეატრიჩებს, დულსინეებს, ვერონიკებს... ცხოვრების მოტყუებას ცდილობ, ცხოვრება კი თვითონ მოგატყუებს... დამიჯერე, ტვინიდან ამოიშალე ეგ სისულელები. შენ ვერონიკა კი არ გჭირდება, შენ ერთი ჯანსაღი გოგო გინდა, ლოგინშიც რომ ჩაიგორებ და შენს ხუმტურებსაც რომ აიტანს, არც უშნო უნდა იყოს და არც გადასარევი სილამაზისა, არც ლატაკი გინდა, არც შენზე ბევრად შეძლებული, ასაკით უფროსი ნუ იქნება, მალე დაგიბერდება, მაგრამ მთლად აკვნიდან ნუ ამოიყვან, გასაზრდელი გაგიხდება და რა გამოვა, ეშმაკმა უწყის... იმდენი უჩიჩინა, მთლად დაავინწყა, რომ ქვეყანაზე არსებობს ყვავილეთი, მზიანეთი, ცისკრეთი, ღიმილეთი... ჭეშმარიტი სიყვარული... სადაც ვნებაა, იქ სიყვარულიც დაიბადებაო. ხელზე დაიხვია ორეულის ნაბოძები სიბრძნე და უარყო მომხიბლავი ილუზიები...

„ორეულის მონა“, ფრაგმენტი ნოველიდან

„...მთელ თავის დროს ხაფანგის დაგებას ანდომებდა. დიდად არ არჩევდა, თუ ვის უგებდა ხაფანგს. თუმცა ხანდახან თვითონ უფრო იხლართებოდა შიგ და დამფრთხალი, თავის დაძვრენას ცდილობდა. გოგოების გამოსაჭერად მაღალი იდეალები სულაც არ იყო საჭირო, პირიქით, ლამაზი ილუზიები ხელ-ფეხს უბორკავდა და ბორკილი რომ თავიდან მოიშორა, სინდისის კარნახი იმდენად უკვე არ აწუხებდა, რამდენადაც ის, რომ რაიმე კრიმინალურ მახეში არ გაბმულიყო. ყოველი ახალი თავგადასავალი პატარა ომსა ჰგავდა, სადაც ორივე მხარე ისახავს საკუთარ სტრატეგიულ თუ ტაქტიკურ ამოცანებს და გამარჯვებული ის რჩება, ვინც უფრო გონებაუმაკია. თავისი ჭკუისა სწამდა, მაგრამ ქალის ხრიკები თავგზას უბნევდა, ყველაზე უჭკუო ქალიც კი ჯაბნიდა ეშმაკობით, რადგან ხასიათის სირბილე საშუალებას არ აძლევდა დაეთრგუნა მოწინააღმდეგე. ზოგჯერ წესიერ გოგოებსაც გადააწყდებოდა, თავსაც კი აყვარებდნენ, მაგრამ გაუგებრობის ცივი კედელი ვერ გადაელახა. მცირე და უსუსური გრძნობა, სიყვარულის უფერულ ასლს რომ ჰგავდა, თავისთავად ჩაიფშუტებოდა, იცრიცებოდა, ქრებოდა. მცირე დროც კმაროდა, რათა მოგონებათა გალერეადან ამოვარდნილიყო სურათები, რომელთაც ნუთიერად ელაციცებოდა. წლების შემდეგ, როცა მეხსიერების მიძინებული ხატები შეაწუხა, იქიდან მხოლოდ მკრთალი, სიფრიფანა სახეები ამოტივტივდა: ჩვიდმეტი წლის პროვინციალისა, არტისტულად რომ თამაშობდა პირველად შეცდენილს; გამოცდილი, ავხორცი დედაკაცისა, ვისაც დამფრთხალი გამოექცა; მორცხვი და უტყვი სკოლისფორმიანი გოგონასი, ვისაც გულწრფელად შესთავაზა გული და ხელი (ახალი თოვლით მოფენილ ღამეულ პროსპექტზე, როცა ყველაფერი ამაღლებული და მშვენიერი ჩანდა); მკაცრი, ცივი მზეთუნახავისა, იდეალური დიასახლისისი რომ გახდებოდა, უხილავი კედლის გადალახვა რომ შესძლებოდა (სილამაზის ყინულოვანი კედლისა!)... ერთ დღეს კი აღმოაჩინა, რომ საბოლოოდ დამორჩილებოდა ორეულს და უკვე ველარაფერი იხსნიდა მის სულს...“

თეთრ ქალღმერთს დახედა პაპუნა ჭყონიამ. გასწია, დაღლილობამ თავი შეახსენა, სხეული ნაგვემითი ჰქონდა. ძლივს წამოიწია სავარძლიდან, საწოლზე თავდაღმა დავარდა და ძილში ისე სწრაფად ჩაეფლო, თითქოს გამოღვიძებას არც არასოდეს აპირებდა.

„ძილისგუდა!“ — ჩაიბურტყუნა ორეულმა და უჩუმრად გაეცალა. მძინარე დედისათვის არც დაუხედავს. გვერდით ისე ჩაუარა, თითქოს კედელზე ლანდი გასრიალდაო. თვითონაც არ იცოდა, რას აპირებდა. მეჯლისის ვნებიანი თავაშვებულობა ნაირ-ნაირ ფერებში ესახებოდა და აგზნებულ გონებას ვერ ინყნარებდა. კარს რომ არ გაეჭრიალა, გასაღების ჭუჭრუტანაში გაძვრა და დერეფანში აღმოჩნდა.

ნათურები ოდნავლა ბჟუტავდა. ეკონომიის მიზნით ღამ-ღამობით ძაბვას ამცირებდნენ.

მთელ პანსიონატს ეძინა და ორეულმა ელვისუსწრაფესად ჩაათავა დერეფანი. განზე გაუხვია და გზა აებნა. ხან ერთ ჭუჭრუტანაში შეძვრა, ხან მეორეში. ვიღაც-ვიღაცების გარდერობებსა და საძილე ოთახებში დაფორთხავდა. მერე გათბობის მიღებს გაჰყვა, აღმა-დაღმა იხეტიალა. აქ ტელეფონის კაბელს წააწყდა, მავთულზე გასრიალდა, ვიღაცის აპარატში აღმოჩნდა, ტელეფონი აახშიანა. მძინარე, ჩახლეჩილმა ხმამ ჩაახველა და ორეული კინალამ დაყრუვდა. თავპირისმტვრევით გამოვარდა, შეშინებულმა კლოზეტში დურთა თავი, შიგ ჩარეცხილ წყალს ჩაჰყვა. ბოლოს, როცა უზარმაზარ მინისქვეშა გამოქვაბულში აღმოჩნდა, საკუთარი გამბედაობისა შეეშინდა.

გამოქვაბულში შუაღამოს ენთო.

ცეცხლისპირას პარასკევა ჩაცუცქულიყო. ტყავის კაბა ეცვა, სხეულს ნახევრადლა უფარავდა.

ნაკვერცხლებიდან ჯოხით ცდილობდა შერუჯული კარტოფილის ამოღებას.

ორეული შეეცვინდა. მიაშტერდა პარასკევას შიშველ მხრებს, მოღიავებულ გულმკერდს, ღამაზად მოხრილ მუხლის-თავებს. ვნებისაგან აცახცახებულს ღონე ეცლებოდა და თავს ვერ იმორჩილებდა.

პარასკევამ კარტოფილი გადმოაგორა. ხელიდან ხელში

აგდებდა და სულს უბერავდა. ასე სულის ბერვა-ბერვით შემოაცალა დანახშირებული კანი. ოხშივრიანი ქათქათა კარტოფილი გემრიელად ჩაკბიჩა.

ორეულს მთლად აერია თავგზა. ქალის ყოველი მოძრაობა აფორიაქებდა. დაუოკებელი ჟინით იზიდავდა. პარასკევას გვერდით ჩაცუცქდა, მხრებით მხრებს შეეხო. ქალს არაფერი უგრძვნია. ორეული აკრუსუნდა, სუსტ ბგერებს გამოსცემდა და ისიც ცეცხლის გურგურში ქრებოდა. მერე უკვე არც ახსოვდა, რას აკეთებდა. მუჭისტოლად შეიკუმშა და ქალს უბემში ჩაუგორდა. თეთრ ძუძუებს შორის ჩავარდნილს გული შეუღონდა, ქალის მთრთოლვარე სხეულს ანგარიშმიუცემლად ჩაეკრა, შემოეჭდო. უნდოდა ორი კი არა, ათასი ხელი ჰქონოდა, რათა ერთიანად გაეთავისებინა, დაუფლებოდა, მშვენიერი სხეულის მცირე ნაწილიც არ დარჩენილიყო, რასაც ვნებით არ ჩაენმანნებოდა...

პარასკევას კვლავ არაფერი უგრძვნია. წამით თითქოს მიძინებული ვნების შორეული ძახილი მოესმაო, გაყურდა, მაგრამ მეტი ვერაფერი შენიშნა და კარტოფილი მეორეჯერაც ჩაკბიჩა.

გამოქვაბულში მძიმე ფეხის ხმა მოისმა. სიბნელეში რაღაც კოლოსალური მოალაჯებდა. ორეულს ვნება უმაღვე ჩაეშრიტა, დასცხა, სული შეეხუთა. შიშისაგან ერთბაშად დაპატარავდა, კვლავ მუჭისტოლა ბურთად გადაიქცა და ძირს დაგორდა. პარასკევამ თვალი კიდა, ესეც კარტოფილი ეგონა, ჭვინტი ჰკრა და ცეცხლში შეაგდო. ორეული ინვოდა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა და სული კბილით ეჭირა.

სიბნელეს უზარმაზარი, ბანჯგვლიანი ციკლოპი გამოეყო. ერთადერთი თვალი ქურუშად მოავლო ირგვლივ. მზერა პარასკევაზე შეაჩერა. გაუგებრად აბურტყუნდა და მის ხმაში იგრძნობოდა მუქარა, წადილი, თხოვნა.

პარასკევამ წამოიწია, უკან მოიხედა. მიხვდა, გაქცევა დაუგვიანდა. კრთომა დაფარა, თვითონაც ზვიადად წამოიწართა, გაიზარდა, გაიზარდა და ციკლოპს გაუტოლდა. იდგა მრისხანე ამაზონის გამომეტყველებით, უშიშრად ელოდა თავდასხმას.

ციკლოპმა ნაბიჯი გადმოდგა, შეეცვინდა. ვეებერთელა

სხეული დაეძაგრა, მთასავით კუნთები აუღ-ჩაუდიოდა, თრთოლვა უვლიდა. ვნებით დაბრმავებულმა თავი ჯიუტად დაღერა და უხმოდ გამოემართა.

პარასკევა თავგანწირვით შეება მოძალადეს. ხმას არც ერთი არ იღებდა, მაგრამ საშინელი გრიალი გაუდიოდა ორი გიგანტური არსების სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილს. ქალი არას უთმობდა, მაგრამ ციკლოპს ღონე უფრო ერჩოდა და ტყავის კაბა ნაფლეთებად უქცია.

ცეცხლში ჩავარდნილი ორეული ცოტაცდა ჩანახშირდებოდა, გაქცევას კი ვერ ბედავდა. მხოლოდ მაშინ, როცა მობუქნავე ციკლოპმა ფეხი კოცონში ჩაჰკრა, მუგუზლები მთელ გამოქვაბულში მიმოიფანტა. ორეულიც ტყვიასავით გავარდა, ქვის კედელს მიენარცხა და წყლით სავსე როფში მოადინა ტყაპანი. კარგა ხანს შიშინებდა, გონს მოდიოდა, ორთქლის ღრუბელი დააყენა.

ციკლოპმა აჯობა ღონით, მოტეხა, ქვეშ მოიგდო, ვნებიანი ღმუილით თელავდა პარასკევას ლამაზ სხეულს.

ორეული დაიბოლმა. ცივ წყალში ეგდო და მზერას მალავდა. გუნებაში სიკვდილს უქადდა ორივეს, უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავდა პარასკევას, რადგან მიხვდა, ქალის წინააღმდეგობა თამაში იყო მხოლოდ და ახლა ვნებას დამორჩილებული ბედნიერი კივილით პასუხობდა.

უცბად კივილს ყივილი შეერთო. კედელი გაიხსნა და იქიდან გაავებული ადიკო გამოვარდა. შიშველი იყო და თავზე ინდიელთა ბელადის ჭრელი გვირგვინი ეხურა. ხელში ბასრი ტომაჰაკვი ეპყრა. ჰაერში შეხტა და ციკლოპს ზურგზე მოექცა, თან მთელი ძალ-ღონით ჩასცა, სისხლის შადრევანი შეესხა.

საშინელი ღრიალით წამოიმართა ციკლოპი, ზურგიდან ჩამოიბერტყა ღონედაცლილი ადიკო, ბაჯბაჯით შებრუნდა, რათა მტერი გადაეთელა, მაგრამ უცბად ძირს ზღართანი მოადინა.

ორეული კუნჭულში ჩაძვრა. შვეებით მაშინლა ამოისუნთქა, ელსადენის კაბელს რომ წააწყდა და იმას მიჰყვა.

ძლივს მოძებნა თავისი ბინა, გასაღების ჭუჭრუტანაში შეძვრა და პაპუნას მიეახლა...

პაპუნას ძილქუში დაანვა. საშინელი სიზმრიდან თავის

დალწევა გაუჭირდა. სული შეეხუთა, ოფლად გაიღვარა. ცხადივით ხედავდა ციკლოპთან შეჭიდებულ პარასკევას, ტომაჰაკვით შეიარაღებულ ადიკოს, სიმწრისაგან დაფრენილ, ღრჯო კბილებით სავსე პირს, სისხლის თქემს, ციკლოპის ჭრილობიდან რომ ასხამდა, ადიკო და პარასკევა კი შიგ ბანაობდნენ... ერთი იმ შემზარავ სიზმართაგანი იყო, ძილში რომ დაგტანჯავს, გამოღვიძების შემდეგ კი ვერაფრით გაიხსენებ... მერე თანდათან დამშვიდდა. თითქოს გრილი ხელი დაადეს შუბლზე, თავის ტკივილი დაუამეს. იგრძნო რაღაც მშობლიური, ტკბილი სურნელი. უხმო, ნაზი ჩურჩული ჩაესმა: „დედა გენაცვალოს, ჩემი ბიჭი!“ წამით კვლავ დაბრუნდა შორეული ბავშვობა. იგი ისევ ციცქნა ჭიპუნა იყო და თვალდახუჭულმა ხმადაბლა წარმოთქვა: „დედა!“ ალბათ, სიზმარი გრძელდებოდა, თავს ძალა დაატანა, წამოჯდა და ქუთუთოები მაშინლა გახსნა.

დედამ უკან დაიხია. ხელი, პაპუნას შუბლზე რომ ედო, ასევე გაუშეშდა. წამიერ გაკრთა უცხო, არაქაური იერი, მაგრამ უმალვე პირისახეზე ჩვეული სიმკაცრენარევი სითბო აესახა. დედა ზედმეტ აღერსს არ იყო ჩვეული.

„ძილში ოხრავდი, გეტყობა, სიზმარი აგენენა!“

პაპუნამ ფანჯრისაკენ გაიხედა. იშვიათად ხვდებოდა, რა დრო იყო, შუადღე დიდად არ განსხვავდებოდა შუალამისაგან.

„ეჰ, დედა, დედა!“ — წამოსცდა უნებურად.

„ცხოვრება ვერ აენყო? — თანაგრძნობით ჩაეკითხა დედა. — ვერ ივარგე თვითონ... ყმანვილია შენი ცოლი, გეცოდება და ეფერები ზედმეტად... ნუ აბავშვებ, ცოტა მკაცრად უნდა მოუჭირო ხელი!“

„ეჰ, დედა, შენი რეცეპტები მოძველდა!“

„გაყრა არ გამაგონო, იცოდე! კარგი ქალი გყავს, ოღონდ ბავშვია ჯერ, გზაზე უნდა დაყენება!“

(მონახაზი საოჯახო რომანის დასაწყერად)

„...თინიკოს გამოსაჭერად წავედი იმ დღეს. ერთმა ყმანვილმა მითხრა, მწიფე ვაშლივითაა, ტოტის შერხევალა უნდა

და ხელისგულზე დაგიგორდებო. მართალია, თვითონ ვერ ბედავდა ამ ტოტის შერხევას. იქნებ განგებ მიხრა, წინ მე წამაგდო, თვითონ კი ყაბულსა იყო, ჩემ მიერ გაკვალულ გზაზე ევლო.

თინიკო კი ერთი ცქრიალა გოგონა აღმოჩნდა. თვალები ეშხიანად უელავდა. ვინც შარვლიანი ჩაივლიდა, ისე ჩააცქერდებოდა, თითქოს ძირით ძირამდე ჩანვდომა ენადა. პირზე გამომწვევი ღიმილი დასთამაშებდა. ვნებიანად ხითხითებდა. ეს უმისამართო სიცილი ზუსტ მისამართს შეიცავდა. მასში დედალი ჩიტუნას ქრელი ბუმბული იგულისხმებოდა, მამლის ყურადღების მისაქცევად რომ შეუფერადებია განგებას.

ვერაზინ დაიკვებნიდა, თინიკო ლოგინში ჩამინვენიაო, თუმცა ის პირველი მკვებარა მაინცდამაინც შორს არ იყო გოგონას ქათქათა სარეცლისაგან. პირველმა გაცნობამ დამარწმუნა, ჩიტი ბდღვნად ღირდა. მისი თითები ოდნავ შევაცოვნი ჩემს ხელებში, თუმცა იქნებ თვითონ შევაცოვნი, და სიცილ-სიცილ ვაგრძნობინე, ვგიჟდები, შენს მეტი არავინ მომწონს-მეთქი. ფიცი სრულიად ზედმეტი იყო, რადგან თინიკო ქვეყანას მოსწონდა, ამაში კი უპირველესად თვითონ იყო დარწმუნებული...

(თათული: ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, გონს ვერ მოვედი. თინიკოსთან არასოდეს მიმეგობრია. მოსაწყენ ლექციაზე ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდით და გამანდო, კიბესთან ერთი „ბიძა“ მელოდება, ჩემზეა გადარეული და არ ვიცი, გავყვე თუ არაო. გოგონების ცნობისმოყვარეობა ვინ არ იცის და ლექციის შემდეგ კიბეზე ჩავაცილე...)

ჩვენი მოკლე ნაცნობობა ამაზე შეწყდა და მხოლოდ ორი თვის შემდეგ განახლდა, როცა გოგონა არდადეგებიდან კვლავ ინსტიტუტში დაბრუნდა და თანაკურსელებთან დაიტრაბახა, კიდევ გავთხოვდი და კიდევ გამოვთხოვდიო, მაგრამ გულს მაინც არ ვიტყვ, იმდენი საქმრო მყავს, მთელ ჩემს კურსს ეყოფაო...

(თათული: პირდაღებული ვუსმენდი და თავს წმინდა წყლის პროვინციელად ვგრძნობდი. მრცხვენოდა კიდევ ჩემი სოფლური გაუნათლებლობისა. ჩემზე ხომ ასჯერ ლამაზი მეჩვენებოდა, თუმცა რომელი გოგო აღიარებს ამას, სითამამეც არ აკლდა, ჩაცმითაც, რა ვიცი, სად შოულობდა, ექსტ-

რაზე ეცვა. მაშინ მინი იყო მოდაში. ისეთ მოკლეს იცვამდა, მე ვინ მომცემდა მაგის ნებას. მახსოვს, ყველას მინი ეცვა, მე კი მუხლებს ვიფარავდი დედის ბრძანებით. როგორც კი თავს მარტო დავიგულედი, კაბას ზევით ავიქაჩავდი, ქამარქვეშ ჩავიკეცავდი და მინიც მზად იყო. ჰოდა, სადაც თინიკო ჩაივლიდა, მე იქ ვინ შემამჩნევდა...)

თინიკოს თავგადასავლები რომ გავიგე, — უფრო სწორად, დიდის ამბით მომისამძიმრეს, — გუნებაში გამეღიმა, ახლა ხომ უფრო იოლია მისი გამოჭერა-მეთქი. ინსტიტუტის კიბესთან დავუდარაჯდი. ისე მხიარულად ჩამოფრთხილდა, ეტყობა, დარდით თავს არ იკლავდა... გვერდით თანაკურსელი გოგონა მოჰყვებოდა. მაინცდამაინც ყურადღება არ მიმიქცევია. არ ვიცი განგებ, არ ვიცი ასე გამოუვიდა, მაგრამ ეს მესამე აგვეკიდა და თავიდან უნდა მომეშორებინა. შევთავაზე, სახლებამდე მიგაცილებთ, ოღონდ ჯერ შინ თათული მივიყვანოთ-მეთქი. რაც რომ ხუმრობა ვიცოდი, მგონი, ამ გზაზე დავხარჯე და ჩემი გონებამახვილობითა და გულლიაობით ორივე მოვხიბლე...

(თათული: მოგვიანებით არა ერთხელ მიკითხავს ჩემი თავისთვის, რა იყო, რამ დამაბრმავა. მხოლოდ ერთი წლის შემდეგ გავიხსენე, რომ დაუფარცხნელი და გაუპარსავი მოვიდა, წვერგაბურძღნული მამაკაცები კი საერთოდ მეჯავრებოდნენ; რალაცნაირი ძველმოდური, ყავისფერი პალტო ეცვა, იაფად თუ იყიდა სადმე, მხრებში ფართო ჰქონდა, კალთები კი მუხლებქვეშ მოსთრევდა. შარვალიც არ ჰქონდა დაუთოებულ და მუხლებზე გამობერვოდა... ყოველივე ამისათვის მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია. ერთადერთი, რამაც დამატყვევა, მისი თაფლისფერი თვალები იყო და კიდევ — ინტელიგენტური ხელები...)

იმ საღამოს, ორივე შინ რომ მივაცილე, იქნებ რაინდობად არ ჩამეთვლება, მაგრამ გუნებაში გადავწყვიტე, თუ თინიკოს ვარიანტი ჩამეშალა, აგერ ეგ გოგო რომ შემომციცინებს, იქნებ უფრო ხელმისაწვდომია-მეთქი. ერთი შეხედვით დიდი ვერაფერი შვილი იყო, ვინრო კაბა შემოტმასნოდა მომრგვალებულ მუხლებზე...

(*თათული*: თინიკომ რომ დაიტრაბახა, გავთხოვდიო, უმაღლვე პაპუნა გამახსენდა. შემეცოდა, ასეთ ჭაბუკს უღალატა, მისი გრძნობები არაფრად ჩათვალა-მეთქი. ვინ იცის, ახლა როგორ განიცდის-მეთქი... მსურდა, თანაგრძნობა გამომეხატა...)

თინიკოს გათხოვება სულაც არ მანალვლებდა. თათულის სიტყვები დამცინავი ღიმილით მოვისმინე, მხრები ავიჩიჩე. სულაც არ მანყობდა, თათულის ეფიქრა, თინიკოზეა გადარეულიო. პირიქით, ორიოდ ფრაზით დავუმტკიცე, თინიკოს სიყვარული გულში არც გამივლია-მეთქი. შევეყვით საუბარს და გასეირნება რომ შევთავაზე, ისე სწრაფად დამთანხმდა, მივხვდი, გავაბი ჩიტი მახეში...

(*თათული*: ხელისგულზე გიმკითხავებო, მითხრა. გულუბრყვილოდ გავუნოდე. ხელზე მეფერებოდა და ვითომდა მომავალს მიწინასწარმეტყველებდა. სიტყვების აზრს მაინც ვერ ვგებულობდი. მხოლოდ თვალეებში ვუყურებდი... მეორე დღეს ხელზე რომ მაკოცა, დაგუდული სიცილით ვუპასუხე... ჩერჩეტი გოგო!..)

მეორე დღეს მივკიბ-მოვკიბე ტყუილი და მართალი. შინ მოვიწვიე. ყოველ ჩემს სიტყვას ემორჩილებოდა და ამან მაფიქრებინა, დასაკარგი არაფერი ჰქონია-მეთქი. მაინც ვფრთხილობდი. პირველი შთაბეჭდილებები თავიდან ამომივარდა. ვერ ვიტყვი, ამჯერად დამატყვევა-მეთქი, მაგრამ კოპლებიანი ქვედა კაბა და ყვითელი ჩექმები მართლაც უხდებოდა... მკითხაობა ვიცი-მეთქი, ვიცრუე. მერე სიტყვასა და სიტყვას შორის ხელისგულზე ვაკოცე და, რახან ხელი არ წამართვა, გავთამამდი...

(*თათული*: ჩერჩეტი, ჩერჩეტი გოგო... რა ბედნიერი ვიყავი!..)

როგორ გამიკვირდა, ქალწული რომ აღმოჩნდა. იმან უფრო გამაოცა, ასე იოლად რომ დავიმორჩილე. თავი ქუდში მქონდა, რადგან ასეთ შემთხვევაში გოგოების თავიდან მოსაშორებელი მრავალნაირი ილეთი ვიცოდი, რა თქმა უნდა, უფრო თეორიულად... თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, ვგრძნობდი, თანდათან უფრო და უფრო მგზნებარედ ვუყვარდებოდი...

(*თათული*: ღმერთო ჩემო, ნუთითაც რომ მეფიქრა, არ

ვუყვარვარ-მეთქი, უხმოდ გავშორდებოდი... ალბათ, მოვკვდებოდი, მაგრამ ისე წავიდოდი, ვერაფერს გაიგებდა...)

მე კი უფრო შეყვარებულის როლს ვთამაშობდი, თან ოსტატურადაც... მეგონა, რომ ვთამაშობდი... სწორედ მაშინ, როცა დადგა დრო, თავიდან მომეშორებინა, როცა უხეშად უნდა მეკრა ხელი, შეუბრალებლად უნდა მომესპო თათულის სულში გაშლილი ყვავილეთი, ვიგრძენი, რომ მჭირდებოდა მისი კრიალა ღიმილი, მისი ლურჯი თვალეები, მისი ერთგულება, მისი მდუმარებაც კი, რომელშიც უწყინარობა და სიჯიუტე თანაბრად შერწყმულიყო... და მაშინ, როცა ამას მივხვდი, მოულოდნელად ვუთხარი: „გაემზადე, ზეგ მოსკოვში მივფრინავთ!“

(*თათული*: ასე უცნაურად ამიხსნა სიყვარული. ბედნიერებისაგან ენა ჩამივარდა. მხოლოდ ხელეები გავასავსავე, გავიცინე... ჩემიანებისათვის არ გამიმხელია. მესამე დღეს უკვე თვითმფრინავში ვიყავით... რა დამავინყებს იმ დღეებს... მოსკოვი პირველად ვნახე, მამამთილის საფლაგზე სამშობლოს მიწა და ყვავილები მივიტანეთ... იქ, თეთრ არყნარში, იდგა ვერცხლისფერი ჯარისკაცი...)

„ეჰ, დედა!“ — ამოიოხრა პაპუნამ.

დედა ფანჯარასთან იდგა. ბურუსიან ზღვას გასცქეროდა... პაპუნა დააკვირდა ქალის სილუეტს. თითქოს დედა იყო და არც იყო. ბავშვობაში, როცა სამყაროში ულევ სიკეთეს ხედავდა, მთავარი სიკეთე დედა იყო... მერე თანდათან ცხოვრებამ უჩვენა თავისი ჭეშმარიტი არსი — ნაზავი სიმამხინჯისა და სიმშვენიერისა... ათასმა წვრილმა საქმემ წარიტაცა მისი არსებობის დიდი ნაწილი. სულ მცირე და მცირე ადგილი რჩებოდა მის სულში დედისათვის, თათულისათვის, ჭეშმარიტი მონოდებისათვის...

„დედა!“ — გასძახა ხმადაბლა.

ქალმა ვერ გაიგო. ხშირად ვერ უგებდა ხოლმე, თუმცა მთელი სიცოცხლე შვილის საჭმელსა და ჩასაცმელს შეაღია.

„დედა!“ — გაიმეორა პაპუნამ.

ქალი კვლავ უძრავად იდგა. პაპუნას უცბად გაახსენდა შორეული ბავშვობა, როცა დილას გამოეღვიძა და მარტო აღმოჩნდა დაცარიელებულ სახლში.

„დედა-ა!“ — შეჭლირიალა მთელი ხმით.

„ჰო, შვილო, აგერა ვარ!“ — თითქოს ღრმა ძილიდან, უძირო ჭიდან ამოსძახა ქალმა.

პატარა ჭიპუნას დედიკო ათასი წლის წინათ გაჰყვა ნემსების გამყიდველ კაცს და ბოლომდე ვერასოდეს დაბრუნდა...

17. სურვილის სყვობაში

ტელეფონმა დარეკა. დიაცურმა ხმამ ჟღერტულით მოიკითხა. პარასკევა ხომ არ არისო, იფიქრა, მაგრამ ჭარბ მანჭვა-გრეხაზე შეატყო, ადიკო იქნებოდა. შორიდან წამოიწყო, როგორ გუნებაზე ბრძანდებო, მეჯლისზე ხომ კარგად გაერთეო, ჩვენთან კაცი არ მოიწყენსო... მერე ჩივილს მოჰყვა, საქმეებმა მომქანცესო. ვგიჟდები, პეპლები ისე მიყვარს, ველ-მინდვრებზე განავარდება მომინდა და გეპატიყებო.

პაპუნასაც მონატრებოდა მწვანე ველთა სიხასხასე, ოღონდ, ვინ იცის, რას ეძახდა ადიკო „ველ-მინდორს“. იქნებ ამ ქურუმ, ნაცრისფერი ლოდნარით ახორავებულ სივრცეს ეტრფოდა პანსიონატის დირექტორი, იქნებ ასფოდელოსის მცოცავი ღეროები და უფერული ყვავილები ესახებოდა ნალკოტად.

„ადიკოა, სასეირნოდ მეპატიყება!“ — ყურმილს ხელის-გული ააფარა და ისე გადაუჩურჩულა დედას.

ქალი ფანჯარასთან იდგა, მისი გამჭვირვალე, სიფრიფანა სილუეტის კონტურებილა მოჩანდა.

„არ წახვიდე!“ — ნიავევით ხმადაბლა შეეპასუხა და მის ხმაში შიში გაჟღერდა.

„უარი როგორ ვუთხრა, რა საბაბით?“

„ჰო, წადი!“ — უმაღვე დათანხმდა დედა.

პაპუნას მეტი არაფერი უკითხავს. დედის მღელვარებამ გააოცა. ორეული ცნობისმოყვარეობამ აანრიალა, მოისურვა დედის სულში ჩახედვა, მაგრამ პაპუნამ ასეთი მსტოვრობა ვერ იკადრა. დედას ლოყაზე აკოცა, ნუ გეშინიაო, წასჩურჩულა.

დერეფნის თავში ადიკო დახვდა. პატარა, ბუთხუზა ბიჭს

დამსგავსებოდა და ძლივს იცნო. შორტებში გამოსკვანჩულიყო. ტიტლიკანა, თეთრი მუხლისთავეები დედაკაცისას მიუგავდა. მყვირალა ფერებით აჭრელებული პერანგი ეცვა, კალთები ზედ თეთრ ჭიპთან გადაენასკვა, ფეხებზე — სპორტულები. თავზე ფარფლებიანი ტილოს ქუდი ჩამოეფხატა. ჰერბარიუმის ალბომი და პეპლის საჭერი ბადე მონაფურად ეჭირა.

„ოღონდ ჩუმად, პარასკევას გამოვეპარე“, — წასჩურჩულა ადიკომ, პუტკუნა ტუჩზე თითი მიიღო. აშკარად ეტყობოდა პომადისა და ფერუმარილის კვალი.

ლიფტში რომ შევიდნენ, თავისუფლად ატიკტიკდა. რა თქმა უნდა, ცოლისაგან დაჩაგრული ქმრის როლს თამაშობდა. პარასკევას აუტანელ ხასიათს უჩიოდა. პაპუნა ყურადღებით უსმენდა. ცდილობდა, ამ ფარისევლური ჩივილის მიღმა ადიკოს ჭეშმარიტი ბუნება აღმოეჩინა, მაგრამ ადიკოს არსი სამყაროს არსს უახლოვდებოდა და იოლი არ იყო მისი მოაზრება. ორეულმა აქაც სცადა თავის გამოჩენა, ადიკოს სულში შეაღწია, იქ კი თავგზა აებნა... ვერ მიხვდა, ჯუნგლებში ჩაიხლართა თუ მღვრიე ნაკადს მიჰყვებოდა. ირგვლივ გველ-ბაყაყ-ღრიანკალნი ეხვივნენ. სლიპინა, ცივი სხეულების შეხება ორეულს გულს ურევდა და ძლივს გამოაღწია ეკლიანი ჯაგნარიდან. „ესეც შენ, — ნიშნი მოუგო პაპუნამ, — ვერ დაეტევი შენს ადგილას?“

ადიკოს არაფერი შეუნიშნავს, ან იქნებ შენიშნა, მაგრამ გულში ხითხითებდა. ორეულის მსტოვრობას ატრიზავებდა. იქნებ სულაც ცრუადიკოს ცრუსული შეაგება, ჭეშმარიტი კი გადამალა. ყოველ შემთხვევაში, არაფერი დაიმჩნია და გატაცებით ტლიკინებდა მსოფლიო პოლიტიკაზე, საკუთარ აზრად ასაღებდა იმ ბანალურ ჭეშმარიტებებს, რაც, ალბათ, დღევანდელ გაზეთში ამოიკითხა, ან ტელეეკრანზე დილაადრიან მოისმინა.

ლიფტიდან კვლავ გრძელ დერეფანში გავიდნენ. პაპუნა ვერ მიხვდა, რომელ სართულზე იმყოფებოდნენ. ადიკო კარს მიადგა. ეტყობა, სათადარიგო გასასვლელი იყო, რადგან ეზოში კი გავიდნენ, მაგრამ სულ სხვა მხარეს. ერთი მიყრუებული, ჩაბნელებული ადგილი იყო, ქვანახშირის წიდა ეყარა გროვა-გროვა და საძაგლად ხრჩოლავდა.

პაპუნამ ცხვირზე იტაცა ხელი, ადიკომ კი, ვითომც არაფერიო, ზედმეტად ფრივოლური ანეკდოტები ჩამოარაკრაკა, უმთავრესად რქიან ქმრებსა და მათს მოლაღატე ცოლებზე. სანამ მომდევნო კარს მიაღებოდნენ, იმდენი ანეკდოტი მოასწრო, პაპუნა გაცილებას ვერ ასწრებდა, ბოლოს კი მოყირჭდა და მდუმარედ უსმენდა, თუმცა აცუნდრუკებული, ქლესა ორეული ნაძალადევად მაინც ხითხითებდა.

რკინის მძიმე კარი ნაცრისფერ გალავანში იყო ჩატანებული. ადიკომ დიდხანს აცოდვილა გასაღები. ალბათ, იშვიათად აღებდნენ და კლიტე ჩაჟანგულიყო. კარი მძიმედ აჭრიალდა, ჟანგიან ანჯამებს ყავისფერი მტვერი დასცვივდა.

კარს მიღმა სულ სხვა სამყარო იშლებოდა.

ვრცელ მინდვრებს თანაბრად ეფინებოდა მცხუნვარე სხივები, თუმცა მზე არსად ჩანდა.

თვალსანიერზე თეთრი და წითელი ვარდები ხარობდა. ჰაერში თავბრუდამხვევი სურნელება ეკიდა. სივრცე გამჭვირვალე და ნათელი იყო.

კარგა ხანს გაოცებული იდგა პაპუნა ჭყონია. უკვე შეჩვეოდა პანსიონატის რუხ ფერებს, მაგრამ მონატრებოდა სხვა ფერთა სიჭრელე. აქედან მალე უნდა წავიდეო, გაიფიქრა, თუმცა უკვე ხვდებოდა, პანსიონატიდან წასვლა არც ისე იოლი იქნებოდა.

ამასობაში ბავშვივით აწყლოპინებული ადიკო წინ გავარდა. ჰერბარიუმის ალბომი ილღიაში ჰქონდა ამოჩრილი, მარჯვენაში კი ბადე ეჭირა და ერთადერთ შავწინკლება პეპელას მისდევდა, ასფოდელოსის უღიმღამო ყვავილს რომ ჰგავდა. პეპელა ხეთა მწვანე კორომისაკენ წაფარფატდა და ადიკოც იმას გაეკიდა.

პაპუნამ მწვანე, ხავერდოვან ბალახში ფრთხილად გადადგა ნაბიჯი. ფაფუკად, რბილად ეფინებოდა და ეჭვმა შეიპყრო, იქნებ ყოველივე ეს ბუტაფორიააო, იქნებ სიფხიზლის მოსადუნებლად მოუგონა ადიკომ. ორეულს ამდენი არ უფიქრია, ბიჭუნასავით აკუნტრუშდა, ბალახში ყირაზე გადავიდა, მაგრამ უცებ შეჰკვივლა, საკუთარ ნაჭუჭში ჩაიჭუჭკა. ვერ მიხვდა, ვარდის ეკალმა უჩხვლიტა, თუ სხვა რამემ, ჩუმად ილოკავდა

ხელის ზურგზე დამჩნეულ სისხლის წვეთებს.

ადიკო კორომის ჩრდილში, წყაროსთან იჯდა. სპორტულები გაეძრო და ფეხები წყალში ჩაეყარა.

„ვერ დავიჭირე, გამიფრინდა! — ჭირვეულად წამოიძახა. — რასაც მოვინატრებ, ყველაფერი ხელიდან მისხლტება!“

წყლისპირს მდელიოზე უჩვეულო არაფერი შეუნიშნავს და პაპუნაც ჩამოჯდა, ჩრდილი ეამა.

გამჭვირვალე წყლის ლუკლუკი ამშვიდებდა, ეჭვიან გულს უცხრობდა. გაღმა ნაპირზე ისევ ყვავილოვანი მინდვრები იშლებოდა და ლურჯი ცისაკენ ჰაერის გამჭვირვალე ჭავლი მიიწეოდა.

„მოგწონს?“ — ადიკო ზურგზე გაიშოტა.

პაპუნამ უხმოდ დაუქნია თავი. ახლა მადლიერი იყო პანსიონატის დირექტორისა. ყველაფერი, რაც აქამდე განიცადა, იქნებ ესიზმრა მხოლოდ. აბა, რას უშავებდა ბავშვივით ცეტი ადიკო. ამ მხიარულ კაცუნაში რატომ უნდა ეძებნა ყოველივე ბოროტის სათავე.

ლბილმა მდელიომ მიიზიდა და თვითონაც ზურგზე განვა, თვალი მიელულა...

თანდათან ერთმანეთში აერია ცხადი და სიზმარი. თითქოს თათული გამოეცხადა. ხელში ვარდები ეჭირა. ეს ის ვარდები იყო, დაბადების დღეზე რომ უნდა მიერთმია ცოლისათვის და გადაავინყდა. თუმცა იქნებ ფული არ ეყო ბოლო წუთს. ახლა სიზმარში გაუხარდა, თურმე მიჩუქნიაო... მერე თათული სადღაც გაქრა. პაპუნა ჩრდილში იწვა და აშკარად იგრძნო, უნასი შეაცოცდა მუხლისთავზე, იქიდან თანდათან მუცელზე გამომოხობდა. ჩუმი სისინით დასრიალებდა ტიტველ სხეულზე და პაპუნას შიშისაგან გულ-მუცელი აემღვრა... ვილაცა შიშველ მუცელზე კოცნიდა...

საბოლოოდ გამოფხიზლდა, წამოჯდა...

ადიკომ ხითხითით თვალი აარიდა. იქნებ არც იყო ადიკო. მით უფრო, სანამ პაპუნას ეძინა, იგი სხვა კაცად გადაქცეულიყო. ფანქრით შეღებილი უღვაშები ამოსვლოდა და ცხვირზე სათვალე მოერგო...

პაპუნა წამოხტა, ტანსაცმელი გაისწორა, ზიზლით გაშორდა.

წითელი ვარდებით დახუნძლულმა ბუჩქმა თითქოს გზა დაუთმო. ყვავილნარში თეთრი ბილიკი გამოჩნდა. ხუთიოდე წუთი ასე იარა. თავს ისჯიდა იმ წუთიერი ნდობის გამო, რაც პანსიონატის დირექტორს გამოუცხადა. ბილიკი უცბად დაიკარგა, უკან მიიხედა. არც იქითკენ ჩანდა ბილიკის ნასახი. ეკლიან ყვავილებს დაეფარა მთელი სივრცე და ადიკო თითქოსდა ჰაერში გაუჩინარებულიყო.

პაპუნამ ფრთხილად გადასწია ვარდის ბუჩქი. იქ უნასი იგორგლებოდა. მეორე მხარეს გადაიხედა, მეორე უნასი შემოჰხვეოდა ვარდის ღეროს, თავი ზევით წამოეყალყა, ორკაპა ენას ასისინებდა...

ორეული ჩუმად ატირდა...

(ჭიპუნას მეორე მოგზაურობა)

„ჭიპუნა მოწაფის განრიგით ცხოვრობდა: გაკვეთილები, გულგრილს რომ ტოვებდნენ, საშინაო დავალებები, რომელთაც ხანდახან თუ შეასრულებდა, უფრო ხშირად კი შესვენებაზე იწერდა, ბიბლიოთეკა, კინო, ცხარე კამათი მეგობრებთან, აღმოჩენილის ხელახლა აღმოჩენა, უსასრულობის მიამიტურ-მისტიკური წვდომა და ყოველდღიური წვრილმანი ჯახირი... ყოველივე იყო ნათელი, თვალსაჩინო, მყარი... და მოსაწყენი... მაგრამ იყო სხვა *სამყარო*, — საიდუმლო, რაც მხოლოდ მან იცოდა, მხოლოდ მის გულს შეათრთოლებდა, ვერავის გაანდობდა დედამინის ზურგზე. აუწერელ სევდასა და ნეტარებას ჰგვრიდა ხელშეუხები რამ ოცნება: სულის სიღრმეში გადაშლილ ყვავილნარზე მოფარფატე რალაც ჰაეროვანი, ფაქიზი, ამალღებული, წმინდა... იქნებ ბეატრიჩე ერქვა თვალისათვის თითქმის უხილავ ღრუბლის ამ ფთილას, ან ოფელია, ან ჯულიეტა, ან იზოლდა, ან სულაც ირენ (ვინ არის „ირენ“?), ან ვერონიკა... ტკბილია ოცნების ბურანი, როცა ეთიშები რეალურ ყოველდღიურობას, ყრუ და ბრმა მიაბიჯებ ქალაქის ქუჩებში, თვალი სიცხისაგან გათანგული ასფალტისათვის მიგიბჯენია, შენი გონება კი ზღაპრულ რაშზე ამხედრებული მიქრის მიღ-

მურ სამყაროში და მანამდე ვერავის ამჩნევ, სანამ ზედ არ შეეჯახები...

დრო გადის, ზაფხულს შემოდგომა მოჰყვება, შემოდგომას წვიმები მოაქვს...

ზამთრის უღიმღამო ფერები, ნესტი, ჭუჭყიანი გუბები, მქრქალი ზეცა, ცივი, უსიამოვნო ქარი, საყელოში ჯიუტად რომ გიძვრება, პროვინციული ქალაქის ნელ-თბილი მზე და სივრცე... სევდა, მარტოობა, სევდა... ავტობუსი კი უკვე მიდის... ქალაქს რომ გამოვრდა, მაშინლა იფიქრა, დედას კვლავ ჭაღარა შეემატებო, კვლავ დაირხევა ქალაქში აბეზარი ჭორი, ის დამთხვეული ჭიპუნია ისევ გაპარულაო... ავტობუსის სავარძელში ჩაკუჭულს შიში უკან ეზიდება, მაგრამ სურვილს წინ მიჰყავს, უხილავ შორეთში...

რკინიგზის სადგურზე, მძიმე სკამზე დაძინებულს, უცბად გამოეღვიძა და მიხვდა, სასთუმლად ამოდებული „კაპიტან გრანტის შვილები“ შერჩენოდა, სასკოლო ჩანთა კი ვილაცას აენაპნა. ჯიბე მოისინჯა. იქ მცირე ფული ჰქონდა, დედამ რომ მეზობელთან გაატანა ვალის გადასახდელად. როცა ბილეთს ყიდულობდა, იგრძნო, ფულს დედის ხელის სუნი გამოჰყოლოდა, მაგრამ გვიან იყო შინ დაბრუნება (შემდგომ, როცა ყველაფერი გაირკვა, დედას საყვედური არ დასცდენია). მერე მატარებელი დიდხანს მიგუგუნებდა... ლურჯი ზღვა ლივლივებდა ფანჯარაში. კვიპაროსები და პალმები იკვეთებოდა ცაზე... მალე ზღვამ უკან დაიხია და გორაკებმა დაიწყეს ანცად აღმა-დაღმა სირბილი... მეორე დღეს უკიდევანო, თოვლიანი ველები გადაიშალა. ფანჯრის მიღმა გარბოდა თეთრი ქოხმახები, ხუტორები, ვრცელი ნაყანევეები, სოფლის შარები, ცხენიანი დროგები, წვეროსანი მამაკაცები, ჩამრგვალებული, ჩათბუნებული დედაკაცები... თოვლი, თოვლი, თოვლი... ჭიპუნას კი წინ „კაპიტან გრანტის შვილები“ ედო და „დუნკანის“ გემბანიდან პატაგონიის ნაპირებს გაჰყურებდა...

დიახაც, იყო სხვა *სამყარო*... სადღაც, ალბათ, არსებობდა ჩემთვის უცნობი სხვა *სამყაროც*...

...თავში ფეიერვერკივით ცოცხლდებოდა უცნაური, რომანტიკული ხიბლით დამუხტული სახელები — კილიმანჯარო,

ჯომოლუნგმა, ლიმპოპო, ირავადი, ტენოჩტიტლანი, ნაურუ, ბრაჰმაპუტრა... და ასე უსასრულოდ... თოვლიანი, ცადაზიდული მთები... ვრცელი ოკეანეები... მწვანე ტყით მოსილი უკიდვანო ვაკეები... ლურჯი ზეცა, ქათქათა, ფუმფულა ღრუბლებით დამშვენებული...

ორთქლმავალმა შეჰკივლა გაბმით. მატარებლის უწყვეტი დაგადუგი ძილში ჩამყვა. მესიზმრებოდა სიტყვები და ბინდში ტივტივებდა სიტყვებს მიღმა დამალული ხატები. ერთმანეთში ამერია თეთრი, ლურჯი, მწვანე...

გამომეღვიძა და თავი ისევ სიზმარში მეგონა.

ბნელ კუბეში მარტო ვიყავი. ვაგონი რიტმულად ტორტმანებდა, მაგრამ რელსებზე ბორბლების უწყვეტი რაკარუკი უკვე აღარ მესმოდა.

ფანჯარასთან მივიჭუჭკე. თავდაპირველად ვერაფერი გავარჩიე. მერე სადღაც ქვემოთ სუსტი ციციანათელებივით აციმციმდა შორეული ქალაქების ნათურები. თანდათან ვმორდებოდი თითქოს. უცბად ყოველივე გაქრა, შავმა უფსკრულმა შთანთქა. მხოლოდ ზევით, ცაზე გამოკიდებული ვარსკვლავები საოცარი სისწრაფით მიქროდნენ უკან, თითქოს გრძელ, ფერად ხაზებს ავლებდნენ.

უცებ სინათლე გადმოიღვარა. აღმოსავლეთიდან მზე ამოცურდა, დედამინას გადმოეფრქვა და უსაშველო სიმაღლიდან ვხედავდი, თუ როგორ დევნიდა ნათელი ბნელს. დღემ მოიცვა ხილული სივრცე და თეთრი ღრუბლების მიღმა ძლივს გავარჩიე კონტინენტთა სუსტი მოხაზულობა. მერე კი ესეც გაქრა, თანდათან დაპატარავდა დედამინა, ყველა ფერი ლურჯს შეერწყა. ცოტა ხანიც და მშობლიური ცთომილი ვარსკვლავებს შორის ჩამოეკიდა.

მატარებელი კი სულ უფრო და უფრო სწრაფად მიქროდა. აქამდე ნაცნობი ვარსკვლავები ერთმანეთში ამერია, რადგან ფერადი ხაზებით დაფარულ ცაზე ძნელი იყო რამის გარჩევა.

დრო თითქოს გაჩერდა.

სადღაც შორს, ბნელ სივრცეში გაცურდა ხელისდადება მთვარე.

კოსმოსურ უსაზღვროებაში მზე ბატონობდა, თანდათან

იზრდებოდა, თვალის გასწორება გაჭირდა.

„აღბათ, მემანქანეს ჩაეძინა!“ — გავიფიქრე ჭოჭმანით.

შიში დაეთრგუნა ცნობისმოყვარეობას და ფანჯარას მიკრულს საფრთხე გადამავიწყდა. იქნებ თვალი შემეველო სხვა პლანეტებისათვისაც, მაგრამ ბარჩხალა მზე აქრობდა ყოველივეს...

თანდათან იზრდებოდა, იბერებოდა, ქოთქოთებდა... გავარვარებული ოკეანეები იღვრებოდა თითქოს, აევსო მთელი სივრცე. ცეცხლის გიგანტური ტალღები ეხლებოდა ერთურთს. ფეთქებოდა წარმოუდგენელი სიმძლავრის მატერია. ცეცხლის წიაღიდან ინთხეოდა გამდნარი ზღვები. პროტუბერანცებს გაეფარჩხათ მომაკვდინებელი ტოტები და ვაგონის ფანჯრისაკენ გამოსროლილმა ცეცხლოვანმა ენამ ცოტა ხნით დამაბრმავა...

მეორე წუთს უკვე ვმორდებოდი საფრთხეს. იკლო ყრუ გუგუნმა, თანდათან მისუსტდა, მიინავლა...

შვებით ამოვისუნთქე...

სივრცეში გაიელვა თეთრმა კენჭმა, იუპიტერი თუ იყო, ისიც გაქრა, თითქოს ღამეულ წყალში ჩააგდესო...

კომეტამ გაიქროლა მედიდურად, თან მიჰქონდა თავისი სიფრიფანა კუდი...

მატარებელი კი უფრო ჩქარობდა. ვაგონი ტორტმანებდა რიტმულად. „ეჰ, მემანქანეს ჩაეძინა!“ — საბოლოოდ დავასკვენი და თვალსაწიერზე ყოველივე გაქრა. კოსმოსურმა მტვერმა დაფარა გიგანტური სივრცეები, ღრუბლის ფარდაში ჩაიმალა ვარსკვლავეთიც.

მერე საიდანღაც გამობრწყინდა წყვილი მზე. ერთი იყო უზარმაზარი და ოქროსფერი, მეორე ლურჯი და ციცქნა, მაგრამ გიგანტი ტრიალებდა პანანას ირგვლივ და მეც ვიგრძენი, მატარებელი ძლივს დაუსხლტა კვაზარის ხვევნას.

კვლავ ბნელ სივრცეში მივქროდი დიდხანს. სულ სხვა ცა ჭახჭახებდა ირგვლივ, სულ სხვანაირი ვარსკვლავეთი...

მივხვდი, უკან დამრჩა ჩემი გალაქტიკა, სადღაც სივრცეში აქა-იქ გაიელვებდნენ სხვა გალაქტიკები, ვითარცა შორეთს დანახული ღამის ქალაქები...

უსაზღვრო სივრცით დათრგუნვილი კვლავ ფანჯარასთან ვიჯექი და შიში და მარტოობის მწველი გრძნობა გულს მიხრავდა.

მხოლოდ ერთხელ შემხვდა თეთრი პულსარი. ისე ფეთქავდა, თითქოს თავისკენ მიხმობდა, ბნელ უსაზღვროეთში ანთებულ შუქურას ჰგავდა...

მეტი არაფერი... ეს მილიარდი და მილიარდი ვარსკვლავი ისე გაბნეულიყო სივრცეში, მთელი სამყარო გადავკვეთე და მეტს ვერაფერს გადავანყდი...

მერე თითქოს ყველაფერი გათავდა... მატარებელმა სვლა შეანელა... წინ არაფერი ჩანდა, გარდა უკიდევანო უფსკრულია...

ეს იყო სამყაროს დასასრული.

დიდხანს გავყურებდი და თავში სულ ერთი და იგივე კითხვა მიფეთქავდა: „იქ რაა? იქ რაა?“

უცბად, იმ ბნელ სივრცეში, უთვალავი სინათლის წლის იქით ოდნავ გაიელვა რალაცამ... იქნებ მომეჩვენა-მეთქი... უფრო დავაკვირდი... დიახ, ბჟუტავდა სუსტი სანთელი და ის იყო სულ სხვა *სამყარო*.

დალლილსა და დაქანცულს კვლავ ჩამესმა მატარებლის დაგადუგი... როცა მზე ვიხილე, მაშინლა მივხვდი, თუმც წინ მივდიოდი, მაინც საიდანაც წავედი, იქ დავბრუნდი თურმე...

შეჰკივლა მატარებელმა, თეთრად ჩანაცრულ სადგურში შეგრიალდა.

ვაგონიდან ჩამოვხტი. თოვლიან ქუჩებში მზე ბრჭყვიალებდა.

ჯიბეში ბოლო შაურისანი მოვიძიე, შავი პურის ნაჭერი ვიყიდე.

დიდხანს დავბორიალობდი უცხო ქალაქში, უკვე არ ვიცოდი, საითკენ წავსულიყავი.

ქალაქის განაპირას ყოყმანით შევჩერდი პატარა, გვერდებდაფერდებულ ქობთან. დავაკაკუნე.

„უიმე, როგორ გაყინულხარ, შვილო!“ — შეიცხადა უცხო დედამ.

ვინრო ოთახში ღუმელი გიზგიზებდა, წვნიანისა და ხმელი შეშის სუნი ტრიალებდა.

წვნიანი დამისხა, თბილ წყალში ფეხები ჩამაყრევინა,

ოხშივარსა და ქალურ ნუნუნში გამხვია. დედის ხმით ჩიოდა. დედის ხელებით მოყინულ ფეხებს მბანდა. დედის მანდილით თვალის უპეში უნებლიე ცრემლს ინმენდდა. სალამოს კი, ხელი ჩამჭიდა და თოვლიან ქუჩაში გამიყვანა. თოვლში ვინრო ბილიკი დაეტკეპნათ. ციოდა და ერთადერთი, რაც მაძლებინებდა, დედის თბილი ხელი იყო... ქალაქი უცბად დასრულდა. სივრცე თოვლიან ველებსა და ხეთა კორომებს დაეპყრო. სადაც ქარს თოვლი გადაეხვეტა, მინას ჯერაც აჩნდა ტანკების ნაკვალევი, ჟანგისა და სისხლისაგან გაჯერებულიყო ვრცელი ქაობნარი. ფართოდ გაშლილ ტრამალებს ჯარისკაცის ნაფეხური მიჰყვებოდა... ცის ბინდიან კიდეს რომ მივალწიეთ, სამხრეთის ზეცამ გადმოგვხედა მირიადი ვარსკვლავით... მერე ბურუსი გადაეფინა პირმინას, ზღვის ყრუ ბუბუნი მომესმა და უცებ ჩემს წინ წამოიმართა გაჩახჩახებული პანსიონატი...“

...იდგა პაპუნა ჭყონია ყვავილოვან ველზე და ვარდების სურნელი თავბრუსა ხვევდა. დაქანცულობა მოეძალა, მუხლებში სისუსტე იგრძნო.

რა უბრალო და მარტივი იყო ყოველივე. „ნეტავი რას წვალლობ?“ — დალლილი ფიქრი ამოძრავდა. საკმარისია, ხელი გაიწოდოს, ვარდის მოწყვეტა მოინდომოს და თითებზე დააჩნდება სისხლის წყვილი წვეთი. ვერც გაიგებს, ეკალმა უჩხვლიტა თუ უნასმა.

ადიკოს ხითხითი ჩაესმა. არსად ჩანდა პანსიონატის გაანცებული დირექტორი. იგი თავის უფერულ პეპელას გაედევნა და მხოლოდ ეს ხითხითი დატოვა, თითქოს ნიშნს უგებდა.

თავი შეზიზღდა პაპუნა ჭყონიას. საკუთარი გაუბედაობა ანამებდა. ორეულს ჩაეგდო ხელში სადავე, ჭიჭყინით ავედრებდა თავს, ჯერ ახალგაზრდა ვარ, შემიცოდე, ნურც მე დამღუპავ და თავსაც ნუ დაიღუპავო.

მერე გრილმა სიომ დაჰბერა. ვარდების მძაფრი სურნელით დამძიმებულიყო, თითქოს მთელი შუშა სუნამო შემოასხურესო.

იდგა და ვერაფერი გადაეწყვიტა. მალე დალამდებოდა კიდევ.

„ვერონიკა!“ — გაიფიქრა პაპუნამ. გონებაში ისე გაიელვა, როგორც გამოსამშვიდობებლად დაქნეულმა ხელმა.

პანია თითებმა გადასწია ვარდის ბუჩქი და ქერა კულულები გამოჩნდა.

ფეხშიშველა ვერონიკა გამოტანტალდა. მოკლე კაბა ეკალს შემოეხია და მზით დამწვარი ბარძაყი უჩანდა. ხელში ვარდების გვირგვინი ეჭირა.

ხალისით შემოჰლიმა, თითქოს საფრთხის ნასახსაც ვერ ამჩნევსო. გვირგვინი თავზე წამოიცივა და მიამიტურად გაეპრანჭა.

„ვერონიკა!“ — უნდოდა ეყვირა პაპუნას.

გოგონამ თითი ტუჩზე მიიღო, გაჩუმდით, ანიშნა და საცალფეხო ბილიკს დაადგა.

ფრთხილად მისრიალებდა მხოლოდ მისთვის გაკვალულ გზაზე, თავს არიდებდა ეკლიან ტოტებს.

გაფაციცებით მისდევდა პაპუნა. შიშიანი ცახცახი უვლიდა. გზა ბენვის ხიდზე გადიოდა და ახლალა მიხვდა, რაოდენ არ ემეტებოდა თურმე სიცოცხლე.

მცხუნვარებამ იკლო. თანდათან ბურუსი ჩამონვა. ყვავილნარი მოთავდა და ახლა მწირი კატაბალახით მოფენილ მინდორს კვეთდნენ, რომლის მიღმა ბურუსში წამით გამოკრთა მკვდარი სახლი...

პანსიონატის გალავანი გამოჩნდა. მის ჩრდილში მანდილოსანი იდგა, ელოდა.

იცნო, დედა იყო.

ვერონიკას ჩუმი სიცილი ბინდს შეერთო, გოგონა გაუჩინარდა.

დედას დაღლილი ხელები ჩამოეშვა. ჭაღარა თმა გვირგვინად ედგა თავზე. დარდიანი თვალეები შეაგება. როგორც ყოველთვის, საყვედურის გარეშე ჰკითხა:

„მოხვედი, შვილო?“

18. მარჯობი როცა

დილას გვიან გაეღვიძა. ფანჯრიდან სუსტი სინათლე შემოდოდა. ეზოში გადაიხედა. მენამული ფერი გადაჰკრავდა სივრცეს. სანაპიროზე შავი კვამლი ტრიალებდა და იქ არაფერი ჩანდა.

ცხელოდა, მაგრამ ფანჯრის გაღება არ შეიძლებოდა.

ბინაში ელექტროაღმრიცხველის უწყვეტი ზუზუნის მოდა მხოლოდ.

ლოჯში გაიხედა. დედას სავარძელში ჩასძინებოდა. მუხლებზე საქსოვი ედო, ძაფის გორგალი კი მაგიდის ქვეშ შეგორებულიყო. კუთხეში ტელევიზორი ციმციმებდა. ეკრანზე თეთრი ზოლები ჩამოდიოდა. პაპუნამ ტელევიზორი გამორთო. დედას შალი მოახურა და აბაზანაში შევიდა.

დიდხანს იჭყუმპალავა ნელთბილ წყალში. გართობის თავი არ ჰქონდა. ორეულს ვერ გაუტეხა ხათრი, იმან კი ხეხვისაგან ტყავი გადაიძრო, მაგრამ როგორი უშნოც იყო, ისეთივე დარჩა. ხაოიანი პირსახოცით შეიმშრალა.

არ სურდა დედის გაღვიძება. სამზარეულოში რძე თვითონ მონახა, ერთი ჭიქა დალია.

მერე სანერ მაგიდას მიუჯდა, მაგრამ გული ვერ დაუდო. ეუცნაურა დედის ხანგრძლივი ძილი.

შეიჭვრიტა.

ფანჯრიდან შემოსული მენამული შუქი დედას სახეზე ეფინებოდა.

პაპუნას ელდა ეცა.

„დედა!“ — ხმადაბლა გასძახა.

ქალი არ განძრეულა.

დიდხანს მოუნდა პაპუნა მანძილის გადალახვას ზღურბლიდან სავარძლამდე. სახე სახესთან მიუტანა და გული ჩაუვარდა.

დედას თვალეები ღიად დარჩენოდა.

„დედა!“ — შესძახა პაპუნამ, სავარძელი შეანჯღრია.

ცხედარი გადაქანდა, სახელურს გადაეყრდნო.

პაპუნა ბინიდან გავარდა. არ იცოდა, რა ექნა, ვისთვის

მოეხმომო. უაზროდ მირბოდა დერეფანში. გზაზე არავინ შეხვედრია. სადღაც შორს გოდორივით ბიჭუნა გაცუნცულდა, რა თქმა უნდა, ადიკო იქნებოდა. ხელი ჩაიქნია, არ გაჰკიდებია.

შინ შებრუნდა. „დედა, დედა!“ — იმეორებდა და ამ სიტყვებით ქვითინს იხშობდა.

ზღურბლზე გაიყინა. შალი იატაკზე ეგდო, სავარძელში კი არავინ იჯდა...

თვითონაც არ ახსოვდა, რამდენ ხანს იდგა ასე. ვერ ხვდებოდა, რა მოხდა. არ იცოდა, სად ეძებნა დედის კვალი.

თანდათან გონს მოეგო. აზრი ამოძრავდა. იქნებ დედის კლუბიც არსებობდა ამ უცნაურ პანსიონატში.

უსასრულო დერეფნებს მიჰყვა. გადადიოდა სართულიდან სართულში, ხან აღმა ადიოდა, ხან დაღმა ეშვებოდა. ყველგან ერთნაირი კარები იყო. ზედ ნომრების მეტი არაფერი ეწერა.

პირველსავე შემხვედრს შეეხმინა, „ჰეი, მეგობარო!“ დამსვენებელი დაფრთხა, ღია კარში დურთა თავი და სწრაფად გაიხურა. პაპუნამ მხრები აიჩეჩა, ვერ გაეგო, რატომ ეშინოდათ მისი. მეტი არავის შეხმინებია. უჩუმარი ლანდი თუ ჩაუვლიდა, თითქოს ცივი ნიავი შეეხებოდა, მაგრამ ასეთ რამეს უკვე არ აქცევდა ყურადღებას.

ერთი კარი იცნო. აქ ვერონიკა და მისი ბებია ცხოვრობდნენ. დააკაკუნა. ზორბა, უღვაშა ქალმა გამოიხედა.

პაპუნამ თავი დაუკრა, უხმოდ მიაჩერდა. დედაბერმა კი ამოიოხრა, შიშინად გახედა დერეფანს, საეჭვო ვერაფერი ნახა, მაინც ხმადაბლა შეეკითხა:

„ჰა, რა იყო?“

„ანიკო დეიდა, დედათა კლუბი თუ არის სადმე?“

„ეჰ, შვილო, დედებს საკლუბოდ და დროის სატარებლად სადა სცალიათ?.. თუ გინდა, ქვევით ჩადი, სამრეცხაოში. დედის გართობა რეცხვა და სამზარეულოა“.

მოუბოდიშა და გაბრუნდა...

(ნაწევები პ. ჭყონიას „მოგონებიდან“)

„...დედას არასოდეს სცალოდა. არ ვიცი, როდის წვებოდა, იმ დროს მე უკვე მეძინა; არც ის ვიცი, რა დროს დგებოდა,

მე ხომ ჯერ გამოღვიძებული არ ვიყავი. მოსაფერებლად ვერასოდეს იცლიდა, მაგრამ არც დასასჯელად ყოფნიდა დრო. ამიტომ ვიყავი ჩემს ნებაზე. გარეცხილს რომ ჩავიცვამდი, ტვინი არ მიჭყლეტია, ვინ და როდის გამირეცხა-მეთქი. საჭმელს რომ მივირთმევედი, არც იმის ფიქრით მომიკლავს თავი, საიდან და როგორა-თქო... ჰოდა, გასართობი დრო სად ექნებოდა, თუ არ ჩავთვლით იმ ბედნიერ წუთებს, როცა გვიან ღამით, უფრო ზამთრობით, გიტარას ხელში აიღებდა, დაღლილი სახე გადაუსხვავდებოდა, სიმებს თითებს სათუთად შეახებდა და მცირე ხნით გალალბებული, სევდიანი მეგრული სიმღერებით გულს გადაიხსნიდა...

ერთხელ წავიყვანეთ კინოში. საგანგებოდ იმისთვის წავედით, იქნებ დედაც ვაცდუნოთო. ჯერ შორს დაიჭირა, სადა მცალიაო. ბოლო წუთს თვალეში სხივი გაუკრთა, თავისი სადა, საგარეო კაბა ჩაიცვა და სულ ქოშინ-ქოშინით ჩავირბინეთ კინოთეატრამდე. ბედად ბილეთები ვიშოვეთ. ბედნიერი წუთები იყო. ყელმოღერებული იჯდა, აქეთ-იქით შვილები ვისხედით და ეამაყებოდა, მარტოქალმა ამდენი შევძელიო.

არ მახსოვს, რა ფილმი იყო, ღირდა თუ არა ყურება. სიბნელეში დედას ვაკვირდებოდი და უცებ მშვიდი ფშვინვა მომესმა. ჩასძინებოდა...”

პაპუნამ მოუბოდიშა დედაბერს და გამობრუნდა. დიდხანს დადიოდა უმიზნოდ, თავი ვერაფრისათვის მოება, თანდათან უმძაფრდებოდა უკმარობის მწველი გრძნობა.

სადღაც ქვესკნელში ჩაჰყვა ჩაბნელებულ კიბეს. ნესტიან დერეფანში აღმოჩნდა. ფიქალით განყობილ იატაკზე საპნიანი წყალი იდგა. რკინის დაჟანგული კარები გახსნილი დახვდა. ზღურბლს მიღმა მართლაც სამრეცხაო იყო.

აქა-იქ კედლებიდან ცხელი წყალი მოთქლიშინებდა. ორთქლს ისე დაებურა ყველაფერი, თავდაპირველად ვერაფერი გაარჩია.

ჭერიდან წკაპანკუპით ცვიოდა მძიმე წვეთები, იატაკზე ჭუჭყიანი წყალი მოედინებოდა.

ცხელ ორთქლს გასჯდომოდა საპნისა და ფსიტიის სუნი.

ცეცხლზე შემოდგმულ უზარმაზარ ქვაბებში თეთრეული იხარშებოდა. გიგანტიურ ვარცლებთან ქალები იდგნენ და ბავშვის თეთრ საფენებს რეცხავდნენ. სიცხისა და ნესტისაგან გათანგულები ნახევრად გაშიშვლებულიყვნენ, ტანზე წყლის წვეთები და ოფლი ესხურათ. ჩამომჭკნარი ძუძუები მომჩვარულად ეკიდათ. უსაზღვროდ დაღლილნი მძიმედ, მონოტონურად მოძრაობდნენ, თითქოს ხელ-ფეხზე უჩინარი ლოდები ჩამოეცვათ. ჩანდა, ათასი წელი რეცხავდნენ ასე, ჩვილთა საფენები კი არ თავდებოდა...

კაცისაკენ არავის მოუხედავს, თითქოს ვერც ამჩნევდნენ. პაპუნამ თავი დახარა და ისე გადაჭრა სამრეცხაო. ჭასავით ეზოში აღმოჩნდა. ორად ორი ჯუჯა ასფოდელოსი ხარობდა.

ერთგან ახალგაზრდა დედა იჯდა, ჩვილს ძუძუს აწოვებდა.

პაპუნა შესასვენებლად ჩამოჯდა. ზურგით კედელს მიეყრდნო. ქალი ვერავის ამჩნევდა, გარდა ჩვილისა, და ცნობისმოყვარე ორეული შუაში ჩაეჩხირა, ჩვილის თვალებით გამოიხედა. აბა, რას გაიგებდა! თვალისმომჭრელად იყო სივრცე გაჩახჩახებული, თითქოს ზევიდან ბარჩხალა მზე დაჰყურებდა და სითბოს აფენდა. იქნებ დედიკოს ნათელი სახე იყო ეს მზე. ალბათ, აყვავებული ატმის ქვეშ ისხდნენ, ანდა დედიკოს ღანვები ჰგავდა ატმის ყვავილებს. წელი ნიავი ელაციცებოდა პირისახეზე, იქნებ დედიკოს ბაგეთა შეხება იყო. სიყვარულის აკვანში რომ ირწეოდა, რა თქმა უნდა, დედიკოს მკლავები იყო. პირში ძუძუ ედო, ტკბილ რძეს წოვდა ღულუნით და სხეულში პანია მდინარეებად მოედინებოდა თბილი ტალღები... ორეულმა რძის გემო იგრძნო და პაპუნა წამოდგა, გაშორდა ჩვილის ალერსში გართულ ქალს...

ეზო გაიარა. იმის იქით კი არაერთი სხვადასხვანაირი დარბაზი. ყველგან ისმოდა პატარების ტირილი, კისკისი... დედების ფაციფუცი... თვით ჰაერი სავსე იყო დედობრივი, თბილი ხიბლით...

„დამეხმარეთ!“ — ქალი ტიროდა, ხელში ათიოდე წლის ბიჭუნა აეტატებინა, კიბის საფეხურზე იდგა.

პაპუნა შეჩერდა. ბავშვი სიცხიანი იყო, აბოდებდა. ქალს

სახეზე მუდარა ეხატა. ეტყობა, მკლავები დაწყდომაზე ჰქონდა, მაგრამ ბიჭუნას ხელს არ უშვებდა.

„არა, ჩემს შვილს ვერ მოგცემთ, მაგრამ ნუთუ არ არსებობს სხვა წამალი?“

პაპუნამ ვერაფერი თქვა, არ იცოდა, რითი დახმარებოდა.

„ყოველ დილას ასეთი სიცხიანი მყავს, ჩემი ხელით უნდა ავიყვანო ამ კიბეზე. მხოლოდ საღამოს ავალწევ სახურავამდე. იქ მოკეთდება, ცოტას ითამაშებს, საჭმელს ჭამს, ღამე კი უკან ვეშვებით... დილით ყველაფერი თავიდან იწყება... ასე რომ არ ავიყვანო, მომიკვდება, ზევით დარჩენის უფლება კი არა მაქვს...“

„ადიკოს ვერ მიმართეთ?“

„ვინ არის ადიკო?“

ქალის ფიქრი ბიჭუნას დასტრიალებდა და სხვას ვერაფერს გებულობდა. მძიმედ შებრუნდა, სიცხიანი ბავშვი მიიხუტა და კიბეს აჰყვა. მალე თვალთახედვიდან დაიკარგა.

ცოტა იქით სხვა კიბეს წააწყდა პაპუნა. ესეც მალლა მიემართებოდა. კლდეში იყო გამოკვეთილი. საფეხურებსა და კედლებს თალხი ფერი ედო. თანდათან ფართოვდებოდა და მალღდებოდა. წელი ნიავის სევდიანი ფაჩუნი მოსდევდა კვალზე.

თანდათან თვითონაც სევდა მოეძალა. დავიწყებოდა, რას ეძებდა, რისთვის დაეხეტებოდა, მაგრამ სევდა და დარდი გულს უღრღნიდა და ტირილი მოუხდა.

ვრცელ ბაქანზე ვილაციის ზურგი დაინახა, მერე მთელი ბრბო, მწუხარე სილუეტებად გამწკრივებულიყვნენ. თვითონაც გაერია, წინ გაძვრა.

იქ, შემალღებულზე, თავმოხდილი კუბო იდგა, შიგ ცუნცულა ესვენა. ახლაც სასკოლო ფორმა ეცვა. თმა უკან გადაევარცხნათ, ფარფატა, თეთრი ბაფთები პეპლებივით ასხდნენ. ცუნცულას თვალები დაეხუჭა, თითქოს ახლახან ჩაეძინაო, ქუთუთოებს სიმშვიდე დაჰფენოდა. მთლად ცოცხალსა ჰგავდა, თითქოს წუთით წუთზე გაიღვიძებს და კრიალა ღიმილს გამოანათებსო. მაგრამ პაპუნამ დიდი ხანია იცოდა, ცუნცულას გამჭვირვალე და მსუბუქი სული უსაზღვროეთში წა-

ფარფატდა, ცის სილურჯეს შეერწყა. მისი ღიმილგაყინული ბაგეები ვერასოდეს გაიხსნებოდა, რათა ეთქვა უმშვენიერესი სიტყვა „დედა!“

ცუნცულას კუბოს მისი ყმანვილი დედა უჯდა. ამოუკვალთავი შავები ეცვა. მუქი, მდიდრული თმები ჩამოეშალა, მხრებზე ეფინა. კრიჭაშეკრული დასცქეროდა, ხმას ვერ იღებდა, სიტყვა მაინც არაფერს ნიშნავდა. თვალები უსაზღვრო მწუხარებას დაებინდა. იგი ვერაფერს ხედავდა, გარდა ცუნცულას მძინარე სახისა, თითქოს მასზე უნდა ამოეკითხა მარადიული განაჩენი, რაც ბედისწერამ გამოუტანა.

ქალის ხელებს დააკვირდა პაპუნა. კუბოს კიდეზე დაეწყო. განვართული, სისხლდაცლილი ხელები, მარად მზადმყოფნი სააღერსოდ, სანანავებლად, ცუნცულას მოსაფერებლად... მაგრამ ცუნცულას სული ისე შორს გაფრენილიყო, დედის ხელები ვერ მისწვდებოდა და ქალის უტყვ ბაგეზე ერთადერთი კითხვა ეწერა: „რატომ?“

გულდამძიმებული შებრუნდა პაპუნა ჭყონია...

19. *სმობი*

კარს რომ აღებდა, იმედის ნაპერწკალი წამით აენტო. მოეჩვენა, რომ კვლავ ვილაცა იყო ბინაში. ალბათ, წნევამ ამინია და ჰალუცინაციები დამჩემდაო, გაიფიქრა. სევდა გაუმძაფრდა, ძარღვებში შხამად ჩაელვარა. ორეული კი აუცუნდრუკდა, დიდხანს არ შეეძლო წუხილი, სულიერი ტანჯვა უმაღვე აჭკნობდა, აჩიავებდა. ეჰ, წუხილით საქმეს რას უშველიო, ფარისევლურად ჩაინუნუნა და მომავალ მეჯლისზე დაინყო ფიქრი. პაპუნას თვალწინ სავარძელში მისვენებული, უსიცოცხლო დედა ედგა, ორეულის წარმოსახვა კი ტიტლიკანა ქალების როკვით იყო დაკავებული და ეს გაორება თავგზას უბნევდა კაცს... მეჯლისამდე დრო ჯერ კიდევ იყო. შეეძლო ორიოდ აბზაცი დაენერა, მაგრამ თეთრი ქალაღი კვლავ შესჯავრებოდა, კალამი ზიზღს გვრიდა. იქნებ შხაპს ეშველა. ცხელი წყალი მოუშვა, გაიხადა. თვალდახუჭული ინვა აბაზა-

ნაში, წყლის ნაკადი მკერდზე ეღვრებოდა. ფიქრით თავს არ ინუხებდა და თანდათან გულზე მოეშვა.

ტანს რომ იმშრალებდა, ზევით აიხედა და მარყუჟი დაინახა. პირველი დღის შემდეგ არ მიუქცევია ყურადღება. გადაწყვიტა, ბარემ ჩავიცვამ და მერე ჩამოვხსნიო, მაგრამ ბინიდან რომ გადიოდა, მაშინდა გაახსენდა და განზრახვის შესრულება სხვა დროისათვის გადადო.

დერეფანშივე დაეუფლა ის ჭკუამსუბუქი გუნება-განწყობილება, რაიც მსგავს მეჯლისზე ბუნებრივიცაა. არ ინიღბებოდა და სხვათაგან ამით გამოირჩეოდა. დერეფნებიდან დაძრულიყო უსასრულო ტალღა ნაირფერი ნიღბებისა. რაც კი გონებას შეეძლო მოეფიქრებინა, ყველაფერს აქ იხილავდა კაცი. თუმცა მრუმე განათება ბოლომდე ვერ აჩენდა ფერთა ბრწყინვალებას, თვალი მაინც აუჭრელდა. ფეხების არეული ტყაპატყუპით მიმავალ ნაკადს თვითონაც მიჰყვა. მავანთ ეჯავჯგურებოდა, მავანნი ხან აქეთ მიაქანებდნენ, ხან იქით. წამდაუნუმ თვალწინ გაცურდებოდა საოცარი სიფათები, ხან საზარელი ურჩხულისა, ხან ქვეწარმავლისა, წარმოუდგენლად მახინჯი სახეები, უფრო მიცვალებულთა, ხრწნისა და ქრობის დალი რომ აჩნდათ... საერთო ტალღა მიაქანებდა პაპუნა ჭყონიას და, თითქოს ყინულოვან მდინარეს მიაპობსო, სიცივისაგან აძაგდაგებდა, ითოშებოდა. ირგვლივ ყოველივე არარეალური იყო — სიცილის წილ ხითხითი, ლაპარაკის წილ — ჩურჩული, სიმღერის წილ — უშნო წრიპინი, თითქოს კვლავ ვირთხების გროვა ეხვია. ვინ იცის, როდის მიხვდებოდნენ, უცხო რომ გარეულიყო მათ შორის, და მტაცებლის კბილებს დააღრჭენდნენ, მიესეოდნენ საძიძგნად.

ფეხს აუჩქარა, შეეცადა სხვათათვის გადაესწრო, გამორებოდა ბრბოს, თუმცა ვერაფრით გაეგო, ვის გაურბოდა, ან საითკენ მიიჩქაროდა... კიბეები უცბად მოთავდა და ბნელი ცა გადმოემხო თავზე. აურაცხელი ნიღბოსანი ირეოდა პანსიონატის სამეჯლისო ბლოკში. კვლავ გრიალებდა ნაირ-ნაირი ორკესტრი, კვლავ როკავდნენ წყვილები, კვლავაც დაფოფინებდნენ წმინდანები და ღრეობდნენ უწმინდურნი.

„ჰეი!“ — მკლავზე გაჩხინკული თითები წაავლო ვილა-

ცამ, პიჯაკის სახელოში გაატანა სიცივემ, ვაგონის გამყოლის ხელი გაახსენა.

ქალის ნილაბი იყო, სავსე ტუჩებს მთელი პირისაზე გადაეკვეთა და როცა გაიღიმა, მსხვილი, ყვითელი კბილები გამოაჩინა.

„ჰეი, ხომ არ გვეცეკვა?“ — ჩაჭრილი კაბიდან მომრგვალებული მუხლისთავი გამოაჩინა ნილაბმა.

პაპუნამ უხეშად გამოსტაცა მკლავი და სწრაფად გამოორდა, ზიზღი ძლივს მოინელა.

ორეულმა ფეხები ააბაკუნა, ცხენივით ქიხვინებდა. ცეკვასა და გართობას ესწრაფოდა, საერთო ორომტრიალში ჩაფლობა ეწადა.

პაპუნამ თავს ძალა დაატანა, სიღინჯეს მოუხმო. ხალხში მსტოვარით დადიოდა და ნიღბებს აკვირდებოდა, იქნებ სადმე ეპოვა დედის კვალი.

განმარტოებით მანდილოსანი იჯდა, გარიდებოდა ბრბოს მხიარულებას. გამჭვირვალე პირბადე ეკეთა. თუმცა ძნელი იყო სახის ამოცნობა, მაინც დედას მიახსენებდა. „ქალბატონო!“ — ხმადაბლა მიმართა. უცხო თვალებმა ცივად შემოხედეს, შიგ სითბოს ნატამალიც არ იკითხებოდა და პაპუნამ უკან დაიხია.

ვერც კი მიხვდა, ორეული როდის გაუსხლტა. იგი სწრაფად გაძვრა-გამოძვრა. ერთგან გოჭის ფეხი დაითრია, მეორეგან ქათმის ბარკალი. მერე სხვადასხვა სასმელს ჩამოუარა. შინნახადი არყით დაინყო და ერთი ყანწი „მუკუზანით“ დაავირგვინა. ამასობაში კი თვითონაც მოთავდა. მოედნის კიდეზე წაიბორძიკა, მოაჯირს გადაეკიდა, თავი ძლივს შეიკავა. ასე გადაკიდებულმა თვალი მილულა. ძილში ჩაჰყვა მოცეკვავეთა ფეხების ბრაგაბრუგი, მუსიკის რიტმი. მერე თითქოს სმენა გაუმახვილდა, საცეკვაო მუსიკას უცნაური ღმუილი დაერთო. ორეულმა თვალი ქყიტა, უცბად გამოფხიზლდა. ძირს გადაიხედა. ბნელ უფსკრულში ზონზროხა ურჩხულები თავებს მალლა ინვდენდნენ. ელდა ეცა, ელვასავით გაეცალა საშიშ მოაჯირს, ცახცახი ძლივს დაიოკა, მოცეკვავეებს შეერიო. ვილაცა კისერზე ჩამოეკონწიალა, ხითხითით ჩაეხუტა. აცუნდრუკდა ორეული, თვითონაც აროკდა. ძარღვებში სისხ-

ლი აუჩქროლდა. ქორფა დიაცს ჩახუტებული ცეკვავედა და მეშვიდე ცაზე დაფრინავდა. საალერსო სიტყვები მოაქიჩმაჩა, საპასუხო ხითხითი დასტურად ჩათვალა და სადღაც წაათრია, თვითონ არ უწყოდა საითკენ. ბედად სკამი იპოვეს, დასხდნენ, გადახვიეს ერთმანეთს ხელი. ნილაბი გადაუნია ლამაზმანს, საკოცნელად დაიხარა და ჯოჯოს მახინჯი სიფათი შეეფეთა. გულგახეთქილმა გაინია, გასხლტომა მოინდომა, მაგრამ დიაცი ტუჩებში ჩაეკონა, კინაღამ სულში ჩაუძვრა. ორეულმა ერთიც გაიბრძოლა, სამოსი ხელში შეატოვა. თვითონ კი შარვლის ტოტიდან გაძვრა. გაიქც-გამოიქცა, პაპუნა იპოვა და მის სულში ბინი შეიტანა.

პაპუნა კვლავ თავისი საიდუმლოს ამოხსნით იყო დაკავებული და თავს არიდებდა ღრეობასა და სიძვას.

ორეული თბილად მოყურდა, ჩურჩული გაუბა: „მოდო, ჩვენც ვიცეკვოთ!..“ „მოდო, ბანქო ვითამაშოთ, დღეს კარგ ფეხზე ავდექი, ფულს მოვიგებო...“ „მოდო, ეგერ ის გოგო გამოვიჭიროთ, იფ, რა ფუნთუშა!“ — ათასნაირად ეთითლიბაზებოდა, გონებას ურევდა, პაპუნა კი ცდილობდა, ყური არ მიეგდო, ისევ და ისევ უკირკიტებდა თავის გამოცანას, მაგრამ მირიადი ნიღბიდან ვერც ვერავის ცნობდა.

შუალამე იქნებოდა, როცა ჯარისკაცი დაინახა. უკვე საშინლად მოიქანცა და წასვლას აპირებდა, ახლა კი შეყოვნდა. ჯარისკაცი უნიღბოდ გამოცხადდა, გულგრილად გაჰყურებდა ყოველივეს, ან იქნებ ვერაფერს ხედავდა, — ყავარჯენს მძიმედ ეყრდნობოდა, გიმნასტურიდან შეხვეული მკერდი მოუჩანდა და სახვევი სისხლს გაეჟღინთა.

პაპუნა წინ გადაუდგა, მაგრამ ყავარჯნიანის მზერამ ისე გაუარა, თითქოს გამჭვირვალე ყოფილიყოს.

ჯარისკაცი ვილაცას ეძებდა.

აბეზარი დიაცი აეკიდა, რალაცას ეტუტუნებოდა. ჯარისკაცმა უაზროდ შეხედა. ვერ გაეგო, რას ეუბნებოდნენ, ყავარჯნის კაკუნით განაგრძო გზა.

სწორედ ამ დროს ჩაჰბერეს ფანფარებს. ინყებოდა საზეიმო მსვლელობა. ყველაფერი წინანდელივით გამეორდა. ბრბო ორად გაიყო და ცოცხალ დერეფანში პროცესია დაიძრა. წინ

ჯამბაზები მორბოდნენ, ყირაზე გადადიოდნენ, იმანჭებოდნენ, ტკარცალებდნენ. ჯამბაზებს შეიარაღებული მხედრები მოჰყვებოდნენ. სახეზე შემზარავი ნიღბები ეკეთათ, მრისხანედ იბღვირებოდნენ, საითკენაც ცხენს მიაგდებდნენ, ბრბო უმაღ უკან იხევდა, ჯგლეითა და ნივილ-კივილით ერთურთს თელავდნენ.

შავი კარეტიდან პარასკევამ გამოანათა. ისე დიდებულად გამოიყურებოდა, ორეული აწრიალდა, თავგზა აებნა, პაპუნამ ძლივს მოთოკა. თვით ადიკო, ის თუ მართლაც ადიკო იყო, აპოლონს დამსგავსებოდა და ანტიკური მონადირის მოკლე ტოგა ეცვა. თითქოს პირველად ხედავსო, მიამიტური ღიმილით გასცქეროდა ბრბოს, დამფრთხალი „ვაშათი“ რომ მიაცილებდა. მისმა მზერამ პაპუნასაც გადაუარა, თუმცა სახეზე არაფერი დასტყობია. პაპუნა მიხვდა, რომ იცნეს. სხვა ვითარებაში, ალბათ, წინ გადაუდგებოდა, ნინუცა ბებია და დედაჩემი რა უყავიო, შეეკითხებოდა, მაგრამ ორეულმა ხელ-ფეხი დაუძაბუნა და ადგილს მიაჯაჭვა.

ამასობაში კარეტამ ჩაიარა და შუბოსნებით გარშემორტყმული ლურჯი სპილოც გამოჩნდა. თეთრჩაღმიანი ჰინდონი მოერეკებოდნენ. ზვიადი ცხოველი დინჯად, დარბაისლურად ადგამდა სვეტებივით მსხვილ ფეხებს. სპილოზე ოქროს ტახტრევანი იდგა, თეთრი აბრეშუმით განწყობილი. იმ ტახტრევანში ქალი იჯდა და პაპუნამ უცბად იცნო მისი დაღლილი სახე, ზედ რომ მონამებრივი სიმტკიცე ეხატა.

„დედა!“ — უნდოდა ეკივლა, ისევე როგორც ოდესღაც ბავშვობაში, სახლის სიცარიელეს მარტოდ შერჩენილი, აივნიდან გაჰკიოდა: „დედა-ა!“

ორეულმა პირზე ხელი ააფარა, ხმა არ ამოაღებინა. პაპუნას ყველაფერი აერია, დაუფიქრებლად მიჰყვა ლურჯ სპილოს. ხალხის კედელი ხელს უშლიდა და ცნობისმოყვარეთა ზურგს უკან მირბოდა.

დიდხანს გაგრძელდა ეს ნერვული სრბოლა. ვერ გაეგო რამდენ ხანს, რადგან გონება გამოეთიშა და მხოლოდ შეუცნობელი ინსტინქტი მიერეკებოდა.

სამეჯლისო ბლოკში თანდათან შენელდა მხიარულება. სეირის მოყვარულნი ტალღა-ტალღა მოინევდნენ აქეთკენ.

საცეკვაო მოედნები დაცარიელდა და ეს ამოდენა ბრბო პროცესიის გზაზე ჩამომწკრივდა. შეწყდა ხმაური, ნამოძახილები, მისალმებები. სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ცხენთა თქარუნი, კარეტის ბორბლების ხრიგინი და ლურჯი სპილოს ფშვინვა არღვევდა. საზარელი იყო ეს მდუმარება და პაპუნას ნამდაუნუმ ავიწყდებოდა სად იყო, რას აკეთებდა, ვის მისდევდა.

ვერ შენიშნა, სად გაქრა პარასკევა. ადიკოს სახეზე საზეიმო გამომეტყველება აესახა, მაგრამ შიგ იყო კიდევ სხვა — მტაცებლის გამოხედვა, ყოვლისდამთრგუნველი სისასტიკე, სუსხი...

სამეჯლისო ბლოკს გზა გამოეყო, დაბლა დაექანა. ვერავინ გაბედა პროცესიას მიჰყოლოდა. ჯამბაზები და მხედრები გზის დასაწყისთანავე შეჩერდნენ. მხოლოდ კარეტა მიინევდა წინ, შუბოსნები და ჰინდონი სპილოს მიერეკებოდნენ, შუბებით ჩხვლეტდნენ, გვერდებს უსისხლიანებდნენ, რადგან არ ენადა ლურჯ გოლიათს გზის გაგრძელება.

„სილამაზის დედოფლის“ სახეზე კი კვლავაც მონამებრივი თმენა იხატებოდა.

გზის ბოლოს გისოსებიანი კარი გამოჩნდა. პანსიონატის კორპუსს ჰყოფდა უკანა ეზოსაგან. გისოსებს მიღმა ისმოდა უცნაური, შიშისმომგვრელი ღმუილი, ხროტინი. იქ რაღაც ბაჯბაჯებდა, მინას არყევდა თავისი სიმძიმით.

უცებ პროცესია გაჩერდა.

გისოსების წინ, ზედ შუა გზაზე, დაჭრილი ჯარისკაცი იდგა, თვალები სიძულვილით ანთებოდა.

ადიკო თითქოს ბოროტმა ცეცხლმა ალაგზნო. ეტლიდან მსწრაფლ გადმოეშვა, ჯარისკაცს წინ აეტუზა.

„ეს ვინლა არის?“

ჯარისკაცმა ყავარჯენი მოუქნია, ადიკო უკან გადმოხტა, აიცდინა.

პაპუნა წინ გავარდა. თუმცა არ იცოდა, რა ხდებოდა და ვის უნდა მიშველებოდა. შუბოსნებში გაეჩხირა და კარეტამდე ვერ მიაღწია.

„დედა!“ — ასძახა ტახტრევანზე მჯდომს. ბაგეზე ტანჯული ღიმილი გაუკრთა ქალს, მის სულში მოგონებასავით თუ

გაისმა შორეული, ყრუ ძახილი.

ჯარისკაცმა ერთხელ კიდევ მოუქნია მტერს ყავარჯენი, კვლავ ააცდინა. ღონე აღარ ეყო, წაიჩოქა.

უცბად აიყალყა ადიკო, გაიბერა, გაიზარდა, მხეცური ღმუილით ზედ გადაუარა დაჭრილ ჯარისკაცს, მიწას გააკრა, უზარმაზარი ფეხებით გაიტანა.

გაოგნებული უყურებდა ორთაბრძოლას პაპუნა. შუბოსნები დაიძრნენ, კინალამ თან წარიტაცეს. ორეულს შიშის ბორკილები დაედო მისთვის, კაცად არ ვარგოდა და სეირის შემყურე ბრბოს ფეხებში ებლანდებოდა.

შორიდან ხედავდა, როგორ გაიხსნა რკინის ჭიშკარი, როგორ ჩამოიყვანეს დედა ტახტრევანიდან, როგორ აიტაცა იგი ადიკომ და სადღაც სიღრმეში გააქანა.

პანსიონატის დირექტორს უზარმაზარი ქვეწარმავლის ზურგი ჰქონდა და გიგანტური კუდი მისთრევდა...

20. *ოჯახური ილიკოა*

თაფლობისთვე ბედნიერი თუ არ იყო, ამაში ვერავის დაადანაშაულებდა. ისიც კმაროდა, რომ საკუთარ თავს ირწმუნებდა და, სიტყვით თუ არა, ქცევით მაინც თათულიც დააჯერა, შენზე უფრო ქვეყანაზე არავინ მყვარებიაო. მერე და მერე თვალები მთლად დაივსო, მართლაც მყვარებიაო, დაასკვნა და არარსებული გრძნობები ათასნაირი ყვავილებით შეამკო, ოღონდ ეს უფრო ქელეხის ყვავილები იყო. სულ ხომ ვერ მოიტყუებდა თავს. ერთ დღეს ცხადად შეიგრძნო: არ უყვარდა! მას არავინ უყვარდა, არც თათული, არც საკუთარი თავი... მირაჟი უყვარდა, ზღაპარი, არარსებული რაღაც, რასაც ხელს ვერ შეახებდა, და ისიც ორეულმა გაუცამტვერა, მოუსპო. ადრეც უნდა სცოდნოდა, რომ ეს ასე შებრუნდებოდა, მაგრამ ორეულმა დააჯერა, თვალი დახუჭე და ბედნიერი იქნებო. მთავარია, თავი დაირწმუნო და ცოტა ხანში ვნებაც გენვევაო... ამიტომაც თვალთმაქცობდა ძალდაუტანებლად, ყოველივე ისე ბუნებრივად გამოსდიოდა, თათულის ეჭვები

სრულიად განეფანტა და საბოლოოდ ირწმუნა, სამყაროს ცენტრი მე ვყოფილვარო და მეტოქის არსებობაც კი ბუნების კანონებს ეწინააღმდეგებაო. ეს რომ ასე გაიაზრა, ძალა მოეცა და არ დააყოვნა თვითმპყრობელის უფლებების გამოყენება. ოღონდ ამას ქალური ჟინიანობით წვრილმანში იყენებდა და პაპუნა უხალისოდ დამორჩილდა, რადგან მისთვის სულ ერთი იყო, ეს უფრო ეიოლებოდა, ვიდრე მემამბოხის როლი, უმტკივნეულოდ იტანდა. კარგად იცოდა, რომ ისჯებოდა, რადგან ჭეშმარიტ სიყვარულს მისი გული არ აუთრთოლებია.

თაფლობისთვეც მთავრდება ბოლოს და ბოლოს. იწყება ჩვეულებრივი, ყოველდღიური ყოფა, როცა თურმე ხელფასიდან ხელფასამდე პურის ფულიც არ გყოფნის, აქამდე თითქოს ნორმალური ბინა უცბად დავინროებულა, შენ რომ ძილი და მოსვენება გინდა, სხვას ტამ-ფანდური მოუნდება, ან პირიქით, შენ ყირაზე გადადიხარ, სხვას სიჩუმე სწადია... თავდაპირველად ჩუმი, გაუბედავი წუნწი გაისმა, მერე თანდათან შორისდებულებით შელამაზდა, ბოლოს კი უკმაყოფილებამ წინადადების სამოსი მოისხა... ალბათ, ვერც ქალი გაიხსენებდა და ვერც კაცი, პირველად რის გამო წაკინკლავდნენ. ოღონდ ეს იყო, კაცმა თავისი მამაკაცური უფლებების ხელყოფად ჩათვალა ქალის უაზრო და ჯიუტი წინააღმდეგობა, ქალმა კი დაჩაგრულის ნილაბი მოირგო. იმ წუთიდან ერთს არ ესმოდა მეორისა. ხომ მცირე იყო ნაპრალი, შიგ ნემსის წვერიც ვერ შეეცეოდა, მაგრამ მცირე ჭრილობაც მტკივნეულია, თუ გულის ჭრილობაა. დროზე მიხვდნენ ამას, ტკივილის მოშუშებას შეეცადნენ. „არ დაუთმო, — ჩასჩურჩულა ორეულმა, — შენ იგი მორჩილებაში უნდა აღზარდო!“ „უსამართლოა, — ფიქრობდა თათული, — არ ესმის, როგორ მიჭირს!“ პაპუნამ უკუაგდო ორეულის რჩევა, სირბილე და დათმობა დაიმეგობრა. თათულიმ კი ალერსის ნაცად ხერხს მოუხმო. ეს სახიობა ჭეშმარიტება ეგონათ და მომავლის ბროლის კოშკში შესახლდნენ. მოგვიანებით, თვალი რომ გაახილეს, ნაპრალი უფრო გაფართოებული იხილეს. კვლავ იჩხუბეს, თუმცა ისევ არ ახსოვდათ პირველმიზეზი. „ხომ გეუბნებოდი! — ნიშნისმოგებით ქირქილებდა ორეული. — მალე ეჭვანსაც შეგაბამს, თავის

ნებაზე გარბენინებს!“ „ალარ ვუყვარვარ და იმიტომ მეჩხუბება!“ — ბოროტდებოდა ქალი. შურისძიების სურვილმა დააბრმავა და ერთხელ უკმეხად, დაუნდობლად დაუსისინა: „ხელმოცარვამ გაგაბოროტა, მე რა შუაში ვარ!“ გულზე მოხვდა პაპუნას, პირისახე სისხლისაგან დაეცალა. თავის მეში ჩაიკეტა, არ შეპასუხებია. ან რა უნდა ეთქვა, ქალი მართალი იყო... კარგა ხანია, დადიოდა გამომცემლობათა და რედაქციათა კიბეებზე, თავის სევდიან რომანს ხელში აჩეჩებდა ყველას, მაგრამ ფრთხილად და ალერსიანად იშორებდნენ ისე, როგორც იშორებენ თუმცა უვნებელ, მაგრამ მაინც სულით ავადმყოფს. იმათ ვერაფერს ეუბნებოდა, უფრთხილდებოდა იმ სუსტ იმედს, რასაც ეს ალერსიანი ყურადღება იძლეოდა, მაგრამ გულში წვეთწვეთობით უგროვდებოდა სასონარკვეთა, თითქოს მარტოდმარტო ებრძოდა უჩინარ ზღუდეს, რაღაც ხელმიუწვდომსა და უთავბოლოს, და იოტისოდენა ნიშანი იმისა, რომ ბედი ოდესმე გაუღიმიებდა, არც მომავალში ჩანდა. დაიღლებოდა ქალაქში ხეტიალით და შინ ბრუნდებოდა, ოჯახურ იდილიაში, სადაც ალერსი და ყურადღება მხოლოდ თამაში იყო და გულს არ ეკარებოდა... განა თათულის არ უნდოდა გვერდით ამოსდგომოდა, ჭირი გაეზიარებინა, მაგრამ ვერაფრით ჩასწვდომოდა პაპუნას ტანჯვის მიზეზს და თვითონაც იტანჯებოდა... მეტოქე — თეთრ ქალაღზე ჩანიკნიკებული სევდიანი რომანი, რომელმაც ერთხელ თანაგრძნობის ცრემლი დააღვრევინა, ახლა უკვე საშიში გამხდარიყო და ქალს იგი შესძულდა. ეშინოდა, მიმიხვდებიანო, თორემ სიამოვნებით ცეცხლს მისცემდა ქალაღდის ამ დასტას. „ხელმოცარული!“ — დიაგნოზი მძიმე და სასტიკი იყო, მაგრამ პაპუნას იგი სამართლიანი მოეჩვენა. „შენ რომ ბიჭს მაჩუქებდე!“ — მოულოდნელად წაილულლულა. თათულის ენა ჩაუვარდა, ცრემლი წასკდა. ინანა პაპუნამ, ბოდიში ვერ მოახერხა...

შერიგება მაინც მოხდა, დავიწყებას მიეცა ურთიერთწყენა. ყველაფერი თავისი რიგით წავიდა. ოჯახი თანდათან ყალიბდებოდა. აგერ კარადა შეიძინეს, აგერ — ორი სკამი, აგერ — ელექტროლუმელი... კედელზე ახალი, ჭრელი შპალერი გაჩნდა, ფანჯრებზე — იაფფასიანი ფარდები... ვინრო სამზა-

რეულოში დატრიალდა ოჯახური კერძების სუნი... სალამობით, თათული რომ წინსაფარს გაიკეთებდა და ქვაბებს რახარუხს აუტეხდა, პაპუნა ტელევიზორთან იჯდა, ცალი ყურით უსმენდა, ანდა წიგნს ფურცლავდა გულგრილად, ზედაპირულად, ვერ უღრმავდებოდა, გონება ეფანტებოდა, აზრს ვერაფერზე აჩერებდა. რა თქმა უნდა, მით უფრო არ შეეძლო წერა. გარეგნულად სრულ სიმშვიდეს ინარჩუნებდა, მაგრამ შინაგანი უკმაყოფილება უძლიერდებოდა, გული ძალუმაღ უწყებდა ფეთქვას, ეწყებოდა მსუბუქი თავბრუსხვევა, ითენთებოდა და მაშინ უცბად გაუელვებდა ფიქრი: „ყოველივე მოთავებულია, არაფრისთვის ვარგივარ!“ ამიტომ, როცა ერთხელ გულგრილი მზერა შეავლო ცოლს, გაკვირვება ვერ დამალა, თათულის მუცელი დასტყობოდა. არაფერი უგრძვნია, არც წყენა, არც სიხარული, რადგან საკუთარი იღბლისა უკვე არ სჯეროდა. „უნდა გავშორდე!“ — პირველად მაშინ გაივლო გუნებაში, ოლონდაც, აზრი მოთავებულიც არ ჰქონდა, ორეული აიყალყა, ყელში ეტაკა, უთქმელი სიტყვა უკანვე ჩასჩარა. „მერე რას იტყვის საზოგადოება!“ — თვალთმაქცურად აჩემია. „რას იტყვის საზოგადოება?“ — მინებდა პაპუნა ორეულს და ფარული აზრი შორს გადამალა.

ერთხელ საკუთარი სიყმანვილე ესიზმრა. სიზმარი ფერადი იყო. თითქოს თეთრი გვირილებით მოფენილ ველზე მიდიოდა. ცა იყო ლურჯი, თვალსანიერზე ლურჯი ტბა ლივლივებდა. ტბის პირას სპილოს ძვლის სასახლე იდგა, სადაც მას ელოდა დიადი რაღაც... სიზმარი დიდხანს გრძელდებოდა. მიდიოდა და მიდიოდა გვირილების ველზე და არ სურდა გამოღვიძება. თვალი რომ გაახილა, გული დაწყდა. ოთახის ოთხივე კედლიდან ჭყეტელა შპალერმა მოანათა და მისი სიჭრელე მაინც ნაცრისფერსა ჰგავდა... სიყმანვილე ვერ მობრუნდებოდა, — დრო, როცა სამყარო სავსეა ფერებით, სითბოთი, ალერსით, ცის კედლებზე კი ფარფატებს თეთრი ვერონიკა...

„შეეგუე! — უკარნახა ორეულმა. — შენ შეამბოხე არ დაბადებულხარ, შეეგუე!“

ნაცრისფერიც მშვენიერია. ეს ოთხი კედელი, პანია ბინა, თუ შეეგუე, გაგათბობს. ვინრო სამზარეულოში ქალის ტუ-

ტუნი, თუ სმენა მიაპყარი, გესიამოვნება კიდევ. ამბობებს ტკივილი მოაქვს, შეგუება კი ძილ-ბურანსა ჰგავს, როცა ნელ-ნელა იძირები რალაც მრუმე, უფერულ სიღრმეში, შესაძლოა სიროფით სავსე კასრში. ამ კასრიდან გახედა თათულის, მუცელი მართლაც წამოზრდოდა. ესიამოვნა, სითბო იგრძნო. მოუნდა მოფერება, არა ძალდატანებით, ფარისევლურად, — გულწრფელად მოუნდა. ამ ახალი გრძნობის ანალიზს შეუდგა. ანალიზი კი ინსტინქტს ღუპავს. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ უკვე ვერ ხვდებოდა, მართლაც დრომ შეაყვარა მეუღლე, თუ ერწვენებოდა მხოლოდ. იქნებ ეს იყო ჭეშმარიტი სიყვარული, მას ხომ მანამდე მსგავსი არაფერი უგრძნია.

თავი შეიკავა. არ გასცა საკუთარი გულისთქმა. დროს უნდა შეემონებინა სულის ეს უცაბედი მოძრაობა. მაგრამ დრო არას დაგიდევთ დაწყობილ გეგმებს. იმ დღეს სამსახურში უსიამოვნება შეემთხვა. მერე ვერც იხსენებდა, რის გამო განყრა, რამ მოუშალა ნერვები, თვითონ იყო დამნაშავე, თუ მონინააღმდეგე. სხვის ტკივილს როგორ გაიგებდა, როცა მთლიანად საკუთარ გულისთქმას დამორჩილებოდა. არადა, იმ დღეს თავისი სევდიანი რომანის საბოლოო განაჩენს მოელოდა. მსაჯულს ტვიდის მოდური კოსტიუმი ეცვა, ჰალსტუხიც ისე ეკეთა, მსგავს ხელოვნებას პაპუნა, ალბათ, ვერასოდეს მიაღწევდა. ისეთი მართალი თვალეებით შემოსცქეროდა, პაპუნამ იფიქრა, ამ კაცის ნათქვამი ბეჭედივით იქნებაო. იმედი გაუცოცხლდა, მაგრამ დავარცხნილი კაცის თვალეებიდან ქამელეონმა გამოიხედა და გულგამეხებული პაპუნა შინ მობრუნდა. სამი ავტობუსი გამოიცივალა, მესხიერებიდან კი მთელი ეს გზა პირნმინდად ამოეშალა. მოეჩვენა, ქამელეონი ჰაერში გაუჩინარდა და მისი ადგილი უცებ თათულიმ დაიკავა. სანყლად შეხედა ცოლს, თითქოს იმედის ქურაში მინავლებული ცეცხლის ნაპერწკლები ღვივდებოდა, მაგრამ ერთადერთმა წინადადებათ ამ ნაპერწკლებს წყალი გადაასხა — „მაგ ნაჯღაბნს უნდა გადააყოლო ჩვენი ოჯახი?“ პაპუნას თავზე წისქვილის ქვა დატრიალდა. მიხვდა, ახლა მოხდებოდა რალაც საშინელება, არ იცოდა კი რა... გონს რომ მოეგო, სანოლზე თავდაღმა ეგდო, სახლში კი არავინ იყო. ასე გაუნძრევლად

ინვა სალამომდე. მერე ფანჯარას წითელი შუქი მოადგა, მზე ჩადიოდა. იკლო ნათებათ, ბინა სიბნელემ მოიცვა. ქურის ნეონის ანარეკლია შემოდოდა. არაფერზე ფიქრობდა, არც თავისი რომანი ახსოვდა, არც თათული. ერჩინა, არავის დაერღვია სიმყუდროვე არც დღეს, არც ხვალ, არც არასოდეს.

მერე კარმა გაიჭრიალა. შემოსასვლელთან შუქი აინთო. პაპუნამ წამოინია. ზღურბლზე თათულიმ გადმოაბიჯა. იქვე მდგომი სკამის ზურგს დაეყრდნო. ნელი-ნელ, მძიმედ შემოუარა და სკამზე დაეშვა. სახე გადაფითებოდა, მუცელი ხელით ეჭირა.

უხმოდ მისჩერებოდა თავზარდაცემული პაპუნა. უნდოდა ეყვირა, რად ჰქენი, რად ჰქენიო, მაგრამ უკვე აზრი არ ჰქონდა ლაპარაკს. თათული კი იჯდა და ერთ ნერტილს მისჩერებოდა.

ის ღამე გათავდა, სხვა არაერთი ღამეებიც... თვალგახელილნი იწვნენ საერთო სარეცელზე, მათ რომ ამორებდა, უსიყვარულო სარეცელზე, ნაყოფის მოცემა რომ არ ძალუძდა. უღიმღამო დღეები და ღამეები ერთმანეთს ჰგვანან, მესხიერებაში კვალს არ ტოვებენ და სამუდამოდ ქრებიან, თითქოს ადამიანს არც უცხოვრიაო. ასე გაიარა დრომ, ვინ იცის რამდენმა, რადგან მას არავინ ანგარიშობდა, გარდა უდრტვინველი და აუღელვებელი კედლის კალენდრისა.

„დღეს შენი დაბადების დღეა, ორმოცი შეგისრულდა!“ — თქვა თათულიმ. პაპუნამ კი გულგრილად გაიფიქრა: „გათავდა... ცხოვრება!“

21. ორეოლი

გოგონა ტრიალ მინდორში იდგა და თმებში გვირილებს ინწავდა. თვალსანიერზე მეტი არავინ იყო, არც არაფერი ჩანდა, გარდა შორეული, თოვლიანი მთებისა. მთელი მინდორი კიდიდან კიდე მწვანე, ნედლ ბალახს შეემოსა და გვირილებს თეთრად გადაეპენტა.

ვერონიკა სულაც არ ჰგავდა ზღაპრის ფერიას. ოდნავ აპრეხილი ცხვირი ჭორფლს დაენიწკლა. ცუდლუტი ღიმილი

შეაგება ჭიპუნას, მტაცებლის წვრილი კბილები გამოაჩინა. თეთრი ბლუზა წინ დარდიმანდულად გაენასკვა. ჯინსი ბიჭურად ეცვა. ბლუზის ქვემოდან შიშველი, მზეზე გაშავებული წელი მოუჩანდა.

„გზა არ აგებნეს, გოგო!“ — ჭიპუნამ ხელი ჩაავლო, წამოიყვანა.

მინდვრის ბოლოს წყარო მოსჩქეფდა. ვერონიკამ ჩუმი სიცილით ხელი გამოსტაცა. წყაროსთან ჩაიმუხლა. პეშვით დალია. ქვეშიდან ამოხედა და ჭიპუნა კინალამ მისი თვალების სიკამკამეში ჩავარდა. ამოსცინა ვერონიკამ, ცივი წყალი შეასხურა. ბიჭი განზე გახტა. ვერონიკამ პეშვი წყალი ისევ ამოიღო და გამოუდგა. წყაროს ირგვლივ დარბოდნენ მხიარული კისკისით, წუნაობდნენ.

მზემ გადაინია, ჩრდილი დაგრძელდა.

„ბებია მელოდება!“ — შეჩერდა ვერონიკა, სველი ხელე-ბი ბლუზაზე შეიმშრალა.

სირბილით გადაკვეთეს მინდორი, მიიღია გვირილების ველი. კლდოვან ნაპირს ზღვა ეხლებოდა, შემზარავი ქშენით აიფოფრა რუხი ტალღები. ცხელმა ქარმა წამოუბერა, ფერფლი დაატრიალა. ჭიპუნამ ხელი ხელში ჩასჭიდა, სწრაფად გაარ-იდა იქაურობას.

პანსიონატის თეთრი სვეტები უცბად გამოიკვეთა. კოლონადის თავზე გაჭენებული კვადრიგა თითქოს გაცოცხლდაო, ზეციდან მოტანილ ღრუბლებში მოჰქროდა.

ხის ბუდრუგანიდან დარაჯმა გამოიხედა. მზერა მიაცივა ჭიპუნას, რა სწრაფად გაზრდილხარო, ქლესურად დაადევნა. თითქოს ტალახის გუნდა ესროლესო, ბიჭმა ზიზღი იგრძნო, ნაბიჯი არ შეუწელებია.

პარკი უკვე ბურუსით იფარებოდა. დამსვენებლები გაკრეფილიყვნენ და რუხ ლოდებს შორის გაკვალული ბილიკები შიშსა ჰგვრიდა. ბილიკზე გამოცოცებულ ასფოდელოსის ტოტს ფეხი წამოჰკრა. ვერონიკამ გაიცინა, ხელიდან გაუსხლტა და წინ გავარდა.

როცა წამოინია, ვერონიკა უკვე შორს იყო, პანსიონატის კარებში შერბოდა.

შავი ღრუბლები ჩამოეშვა დაბლა და დაბლა. მინის პირს გაეკრა, ლოდნარებში მოინეცდა ზლაზვნით. მყრალი ამონასუნთქი მოენია ჭიპუნას, კინალამ გონი დააკარგვინა. მოეჩვენა, მძიმე რამ მოაბოტებდა ფეხდაფეხ, მინა იძროდა ურჩხულის სიმძიმისაგან. უწყვეტი გუგუნი მოისმოდა მინისქვეშეთიდან, თითქოს ცხელი ლავა აპირებდა ამონთხევას.

ელვის სისწრაფით აირბინა კიბე, პანსიონატის კარებში შევარდა და კარგა ხანს სავარძელში ითქვამდა სულს.

დამშვიდდა, დერეფანს დაუყვავა. ვერონიკას ნაკვალევს ეძებდა, მაგრამ პრიალა პარკეტს გოგონას მსუბუქი ნაბიჯების კვალი ვერ შერჩებოდა.

მოულოდნელად რალაც ძალამ შეაჩერა, კარისაკენ უბიძგა. დაუფიქრებლად მიანვა სახელურს.

ბინაში არ დაიკარგებოდა, თუმცა ფიციტაც დაიფიცებდა, არასოდეს ყოფილა აქ. რიდით შეაბიჯა სასტუმრო ოთახში. არეული დახვდა. პარკეტს ჯერაც აჩნდა სტუმრიანობის კვალი. შუა ოთახში ნახევრადლაგებული ნასუფრალი დარჩენოდათ. სამზარეულოში წყალი ჩხრიალებდა, დიასახლისი ხმადაბლა ლილინებდა, თეფშებს რეცხავდა.

რა თქმა უნდა, ეს მისი ბინა არ იყო, თუმცა იცოდა, აი, მარჯვნივ რომ კარია, იქ მისთვის უნდა ყოფილიყო ლოგინი გაშლილი.

დაიღალა, მოსვენება ეწადა.

აბაზანის კარი გამოაღო და ხელში კაცი შერჩა. თითქოს იცნობდა ამ კაცს, ოღონდ ეს იყო ადრე და ახლა უკვე ვერ იხსენებდა. გაოცებულებმა შეათვალაიერეს ერთმანეთი.

„აქ რას აკეთებთ?“ — შეშფოთებულმა ჰკითხა.

კარის ძვიდზე გასანთლული მარყუჟი ეკიდა.

„სს-უ!“ — პაპუნამ ტუჩზე თითი მიაღო, სახეზე დააკვირდა. მის მზერაში არც სიყვარული ჩანდა, არც სიძულვილი, დაკვირვებული თვალებით უყურებდა, ცდილობდა მეხსიერება გაეცოცხლებინა.

„თავი უნდა ჩამოიხრჩოთ? — დაფრთხა ბიჭი. — გრცხვე-ნოდეთ, მე ამას არასოდეს ვიზამდი!“

„სს-უ!“ — კვლავ გააჩუმა პაპუნამ, მხარზე ხელი მოჰ-

ხვია, ბაგე ყურთან მიუტანა, რალაცის თქმა ენადა, მაგრამ არაფერი უთქვამს.

ჭიპუნამ იგრძნო, რომ უცნაური, ყოვლისმომცველი ძალა იზიდავდა ამ კაცისაკენ, მიხვდა, საკუთარი ნება არ გააჩნდა, უკანდახევა არ შეეძლო, თავი უნდა გაენირა. უცბად, მოსხლეტით ჩაეკრა პაპუნას, ჩაეკრა და გულის გზა უპოვა.

პაპუნას თვალზე ცრემლი მოაწვა. პირისახეზე მოელამუნა სურნელი ნორჩი ბალახისა და თეთრი გვირილისა, მზერაში შემოანათა ლურჯი ცისა და თოვლიანი მთების შორეთმა, გრილმა სიომ შეახო მაცოცხლებელი სუნთქვა, გუნება გადაუნმინდა.

ჭიპუნამ გულის კარი შეაღო და იქ მოკალათებულ ორეულს წაანყდა. ორეული დასაძინებლად ემზადებოდა, ფეხს იბანდა, ნაბანავებ, ჭუჭყიან წყალს კი იქვე მოურიდებლად ღვრიდა. მახინჯი სიფათი შეაგება ჭიპუნას, მძულვარედ გაკვესა თვალებით, არ აცალა გონს მოსვლა, საზარელი ღმუილით ყანყრატომი ეცა და თავისი გაჩხინკული, ძვალტყავა ხელები წაუჭირა.

მოჩხუბრები ძირს გაგორდნენ. ორეულს დუჟი მოადგა, უსიტყვოდ ღმუოდა და თავდაუზოგავად ცდილობდა მოეგუდა ბიჭი. ჭიპუნა უძალიანდებოდა, თავიდან იშორებდა, მაგრამ ღონე თანდათან ეცლებოდა.

პაპუნა დამბლადაცემულივით, ხელებჩამოყრილი იდგა. არ იცოდა, რა ექნა, რომელს მიშველებოდა. მერე მიხვდა, მისი გული იფლითებოდა ამ ორთაბრძოლაში. დაფაცურდა, ხან ერთს სტაცა ხელი, ხან მეორეს, გაშველებას ცდილობდა, დასაღუჰად არც ერთი ემეტებოდა, არც მეორე, არჩევანი კი აუცილებლად უნდა მოეხდინა.

„მე გაგხადე კაცი! — შეუღრინა ორეულმა. — უმადურო, უჩემოდ ათასჯერ დაილუპებოდი!“

ჭიპუნამ უსიტყვოდ მოანათა თვალები — თავისი ბავშვობის თვალები, ოდესღაც ცისარტყელების სამშობლოსაკენ რომ მიუძღოდა და გვირილების ველზე თეთრი ვერონიკა უჩვენა.

მძიმე იყო არჩევანი. ცდუნების სიტკბოება გაენონასწო-

რებინა ბავშვობის სიხასხასეს.

„სკალპელით მოიკვეთე მეხსიერება, აიხსენი წარსულის ბორკილები, წინ ნეტარებით სავსე არსებობა!“ — კარნახობდა ორეული.

„ნუ დამივიწყებ!.. წინ მძიმე გზაა, ჯაფით აღსავსე, ის რომ დაძლიო, ბავშვის გული უნდა გიცემდე!“ — ეს ჭიპუნას ხმა იყო.

„მე განცხრომას გთავაზობ!..“

„მე კი მხოლოდ და მხოლოდ ტანჯვის სიტკბოებას!“

ელვის უსწრაფესად იცვლებოდა აზრი პაპუნას თავში. ორთაბრძოლა კი გრძელდებოდა. ბოლოს ორეულმა სძლია ბიჭუნას. ქვეშ მოიგდო, გამარჯვების სიხარული აღებეჭდა სახეზე და პაპუნას უცბად შეზიზღდა საკუთარი სისუსტე, ბინძური გამარჯვება, მომავალი სიტკბოებანი, რის შემდეგაც აბანოს ცხელი წყალი გჭირდება. საყელოში ხელი წაავლო ორეულს, მსხვერპლს ააგლიჯა და გასანთლულ მარყუჟში გააყოფინა თავი.

წინააღმდეგობა გაუწია ორეულმა, გულის ნაწილი მოიგდო ფრჩხილებში, დაუნდობლად ააგლიჯა, სისხლი ანთხევიდა. კაცი და ბიჭი ძლივს აკავებდნენ მარყუჟზე ასხმარტალებულს.

ყველაფერი წამში გათავდა. ბანგმორეულ პაპუნას მუხლი მოეკვეთა, იქვე ჩაჯდა. ჭიპუნამ კი გულის კარი შეაღო და ორეულის ნაბინავრის დალაგებას შეუდგა.

პაპუნა ჭყონიამ გონი დაკარგა. თითქოს უძირო უფსკრულში გადავარდა, ირგვლივ უსაზღვრო, შავი უკუნის მეტი არაფერი ჩანდა. დიდხანს გრძელდებოდა ეს ვარდნა, იქნებ წლებმაც გაირბინეს. მერე ბნელეთი ორმა პატარა ვარსკვლავმა გაარღვია. პაპუნამ გონება დაძაბა, უნდა გაეხსენებინა რაღაც ნათელი და ან დავინყებულები. „ირენ!“ — ამოტივტივდა დროთა უსასრულო ფსკერიდან, თითქოს მუსიკალურმა ბგერამ გაინკრიალა. „ვერონიკა!“ — შორეულ წარსულს გამოსძახა რაღაც ახალმა, სათუთად გულით ნატარებმა...

თვალს სინათლე მოემატა.

პაპუნა ჭყონია საკუთარ საწოლში იწვა. იქვე, საწოლის კიდეზე ვერონიკა ჩამოსკუპებულიყო. ოთახის სიღრმეში კი ვიღაცა დუდღუნებდა...

22. ვერონიკა

პაპუნა ჭყონიამ იქითკენ მიიხედა. დედაბერი თითქმის მთელ კედელს ფარავდა. დოინჯი შემოეყარა და ქაქანებდა. პაპუნა ძლივს ჩასწვდა ნათქვამის შინაარსს. ამ ხნის კაცი მარტო არ უნდა დაეხეტებოდესო, ქადაგებდა ანიკო ბებია, ცოლებს მეტი პატივი ვცეთო. ორივე ხელით ჩავაფრინდეთ, არ გაგვექცნენ, თორემ, როცა გაგვიჭირდება, მაშინ ვინანებთო. ორმოცი წლის კაცი ისედაც ინფარქტის ზღურბლზეა, ვინ იცის ეს ოხრობა სად და როდის წამოგენწევაო...

„ესე იგი ინფარქტი!“ — გაიფიქრა პაპუნამ და მზერა კვლავ ვერონიკაზე გადაიტანა.

„კარგი რა, ბებია, ნუ მოქანცე!“ — გაინკრიალა გოგონას ხმამ და პაპუნას გულს მალამოდ მოეცხო.

დედაბერმა ქადაგება შეწყვიტა, დუდღუნით გავიდა სამზარეულოში, აქაოდა ჩემი ჭირი არ მყოფნიდა და სხვისიც მე ავიკიდეო.

ვერონიკამ გაიცინა.

„ნუ გეწყინება, ასე იცის ხოლმე, მაგრამ კეთილი ბებიკოა!“

დაიხარა, პაპუნას სასთუმალი გაუსწორა და ამ დროს სახე ისე ახლოს მოუტანა, მისი ბავშვური ლოყა კინალამ პაპუნას ბაგეებს შეეხო. კაცს თითქოს თვით სინორჩე მოელამუნა, უზომოდ ნაზი და სათუთი. თავისი თავი გამოიჭირა, ანგარიშმიუცემლად ბაგე რომ შეარხია, თითქოს კოცნა მიადევნა. შერცხვა, ვაითუ გოგონამ შემამჩნიაო. ვერონიკა მკვირცხლად წამოინია და თვალებში ჩააცქერდა.

„მართლა ინფარქტი კი არ დაგმართნია, ნუ გეშინია, ექიმი იყო და დასვენება სჭირდებაო!“

„დაღლილი სულაც არა ვარ“, — ხმა ძლივს ამოიღო პაპუნამ.

„ექიმმა თქვა, სევდას თავს ნუ მისცემსო, გაერთოსო, ხანდახან მაინც გაიღიმოსო... მე უნდა გაგართო, მაგრამ როგორ?“ — ხელები კომიკურად გაშალა.

„შენ რომ გიყურებ, ისედაც ვერთობი!“

პაპუნამ ბავშვის ხელი აიღო, ჭკუასთან ახლოს იქნებოდა, ალერსს მორიდებოდა, მაგრამ თავს ვერ მოერიდა და ხელზე მოეფერა. მეტი არაფერი სჭირდებოდა, ამითაც ბედნიერი იყო.

ვერონიკამ კვლავ გაიცინა, ალბათ, თავის მარტივ ფიქრებს გაუცინა, ხელი მორცხვად გამოსტაცა.

„ექიმმა ისიც თქვა, კარგად ჭამოსო! გინდა, ფაფა მოგიტანო?“

პაპუნამ უარი ვერ მოასწრო, გოგონა გაუჩინარდა. როცა შემობრუნდა, ბებიაშის წინსაფარი ეკეთა და ბოლოები ფეხებში ებლანდებოდა.

დიდი თეფში მანანის ფაფით პირთამდე აევსო.

„არ მშია!“ — გაუბედავად გაიბრძოლა პაპუნამ, მაგრამ სიტყვა ვერ დაასრულა, გოგონა წინ დაუსკუპდა, ფაფიანი კოვზი გამოუქანა.

ბედს შერიგებული შოშიასავით უღებდა პირს, თან ვერონიკას დაუსრულებელ ტიტინს უსმენდა, თავის პატარა, გულუბრყვილო სისულელეებს გასართობად რომ სთავაზობდა. უსმენდა, თუმცა აზრი ვერ გამოეტანა. ფიქრებში ჩაძირულიყო. ამ ფიქრებით კი, ვითარცა ჰაეროვანი, მსუბუქი ნისლით, ვერონიკას ეხვეოდა, თითქოს ცდილობდა დაეტყვევებინა, დაესაკუთრებინა, ოღონდ ნაფიქრალის ნამდვილი არსი ვერც თვითონ გაეაზრებინა.

„მიყვარს!“ — სინაზის ყვავილეთი გაიშალა მის სულში, თუმცა ეს სიტყვა მიახლოებითაც ვერ გამოხატავდა იმ გრძნობას, რასაც განიცდიდა. ეს არ იყო რაღაც ფიზიკური ლტოლვა, არც მარტო სულიერი, არც ფსიქიკის სიღრმეში ჩამარხული, არც ზედაპირზე მოფოფინე, იგი მოიცავდა ყოველივეს ერთად.

„მიყვარს... როგორც რა? — იკითხა და ანაზღად დაასკვნა, — როგორც ნინუცა ბებია!“

დიახ, უყვარდა როგორც ნინუცა ბებია, ოღონდ იმ უღრუბლო ბავშვობის დროს, სიმინდის ყანაში რომ გაურბოდა წარმოსახულ საშიშროებას, ცდილობდა ბებიის თბილი კალთისათვის შეეფარებინა თავი. ერთადერთი მისი დამცველი მაშინ ნინუცა ბებია იყო და ვერც წარმოიდგენდა, თუ ვინმე

ეყვარებოდა მასზე მეტად. ვერონიკასაც ხომ ახლდა ის შარავანდი უანგარო მფარველისა, როცა სულით ძლიერი უფრო სუსტს გაუნვდის ხელს, ხიდად გაედება, ზედ გადაატარებს... უსიტყვოდ ემსხვერპლება და არც კითხულობს, ღირსია თუ არა ეს კაცი ამოდენა მსხვერპლისა.

„აბა, ეს კოვზიც მოლოკე!“ — ეშმაკუნამ თეფში ამოასუფთავებინა. წინსაფრის ბოლოთი პირი მოსწმინდა, სწრაფად დაიხარა, ლოყაზე აკოცა და ეს იყო დედობრივი კოცნა. პაპუნას სულში თითქოს იფეთქა, ის წამი გაუნათდა, როცა ჯერაც არ არსებობდა მეხსიერება, დედის ძლიერ მკლავებს მინდობილი, რძის სუნით თბებოდა. ტუჩებით ძუძუს ეძებდა, ბოჩოლასავით ბურჩნიდა... მერე და მერე დედამაც ასე იცოდა. ეს კოვზი მოლოკეო, უბრძანებდა, ტუჩებს მონმენდდა, აკოცებდა და ამ დროს დედობრივ სინაზეში გახვევდა.

„მიყვარს... როგორც დედა!“ — ფიქრობდა საკუთარი განცდების ანალიზით გართული პაპუნა...

თანდათან მოითენთა, ღონე გაეპარა. ეგონა, რომ კვლავ იმ ფიქრს აგრძელებდა, სინამდვილეში კი უკვე ეძინა. ეს იყო უსიზმრო ძილი, როცა ირგვლივ მხოლოდ თბილი სითეთრე ეხვია.

გამოელვია. თავი უკეთ იგრძნო, თუმცა იფიქრა, ისევ მძინავსო, რადგან პირისპირ, სავარძელში ადიკო და პარასკევა ისხდნენ.

დიდად არ გაჰკვირვებია ეს სტუმრობა, არც დირექტორისა და მისი მეუღლის ფერისცვალებას გაუოცებია. გუშინდელი მზეთუნახავი პარასკევა ერთ დღეში დაბერებულიყო. გაძვალტყავებულს ძვირფასი სადედოფლო კაბა საფრთხობელასავით ეკიდა, სახე სიბერის ღრმა ნაოჭებს დაექსელა, ჩამქრალი თვალებიდან შეურიგებლობა გამოსჭვიოდა. ეს იყო შეურაცხყოფილი ძუს გამოსხედვა და პაპუნამ, თუმცა შიში არ უგრძენია, მზერა აარიდა.

ადიკოს ექიმის თეთრი ხალათი ეცვა, თეთრი ჩაჩი ეხურა, ცხვირზე სათვალე მოერგო, ჯიბიდან სტეტოსკოპი ამოსწროდა. ძნელი იყო სამასკარადო ფორმის მიღმა ადიკოს ჭეშმარიტი არსის ამოცნობა, ოღონდ პაპუნა უკვე არ ტყუვდებოდა. არც ადიკო მოტყუვდებოდა იოლად, რადგან სტეტოსკო-

პი მკერდზე დაადო და ორეულს დაუნყო ძებნა, მაგრამ იქ მართო პაპუნას ბავშვობას გადაეყარა და, თუმცა ენყინა, არაფერი დაიმჩნია.

„ინფარქტის ნიშნები ხომ არა მაქვს?“ — თავი მოისაწყლა პაპუნამ.

„ეჰ, ნერვებია ჩვენი დამღუპველი!“ — ადიკო ძლივს იჯდა სავარძელში, უძნელდებოდა ერთი ფორმის შენარჩუნება. ხან ბურთივით გაიბერებოდა, ხან ძეხვივით დაგრძელდებოდა, ცდილობდა, შინაგანი ლტოლვის ეს გამოვლენა დაემალა.

„აქაური კლიმატი უხდება თურმე!“ — სიტყვა შეაგება პაპუნამ.

„მაშ იმედია, მალე გამოჯანმრთელდები და უახლოეს მეჯლისსაც არ გამოტოვებ!“

დირექტორის სიტყვებში ფარული ზრახვა იმალებოდა. აქამდე ჩუმად მჯდომმა პარასკევამ იქედნურად ჩაიღიმია, დამცინავი მზერა შეავლო კუთხეში ატუზულ ანიკო ბებიას. ეს ამოდენა დედაბერი დაჩუტული ბურთივით დაპატარავდა და ენა გადაყლაპა.

სტუმრები რომ წავიდნენ, შიშისანი, დაფეთებული თვალები შეაგება პაპუნას, თქმით კი არაფერი უთქვამს, ამოიოხრა და გავიდა.

პაპუნამ მზერა გააყოლა. დასამშვიდებელი ვერაფერი უთხრა.

მეორე ოთახში ვერონიკას წკრიალა ხმა გაისმა, უმაღლე დაავინყდა ადიკოც, პარასკევაც და დამფრთხალი ანიკო ბებიაც.

გოგონა ჩიტივით შემოფრინდა, თან მინდვრის სიგრილე და სილალე შემოიგანა, საწოლზე ახლადდაკრეფილი გვირილები დაყარა და ოთახი აივსო სიხარულითა და კიდევ რაღაც უთქმელი ხიბლით, ქვეყნად ყველაზე დიდ სიხარულს რომ გადაამეტებს.

პაპუნა საწოლზე წამოჯდა, ვერონიკას ხელები დაიჭირა და სათითაოდ აკოცა.

„ვერონიკა!“ — ესლა თქვა, რადგან ენა დაება, გაუმხელებელი გრძნობის თეთრი ღრუბელი გოგონას შემოახვია. ჩასცქეროდა მის თვალებს, რომლებშიც ადრიანი გაზაფხულის

სიგიჟმაჟე ციმციმებდა და თითქოს ნაფიქრალს აგრძელებ-
სო, გონებაში მკვეთრად აღებეჭდა სამად-სამი სიტყვა:

„მიყვარს როგორც ცოლი!“

ცოლი, მეუღლე... მხოლოდ ოცნებაში დახატული, მხო-
ლოდ იდეალში დაბადებული და გაზრდილი... ისეთი, როგორიც
წარმოედგინა, როცა ზღაპრის ფერიებს დასდევდა... რაღაც
ციური და რაღაც მინიერი, ხორცისა და სულის ჰარმონიული
შერწყმა.

ვერონიკას პანია ხელები ეპყრა ხელთ. ჩასცქეროდა მის
ბავშვურ, მიამიტურ პირისახეს, სუსტ მხრებს, უბრალო ბლუ-
ზიდან ამობურცულ, მომავლის იმედით აღბეჭდილ მკერდს,
ჯინსშემოჭდობილ სხარტ ფეხებს... ისეთი, როგორიც იყო!..
სულ ერთია, სხვის თვალში მზისა და მთვარის სადარი იქნე-
ბოდა თუ ჩვეულებრივი, უფერული მოზარდი, მაგრამ სწორედ
ისეთი, როგორიც იჯდა ამ წუთას პაპუნას წინაშე...

„მიყვარს, როგორც ცოლი!“ — გაიმეორა ფიქრში პა-
პუნამ და თითქოს პასუხადო, ვერონიკას ვერცხლის სიცილმა
ყოველგვარი ბინი ჩამოაშორა კაცის ნააზრევს.

„იცი, კართან ადიკო შემხვდა და ერთი გვირილა მთხო-
ვა... არ მივეცი!“

გაეცინა პაპუნასაც, ხალისიანი, ჯანსაღი სიცილით. ორი-
ვე კარგა ხანს იცინოდა, მერე უცბად გაჩერდნენ და ვერონი-
კამ თვალები სერიოზულად გაუსწორა:

„ყოველთვის გეყვარები?“

პაპუნამ არაფერი უპასუხა, მაგრამ მის სულში დაიდრა
უსაზღვროდ ძლიერი ტალღა, მთელი მისი არსება მოიცვა და საკ-
უთარი განცდის სიღრმით გაოცებულმა საბოლოოდ დაასკვნა:

„მიყვარს როგორც შვილი!“

სუსტ მხრებზე მოჰხვია ხელი და გულში ჩაიკრა...

23. ყუანახეილი მეჯლისი

ბედნიერს ეძინა იმ ღამეს. უსიზმრო ნათელი ძილი გაუმე-
ორდა. გული დაუსუფთავდა, იქ სინმინდე ჩაუსახლდა და მთელ
სხეულში სიმსუბუქეს გრძნობდა.

მერე მინა იძრა. შუშა ანკრიალდა ფანჯრებში. შორეული
ღმუილი ჩაესმა. ან გადაშენებულ ურჩხულთა ხროვა მოსდე-
ბოდა თითქოს პანსიონატს.

ვილაცამ შეანჯღრია. სწრაფად წამოჯდა. სარკმელს ბნე-
ლი ღამე მოსდგომოდა.

„რა მოხდა?“

თავზე ანიკო ბებია ადგა. უზარმაზარი სხეული უთახ-
თახებდა, სახე ცრემლით მოეთხიპნა.

„ვერონიკა!..“ — ხმა ჩაუნყდა.

„რა?“ — უცბად გამოფხიზლდა პაპუნა.

„ვერონიკა გაქრა, დავიღუპე!“

„სად უნდა გამქრალიყო?“ — უნდობლად იკითხა პა-
პუნამ, არ უნდოდა უბედურება დაეჯერებინა.

„დავიღუპე, ალბათ, დირექტორმა გაიტაცა!“

პაპუნამ სწრაფად ჩაიცვა. ჯერ არ იცოდა, რას მოიმოქ-
მელებდა, მაგრამ სიმტკიცე დაეუფლა და არავის შეეპუებოდა.

მეტი არაფერი უკითხავს. ატირებული დედაბერი დატო-
ვა და დერეფანში გავარდა.

სწრაფად მიდიოდა. დამფრთხალი დამსვენებლები გზას
უთმობდნენ.

იატაკი კვლავ შექანდა. სადღაც ფანჯარამ გაირახუნა და
შუშა ჩაიმსხვრა. ადიკო თუ თამაშობდა ცეცხლთან.

ვესტიბიულამდე მიაღწია. დირექტორის კაბინეტთან
აფიშა ეკიდა. ცნობისმოყვარენი ჩერდებოდნენ და კითხუ-
ლობდნენ. თვითონაც შეავლო თვალი.

ყურადღება!
ღღეს მეჯლისია, სუპერმეჯლისი!
დედოფალთაგან უნორჩესს და
მარად უბიწოს გვირგვინს დავადგამთ!
იჩქარეთ ყველამ!

გახევებული შესცქეროდა აფიშას, მიხვდა, დირექტორი
ადიკო საშინელ დარტყმას უმზადებდა.

მისაღებში ჯიქურ შეაბიჯა. სამანქანო ბიუროში უმაღლე შეწყდა საბეჭდი მანქანების კაკუნი. დამჭკნარმა მდივანმა ქალარაზე მონაფური ბაფთა შეისწორა, ჩაშრეტილი თვალები ქალაღდს მიაბჯინა, ვითომცდა ვერ დაგინახეო.

პაპუნამ მოურიდებლად გადაჭრა ოთახი, კაბინეტს მიაშურა.

„აქ არ ბრძანდებიან!“ — ჩაიჟღურტულა მდივანმა, მაგრამ პაპუნამ კარი უკვე შეაღო.

ხელში უშანგი შერჩა. პაპუნას დაბნეულად შემოხედა. სახეზე ცნობისმოყვარეობა და შიში ერთმანეთს ენაცვლებოდა. თითლიბაზურად გაუღიმა, თან კუდი გამალებით ააქიცინა.

ადიკო არსად ჩანდა. სტელაჟებს შორის გამწკრივებულ სანერ მაგიდებთან მოხელეები ისხდნენ. მოსამართი თოჯინებივით ყველამ ერთბაშად ასნია თავი და უმაღ ქალაღდებს მიუბრუნდნენ.

პაპუნამ საკინძეში ხელი ჩაავლო, დაითრია და ბრაზით ჰკითხა:

„რა ხდება?“

უშანგს ნირი ეცვალა, მოიმჩვარა, ფერნასულს ენა აუბორძიკდა:

„რა ხდება?!“ — კითხვა ჯიუტად გაუმეორა პაპუნამ.

„მეჯლისი იქნება, გენაცვალე, სილამაზის დედოფალს ავირჩევთ!“

„ვერონიკას?“

უშანგმა მზერა განზე წაიღო.

„ადიკო სად არის?“

უშანგმა სანყლად შეხედა, მოულოდნელად სლუკუნის მორთო და პაპუნამ ხელი ზიზლით უშვა. მან კი კუდის ქიცინს მოუხშირა, თან უკან-უკან იხევდა და სლუკუნებდა, მერე უცბად სტელაჟებს შორის გასასვლელში დურთა თავი და გაქრა.

პაპუნა ვესტიბიულში გაბრუნდა. ბიბლიოთეკის კარს დაეჯაჯგურა, ფოსტისასაც, ყველა დაწესებულება დაეკეტათ.

პარკიდან დამსვენებლები შემოდოდნენ. ნიღბები უკვე მოერგოთ და პირდაპირ ლიფტებისა და კიბეებისაკენ მიემართებოდნენ, რათა სამეჯლისო ბლოკში დროზე აესწროთ.

საერთო ნაკადს მიჰყვა პაპუნა. ნერვული დაძაბულების ზღვარისათვის მიეღნია და დაჭიმული ლარივით იყო.

ლიფტი გაიჭედა, თუმცა პაპუნა ხალვათად იდგა, რადგან სხვა დამსვენებლები უფრთხოდნენ, ახლოს არ ეკარებოდნენ. არც პაპუნას ეხატებოდა გულზე ვინმე, მოეჩვენა, რომ ამათგან სიცივე მოეფინებოდა და ლიფტი რომ გაჩერდა, უკვე აძაგძაგებდა.

სამეჯლისო ბლოკს მძლავრი პროჟექტორები ანათებდნენ და ვარსკვლავიანი ცა არ ჩანდა. უთვალავ ნიღბოსანს მოეყარა თავი, ზღვა ხალხი კი მოდიოდა და მოდიოდა.

მხრებით მიარღვევდა ბრბოს, არ შეეძლო ერთ ადგილას გაჩერება. ერთმანეთში აირია სიმღერა, მუსიკა, ტაშ-ფანდუერი, ყაყანი, უთავბოლო რუზრუზი.

უკვე მიეჩვია ნიღბების სიჭრელეს, არ აქცევდა ყურადღებას.

ერთგან თასით ღვინო შეაგებეს, მეორეგან მეძაგმა სტაცა ხელი, სხვაგან ჰაშიშის ოხშივარი ტრიალებდა და დანისლულ მზერას გაერიდა.

საცეკვაო მოედანზე როკავდნენ წყვილები. მუსიკის ხმა იხშობოდა ფეხების ბრაგაბრუგში.

უცებ მკლავზე ცივი ხელი შეეხო. ნინუცა ბებია შემოსცქეროდა, სახეზე ბებრული ღიმილი მიჰყინვოდა, ფეხებს კი იატაკზე ყმანვილივით ასარსალებდა. ხმის ამოღებაც ვერ მოასწრო, ზურგისაკენ შეატრიალეს. დედას შეეფეთა. სახე კვლავ ისეთი მშვიდი ჰქონდა, ბოლო დღეს რომ დაამახსოვრდა, ფეხებით კი ტყაპატყუპი გაჰქონდა და ხანდახან ციბრუტივით შებზრიალდებოდა. გვერდით გაიხედა პაპუნამ. ყოჩაღ ჯარისკაცს ხელში ყავარჯენი ეჭირა, ჭრილობიდან სისხლი სდიოდა, ცალი ფეხი ეკეცებოდა, მაგრამ კოჭლობ-კოჭლობით უცნაურ დავლურს უვლიდა. მერე ხელი ხელს ჩაჰკიდეს ნინუცა ბებიამ, დედამ და დაჭრილმა ჯარისკაცმა, წრე შეჰკრეს პაპუნას ირგვლივ და ელვის უსწრაფესად დატრიალდნენ... მიხვდა, ნიღბები ცეკვავდნენ მის ირგვლივ, ხაფანგს უგებდნენ, ზიზლი მოანვა, უხეშად გაარღვია წრე და სწრაფად გაშორდა იმ ადგილს.

პირისპირ შეეჩრება უფროს ძმას. მაღაროდან ახალი ამო-

სული ჩანდა, ნახშირის მტვერს გაეშავებინა, მხოლოდ თვალე-
ბითა და კრიალა ღიმილით იცნო. „ჩვენ აქეთა ვართ!“ —
ჩახრინწული ხმით ჩასძახა პაპუნას, განზე გაათრია. იქ მისი
ცოლ-შვილი მაზურკას ცეკვავდა. ცოტა მოშორებით ნაჯაფარი
საშუალო ძმა ჩახვეოდა თავის დალეულ ცოლს და ვალსის
წესებს ასწავლიდა. ქალს მუხლები ვერ მოეხარა და ქმარს ფეხზე
აბიჯებდა. მათი წამოზრდილი შვილებიც იქვე ტრიალებდნენ,
ყირაზე გადადიოდნენ, ტკარცალებდნენ. შორიახლო უმცროს-
უფროსი დები თავიანთ ქმრებს ცეკვის ილეთებს უჩვენებდნენ.
გარეშე დას კანკანი აერჩია, რის გამოც გარეშე ძმა ფხუკი-
ანობდა, ცერზე შემდგარი მთელი სერიოზულობით დაგოგ-
მანებდა... პაპუნა წამით გამოითიშა. ფეხები თავისთავად
აუმოძრავდა, აროკდა, დაბზრიალდა, თავბრუდამხვევი სისწ-
რაფით გადაჭრა მოცეკვავეებით სავსე მოედანი და თათულის
გვერდით აღმოჩნდა. თათულიმ კაბის კალთა აინია, მოხდენი-
ლი მუხლისთავეები გამოაჩინა და ფეხსაცმელების ოსტატური
ბაკიბუკით ირგვლივ შემოუარა. პაპუნამ ხელი შეაშველა. ამ-
დენი ხანია ერთად ცხოვრობდნენ და არ იცოდა, ცოლს თუ
ცეკვა ეხერხებოდა. ისე სწრაფად ტრიალებდნენ, თავბრუ
დაესხა. წამით შეისვენა, სუნთქვა დაიოკა. ოჯახის წევრები
მის ირგვლივ შეყრილიყვნენ, მჭიდროდ ცეკვავდნენ. პაპუნამ
თავეებს მიღმა მამინაცვლის სახეც დალანდა. უღვაშებში არც
ახლა უჩანდა ჭალარა, დროზე შეეღება შავი ფანქრით... გონს
მოეგო. თათულის მკლავები კისერზე სალტესავით შემოსჭ-
დობოდა და ახრჩობდა. ძლივს მოიშორა, წყვილებს შორის
გასხლტა. მის უკან თითქოს მგლების ყმული მოისმა... ნიღბე-
ბის ეს თამაში ვერ შეაცდენდა, რადგან მის სულს ეკისრა მისია
გადარჩენისა...

ამასობაში დროც გავიდა... ფანფარებმა დაფარა ყველა
სხვა ხმა. შეწყდა ორკესტრის გრიალი, ნაირგვარი ინსტრუმენ-
ტის ჭყვიტინი, ჭყვივილი, წრიპინი, წული... ლხინითა და ცეკ-
ვა-თამაშით დაღლილი ხალხის ზუზუნნი...

ორად გაიპო ბრბო, შუაში ფართო დერეფანი დატოვა.

შორეული სიღრმიდან დაიძრა პროცესია. წინ ჭრელაჭ-
რულა ჯამბაზები მორბოდნენ, ხტოდნენ, ყირაზე გადადიოდ-

ნენ, ლაზლანდარობდნენ...

შავ კარეტას შავი ცხენები მოაგრიალებდნენ. ჯერ
პარასკევა იხილა, ყველა დედაბერზე უფრო დედაბერი, ყვე-
ლა მახინჯზე უფრო მახინჯი.

პარასკევას გვერდით ადიკოც გამოჩნდა თავისი ნამდ-
ვილი ჰიპოსტასით. შემზარავი იყო ჭეშმარიტი ადიკო. აქამდე
ფიქრობდა პაპუნა, მახინჯია და იმიტომ თუ იცვლის სახესო,
მაგრამ ახლა, ვინ იცის რატომ, იქნებ სურდა თავზარი დაეცა
მონინალმდეგეთათვის, იგი გამოცხადდა ისეთი, როგორც
იყო: მწვანე ურჩხული, რომლის სისხლიან თვალეებში ბოროტი
ალი ციალებდა, მატლიანი მიცვალებული, მარადის რომ იხრ-
წნება, მაგრამ აროდეს განქარდება.

ის იყო თვით სიკვდილი და იცოდა, გზად ვერავინ დაუდ-
გებოდა.

შეყოყმანდა პაპუნა ჭყონია, მოასწრო პროცესიის მიღმა,
შუბოსან ჩონჩხებს იქით, ლურჯ სპილოზე შემოდგმულ ტახ-
ტრევანში ეცნო თავისი ვერონიკა, ისევ იმ ბიჭურ ბლუზაში,
ისევ იმ ჯინსში... მიაამიტურ სახეზე ერთად ეხატა ცნობისმოყ-
ვარეობაც, შიშიც, გაოცებაც, სიამაყეც... ეს იყო გოგონას
ბოლო მეჯლისი და თავი ღირსეულად ეჭირა...

იგრძნო პაპუნა ჭყონიამ, რკინა ჩაელვარა ძარღვებში,
უკუაგდო ყოყმანი, გაარღვია ბრბო ტაკიმასხარათა, წინ გადა-
უდგა შავ კარეტას.

ერთიანი გმინვა აღმოხდა ბრბოს, სამარისებური დუ-
მილი ჩამონვა, გაჯიქებული ცხენების ხროტინილა მოისმოდა.

ბოროტი მზერა მიაცივა ადიკომ. სისხლიანი თვალეებით
ბურღავდა. მატლით შექმული ბაგეები შემზარავმა ღიმილმა
გადაუხსნა.

კარეტიდან გადმოვიდა, აუჩქარებლად წამოჩლახუნდა
პაპუნასაკენ — თავდაჯერებული, გარდაუვალი, ვისაც ვერა
ცოცხალი ვერსად გაექცევა.

თვალი გაუსწორა პაპუნა ჭყონიამ, არ შედრკა.

საზარლად იყვილა ადიკომ, აიყალყა, აისვეტა, სახე და-
უგრძელდა, თეთრი ეშვები გამოაჩინა, მწვანე კუდი გამოე-
ბა... წამში უზარმაზარ დინოზავრად წამოიმართა, გადმოაბი-

ჯა, დაუნდობლად მოსრა, ვინც ვერ გაასწრო.

ატყდა საშინელი ღრიანცელი, თავგზააბნეულმა, შიშისაგან გონდაკარგულმა ბრბომ გადალეკა სამეფლისო ბლოკი, გადაუარა ერთიმეორეს, ვინც გაასწრო, გადაარჩინა თავისი სამარცხვინო არსებობა, ვინც ვერა, ლაჩრულად გაისრისა.

ნამით შედრკა პაპუნა ჭყონიაც, მხოლოდ ნამით მოიცვა თვითშენახვის ინსტინქტმა, მხოლოდ ერთი ნაბიჯით დაიხია.

ჰაერი გაჰკვეთა მაშინ ვერონიკას ნკრიალა ხმამ, საიდანღაც მალლიდან რომ ისმოდა:

„პა-პუ-ნა-ა!“

ღონე მოეცა პაპუნა ჭყონიას. იგრძნო, თვითონაც იზრდებოდა, იყალყებოდა... ურჩხულის თავი გამოება, ურჩხულის მძლავრ კუდს დაებჯინა, ურჩხულის ტორები გამოეზარდა... პაპუნა ჭყონიაც დინოზავრად იქცა და თავზარდამცემი ღრიალით ეკვეთა მტერს, ქვეშ მოიგდო, გადათელა... იხლაკნებოდა ძირს დაგდებული ადიკო, პაპუნა ჭყონიამ კი ზედ გადააბიჯა, მოლენა ყოველივე, რაც გზაზე დაუხვდა... დაბრმავდა და დაყრუვდა, უარყო ყველა ინსტინქტი, გარდა ინსტინქტი შურისძიებისა...

მიაბოტებდა და ანგრევდა, თელავდა, სრესდა, სიკვდილთან მებრძოლი თვით ქცეულიყო სიკვდილად, მეორე ადიკოდ...

უცბად თითქოს გრილმა სიომ დაჰბერა. მწვანე მინდვრებიდან ბალახისა და თეთრი გვირილის სურნელი მოიტანა, ყურში სუსტად ჩაესმა ხმა — საოცრად ნაზი და ფარფატა, მიაშიტი და თბილი, ქალური სიყვარულით აღსავსე — ხმა გამზრდელის, ხმა დედის, ხმა მეუღლის, ხმა შვილის — ვერონიკას ხმა...

„პა-პუ-ნა-ა!..“

გონს მოეგო პაპუნა ჭყონია, შეჩერდა, დათრგუნა მხეცი თავის თავში, კვლავ ადამიანად იქცა და თვალი გაახილა.

მის წინ ვერონიკა იდგა, ხელს უწვდიდა.

„გავიქცეთ!“ — ჩასჩურჩულა ვერონიკამ.

24. რაბრუნება

სამეფლისო ბლოკი ნაომარს დამსგავსებოდა. გზა ძლივს გაიკვლიეს ნაქცეულ პიუპიტრებსა და უპატრონოდ მიყრილ-მოყრილ მუსიკალურ ინსტრუმენტებს შორის. აქ, ალბათ, სიმფონიური ორკესტრი იდგა, ახლა კი ორკესტრანტები სტიქიას აეხვეტა. პაპუნამ უკან მოიხედა. რკინის ჭიშკარი ღიად დარჩენოდათ და უკანა ეზოდან გიგანტური ქვენარმავლები მოხობავდნენ. ვეშაპის სიდიდის ლოქორები ერთი ერთმანეთზე გადადიოდნენ და გზად ყოველივეს ნთქავდნენ.

სავენტილაციო მილს წაანყდა, რკინის საფეხურები ჩაჰყვებოდა. ფიქრის დრო სად იყო. ჯერ თვითონ ჩაძვრა, რათა საფრთხეს პირველი შეგებებოდა. ვერონიკაც მიჰყვა და კაცი ქვემოდან ხელს აგებებდა, ეშინოდა, ფეხი არ დაუცდეს და უძირო ჭაში არ გადაიჩეხოსო.

თანდათან ბნელში აღმოჩნდნენ. ზევიდან სამეფლისო ბლოკის პროჟექტორთა მრუმე ანარეკლი მოჩანდა და პაპუნას მოეჩვენა, რომ იმ ანარეკლს ვიღაცა გადაეფარა, კონსერვის ქილასავით მოხუფა... იქნებ ურჩხული ცდილობდა ჩამოსვლას, მაგრამ ვერ ეტეოდა.

კარგა ხანს ეშვებოდნენ ასე. მერე ქვევითაც გაკრთა სინათლე. სავენტილაციო მილი ფართო დერეფანს უერთდებოდა. რკინის საფეხურებზე გაყუჩდნენ, სუნთქვისა ეშინოდათ. დერეფანში გიგანტურმა მუხლუხმა გაიარა, თითქმის მთელ დერეფანს ავსებდა. ჭრელ ზურგზე შხამიანი ეკლები ესხა და დონდლო სხეული ისე მიჰქონდა, თითქოს ჟელე იღვრებოდა. თითქმის მთელი წუთი მოუნდა, ლტოლვილებს ქვეშ სანამ გაივლიდა. იატაკზე სველი კვალი დატოვა. ცოტა ხანს კიდევ დაელოდნენ, საშიშროებამ გაიარა და პაპუნამ ფრთხილად განაგრძო გზა. ჯერ თავი გაყო, დერეფანში არავინ ჩანდა. ბოლო საფეხურზე ხელებით ჩამოეკიდა და ჩახტა. ვერონიკაც ასე მოიქცა, პაპუნამ ხელი შეაგება, ჰაერშივე დაიჭირა, ნამით ჩაიხუტა, უმაღვე ძირს დასვა და ხელიხელჩაკიდებულები გაიქცნენ.

ლაბირინთში აღმოჩნდნენ. ათასნაირად იკლაკნებოდა, იკვეთებოდა დერეფნების სისტემა, ლტოლვილებს თავგზას

უბნედა.

ერთგან კარს წაანყდნენ, მაგრამ ხაფანგი აღმოჩნდა. ფრთხილად შეაღეს, იქიდან საბერველივით ქშენა მოისმა და სწრაფად მიხურეს.

მერე ყრუ დერეფანში მოხვდნენ. ვერონიკა ჩაფიქრდა, ალლოს დაეკითხა, უსიტყვოდ შებრუნდა და ახალ გზას დაადგა.

მოსახვევთან ვირთხა ჩაცუცქულიყო. წვრილი თვალე-ბით შემოჰხედა, საცოდავად დაინრიპინა. ეცნაურა პაპუნას, თითქოს იგივე ვირთხა იყო, მაშინ რომ აედევნა. ფეხი დაუ-ბაკუნა. პატარა მხეცუნა არც განძრეულა. გულგრილად გაჰ-ყურებდა გაქცეულებს, მერე ნაკვალევს მოჰყვა ცუნცულით.

ცოტა ხანიც და ვირთხას მეზობელი დერეფნიდან მეორე აედევნა. წრიპინით აცნობეს ერთმანეთს ახალი ამბავი. მერე მესამეც გამოჩნდა და სულ მალე პაპუნას მოესმა ეგზომ შემზარავი და ნაცნობი ფუთფუთი.

ამჯერად სტიქიურ შიშს არ დაემორჩილა, ფეხს აუჩქარა.

გვერდიგვერდ მირბოდნენ პაპუნა და ვერონიკა, საკუ-თარ გადარჩენაზე არც ერთი ფიქრობდა, არც მეორე, ერთ-მანეთის სიცოცხლელა ანალვლებდათ.

თანდათან იმატა ფუთფუთმა, პატარა, აურაცხელი ფეხის მსუბუქმა ტყაპატყუპმა, შესაბრალისმა წრიპინმა.

შეჩერდა უცებ პაპუნა ჭყონია. „იჩქარე!“ — შეუძახა ვე-რონიკას, თვითონ კი ხროვას მიუბრუნდა, რათა დრო მოეგო, თავისი რჩეული გადაერჩინა.

არ მიიღო მსხვერპლი ვერონიკამ, არაფრით ხელი არ უშვა. კვლავ ერთად გაიქცნენ.

მომდევნო მოსახვევი ეცნო, იმედის სხივი აუკიაფდა. წინიდან მოისმა ლეტას შორეული დგაფუნი და ამ დროს კე-დელში უბრალო კარი გამოიკვეთა.

„მეცხრე ბლოკია, ამ გზით იარე!“ — სწრაფად წასჩურ-ჩულა გოგონამ.

„მერე შენ?“

„უნდა დავბრუნდე!“ — გოგონას ხმაში პირველად გაის-მა ფარული სევდა.

„სად უნდა დაბრუნდე, უკან ვირთხებია!“

მხრებზე ხელი მოჰხვია, კარს წიხლი ჰკრა, შეაბიჯა, თან ვერონიკაც გაიტაცა.

ჩუმად გაიარეს ვინრო და ბნელი გვირაბი.

ნესტის სუნი იდგა. ჭერიდან წკაპუნით ეცემოდა წვეთები.

„ვერ მიპატრონებ!“ — ნალვლიანად თქვა გოგონამ.

„შენთვის სიცოცხლეს დავდე!“ — გულწრფელად შეე-პასუხა პაპუნა და მოულოდნელად განათდა.

გვირაბი მწვანე ბურქნარით თავდებოდა, ისე იყო დაფარუ-ლი, გამვლელი ვერც შეამჩნევდა... წამით დაბრმავდა პაპუნა, თვალეები გადაჩვეოდა ელვარე ფერებს. ლურჯ ცაზე კაშკაშა მზე ეკიდა. წინ მაღალი მთა წამომართულიყო. მის კალთებზე ხშირი, ფოთლოვანი ტყე არბოდა და მზის სხივები მწვანე ფერზე სხლტე-ბოდა, ათინათობდა.

„ვერ მიპატრონებ!“ — გაიმეორა გოგონამ.

პირველად შეხედა პაპუნა ჭყონიამ მზის სინათლეზე. უფრო პატარა მოეჩვენა, საოცრად ჰაეროვანი და გამჭვირ-ვალე ჩანდა.

„ჩემი სიცოცხლე შენ გეკუთვნის!“ — საფეთქელზე კუ-ლული გადაუნია.

ვინრო ბილიკი დაილანდა და იმას შეჰყვნიენ. წინ პაპუნა მიდიოდა, ვერონიკა კი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა. ციცაბო აღ-მართი დაძლიეს. თხემზე გავიდნენ.

ზედ თხემის კიდეზე უზარმაზარი მუხა იდგა. ფართოდ გაეშალა მძლავრი ტოტები, ქარიშხლებისათვის მიეშვირა უკვდავი შუბლი.

ბერიკაცი იჯდა მუხის ძირას. ზურგით შეზრდოდა და-კორძებულ ტანს. თეთრი, სპეტაკი წვერი მიწაზე ეფინა, ფეს-ვი მოელო...

„კოჩი ჭყონია!“ — უმაღვე იცნო პაპუნამ, თაყვანი სცა.

„ვინრო ბილიკზე იარე! — უბრძანა ბერიკაცმა. — იცოდე, სანამ ზეკარს გადაივლიდე, არ მოიხედო, თორემ დაკარგავ, ნაკვალევზე ვინც მოგყვება!“

უხმოდ შებრუნდა პაპუნა ჭყონია. კვლავ შეღმართს შე-უყვა. მის ნაკვალევზე არაფერი ისმოდა, გარდა ჩუმი ფოფი-ნისა, ან ფოთოლი თუ გაიფაჩუნებდა უნებურად, ნიავი გაიშ-

რიალებდა მოულოდნელად...

„ნინ იარე!.. არ მოიხედო!“ — მის სულში ექოდ მოისმოდა კოჩი ჭყონიას ბრძანება.

მიდიოდა პაპუნა და სმენა გაემახვილებინა. არაფერი ესმოდა, გარდა საკუთარი ფეხის ხმისა... სუნთქვა გაუხშირდა. გულის ბაგაბუგმა დაფარა ყველა სხვა ბგერა და ბრაზობდა კიდევ ვერონიკაზე, რად მოდის ასე უჩუმრად, თავის არსებობას რად არ მაგრძნობინებსო.

თანდათან ეჭვი შეეპარა. ჯერ უფორმო, უსიტყვო, მერე გამოიკვეთა, საბუთი დაძებნა, გულში ჩაუჯდა. მალე მთელი მისი არსება ეჭვმა შეიპყრო.

„ნინ იარე!.. არ მოიხედო!“ — ახლა უკვე სხვანაირად ესმოდა კოჩი ჭყონიას ბრძანება.

„იქნებ ესეც ხრიკია! — შფოთავდა პაპუნა ჭყონია. — იქნებ ესეც მოგონილია!.. არავითარი კოჩი ჭყონია არ არსებობს!.. მომატყუეს, გამძარცვეს, გზაზე მარტო დამაგდეს!..“

ბორგავდა შეჭირვებული სული, საგულეში ვერ ეტეოდა, გონებას ურევდა.

ნებისყოფას მოუხმო, თავს ძალას ატანდა, რათა უკან არ მიეხედა.

აჰა, ათიოდენაბიჯილა დარჩა ზეკარამდე, იმის იქით უკვე იქორებოდა გაღმა ხეობა, გრილმა ნიავმა უკვე გადმოლახა ნყალგამყოფი თხემი, სტუმარს შემოეგება, ყურში აუჩურჩულდა.

„მომატყუეს!“ — იკივლა უცებ პაპუნას სულში უცხო ხმამ და შემოტრიალდა.

იქვე ახლოს შემკრთალი ვერონიკა იდგა.

საწყალი ღიმილი შეაგება. ამოიკვნესა. გაიცრიცა, გაიცრიცა... გაქრა...

თავზარდაცემული პაპუნა ჭყონია კარგახანს იდგა ერთ ადგილას, მერე ბალახში ჩაემხო და ბავშვივით ატირდა...

დიდხანს, დიდხანს ეგდო ასე, ცრემლისათვის გაეხსნა გზა და თითქოს ამ ცრემლით ირეცხებოდა მისი სულის ბინი და ჟანგი... მერე დაწყნარდა. იწვა თავისთვის ღებულ მდელოზე, ისრუტავდა ბალახისა და მიწის სინედლეს, არც არაფერზე ფიქრობდა, ტკივილი გაუყურდა, დაუმშვიდდა. თანდათან შეე-

ბა იგრძნო, რალაცისაგან განთავისუფლდა, მხრებიდან ტვირთი ჩამოსცილდა, სხეულში სიმსუბუქე ჩაელვარა.

ფოთლებში გაფაჩუნდა მსუბუქი ნიავი.

თავი წამოსწია. ცრემლს მზერა დაებინდა და თვალეხელისგულეებით ამოინმინდა.

გადასახედზე ამოელწია. ქვევით ექანებოდა ლაკადის ტყიან-ბუჩქიანი კალთა. უფრო ძირს მსუბუქ ტალღებად ერთმანეთზე გადადიოდა მწვანე გორაკები, უერთდებოდა ვრცელ დაბლობს, განფენილს თვით ჰორიზონტამდე, სადაც მოლურჯო ნისლში გახვეულ გურიის მთებს ებჯინებოდა. ხალვათად მიმოზნეული ქალაქებითა და სოფლებით, ვერცხლისფერი მდინარეებით, მწვანე პლანტაციებითა და თხმელნარიანი ქაობებით, ერთიანად დაძრულიყო დასავლეთისაკენ და ეს ცოცხალი, ხასხასა მწვანე სივრცე თითქოს განუწყვეტილ იღვრებოდა ზღვის სილურჯეში, ზღვა კი მშვიდად გადასარკულიყო ცის კიდემდე.

გრილმა ნიავმა ამოიბრინა, სუნთქვა დაუამა.

შორიახლო, ფართო ხეობას სოფელი ამოჰყოლოდა. გაღმა-გამოღმა დაეპყრო ყოველი მტკაველი, ბალ-ვენახებით დაეფარა, ქვედა სახლები ვაკეში იდგა, ზედა — მთის ფერდობებს უტევდა. მდინარე მოიკლაკნებოდა მომცრო, ნიავს ამოჰქონდა მისი მსუბუქი შხუილი. ასფალტირებული გზა გადანასკვოდა იმ მდინარეს, ხან ერთ ნაპირზე გადახტებოდა, ხან მეორეზე და ბოლოს სოფლის შუაგულში უჩინარდებოდა, სადაც თეთრად ქათქათებდა სკოლის შენობა. იქ, ეზოში ბავშვებს ჟრიამული გაჰქონდათ. უცბად ამოიჭრა სასკოლო ზარის ცოცხალი, ენერგიული ხმა — „ძინლინ-ძინ, ძინლინ-ძინ!..“

თვალთ მოძებნა თეთრი ბილიკი. იმ ბილიკზე თორმეტი-ცამეტი წლის გოგონა გამოჩნდა, წიგნებით სავსე ჩანთას მოაქანებდა.

კაცს რომ გაუსწორდა, შეკრთა, ლოყები შეეფაკლა.

— ეს რა სოფელია? — შეეკითხა პაპუნა.

— დიდი ჭყონი! — გოგონა შეყოვნდა, იქნებ კიდევ რამე მკითხოსო, მაგრამ კაცი ჩუმად იდგა და ცდილობდა ერთმანეთთან დაეკავშირებინა დაუკავშირებელი.

გოგონა შეტრიალდა, დინჯად განაგრძო გზა, ერთი-ორ-

ჯერ მოიხედა, მერე კი მოსწყდა ადგილს და ბიჭურად, შურ-
დულივით გავარდა წინ.

პაპუნა ქყონიას გაელიმა, ბილიკს დაუყვია...

სკოლის ზარი კი კვლავინდებურად რეკდა: „დინლინ-დინ,
დინლინ-დინ!..

1979—1982

აქორინავან

დრო შეიცვალა... 9 აპრილი გახდა ნიშანსვეტი ჩვენი ცხოვრებისა. ის, რაც მანამდე იყო, აღარ განმეორდება. ამიერიდან ვერ ვიარსებებთ ძველებურად. იქნებ უკეთესები ვერ გავხდით, მაგრამ სხვანაირები — კი. ძნელია კრიზისულ ეპოქაში ცხოვრება — არასტაბილურობა, ემოციურობა, საზოგადოების დაქსაქსვა, ანარქია, განუკითხაობა, ურთიერთდაპირისპირება, კონფლიქტურობა ჩვენს არსებობას ნერვულსა და დაძაბულს ხდის. ქარიშხალი, ალბათ, შემანუხებელია, მაგრამ ჰაერი თანდათან განიწმინდება, უკვე ცხადია, რომ თავისუფლებისაკენ მივდივართ...

იმ ღამეს მეც მთავრობის სასახლის წინ ვიდექი. დავილაღე, ფეხები დამანყდა და შინ ადრე წავედი. ახლა ვნანობ იმ ნუთიერ სისუსტეს. ღმერთია გამკითხველი! არავინ მოელოდა ეგოდენ სისასტიკეს. მეც არ მოველოდი. დილით კი მეგობარმა დამირეკა, მამცნო საზარელი ამბავი... შინ, ცხადია, რა გამაჩერებდა. სასწრაფოდ მივაშურე რუსთაველს და ველარ ვიცანი. რუხი, მოქურუშებული ფერი გადაჰკრავდა ირგვლივ ყოველივეს. ჯარისკაცები და ჯავშნოსნები ყოველ ნაბიჯზე! ერთი დღით ადრე ამ ჯარს ერქვა „საბჭოთა ინტერნაციონალური არმია“, დღეს კი ეს იყო მტრული ქვეყნის წარმოგზავნილი საოკუპაციო ჯარების ხროვა, მოსული ჩემი სამშობლოს მერამდენედ დასაპყრობად... იმ დღეს დასრულდა თავისუფალი ადამიანისათვის შეურაცხმყოფელი ყოფა მონისა, იმ დღეს ჩვენ სისხლი დავღვარეთ, მაგრამ საქართველო არ დამარცხებულა, მისი მტერი დამარცხდა... გაქრა ყოველნაირი ილუზია, ფარდა აეხადა სიცრუეს და ჩვენს თვალწინ ერთბაშად წარმოჩნდა იმპერიის სისხლიანი ფიზიონომია.

ახლა, ნახევარი საუკუნის თვალსაწიერიდან შემოძლია განვიკითხო საკუთარი თავი, როგორც ჟამს მეორედ მოსვლისა, სამართლის სასწორზე შევაგდო ცოდვა-მადლიანი ქმედებანი და მოვინანიო მოსანანიებელი... ღმერთია მონმე, სინდისის საპირისპიროდ არ მივლია. ყველა ჩემი ცდომილებანი ცდომილებაა ჟამისა, თუმცაღა ეს არ ამართლებს პიროვნებას,

რადგან ყველა ეპოქაში იყვნენ ადამიანები, რომლებსაც შერჩათ სიფხიზლე, ისინი ვერ მოადუნა ეშმაკისეულის ცბიერმა ჩურჩულმა. მსგავსი რამ ხვედრია რჩეულთა... მწერლური საქმეც ხომ რჩეულთა საქმეა, ოღონდ ფხიზელი პოლიტიკოსისაგან განსხვავებით, მწერალი უფროა ილუზორული სამყაროს ტყვე. იგი თავისი ბუნებით სიკეთეს ესწრაფვის, მაგრამ ხშირად ბავშვურად გულუბრყვილოა. ბოროტ ეშმას შეუძლია სიმახინჯე დიბა-ატლასით შემოსოს, უკეთური საქმენი მაღალ მატერიებზე ქადაგებით შეაღამაზოს... იმპერიამ შეძლო შეუძლებელი, ყოველნაირ ცნებას აზრი შეუცვალა, ყირაზე დააყენა, ანტიჰუმანური ჰუმანურად წარმოაჩინა, ჰუმანური — ანტიჰუმანურად...

განა გასაკვირია, სტალინიზმის ეპოქის წიაღში დაბადებული სული ცდომილების გზას რომ დაადგა და ჭეშმარიტი იდეალის წილ ინამა ის სუროგატი იდეალებისა, რაიც მთელი საზოგადოების ბანგად გადაიქცა. ჩემი ბავშვური სამყარო შეფერადებული იყო ბარიკადებით, ალისფერი დროშის ფრიალით, კომუნისტურ იდეალებზე უსასრულო ჩიჩინით... დაუეჭვებელი არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ამ სიმთვრალიდან საბოლოო გამოფხიზლებას 9 აპრილი დასჭირდა. ნურვინ ჩამითვლის ნარცისიზმად, მაგრამ ის პარტია, ის იდეოლოგია, რომელსაც ჩემნაირი ყაიდის კაცი განუდგება, განწირულია, რადგან მე ზურგი შევაქციე იმას, რასაც გამოცლილი აქვს ქრისტიანულ-ზნეობრივი საყრდენი (ამას მხოლოდ სევდა მალაპარაკებს, სევდა დაკარგული წლებისა და სულიერი ენერჯის არასწორი მისამართით ხარჯვის გამო).

ჩემი ლიტერატურული დებიუტი გვიან შედგა. მხედველობაში მაქვს პირველი რომანის „ესხირის“ წიგნად გამოცემა.. მაშინ ორმოცი წლისა გახლდით. რაც მანამდე გამომიქვეყნებია, ალბათ ლიტერატურად არც ჩაითვლება. დებიუტი გვიან შედგა-მეთქი, ვთქვი, თუმცა ეს წიგნი ათი წლით ადრე დაინერა, ათი წელი კი ახალგაზრდა მწერლის ცხოვრებაში მთელი ეპოქაა. ეს ათი წელი შედგებოდა განუწყვეტელი ტკივილისა და დამცირებისაგან. მაშინ მეგონა, რომ მხოლოდ მე ვიტანჯებოდი ასე, მხოლოდ მე მქონდა გადასალახი ძნელად ასალები ბარიერები. გვიან მივხვდი, რომ კონკრეტული პიროვ-

ნებები კი არა მმტრობდნენ, სისტემა მემტერებოდა, სისტემამ შექმნა ის ბარიერები, თანაც ისე ჰქონდა ყოველივე გათვლილი, რომ მხოლოდ კონფორმისტს შეეძლო გადაელახა იგი იოლად, იმას, ვინც ადვილად მოიხრდა ქედს, თავს შეყოფდა მარადის მეხოტბეთა რიგებში... რა მეთქმის იმ ჩემს დებიუტზე?.. ძნელად თუ შეუძლია რომელიმე მწერალს საკუთარი ნაღვანის შეფასება. ავსა და კარგს მკითხველი განსჯის. მხოლოდ ერთს ვიტყვი, მართალია, ნაწარმოები რომანტიკულ-რევოლუციურია, მაგრამ მისი რომანტიკულობა გამოიწვია სურვილმა გავქცეოდი საყოველთაო, მოსაწყენ ყოფიერებას, მისი რევოლუციურობა კი — იმდროინდელმა ჩემმა იდეალებმა... იმასლა დავსძენ, რომანის მეამბოხეობა კონკრეტულ პარტიებთან და მოძრაობებთან კი არა, არამხუტუს, ამირანის მითთან არის ასოცირებული.

იმ წლებს ახლა „უძრაობის“ წლებს ეძახიან. პუბლიკაციის თვალსაზრისით ჩემთვის მართლაც უძრაობის წლები იყო, მაგრამ წერა ერთი დღითაც არ მიმიტოვებია. ბუნებით, ალბათ, ოპტიმისტი ვარ. მაშინ დაწერილი არაერთი მოთხრობა და ზღაპარი შემდგომ კრებულებად გამოვეცი. იმ დროს დაინერა რომანი „მარადი მხედარი“. წინასწარვე ვიცოდი, ამასაც ძნელი ბედი ელოდა. იგი 1975 წელს მოვამთავრე, ჟურნალში ხუთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა საჟურნალო ვარიანტი, წიგნად კი 1985 წელს გამოიცა. ესეც შენი ათი წელი! ეს უკვე არ გამკვირვებია. ისედაც ვიცოდი, მსგავს რომანს ხელგაშლილი არ შეხვდებოდნენ. მასში მინდოდა შეფარვით მაინც გამეცხადებინა ეროვნული ტკივილები, ისე როგორც მესმოდა. სწორედ ამიტომ მივმართე მითოსურ-ფანტასტიკურ ფორმას. მაგრამ, ეტყობა, მავანს მაინცდამაინც არ მოეწონებოდა, როცა სამშობლოს „სახელი ქვემორე მითქვამს, მიქია“. რამდენად შევძელი ამ ტკივილების წარმოჩენა, ან რისი ამოკითხვა შეიძლება ამ რომანიდან, მკითხველმა უნდა განსაჯოს.

„მკვდარი სახლიც“ იმ დროს დავინწყე, როცა არც არაფერი მქონდა დასტამბული, ორი რომანის ხელნაწერი კი მაგიდაზე მედო. ფორმის თვალსაზრისით იგი წინა რომანების გაგრძელებაა. ამით იკვრება ტრიადა, პირველში თუ მითოსი ერთგვარი შენაკადია, მეორეში — რეალობა და მითოსი ერთმა-

ნეთს ერწყმის, ამაში მითიურია წამყვანი, რეალური კი — მეორადი... ამბობენ, მწერალი უპირველეს ყოვლისა თავის თავზე წერსო. ეს თუ მართალია, მაშინ „მკვდარი სახლი“ ყველაზე ავტობიოგრაფიული ნაწარმოებია, თუმცა ავტორის ბიოგრაფიასთან გარეგნული პარალელების ძებნას აზრი არა აქვს... „მკვდარი სახლი“ ესაა ჩვენი მეხსიერების სახლი, მოგონებები, ან მიყუჩებული ტკივილები, ადრინდელი რომანტიკული გატაცებების გამოძახილი... ჩვენს სულში მიმდინარე უწყვეტი ბრძოლის ანარეკლი, ბრძოლისა ციურ წმიდა ზრახვებსა და მიწიერ ორეულს შორის...

თქმა არ უნდა, იმ დროს არათუ ასეთი შინაარსის ნაწარმოებს, ასეთი სათაურისას არავინ გამოაქვეყნებდა. ჩემი მოკრძალებული მცდელობები ამ მიმართულებით, როგორც წესი, მარცხით მთავრდებოდა.

9 აპრილის შემდეგ ვითარება შეიცვალა... მეც შევიცვალე! ამ სამმა რომანმა, და კიდევ „დიდობანას თამაშმა“, მოთხრობებმა და ზღაპრებმა, ყოველივე იმან, რაც მანამდე დავწერე, ჩემი ცხოვრების დიდი ნაწილი წაიღო... ამიერიდან სხვა გზებია მოსაძიებელი... დაე, ღმერთი შემენიოს, რათა შევძლო სულ სხვა კიბეზე ასვლა!

ავვისტო, 1990

მისი უდიდებულესობა ფორმიკალენდის ხელმწიფე ანდუყაფარ მეორე პირმწყაზარისა და ჩემი მთავრობის სახელით მივესალმები ქართველ მკითხველს, რომლის ინტელექტი და გონიერება კარგადაა ცნობილი ჩვენი სამეფოს მოქალაქეთათვის. მოხარულნი ვართ, რომ ბოლოსდაბოლოს ქართველებს მიეწოდათ უტყუარი ცნობები ფორმიკალენდის შესახებ. იმედია, მომავალში ქართველი მკითხველი უფრო დაინტერესდება ჩვენი დიადი კულტურისა და მეცნიერების მიღწევებით.

*ფორმიკალენდის სამეფოს პრემიერი
მისი აღმატებულება ღურუ
ქ. კვეკვერია, 30.II.95*

ქიანჭველების ხელმწიფე ანდუყაფარი

ბუნებაში იმაზე უფრო უხეშკანიანი და უგრძნობი ადგილი არაფერია, ვიდრე საზოგადოების უკანალოა. მისთვის სულერთია გინდა ნიხლი ვითავაზებია და გინდა გავიროზგია.

ჯონათან სვიფტი, კასრის ზღაპარი

დუბლინი, ნმ. პატრიკის ტაძარი, 1745

მისი უდიდებულესობა ფორმიკალენდის ხელმწიფე ანდრეაფარ მეორე პირმწყაზარისა და ჩემი მთავრობის სახელით მივესალმები ქართველ მკითხველს, რომლის ინტელექტი და გონიერება კარგადაა ცნობილი ჩვენი სამეფოს მოქალაქეთათვის. მოხარულნი ვართ, რომ ბოლოსდაბოლოს ქართველებს მიენოდათ უტყუარი ცნობები ფორმიკალენდის შესახებ. იმედია, მომავალში ქართველი მკითხველი უფრო დაინტერესდება ჩვენი დიადი კულტურისა და მეცნიერების მიღწევებით.

*ფორმიკალენდის სამეფოს პრემიერი
მისი აღმატებულება დურუ
ქ. კვეკვერია, 30.II.95*

*მონყალეო ხელმწიფე! როგორც მკითხველისადმი თქვენი მიმართვიდან ირკვევა, ქირურგსა და კაპიტანს შემუელ გულივერს თქვენთვის დაუვალებია მისი ჩანანერების ნიგნად გამოცემა. ეს საპატიო და მძიმე შრომა პირნათლად გაგისრულებიათ, თუმცა თვითონვე ამტკიცებთ, რომ თქვენს თავს ნება მიეცით, ამოგელოთ უამრავი ადგილი, რის გამოც ავტორი ერთგვარ უკმაყოფილებას გამოთქვამს. გასაოცარი მოგ ზაურობანი ლილიპუტების ქვეყანაში, აგრეთვე ქვეყნებში, რომელთა სახელწოდებანიც კი ჟრუანტელის მომგვრელია — ბრობდიგნავი, ლაპუტა, ბილნიბარბი, ლაგნავი, გლუბდაბდრიბი და იაპონია, აღნერანი ჰუიჰნჰმების ქვეყნისა უამრავ ჭკუისსასწავლ მაგალითს მისცემს გონიერ ადამიანს. ოლონდ მიკვირს, რომ ეგოდენ დიდი მოგ ზაურის ყურადღების მიღმა დარჩა ქვეყანა, რომელსაც ლათინები „**Formicaland**“-ს უწოდებენ, რაც „ჭიანჭველეთად“ ითარგმნება. იქნებ ეს ქვეყანა ნიგნის იმ ნაწილში იყო მოხსენიებული, რომელიც თქვენ, ალბათ, უნებლიეთ, წყალს გააყოლეთ? გავთამამდები და ვეცდები, შევავსო ეს ხარვეზი. რა თქმა უნდა, ჩემი ჩლუნგი კალმის ნაფ ხაჭნი თქვენი მახვილგონივრული პატისფრთის ერთ მოსმასაც ვერ შეედრება, მაგრამ იმედი მრჩება, კეთილგანწყობით გადაიკითხავთ ამ ჩემს ნაცოდვილარს და, რაც ზედმეტად და მოსაწყენად მოგეჩვენებათ, ამოიღებთ, დანარჩენს კი ახლებთ თქვენთვის კარგად ცნობილ „ნიგნის ვაჭარს“, რომელიც, ვფიქრობ, სიძუნწეს არ გამოიჩენს და ორიოდე გინეას არ დაიშურებს ლარიბი ავტორისათვის.*

*თქვენი უმორჩილესი მსახური და ა.შ.
თბილისი, ვაზისუბანი, 1994*

აქა ამბავი კატასტროფისა და სასწაულებრივი
გადარჩენისა

ჩემმა ღირსეულმა მშობლებმა ისეთი სახელი დამანათლეს, ჭეშმარიტ ქართველს რომ შეეფერება. ჭეშმარიტ ქართველს ამის გარდა, ცხადია, შეეფერება კაი პურის ჭამა და მოლხენა, ქალისა და შაირის ტრფიალი, კეთილგანწყობა და უზრუნველობა... მოკლედ, მეც მიყვარს გემრიელი ცხოვრება და იმ პრინციპით ვიცხოვრე, ხვალემ იზრუნოს ხვალეზე-მეთქი. გვარიც ხელს მიწყობდა. ჩემი გვარი „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება, სამეფოსას ფრჩხილისოდენად თუ ჩამოუვარდება, მაგრამ იძულებული ვარ, აქ არ გავამხილო, რადგან ცხოვრებამ ისეთი ფათერაკები გამიმზადა, ჩემი გვარიშვილობის კაცს დიხადაც რომ არ უხდება.

„კომუნიზმის გარიჟრაჟამდე“ მშვიდობიანად მოვალნიე. ცოლი ისე შევირთე, არ მიფიქრია, ოჯახი ტვირთია-მეთქი. ჩემი ნანიკო, ჩემი შემოსავალ-გასავლის მთავარი განმკარგულებელი, ისე ყაირათიანი აღმოჩნდა, არც მიგრძენია, ლენინისთავიანი თუმნიანები თუ გვაკლდა. შვილების გაჩენით არც ძილი მომკლებია და არც დროსტარება. ჩემს სამ პატარას ხომ დედაჩემი და სიდედრიც უვლიდნენ შეხმატკბილებულად და მამობრივ ზრუნვას მაშინლა ვავლენდი, როცა ბაიებს ენას ვუჩლექდი — „აბა, ალუ მითხალი!.. აბა, კიჭი მიჩვენე!..“

მთქნარებასა და მთქნარებას შორის ერთი სადარდებელი ამეკიდა. ღმერთმა ისეთ ქვეყანაში რატომ გამაჩინა, სადაც ხელმწიფე არა გვყავს-მეთქი. სასმელ-საჭმელი არ გვაკლია, ტანთ გვაცვია და თავზე გვახურავს. თეთრი პური მოგესურვილა თუ თეთრი ქალი, აგერაა და ინებე... არა! მაინცდამაინც ხელმწიფე მომინდა! წარმოვიდგენდი, ჩემი გვარის კაცს როგორ მიიპატიჟებდნენ სამეფო კარზე... მოოქრული კარეგით მივემგზავრები გაჩახჩახებულ სასახლეში... ლივრეიანი ლაქიები, ფრეილინები, შამპანური, ვალსი... მოკლედ, ასეთი

სიზმარეთი ძალიანაც მხიბლავდა.

ეს აზრი გუნებაში ისე გამიჯდა, მიტინგების ციებცხელებამ რომ მოატანა, ერთი-ორი მგზნებარე სიტყვა მეც ვჭექე, მომხრეები შემოვიკრიბე და „ხელმწიფის მოყვარულთა“ ათკაციანი პარტია შევაკონინე. სამწუხაროდ, ზოგი ხელმწიფის მოყვარული აღმოვჩნდით, ზოგიც გოგრისა და მინავაშლასი. ატყდა ერთი განევ-გამონევა, „არა-მესა“ და „არა-მეს“ ძახილი და ლარით განყობილი ეს ქვეყანა შემოგვეფშენა...

ერთი მეზობელი მყავს, ელვირა. პირისახე შირაზის ვარდს მიუგავს, ლოყებზე ჩქმეტა მოგინდება, მხრები მოკრივესავით დააქვს, სხეულის დანარჩენ ნაწილებზე ლაპარაკიც ზედმეტი. ლიფტში თუ შემასწრო, შიში შემეყვება, ბაგირი არ გაგვიწყდეს და ლიფტის ჭაში არ ჩავქანდეთ-მეთქი. ვხედავ, კუპონების ეპოქაში მე დღითიდღე ვმჭლევდები, ის დღითიდღე ხორციტა და ქონით ივსება. თურმე, ნუ იტყვით და, სანამ მე ვაზისუბნის კომუნალურ (ან პრივატიზებულ!) ბინაში წყალწყალა წვნიანს მივირთმევ და მუყუყები სიზმარშილა მელანდება, ჩვენი ელვირა სამყაროს კიდიდან კიდედმე რეაქტიული ლაინერებით დაფრინავს და აქედან გააქვს, იქიდან შემოაქვს... „ე, ჩემო გიორგი, — მითხრა ერთხელ შირაზის ვარდმა, — ქართველივით სულ რომ გძინავს, მიდექ-მოდექი, თავი მოიგიჟიანე!.. ვინც ბევრს დაჩალიჩობს, საქმეც იმას გამოსდის! ფული ჭუჭყია, მაგრამ ჭუჭყი ყველგან ყრია, უნდა იცოდე, როგორ აკრიფო!“ „რა ვქნა, ჩემო გულის კოკობო, — თავი მოვისანყლე, — ბარემ მჭირდება ეს ჭუჭყი, მაგრამ ჩემი გვარიშვილობის კაცი დახლიდარი ვერ დადგება!“ „გიჟვრაცუა ხარ, რა! — გადაიკისკისა ელვირამ. — შენ კი არა, პრაფესორები ვაჭრობენ, ჰინდოსა და ჩინმაჩინში ისე დარბიან, იმდენჯერ ისნის ბაზრობაზე არ ჩასულხარ!..“

მართალი იყო და რა მეთქმოდა! თუ გინდა, ოჯახი დააპურო, ძილი უნდა მოიკლო. საქმე როცა გამხმარ კუჭზე მიდგება, გვარიშვილობაც მოიცდის. ბევრი ვიჭოჭმანე, მაგრამ ვაჯობე საკუთარ თავს, ჭკუად ვილე კეთილი რჩევა. გადავწყვიტე, ჩავალ ჩინმაჩინში, გავისეირნებ პალმების ჩრდილში, ლურჯი ოკეანის სანაპიროზე, თვალს წყალს დავალევივინებ, ანანასსა და მანგოს გემოს გავუსინჯავ, იქაური ჩირთიფურ-

თით ჩანთას გამოვტენი, ისანსა და ლილოში მოვთრაქავ-მეთქი. ვისესხე დოლარი, რა თქმა უნდა, საპროცენტო და, რა თქმა უნდა, ქართველისაგან. ვიფიქრე, დამინდობს, მთლად არ გამლტეს-მეთქი (იმდენი გვერდები აუდგა მაგას, რამდენიც დამინდო!). ჩანთა კი ელვირამ მათხოვა, იმოდენა იყო, შიგ თვითონაც მოთავსდებოდა და მეც ხალვათად ვიგრძნობდი თავს.

ყველაფერი სწორად გამოვთვალე, მაგრამ კაცს თუ თარსი იღბალი დაგყვა, ბედისწერა წამოგენევა, კუდზე ფეხს დაგაჭერს და განრუნუნებს.

გამოვემშვიდობე თვალაცრემლებულ ნანიკოს, შოშიე-ბივით პირდაღებულ პატარებს, რომლებსაც ჩინმაჩინი აგერ, მეზობელ კვარტალში ეგონათ და „ჟვარკა“ გვიყიდევო, ჭყლო-პინობდნენ... აქ მკითხველს თავს არ შევანყენ იმის ანგარიშით, თუ რამდენი ამნაპნა ტურისტულმა ფირმა „აჯიბემ“, რამდენი შემანერა ჯერ ავტობუსის მძღოლმა, მერე საგზაო პოლიციამ, მერე აეროპორტისამ, ავტომატიანმა ბიჭებმა რალარა პარტი-იდან, დაბოლოს გრძელკალთებიან ევროპულ პალტოებსა და ლაბადებში ჩაჯავშნულმა ჩვენი დამოუკიდებელი სამშობლოს პატრიოტმა მეზაყეებმა, რომელთაც ლაცკანზე ეწერათ: „გა-იმეტე, თორემ გაგიმეტებ!“ იმასლა ვიტყვი, რომ ჩემი შეთხელე-ბული ჯიბით მივალწიე ძია ტუპოლევის თვითმფრინავამდე, რომლის ტრაპს მგზავრთა ორასკაციანი ლაშქარი შტურმით იღებდა. სხვებს ხომ არ ჩამოვრჩებოდი! ცარიელი ჩანთა მხარუკან დავიმაგრე და იდაყვები ენერგიულად ავამუშავე. არის ერთი გნიასი, წივილ-კივილი, განეგ-გამონევა. წინ მივანექი, უკნიდან მომანვნენ, ამაბურთავეს, ტრაპზე შემავორეს და კარებში შემტენეს. აღარ მახსოვს სავარძლამდე როგორ მივალწიე. ირგვლივ გორებად ყრია ჩემოდნები, ჩანთები, ტომრები და ტოპრაკები. მგზავრები ერთიერთმანეთზე სხედან და ვისი ფეხი სადაა და ვინ თავი სად შერგო, გაურკვეველია. ზვინ-ივით ჩამოეკიდა ვილაც თავზევით. ავიხედე, ჩემი მეზობელი და კეთილისმყოფელი, შირაზის ვარდი და კოკობი დავინახე. ხელში არყის ბოთლებით სავსე ჩანთა უჭირავს, ფეხზე ძლივსა დგას. „ელვირა, ძვირფასო!..“ — ჩავიკნავლე და წამოვიწიე... მძ-

იმე ჩანთა სავარძლის ქვეშ შევჩურთე. ვცდილობ, ადგილიც დავუთმო, მაგრამ იგი მხარზე მანვება, სავარძელში ძალითა მსვამს... მომხიბლველად მილიმის და უცებ მისი სქელი გავა ჩემს მუხლებზე ეშვება... ამოვიოხრე. თუ ჩინმაჩინს მშვი-დობით ჩავალწიე, ალბათ ტრაპზე ჩასასვლელად ყავარჯნები დამჭირდება.

ისე გადაიტვირთა ეს ჩვენი თვითმფრინავი, არ მეგონა, თუ აფრინდებოდა. გაუჭირდა კია! იმნაირად გრიალებდა, ვი-ფიქრე, საცაა დაიფშვნება-მეთქი. ძლივს მოვწყდით ასაფრენ ბი-ლიკს, ძლივს ავედით სტრატოსფეროს ზღვარზე... ისე ვიყავი ჩაჭედილი, როგორც საცობი ბოთლის ყელში. მუხლებზე მძიმედ მელო ელვირას სქელი დუნდულები და ძვლებს ჭრაჭუნი გასდიო-და. არ მახსოვს, გონება დავკარგე თუ სიზმარეთში გადავეშვი. მომეჩვენა, ვითომ ჭრელი პეპელა ვარ, ქინძისთავზე წამომაცვეს და პრინცესას ქათქათა მკერდზე დამამაგრეს, ტკივილისა და ნდომისაგან კიდეც ვკვდები და კიდეც ვცოცხლდები.

უცებ საშინელი ჭახანი გაისმა და ელვისუსწრაფესად ძირს დავქანდი. თურმე ჩემი სავარძლის სიმძიმეს იატაკმა ვერ გაუძ-ლო და ჩასკდა. გონს მოსვლა ვერ მოვასწარი, ლიობში სავარ-ძლიანა ჩავვარდი... თვალი დავაჭყიტე კი არა, კინალამ წამომ-ცვივდა! ჩემს საცოდაობას ხომ კალამი ვერ აღწერს. თავზევით გადაიგუგუნა თვითმფრინავის ტალახისფერმა მუცელმა. ნახ-ვრეტში, მე რომ გავეტიე, ელვირას უკანალი გაჭედილიყო. ეტ-ყობა, შირაზის ვარდმა თავისი სქელი გავით ლიობი დამგანა და ამით თვითმფრინავი აშკარა დაღუპვას გადაარჩინა. მე კი ვერ-ავის უკანალი ვერ მიშველის, ძირს მივექანები და ჩემთან ერ-თად ვარდება სავარძელი, ჰაერში ყირამალა ცვივა არყის ბოთ-ლები... „უფალო, მიშველე!“ — შევბლავლე. გაჭირვების ჟამს გვახსენდება ხოლმე უფალი, თორემ დაღბინებისას ჩვენს ტვინში ეშმაკი უფრო მოიკალათებს. ამაზე მეტი გაჭირვება ვინ

გაიგონა და ჩემი ძახილი, ალბათ, უფლის სმენას მისწვდა. ილიაში თითქოს ხელი ჩამავლესო, რალაცამ შემანჯღრია. მხარუკან დამაგრებული ჩანთა, ელვირას ნათხოვარი, თურმე გაიხსნა და თავს ზევით პარაშუტივით გაიბერა.

„ღმერთო, შენ მიშველე!.. ღმერთო, შენ მიშველე!..“ — ვიმეორებ ნამდაუნუმ. ირგვლივ კი ცადაწვდილი მთები შემოჯარულა, შუაში ვერცხლისფერი მდინარე მიიკლაკნება, მწვანე ტყეები აქოჩრილა, ველები გადამლილა, ქალაქები და სოფლები მიმოფანტულა... სადა ვარ? ვის უნდა დავეცე თავზე? არაფერი ვიცი!

ქვევით მინდორია. შუაში კენტი ხე აშვეტილა. ნიავი იქითკენ მიმაქანებს. „ტრახ!“ — პარაშუტადქცეული ჩანთა ტოტებში ჩაიხლართა, ფხრენა გაადინა. მეც კარგა ღონიერი ტყეპა მომხვდა. ორ-სამჯერ ამოვტრიალდი და მდელოზე გავიშოტე. გონება დავკარგე...

თ ა ვ ი ი

აქა ამბავი ობობა გვაჯისა და ზირველი ცნობები ფორმიკალენდის შესახებ

ალბათ, დიდხანს ვეგდე. თანდათან გონს მოვედი, ბურანიდან გამოვალწიე. ვწევარ ჩემთვის და თვალის გახელისა მეშინია. გონებით ვწონი, ცოცხალი გადავრჩი თუ უკვე სულეთში ჩავეშვი. მინდა ხელი გავანძრიო, ვერ ვანძრევ. მინდა ფეხი მოვხარო, მარჯვენა ვცადე და ველარ მოვხარე... მარცხენა?.. მასაც ვერ ვლუნავ... თითქოს გაკოჭილი ვარ, ტკივილით კი ოდნავდა მტკივა, მსუბუქადა ვარ დაბეგვილი...

რალაც მძიმე შემომბობლდა, კინალამ გამჭყლიტა. თითქოს მიკროტრაქტორმა გადამიარაო. ან იქნებ რამდენიმე ლაზლანდარა ცდილობს დამტკეპნოს. ასე იმიტომ ვიფიქრე, რომ გონებაში ფეხების რაოდენობა ვერ დავთვალე.

შიშისაგან ჟრუანტელი მივლის. თვალი დავაჭყიტე და უმაღვე დავხუჭე. ნუთუ ჰალუცინაციაში ვარ? ცოტა ხანს

გავისუსები, მერე თვალს გავახელ და მივხვდები, რომ კვლავ ვაზისუბანში ვიმყოფები, ჩემს თბილისურ ბინაში, რბილ ლოგინში მძინავს და ეს ფათერაკები მხოლოდ სიზმარია.

— ნანიკო! — ცოლს მოვუხმე.

— პარდონ, მგონი შეგაშინეთ! — დანჯღრეული პატეფონის ხმით იხრიალა ვილაცამ.

თვალი ხელახლა დავაჭყიტე. ლურჯი, უღრუბლო ცის ფონზე ხე ქანაობს, ტოტებს ელვირას ჩანთის ნაფხრენები შერჩენია. თავი ძლივს მოვაბრუნე. მინდა მოლაპარაკეს შევხედო. სიზმარში შებრუნება მირჩევნია, მაგრამ სინამდვილეს ვერსად გავექცევი.

ხელის განვდენაზე ობობა დგას და უამრავი, შუშის ბურთულებით ცივი თვალთ შემომცქერის. „ორი, ოთხი, ექვსი, რვა...“ — უნებლიეთ ვითვლი, მგონი რვა თვალი აქვს.

— ჰხმ, იმედია წინააღმდეგობის გარეშე დავგნებდებით?.. ჰხმ! — ხველებით მეუბნება და თავს მაცნობს. — გვარდიის სარდალი გვაჯი! ჰხმ!

ისეთი პირი აქვს, შპრიცი მგონია. ცალი კიდურით არყის ბოთლი ჩაუხუტებია, ზედ „რასპუტინი“ აწერია და, ეტყობა, იქიდან საკმაოდ უწრუპია. მივხვდი, ეს ის არაყია, ელვირას ჩინმაჩინში რომ მიჰქონდა.

— ჰხმ! ვინა ბრძანდები? თავზე საიდან დავგეცი?

— გიორგი მქვია! — არ მინდა შიში შემამჩნიოს, თან ვცდილობ, არ გავალიზიანო. — გეთაყვა, დამტვრეული ხომ არა ვარ? ვერ გამიგია, რატომ ვერ ვინძრევი!

გვაჯიმ მშრალად ჩაიცინა, თან დაასლოკინა.

— გაკოჭილი ბრძანდებით!

— კი მაგრამ, რა დავაშავე? — გავიოცე.

— ასე მკარნახობს სამშობლოს უმაღლესი ინტერესები!

— დაასლოკინა ობობამ. — თქვენ უვიზოდ შემოიპარეთ...

ვაი შენ, ჩემო თავო! თავით ფეხებამდე აბლაბუდითა ვარ გასკვანჭული. გვაჯის უკანა მეჭეჭზე ახლაც ბანრის ბოლო აბია, თითის სიმსხოა და, ალბათ, იმის გასაწყვეტად ღონე არც მეყოფა. ბედი მაინც ვცადე! ამ ურჩხულს მორჩილად როგორ უნდა შევეჭმევინო-მეთქი და კუნთები დავძაგრე, მაგრამ ვე-

რას გავხდით. ისე ვარ, როგორც ჭუპრი პარკში.

— გაფრთხილებთ, ჩვენი ჯარი და არტილერია მზადაა!

ვერ ვხვდები, რა ჯარზე და არტილერიაზე ლაპარაკობს. შევეცადე, მოხერხებულად შემეხედა. არც ისე ურიგო გარეგნობისაა... ოთხ მაღალ ფეხზე დგას, თითქმის გამჭვირვალე სახსრებს წვრილი ბალანი უფარავს. ორი გრძელი და ორი მოკლე კიდური ხმალ-ხანჯალივით უჭირავს, ტანზე ხაკისფერი დაფოთლილი გიმნასტურა აცვია, გენერლის სამხრეები უკეთია. მკერდზე პატრონტაში აქვს ძველბიჭურად შემოხვეული. ილღიაში კალაშნიკოვის ავტომატი ამოსჩრია. წინა კიდურებზე რევოლვერის ბუდეები დაუმაგრებია, ვერ დავთვალე, სამი თუ ოთხი. მხოლოდ უკანატანი აქვს მოშიშვლებული, ალბათ, შარვალს ველარა ჰგუობს, თანაც ასეთი უკანალის დამალვა ცოდვაცაა, ცისარტყელას ყველა ფერი ლურჯში გადასდის და ლაქნასმულივით უბზინავს.

— ბატონო გვაჯი! — მორიდებით მივმართე. — გთხოვთ, გამაგებინოთ, სადა ვარ და თქვენი ქვეყნის უმაღლესი ინტერესები რატომ მოითხოვენ ჩემს გაყოფას? — ეს რომ ვკითხე, თან მოკლედ მოვახსენე ჩემი ვინაობა, ამბავი უნებლიე კატასტროფისა და სასწაულებრივი გადარჩენისა, ორიოდ სიტყვით გავაცანი ჩემი სამშობლოს ისტორია და დღევანდელიობა.

ობობამ ერთხელაც დაასლოკინა და მიპასუხა:

— ჰხმ!.. თქვენი ქვეყნის ამბები გვსმენია, რადგან ჩვენი ჯილაგის დაჩიავებულ-დაკნინებული წარმომადგენლები ყველა ქვეყანაში გვყავს. ამიტომ ჩვენი მოქალაქენი ნებისმიერ ენაზე ახერხებენ მეტყველებას... მაგრამ თქვენ პირველი ადამიანი ხართ, რომელიც ციდან თავზე დაგვეცით! თქვენ იყოფებით ფორმიკალენდში! ჩვენი დიადი ქვეყანა გადაშლილია ორ ზღვასა და ცადაწვდილ ქედებს შორის. ჩვენს სატახტო ქალაქს ჰქვია კვეკვერია. ქვეყანას მართავს ღირსეულთა შორის გამორჩეული, მისი სამეფო უდიდებულესობა, ჭიანჭველების ხელმწიფე ანდუყაფარ მეორე პირმწყაზარი!.. უცხოელს, შებოჭილი რომ არ იყო, მისი უდიდებულესობის ხსენებისას მუხლებზე უნდა დაეცე და მტვერში იკოტრიალო!

— ოჰ, ძვირფასო ბატონო გვაჯი! მზადა ვარ წესისამებრ

პატივი მივაგო თქვენს სახელგანთქმულ ხელმწიფეს, მაგრამ, გთხოვთ, გამაგებინოთ, რა მომელის?

— თქვენი ბედი ჩემსა და მისი უდიდებულესობის კეთილგანწყობაზე დამოკიდებული, თუ, რა თქმა უნდა, იქამდე ცოცხალმა ჩააღწიეთ! ნუ დაგავინყდებათ, რომ თქვენთან ჩვენს თანამოძმეებს ბინებიდან ცოცხით დევნიან და ამით ხელყოფენ მათს სიცოცხლესა და კეთილდღეობას. დიახ, ჰხმ! ახლა ჩემი მამაცი ბიჭები საზიდარზე დაგანვენენ და ჩვენ დავიძვრებით!

— იქნებ ცოტათი მაინც მოუშვათ ეს ბანრები, რათა თავის მობრუნება შეეძლო და თქვენს მამაც ბიჭებს შეეხედო! — შევთხოვე.

გვაჯიმ წინა კიდურების მარწუხებით ორიოდ ბანარი შეჭრა. ამ დროს გული მიკანკალებდა, ვაითუ იმ მარწუხებით თავი წამაგდებინოს-მეთქი. ნასვამიც იყო და პასუხსაც ვინ მოსთხოვდა! საბედნიეროდ, არაფერი დამშავებია და თავი მივაბრუნე.

გაშლილ ველზე უამრავი ჭიანჭველა ირეოდა. უფრო სწორად, მოზრდილ რაზმებად ჩამწკრივებულნი სამწყობრო ნაბიჯებით მიმოდოდნენ. ჯარისკაცებს მხრებზე კალაშნიკოვის ავტომატები მოეგდოთ. შიგადაშიგ კი ხელის ტყვიამფრქვევი და ნალმტყორცნიც შევნიშნე. ერთგან ქვემეხები იდგა და ლულები პირდაპირ ჩემკენ მოეშვირათ.

— ეს ჯარი ჩემს შესაპყრობად შეყარეთ? — ვიკითხე გაკვირვებულმა.

— თუ სიცოცხლე გწყურია, წყნარად და მორჩილად იყავი! — განმიცხადა ობობა გვაჯიმ.

სხვა რა გზა მქონდა?

მოაგორეს ექვსბორბლიანი საზიდარი, რომელშიც წყვილი ირემახოჭო ება. ეს უწყინარი არსებანი, თავიანთი შავად მბზინვარე ზურგებითა და მრისხანედ წინ გამვერილი რქებით საშინელ ურჩხულებად მომეჩვენა. ღონიერ ფეხებზე იდგნენ და, როგორც წუთის შემდეგ ვიხილე, უღელსაც ღონივრად ეწეოდნენ.

კოფოზე ერთი მოცუტქნული ჭიანჭველა იჯდა და გრძე-

ლი სახრე ეჭირა.

გვაჯიმ შეუძახა. დიდრონი ჭიანჭველები მომცვივდნენ, ციმციმ ამიტაცეს და საზიდარზე შემადგეს.

ვცდილობდი ვითარებაში გავრკვეულიყავი და, ბუნებრივია, ყველაფერს ვაკვირდებოდი. შევამჩნიე, რომ ობობა გვაჯის გვარდიაში ჭიანჭველებისათვის დამახასიათებელი დისციპლინა მოიკოჭლებდა. სანამ გულშემოყრილი ვეგდე, ციდან ჩამოცვენილი „რასპუტინი“ თითქოს ჰაერში აორთქლდაო. ერთადერთი, რაც ვნახე, ცარიელი ბოთლები იყო. ზოგიერთი ჯარისკაცი აშკარად გადაკრულში გახლდათ. მთვრალ კაცს ორი ფეხი ებლანდებოდა, ჭიანჭველას კი იმდენი ფეხი აქვს, ერთიერთმანეთზე თუ გადაეხლართა, მეტად სასაცილო სანახავი ხდება. ოღონდაც, სიცილის გუნებაზე ვერ დავდგებოდი, რადგან წამდაუნუმ ისროდნენ ავტომატებიდან. ღმერთმა უწყის, რომელი მათგანი ციდან ჩამოვარდნილ სტუმარს როდის გაიხდიდა სამიზნედ. ჩემს თვალწინ ერთმა ჯარისკაცმა კომბოსტოს თეთრულა დაცხრილა, უმალ მიცვივდნენ და წამში პეპლის ფრთებილა დარჩა.

ობობა გვაჯი თითქოს ვერც ამჩნევდა ხელქვეითების თავგასულობას. იგი არხეინად შებობდა ორთვალაზე, რომელშიც თეთრშუბლა კუტკალია ება.

სულ ვაშას ძახილით დავიძარით სატახტო ქალაქისაკენ.

გაკოჭილი კი ვიყავი, მაგრამ მაინც ვახერხებდი გზის დათვალიერებას. მაინტერესებდა ფორმიკალენდის ბუნება და მცხოვრებთა რაობა. გზისპირებზე გადაიშალა თვალწარმტაცი ველ-მინდვრები და ჭალები. კარგად დამუშავებულ ყანებში ჭიანჭველები საქმიანობდნენ. შარავზებსა და ბილიკებზე თავაუღებლად დაფუსფუსებდნენ. გუთნებსა და ურმებზე ირემახოჭოები და გრძელულვაშიანი ხარაბუხები ებათ. ბალ-ვენახებს მოვლა ეტყობოდა. ეგაა, ჯარისკაცთა ღრიანცელის გაგონებაზე მიწაში იმარხებოდნენ. აქა-იქ გადამწვარი სახლებიც გამოჩნდა. ალბათ, ფორმიკალენდში საომარი მდგომარეობა იყო, ოღონდ ჯერჯერობით ვერ გამეგო ვინ ვის ეომებოდა...

თ ა ვ ი III

აქა ამხავი რწეილი კოტესი და მისი მხედრობისა

კარგა მანძილი გვეკონდა გავლილი, როცა ჩემი ყურადღება უცნაურმა ხმამ მიიპყრო.

შემალღებულს მივყვებოდით და თავის აწვეა არც დამჭირვებია, ისე ვხედავდი წინ გაშლილ სივრცეს. გზის გასწვრივ ხშირი ბურქნარი იყო და იმის იქიდან ისეთი ხმები ისმოდა, თითქოს ათასი ხემი უხახუნებდა გაჭიმულ სიმს.

უცებ მოსახვევიდან გამოჯირითდა ზორბა კუტკალია. იგი გრძელი ნახტომებით მოდიოდა და ფეხების დარტყმისაგან ქვებზე ნაპერწკლებს ადენდა. ზურგზე მოოქრული უნაგირი ედგა, ალვირი კი ხელთ ეპყრა მეტად მოხდენილ რწყილს.

უცნაურ მხედარს უკან ასეთივე დარახტული კუტკალიები მოჰყვებოდნენ. ზედ კბილებამდე შეიარაღებული ჭიანჭველები და რწყილები ისხდნენ. შუბლები შავი ბენდენებით წაეკრათ. ისე ახუნძლოულიყვნენ ავტომატებით, ხელყუმბარებითა და პისტოლეტებით, ადგილი აღარ უჩანდათ. კუტკალიები რიტმულ ბგერებს გამოსცემდნენ, მხედრობა კი ხმას აყოლებდა.

ობობა გვაჯიმ სადავე მოსწია, გაქანებული თეთრშუბლა შეაჩერა, თან კიდურები ავტომატსა და რევოლვერზე დააბჯინა.

ჩემმა მესაზიდრემაც მოჰქაჩა ალვირი და ირემახოჭოები ძლივს დაიმორჩილა.

მეწინავე მხედარმა ზედ საზიდართან მოაგდო კუტკალია და მხიარულად შესჭყვივლა:

— ჩემს გვაჯის გაუმარჯოს!

— კოტეს სალამი! — ნაიბურტყუნა გვაჯიმ.

რწყილი კოტე მეტად წარმოსადეგი ვაჟკაცი გახლდათ. თავის მოუსვენარ რაშზე მსუბუქად იჯდა და ტანზე არც რამ იარალი ესხა. ინტელიგენტური გარეგნობა ჰქონდა. ზურგზე

ნაცრისფერი ლაბადა მოეგდო, მის ქვეშ თეთრი, ქათქათა პერანგი და შავი პიჯაკი ეცვა, ყელზე ქრელი პეპელა-ჰალსტუხი ეკეთა.

— ეს ვინ გაგიკოჭია, ჩემო გვაჯი? — იკითხა კოტემ.

— ციდან დაგვეცა! — უგემურად აუხსნა გვაჯიმ. — ხელმწიფეს უნდა მივგვარო!

— საინტერესოა! — წამოიძახა კოტემ, უზანგებიდან ფეხები ამოიღო და პირდაპირ ჩემს საზიდარში გადმოხტა: — ვინა ხარ და რა გქვია?

მე, რა თქმა უნდა, დიდი მოკრძალებით მოვახსენე ვინც ვიყავი და როგორ აღმოვჩნდი ამ უბედურ დღეში... სანამ ვყვებოდი, თვალს არ ვაცილებდი დანარჩენ მხედრობას. თამამად ირჯებოდნენ, აღმა-დაღმა დააქროლებდნენ დარახტულ კუტკალიებს, არაფრად აგდებდნენ ობობა გვაჯის გვარდიელებს და ამათ რიდი დაეტყოთ, მთვრალეებიც გამოფხიზლდნენ, საფრთხე თუ იგრძნეს.

რწყილმა კოტემ მომისმინა, დამცინავად გადახედა ორთვალაზე გაფოფრილ ობობას.

— შენი გამკვირვებია, ჩემო გვაჯი, ამოდენა კბილებამდე შეიარაღებული ჯარი გყავს და ერთმა კაცმა როგორ დაგაფრთხო? ჭუპრივით რომ აბლაბუდაში გაგიხვევია, სადღა გაგექცეოდა?

ობობა გვაჯი სიბრაზისაგან გასივდა, კინალამ გასკდა. სულაც არ მანყობდა ამათი ჩხუბი, ვაითუ უარეს დღეში ჩავვარდნილიყავი და შესაბრალისად წამოვიკნავლე:

— ბატონებო, ისე ვარ შებოჭილი, ძარღვებში სისხლი გამიჩერდა!

რწყილი კოტე გვაჯის ორთვალაში გადახტა და შეპარვით ჰკითხა:

— იქნებ შენ ცოტა მოწუნნე კიდეც?

— კოტე, შენს თავს ვფიცავარ!.. — გვაჯიმ წინა ოთხივე კიდური მკერდზე მიიღო.

— აი, შე ეშმაკო, უჩემოდ გიყვარს ქეიფი! — ილღიაში შეუღუტუნა კოტემ.

ამ სიტყვების გაგონებაზე, წარმოგიდგენიათ, რაც დამე-

მართებოდა?

— როგორ შეიძლება? — იუარა გვაჯიმ. — ისეთი რა გაგვჭირვებია, ხელმწიფის სტუმარია...

— შეხსენი, ჩემო გვაჯი, სისხლმა უნდა იდინოს ძარღვებში! — ორაზროვნად თქვა კოტემ და თვალი ჩამიკრა.

ცხადია, მიხაროდა აბლაბუდისაგან გათავისუფლება, მაგრამ იმასაც კარგად მივხვდი, თუ რა საშინელი საფრთხე მელოდა. ობობა გვაჯის და რწყილ კოტეს ჩემს დანახვაზე იქნებ ნერწყვი მოსდიოდათ, მაგრამ, ვფიქრობ, მოქალაქე ჭიანჭველების რიდით თავს იკავებდნენ.

ასე იყო თუ ისე, შემეძლო დავმჯდარიყავი და ისე მემგზავრა.

ნდობისათვის დიდი მადლობა მოვახსენე ერთსაც და მეორესაც, თან მორიდებით განვუმარტე, რომ პირველად ვიმყოფები მშვენიერ ფორმიკალენდში და არაფერი ვიცი მის შესახებ, გარდა იმ მწირი ცნობებისა, რაც ჭიანჭველათა გვარდიის სარდალმა გადმომცა.

— ჩვენო სტუმარო! — მიპასუხა რწყილმა კოტემ, რომელიც თავის კუტკალიას საზიდრის გვერდით მოაქროლებდა. — ჯერჯერობით ზომიერი ცოდნა იკმარე! ფორმიკალენდი ჭიანჭველების სახელმწიფოა! მას ჰყავს ხელმწიფე, სრულწლოვანი მოქალაქეების მიერ არჩეული უზენაესი სალაცხო, მთავრობა, პოლიცია... ოღონდ დაიხსომე, ეცადე, მოიპოვო იმათი კეთილმოსურნეობა, ვისაც ძალა აქვს და ხელთ კალაშნიკოვი უპყრია!.. — და რწყილმა კოტემ თავისი მხედრობისაკენ მიმახედა.

თ ა ვ ი IV

ფორმიკალენდური დამე და სხვადასხვა წვრილმანები

ამასობაში მოსალამოვდა კიდეც. მზე დასავლეთის ცისკიდურში ჩაგორდა და საკმაოდ აგრილდა.

ჩვენი ქარავანი კვლავაც ხმაურითა და ზარით მიიწევდა

წინ. რწყილი კოტეს მხედრობა არავითარ კანონს არ ემორჩილებოდა, გარდა საკუთარი მეთაურისა — გიჟმაჟად დააჭენებდნენ და უწესრიგოდ ისროდნენ. ჩემს თვალწინ ორი ხავერდულა ჩამოაგდეს, ერთიც ფარშავანგთვალა და ერთიც ცისფერა. ჩვენს ხმაურზე პეპლები შორს გადაიხვეწებოდნენ ხოლმე, მაგრამ ამ საბრალეობმა ვერ მოასწრეს გადამალვა. ობობა გვაჯის გვარდია უფრო ზომიერად იქცეოდა, თუმცა ესეც დამარცხებული ჯარით არეულ-დარეული მოდიოდა.

სახნავ-სათესი და ბალა-ბალჩები მომრავლდა. უმთავრესად მარწყვის მდელი ჩანდა, ვენახები, ალუბლისა და თუთის რიგები. მიდამო ვინრო ბილიკებით დაიფარა. მივხვდი, სოფელს ვუახლოვდებოდი. ასე გავიფიქრე თუ არა, უმაღლეს ორლობეში შევგრიალდი. აქეთ-იქით მიწის ყორეები გაიჭიმა, მათ მიღმა მოვლილი ეზოები და თიხის წონოლა სახლები ჩამწკრივდა. უამრავი ჭიანჭველა მირბი-მორბოდა. ზურგზე ნაირ-ნაირი ტვირთი მოეგდოთ და მიარბენინებდნენ. ერთი კი შევნიშნე, როცა მშობლიური ჯარი გამოჩნდა, შეეცადნენ თავის შევლას და ვინ სად იმალებოდა და ვინ სად. ჯარისკაცებმა ვინც კი ხელთ იგდეს, სურსათ-სანოვაგე წაართვეს და სახელდახელოდ შეუსანსლეს.

ერთგან ჭიშკარზე განცხადება ეკიდა. კირილიცით ეწერა და ნაკითხვა მოვახერხე: „ჯარისკაცებო, გთხოვთ, თავს ნუ შეინუხებთ! უკვე ცხრაჯერ გავცდარცვეს! ვაშა ჩვენს ხელმწიფეს!“

რა უფლება მქონდა სხვათა საქმეებში ჩარევისა, მაგრამ ობობამ ჩემი შეწუხებული სახე შენიშნა და ამიხსნა:

— ჯარი მშიერია! ხალხი ვალდებულია, გამოკვებოს იგი. მოქალაქეებს ხელში იარაღის აღებას გემრიელი ძილი ურჩევნიათ! — და დასძინა: — ალბათ, თქვენთანაც ასეა!

— მუშაკაცი უბირია! — დაამატა რწყილმა კოტემ. — ვერ ხვდება, რომ მეომარი მისი ინტერესების დამცველია!

მეც მიყვარდა გემრიელი ძილი, მძულდა იარაღი, მით უფრო, შინაც არ მქონდა მოსვენება ამდენი ბათქა-ბუთქისაგან, მაგრამ აქ იმდენ საჭურველს ვხედავდი, ძილის იმედი გადამეწურა.

მთლად ჩამოხნულდა. ცაზე ვარსკვლავები აჩახჩახდნენ.

მათი განლაგებით მივხვდი, რომ სამშობლოდან მაინცდამაინც შორს არ გადავხვეწილვარ და სუსტი იმედი ჩამესახა.

მხედართმთავრებმა ღარიბულ ჭიშკრებს აუღელვე-ბლად ჩაუარეს და მდიდრული რომ ჩანდა, იმას მიადგნენ.

სახლის პატრონი, კარგად ჩასუქებული ჭიანჭველა, ამ სოფლის თავკაცი აღმოჩნდა.

— მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო! ბატონო გვაჯი... ბატონო კოტე... — შაქრად დნებოდა ჩვენი მასპინძელი, ხან მიწაზე განვებოდა, ხან უკანა ფეხებზე შედგებოდა, დანარჩენებს იფშენებდა და მალე ისე ჩაეხლართა, ლაქიებმა — ფქვილის ღრაჭუკებმა, ძლივს უშველეს.

— აბა, შენ იცი, ჩემო ბათურავ, — ჩაიდუღლუნა ობობა გვაჯიმ, — უცხოელ სტუმართან ნუ შეგვარცხვენ, ერთი კაი გემრიელი ჭიანჭველა დაკალი შენებურად.

— მარმარა ღრაჭა ანდა მახრა არ დაგავინწყდეს, სუფთად და წესიერად გაატყავეთ! — ბრძანა რწყილმა კოტემ.

გული კინალამ შემიღონდა, მაგრამ რას ვიტყოდი.

ჭიანჭველა ბათურამ ბრძანებები გასცა და მისი აურაცხელი ჯალაბობა უმაღლეს გავარდა მათ შესასრულებლად.

— მობრძანდით, თქვენი ჭირიმე! — წინ გაგვიძღვა მასპინძელი.

საკმაოდ მოზრდილ სახლში აღმოვჩნდით, თიხით იყო ნაგები. კარებიდან და ფანჯრებიდან ერთნაირად შედიოდნენ და გამოდიოდნენ. შიგნით უამრავი დერეფანი, კიბე და ტალანი იხლართებოდა. შესასვლელთან ახალბედა ჭიანჭველები იდგნენ სადარაჯოდ და, როგორც შემდეგ შევიტყვე, უსაქმურობისაგან ყომარს აგორებდნენ.

დაღლილობა მოვიმიზეზე, ვახშამამდე წამოვწვები-მეთქი. ორი ღრაჭუკა გამაყოლეს. სუფთად დაკრიალებულ მომცრო ოთახში შემიყვანეს. კუთხეში ფარდაგიანი ტახტი იდგა, ზედ ქრელი ბალიშები და მუთაქები ეყარა. ლაქიები დავითხოვე და წამოვწექი.

ამდენი შთაბეჭდილებისაგან თავი გასკდომაზე მქონდა და ველარ დავიძინე.

უცებ ხმადაბალი ხითხითი მომესმა. ჭიანჭველა შემო-

პარულიყო. შევატყვე, ჯერაც უნლოვანი ბრძანდებოდა და, ალბათ, მდედრი.

გვერდით მომინვა და თვალეპი ამიჟუჟუნა.

— ბათურას უმცროსი ქალიშვილი ვარ, ლამაზისეული!
— მორცხვად მითხრა. — მე შენი ნანალი ვიქნები!

თავზე ხელი გადავუსვი, თუმცა მემინოდა, არ ებნკინა. საიდან მეცოდინებოდა, ჭიანჭველები რანაირად ეფერებოდნენ ერთმანეთს და ყასიდად დავინტერესდი ბათურას ოჯახური ამბებით. გულუბრყვილო ლამაზისეულმა ნამში ჩამომიკაკლა, რომ ბათურა ამ სოფელში ყველაზე შეძლებულია, ჰყავს უთვალავი ცოლი, შვილები ერთმანეთში ერევა, თუმცა ლამაზისეული გამორჩევით უყვარს. ღობის მიღმა, სანეხვეში, ჭიანჭველების დიდი სანაშენო აქვთ, მარწყვის მოზრდილ მდელოსაც ფლობენ, მრავალნაირი ხილი და ბოსტნეული მოჰყავთ. ბათურა უცხოელ ფუტკრებთან ვაჭრობს, ამიტომ ამათთან თაფლიც არ იღევა.

ამ საუბარმა დამაიმედა, რომ ფორმიკალენდში ვეგეტარიანელობას შევძლებდი.

ჩემი ლამაზი ნანალი ნაზი კრუტუნით მეჩურჩულებოდა, ხანდახან ალერსით უღვაშებს მომიცაცუნებდა და, ვინ იცის, საბოლოოდ რას მომთხოვდა, მაგრამ, საბედნიეროდ ლაქია ღრაჭუკამ შემოიხედა და სავახშმოდ მოგვიხმო. ლამაზისეულმა საკმაოდ მოზრდილი გავა კობტად შეაქანა და ოთახიდან გასხლტა.

დიდებულ დარბაზში შემეყვანეს. იატაკი და კედლები ჭრელი ხალიჩებით მოეფინათ. ჭერზე ჭალი ეკიდა. კუთხეში ტელევიზორი იდგა. ეკრანზე სამი ჭიანჭველა ნარნარად ცეკვავდა „სამაიას“.

მდიდრულ სუფრას შემოსხდომოდნენ ობობა გვაჯი, რწყილი კოტე, ჭიანჭველა ბათურა და მისი ცოლ-შვილი. აქამდეც უნდა მეთქვა, რომ გვაჯის გვარდია სოფელში მიმოიფანტა, კოტეს მხედრობა კი იქვე, ეზოშივე ღრეობდა.

ჩემთვის განკუთვნილ სკამზე დავჯექი თუ არა, ღრაჭუკებმა კავებით შემოათრიეს უზარმაზარი ჭიანჭველა. რამდენიმე ადგილას გადაეჭრათ, სისხლი სდიოდა, მაგრამ ჯერაც იხ-

ლაცნებოდა.

ობობა გვაჯიმ ცხვირპირი ატაკა სისხლს და ხარბად მოსვრიბა. რწყილი კოტე უფრო მოხდენილად იქცეოდა, ცოტაცოტას პნკენდა და ლუკმას გემოს ატანდა. მე, რა თქმა უნდა, კრიჭა შემეკრა და გულმუცელი ამემღვრა.

მოცუნცულდა ჩემი ლამაზისეული, რატომ არ მიირთმევო, ჩურჩულით მკითხა. მარხვის დღეებია და ჩემი სარწმუნოება ხორცეულის ჭამას მიკრძალავს-მეთქი, ვუპასუხე.

— ვინც სისხლით არ გაიტკინება, იგი მეომარი ვერ იქნება! — განაცხადა ობობა გვაჯიმ.

რწყილმა კოტემ კვერი დაუკრა.

ლამაზისეულმა ლანგრით მარწყვი მომირბენინა, მეტად ტკბილი და სურნელოვანი. სიამოვნებით გაიხელით, თანაც თვალს ვარიდებდი სისხლიან ორგიას, რაც მადას მთლად მისპობდა.

მზერა ტელევიზორისაკენ გავაპარე. ეკრანზე ჩანდა ათიოდე წლის ლამაზი ბიჭუნა, რომელსაც თმები რატომღაც გასჭალარავებოდა. თავზე ოქროს გვირგვინი ედგა და ამან მიმახვედრა, რომ იგი გახლდათ ჭიანჭველების ხელმწიფე ანდუყაფარი (Rey de Formicas). მისი უდიდებულესობა სიტყვით მიმართავდა თავის ქვეშევრდომებს, მაგრამ ხმაურის გამო ნათქვამის გარჩევა ვერ შევძელი.

ამასობაში ახალი კერძები შემოიტანეს: დარეტიანებული ბუზეები, თაფლში ჩანებებული კოლოები, წვნიანში ჩამხრჩვალი ზღარბაბუზა, შამფურზე წამოგებული ლაფნიჭამია... ლამაზისეულმა ამჯერადაც გადამარჩინა განსაცდელს და ხონჩით მწიფე ატამი და ლეღვი მომართვა.

თანამეინახენი კარგად შეზარხოშდნენ. ბათურა ხან გვაჯის ადღეგრძელებდა, ხან კოტეს, ცდილობდა ბენვის ხიდზე გასულიყო და შუღლი არ ჩამოეგდო.

— მე მინდა ჩემი სათაყვანებელი სამშობლოს, ფორმიკალენდის სადღეგრძელო დავლიო! — ობობა გვაჯი სიტყვას ლოღნიდა. — მე მინდა, ვადიდო ფორმიკალენდის ყველა მოქალაქე ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძლის ბათურას თამაღობით! უნდა მოგახსენოთ, რომ მე — ობობა გვაჯი, ეროვ-

ნებით ძირძველი ჭიანჭველა ვარ! დიახ, ჩემი გვარი და ჯილა-
გი უძველესია ფორმიკალენდში...

— მეც ეროვნებით ჭიანჭველა ვარ! — დააბოყინა რწყილ-
მა კოტემ. — დიახ, ჩემი გვარიც არანაკლებ ძირძველია, ჩემი
ჯილაგიც...

ეტყობოდა, რომ ვერ იყო მაგარი მსმელი, ადრე და სწრა-
ფად თვრებოდა.

ობობა გვაჯიც მთლად გაიტყინა. მისი შიშველი უკანა-
ტანი ბუშტს დაემსგავსა, სპარსული ხალიჩის ფერებით აუ-
ჭრელდა, ბუსუსები აეშალა. ხმალივით ბასრ კიდურებს იქნე-
და და საშიში გახდა.

დიასახლისები და ოჯახისშვილები სათითაოდ გაიკრიფ-
ნენ, შარს თავი აარიდეს.

თვითონ ბათურა კედელთან გაიშხლართა და ხვრინვა
ამოუშვა.

მხოლოდ ლამაზისეული დარჩა ჩემთან, ერთგულად მემ-
სახურებოდა.

უცებ ობობა გვაჯიმ შენიშნა და წინა კიდური დაუქნია.

— ცუგრი, ცუგრი!..

— ვაიმე! — შეკრთა ლამაზისეული და ზურგსუკან ამო-
მეფარა.

ობობა დაიბოღმა, რვავე თვალი ბოროტად დააბრიალა.

— მოდი აქ!

რა უნდა მექნა! იქნებ ვარ უქნარა და ძილისგუდა, მაგრამ
ქართველის სულში რაინდი მაინც ფართიფურთობს და ჩემს
წაწაწას ხომ არ შევასანსლინებდი ამ გაუმადლარ ურჩხულს.

გვაჯი პირდაპირ მაგიდაზე გადმობობლდა. ნამუსრევი
და ჯამ-ჭურჭელი ძირს გადმოყარა.

დავსტაცე ხელი სამწვადე შამფურს და დავჰკარ კინკ-
რიხოში. გვარდიის მთავარსარდალი და გენერალი მაგიდიდან
გადაგორდა, ძირს დაეძნეყვა და კიდურები ჰაერში გაასავსავა.

— რა მოხდა? — იკითხა რწყილმა კოტემ და დახოცილი
ბუზებისა და ჭიამატლების ნამუსრევში ჩარგო ცხვირი.

ავიტაცე ლამაზისეული და გავვარდი.

— შენც სუ და მეც სუ! — ჩავჩურჩულე ჩემს წაწაწას და

ლოგინს მივაშურე.

ლამაზისეული დაზაფრული იყო. კარგადაც მიხვდა, რა
საფრთხეს გადავარჩინე.

დაღლილობამ თავისი მიქნა, ღრმა ძილმა ჩამითრია.
ლამაზისეული კი ტახტის კიდეზე მოკალათდა, თურმე მთელი
ღამე მდარაჯობდა.

თ ა ზ ი V

აქა ამბავი ფუნაგორია ზოჭო გედევანისა

დილით ადრე გავიღვიძე და ლამაზისეული გავაგზავნე,
გამიგე, მკვლელობას ხომ არ მაბრალევენ-მეთქი. უმალ მოირ-
ბინა, გვაჯი ცოცხალია და არაფერი ახსოვსო. ისიც დასძინა,
საუზმეზე გიხმობენო.

დავეჭვიანდი, იქნებ მახეს მიგებენ-მეთქი, მაგრამ სულ
ხომ ოთანში ვერ დავრჩებოდი, ამიტომ ჩავიცვი, მოვწესრიგ-
დი და ჩავედი. უკვე მაგიდას უსხდნენ. ობობა გვაჯის თავზე
სველი ტილო შემოეხვია და კრუსუნებდა. რწყილი კოტეც უქე-
იფოდ იყო, უმადოდ იბნკინებოდა.

— თავი მისკდება! — შემომჩვილა გვაჯიმ. — თითქოს
ურო ჩამარტყესო!

— ნუხელ ბევრი დალიეთ! — ხმაში თანაგრძნობა ჩავა-
ქსოვე. — ეგერ, ბატონი კოტეც ვერ არის კარგ დღეში.

— ოჰ, გკვდები! — ამოიოხრა რწყილმა კოტემ.

— ამ ჩემ ფეხებს ვფიცავარ, კარგი სასმელი იყო! — და-
იფიცა ბათურამ.

გამიკვირდა ასეთი ფიცი, ხომ არ დაგვცინის-მეთქი, ვიფიქ-
რე. მერე გავიგე, ჭიანჭველას ფეხები კვებავს. ამიტომ ყველაზე
მეტად ჯანსაღ ფეხებს აფასებენ და ამგვარად იფიცებიან.

მე, რა თქმა უნდა, ხილი მივირთვი. ლამაზისეულმა კივი
და ბანანი მომირბენინა, რითაც დიდად მასიამოვნა.

საუზმე მალე მოვილიეთ და ეზოში ჩავედით.

მასპინძლებმა ჭიშკრამდე გამოგვაცილეს. ჭიანჭველა

ბათურა და მისი ცოლები ჩვენს საპატივცემლოდ ბარე ათ-ათჯერ განვინენ მინაზე. ლამაზისეული ატირდა, მკერდზე მეხუტებოდა, პირისახეზე თავის ნაზ უღვაშებს მიცაცუნებდა. გული ამიჩუყდა, მამაშვილურად შუბლზე ვაკოცე და საზიდარზე ავძვერი.

მესაზიდრე ჭიანჭველამ ირემახოჭოებს სახრე გადაუჭირა და რახრახით დავიძარი.

ობობა გვაჯი ორთვალაში ჩაეტყეპა. თეთრშუბლა კუტკალია სახრის გარეშეც ათამაშდა.

რწყილი კოტე თავის მარდ რაშზე შეხობდა, თუმცა გადმოვარდნას ცოტალა უკლდა.

მომიჯნავე უბნებიდან გამოცვივდნენ გვაჯის გვარდიელები. თურმე კარგადაც მიირთვეს და ხელსაც ბლომად გამოაყოლეს. კოტეს მხედრობა ბოლომდე ვერ გამოფხიზლებულიყო. მთვრალი ყიჟინით შესხდნენ კუტკალიებზე და ორლობეში მტვრის ბული დააყენეს.

მშვენიერი ჭალები და ბალ-ვენახები გავიარეთ. ყველგან ყვავილები მიმოფანტულიყო. ბალახებში ლამაზი პეპლები ფარფატებდნენ, თუმცა ჩვენს დანახვაზე გადამალვას ცდილობდნენ. ერთი კამათელა და ერთიც ფარშავანგთვალა მაინც ვერ გადაურჩა ტყვიას... სხვათა შორის, ჩიტი იშვიათად გაიჭახჭახებდა ტოტებში, რადგან ჯარისკაცები უმაღვე ავტომატის კაკანს აუტეხდნენ. ეს გასაგებიცაა! ერთ ბელურას ხომ ჭიანჭველების მთელი არმიის აკენკვა შეუძლია.

წინ ცისფერმა ზოლმა გაიელვა. ანკარა წყალი მილუკლუკებდა მწვანე კალაპოტში. ხიდზე რომ გავიარეთ, ერთი ნამთვრალევი მხედარი გადაგვივარდა. მისი კუტკალია წყალმა წაიღო, თვითონ კი ბალახის ღეროს ჩაებლაუჭა. კოტე ახტადახტა, გვაჯის მიეჭრა, დახმარება სთხოვა. გვარდიის სარდალს ჩასთვლემოდა. გამოფხიზლდა და საბრალოს ბანარი გადაუგდო. გალუმპული და შეშინებული მხედარი ძლივს ამობობლდა.

— ძმები, დამიტირეთ, მალე მოვკვდები! — ტირილის ხმით შესძახა დაზარალებულმა.

მოვარდა გვარდიის სანიტარი, ჭაობის მზომელა, სტაცა

ხელი და მტვერში აგორიალა.

პირი დავაღე, ასეთი მკურნალობისა ვერაფერი გამეგო.

— ჩვენი მედიცინის ვარსკვლავები თვლიან, რომ ანკარა წყალი მომაკვდინებელია სიცოცხლისათვის. — ამიხსნა კოტემ. — თანაც, ვინც განიბანება, იმას, სამნუხაროდ, აღარ უდის ნეხვის შესანიშნავი სურნელება!

გემოვნებაზე არ დაობენ და კამათი არ დამინყია.

ამ პატარა შემთხვევამ ორივე მხედართმთავარი გაახალისა.

ობობა გვაჯიმ მასლაათი გამიბა. ჩავეძიე, რატომ არის, რომ ჭიანჭველების სახელმწიფოს არაჭიანჭველები მართავენ და თუ ეს არაჭიანჭველები ასეთი ჭკვიანებია, რატომ საკუთარ სახელმწიფოებს არ შექმნიან-მეთქი.

— ჭიანჭველები მშრომელი ხალხია, — ამიხსნა გვაჯიმ, — ისინი კოლექტივისტები არიან. მათი ძალა ერთობაშია. ჩვენ კი, — აქ კოტეზე მიმითითა, — ინდივიდუალისტები ვართ, გათითოებულნი ვენევიტ ბედს და წარმატებებსაც ვაღწევთ... ამიტომაც ჭიანჭველებმა ერთად უნდა იმუშაონ, ჩვენ კი უნდა ვლლიტოთ...

საუბრით რწყილი კოტეც დაინტერესდა. საზიდარში ჩამისკუბდა, ძმაკაცურად გადამეხვია და ათასი ტკბილი სიტყვა ჩამჩურჩულა. თან, ვითომ უნებლიეთ, მკლავზე მიბწკინა, წვეთი სისხლი ამართვა. გვიან მივხვდი, რისთვისაც ირჯებოდა. ამ ყაჩაღსა და ონავარს ნასვამზე ცოცხალი სისხლი მოსწყურებოდა. უმალ თავს უშველა და თავის რაშზე გადახტა. ალბათ, იფიქრა, არ გამიბრაზდეს და მკლავზე ღონივრად არ მიმისრისოსო. მისი დასჯა ვერ გავბედე, ნაბნკენი კი კარგა ხანს მექავებოდა.

მზემ საკმაოდ მაღლა აიწია, როცა გზაზე უზარმაზარი გუნდა დავინახეთ. მუქი-ნაცრისფერი ბურთი ნელა მიგორავდა. არცთუ სასიამოვნო სუნი დადგა.

ფუნაგორია ხოჭო მისდგომოდა და დიდის მონდომებით აწვებოდა.

— გედევანს გაუმარჯოს, დიდ ბატონ გედევანს! — დაუძახა გვაჯიმ.

— გედევანს დიდება! — შეჰყვილა კოტემ.

ფუნაგორია ხოჭო გედევანი შედგა, სერთუკის ჯიბიდან ზენრისტოლა ცხვირსახოცი დააძრო და ოფლი მოინმინდა.

— ბატონი გედევანი ჩვენი მინისტრთა კაბინეტის პრემიერია! — ამაყად გამაცნო გვაჯიმ.

— მერე ფუნა თვითონ უნდა აგოროს? — გულუბრყვილოდ ვიკითხე.

— ხალხი ხომ უნდა გამოვკვებოთ. — თავმდაბლად განაცხადა ფუნაგორია ხოჭომ. — მოგეხსენებათ, გაჭირვებისა და კრიზისის ჟამი დაგვიდგა! ვხედავ, გზაზე ძროხის უზარმაზარი ფუნა გდია, პატრონი არ უჩანს. გვერდს ხომ ვერ ავუვლიდი. იმედი მაქვს, სატახტო ქალაქ კვეკვერიას მოქალაქეებს სულზე ორ გრამს მაინც შევახვედრებთ!

— ბატონო პრემიერო, თქვენ საზიდარზე ამობრძანდით, ამ ფუნას კი ჩვენი ყოჩალი ბიჭები გააგორებენ! — შესთავაზა რწყილმა კოტემ.

გედევანმა, ალბათ, საკმარისად იმუშავა. საზიდარზე ძლივს ამოძვრა და თითქმის მთლიანად დაიკავა. მე კუთხეში მივიჭეჭყე, ვიფიქრე, კაუჭა ფეხებს არ გამოვედო-მეთქი.

მისი აღმატებულება კაი ვაჟკაცი ჩანდა. ზურგი ფოლადისებურად უბზინავდა, სერთუკის ღილები მჭიდროდ შეეკრა. პენიანად იცვამდა, მაგრამ, ბუნებრივია, ფუნის სუნი ასდიოდა.

მხედართმთავრებმა პრემიერს ჩემი თავი გააცნეს. მოკრძალებით მივესალმე მის აღმატებულებას, თან დავსძინე, იმედია, მთავრობა სტუმარს ყურადღებით მომეპყრობა-მეთქი.

ფუნაგორიამ კეთილმოსურნედ გადმომხედა და დამიყვავა:

— სტუმარი ღვთისაა! გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს ქვეყანაში სარჩო არაფერი გაბადიათ და სადაც რიგით მოქალაქეს ორი გრამი ფუნა ეკუთვნის, თქვენ ოთხს გამოგიყოფთ! გავჩუმდი!

რაკი დრო ბევრი გექონდა, პრემიერმა გედევანმა გამომკითხა ჩემი თავგადასავალი. მეტად ენაწყლიანი ვინმე იყო და სანამ გზას მოვიღვედით, დაწვრილებით გამაცნო ფორმიკალენდის ისტორია. აქ, ცხადია, მის ყველა მონაყოლს ვერ მოვი-

ტან. ვფიქრობ, ცალკე წიგნებად გამოვცე „საგეოგრაფიო აღწერანი“ და „ისტორია ფორმიკალენდისა“. მოკლედ კი მოგახსენებთ, რომ ფორმიკალენდის სამეფო მილიონი წლის წინათ დაარსდა ხელმწიფე ჭკიჭკიტია პირველის დროს. მისი არსებობის ცხრა ათასი საუკუნე ლეგენდების ბურუსშია გახვეული. ცხრაასი საუკუნის ამბებმა ფრაგმენტულად მოაღწია, ხოლო ბოლო ათი ათასი წლის მოვლენებზე „ფორმიკალენდის ცხოვრების“ ასამდე ტომია დანერილი. ამ ტომებს პირადად რედაქტორობდა ხელმწიფე ანდუყაფარის პაპისპაპის ჭკიჭკიტია მეთათასის ტყუპისცალი ძმა ბუტუტი მეხუთასე... ამ წიგნებში ხატოვნადაა წარმორჩენილი განუწყვეტელი ომების, ნგრევისა და აღმშენებლობის ეპოქები... ფორმიკალენდის ჟამთააღმწერელნი გვიყვებიან რაინდობასა და გმირობაზე, შორსმჭვრეტელ ხელმწიფეებსა და მხედართმთავრებზე... ფორმიკალენდის მეცნიერებს ტვინი თავის ქალაში ვერ ეტევათ და ზოგჯერ ყურებიდან გადმოსდით... მათი შაირთმესიტყვეთა სახელები მთელ დედამიწაზე ქუხს. მართალია, ამ წუთამდე თქვენს მონა-მორჩილს არც ერთი მოშაირის სახელი არ გამეგონა, მაგრამ ეს უფრო ჩემი გაუნათლებლობის ბრალია... მისმა აღმატებულებამ მორცხვად გამანდო, რომ ხანდახან ისიც კი წერს შაირებს...

ამ სასიამოვნო მოგზაურობას ცოტათი ფუნის სურნელი მიფუჭებდა. რატომღაც გუნდა თანდათან კლებულობდა. გვიან შევნიშნე, რომ ჯერ კოტეს მხედრობამ გამოიტენა ყბები და ჯიბეები, მერე ობობა გვაჯის სამეფო გვარდიამაც მიჰყო ხელი. ასე რომ, ჩემი ვარაუდით, კვეკვერიას მოქალაქეებს ორ-ორი გრამი უკვე ვერ შეხვდებოდათ. ფუნაგორია ხოჭო გედევანი კი, მისი აღმატებულება ბატონი პრემიერი, საკუთარი შაირის სტიქიაში გახვეულიყო და ირგვლივ ვერაფერს ამჩნევდა.

— იცით, მშვენიერი შაირი „კოტე ახტა-დახტა“ ჩემი შეთხზულია... დიახ!

თ ა ვ ი VI

აღწერანი სატახტო ქალაქ კვეკვერისი

ფორმიკალენდის სატახტო ქალაქი კვეკვერია განლაგებულია მდინარე ფუნანწყლის ნაპირებზე გაშლილ ფუნაჭალაში. ორივე მხრიდან ქალაქს საზღვრავს მაღალი მთები — ერთი მხრივ, ფუნაგორა, მეორე მხრივ — ნეხვიგორა. ასეთი უცნაური ტოპონიმები ქალაქს შემორჩა ოქროს იმ საუკუნიდან, როდესაც ქვეყანა ყვაოდა და ფუნა თითქმის მუქთად იშოვებოდა.

კვეკვერისას ცენტრი ნაწილობრივ დანგრეული დამხვდა. თურმე ობობა გვაჯის, რწყილ კოტეს და ფუნაგორია ხოჭო გედევანს არ მოეწონათ ხელმწიფე ანდუყაფარ პირველი, მეტსახელად ვეგეტარიანელი. მისი უდიდებულესობა მხოლოდ მარწყვით იკვებებოდა, სტერილურ წყალში ბანაობდა და ამას თავის ქვეშევრდომებსაც ასწავლიდა. ბოლოს ისე გათამამდა, სისხლდახარბებულთა გვარი და ჯილაგი შეიძულა და განიზრახა ქვეყნის დეზინფექცია, რაც რწყილებს, ობობებსა და ნაირ-ნაირ ხოჭოებს დიდ საშიშროებას უქადდა. სასწრაფოდ შეიკრა ტრიუმვირატი, მოათრიეს ზარბაზნები, ბუთქეს მეფის სასახლეს, მიწასთან გაასწორეს და ხელმწიფეც ნანგრევებში მოაყოლეს. ხოლო მის მაგიერ ტახტზე დასვეს ათი წლის ანდუყაფარ მეორე, მეტსახელად პირმწყაზარი.

რაკი მეფის მშვენიერი სასახლე დაინგრა, ხელმწიფეს ახალი რეზიდენცია გამოუყვეს, რომელიც გარედან უფრო ციხეს ჰგავდა და ისე იყო დაცული უმთავრესად რწყილი კოტეს მხედრობის მიერ, რომ შიგ ბუზიც ვერ შეფრინდებოდა, და თუ შეფრინდებოდა, უმაღვე დარაჯთა შამფურზე წამოეგებოდა.

კვეკვერიაში ძირითადად ერთი და ორსართულიანი სახლებია. ყველაზე ლამაზი შენობები ჭკიჭკიტია პირველის პროსპექტზეა განლაგებული. ეს პროსპექტი იწყება ბუტუტიას მოედანზე და თავდება ანდუყაფარ მეორის მოედანზე სადაც წამოყუდებულია სამეფოსათვის საყვარელ სტუმართა სასტუმრო „ბერმუხა“.

ბუტუტიას მოედანზე დგას ქვეყნის უზენაესი სალაცხოს მონუმენტური შენობა. იქვეა პრემიერ გედევანის სასახლე... ჭკიჭკიტია პირველის პროსპექტის მშვენიერა გახლავთ ოპერისა და ბალეტის თეატრი, სადაც საოპერო დასში უმთავრესად ჭრიჭინობელები მღერიან, ხოლო ბალეტის მოცეკვავეებად კუტკალიები და რწყილებია. ესენი ხომ სპექტაკლში და იმის შემდეგაც ვერ ისვენებენ და მუდამ ყირაზე გადადიან.

უფრო დანვრილებით კვეკვერიაში გატარებულ დღეებზე ქვემოთ გვექნება საუბარი, ახლა კი უმჯობესია კვლავ გზას დავუბრუნდეთ.

ჩვენი მხიარული კავალკადა სატახტო ქალაქს ავტომატის კაკანითა და რევოლვერების ბათქით უახლოვდებოდა. ფუნაგორია ხოჭო გედევანს ცოტა ხანს ჩასთვლიდა, თუმცა დამტვრეულ გზაზე საზიადარი ისე ინჯღრეოდა, გულმუცელი ამომივარდა. ირემახოჭოები დაილაღნენ და გაგვიჯიუტდნენ, ეშვებს მრისხანედ იქნევდნენ, მაგრამ ყოჩაღმა მესაზიდრემ სახრე გადაუშხუვლა, ზურგზე ზოლი დაამჩნია.

გედევანი გამოფხიზლდა და ქვეყნის საგარეო საქმეებზე ჩამოაგდო სიტყვა. ყური ვცქვიტე, იქნებ მისმა აღმატებულებამ თავისი აზრი გამოხატოს ჩემი სამშობლოს შესახებმეთქი. არც თქვენა ხართ კარგ დღეშიო, სინანულით მითხრა ფუნაგორიამ, ისე დაყიდეთ თქვენი ქვეყანა, ვფიქრობ, ნეხვისა და ფუნასაც არ დაიტოვებთ და ჩემი ჯილაგი შიმშილით ამონყდებო. მერე ფორმიკალენდის აწენილ საქმეებზე გადავიდა. თურმე ბოლო ორი საუკუნე სამეფო დაპყრობილი ჰქონდა მძლავრ იმპერიას, რომელსაც ლათინები უწოდებდნენ „Union de Areneus“, რაც ჩვენებურად „ობობათა კავშირს“ ნიშნავს. მეტროპოლია და კოლონიები აბლაბუდაში იყო ჩახლართული და ობობებს კარგი დახლი ედგათ. მერე აბლაბუდა დაიფლითა და იმპერია მოირღვა. მისი ნანგრევები მთებს გაღმა დღესაც ხრჩოლავს.

— ძალიან ვიჩაგრებოდით, — ამოიოხრა გედევანმა, — აბა, იმ დროს, ფუნაგორია ხოჭოს ვინ დასვამდა ქვეყნის პრემიერად, ან რწყილ კოტეს ვინ მიუგდებდა ყურს, ისე მისარისავდნენ, სატყეპელაც არ დასჭირდებოდა. თუმცა, აგერ,

ობობა გვაჯი მაშინაც გატიკნული დადიოდა და დღესაც მისი ჟამია!

ასეთი საუბრით მივალნიეთ ქალაქის გარეუბნებამდე. გედევანის ბრძანებით წინ მალემსრბოლები გაგზავნეს, რათა კვეკვერიას მოსახლეობასა და მთავრობას დროულად გაეგო ქვეყნის ციდან უცხო სტუმრის ჩამოვარდნისა და ძროხის მოზრდილი ფუნის შოვნის შესახებ. ეს ორი ამბავი საინფორმაციო საშუალებებმა ერთმანეთს დაუკავშირეს და ისე გამოდიოდა, თითქოს ეს ფუნა ჰუმანიტარული დახმარების სახით მე ჩამომეტანოს. ამ გაუგებრობამ დიდი ალიაქოთი გამოიწვია. მოქალაქე ჭიანჭველები გამოცვივდნენ სახლებიდან. მოჰქონდათ ბარები და ფინლები, ვედროები და ჯამ-ჭურჭელი. ქალაქში შესულებიც არ ვიყავით, გედევანის ნობათის ირგვლივ ზედახორა გაიმართა. ღონიერი ჭიანჭველები წინ მიძვრებოდნენ, სუსტნი საპენსიო წიგნაკებს იქნევდნენ და გაჰკიოდნენ, რიგი დაიცავით, რიგიო... გზები უმალ გადაიკეტა. გვარდიელები და მხედრობა ბრბოს გასაფანტავად იძულებულნი გახდნენ ჰაერში სროლა აეტეხათ. ჩვენი საზიდარი სანაპიროსაკენ მივმართეთ. აქეთკენ გზა უფრო თავისუფალი იყო. გვაჯის ორთვალა და კოტეს კუტკალიაც გამოგვყვნენ. ფუნანყალი ამართლებდა თავის სახელწოდებას. „აჰ, აჰ, რა ჰაერია!“ — გაიძახოდა მისი აღმატებულება ბატონი პრემიერი. მე კი ცხვირზე ხელს ვიფარებდი, თუმცა მალულად. გავიარეთ ვინრო ქუჩები. ვჩქარობდით და ჭენების დროს ქალაქს კარგად ვერ ვათვალისწინებდი. აქა-იქ სარეკლამო ნარწერებმა გაიღვავა. „კოკა-კოლას“ აქაც შემოედნია. მოგვიანებით გავიგე, ადგილობრივი გემოვნების გათვალისწინებით ცოტათი აზავებდნენ თურმე. დაბოლოს, ანდუყაფარ მეორის მოედნამდე გავალნიეთ, საზიდრის ბორბლები ქვაფენილზე არახრახნდა და თავზევით წამოიძარათა სასტუმრო „ბერმუხა“.

ჩვენს დანახვაზე ადმინისტრატორი, ჭიანჭველა ბეხვერია დაოთხილი გამოიქცა. იმსიმსხო იყო, გვერდებში ქონი გასდიოდა.

- ხელმწიფის სტუმარია! — ჩემზე აცნობა გვაჯიმ.
- არავინ აწყენინოს, თორემ... — დაემუქრა კოტე.

ბეხვერია შეეცადა პატივისცემის ნიშნად ფეხებში ჩაგვარდნოდა, მაგრამ ქონი უშლიდა ხელს და ველარ იხრებოდა.

გედევანმა პატივი დამდო, ოთხი გრამი ფუნის ქვითარი გამომიწერა. რა თავში ვიხლიდი და ჭიანჭველა ბეხვერიას ვუფეშქაშე. ის კვლავ შეეცადა ფეხებში ჩამვარდნოდა, მაგრამ სწრაფად გავეცალე.

მეცამეტე სართულზე ლიფტით ამიყვანეს. ორი ღონიერი ჭიანჭველა მომიჩინეს, ვითომც მსახურად, სინამდვილეში კი მსტოვრად. ერთი უმალ კართან გაიშოტა და ძილს მინებდა. მეორემ თამბაქოს ჰილზში კანაფი ჩატენა და დაიღრიჯა: „ნაფაზს ხომ არ დაარტყამ, ბიძა!“

აბაზანაში წყალი მოვუშვი. სამწუხაროდ, ნებიერა ცხვირი ფრიად შემინუხდა და ოთახში შემოვბრუნდი,

საბანში გავეხვიე და მოცელილივით მივეგდე. აღარ ვიცი, რამდენი მეძინა. კვლავ ჩემი თბილისური ბინა დამესიზმრა: თავი საკუთარ ყურბალიშზე მედო, ჩემი ნანიკო კი სამზარეულოში ფუსფუსებდა, ახლახან დარიგებული საბუტერბროდე მარგარინით ნამცხვარს მიცხობდა... გამომეღვიძა და თავზე ხელი შემოვირტყი: ვაიმე, ჩემო ცოლო და შვილებო, მოგიკვდეთ უტვინო მამიკო, სანამ აქედან გავალწევ, ვალს ვალი წაემატება და ქუჩაში აღმოვჩნდებით-მეთქი...

ტირილსა და თავში ხელის ცემას აზრი არა ჰქონდა, თავი გავიმხნევე და აივანზე გავედი.

ნეხვიგორასა და ფუნაგორას შორის გაშლილი ქალაქი თვალწარმტაცი სანახავი გახლდათ. ჭრელი სახურავები, ვინრო, დაკლაკნილი ქუჩები და ფართო პროსპექტები, ჭალებში განოლილი და კალთებს შეფენილი უბნები, ბალები და ბალჩები... ყოველი მხრიდან ზუზუნის მოისმოდა, სატახტო ქალაქი დაძაბული რიტმით ცხოვრობდა, სასტუმრო „ბერმუხას“ კედელთან მიტინგი ტარდებოდა...

თ ა ჯ ი VI

ჭიამაია დურუს გამოჩენა და აქა ამბავი ჭრიჭინობელა ზეინაბისა

ოთახში რომ შევბრუნდი, დერეფნიდან ხმაური შემომესმა. გავიხედე, ვილაც ოტროველა მისდგომია ჩემს ჭიანჭველებს და გვარიანად ბუბნის. ერთი ხომ ისედაც ძილით იყო დარეტიანებული, მეორე — კანაფის ქაჩვით. ამიტომ წინააღმდეგობას ველარ უნევდნენ და თავდამსხმელმა ისე გადახლართა ერთიერთმანეთში, გონს მოსვლის შემდგომაც, ალბათ, დიდხანს ვერ გაარკვევდნენ რომლის ფეხი რომელი იყო.

ამ საქმიანობას რომ მორჩა, ჩემკენ შემოტრიალდა და თავი დამიკრა:

— ჭიამაია დურუ!

საპასუხო სალამი ნაჩქარევად მივაგებე, თან გაკვირვებით ვათვალიერებდი. ზომიერად ჩასქელებული ვაჟკაცი ჩანდა, წონითა და მოცულობით ორივე ჯარისკაცს თუ არ ჭარბობდა, არც არაფერს დააკლებდა. ტანზე შავკოპლებიანი წითელი ლაზადა ემოსა, რომლის ქვემოთაც სიფრიფანა ფრთებს მალავდა.

— ესენი გვაჯის კაცებია! — ამიხსნა. — მე კი ხელმწიფის სამსახურში ვარ! ხელმწიფე ანდუყაფარს მიაჩნია, რომ გვაჯისაგან საფრთხე მოგელით, ამიტომ მიბრძანა, სასწრაფოდ მასთან გაახლოთ!

არ დამიწყია იმის გარკვევა, თუ რა საფრთხე მომელოდა. კარგა ხანს ვიყავი ობობასა და რწყილის საზოგადოებაში და ისედაც ვხვდებოდი, რომ როგორმე მათგან თავი უნდა დამეხსნა. იმაში კი ნამდვილად ვიყავი დარწმუნებული, რომ ჭიამაიები ჩემს სისხლს აღარ დახარბდებოდნენ.

— ლიფტით ველარ ჩავალთ. ქვევით ბეხვერია დაგვხვდება, ეგ ქონის კასრი კი გვაჯის ყურმოჭრილი მონაა. — ზიზლი გაკრთა დურუს ხმაში. — ერთადერთი გზა დაგვრჩა — საჰაერო. აბა, ზურგზე ამეკიდე!

მეცამეტე სართულის სიმაღლიდან რომ გადავიხედე,

გული ამიკანკალდა, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავდი, თანაც ჩემი ილბლის იმედიც მქონდა. ჩავებლაუჭე დურუს კოპლებიან ლაზადას და აივნიდან გადავეშვიტ... სახეში ჰაერის ნაკადი რომ მომხვდა, მეგონა ყველაფერი ამოყირავდა-მეთქი. სიმწრის ოფლმა დამასხა. დურუს, ალბათ, ვემძიმებოდი და დიდხანს ვერ მზიდავდა. ამ დროს გვერდითმა ქარმაც დაგვიბერა და პირდაპირ მომიტინგეებისაკენ გავგაქანა. დურუმ ფრთები ენერგიულად აამუშავა. მოქალაქე ჭიანჭველა რომ გვემსხვერპლა, საქმე ცუდად ნაგვივიდოდა. ამიტომ ხან ერთ მხარეს გადავყირავდით, ხან მეორეს და ზედ ტრიბუნაზე, მიკროფონთან მდგომ ჭრიჭინობელა ზეინაბს დავენარცხეთ.

როგორც შემდგომ ამიხსნეს, ქალბატონი ჭრიჭინობელა ზეინაბი ადრე უბრალო ქუჩის ჭრიჭინობელა ყოფილა და „ქალბატონად“ არც არავინ მოიხსენიებდა. დრო შეიცვალა, იგი ქუჩის შეურიგებელ ოპოზიციონერთა ლიდერად გადაიქცა. მისი პროგრამა იოლი დასამახსოვრებელი იყო, რადგან შედეგობა ერთადერთი უარყოფითი ნაწილაკისაგან — „არა!“

რანაირი კითხვაც უნდა დაგესვათ, თუნდაც სურს თუ არა მზის ამოსვლა, ან ჩასვლა, პასუხი ერთი იქნებოდა — „არა!“ ერთადერთი შეკითხვა, რომლის დროსაც ჭრიჭინობელას ჭოჭმანი შეუდგებოდა, ასეთი იყო:

„იკისრებთ თუ არა სამეფოს დედოფლობას, თუ ხელმწიფე ანდუყაფარი დაყაბულდება?“

ქალბატონ ზეინაბს უმალ გული მისდიოდა. მისი მომხრეები ნიშადურს აყნოსებდნენ. გონს მოსული ჭრიჭინობელა კი არცთუ დამაჯერებლად ნაიკნავლებდა:

„არა!“

სწორედ ასეთ სახელგანთქმულ ქალბატონს დავენარცხეთ ზევიდან და გავშოტეთ ფიცარნაგზე.

— არა! — იკივლა ჭრიჭინობელა ზეინაბმა.

ვერ მივხვდი, რას ელოდა ჩვენგან და რაზე გვეუბნებოდა უარს.

ჭიამაია დურუ სწრაფად წამოხტა, თან მეც ამითრია, რადგან შიშისაგან ისე ვიყავი გაოგნებული, ლაზადისათვის ხელის გაშვება დამავინწყდა.

მივცვივდით დაზარალებულს, წამოყენება მოვუნდომეთ, ის კი ჭირვეულად ასავსავებდა ფეხებს და თავისას გაიძახოდა:

— არა, არა!..

ატყდა ერთი ღრიანცელი, მომიტინგეები ფიცარნაგს მოაწყდნენ.

— არა!.. ძირს!.. აგენტები!.. სისხლისმსმელები!.. — ამას და უარესსაც გაიძახოდნენ.

მინდოდა მიკროფონთან მივსულიყავი, ბოდიში მომეხადა და ამეხსნა, რომ არავისი აგენტი არა ვარ და სისხლსაც არ გაიხლებით.

დურუმ ხელი მტაცა და განზე გამათრია.

— თუ გგონია, ამათ რამეს შეასმენ, შემცდარხარ! ვიჩქაროთ, თორემ გათამამდებიან და ისე დაგკბენენ, რუმბივით გასივდები!

შემიგდო ზურგზე და მომიტინგეებს თავზე გადავუფრინეთ.

ბუნებრივია, დიდხანს ვერ ვიფრენდით, მოედნის ბოლოს ძირს დავეშვით და გზა სირბილით განვაგრძეთ.

უკნიდან მოისმოდა ზეინაბის ხმა. ადრე თუ ნაზად ჭრიჭინებდა, ახლა ისე გასწიოდა, არა, არაო, ყურთასმენა წაიღო.

მოგვიანებით გავიგე, ქუჩის ოპოზიციამ „ბერმუხიდან“ ჩვენი გადმოფრენა პროვოკაციად მიიჩნია და ჭრიჭინობელა ზეინაბმა ნახევარი წლით შიმშილობა გამოაცხადა.

— მოუხდება კიდეც! — განმიმარტა დურუმ. — მთელი ზაფხული დაჭრიჭინობდა, დახტოდა, სურსათი ვერ მოიმარაგა, ახლა კი მის მომხრეებს გული აუჩუყდებათ და ერთ-ორ ლუკმას მიაშავებენ!

ასე იყო თუ ისე, მომიტინგეებს კარგა მანძილით დავშორდით და კვეკვერიას ვინრო ქუჩების ხლართში ჩავიკარგენით...

თ ა ვ ი VIII

ფათერაკები კვეკვერიაში

ქუჩას ორივე მხარეს დაბალი, ერთიერთმანეთზე წაყუნცული პანანკინტელა სახლები გასდევდა. კარ-ფანჯრები მიგმანული ჰქონდათ, ალბათ, ბინას მტვერს თუ არიდებდნენ.

მომცრო მოედანს მივალწიეთ და წინ კოლო გადაგვიდგა. თავზე კეპი ძველბიჭურად ეხურა, პირში სიგარეტი გაერჭო და თავხედურად სახეში შემომაბოლა.

— ჯიგარო, სიგარეტი მომანვეინე!

შარზე იყო, რა!

დურუ ფეხდაფეხ მომყვებოდა. წინ გადამასწრო და კოლოს ზორბა ჭიტლაყი ამოჰკრა.

— ბიჭებო, ჩვენი კაკო გაგვილახეს! — იწვილა ვილაცამ და ფანჯრებიდან, კარებიდან, მომიჯნავე ქუჩებიდან კოლოთა ჯარი გამოცვივდა. ზოგნიც ბანზე გადმოეყუნდნენ, წუოდნენ და ვიშვიშებდნენ. ესენი, ვფიქრობ, ქალები იყვნენ.

— აბა, კოლოთუბნელებო, ღონე გამისინჯეთ! — დაქადნებით შეუძახა დურუმ.

— ვაჰ, დურუ, შენა! — წამოიკნავლა კაკომ და ფეხებზე ძლივს წამოლასლასდა.

— ე, დურუ ყოფილა! — გადასძახეს ერთმანეთს კოლოთუბნელებმა და დაშოშმინდნენ, თუმცა, ვატყობდი, ჩემს დანახვაზე კბილებს ილესავდნენ.

— რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილოთ, გამვლელებს ნუ აუხირდებით-მეთქი, ვერავის გაუვლია კოლოთუბანში!

— დანყნარდი, დურუს ვენაცვალე! — თქვა ერთმა დარბაისელმა კოლომ. — ამ ჩვენს კაკოს ჩვენვე გავლახავთ! ძმურადა გთხოვ, ჭიქაზე ფეხი არ გვიკრა, ცოტა წავუქციოთ!

— ხომ იცი, ჩემო თომა, აღარა ვსვამ! — იუარა ჭიამაიამ, კიდური გამომდო და გამარიდა, თან ყურში ჩამჩურჩულა: — ამათ ერიდე, კოტესთან არიან შეკრულნი და თავსაც ამიტომ გავიდნენ!

— შენ კი იფრინე და... — აღტაცება ვერ დავმაღე.

— მე, ადრე, „ობობათა კავშირის“ ცემა-ტყეპის აკადემია დავამთავრე! ორასი კოლოც რომ მომგარდეს, ბღღუნას ავადენ!

გზად დუქნების რიგს ჩავუარეთ, შიგ კოლოები ისხდნენ, სინჯარებით სისხლის წვეთები გამოეფინათ.

— აშკარად ნაძარცვით ვაჭრობენ! — ბრაზით ჩაილაპარაკა დურუმ. — საკმარისია, ჩასთვლიმო, უმაღ ულუფას აგნაპნიან! დადექი და იფხანე მერე!

როგორც იყო, გავცილდით კოლოთუბანს და შევედით ჭიანჭველათუბანში.

გუნება გამომიკეთდა. სუფთად დაგვილი ქუჩები ერთი-ერთმანეთს ჭრიდა. ორსართულიანი სახლების ზედა სართულეზზე ფანჯრის შუშები კრიალებდა. აივნებზე ქოთნებით ყვავილები გამოედგათ. პირველ სართულეზზე სახელოსნოები და სავაჭროები ჩამოერიგებინათ. ქვაფენილებზე მიმოდიოდნენ დატვირთული საზიდრები და ორთვალები. ტროტუარები სავსე იყო სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი მამრი ჭიანჭველებით და კოპნია მდედრებით, რომლებსაც თავიანთი პანანკინტელა შვილები სკოლებში მიჰყავდათ. უფრო პატარები ფეხებში გვებლანდებოდნენ, ქვიშით ერთობოდნენ, ჭიდაობდნენ, ჩხუბობდნენ, ცეკვავდნენ... დიდების უმეტესობა მოუსვენრად დაფუსფუსებდა, ნავაჭრი ხორაგი მიჰქონდა, სახელოსნოში იჯდა, ჩაქურს უკაკუნებდა, კერავდა, კემსავდა, ფუნთუშასა და ღვეზელს აცხოვდა, ფუნას აგუნდავებდა, მარწყვის ჯემს, ალუბლის მურაბასა და ნაყინს ყიდდა.

— დურუს გაუმარჯოს, დურუს! — ხანდახან მოგვესალმებოდნენ წარმოსადეგი, ყარაჩოლელის ტანისამოსში გამოკვანჭული ჭიანჭველები.

— აქეთ მობრძანდით, შვილო დურუ, სტუმარიც დამიპატიჟე, მარწყვის ყელე გამისინჯეთ! — მოგემართავდა ერთი ჩასუქებული ქალბატონი.

— ალუბლის ნაყინი მიირთვით! — გვთავაზობდა მეორე. ჩვენ თავაზიან მადლობას ვუხდით და ფეხს ვუჩქარებდით. თვალნათლივ ჩანდა, რომ ფორმიკალენდის სიძლიერე

ჭიანჭველების კისერზე იდგა. ესენი დღენიადაგ შრომობდნენ და დოვლათს ქმნიდნენ.

ამასობაში მომშივდა კიდეც. იმ დროიდან, რაც ბათურას გამოვემშვიდობეთ, პირში ხემსი არ ჩამსვლია. იმის შიშით, ფუნა არ შემომთავაზონ-მეთქი, წუნუნისაგან თავს ვიკავებდი. ჭიამაიამ შემომხედა, მიხვდა ჩემს გასაჭირს და სარდაფის კიბეზე ჩამიძღვა.

კარზე კინტოს შარვლიანი ჭიანჭველა ეხატა. ხილით სავსე ხონჩა ეჭირა.

დაბალჭერიან, ნახევრადჩაბნელებულ დარბაზში აღმოვჩნდით. უხეშად ნაჩორკნ კუნძებზე ჭიანჭველები ისხდნენ და ქეიფობდნენ. ჰაერი გაჯერებულიყო ცხელი ორთქლით და თუთუნის ბოლით. კედლებზე პრიმიტივისტი ავტორის „მოცეკვავე ჭიანჭველები“ ეხატა.

ჩასუქებულმა დახლიდარმა ჩვენს დანახვაზე კიდურები გაშალა.

— მობრძანდით, დურუ ბატონო, რაიმე ხომ არ განწყენინეთ, სულ მთლად რომ დაგვივიწყეთ?

— საქმეებს ვერ ავუდივარ, ჩემო ანთიმოზ, საქეიფოდ ველარ ვიცლი! — უპასუხა დურუმ. — აგერ, შეხედე, შორი ქვეყნის სტუმარი მოვიყვანე!

— დასაკლავი არაფერი გვყავს, ჩემო დურუ, თუ სტუმარს სისხლი სწყურია...

— აჰ, მაგეთებს ვერ ვიტან! — საუბარში ჩავერთე. — ბუნებით ვეგეტარიანელი ვარ!

— დაბრძანდით, თქვენი ჭირიმე, გაუჩენელს გავაჩენ!

მივუსხედით მე და დურუ კუთხის მაგიდას. წუთში ჩვენს წინ დახვავდა ბალჩული და ხილეული — საზამთრო და ნესვი გინდა, მარწყვი და ატამი, ლელვი და ყურძენი, ნიგოზი და თაფლი... ახლო მაგიდიდან სინით გოზინაყი მოგვართვეს, შორი მაგიდიდან — ხალვა.

იქითკენ დოლ-გარმონი აახმიანეს და გრძელუღვაშა, ღიპიანმა ჭიანჭველამ აღმოსავლური ბაიათი აარაკრაკა. ხმა ისე დაუნვრილდა, ნემსის ყუნწში აძვრენდა.

წელის წარწარი რხევით გამოგოგმანდნენ ნორჩი ჭიან-

ჭველები და „კინტაური“ ჩამოუარეს.

ბევრი რაღა გავაგრძელო, კარგად ვიქეიფეთ!

ჭიამაია დურუმ ვარდის წვენი სავესე სასმისი ასნია და წამოიძახა:

— ჩვენს ხელმწიფე ანდუყაფარს, გაუ-მარ-ჯოს!

— ჯოს, ჯოს!.. — შესძახეს ერთხმად ჭიანჭველებმა და ამ დროს შემოსასვლელთან ხმაური მოისმა.

თითქოსდა ვილაცა ჩხუბობდა.

გასკდა კარი და კიბეზე ჭიანჭველების, რწყილებისა და კოლოების ზედახორა ჩამოგორდა.

ქვემიდან ნაცემ-ნაგვემი კოლო კაკო გამოძვრა და დაინ-რიპინა:

— აი, ისინიც!.. ამათ მცემეს!

რწყილებმა თავი მოიგიჟიანეს:

— ამათ ჩვენს ძმას სცემეს? მიგვიშვით!..

ჭიამაია დურუმ წამოვარდა და შეეგება. მომხდურები არყ-ით ყარდნენ და, ეტყობა, თავხედობა გასდიოდათ, რადგან სარდაფში მოქეიფე ჭიანჭველებმა თავს უშველეს.

დახლიდარმა ანთიმოზამ ამოიოხრა:

— კოტეს მხედრობაა! სანამ ყველაფერს არ დამილე-წავენ, არ მომეშვებიან! — მერე უკანა გასასვლელისაკენ მანი-იშნა: — გაიქეცი, დურუმ ესენი ვერ მოერევიან!

ცხადია, მეგობარს გასაჭირში ვერ მივატოვებდი. ბოლოს და ბოლოს მეც ქართველი ვარ და კაცობისა რაღაცა მცხია. ავდექი და ერთ-ორ რწყილს ისე გავუქანე, მგონი ყბები მოვუნ-გრიე. კოლო კაკოს, მაგ ნაძირალას, ისეთი წიხლი ამოვკარი, ვფიქრობ, საპენსიოდ გავამზადე... ჭიამაია დურუმ უფრო ყოჩა-ლად ირჯებოდა, ვისაც მოსცხო, ყველანი ნოკაუტში ჩააგდო. მაგრამ მომხდურებს ახალ-ახალი მხედრობა ემატებოდა და აქედან დროული ათესვა უფრო უპრიანი იქნებოდა. მე და დურუმ მხარი-მხარს მივეცით, ნაბიჯ-ნაბიჯ დავიხიეთ და ბოლოს კარს მიღმა გავსხლტით...

ბნელი დერეფანი სწრაფად მოვილიეთ. წინიდან სინათლე აბრჭყვივალდა და კვლავ ქალაქის უბანში აღმოვჩნდით.

— ფრთხილად! — მანიშნა დურუმ. — აქ რწყილთუბან-ია! ესენი ცალ-ცალკე მხდლები არიან, ერთად უყვართ დასევა!

საყელოები ავინიეთ, ქუდები ჩამოვიფხატეთ და გზა ისე დინჯად გავაგრძელეთ, ვითომც წუთის წინ არც გვიჩხუბია. გული მიფანცქალედა, მაგრამ გარეგნულად შიში არ გამიმ-ჟღავნებია. რწყილთა სახლებისაკენ გახედვაც არ მინდოდა. ამათი დიასახლისები არც გვიდნენ და არც რეცხავდნენ, ყვე-ლაფერს ქეციანი ძაღლის სუნი ასდიოდა.

უცებ საიდანღაც პანანკინტელა რწყილუკა გადმოხტა და დაინივლა:

— უყურეთ, რამოდენა სადილი გვესტუმრა!

სადილიო? — ატყდა კარ-ფანჯრების რახარუხი. ყოვე-ლი მხრიდან რწყილებმა გამოყვეს თავი და ცნობისმოყვარედ მოგვაცქერდნენ. უფრო გამბედავები კვალზე გამოგვეყენენ. ერთი-ორი მამაცი რწყილი წინიდან გადაგვიდგა, მაგრამ ჩვენ შეუჩერებელი წიხლები ვკარით და განზე მივყარეთ.

თითქოს შეთანხმებულად, სირბილით წინ გავიჭერთ.

— დაიჭით, არ გაუშვათ! — იკივლა ვილაცამ და რწყილე-ბის მთელი გუნდი გამოგვენთო.

ყოჩაღად გავრბოდით, მაგრამ ისინი ნახტომებით გვეწე-ოდნენ.

მაშინ გამახსენდა მისი აღმატებულება ბატონი პრემიერის შესანიშნავი შაირის სტრიქონები — „რწყილი ახტა-დახტა...“

ქუჩის ბოლოს ერთმა მოახერხა კიდეც, მხარზე შემახტა და კისერში ნესტარი ჩამასო, თუმცა, ვფიქრობ, ჩემი სისხლი ვერ შეირგო, რადგან ძირს ვბერტყე და თან ისეთი ვდრუზე, თუ სასწრაფოდ რენიმაციაში არ გააქანებდნენ, სულს უფალ-თან გაგზავნიდა...

თ ა ვ ი IX

ფათერაკები გრძელდება

გზაჯვარედინთან რწყილები უცბად ჩამოგვეშორდნენ. გავიხედე და დავინახე, რამაც ისინი დააფრთხო: გზის სავალ ნაწილზე უზარმაზარი წითელი ბალღინჯო გატყლარჭულა, პოლიციელის კიტელი და შარვალი ტანზე ასკდება, წინა კიდურში საჩიჩქნი უჭირავს და ზანტად იჩიჩქნება. ისეა სისხლით გატიკნული, თითი რომ დააჭირო, პირიდან წასკდება.

— გენაცვალე, რატომ არღვევ საგზაო წესებს? — დაასლოკინა.

— რომელ წესებს? — გავიკვირვე.

— აკრძალული სიჩქარით მორბოდით, თანაც ქუჩის სავალ ნაწილში... ხომ შეიძლება, პატივცემულ ბალღინჯოს შეასკდე და გაიტანო, იყურყუტე მერე ციხეში.

ვატყობ, ჭიამაია დურუს ვერა ცნობს და სურს რამე დაგვცინცლოს.

დურუ ბრაზით აენტო, საცაა წაუთაქებს.

ამ დროს ბედად, მხედარი გამოჩნდა. ორჯერ უფრო მეტად გატიკნული ბალღინჯო ირემახოჭოზე გადამჯდარა და დეზების ცემით აქეთკენ მოაქანებს.

— დურუს დიდება! სალამი ჩვენს სტუმარს! — შორიდან მოგვესალმა მხედარი.

გაბერილი ღიპი უნაგირზე შემოუდგია, სამხრეებზე იმდენი ოქრო ასხია, პოლიციის გენერალზე ნაკლები არ იქნება.

რიგით ბალღინჯოს შიშის ოფლმა დაასხა. სმენაზე დადგა. ზედმეტი დაძაბულობისაგან სერთუკის ღილაკები მოწყდა და ტყვიასავით მიმოიფანტა. ერთი ცალი შუბლში მომხვდა და კოპი დამაჩინა. თვითონ პოლიციელს კი ტიტლიკანა ღიპი აუთახთახდა.

— რა ხდება აქ? — იკითხა პოლიციის ჩინმა.

დამფრთხალი პოლიციელი შემეცოდა და, თუმცა შუბლს ვისრესდი, ხმა არ ამომიღია. დურუმაც ბრაზი დაიცხრო და

შემრიგებლურად უთხრა:

— მეტი ჭკუა და წესიერება სჭირდებათ თქვენს ხელქვეითებს, ბატონო ყარამან!

ყარამანმა პოლიციელს ცხვირწინ კიდურები აუქნია და ყვირილი მორთო:

— გვარცხვენ, ხომ? შე ლენჩო, ფორმა გაცვია და დურუს ვერა ცნობ?!

დურუმ მხარი გამკრა, მანიშნა, სანამ უფროსი უმცროსს ანგარიშს უსწორებს, აქედან გავეცალოთო.

გზა მშვიდად გავაგრძელეთ. უკნიდან კარგა ხანს გვესმოდა მაღალი ჩინოსნის ყვირილი.

— ეს ყარამანი დიდი ვირეშმაკაა! — ამიხსნა დურუმ. — გენერლობა კაი სმა-ჭამაში მიიღო. იგი მსუქანი ნაჭრების დათრევის ჩემპიონია. კვეკვერიაში ომი რომ გაჩაღდა, იმდენი მოახერხა, მეომარ მხარეთა შორის განვა და უკანალი აბზიკა. მაგის ტრა...სათვის იმ დროს არავის ეცალა, მაგრამ შემთხვევით ვეგეტარიანელთა ნასროლით გაიკანრა. ყარამანსაც ეს უნდოდა! უმაღვე გამარჯვებულებს მიემხრო და ჯილდოც მიიღო. ადრე თუ ანდუყაფარ ვეგეტარიანელის კარზე თოხლაობდა, ახლა პირმწყაზარის ნასუფრალით იკვებება!

— ახლა რას უზამს მაგ პოლიციელს? — ჩავეძიე.

— შემოეჭმევა! — მშვიდად მიპასუხა დურუმ.

ამ დროს მეტად უსიამოვნო სუნი მეცა. დურუმაც პირზე ცხვირსახოცი აიფარა. წაყუნცული სახლის კუთხიდან ტახივით ჩასუქებულმა არსებამ გამოიხედა. დურუმ ერთი უფთხვინა და ისიც დაიკარგა.

— ტილთუბანს უმჯობესია გვერდი ავუქციოთ! — ზიზლით თქვა დურუმ. — ესენი ქურდები და მანანალეები არიან, ფულს სიძვითა და ჭუჭყით შოულობენ!

— ეგ როგორ?

— ამათი დედაკაცები ფულის გულისათვის ვისაც გინდა ჩაუგორდებიან! ფუჰ, ღმერთმა გვაშოროს! — წამოიძახა დურუმ და ფეხს აუჩქარა. მერე ცოტათი დამშვიდდა და განაგრძო: — თუ აგეკიდნენ, ველარ მოიშორებ! არც ტარაკნები მეხატება გულზე, მაგრამ ამათთან რა შედარებაა...

მართლაც, ტარაკანთუბანში შვებით ამოვისუნთქე. აქ ქუ-

ჩები შედარებით სწორი და დაგვილი ჩანდა. აქა-იქ ხე იზრდებოდა. ფანჯრის ძირას ყვავილი ხარობდა. აივნები შეღებილი ჰქონდათ და ზედ დაძონძილი ხალიჩები გადმოფინათ დასაბერტყად. ტროტუარებზე მოქალაქე ტარაკნები თავიანთ ცოლებთან ერთად დარბაისლურად დასაქონდნენ და ერთმანეთს უღვაშების ცმაცუნით ესაღმებოდნენ. უმრავლესობას შავი და კრემისფერი ეცვა. დედაკაცებს ცოცხები ეჭირათ, მამაკაცებს ურიკებით ნაგავი გაჰქონდათ. პატარა ტარაკუნები ეზოებში თამაშობდნენ, რამდენი ნაგავიც მშობლებს გაჰქონდათ, იმდენს შვილები ყრიდნენ.

ერთმა დარბაისელმა ტარაკანმა ფეხსაცმელი დამისუნა და ეჭვით ამომხედა. ამას კრემისფერი ყილეტის ჯიბიდან ძეწკვიანი საათი მოუჩანდა და უღვაშები აქეთ-იქით ჩაპაევურად გაეწვართა.

— რა იყო, დიანოზ, რა არ მოგეწონა? — ჰკითხა დურუმ.

— ვიფიქრე, სტუმარს ტილთუბნიდან რამე ხომ არ გამოჰყვა-მეთქი! — წამოიწია და დურუმს მამამებლურად მოუცაცუნა უღვაშები. — დაგვეწვიეთ, დურუ ბატონო, პრემიერ გედევანის ნასუფრალიდან ნარჩენები გადმოუყრიათ და ჩემმა მიუღღემ მომირბენინა. ისეთი ლუკმებია, გაგიხარდება!

— გვეჩქარება, ჩემო დიანოზ, სხვა დროს იყოს! — გაეცინა დურუმს.

ნასუფრალიდან მირთმევა დიდად არც მე მხიბლავდა.

ტარაკანთუბნიდან ორი ნაბიჯილა გვრჩებოდა ბუტუტიას მოედნამდე და სწრაფად ჩავირბინეთ.

ცხადია, სხვა ვითარებაში სასტუმრო „ბერმუხიდან“ ამოდენა ფათერაკიანი გზის გავლა არც დაგვჭირდებოდა, რაკი ანდუყაფარ მეორის მოედნიდან შეგვეძლო პირდაპირ ჭკიჭკიტია პირველის პროსპექტით აქამდე გამოგვევლო, მაგრამ შევეცადეთ არაკეთილმოსურნეთა თვალს არ შევჩხეროდით და გზაც იმიტომ გავიმრუდეთ.

ბუტუტიას მოედანი და ჭკიჭკიტია პირველის პროსპექტი კვეკვერიას მშვენიერაა. ორივეს ალამაზებს უზარმაზარი შენობები, ფორმიკალენდის არქიტექტურის იგავმიუწვდომელი შედეგები. მათში ვლინდება ჭიანჭველას მაღალი შემოქმედებითი ინტელექტი. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი ბოლო ომმა

გაანადგურა და ნანგრევებზე რეკლამებით აჭრელებული ფიცრის დაფებია აფარებული.

ბუტუტიას მოედანზე უზენაესი სალაყბოს მონუმენტური შენობაა აღმართული, მის თავზე ფორმიკალენდის შვიდფერი დროშა ფრიალებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის მთავარი სალაყბო დაძაბულად მუშაობს. მინისტრთა კაბინეტის შენობა ოდნავლა ჩამოუვარდება თავის მეზობელს და მის თავზეც დროშაა აღმართული. მისი აღმატებულება ბატონი პრემიერი ფუნაგორია ხოჭო გედევანი თავის კაბინეტში ზის და ჰუმანიტარულ ფუნას ანაწილებს. მოედნის ცენტრში უზარმაზარი მონუმენტი დგას. მაღალ კვარცხლბეკზე თვით ჭკიჭკიტია პირველი წამომართულა. ერთი კიდური ჩრდილოეთისაკენ მიუშვერია, მეორე — სამხრეთისაკენ, მესამე — აღმოსავლეთისაკენ და მეოთხე — დასავლეთისაკენ. პირველ ხელმწიფეს, თურმე, მთელი პლანეტის დაპყრობა ეწადა, რაც განუხორციელებია კიდევ. ჭიანჭველები მთელ დედამიწას მოედნენ, ოღონდ ტვირთის სიმძიმე ვეღარ გათვალეს და ამიტომაც დაჩიავდნენ.

ჭიანჭველური ანდაზა გვასწავლის: იმაზე მეტ ტვირთს ნუ წამოიკიდებ, რისი აწევაც შეგიძლია!

სატახტო ქალაქის ცენტრი მეტად ხმაურიანი აღმოჩნდა. იგი გადატვირთული იყო საზიდრებით, ურმებითა და ორთვალეებით. აქა-იქ იაპონური მანქანებიც შევნიშნე. დახეთ, ამ იაპონელებს თურმე ფორმიკალენდშიც შემოუღწევიათ!

ტროტუარები სავსე იყო მოსეირნე მოქალაქეებით, უმთავრესად ელიტარული ჭიანჭველობა მიმოდიოდა, ჭრელაჭრულა ჩაცმულობით აწონებდნენ ერთმანეთს თავს (ჩემი იქ ყოფნის დროს მოდიდან უკვე გადიოდა მოხარშული ჯინსები!).

სასტუმრო „ბერმუხის“ მხრიდან ჩოჩქოლი მოისმა. იქიდან დემონსტრანტები დაიძრნენ. თავდაპირველად მხოლოდ ჭრელი დროშები ჩანდა, მერე ტრანსპარანტები გავარჩიე, რომლებზეც ერთადერთი ნაწილაკი ეწერა — „არა!“ ბრბომ თანდათან გაავსო ჭკიჭკიტია პირველის პროსპექტი. წინ საკაცით ჭრიჭინობელა ზეინაბი მოჰყავდათ. დაზარალებულს პირთან მიკროფონი მიედო და თავდაუზოგავად იჭინებოდა:

— არა, არა!..

პასუხად ბრბო სამგზის იმეორებდა:

— არა, არა, არა!

— დადიან და ხმაურობენ! — ამიხსნა დურუმ. — უკმაყოფილონი არიან, ოღონდ არ იციან, რისი!

ამ საუბარში ვიყავით, როცა მომიჯნავე ქუჩებიდან ხელკეტიანი პოლიციელი ბალღინჯოები და კოტეს მხედრობა გამოცვივდა. ატყდა ერთი ცემა-ტყეპა, ვერ გავარკვიე, ვინ ვის ურტყამდა და ვინ სად გარბოდა.

— ნავედით! — მომქაჩა დურუმ.

მაღალ თეჯირს გადავახტით და დაბურულ ბაღს შევეფარეთ. შორიდან კვლავ მოისმოდა ხმაური. აქ კი სულიერი არავინ ჭაჭანებდა.

ცოტა ხანს ვიარეთ. დურუმ ხშირი ბუჩქნარი გადასწია და იმის მიღმა საიდუმლო კარი აღმოჩნდა.

ჭიამაიამ გასაღები მოარგო.

ბნელ დერეფანში შევედით.

წინიდან გაანათა.

— ციცი, შენა? — იკითხა დურუმ.

— ჰო, გელოდებით!

ციცინათელა ციცი შემოგვეგება და გაგვიძვავა.

პირისახეზე ვერ შევხედე, რაკილა უკანალით გვინათებდა.

ხანდახან დურუ ჩერდებოდა, მაფრთხილებდა, რამეს თავი არ წაარტყაო.

უცბად გვერდიდან პანანა თვალეებმა გაიბრჭყვიალა. მომეჩვენა, რომ სიბნელიდან ვიღაც მითვალთვალეებდა.

— დურუ! — ჩურჩულით გავძახე.

— რა იყო?

— იქ ვიღაცაა!

დურუმ იმ მხარეს ნაბიჯი გადადგა. ციციც გაჩერდა, იმ კუთხეს მიანათა, მაგრამ ცარიელი კედელია დავინახეთ.

— მოგეჩვენა! — დამამშვიდა დურუმ და გზა განვაგრძეთ.

მაინც ვეჭვობდი, რომ სიბნელიდან ვიღაცა მითვალთვალეებდა.

გვირაბის ბოლოს დღის სინათლე გამოჩნდა, ციცის ნათელი ჩაუქრა. ერთი გამწვანებული ქალბატონი აღმოჩნდა. შემდგომ დურუმ ამიხსნა, რომ იგი ხელმწიფე ანდუყაფარის უერთ-

გულესი ფარეშია და თუ მტერი გაიმარჯვებდა, წესისამებრ, პირველს მას ჩამოჰკიდებდნენ, ოღონდ უკანალით.

მიმოვიხედე, თურმე ხელმწიფის სამზარეულოში აღმოვჩნდი.

თეთრჩაჩიანმა მზარეულებმა ვითომც ვერ შეგვამჩნიეს.

უამრავ ქვაბსა და ქვაბუნაში იხარშებოდა ნაირ-ნაირი მურაბა, ხილფაფა, კომპოტი, ხილისა და ბოსტნეულის წვენები... ტაფებსა და ტაფუნებზე ცხვებოდა ნამცხვრები და ფუნთუშები... იბრანებოდა ხაჭაპური, ქადა და ნაზუქი. მოკლედ, ყველაფერი, რითაც შეიძლება პირი ჩაიტკპარუნოს ათი წლის ბიჭუნამ...

თ ა ვ ი X

აქა ამბავი მისი უდიდებულესობისა და წინცესა ნათელიკოსი

ჭიამაია დურუმ მისაღებში შემიყვანა, ციცისთან დამტოვა, თვითონ კი კარს მიღმა გაუჩინარდა. ეს იყო მაღალჭერიანი, რბილი ავეჯით განწყობილი ოთახი. მისი ფანჯრები ბაღში გადიოდა. ზედ აკრული წვრილი გისოსები სამეფო ოჯახს იცავდა მომაბეზრებელი მთხოვნელებისა და ტერორისტებისაგან.

ქალბატონმა ციციმ სავარძელზე მიმითითა, თვითონ კი ტელეფონში ჟღერტული დაიწყო.

საგრძობლად ვლელავდი. გამახსენდა ობობა გვაჯის სიტყვები, ხელმწიფის სახელის გაგონებაზე ძირს უნდა იკოტრი-ალოო; აგერ, ჭიანჭველა ბათურა და მისი ჯალაბობა მიწაზე წვებოდნენ პატივისცემის გამოსახატავად; სასტუმროს ადმინისტრატორი ჭიანჭველა ბეხვერია ცდილობდა ორად გადაკეცილიყო და არა გამოსდიოდა რა... მიუხედავად ჩემი გვარიშვილობისა, არ ვიცოდი, რანაირად წარვსდგომოდი მის უდიდებულესობას, უბრალოდ თავი დამექნია თუ შუბლი პარკეტზე მერტყა, ენა პირში გამეჩერებინა თუ იატაკი მელოკა, როგორც ეს ლაგნაგის მეფის კარზე ხდებოდა (იხ. ს ვ ი ფ ტ ი, გულივერის მოგზაურობა).

ამ დაბნეულობის შედეგი იყო, რომ ქალბატონ ციცის უტაქტოდ დავეკითხე:

— გეთაყვათ, რამდენვოლტიანია თქვენი განათება?

ციციმ უცნაური ხმა გამოსცა, ალბათ, გაიცინა და იმ წუთიდან თვალეში შემომციცინებდა, ფლირტის გაგრძელებას თუ ელოდებოდა.

მე კი მივბრუნდი და კუთხეში მიდგმულ ტელევიზორს მივაცქერდი. ეკრანზე ჭიანჭველების სახალხო ანსამბლი ასრულებდა მრავალყვირილიან საომარ სიმღერას. გემოვნებაზე არ დაობენ, მაგრამ ნუ მინყენენ ჩემი ჭიანჭველა მეგობრები და მე უფრო ჭრიჭინობელების ჭრიჭინი მირჩევნია.

— მე მალაღაბვიანი ქალი ვარ, გეთაყვა! — მომესმა უცებ ციცინათელას პასუხი.

საბედნიეროდ, დურუ გამოვიდა და მანიშნა, შებრძანდიო, თვითონ კი მისაღებში დარჩა.

შევედი.

— მოდი, მოდი, ვითამაშოთ! — მომესმა უცებ ბიჭუნას წკრიალა ხმა და უზომო განცვიფრებისაგან ნაბიჯი ვერ გადავდგი.

ჩემი გაოგნება არ გამოუწვევია ვრცელი და მაღალი დარბაზის სიმშვენიერეს, ბაროკოს სტილის ფანჯრებს, ბროლის ჭაღებს... არც შემადლებულზე დადგმულ ოქროს ტახტსა და ფარჩაგადაფარებულ მაგიდაზე — ძვირფასი თვლებით მოჭედო ოქროს სამეფო გვირგვინსა და სკიპტრას... არც კედლებზე ჩამოფენილი ეროვნული დროშების ფერადოვნებასა და ტახტის თავზე ამოკვეთილ გერბს, რომელზეც მეორდებოდა მოედანზე დადგმული ჭკიჭკიტია პირველის გამოსახულება.

მეგონა, უკვე არაფერი გამიკვირდებოდა!

მისი უდიდებულესობა ფორმიკალენდის ხელმწიფე ანდუყაფარ მეორე პირმწყაზარი და ხელმწიფის უფროსი დაიკო მისი ბრწყინვალეობა პრინცესა ნათელიკო ტიტლიკანანი ბრძანდებოდნენ. უფრო სწორად, თავდაპირველად მომეჩვენა, რომ ტიტლიკანანი ბრძანდებოდნენ. სინამდვილეში კი ხელმწიფეს ეცვა აბლაბუდის შარვალ-პერანგი, მხრებზე გადაეგდო აბლაბუდისავე მოსასხამი, ხოლო პრინცესა ნათელიკოს ემოსა

აბლაბუდის ძვირფასი კაბა, რომლის არსებობას ის პატიოსანი თვლები მოწმობდა, აქა-იქ ქალწულის გულმკერდსა და მხრებზე რომ გაიელვებდა.

— მოდი, ვითამაშოთ! — ჭირვეულად გამიმეორა ბიჭუნამ და იძულებული გავხდი მივსულიყავი.

დარბაზის შუაგულში, პირდაპირ იატაკზე სათამაშო რკინიგზა მოეწყოთ, ციცქნა მატარებელი და ვაგონები ლიანდაგზე დაქროდნენ, გვირაბებში ძვრებოდნენ, ხიდებზე გადადიოდნენ. ყოველივე ამას აღფრთოვანებული ტაშით ხვდებოდნენ მათი უდიდებულესობები და და ძმა.

უსიტყვოდ ჩავცუცქედი, ორთავეს თვალს ვერ ვაშორებდი. ვცდილობდი, აზრი მომეკრიბა.

მისი უდიდებულესობა ანგელოზივით ბიჭი გახლდათ. მოხდენილი სპორტული აღნაგობა ჰქონდა. ცისფერ თვალეში ხანდახან სიცივე ჩაუდგებოდა, მაგრამ ისეთი კრიალა ღიმილი გაუბრწყინდებოდა, პირისახე ისეთი ცოცხალი და საყვარელი უხდებოდა, რომ არ შეიძლებოდა ადამიანში საპასუხო გრძნობა არ გამოეწვია. ოღონდაც, ათი წლის ბიჭის თავზე გასაოცარი სანახავი იყო სამოცდაათი წლის კაცის ჭალარა. მერე გავიგე, ყმანვილი ხელმწიფე იმ დღეს გაჭალარავდა, როცა ზარბაზნების გრიალით მისი წინამორბედი და სეხნია დაამხეს, ის კი საზეიმოდ ტახტზე აიყვანეს.

პრინცესა ნათელიკოზე ლაპარაკიც მიჭირს. ვინანიებ, რომ მისმა იგავმიუნვდომელმა სილამაზემ კინაღამ ჩემი ნანიკო დამავინყა, შოლტივით გოგონას ერთი ბენო ნაკლი არ დაეძებნებოდა. რა შხვართი ფეხები ჰქონდა, რა მოხდენილი თეძო და წელი, როგორი ქალური გულმკერდი, გლუვი მხრები, ჩანჩქერივით ოქროს თმები, პირისახის ოვალი, ზომიერი ცხვირი და ძმასავით ცისფერი თვალეები... ოჰ, მისი ბაგეები... მაპატიეთ, მეგონი, შორს შევტოპე!

— დახე, ახლა ობობა გვაჯი ხიდს ააფეთქებს და მატარებელი გადავარდება! — შემომცინა მისმა უდიდებულესობამ და ღილაკს თითი დააჭირა.

ხიდი უმალ შუაში გაიპო. მატარებელმა განწირულად შეჭკვილა და გადაიჩხა. მასზე მიბმული ვაგონებიც გადაყი-

რავდნენ და ერთმანეთზე აიხორხლნენ.

— ახლა დაზარალებულ მგზავრებს რწყილი კოტეს ბიჭები მისცვივდებიან! — მისმა უდიდებულესობამ კოლოფიდან თუთიის ჯარისკაცები გადმოყარა და დამტვრეული ვაგონების ირგვლივ განაღება.

— ნაძარცვს, ცხადია, ჩემი პრემიერი გედევანი ლელვის ფოთოლს გადააფარებს!

მისმა უდიდებულესობამ იატაკზე დაფენილი ხალიჩის კიდე ასწია და სათამაშოს ზედ გადააფარა. მერე ხელები დაიბერტყა, ტახტზე აბრძანდა და მანიშნა მომცრო სკამზე, რომელიც მის ფერხით იდგა. თურმე მასზე დაჯდომა დიდ პატივად ითვლებოდა და იგი კართან დაახლოებულ პირთა მუდმივი შურისა და ქიშპის საგანს წარმოადგენდა.

მომხიბლა ხელმწიფის ასეთმა ნდობამ. გამაოცა პატარა ბიჭისათვის უჩვეულო სიბრძნემ და გონიერებამ. ხანგრძლივი საუბრის შემდეგ დავასკვენი, რომ და-ძმაში (პრინცესა ნათელიკო ჩვიდმეტისა გახლდათ!) ერთად შერწყმულიყო ბავშვური გულუბრყვილობა და ბერიკაცის გონიერება.

ჩვენი საუბრის შინაარსს აქ მთლიანად ვერ მოვიტან. ჯერ ერთი, დიდ ადგილს წაიღებს, მეორეც, ძალიან აღელვებული ვიყავი და გონებაში ბევრი რამ ამერია.

თავდაპირველად ხელმწიფემ მოიკითხა თავისი „ძმა და მეგობარი“, ჩვენი ქვეყნის პირველი პირი. რატომღაც მიიჩნია, რომ მე მისი ნდობით აღჭურვილი დესპანი ვიყავი.

ამას რომ ამბობდა, ისე მომხიბლავად იღიმებოდა, ჩემი გული უმალ მოიგო.

პრინცესა ნათელიკომ მომიბოდიშა ზედმეტი ცნობისნადილის გამო, მაგრამ მთხოვა, ამეხსნა, თუ რატომ ვარ ასეთ უხემ ქსოვილში ჩაჯავშნული, ნუთუ ამ ტანისამოსისაგან სხეული დალილავებული არა მაქვს, ან იქნებ რაიმე სიმახინჯეს ვმალავ და არა მსურს ქვეყანას ვაჩვენო.

შევეცადე, ამეხსნა, რომ ჩვენთან ადამიანები ასე იცვამენ და სიშიშვლის გამოჩენას ერიდებიან.

— ნუთუ მე მახინჯი ტანი მაქვს? — ლამაზი შუბლი შეიჭმუნა პრინცესამ.

— ოჰ, თქვენო ბრწყინვალეზავ, თქვენზე მშვენიერი არსება დედამინის ზურგზე არ დაიარება! — ვერ დავმალე აღფრთოვანება.

— მაშინ ვერ გამიგია, ჭუპრივით რატომ უნდა გავეხვიო პარკში? — განმიცხადა პრინცესა ნათელიკომ. — ისედაც ხომ მაგ ტანსაცმლის ქვეშ ყველანი შიშვლები ვართ!

ამაზე რა მეთქმოდა და გავჩუმდი. ხომ ვერ ვეტყოდი, რომ ფორმიკალენდში ჩემნაირად ათასნაირი მახინჯი მწერი და ხოჭო იცვამდა.

მისმა უდიდებულესობამ დაწვრილებით გამომკითხა ჩემი თავგადასავალი, მერე ჩემი სამშობლოს ისტორია და გეოგრაფია. ცოტა თვითონაც იცოდა, თანაც ისეთი რამ, რაზეც აქამდე არც დავფიქრებულვარ. მისმა უდიდებულესობამ მაცნობა, რომ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს მილიარდი ჭიანჭველა. ფორმიკალენდის სტატისტიკოსებმა აღნუსხეს მამრისა და მდედრის რაოდენობაც, აგრეთვე უწლოვანთა რიცხვი და შეადგინეს ჭიანჭველათა ჯიმ-ჯილაგის რეესტრი...

ჩვენს დღევანდელ, კრიზისულ მოვლენებზე რომ ვუყვებოდი, მისი უდიდებულესობა მოიღრუბლა, პრინცესა ნათელიკოს კი თვალეები აუნწყლიანდა.

— ეჰ, ჩვენ, ჭიანჭველები ქართველებს ვგვანებივართ! — ამოიოხრა ხელმწიფე ანდუყაფარმა.

მინდა შეგახსენოთ, რომ მისი უდიდებულესობა ჩვეულებრივი ბიჭი იყო, მაგრამ ამასაც, როგორც ყველას ფორმიკალენდში, თავი ჭიანჭველა ეგონა, ოღონდ სამეფო გვარისა.

ამიტომ იყო, რომ პრინცესა ნათელიკო ჩამეძია:

— ქართველ ჭიანჭველებში თქვენ, ალბათ, მეფური გვარით გამოირჩევით!

წამიერად დავიბენი და აბნეულად შევეპასუხე:

— მაგრამ ყველა ქართველი ჩემნაირია! — მხედველობაში, ცხადია, ის მქონდა, რომ ყველა ქართველი ჰომო საპინსია.

— როგორ, ყველა ქართველი ხელმწიფეა? — გაუკვირდა ანდუყაფარს.

„მაგან არ დაგველუპა?“ — გავიფიქრე ჩემთვის და ენა დამეხა. არ ვიცოდი როგორ ამეხსნა ამ გულუბრყვილო არსებათათვის, რომ თვითონაც არ იყვნენ ჭიანჭველები და მით უფრო — მე. ამიტომაც ამ კითხვაზე პასუხი არ გამიცია.

ცოტა ხანს თანამედროვე პოლიტიკაზე ვისაუბრეთ.

— სოციალიზმი რა არის? — მკითხა ხელმწიფემ.

ავუხსენი, რომ სოციალიზმი ისეთი სისტემაა, როცა ყველანი ზომიერად მათხოვრები ვართ და თუ ვინმემ თავი წამოსწია, ეგრევე წავუთაქებთ, რათა ჩვენთან გავათანაბროთ.

— მარტო ბელადისათვის ყოფილა კაი, რადგან იმას ვერ წაუთაქებ! — დაასკვნა გონიერმა ბიჭუნამ. — კაპიტალიზმი რაღაა?

ისეთი სისტემაა, როცა ერთი ასს ძარცვავს, ოღონდ კანონიერი გზით.

— თქვენბური დემოკრატია?

ეს ისაა, როცა ყველას თანაბარი უფლებები გვაქვს. მაღალი წიხლს თუ დამაჭერს, მეცა მაქვს უფლება წიხლით ვუპასუხო, ოღონდ, სამწუხაროდ, ჩემი მოკლე ფეხებით ველარა ვწვდები.

თითი შუბლზე მიიდო მისმა უდიდებულესობამ, კარგა ხანს იფიქრა და ასე ბრძანა:

— ჩვენც გვიჭირს და თურმე თქვენც გაგჭირვებიათ! ჩამობრძანდეს ეს თქვენი ხელმწიფე, იქნებ ზოგი რამ მეც ვასწავლო, თუნდაც ის, თუ რა არის დემოკრატია! — მერე ტაში შემოჰკრა და დარბაზში შემოსულ ციციის უბრძანა: — სტუმარი სასახლეში იცხოვრებს, მოასვენეთ და პატივი მიაგეთ!

თ ა ვ ი XI

აქა ამბავი ობობა ყარაყურთისა

პრინცესა ნათელიკომ პატივი დამდო და ჩემი ოთახის კარამდე მიმაცილა. შევეცადე, თავი მომეთოკა და თვალი

ამერიდებინა, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი იყო, რადგან ისე მინარნარებდა, თითქოს ფეხებს იატაკს არც აკარებდა. აბლაბუდის თხელი კაბა მსუბუქად ფოფინებდა, ტანზე ელამუნებოდა.

ქალბატონი ციცინათელა ციცი ოდნავ მოშორებით მოგვეყვებოდა და მორიდებით მექცეოდა. ალბათ, ამანაც იფიქრა, ეს ჩვენი სტუმარი სამეფო გვარის კაცია და მასთან თავქარიანი ფლირტი საშიშიაო.

დერეფანში რომ მივდიოდით, მოულოდნელად ტანში გამბურძგლა. მომეჩვენა, რომ ვიღაცა ბოროტად მითვალთვალებდა. სწრაფად მოვიხედე, თითქოს რაღაცამ შავად გაიელვა.

„მოლანდებები დამენყო!“ — თავი დავიტუქსე, მერე დავიხარე და პრინცესა ნათელიკოს ხელზე მოკრძალებით ვაკოცე. პრინცესამ ხელი განცვიფრებით გამომტაცა, თურმე ეგონა, რომ ვუკბენდი. გუნებაში გადავწყვიტე, ამეხსნა პრინცესასათვის, თუ რა არის კოცნა და შემთხვევა თუ მომეცემოდა, გაკვეთილებიც ჩამეტარებინა (ამ ცუდლუტობას, იმედია, მაპატიებს ჩემი ნანიკო!).

ჩემთვის განკუთვნილი ოთახი ძალიან მომეწონა. ორი მაღალი ფანჯრიდან სინათლე უხვად იღვრებოდა. ბუხარში ცეცხლი ენთო. ბუხრისპირას, დაბალ ტაბლახზე ორი კაცის ვახშამი ენყო. კერძების მიხედვით მივხვდი, რომ ჭიამაია დურუმ იზრუნა... ოთახში იყო რბილი სანოლი ქათქათა ქვეშაგებით, სანერი მაგიდა, სავარძლები და ფერადი ტელევიზორი.

შემოსვლისთანავე ჩავრთე და საკუთარი ფიზიონომია ვიხილე. რეპორტიორმა თურმე სასტუმრო „ბერმუხასთან“ გადამიღო. სასაცილო სანახავი იყო სქელუა ბეხვერია, რომელიც ორად გაკეცვას ცდილობდა... შემდეგ სხვადასხვა ინფორმაცია გადაიცა, მათ შორის ცნობა ჩინმაჩინიდან, რომ თვითმფრინავი, რომლიდანაც ფორმიკალენდში მგზავრი ჩამოვარდა, მშვიდობიანად დაფრინდა ჩინმაჩინის დედაქალაქ უჩინმაჩინის აეროპორტში. ახლა მიდის მოლაპარაკება იმის თაობაზე, თუ როგორ ამოქოლონ ღიობი და რამდენი დაჯდება ეს ოპერაცია. შესაძლებელია, საქართველოს არ ეყოს სავალუტო სახსრები და მაშინ, არსებობს იდეა, რომ ქალბატონ ელვირას ეთხოვოს, ზომიერი გასამრჯელოს ფასად, თავისი

ძვირფასი უკანალით უკანა გზაზეც დაგმანოს ეს ლიობი და ამით სამშობლოს გაუნიოს ღირსეული სამსახური...

არ ვიცოდი, შირაზის ვარდი და კოკობი დათანხმდებოდა თუ არა, მაგრამ ელვირას უკანალი გულწრფელად შემენანა.

ბინდისპირზე ჭიამაია დურუ მოვიდა, მივუსხედით ტაბლას, მივირთვით ხილი და ტკბილეული, წავუქციეთ ჭიქები, ვიჭუქუჭუქეთ გულითადად... მე ჩემი ამბავი მოვუყევი, იმან თავისი. გაიხსენა მშობლები, მრავალრიცხოვანი და-ძმა, უზრუნველი ბავშვობა, როცა ბალახებში ხეტილის გარდა საქმე არაფერი ჰქონდა... მოჩხუბარიძე შეარქვეს თურმე. იმ ბალახ-ბულახში უამრავი ვინმე დაცოცავდა და დურუც შარიანად გადაეკიდებოდა, რაც ჩხუბით მთავრდებოდა. შეამჩნიეს მისი ეს ნიჭიერება და წაიყვანეს ობობათა კავშირის ცემა-ტყეპის აკადემიაში, სადაც ძირითადი ხელობის გარდა ანაბანასაც ასწავლიდნენ, რა თქმა უნდა, კირილიცაზე... თავისი ძალგულოვანებითა და გონიერებით მალე გაითქვა სახელი. ხან აღმოსავლეთში აგზავნიდნენ ფუნაგორიელი მოჯახელების წინააღმდეგ, ხან დასავლეთში — ბინის ტარაკნების ამბოხების ჩასახშობად. მერე მის სულში აქამდე მიჩუმათებული სიმი აჟღერდა, სამშობლოს სიყვარული მოეძალა, ობობათა კავშირს ზურგი შეაქცია და ფორმიკალენდის სამსახურში ჩადგა...

— ფიცი მაქვს დადებული, — გამანდო დურუმ, — ბოლო უნდა მოვულო ზოგიერთების პარპაშს და ჩვენი ყმანვილი ხელმწიფე აღვადგინო ჭეშმარიტ უფლებებში!

კარგად მივხვდი, ვის პარპაშს გულისხმობდა.

— მეც მზადა ვარ თავი დავდო ხელმწიფე ანდუყაფარისა და პრინცესა ნათელიკოსათვის! — მგზნებარებამ შემიპყრო, რასაც დაცლილი სასმისები მიძლიერებდა.

— ხელმწიფე ანდუყაფარს გაუმარჯოს! — წამოიძახა დურუმ.

— ჯოს!.. ჯოს!.. — ბეჭედი დავსვი და ჩვენ ერთმანეთს გადავეხვიეთ.

დურუს წასვლის შემდეგ კარგა ხანს ვუჯექი ტელევიზორს. ჭრიჭინების ოპერა მიდიოდა, იმდენი იჭრიჭინეს, ჩამოვლიმა.

ანტრაქტში ობობა გვაჯის ინტერვიუ გადაიკა. გვარდის სარდალი ყვებოდა იმაზე, თუ როგორ აღმომაჩინა და როგორ უშიშრად და მამაცურად გამკოჭა. ცხადია, სიტყვაც არ დასცდენია, რომ გულწასული ვეგდე და ჩემი გაკოჭვა ბავშვსაც შეეძლო.

გამოვთიშე ტელევიზორი და გახდას შევეუდექი. რატომღაც შიშმა გამკენწლა. ხომ ხდება ხოლმე, რომ ადამიანს უსაფუძვლო შიში ეუფლება. მიმოვიხედე, მარტოდმარტო ვიყავი, მაგრამ მომეჩვენა, რომ ვიღაცა მითვალთვალებდა.

ბუხრის პირას რკინის საცეცხლური ეგდო. ავიღე და ლოგინთან, ხელის განვდენაზე დავდე.

ამ ხნის მანძილზე პირველად გავშიშვლდი და ნებიერად ჩავთბუნდი.

ძილმა ჩამითრია... მეზმანა, რომ ბნელ უფსკრულში გვარდები... შიშისაგან წამოვიყვირე და გამომეღვიძა...

ოთახში თითქოს რაღაცა შეირხა. ფანჯრიდან შემოსული ნამგალა მთვარის სუსტი ანარეკლი ოდნავლა ფანტავდა სიბნელეს და უფრო ვიგუმანე, ვიდრე დავინახე, რომ მარტო არა ვარ.

მარჯვენა ხელი გავაპარე, საცეცხლური ავიღე, მარცხენით კი შუქი ავანთე.

— დახოცე, დახოცე ადამიანები! — ბოლმით წამოიძახა ვიღაცამ.

თვალეები კინალამ შუბლზე ამომეზარდა.

ჩემკენ მოექანებოდა უზარმაზარი, ბანჯგვლიანი ობობა... ისეთი შავია, ბნელეთიდან ამოსულსა ჰგავს.

ყვირილი მოვრთე, მეგონა, ჩემი ღრიალით დავაფრთხოვდი.

— დახოცე, დახოცე ადამიანები! — შემზარავი ხმა გამოსცა ობობამ, თან არც შეყოვნებულა.

ფეხზე წამოვიჭერი და ზევიდან ვხეთქე საცეცხლური. იმოდენა ღონე ჩავატანე, ხარს წავაქცევდი, მაგრამ ობობამ წამით დაიხია და ისევ შეტევაზე გადმოვიდა.

საწოლიდან სავარძელზე გადავინაცვლე, იქიდან საწერ მაგიდაზე, იქიდან კვლავ სავარძელზე... დავხტივარ აქეთ-იქით, თან ვცდილობ, საცეცხლური მოხერხებულად მოვუ-

ნაცვლო, იმისიც მეშინია, ეს ერთადერთი იარაღი თავისი მარ-
ნუხივით ძლიერი კიდურით ხელიდან არ გამომგლიჯოს.

ბოლოს მოვახერხე და თვალში ვატაკე.

სიმწრის ღმუილი მორთო, ბანჯგვლიანი პირი მოიხოკა...
დაიხია... ფეხდაფეხ მივყევი, თან ვცდილობ, უამრავი თვალ-
იდან რომელიმე კიდევ ამოვუბუშტო.

ამ დროს კარი გაიღო და ციციანათელა ციციმ შეჰკვივლა,
თურმე ხმაური შემოესმა და მოირბინა.

ობობამ მოქნეული საცეცხლური კიდევ ერთხელ აიცდი-
ნა და პირდაპირ ჩამქრალ ბუხარში დურთა თავი, ბუხრის მილ-
ში მიიმალა.

გადარეული შემოვარდა ჭიამაია დურუ, ავტომატი მოარ-
ბენინა.

— სად არის?! — ყვირილით მეკითხება.

ავტომატი ავართვი, ლულა ბუხრის მილში შევაყოფინე
და ჯერი მივუშვი.

ზევიდან რალაც მძიმე წამოვიდა და დაცხრილული ობო-
ბა ფერფლში დაეძნეყვა, ბული დააყენა.

დერეფანში ფეხების ხმა მოისმა. დაცვის მუშაკები მორ-
ბოდნენ. ოთახი აივსო შეიარაღებული ჭიანჭველებით, მაგრამ
საქმე უკვე მოთავებული იყო.

მობრძანდა მისი უდიდებულესობა ხელმწიფე ანდუყა-
ფარი, დახედა მოკლულ ობობას და ჩამეხუტა.

— ეს ყარაყურთია, ბოროტი და შხამიანი, — ჩამჩურჩუ-
ლა, — დიდი ხანია ჩვენი ამონყვეტა უნდა.

მის ხმაში შიში ამოვიცანი.

უცებ მზერა ვიგრძენი. მოვიხედე... პრინცესა ნათელი-
კო მიყურებს გაფართოებული თვალებით, თან ნითლდება...

შემრცხვა... ახლალა გამახსენდა, რომ ტიტლიკანა ვიყავი...

თ ა ვ ი XII

აქა ამბავი მინისტრთა კაბინეტის სხდომისა

ამ შემთხვევის შემდეგ ხელმწიფემ ძალიან შემიყვარა და
გვერდიდან არ მიშორებდა. ჭალარა ბიჭუნასთან გატარებული
ნუთები ჩემი ცხოვრების საუკეთესო დროა. იგი, ერთი მხრივ,
მაოცებდა ბავშვური გულუბრყვილობითა და სიგიჟმაჟით,
მეორე მხრივ, ჭალაროსნის შესაფერისი სიდარბაისლითა და
გონიერებით. მომავალში, ვფიქრობ, დიდი პოლიტიკოსი დად-
გება, რა თქმა უნდა, გაზრდას თუ აცლიან.

იმ დღეს მინისტრთა კაბინეტის სხდომა უნდა შემდგარიყო
და ხელმწიფემ არ დამითხოვა. ვიფიქრე, ჩემთვისაც საინ-
ტერესო საკითხი განიხილება და იმიტომ დამტოვეს-მეთქი.

ჭიამაია დურუ გვერდით მეჯდა. არ მახსოვს, ზევით თუ
აღვნიშნე, რომ იგი ხელმწიფის პირად უშიშროებას განაგებდა.

შემოვიდა ხელმწიფის კარის ცერემონმაისტერი, ახალ-
გაზრდა, კოპნია ჭიანჭველა, რომელსაც თავზე თეთრი პარი-
კი ეხურა, წარბები ამოექნა და ტუჩებზე პომადა ეცხო. ხელში
ოქროსბუნიკიანი ჯოხი ეჭირა და იატაკზე დაჰკრა.

— მისი აღმატებულება ბატონი პრემიერი ფუნაგორია
ხოჭო გედევანი!

შემობრძანდა შავსმოკინგიანი და შავცილინდრიანი ბა-
ტონი პრემიერი. ვერცხლის ხელჯოხი ილღიაში დარბაისლუ-
რად ამოედო. ცილინდრი მოიხადა, ხელმწიფეს თავი დაუკრა
და მიმართა:

— თქვენო უდიდებულესობავ, ნუ დაგავინყდებათ, რომ
მე დაგვით მაგ ტახტზე!

— მახსოვს, ძვირფასო პრემიერო! — მორჩილად მიუგო
ანდუყაფარმა.

ორი ნაბიჯი გადმოდგა ბატონმა პრემიერმა და ზემოთ-
ქმული სიტყვები გაიმეორა. მისმა უდიდებულესობამ წინან-
დელივით უპასუხა. ბატონმა პრემიერმა ხელმწიფეს მესამე-
ჯერ რომ შეახსენა თავისი დამსახურების შესახებ, კინალამ ადგი-

ლიდან წამოვხტი, მაგრამ დურუმ დამიჭირა და ჩამჩურჩულა:

— ნუ ჩაერევი, ეს ცერემონიალია!

ბატონი პრემიერი შორიასლო დაბრძანდა და ნეხვის სუნი დააყენა.

ცერემონმაისტერმა კვლავ გამოაცხადა:

— მისი კეთილშობილება ვიცე-პრემიერი უშიშროების, დაზვერვისა და კონტრდაზვერვის დარგში ბატონი სოლიტერი!

კინალამ გული წამივიდა. თეთრი, ჟელესნაირი ლენტი კუდზე შემოსრილდა. თავი და ტანი ერთნაირი ჰქონდა. ვფიქრობ, თავი კისერზე ექნებოდა, კისრად კი ის ადგილი ვიგულისხმე, სადაც ჰალსტუხი ეკეთა. თვითონ ჰალსტუხი იატაკამდე მოსთრევედა და ერთადერთი ტანისამოსის როლს ასრულებდა.

გამხელისა მრცხვენია, მაგრამ ქამარი მაგრად შემოვიჭირე. ვინ იცის, ბატონ ვიცე-პრემიერს გუნებაში რა მოეპრიანება-მეთქი. დაზვერვა და კონტრდაზვერვა ხომ იმიტომაც ანდეს, რათა იქ შეძლოს შეძრომა, სადაც სხვები ვერ შეეტივიან.

სოლიტერმა გედევანის გვერდით დაიკავა ადგილი. მთელი სხდომის მანძილზე იქითკენ გახედვა მეზარებოდა.

— გვარდიის სარდალი ბატონი ობობა გვაჯი!

გული ჩამივარდა, თავი დამნაშავედ ვიგრძენი. იქნებ არც არაფერს მიპირებდა, მე კი სასტუმრო „ბერმუხიდან“ გამოვეპარე.

გვაჯიმ მიმოიხედა, წამით თვალები გესლიანად მომაპყრო და ხელმწიფეს რიხით შეუძახა:

— თქვენო უდიდებულესობავ, ხომ გახსოვთ, რომ მაგ ტახტზე მე დაგსვით?

— მახსოვს, გეთაყვა! — აუღელვებლად შეეპასუხა ანდუყაფარი.

გვაჯი გამობობლდა. შემეშინდა, არ მეცეს-მეთქი, მაგრამ მან მშვიდად ჩამიარა და სავარძელში ჩაეტყეპა.

— მინისტრთა კაბინეტის არანეერი, მოყვარული პოლიტიკოსი, მამაცი ბატონი რწყილი კოტე!

შემოცქრილდა რწყილი კოტე. როგორც ყოველთვის, ახლაც მომხიბლავად ეცვა — შავი პიჯაკი, ქათქათა პერანგი და შავკოპლებიანი ჰალსტუხი-პეპელა.

— თქვენო უდიდებულესობავ, გაიხსენეთ, რომ მაგ ტახტზე მე დაგსვით! — თავი დაუკრა ხელმწიფეს.

— არ დამვიწყებია, ჩემო კოტე, არც არასოდეს დამავიწყდება! — ამოიოხრა ანდუყაფარმა.

კოტე მიიჭრა სავარძელთან, სახელურზე შინაურულად წამოსკუპდა, საჯდომზე კი თავისი უამრავი ჩექმა შემოაწყო.

— მისი კაიკაცობა, ფუნანსთა მინისტრი, ბატონი გადიგამოდი! — კაბინეტის მომდევნო ნევრს, ერთ გამწლეულ ჭიანჭველას შემოუძღვა ცერემონმაისტერი.

— რატომ „ფუნანსთა“? — ვკითხე დურუმს.

მან ჩურჩულით ამიხსნა: თურმე ფორმიკალენდის ფულად ერთეულს ჰქვია „ფუნა“. ერთ ფუნად (იგულისხმება ფულადი ერთეული!) შეიძლება შევიძინოთ ერთი გრამი ფუნა (უკაცრავად, მაგრამ იგულისხმება ნეხვი!). აქედან გამომდინარე, სამინისტროს ჰქვია ფუნანსთა სამინისტრო, მინისტრს — ფუნანსთა მინისტრი, უფრო დაბალი რანგის მოხელეებს — ფუნგანები.

— „კაიკაცობა“ რაღაა?

— უპროცენტო სესხს იძლევა, უკან არაფერს ითხოვს! — ამიხსნა დურუმ.

— ალბათ, თვითონაც მოტეხავს ხოლმე! — დავასკვენი და ამასობაში ცერემონმაისტერმა გამოაცხადა:

— უზენაესი სალაცხოს სპიკერი ბატონი გოგლიმოგლი!

შემოგორდა რაღაც ბურთივით მრგვალი, ვერაფრით გავარკვიე, რა არსება ბრძანდებოდა და პირი სად ჰქონდა (იქნებ მთლად ნესტის ხოჭო იყო!), ხმას კი განუწყვეტილად გამოსცემდა:

— გამარჯობათ, გამარჯობათ!.. უფალი თქვენთანაა! იელოვა თქვენთანაა! ალაჰი თქვენთანაა! კალიოსტრო თქვენთანაა! ბუდა თქვენთანაა! კონფუცი თქვენთანაა!..

სანამ სავარძელამდე მიგორდებოდა, ასე გვლოცავდა, მერე, რადგან ხელი არავინ შეაშველა, თვითონ კი სავარძელს ვერ შეწვდა, იქვე, ხელმწიფის ფერხითით მოკალათდა და გაისუსა.

მცირე ხნით დავდუმდით, შემდეგ ბატონი პრემიერი ფუნაგორია ხოჭო გედევანი ალაპარაკდა:

— თქვენო უდიდებულესობავ! — მოწინებით მიმართა

ხელმწიფე ანდუყაფარს. — სამწუხაროდ, კაბინეტის ყველა წევრი არ გვესწრება, რადგან ბატონი საგარეო საქმეთა მინისტრი კიკაცო ალთას გავაგზავნეთ კომბოსტოს საშოვნელად, შინაგან საქმეთა მინისტრი არაკაცო — ბალთას, სტაფილოს საკითხის გასარკვევად, მინათმფლობელობის მინისტრი ჩულურეთის სამეფოს ეწვია ტარაკანთა გვარდიასთან მოსალაპარაკებლად, ეკონომიკის მინისტრი — გარდაბნის საჰერცოგოს. იქ კარტოფილის დიდი მოსავალია და დახმარება უნდა ვთხოვოთ ჩვენს კეთილ მეგობრებს — კოლორადოს ხოჭოებს... აბა, რა ვქნათ, ჭამა ხომ უნდათ ბაღნებს?

— უნდათ, რალა თქმა უნდა, უნდათ! — სწრაფად დაუდასტურა ბატონმა გოგლიმოგლამ. — მე პრინციპულად მოვითხოვ, რომ ბაღნები გამოიკვებოს!

ნამდვილად პინგპონგსა ჰგავდა, ოღონდ საკმაოდ მოზრდილი იყო. „ალბათ, ნესტის ხოჭოა, — ჭოჭმანით ვფიქრობდი, — რომ გაიშლებოდეს, კიდურებიც გამოუჩნდება!“

— ამრიგად, კაბინეტის სხდომას გახსნილად ვაცხადებ! — ბრძანა ბატონმა პრემიერმა. — ერთნუთიანი მოხსენებისათვის სიტყვა ეძლევა ბატონ ვიცე-პრემიერს, სოლიტერს!

წამოიკლაკნა სოლიტერი. იქ, სადაც თვალეები იგულისხმებოდა, სათვალე წამოიკვეხა და ქალაქის ნაგლეჯი ზედ მიიფარა.

— საკითხი ერთია: როგორ გამოვიყენოთ ჩვენი ძვირფასი სტუმარი!

გულზე მეცეცხლა, ეტყობა, გავფითრდი, რადგან დურუმ იდაყვზე მომითათუნა, გამამხნევა.

— დღეს ჩვენ სწორი გადაწყვეტილება თუ ვერ მივიღეთ, ეს პრობლემა უზენაესი სალაყბოს მსჯელობის საგანი გახდება!

ვიფიქრე, ავიღებ ამ სკამს და წელში გავწყვეტ ბატონ ვიცე-პრემიერს-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე.

— ბოდიშს ვუხდით მისი უდიდებულესობის მეფურ ყნოსვას, — განაგრძო სოლიტერმა და თან ხელმწიფისაკენ მაამებლურად გადაიხარა, — მაგრამ მინისტრთა კაბინეტი თვლის, რომ ადამიანის ძირითადი ფუნქცია ნების წარმოებაა!

— დიახ! — კვერი დაუკრა ფუნაგორია ხოჭომ. — ბატონი

სოლიტერი ამ საქმის ღრმა მცოდნეა, უკეთეს სპეციალისტს ვერსად ვიშოვით! ამიტომ, ჩვენი წინადადებაა, ძვირფასი სტუმარი ბოსელში დავაბათ და ის საქმე დავავალოთ, რისთვისაც ამქვეყნად გაჩენილა!

— ჩემი აზრით, ეს სავსებით შესაძლებელია! — უმაღლესად დაუდასტურა გოგლიმოგლამ.

წარმოიდგინეთ, როგორი შეურაცხყოფილი დავრჩებოდი. ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. ჭიამაია დურუმს მეგობრული თანადგომა რომ არა, რაიმე სისულელეს მოვიმოქმედებდი.

სიტყვა ობობა გვაჯიმ აილო:

— ბატონებო, პროტესტს ვაცხადებ! სტუმარი ჩემი ნაპოვნია და ნადავლიც ჩემია!

— რაც ფორმიკალენდშია, ყველაფერი ხელმწიფის საკუთრებაა! — შეუძახა რწყილმა კოტემ.

— დიახ, ხელმწიფის საკუთრებაა! — ბოლმით დაუდასტურა გვაჯიმ. — მაგრამ ხელმწიფე ხომ ჩვენ დავსვით ტახტზე და იმედია, უფლებებს არ შეგვიკვეცავს! — ეს რომ თქვა, რვავე თვალი ჯიქურ მიაპყრო ხელმწიფე ანდუყაფარს, რომელსაც, ალბათ, შიშისაგან გულისცემამ მოუხშირა, თუმცა სახეზე ნერვიც არ შეტოკებია. — ჩვენი მთავარი საზრუნავი, — განაგრძო გვაჯიმ, — ფორმიკალენდის მოქალაქეებია! მე მუდამ ხალხს ვიცავ, ჭამის დემოკრატიულ უფლებებს ვეთაყვანები. ამიტომ, ჩვენი ღრმა რწმენით, უმჯობესია, სტუმარი მოვაკვდინოთ, რადგან მის ძარღვებში იმდენი სისხლია, თითო ობობას თითო წვეთი რომ ჩამოვურიგოთ, წელს გამოვიზამთრებთ. ამით კი ჭიანჭველეთის ეს უძველესი გვარი ხელმწიფის ერთგულებაში მეტ სიმტკიცეს შეიძენს!

— დიახ, დიახ, სტუმარი უნდა მოვაკვდინოთ! — ხმა შეანია გოგლიმოგლამ. — მე ვფიქრობ...

— შენც მაგარი ხარ, რა! — აგდებით გაანყვეტინა რწყილმა კოტემ. — მოვაკვდინებთ და სისხლის მუდმივი წყარო შეგვიწყდება! მე თუ მკითხავთ, კაი იქნება, ჩვენი სტუმარი ჭკიჭკიტია პირველის მონუმენტის კვარცხლბეკზე მივათოკოთ. მერე უბნების მიხედვით მორიგეობა დავანესოთ. ერთ დღეს

რწყილთუბნის ბიჭები წაუქცევინ ჩიქას, მეორე დღეს — კოლოთუბნისა... ვიქეიფოთ და ვიქეიფოთ ასე! ეს ჩვენი სტუმარი გამძლე ბიჭი ჩანს, ქავილით არ მოკვდება!

— მომხიბვლელი პერსპექტივაა! — აქაც ჩაურთო ბატონმა გოგლიმოვლამ.

ამას ხომ სიკვდილი მერჩინა! მინდოდა, ჩემი აღშფოთება ხმამაღლა გამომეთქვა, მაგრამ ხელმწიფემ ხელი ასწია, ყველანი გააჩუმა და ბრძანა:

— საკითხი დაისვა და უნდა გადაწყდეს! სამნაირი მიდგომა გამოიკვეთა. რაკი თქვენს შორის კონსესუსი შეუძლებელია, საკითხი უზენაეს სალაყბოში უნდა გადავიტანოთ! ვილაყბოთ და ვიყოთ კულტურულად!.. ვბრძანებ, სანამ უზენაესი სალაყბოს დადგენილება არ გამოქვეყნდება, სტუმრის თავიდან ერთი ღერი თმა არ უნდა დავარდეს!

— თქვენო უდიდებულესობავ! — მოვახსენე ხელმწიფეს, როცა დარბაზში მარტონი დავრჩით. — მზადა ვარ თქვენთვის თავი გავწირო, მაგრამ...

— მშვიდად იყავი! — გამიცინა პირმწყაზარმა. — სალაყბოს დეპუტატები საერთო ენას ვერასოდეს გამონახავენ!.. წავიდეთ, კვლავ მატარებლობანა ვითამაშოთ!

თ ა ვ ი XIII

აქა ამბავი სამეფო წვეულებისა

ჩემი ბედი ჯერაც გაურკვეველი იყო, რაც, ბუნებრივია, გუნებას მიფუჭებდა. ხანდახან სევდა შემიპყრობდა, მომაგონდებოდა თბილისი, ოჯახი, ჩემი ნანიკო და სამი პატარა, საპროცენტო ვალი, რომელიც დღითიდღე მატულობდა და სულ მალე გამაკოტრებდა კიდევ. ხელმწიფე ანდუყაფარის გამჭრიახ თვალებს არაფერი დაემალეობოდა და იგი ყოველნაირად ცდილობდა ჩემი დარდის გაქარვებას.

ერთხელ შემთხვევით წამომცდა ჩემი ვალის ამბავი.

ხელმწიფე უმაღლეს დანტერესდა, ჩამეძია, თუმცა მევახშეობის აზრს ვერ ჩასწვდა. თუ კაცურად გასესხა, ვალი რანაირად იმატებსო, გაუკვირდა... შეეცადა ჩემს დაწყნარებას და დამპირდა, ფუნანსთა მინისტრს გადიგამოდის ვუბრძანებ და შენთვის მილიარდიან უპროცენტო კრედიტს გამოვაცოფინებო. მის უდიდებულესობას ბაზართან და ვაჭრობასთან არავითარი ურთიერთობა არა ჰქონდა და მილიარდი ბევრი ეგონა. მე კი უკვე ვიცოდი, რომ მილიარდი ფუნით (იგულისხმება ფული!) შავ ბაზარზე ორიოდ კილო ძროხის ფუნას თუ შეიძენდი... რა თქმა უნდა, ზრდილობიანი უარი ვუთხარი. ავუხსენი, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ფინანსური ურთიერთობები ჯერაც არ დამყარებულა და ფორმიკალენდურ ფუნას ჩვენს კუპონებზე არავინ გადამიხურდავებდა.

იქნებ ამ ზრდილობიანი უარის შედეგი იყო, რომ ხელმწიფემ ჩემი გართობა გადაწყვიტა. შემატყობინეს, მისი უდიდებულესობა თქვენს საპატივცემლოდ დიდ სამეფო წვეულებას აწყობსო.

თავი უხერხულად ვიგრძენი. საქმე იმაში გახლდათ, რომ არ ვიცოდი, რა ჩამეცვა. ფათერაკიანი თავგადასავლების წყალობით ჩემი სამოგზაურო ტანისამოსი ერთობ შეილახა. არადა, ასეთ მნიშვნელოვან წვეულებაზე მოიწვევდნენ სამეფოს დიდებულებს, როგორც გვარიშვილობით გამორჩეულებს, ასევე ფუნით (მხედველობაში ასიგნაციები მაქვს!) ჯიბეგასქელებულებს.

სულ მალე ჩემს სანუხარს ბოლო მოეღო. კარზე დამიკაკუნეს და შემოცქრიალდა ქალბატონი ციციანათელა ციცი. მხიარულ გუნებაზე ბრძანდებოდა, რაც იმით გამოიხატა, რომ მიუხედავად მზიანი დღისა, მისი უკანალი ბჟუტავდა. თურმე პრინცესა ნათელიკომ დაავალა, საგანგებოდ ეზრუნა ჩემს გარდერობზე. ქალბატონმა ციციმ თავი გამოიღო და მომიტანა ის, რასაც ფორმიკალენდში მხოლოდ და მხოლოდ სამეფო გვარის წევრებს აცმევდნენ; თერძმა ქიანჭველებმა მოკრძალებით მომართვეს აბლაბუდისაგან მოქსოვილი შარვალპერანგი და მოსასხამი, ხოლო ხარაზმა — ირემახოჭოს ტყავისაგან შეკერილი შტიბლეტები. ამ უკანასკნელს არა უშავდა

რა, წვეულებაზე მაინც გამიძლებდა, მაგრამ აბლაბუდით რომ შევიმოსე და სარკეში ჩავიხედე, სირცხვილისაგან აღმური მომედო. ქალბატონი ციცი ისეთი სასოებითა და აღფრთოვანებით შემომყურებდა, მისი უკანალი ისე მჭევრმეტყველურად ანათებდა, არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი.

იმდენად ტიტლიკანა გახლდით, რომ ის ხალიც გამომიჩნდა, რომლის არსებობისა დედაჩემს გარდა არავინ იცოდა.

რა უნდა მექნა! გავიხსენე ჩვენებური ანდაზა, სადაც ჩახვალ, იქაური ქუდი დაიხურეო. ხომ ასევე ეცვათ მის უდიდებულესობასა და ხელმწიფის დაიკოს, მე რატომ უნდა გამჭირვებოდა.

შემოიხედა ჭიამაია დურუმ და გამამხნევა, ძალიან გიხდებო.

ჭოჭმანს შევეშვი და წვეულების დარბაზისაკენ გავეშურეთ. მართალია, თავდაპირველად სიმორცხვე ბოლომდე ვერ დავძლიე, არ ვიცოდი, ხელები სად წამელო, ხან წინიდან ვიფარებდი, ხან უკნიდან, ოღონდ ასეთი მცდელობანი ფუჭი აღმოჩნდა. საკუთარ სიშიშვლეს ხელისგულებით ველარ დაიფარავ!

გავიარეთ გრძელი დერეფანი. წინ მე მივაბიჯებ, უკან დურუ და ციცი მომყვებიან.

იღება ოქროსფერი ჩუქურთმებიანი მაღალი კარები, ისმის საყვირების ტრიუმფალური ხმა და შევაბიჯეთ გაჩახჩახებულ დარბაზში.

კარის ცერემონიანისტერი ცეკვა-ცეკვით მეგებება და მივყავარ საპატიო ადგილისაკენ. მისი უდიდებულესობა ღიმილით თავს მიქნევს. პრინცესა ნათელიკოც შემომცინის, თან რატომღაც წითლდება. იგი ძმის ხელმარჯვნივ ზის, მე ხელმწიფის ხელმარცხნივ ვჯდები.

დარბაზის მაღალი ჭერი ოქროთი და ბროლის ჭალებით ბრწყინავს. სარკიან კედლებზე ირეკლება გრძელი მაგიდები. ვერცხლის, ფაიფურის, ბროლის ძვირფასი სერვიზი ხორაგეულის ზვინში ჩაფლულა, გრძელ სურებში ღვინო და ნაირ-ნაირი წვენები ლიცლიცებს.

სტუმართა სიმრავლე და სიჭრელე მაოცებს. ჩემკენ

ხშირ-ხშირად იხედებიან, ჩურჩულებენ, იცინიან... ვგრძნობ, რომ წვეულთა ნაწილი ჩემი სიშიშვლით მადაზე მომყავს.

პირისპირ უმთავრესად ობობები სხედან, მერე რწყილები, მოშორებით სოლიტერები, სხვადასხვა ჯიშის ხოჭოები, ბუზები და კოლოები, ჭიამაიები და ჭრიჭინობელები... აგერ, ბზუალა არ ჩერდება, მეზობელ ბუზარას რალაცაზე ეჯაჯლანება; ავეჯის რკილი მიმჯდარა და საკუთარ სკამსა ხრავს; ლაფნიჭამია რა დასაპატიუბელი იყო, ცხვირწინ ამდენი კერძი უდგას, ეგ კი ხელსახოცებსა და ყვავილებს მიირთმევს; ხარის მანუხარამ სამჯერ გადამიფრინა, შემანუხა, ვიფიქრე, თუ მეოთხეჯერაც წამოვიდა, ნამცხვარში ჩავგლისავ-მეთქი, ეყო გონიერება და მომეშვა; ოქროსთვალა ბუზი კი მიმჯდარა ტორტის კრემზე, შიგ ითითხნება, თან თვალს მიპაჭუნებს, თავს მანონებს; აგერ, წვიმელა კომბოსტოს თეთრულას ეარშიყება; მარმარა ღრაჭა უკვე მთვრალია და ენა ებმება; ლომჭიანჭველას ვეება ყანწი აულია, ხელმწიფის სადღეგრძელოს ბლუყუნებს და ლამისაა შიგ ყანწში ჩავარდეს; კუთხეში მახრა მიმჯდარა, ნივრის კონა დაუდვია და ხრავს თავისთვის (გემოვნებაზე მართლაც არ დაობენ!). მაგიდის ბოლო წითელტანიანმა ტკიპებმა გადაანთლეს, ესენი ფორმიკალენდში კომუნიზმის აშენებაზე ოცნებობენ! მუნის ტკიპებიც მათ ეტმასნებიან, თავისი ბუნებით ლუმპენები არიან და ყოველი ამბოხებიდან გამორჩენას ელიან; ღიპიან ტკიპას ერთნიც ფეხებზე ჰკიდია და მეორენიც, მისთვის მთავარია მუცელი ამოიყოროს...

ფქვილის ღრაჭუკები მაგიდებს შორის დარბიან, ხონჩებით ფუნთუშები შემოაქვთ და სუფრას აახლებენ.

ჭრიჭინობელა ზეინაბი მომიახლოვდა. ქუჩის ოპოზიციონერს დეკოლტიანი და შლეიფიანი კაბა ეცვა, პირში „მაღბორო“ გაერჭო და სახეში მოურიდებლად მომაბოლა — „ჰელოუ, ჯიგარო!“ მოვუბოდიშე იმ უნებლიე ფათერაკის გამო, როცა მეცამეტე სართულიდან ზედ დავენარცხე და ფიცარნაგზე გავმოტე. ჭრიჭინობელამ თვალი ჩამიკრა, შენისთანა ვაჟკაცისათვის არაერთხელ გავიშოტებო.

პრინცესა ნათელიკოსკენ მზერა გავაპარე, ამ სულელი დედაკაცის ქარაგმა ხომ არ გაიგონა-მეთქი. მათი უდიდებუ-

ლესობანი ლუკმას არ მიირთმევდნენ. მეც პირი არაფერზე დამიკარებია. შორიასლო ცხვირის პოლიპები ისხდნენ, გამუდმებით ქშუტუნებდნენ, ციებიანებით დაყვითლებულს სიფათები ჩამოსტიროდათ და მათს შემხდვარეს, მადა საიდან გამეხსნებოდა.

დამავინყდა მეთქვა, თამადად ობობა გვაჯი დანიშნეს. მჭევრმეტყველებას ნამდვილად ვერ შევეუქებდი, სმით კი ბლომად ნთქავდა და აღარა თვრებოდა.

სამაგიეროდ რწყილი კოტე სვამდა წვეთობით და ლიტრობით თვრებოდა. განუნყვეტივჭინჭყლობდა, რაც, ალბათ, სულ მალე ჩხუბში გადაეზრდებოდა.

საზოგადოება მალე შეთვრა. ზოგმა შაირის დეკლამაცია დაიწყო, ზოგმა წაუძღვრა. მისმა აღმატებულებამ ბატონმა პრემიერმა ფუნაგორია ხოჭო გედევანმა მიკროფონში ჩასძახა თავისი სახელგანთქმული „ოდა ნეხვს!“ ამის საპასუხოდ ჭიანჭველეთში გამორჩეულმა მოშაირემ, რომელსაც დედიკო ნიკუშას ეძახდა, წაიკითხა თავისი არანაკლებ სახელგანთქმული „ქებათა ქება მარწყვის ყელეს!“ კრიტიკოსმა ღორაცუნამ ეს ორი ნაწარმოები შეაჯვარა თავის გალექსილ თხზულებაში „გაპაექრება ნეხვისა და ყელესი“, რომელშიც ერთი უმტკიცებდა, გინდა თუ არა მე გჯობივარო, მეორეც, ცხადია, ასევე პასუხობდა.

რაც შეეხება სიმღერას, სხვაზე გულმოდგინედ და პროფესიულად ჭრიჭინობლები მღეროდნენ. ბუზებმა მთლად აურიეს, თავი ისე მოიგიჟიანეს, მოსაბეზრებელნი გახდნენ, თუმცა თვითონ კი გაიძახოდნენ, მოდერნისტები ვართ, მუსიკაში სიახლეები შემოგვაქვსო...

უცებ შუა დარბაზში ხოჭო-ციბრუტანა გადმოხტა და ცეკვა-ცეკვით ჩამოუარა.

— არიქა, ტაში-ტაში! — შეუძახეს აქეთ-იქიდან.

ხოჭო-ციბრუტანამ წრეს დაუარა და რწყილ კოტეს თავი დაუკრა.

რწყილი კოტე ცეცხლივით გადმოეშვა, „ჰა-ჰა!..“ — იძახდა და უამრავი ფეხით იატაკს ნაპერწკლებს ადენდა. სიმთვრალე წუთში დაავინყდა. მხრები მოხდენილად შეათამაშა, უღვაშებზე კიდურები გადაისვა და ქალბატონი ციციანათელა

ციცი გამოიწვია.

ქალბატონმა ციციმ ზედა კიდურები გაშალა, გამოგომანდა. ბედნიერებისაგან ერთიანად კაშკაშებდა.

აქ სხვებიც ჩაერთვნენ ცეკვა-თამაშში და ყველაფერი აირია.

ჩემს ყურთან დაიხარა ჭიამაია დურუ და ჩამჩურჩულა, პრინცესას შენთან ცეკვა სურსო.

ელდა მეცა. ცეკვით, არა მიშავდა, ისე ვცეკვავდი, მაგრამ სიშიშვლეს ბოლომდე ვერ შევეგუე... და მაინც, უარი ლაჩრობა იქნებოდა და ნამოვდექი.

მივიკვლევ გზას მოცეკვავეთა შორის, თან უნებლიეთ ხელისგულებს აქეთ-იქიდან ვიფარებ.

შემომეგება პრინცესა ნათელიკო, იმასაც, ბუნებრივია, აბლაბუდის კაბა აცვია, ისეთი გამჭვირვალე, რომ თავისი ღვთაებრივი ნაკვთები ცოცხლად უჩანს.

გამიღიმა, გავუღიმიე.

ჩამეხუტა, ჩავიხუტე და დავტრიალდით... მგზნებარე ალი შემოგვენთო და ვინვოდით.

მუსიკა გრიალებდა, ჩვენ კი თითქოს ცაში მივფრინავდით... (სხვათა შორის, მოგვიანებით გავიგე, ჩვენი ცეკვის დროს რამდენიმე ძვირფასი სტუმარი გაგვიჭყლეტია, რამდენიმე კი ჩვენს აბლაბუდაში ჩახლართულა და მოგუდულა!).

უცებ მუსიკა შეწყდა, სიჩუმე ჩამოვარდა.

ჩვენც მოწყვეტით გავჩერდით.

მიმოვიხედე.

დიდ-პატარა ჩვენ გვიყურებდა. ობობა გვაჯი კბილებს აღრჭიალებდა. რწყილ კოტეს თვალები ბუსავით გაფართობოდა. ხოჭო გედევანი ისე შემომცქეროდა, თითქოს ფუნა ნახა და შეჭმას უპირებსო.

მივხვდი, მტერი მოვიმრავლე.

პრინცესა ნათელიკო მივაცილე თავის სკამამდე, მერე დავბრუნდი ჩემს ადგილას. ცხვირის პოლიპებიდან ერთ-ერთმა ცხვირი დააცემინა, უზარმაზარი ცხვირსახოცით შეიმშრალა და ჩემკენ გადმოიხარა:

— ძვირფასო სტუმარო, უნდა გაგაფრთხილოთ,

ფორმიკალენდში თქვენ საფრთხე გელით!

— ვინ ბრძანდებით? — შევეკითხე.

— მე გახლავართ ჩინმაჩინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ფორმიკალენდში ბატონი ჩინ-ჩინი! ჩემმა მთავრობამ, თქვენი მთავრობის თხოვნით, დამავალა გადმოგცეთ, რომ თვითმფრინავი, რომლითაც თქვენ ჩინმაჩინში მიფრინავდით, ამ დღეებში უკან გაბრუნდება და გადაუფრენს ფორმიკალენდის ზეცას... სხვა გზა თქვენ არა გაქვთ, იფიქრეთ, თუ როგორ მოხვდეთ თვითმფრინავის სალონში!

— ღიობი თუ დაგმანეს? — ვკითხე ჩემს კეთილისმყოფელს.

— სამწუხაროდ, თქვენს სახელმწიფოს სახსრები არ ეყო, ქალბატონი ელვირას იმედით ბრუნდებიან!

ასეც ვიცოდი, ელვირას პატრიოტობაში ეჭვი არასოდეს შემპარვია!

თ ა ვ ი XIV

მალაქიტის ოთახი ანუ მოკლე თავი,
რომელიც ჩემმა ნანიკომ არ უხდა წაიკითხო

მომდევნო დღეს, როცა მისი უდიდებულესობა სახელმწიფო საქმეებით იყო დაკავებული, პრინცესა ნათელიკომ ჩაიზე დამპატიჟა.

სასახლის იმ კუთხეში ჯერ არ ვყოფილვარ და, რაც ახლა ვნახე, ყოველნაირ მოლოდინს გადააჭარბა.

პრინცესას აპარტამენტები მთლიანად მალაქიტით იყო განწყობილი, კედლები, ქერი, იატაკი მოცისფრო მწვანედ ბზინავდა, მაგიდაც, სავარძლების საფეხურები, შანდლები, ჭალი — ყველაფერი მალაქიტისა გახლდათ... კედელში ჩაშენებული ბუხარიც მალაქიტით იყო მოპირკეთებული.

მისაღები დარბაზის კარი ღია ვერანდაზე გადიოდა, იქიდან რამდენიმე საფეხური ზღაპრულ ყვავილეთში ეშვებოდა,

რომლის შუაგულში მალაქიტის აუზი ბრწყინავდა და შიგ კამკამა შადრევანი ჩუხჩუხებდა (საგანგებოდ შევამოწმე და შადრევნის წყალი რიგითი მოქალაქისათვის სასიკვდილოდ სტერილური აღმოჩნდა).

პრინცესას და მეც აბლაბუდის ტანისამოსი გვეცვა, ერთმანეთის პირისპირ ვისხედით, მუხლი მუხლზე გვექონდა მიბჯენილი და ვცდილობდით გვესაუბრა, მაგრამ იმის გამო, რომ ხმა გვიკანკალებდა, სიტყვების გადაბმა გავგიჭირდა.

მართალია, ტვინში დომხალი მქონდა, მაგრამ შევეცადად სერიოზული საკითხები წამომეჭრა. მაინტერესებდა, თუ რატომ მართავდა ჭიანჭველების სახელმწიფოს მაინცდამაინც *ჰომო საპიენსი*. პრინცესას ნათქვამიდან გავარკვიე, რომ ჭკიჭკიტიებისა და ბუტუტიების დინასტიის ყველა წარმომადგენელი *ჰომო საპიენსი* იყო. გვარის გაგრძელება მაშინ ხერხდებოდა, როცა საიდანმე „სამეფო გვარის ჭიანჭველა“ გამოჩნდებოდა.

წარმოიდგინეთ, როგორ დამიარა ჟრუანტელმა, მეც ხომ „სამეფო გვარის ჭიანჭველა“ გახლდით.

ნაჩქარევი დასკვნისაგან თავი შევიკავე. ბოლოს და ბოლოს ცოლ-შვილიანი, სერიოზული კაცი ვიყავი და ზედმეტი აცუნდრუკება ვერ დამმშვენდებოდა.

პრინცესა ნათელიკო დაინტერესდა ჩემი ოჯახური ამბებით. მეუღლე რომ ვახსენე, გულუბრყვილოდ მკითხა:

— მარტო ერთი ცოლი გყავს?

ავუხსენი, რომ ჩვენთან ერთზე მეტი ცოლის ყოლა მიღებული არ არის.

პრინცესამ სიცილი დამაყარა. აგერ, ჩვენს ჭიანჭველებს იმდენი ცოლი ჰყავთ, რამდენის გამოკვებას შეძლებენ, თქვენებურ ჭიანჭველებს რალა სჭირთო.

მერე უცებ ჩამეძია, იმ საღამოს კინალამ ხელზე რომ მიკბინე, რას ნიშნავდაო.

მე მისი ხელები ავიღე, ნაზად დავუკოცნე:

— მოგეწონა?

— ჟრუანტელმა დამიარა! — მორცხვად მიპასუხა.

ავუხსენი, თუ რას ნიშნავს კოცნა, ისიც აღვნიშნე, რომ

აუცილებელი არაა მარტო ხელზე აკოცო ადამიანს, ქალებს ტურებშიც კოცნიან-მეთქი.

— მეშინია! — ხმა ჩაუვარდა პრინცესა ნათელიკოს და განითლდა.

მის ბაგეებს როცა ბაგე შევახე, მთელი ქვეყანა დამავიწყდა და, მგონი, მასაც დავავიწყე...

ამ ამბავს აქ შევწყვეტ! არ მინდა ჩემი გატაცების შესახებ ნანიკომ გაიგოს. წარმოდგენაც არ შემიძლია იმისა, რასაც ჩემი ერთგული მეუღლე მოიმოქმედებს...

რა ვქნა, რა ცეცხლში ჩავვარდე? ამიერიდან ასეთი გაორებული გულით მომიწევს ცხოვრება...

თ ა ვ ი XV

ღირსშესანიშნაობები

პრინცესა ნათელიკო არ მაკლებდა ყურადღებას. ხელმწიფეც, როგორც კი მოიცლიდა, თავისთან მომიხმობდა და ერთად ვთამაშობდით. ტრაბახში ნურავინ ჩამომართმევს, მაგრამ ამ დროს მის უდიდებულესობას საბოლოო გამარჯვების რწმენას ვუნერგავდი.

ზოგჯერ სევდა მომანვებოდა, მოგონებებს მივეცემოდი. თმაჭალარა ბიჭუნა უცბად დაკაცდებოდა და გულითადად გამომკითხავდა „დედოფალ ნანიკოსა“ და ჩემი „სამი უფლისწულის“ ამბავს. არ სჯეროდა, ჩემნაირი გარეგნობის ჭიანჭველები უკლებლივ სამეფო გვარისანი რომ არ იყვნენ და ოხრავდა, ამდენ ხელმწიფესა და პრინცესას სარჩოს ვინ გაუჩენსო.

მუდამ სასახლეში ხომ ვერ გამოვიკეტებოდი. პრინცესა ნათელიკომ შემიდგინა ექსკურსიების გეგმა. შევეცადე ღრმად შემეხსნავლა კვეკვერიას ღირსშესანიშნაობანი.

პირველად ისტორიის მუზეუმი მოვიინახულეთ. ამჯერად ვერ აღვწერ ყველაფერს, რაც იქ ვნახე. ამის შესახებ დანვრი-

ლებით მოვეყვები ზემოთ დაპირებულ თხზულებებში. აქ კი ერთს აღვნიშნავ: საგამოფენო დარბაზების კედლები და ჭერი მთლიანად მოხატული იყო გმირებისა და წარჩინებულ მოღვაწეთა პორტრეტებით, ან ბატალური და აღმშენებლობითი სცენებით, თან ყველანი, ობობებიცა და ხოჭოებიც ავტორებს ჭიანჭველებად გამოეხატათ... ქვეყნის დამაქცევართა და მოღალატეთა მახინჯი სიფათებით საპირფარეოს იატაკი მოეხატათ და ყველა მსურველს შეეძლო ზედ მოესაქმა.

განათლების სისტემის გასაცნობად ვენვიეთ ჭკიჭკიტია პირველის სახელობის სასწავლებელს. დაინტერესებულ მკითხველს უნდა ვაცნობო, რომ ფორმიკალენდში „უნივერსიტეტად“ იწოდება გონებაჩლუნგი ახალგაზრდების აღსაზრდელი დანესებულება. იქ ყოველნაირი აბდაუბდა ისწავლება. ვინც აბდაუბდის დაზუთხვას მოახერხებს, შეუძლია იზრუნოს სალაყბოს დეპუტატობაზე. ხოლო ვინც მასალას ველარ დაძლევეს, პირდაპირ ხორცსაკეპში უშვებენ, რათა პედაგოგ-მასწავლებელთა გამოსაკვები ფარში გაამზადონ... ჭკიჭკიტია პირველის სასწავლებელი სხვაზე პრესტიჟული დანესებულებაა და მეტსახელად „მორგს“ უწოდებენ, რაკი უმთავრესად მკვდარი სულებითაა დაკომპლექტებული.

კიბესთან დაგხვდა „მორგის“ რექტორი, ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, პლანეტის სხვადასხვა უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი ბუტუტია. როგორც გავიგე, მისი ძირითადი სპეციალობა ყოფილა ჭკიჭკიტების სამეფო დინასტიის გენეალოგიური ხე. ამასთან, ბატონი ბუტუტია იყო იატაკზე შუბლის დაკვრის დიდოსტატი. თუ რამდენჯერ შეასრულა მან ეს მოხდენილი პირუეტი ხელმწიფე ანდუყაფარ პირველი ვეგეტარიანელის საპატივცემლოდ, ამის შეხსენება დღეს პოლიტიკური უტაქტობაა. ხოლო ხელმწიფე ანდუყაფარ მეორე პირმწყაზარის საპატივცემლოდ მან იატაკს შუბლი ზუსტად ოცდათორმეტი ათას ხუთას სამოცდაჩვიდმეტჯერ ახალა... ასეთი პიროვნება ძალიან საინტერესო ვინმედ მომეჩვენა და გაფაციცებით დავაკვირდი შუბლზე ბებერა ხომ არ ამოუვიდა-მეთქი. ჩვენს დანახვაზე ბატონი ბუტუტია ბედნიერებისაგან შეკუნტრუშდა, მოინდომა თავისი ოსტატობის დემონსტრირება, მა-

გრამ, სამწუხაროდ, დაავიწყდა, რომ კიბის თავზე იდგა, ზედმეტად წაიხარა, დაგორდა და ჩვენს ფერხით ტყეპა მოადინა.

მივცვივდით და წამოვაცყენეთ! ამ მცირე უსიამოვნებას არ შეეძლო დაეჩრდილა სიხარული, რაც დერეფნებში აჟრია-მულეზულმა ახალგაზრდობამ მომგვარა. პატარა ჭიანჭველები პირდაღებულნი შეჰყურებდნენ პრინცესა ნათელიკოს და თქვენს მონა-მორჩილსაც.

როგორც ბატონ ბუტუტიასთან საუბრიდან დავასკვენი, ფორმიკალენდური სწავლების სისტემაში აღმოჩნდა ორი მეთოდი, რომელიც შეიძლება ჩვენც გამოგვადგეს. კარგი იქნებოდა, განათლების სამინისტროს განეხილა ეს საკითხი და სათანადო დასკვნებიც გამოეტანა. ერთ მეთოდს ერქვა „გადარბენით სწავლება“, მეორეს — „ცოდნის ჩაჭედვა“. პირველ შემთხვევაში დიდი ფორმატის წიგნები გამოიცემა, პატარა ჭიანჭველა სტრიქონის გასწვრივ გაცუნცულდება და გზა-გზა კენკავს ასოებს. ასე რომ, ტექსტის ბოლომდე სულ სირბილ-სირბილ ივლის. გარდა იმისა, რომ ამ მეთოდით ცოდნის შეთვისების სისწრაფე დამოკიდებულია ჭიანჭველას სიყოჩაღზე, იგი სპორტულ ტანვარჯიშადაც ჩაითვლება. ჩვენს პირობებში ამისი განხორციელება ცოტათი ძნელი მეჩვენება, საჭირო გახდება მომცრო სტადიონის სიდიდის სახელმძღვანელოების გამოცემა, მაგრამ კეთილი ნების შემთხვევაში ამ წინააღმდეგობის დაძლევა სავსებით შესაძლებელია... რაც შეეხება „ცოდნის ჩაჭედვას“, ეს საკმაოდ მტკივნეული პროცესია და ფრთხილად უნდა მივუდგეთ. ამ დროს საბრალო სტუდენტს ან მონაფეს თავს გრდემლზე ადებინებენ და ცულოფანში გახვეულ ცოდნას თავში ჩააჭედებენ. ოსტატი კარგად უნდა იყოს განვრთნილი, არ უნდა გადაამეტოს, თორემ ყოფილა შემთხვევები, როცა მოსწავლე ახალგაზრდას თავი მთლად გაუჭეჭყეს და მომავალი დეპუტატი ან კაბინეტის წევრი გადასაგდები გამხდარა.

დავინტერესდი ჯანმრთელობის დაცვის პრობლემებით. ვიყავით ამ დარგის მინისტრთან ფუნიმაცურასთან. დიდხანს გვესაუბრა ფუნანსურ სიძნელებებზე. ლექცია წამიკითხა თემაზე, თუ რა მომაკვდინებელია ცოცხალი ორგანიზმისათვის სუფთა წყალი. „ის რომ კარგი იყოს, მასში ჭიალუები გაჩნდე-

ბოდა!“ — ამაყად გადმომხედა ფუნიმაცურამ, თანაც დასძინა, სტერილური წყლით განბანილს ნეხვის ღვთაებრივი სუნი არა სდის და ამიტომ საზოგადოებაში გამოსაჩენი არ არისო... „ვისაც ბევრი ფუნა აქვს, ის ჯანმრთელია!“ — განაცხადა ბატონმა მინისტრმა, ოღონდ არ აუხსნია, ფულს გულისხმობდა თუ სხვა რამეს.

ერთ დღეს ვინახულეთ „ამჩემფეხების მონუმენტი“, რომელიც ფუნაგორაზე შენდებოდა. მკითხველი მიხვდება, რომ მონუმენტი ეძღვნებოდა ფორმიკალენდის დოვლათის მწარმოებელი ჭიანჭველას ფეხებს.

მოვინახულეთ ფორმიკალენდის ეკონომიკური გიგანტიც — მარწყვის ჟელეს ფაბრიკა. ჰაერი აქ მარწყვის სურნელით იყო გაჯერებული და უამრავი ქურბაცაცა მწერისაგან მოსვენება აღარა ჰქონდათ. ფაბრიკის ნაწარმით ძირითადად სალაცხოს დეპუტატები იკვებებოდნენ. სტუმარს პატივი მცეს და კოვზი მომალოკინეს.

მოვიწადინე ვაჭრობის საკითხებში გარკვევა და ვერაფერი გავიგე. ფუნას (ფულადი ერთეულია!) ღირებულება არავინ იცოდა. ერთ კილო ფუნას (იგულისხმება ნეხვი) ხან მილიარდი ფუნა (ე.ი. ფული) სჭირდებოდა, ხან ათიოდე ფუნა (ცხადია, ფული!). ჩვენი კუპონით, ზოგს ეს ფუნა (ფული!) სულაც არა ჰქონდა, ზოგი კი ორთვალათი ეზიდებოდა (ვისაც მისმა კაიკაცობამ ფუნანსთა მინისტრმა გადიგამოდიმ კრედიტი უბოძა!). ასეთი არეულ-დარეული ფულად-საკრედიტო სისტემა მთელი დედამინის ზურგზე მარტო ჩვენს ორ სახელმწიფოში არსებობს. ამიტომ ვაჭრობა ძირითადად ნატურალურია, თუმცა აქაც ვერა გავიგე რა: ზოგი მთხლეს ცვლიდა ღვინოზე, ზოგი ღვინოს — მთხლეზე... გული მატკინა მონათა ბაზარმა! მიუხედავად იმისა, რომ ფორმიკალენდმა ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა დეკლარაციას, მონებით ვაჭრობა ლეგალურად მიმდინარეობს. განსაკუთრებით სარფიანია სიძვის დიაცებით ვაჭრობა. ოღონდ ფუნაზე (ფულადი ერთეული!) ეს საქონელი არ იყიდება, მთავარი ამათ უცხოური ვალუტა. მათ შორის ჩვენი კუპონებიც ვიხილე. ერთი წინკვი მდედრი ტილი ღირდა ნახევარი მილიონი კუპონი, ერთი ბარაქიანი მატრონა ჭიანჭველა ხუთი მილიონი კუპონი,

თუმცა ვერაფრით მივხვდი, ამ კუპონებს რა თავში იხლიდნენ.

აქ მინდა სპორტსაც შევეხო. ფორმიკალენდში სპორტის უამრავი სახეობაა განვითარებული. ვიყავი ეროვნულ სტადიონზე, რომლის ტრიბუნები მილიარდ ჭიანჭველას დაიტევს... დავესწარი ირემახოჭოებთან ბრძოლას. გამძვინვარებულ ირემახოჭოს გადმოუხტა ტორეადორი ჭიანჭველა, ცეკვა-ცეკვით უფრიალა თვალნინ ნითელი ნაჭერი. ტრიბუნები ამ დროს სიგიჟის ზღვარზე ღრიალებდა: „ტორო, ტორო!“ ბოლოს ჭიანჭველა მოხდენილად შემობზრიალდა და დაშნა ჩასცა საბრალო ირემახოჭოს... შედეგი ყოველთვის ასეთი როდია! ზოგჯერ თურმე ირემახოჭო ისე გამძვინვარდება, ტორეადორსაც გადათელავს და კოპეადორსაც... საინტერესო გახლდათ თეთრშუბლა კუტკალიების მარულა. თანაც აქ ტოტალიზატორიც მუშაობს და მაყურებელი ზოგჯერ საკუთარ თავს აგებს... ნაგებულის გზა კი ერთია — ხორცსაკეპი მანქანა და ყუათიანი ფარში!.. სპორტის სახეობათაგან ყველაზე მნიშვნელოვანია ცხვირბურთი. ჭიანჭველეთში ფეხბურთი ვერ დამკვიდრდა, რადგან იმდენი ფეხები აქვთ, სულ ერთმანეთში ეხლართებათ, თანაც თვალები ხომ წინაა, ფეხები უკან და ბურთს ზუსტად ვერ ათამაშებენ. ცხვირბურთის დროს ბურთი ცხვირწინაა და იმით ისეთ ილეთებს აკეთებენ, ისეთ პასებს გადასცემენ, თერთმეტმეტრიან საჯარიმოს ისე ურტყამენ, რომ პელე დაგავინყდებათ... ცხვირბურთის ეროვნული ნაკრების მესვეურებს შევუთანხმდი კიდევ, რათა ვიზიტით გვეწვიონ და ჩვენი ფეხბურთის ეროვნული ნაკრების ბიჭებთან ბურთი გააგორონ. მშვენიერი სანახაობა იქნება, თუმცა მაინცადამინც მოგების იმედი ნუ გვექნება...

ერთ მშვენიერ დღეს მიმინვიეს შაირთსასახლეში, ფორმიკალენდის ელიტარულ საკრებულოში, სადაც თავს იყრიდა სამეფოს უჭკვიანესი გონებანი...

თ ა ზ ი XVI

აქა ამბავი შაირთსასახლისა და ფორმიკალენდელ შაირთმესიტყვეთა

ნათქვამია, ყველა ქართველი პოეტიანო. ჩემდათავად მე ამას ვერ დავიჩემებ, მაგრამ შაირი მეც მიყვარს და სურვილი დამებადა გამეცნო ფორმიკალენდის სახელოვანი მოშაირენი და ბრძენთა საკრებულო. არ მახსოვს, აღვნიშნე თუ არა, რომ ქვეყნის ტელევიზიით განუწყვეტლივ გადაიციემოდა ჩემი სტუმრობის ამბავი. სადაც კი წავიდოდი, ტელერეპორტიორებისა და ოპერატორების ლაშქარი კუდში დამდევდა, ყოველ ჩემს სიტყვასა და ჟესტს ფირზე აღბეჭდავდნენ. ვინ იცის, რამდენმა მოქალაქემ დამიმახსოვრა. ამიტომ, მე რომ მოშაირეებთან შეხვედრა ვისურვე, თურმე ამათაც ასეთივე სურვილი გასჩენოდათ.

დათქმულ დროს მე და პრინცესა ნათელიკო, ჭიამაია დურუს თანხლებით, შაირთსასახლისაკენ გავემართეთ.

საკმაოდ მოზრდილი შენობა თითქმის გამოცარიელებული დაგვხვდა. ადრე თურმე აქ მომსვლელთა ტევა არ იყო. იმდენი მოშაირე იყრიდა თავს, შაირის ფასი მთლად დაეცა და სახოტბო ლექსის სტრიქონი სულ რაღაც ოცი გრამი ფუნა ღირდა. კრიზისის გამო, რაკი ყველაფერი გაძვირდა, მოშაირეებმაც თავიანთ ნამუშევარს მეტი ფასი დაადეს, მაგრამ მყიდველი კატასტროფულად შემცირდა. ჩვენი სტუმრობის დღეს შაირთსასახლის კარებთან რამდენიმე იაფფასიანი მოშაირე დაღვრემილი ელოდა მუშტარს. საუბედუროდ, ამათ შარახვეტია სტუდენტები ან სტუდენტ გოგონაზე შეყვარებული ასპირანტი თუ მოაკითხავდა, მათგან კი რა დიდი გამოსარჩენი იყო მოსალოდნელი. როგორც შემდეგ გავიგე, სალაყბოს დეპუტატებსა და სამთავრობო ჩინოვნიკებს მაღალ კაბინეტებში მსხდომი სახელგანთქმული მოშაირენი ასხამდნენ ხოტბას და ჯიბესაც კარგად ისქელებდნენ.

ერთგან, საპარადო კიბის თავზე ნაცნობ სტრიქონებს მოვკარი თვალი. ეს გახლდათ თვით მისი აღმატებულება ბატონი პრემიერის ფუნაგორია ხოჭო გედევანის ფაქსიმილე — ნანყვეტი შესანიშნავი შაირიდან — „კოტე ახტა-დახტა...“

გრძელ დერეფანში ვიხილე შუშის კარადები, რომლებშიც მოეთავსებინათ გამხმარი ჭიანჭველები — სახელგანთქმულ მოშაირეთა ფიტულები. თითქმის მტვრადქცეული მუმიები ვერაფერი სანახავი იყო და თვალი ავარიდე.

დერეფნის ბოლოს გაიღო მაღალი კარები და შემოგვეგება ერთობ უგვანი გარეგნობის ღორის ტილი. მის დანახვაზე ზურგის ქავილი ვიგრძენი, მაგრამ თავი შევიკავე. ღორის ტილმა მაღალფარდოვანი სახობო სიტყვით მომმართა, ციდან ჩამოფრენილ თეთრ გედს შემადარა... ოღონდ მერე და მერე გაუტია, ქათქათა გედიდან უფრო მშვენიერ და სანატრელ მსუქან ღორზე გადავიდა. თურმე ბატონ ღორის ტილს ჩემს დანახვაზე თვალწინ ბოსტანში მოსეირნე ღორი წარმოუდგა და ა.შ.

ვიფიქრე, ვილაცაა, აფრაკადაა-მეთქი და დურუს ხმადაბლა ვკითხვე:

— რასაა, რომ მიჰქარავს?

— ეგ მოშაირე არ გეგონოს! — ამიხსნა დურუმ. — შაირისა არა ესმის რა, მაგრამ დიდად განსწავლულია. ამბობენ, რამდენი კიდურიცა აქვს, იმდენი წიგნის ასო-ნიშანი აქვს დათვლილი. ამასწინათ დაიცვა დისერტაცია თემაზე — „ფხანა როგორც ღორის ტილის სიცოცხლისა და კეთილდღეობის ხელყოფა“, რომელიც საეტაპო ნაშრომი გახდა ტილოლოგიის დარგში. ავტორს მიენიჭა ტილოლოგ-პოლიტოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება. ღვთის გულისათვის, სასწრაფოდ მიულოცე ეს წარმატება, თორემ შეგიძლებს, ხოლო ვისაც შეიძლებს, ცდილობს თავზე აახოხდეს და ზედ მოისაქმოს.

შევხედე, ისეთი ჯღანი და მოცუცქნულია, გინდა მოუსაქმია, გინდა არა, ვერას იგრძნობ... თავი რატომ ამეტკიებინა და მონოლოგი რომ ჩამოათავა, დიდის ამბით მიულოცე ნანატრი კანდიდატობა.

შეიფერა და მერე როგორ! გაიბღინდა, ფაშვი ტიკჭორასავით გამოებრა.

დარბაზის შუაგულში მძიმე მაგიდა იდგა და ღორის ტილი იქითკენ წაგვიძღვა. ცხვირი იატაკისპირზე მიჰქონდა, შიშველი უკანალი ზევით აეშვირა და იძულებულნი გავხდით, თვალი აგვერიდებინა.

როგორც ამიხსენს, მაგიდის ირგვლივ სახელგანთქმული მოშაირენი და ბრძენთა-ბრძენები ისხდნენ.

ფეხზე წამოდგნენ. რაკი ტაშისათვის ამათ ხელისგულები აღარა აქვთ, კიდურებით მაგიდას ფხაჭნიდნენ.

საპატიო ადგილზე დამსვენეს.

მივიხედ-მოვიხედე, ვერ ვიტყვი, თავი შინაურულად ვიგრძენი-მეთქი. პრინცესა ნათელიკოსა და ჭიამაია დურუს თანადგომა მამხნევებდა და სიმშვიდეს ამიტომ ვინარჩუნებდი.

პირდაპირ ჩემ წინ კრიტიკოსი ღორაცუანა იჯდა, ისეთი სუნი დააყენა, სუნთქვა გაჭირდა.

— მივესალმები ჩვენს ძვირფას სტუმარს, რომელსაც შესანიშნავი ნეხვის სუნი ასდის! — ასეთი სიტყვებით მომმართა ბატონმა ღორაცუანამ.

უკვე მიჩვეული ვიყავი ხატოვამ ფორმიკალენდურ მეტაფორას, მაინც შეურაცხყოფისაგან პირზე აღმური მომედო.

— იგი ჩამოსულია იმ ქვეყნიდან, — განაგრძო ამასობაში ღორაცუანამ, — სადაც ჩემი ჯილაგის თანამომძიებებს არსებობის შესანიშნავი პირობები აქვთ! მსურს ძვირფას სტუმარს მივუძღვნა ჩემი ცხოვრების ერთადერთი ნაღვანი, ჩემ მიერ წვალებითა და რუდუნებით გამოცემული ცილისწამებათა სამტომეული!

მადლობის ნიშნად რაღაც წავიბლუყუნე. ძალიან გამიჭირდა ღორაცუანას მიერ გადმონოდებული წიგნებისათვის ხელის ხლება. თავს ძალა დავატანე და გადავფურცლე. პირველი წიგნის სუპერზე ამოვიკითხე რუსული სიტყვა „დონოსი“. თურმე ფორმიკულ ენაში (*Lengua de Formicas*) ადეკვატური ტერმინი არ არსებობს და ავტორმა კალკი იხმარა... შემდგომ, მოცალეობის დროს გავარკვიე, რომ ბატონი ღორაცუანა პროფესიონალი ყოფილა და ყველა, მეტ-ნაკლებად გამოჩენილ პიროვნებაზე „დონოსის“ ციკლი შეუთხზავს... მეორე ტომში („ზოგადი ცილისწამებანი“) ავტორს ჩაუნიკნიკებია ცილისწა-

მებანი კოლეგა მოშაირეებზე, რომელთაც (გვარს არ დავასახელებს მეთოდით) აბრალებდა ქრთამის გამოძალვას, სამშობლოს ღალატს, სექსუალურ აღრევებს, განსაკუთრებით უნლოვან ჭიანჭველებთან... მესამე ტომში თავმოყრილი იყო „კონკრეტული ცილისნამებანი“, სადაც საკუთარ დედ-მამას, დაძმებს, ბიძა-ბიცოლებს, დეიდებს, მამიდებს და მათს შვილებს, წინაპრებსა და მომავალ თაობებს, რა თქმა უნდა, საკუთარ ცოლსაც (ამას ბოზობას სწამებდა!) ცილისნამების ნიაღვარში უქადადა ჩახრჩობას.

პრინცესა ნათელიკომ შემატყო, რომ მიჭირდა ამ ტიპთან საუბარი, და ღიმილით ბრძანა:

— გეთაყვა, ახლა სხვა მოშაირეებსაც მოვუსმინოთ!

ლორაცუანა სავარძელში მოიკუნტა და ხმა გაკმინდა.

წამოდგა ერთი ხარაბუზა ხოჭო და მორთო ზუზუნნი. ინტუიციით მივხვდი, მდებრი უნდა ყოფილიყო. მისი შაირისა კი ვერაფერი გავიგე. არც რითმა ჰქონდა, არც რიტმი და საერთოდ არაფერი გააჩნდა, გარდა უთავბოლო ზუზუნისა. პრინცესა ნათელიკომ განმიმარტა, რომ ქალბატონი ხარაბუზა ბრძანდებოდა მოდერნისტული მიმართულების ფუძემდებელი ფორმიკალენდურ შაირში, რომ მისი პოემები ისე გრძელია, ვერავითარ წიგნში ვერ ეტევა და ამიტომ გზატკეცილზე უნდა დაიბეჭდოს, რათა მკითხველმა მგზავრობის დროს იკითხოს (ეს იდეა ძალიან მომეწონა! ხომ შეიძლება ზოგიერთი ჩვენი მოშაირის თხზულება ასფალტზე დაისტამბოს, ვთქვათ, თბილისიდან ქუთაისამდე. ვისაც შაირი უყვარს, შეუძლია გზა იკითხოს და საყვარელი მოშაირის შემოქმედებას ჩაუღრმავდეს. სხვათა შორის, ქალაქი ბლომად დაიზოგება!). დიდხანს ზუზუნებდა ქალბატონი ხარაბუზა ხოჭო, შევლონდით და, ბოლოს, უმორჩილესად ვთხოვეთ, დაენდო ჩვენი მოთმინება.

— ვერლიბრიდან იქნებ კლასიკურ შაირზე გადავიდეთ!

— ვთხოვე პრინცესა ნათელიკოს.

პრინცესამ ანიშნა შორიახლო მჯდარ კუტკალიას, რომელსაც მოუთმენლობისაგან სული მისდიოდა.

უმალ ფანდური აიტაცა კუტკალიამ, სიმებზე კიდურები

ჩამოჰკრა და ჭრიალი გაადინა... ვერც ამისი გავიგე რამე, თუმცა მივხვდი, რომ ტექსტში რითმა ხორბალივით ეყარა.

— ხალხოსანია, — ამიხსნა პრინცესა ნათელიკომ, — ტრადიციას ნაბიჯითაც არ სცილდება. წნელის ღობეს რომ ღობავენ, ისე მიღობავს რითმებით. სოციალური ჟღერადობის ავტორია, დღედაღამ იმაზე მღერის, ვის რა კარგი ზაფხულია და იმაზე ტირის, ვაი რა ცუდი ზამთარიაო.

კუტკალია გატაცებით რაკრაკებდა, თან თვალებს ისე მიჟუჟუნებდა, თითქოს მე ვყოფილიყავი ზაფხულის მომყვანი და ზამთრის ამკრძალავი. ახლა ამას დავუნყეთ ხვეწნა, დაგვინდეთ, ნუ დავგარეტიანეთ-თქო.

რამდენიმე მოშაირე ჭიანჭველამ ხოტბა აღმევლინა. ერთმა გოზინაყის ნაფხვენს შემადარა, მეორემ ვაშლის წვენს, მესამემ პრინცესა ნათელიკო შეადარა თაფლის იმ წვეთს, შრომისმოყვარე ჭიანჭველა ვარდის ბუტკოში რომ წაანყდება.

ამ შაირებმა ცოტათი გული დამინყნარა, მაგრამ ჭაობის წურბელა რომ წამოყელყელავდა, შიშისაგან კინაღამ მაგიდის ქვეშ შევძვერი. ისეთი პირი მოალო, სპილოს რომ დატაკებოდა, ნუთში გამოწუნნიდა.

ეს გახლდათ ბატონი კონდრატი, დიდი ბელეტრისტი, რომლის მადისმომგვრელ რომანებზე იზრდებოდნენ თაობები. მისი სქელტანიანი წიგნები ჭირიანობის დროს გვამების ჩასაყრელ ხაროს მოგაგონებდათ. მისი ფურცლებიდან იმდენი სისხლი იღვრებოდა, ზოგი მკითხველი იმის სურნელით თვრებოდა, ზოგიც ზედ თავს აკლავდა.

ბატონმა კონდრატმა ისეთი ზეფარდოვანი ხოტბა შემასხა, ვიფიქრე, მისმა სიტყვებმა სხვებიც არ წაახალისოს და აქედან გაშვლუპილი არ წავიდე-მეთქი. თურმე დიდ ბელეტრისტს ისე მოვეწონე, ისე შევუყვარდი, რომ ჩემზე რომანების სერიალის დაწერას აპირებს, რომ ამისთვის მზადაა შემისწავლოს და თან მეტისმეტი მგზნებარებისაგან ფეხისგულიდან კისრისძარღვამდე (დუნდულების ჩათვლით) დამპროშტნოს... ამის გაგონებაზე შემაცივა და ამაცაცახსა.

პრინცესა ნათელიკო მოიღუშა და მკაცრად გაანყვეტინა ლიტერატურულ ნებიერას, შეახსენა, რომ მე ხელმწიფის

სტუმარი ვიყავი და არაფერი ვიცოდი შაირთსასახლის ბინა-დართა წეს-ჩვევებზე.

წარმომიდგინეს ბიბლიოთეკის ობობა, რომელიც მეტად მიაბიძგა ქალბატონად მომეჩვენა. იგი თურმე ეროვნული ბიბლიოთეკის ხელნაწერ-ფოლიანტებში აბამდა ქსელს და ქურდ-ბაცაცებს მუსრს ავლებდა. ამ მძიმე და უმადური შრომით იძენდა სარჩოსა და ცოდნას. უშურველად შემომთავაზა, მზად ვარ გაგიზიაროთ ერთიცა და მეორეცო. ხელნაწერი ფოლიანტები დიხსაც მაინტერესებდა, მაგრამ ამგვარ სარჩოს უწინა-კოდ და უმარილოდ ჩემი კუჭი ვერ გაუძლებდა და თანამშრომლობისაგან თავი შევიკავე.

ყოველ გამომსვლელს აქ ვერ ჩამოვთვლი. ზოგის შაირი გახსენებდად არ ღირს, ზოგი ავტორი იმდენად პანანკინტელა იყო, მის ნაღვანს რა ფასი უნდა ქონებოდა... დამამახსოვრდა ჟურნალ „ახვარის“ რედაქტორი ხოხო, გაზეთ „ქვემძრომის“ გამომცემელი ჭუჭუ და ხელნაწერ ჟურნალ „სლიპინას“ შემკრებ-გამავრცელებელი მზისადარი... რამდენიმე ჩასუქებულ ბუზსაც მოვუსმინეთ. ბევრი იბზუილეს, მაგრამ ამათი შაირი იმ ქალაქად არ ღირდა, რაზეც მათი ნაღვანი დიდი ტირაჟით იბეჭდებოდა, ამათგან განსაკუთრებით ვერავის გამოვარჩევ და ვფიქრობ, შაირის საქმეს ბუზი საერთოდ არ უნდა გააკარო, გააჭუჭყიანებს და მეტი არაფერი.

ილაპარაკა კრიტიკოსმა ტკიპამ, რომელიც მუდამ სხვისი იდეებით იკვებებოდა, უმთავრესად ხელმწიფე ანდუყაფარის ბრძანებებით და უზენაესი სალაცხოს დადგენილებებით. ოსტატურად ეხერხებოდა სხვათა ნაშრომებიდან წვენიც გამოედენა, რის შემდეგაც ავტორებს მშრალ ბურბუშელას უტოვებდა.

დაბოლოს, მასპინძლებმა კითხვები დამაყარეს. ფორმიკალენდის ელიტას უმთავრესად ეროვნული პრობლემები აინტერესებდა. დამსწრე საზოგადოებას გავაცანი ჩვენს ქვეყანაში არსებული ვითარება. ჩვენთან ჭიანჭველებს მუდამ პატივსაცემდნენ, შაქარშიც კი ჰქონდათ წილი დადებული, მაგრამ ბოლო წლების გაჭირვების გამო შაქარი თვითონაც არა გვყოფნის და ჭიანჭველებს ნამდვილად ვერ ვუწილადებთ-მეთქი.

ამ ცნობამ საზოგადოება ძალიან დაამწუხრა. იქვე გადაწყვიტეს, შეექმნათ ქართველ ჭიანჭველათა დახმარების ფონდი. ფორმიკალენდის ყველა ჭიანჭველა ამ ფონდს შაქრის თითო ნამცეცს თუ ჩააბარებდა, ჩვენს ბედს ძალი არ დაჰყეფდა.

სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ისიც წამომცდა, რომ წინა, სტაბილური ცხოვრების ჟამს ჩვენთან იაფად იშოვებოდა საპონი, სარეცხი ფხვნილი, დუსტი და მისთანანი, რის გამოც მავნე ხოჭოები, ბაღლინჯოები, ტკიპები, ტილები გადაშენებამდე მივიდნენ...

— სოლიტერი? — იკითხა ბატონმა სამტომეულის ავტორმა (ღორაცუანა ვიცე-პრემიერის ნათესავი აღმოჩნდა).

ავუხსენი, რომ პატარებს ე.წ. ინგლისურ მარილს ვასმევდით, ანდა ოყნას ვუკეთებდით, რამაც სოლიტერები თითქმის განწყვიტა.

თავზარდამცემი დუმილი ჩამოვარდა. პრინცესა ნათელიკო თავის ფიქრებს უღიმოდა. ჭიანჭველები ცმუკავდნენ, ცდილობდნენ თანაგრძნობა გამოეხატათ, მაგრამ არ გამოუდიოდათ.

სხვებს სიფათები ჩამოსტიროდათ. ცხადია, მათს გამომეტყველებას სიფათებს თუ ვუწოდებთ.

სიჩუმე ღორის ტილმა დაარღვია, ხმაშეცვლილი ჩამეძია:

— ნუთუ ღორებიც საპნით იბანენ, იმათ ხომ ტლაპოდან ვერ ამოდენი?

მრავლისმეტყველად შევხედე და პასუხი არ გამიცია.

არ მახსოვს ვინ, მაგრამ ვილაცამ წამოიძახა:

— ძველ უბედურებას რას მისტირით, დღეს რა ვითარებაა, ის გვითხრას!

სიმართლეს ვერ დავფარავდი! ახლა ქვეყანა დანგრეულია, საპონი რომ საპონია, საშინლად გაძვირდა და თქვენს თანამოქმედებს კარგი დახლი დაუდგათ, ლამისაა ქართველობა გადაგვაშენონ-მეთქი.

ატყდა ხორხოცი და მხიარული „ვაშას“ ძახილი.

გამოვემშვიდობეთ ჭკუამხიარულ საკრებულოს და წამოვედი.

კიბეზე ერთი თავმსხვილი ჭიანჭველა წამოგვეწია. შეხ-

ვედრაში ისიც მონაწილეობდა, მაგრამ ხმა არ ამოუღია.

პრინციესა ნათელიკომ მოწყალედ გაუღიმა, ჭიამაია დურუმაც თავი დაუკრა.

— ბატონი ჯგირკოჩა! — წარმომიდგინეს.

ღმერთმა გადმომხედა, როცა ეს პიროვნება გავიცანი. იმ წუთას წარმოდგენაც არა მქონდა, თუ ბატონი ჯგირკოჩა რა როლს ითამაშებდა ხათაბალიდან ჩემს დახსნაში.

— შამპანური გიყვარს? — მკითხა ბატონმა ჯგირკოჩამ. თავი დავუქნიე.

— კაია, კაი! — ბრძანა უცნაურმა ბატონმა და გზა განაგრძო.

პირდაღებული გავცქეროდი ჭიანჭველას, რომელსაც ციციქნა ტანზე უზარმაზარი თავი გამოშობოდა და ძლივს მიჰქონდა.

— თავი სულ ტვინითა აქვს სავსე! — მითხრა პრინციესა ნათელიკომ. — შიგ ვერ ეტევა და ხანდახან ყურებიდან გამოჟონავს. დიდი გამომგონებელია. ახლა, ამბობენ, შამპანურის ბოთლისაგან საცობსატყორცნი გამოუგონიაო.

მხრები ავიჩიჩე, „კომუნისმის გარიჟრაჟზე“ ვინ მოთვლის, რამდენი ბოთლიდან მიტყორცნია საცობი!

თ ა ვ ი XI

აქა ამბავი პოლიტიკისა და პოლიტიკოსობისა

— ფორმიკალენდში ერთადერთი პოლიტიკოსი ჩვენი ხელმწიფეა! — მითხრა ჭიამაია დურუმ. — ანდუყაფარი პატარა ბიჭუნაა და თამაში უყვარს. ამიტომაც პოლიტიკური თამაშის წესები მის მეტს არავის ესმის. გასაოცარი ოღონდ ისაა, რომ რაც ნაკლებია პოლიტიკოსი, მით მეტია პოლიტიკური პარტია და ორგანიზაცია. დღეისათვის, თუ არ ვცდები, ათასამდეა რეგისტრირებული!

ვთხოვე, ჩემთვის ისეთი პარტიები გაეცნო, რომელთაც თავმჯდომარისა და გენერალური მდივნის გარდა კიდევ

ეყოლებოდათ წევრები. ასეთი მაინცდამაინც ბევრი არ აღმოჩნდა.

ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო პარტია, რომლის თავმჯდომარე გახლდათ ქალბატონი ქალაღდის ჩრჩილი ლუიზა, ხოლო გენერალური მდივანი ბატონი ქალაღდის ჩრჩილი სილიბისტრო. ამათი ოფისი მდებარეობდა ჭკიჭკიტია პირველის პროსპექტზე და დათქმულ დროს ვეახელით.

ვხედავ, მაგიდაზე უზარმაზარი ტომი დევს. უმაღ ვიცანი ჩემი სიყმაწვილის დროინდელი სამაგიდო წიგნი — მარქსის „კაპიტალი“. დავაკვირდი, აქეთ-იქიდან შეხრულია, ირგვლივ კი მოყვითალო ხრილი ყრია. შიგნიდან შრომის ხმა ისმის, ვიღაცა გამალებით ხრავს.

ჩავახველე. ერთ მხარეს გამოძვრა ქალბატონი თავმჯდომარე, მეორე მხარეს გენერალური მდივანი. მტვერი ჩამოიფერთხეს და მოგვიბოდიშეს, დღენიდაგ ასეთი შრომა და ჯაფა გვიწევსო.

შემოვუსხედით მაგიდას და გაიმართა საქმიანი საუბარი.

თურმე პარტიას ადრე ერქვა **რკპ(ბ)**, რაც ნიშნავს „რევგენტთა და კრეტინთა პარტიას (ბუზანკალებისა)“. იმ დროს პარტიის წევრთა უმრავლესობა შედგებოდა მემამოხე-რევოლუციონერი ბუზანკალებისაგან. მერე ომების ეპოქა შეიცვალა აღმშენებლობის პერიოდით, პარტიის რიგები შეივსო მშრომელი ჩრჩილებით. ამიტომ სახელწოდებაც შეიცვალა. ამჟამად ქალბატონ ლუიზას და ბატონ სილიბისტროს პარტიას ჰქვია **სკკპ** („სავსებით კრეტინთა და კორუმპირებულთა პარტია“). ამათ აქვთ თავიანთი ახალგაზრდული ორგანიზაცია — **ალკკ** („ახალგაზრდა ლეგენთა და კოლუმპილებულთა კავშილი“) და მთლად პატარუკების საზოგადოება — „პატალა ლეგენტუკები“.

ამ პარტიის საბოლოო მიზანი იყო დაეპურებინათ თავიანთი წევრი ჩრჩილები. საამისოდ დაისტამბა და პარტიის წევრებს დაურიგდათ პოლიტიკური კორიფეების თხზულებათა სქელტანიანი მრავალტომეულები. ამით პარტიამ იღვანა, რომ არავინ დარჩენილიყო მშვიერი. თვით თავმჯდომარეს, ქალბატონ ლუიზას და გენერალურ მდივანს, ბატონ სილიბისტროს

საერთო სარგებლობისათვის ერგოთ ეს გემრიელი ტომი და იმედოვნებდნენ, რომ ორი-სამი ხუთწლელი მაინც არ მოუწევდათ შიმშილობა.

ამ ვიზიტის შემდეგ, მართალი ვითხრათ, სხვა პარტიათა ოფისებში სიარულს შევეშვი. ისე კი, ცნობისათვის, რამდენიმეს მაინც ჩამოვთვლი: **ადბ** — *ახლადმოვლენილ დემავოგთა პარტია*, **ქდპ** — *ქუჩის დემავოგთა პარტია*, **სდპ** — *სავსებით დემავოგთა პარტია*, **მდპ** — *მოკლედ, დემავოგთა პარტია...* **ჭჭპ** — *ჭკუამხიარულთა და ჭამისმოყვარულთა პარტია...* არსებობდა კიდევ „*ჰარი-ჰარალეს საკრებულო*“ და „*ღივლი-დალალეს საზოგადოება*“, „*ყელეს მოყვარულთა სამეფო მოძრაობა*“ და „*ნეხვის მოყვარულთა ფრონტი*“...

ვფიქრობ, საკმარისია!

თ ა ვ ი XVIII

აქა ამბავი უზენაესი სალაცხოსი

ნავახშმევს შემატყობინეს, რომ მომდევნო დღეს უზენაეს სალაცხოში მიწვევდნენ. გულმა რეჩხი მიყო. ყველაფრიდან ჩანდა, რომ დღის წესრიგში იდგა ჩემი გადარჩენა-არგადარჩენის საკითხი. თავი იმითლა დავიმშვიდე, რომ ღვთის წყალობით ხელმწიფე ანდუყაფარი და პრინცესა ნათელიკო საფრთხეს ამარიდებენ-მეთქი.

ჩავეხუტე ჩემს ფუმფულა ბალიშს და სიზმარში ჩავეშვი. პრინცესა ნათელიკო გამომეცხადა. მთელი დღე მასთან ვიყავი მალაქიტის დარბაზში და თითქოს ძილშიც თან გამომყვა. ვითომც ხელში ხელი ჩავავლე და ორივენი მერცხლებივით ცის ლაყვარდზე დავნავარდობდით... უცებ დამისხლტა... გამოვუდექი. ის კი ობობას ქსელში ჩავარდა და ჩაიხლართა...

გული დამიმძიმდა, თუმცა ეს მხოლოდ სიზმარი იყო და მეტი არაფერი!

ჭიამაია დურუ მეახლა, დღეს ქალაქში მღელვარებააო, მაცნობა.

ერთად გავემართეთ უზენაესი სალაცხოს შენობისაკენ.

ქალაქის ცენტრი გადაჭედული დაგვხვდა. სასტუმრო „ბერმუხიდან“ მოყოლებული ჭკიჭკიტია პირველის პროსპექტი და ბუტუტიას მოედანი დემონსტრანტებს გაევსოთ. მოქალაქე ჭიანჭველები მოაფრიალებდნენ ეროვნულ დროშებს და ფართო ტრანსპარანტებს. ნავიკითხე ზოგიერთი ლოზუნგი. „*ობობებო, გოუ ჰოუშ!*“ — ეწერა ერთგან ინგლისურად. „*სიბირსკი ვოშჩ, ვონ ოტსიუდა!*“ — იკითხებოდა მეორეგან რუსულად. უმრავლესობა კი, ცხადია, ფორმიკულ ენაზე იყო ჩანიკნიკებული: „*მოგვეციტ სატყეებლა, დავსცხებთ ბუზებს!*“, „*მივაჭყლიტოთ რწყილები და კოლოები!*“ „*ბალლინჯოებმა ჩვენი სისხლი დალიეს!*“ „*ძირს ობობები, მთელი ძალაუფლება ჭიანჭველებს!*“

ბუტუტიას მოედნის კუთხეში მომცრო ჯგუფი შევნიშნე, უმთავრესად ელიტარული საზოგადოების წარმომადგენლები იყვნენ. მიკროფონთან ჭრიჭინობელა ზეინაბი იდგა და თავის პროგრამას გაჰკიოდა: „*არა, არა, არა!*“

ერთგან მოხულიგნო ელემენტებმა აშკარა ანტისახელმწიფოებრივი ტრანსპარანტი გაშალეს: „*გამოვნუნნოთ ხელმწიფე ანდუყაფარი და პრინცესა ნათელიკო!*“ ჭიანჭველები მიცვივდნენ ამ პოლიტიკურ ნაძირალებს და ტრანსპარანტი თავზე გადაახიეს.

რა დიდი მიხვედრა უნდოდა, ფორმიკალენდი მნიშვნელოვანი მოვლენების ზღურბლზე იდგა.

ბრბოში ძლივს გავალწიეთ. ვცდილობდი, სხეულის ნაწილები ნაკლებ მომეშიშვლებინა, მაგრამ ვილაცამ კანჭზე მიბნკინა და მექავებოდა. შორიახლო კოლო კაკო დავლანდე. ქუდი თავზე ქურდულად ჩამოეფხატა და პირი კაშნეთი აეხვია. ალბათ, ეგ იყო რომ მომეპარა და თავისი გაინაღდა.

უზენაესი სალაცხოს კიბეები ბალლინჯო-პოლიციელებს გადაეკეტათ. ამათ თვით გენერალი ყარამანი ხელმძღვანელობდა. ისე გაბერილიყო, გენერლის კიტელში ვერ ეტეოდა. მივხვდი, სულ ახლახან ესადილა, რადგან ყბაში ჯერაც გასჩხეროდა რიგითი პოლიციელის ჩექმა.

კიბის თავზე საკმაოდ ცნობილი ტელერეპორტერი ხოჭო

მესაფლავე და ტელეოპერატორი ხოჭო ტკაცუნა გადამეკიდნენ. მათთვის არა მცხელოდა, ვცადე, თავი ამერიდებინა, მაგრამ აღარ მომეშვენენ, ვინ გაიმარჯვებსო. სამართლიანობა გაიმარჯვებს-მეთქი და კარებში შევევარდი.

მეგონა, შიგნით მაინც მოვითქვამდი სულს. თქვენც არ მომიკვდეთ! უზენაესი სალაყბოს დერეფნები და კიბეები გვარდიელებითა და მხედრობით იყო გაჭედილი. ამათგან, ჭიანჭველები უფრო კორექტულად იქცეოდნენ, ხოლო რწყილების, კოლოებისა და ობობების თავგასულობას ზღვარი არა ჰქონდა.

სალაყბოს დეპუტატები ამათ შორის შიშინად მიიკვლევდნენ გზას, ჭიამაია დურუ კი გასასვლელს უშიშრად მიიკაფავდა და არაფერი დამშავებია.

შევაღნიეთ ვრცელ დარბაზში. ოვალურად განლაგებულ მაგიდებს დეპუტატები უსხდნენ, პრეზიდენტის მაგიდას კი — ბატონი სპიკერი გოგლიმოგლა, ქურქიანი ქალბატონი ვიცე-სპიკერი ბუზარა და ბატონი ვიცე-ვიცე-სპიკერი კუკუ.

მაღალზურგიან, სამეფო გერბით შემკულ სავარძელში იჯდა მისი უდიდებულესობა და ჭალარას ოქროს სამეფო გვირგვინი უმშვენებდა.

მისგან ხელმარჯვნივ, საპატიო სტუმრის სავარძელი ეკუთვნოდა პრინცესა ნათელიკოს. ხელმარცხნივ კი საქანელა ეკიდა, რომელზეც ქანაობდა მისი აღმატებულება პრემიერი ფუნაგორია ხოჭო გედევანი. თურმე პრემიერებს საქანელაზე იმიტომ სვამენ, საჭიროების შემთხვევაში იოლად რომ ჩამოაყირონ. ვფიქრობ, მისაბაძი წესია!

კედლის გაყოლებით სტუმართა ლოჟები დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს და პრესის მუშაკებს ეჭირათ. შორიდან თავი დავუქნიე ჩინმაჩინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ბატონ ჩინ-ჩინს. გული დამწყდა, რომ ამათ შორის ჩვენი დამოუკიდებელი ქვეყნის წარმომადგენელი არ ერია. რას იზამ, თბილისში იმდენი თანხა ვერ დაიძებნა, ასეთ პრესტიჟულ სატახტო ქალაქში საელჩო გახსნილიყო.

ავანსცენაზე ცალკე სკამი იდგა. მივხვდი, ჩემთვის იყო განკუთვნილი და ისეთი ადგილი შეერჩიათ, რომ ყველას ენახა,

თუ რა გემრიელი ლუკმა ვიყავი (ხომ გახსოვთ, ტანზე მხოლოდ აბლაბუდა მემოსა!).

მინდა ორიოდ სიტყვით მოგახსენოთ, თუ რას წარმოადგენდა ეს საკრებულო. იგი შედგებოდა ერთფეროვანი, უსახური უმრავლესობისაგან და ჭრელი უმცირესობისაგან. უმრავლესობას ძირითადად შეადგენდნენ მოლაყბე ჭიანჭველები, რომლებიც არცთუ პრინციპულად უჭერდნენ მხარს მის უდიდებულესობას, რისთვისაც ყოველთვის ურად თითო ქილა მარწყვის ყელეს იღებდნენ. ამათ ემხრობოდა მცირე ჯგუფი გადაბირებულთა, რომელთაც კბილები გასცვეთოდათ და თავს ლოკვით ირჩენდნენ.

უმცირესობა იმდენი ფრაქციისაგან შედგებოდა, რომ სპიკერატი (ბატონი გოგლიმოგლა, ქალბატონი ბუზარა და ბატონი კუკუ) თვლას ვერ აუდიოდნენ. ესენი ხელმწიფისაგან არაფერს იღებდნენ, სამაგიეროდ, რასაც მოიხელთებდნენ, მათი ნადავლი იყო. ფეხსახსრიანებში ყველაზე დიდი ობობა გვაჯის ფრაქცია გახლდათ. ამათ ხელთ ეგდოთ ფორმიკალენდის სისხლის ბიზნესი. რწყილი კოტეს მცირერიცხოვანი ფრაქცია, რომელსაც თავი უმრავლესობაში შეერგო და კუდი გარეთ გამოეყო, ხელს ნეხვის ბიზნესში აფათურებდა... უკიდურესად მემარცხენე ფლანგი რწყილ-კოლოთა გაერთიანებულ ფრაქციას ეჭირა. ესენი ქურჩის ოპოზიციონერთაგან დიდად არ განსხვავდებოდნენ და უსირცხვილოდ აფრიალებდნენ გულისშემალონებელ ტრანსპარანტს: „*გამოვწუნოთ ხელმწიფე ანდუყაფარი!*“ ვინც ასეთ მკრეხელობას საჯაროდ ბედავდა, ბუნებრივია, არც პრინცესა ნათელიკოს დაინდობდა, რომ არაფერი ვთქვათ თქვენს მონა-მორჩილზე... არსებობდა ერთნახევრიანი ფრაქციაც, რომლის წევრი იყო ერთი ოპოზიციონერი ობობა და ერთიც, გაურკვეველი ჯილაგის ბუზი, რომელიც სანახევროდ უმრავლესობაში შედიოდა, რაკი მარწყვის ყელე მოსწონდა, მაგრამ ამავდროულად უმცირესობაშიც იყო, რაკი ნეხვსაც არ ინუნებდა.

ასეთი იყო ფორმიკალენდის უზენაესი სალაყბოს მიახლოებითი პორტრეტი. აქ, ალბათ, ჭიანჭველების იმედი უფრო უნდა მქონოდა, ბოლომდე არ გამწირავდნენ, თორემ უმცირ-

ესობა ცოცხალს არ გამიშვებდა.

შევეცადე შიში დამეძლია. თამამად გავიარე ავანსცენაზე. მივესალმე მის უდიდებულესობა ხელმწიფე ანდრეასოვს პირმწყაზარს (ამ დროს პრინცესა ნათელიკომ გამამხნევებლად გამილიმა!). მერე დარბაზისაკენ მივბრუნდი, თავი დავუკარი და ჩემთვის განკუთვნილ სკამზე დავჯექი.

პასუხად არაერთსულოვანი ზუზუნი მომესმა.

თავდაპირველად მთავრობის სახელით აქაც ბატონი სოლიტერი გამოვიდა. მან ვრცლად განავითარა კაბინეტის სხდომაზე წარმოდგენილი იდეა, რომელიც ბატონი პრემიერის ფუნაგორია ხოჭო გედევანის სრული მხარდაჭერით სარგებლობდა. ორატორი ისე დარბაისლურად და დამაჯერებლად ასაბუთებდა თავის შეხედულებებს, რომ კინალამ მეც დავიჯერე, ეს წინადადება არც ისე შეურაცხმყოფელია-მეთქი.

ნეხვის ჭიების ფრაქციამ მთავრობის კურსისადმი სრული მხარდაჭერის ნიშნად ყიჟინა მორთო. ჭიანჭველებმა არცთუ ერთსულოვნად დაუსტვინეს. ხოლო დეპუტატმა ბუზებმა ბზუილი დაიწყეს, გასაგები მიზეზების გამო სიხარულისაგან ჭერს ასკდებოდნენ.

ამ დროს ხელი ასწია მისმა უდიდებულესობამ და დარბაზი გაყუჩდა.

— მართალია, დიპლომატიური კორპუსის ლოჟაში ჩვენ დღეს არ გვიზის საქართველოს წარმომადგენელი, მაგრამ წინ უნდა გავიხედოთ! წინასწარ ნუ დავანგრევთ იმ ხიდს, რომელიც მომავალში ჩვენს ორ ქვეყანას დააკავშირებს! სამეფო გვარის ჭიანჭველასათვის, როგორც ჩვენი სტუმარია, ალბათ, შეურაცხმყოფელია ჩლიქოსან ცხოველთა სიაში ჩანერა. ვფიქრობ, ჩვენი ძვირფასი სტუმრის ინტელექტი არაფრით ჩამოუვარდება ჭიანჭველას ინტელექტს!

გამახარა მისი უდიდებულესობის გულითადმა სიტყვებმა. ათი წლის ბიჭის გონიერება მართლაც გასაკვირი იყო. სამწუხაროდ, ხელმწიფის ნათქვამს ისეთი აურზაური მოჰყვა, ვერ გავარკვიე, ვინ უჭერდა მხარს და ვინ ეწინააღმდეგებოდა. ნეხვის თეორიის მომხრეები არ აპირებდნენ ხელიდან შანსის გაშვებას, მაგრამ არც სხვა ფრაქციებს ეძინათ...

სპიკერი გოგლიმოგლა შეეცადა დაემოშმინებინა დარბაზი და ხმას გულითადობის ტემბრი შესძინა:

— ვიყოთ კულტურულად, ვილაყბოთ დემოკრატიულად, ნუ გავწირავთ ერთმანეთს!

ვიცე-სპიკერი ქალბატონი ბუზარა მიკროფონში გაიძახოდა:

— ბატონებო, ერთი წუთით, ბატონებო!

ხოლო ვიცე-ვიცე-სპიკერი კუკუ ბალის სარწყულით აგრილებდა ზედმეტად გაფიცებულ თავებს.

ტრიბუნაზე ჯვრიანი ობობა აძვრა და გაგულისებით გახედა დარბაზს.

— ობობა ჯონდო გვაჯისტური ფრაქციიდან! — გამოაცხადა მან. — მისი უდიდებულესობა ხელმწიფე ანდრეასოვი, ეტყობა, ფორმიკალენდის ეროვნულ ინტერესებზე მაღლა აყენებს უცხო ქვეყნების ინტერესებს! ეს, ალბათ, იმიტომ ხდება, რომ თვით ხელმწიფისა და პრინცესა ნათელიკოს ძარღვებში ისეთივე გემრიელი და ცხელი სისხლი მიმოედინება, პირზე ნერწყვმომდგარნი ვითმენთ ყოველივე ამას, მაგრამ მოთმინებას ხომ საზღვარი აქვს!

ობობა ჯონდოს სიტყვებმა უმრავლესობა აღაშფოთა, ჭიანჭველებმა კიდურების ბრაგუნი ატეხეს და ორატორის ხმა ჩაახშეს.

ამ ღრიანცელში ყური მაინც ვკიდე რადიკალთა ყვირილს:

— გამოვუნწოთ ხელმწიფე ანდრეასოვი!

შევხედე მის უდიდებულესობას, ნერვი არ გატოკებია სახეზე, თითქოს არც ესმოდა, რაც ირგვლივ ხდებოდა.

ჯვრიანი ობობა ცდილობდა სიტყვა გაეგრძელებინა, მაგრამ მას ერთი განრიპული რწყილი მიუვარდა და ძირს ჩამოაგორა.

— რწყილი გრიშა, კოტეს ფრაქციიდან! — წამოიყვირა ტრიბუნაზე ავარდნილმა რწყილმა. — მე გვაჯისტურ იდეოლოგიას ვერ გავიზიარებ! ჩვენი პროგრამა უფრო ჰუმანურია, რადგან ფხანით ჯერ არავინ მომკვდარა!

იქნებ ბევრი ჰქონდა სათქმელი, მაგრამ შურისძიებით ანთებულმა ჯვრიანმა ობობა ჯონდომ ფეხებზე კიდურები წაატანა და დაითრია.

— პროტესტს ვაცხადებ! — წამოხტა რწყილი კოტე.

— პროტესტს მე ვაცხადებ! — იბლავლა გვაჯიმ.

— შენი კი არა, ჩემი კაცი დაითრიეს!

— მანამდე შენმა კაცმა ჩემი ჩამოაგორა!

ორივემ ერთმანეთისაკენ მუქარით წაინია.

დარბაზში მყოფმა დეპუტატებმა ლიდერებს დაასწრეს და ერთურთს წაუთაქეს.

ატყდა ერთი ალიაქოთი და ცემა-ტყეპა.

სპიკერატი, რა თქმა უნდა, თავდაუზოგავად ცდილობდა მოჩხუბრების დაშოშმინებას, ოღონდ ვერც ხვეწნამ გაჭრა, ვერც მუდარამ და ვერც ცივი წყლის ნაკადმა... ამ რია-რიამ, როგორც აღმოჩნდა, რამდენიმე დეპუტატი შეიწირა, ისინი წყლის ნაკადმა კლოზეტში ჩარეცხა. სწორედ აქ იჩინა თავი ბატონი სპიკერის გამოცდილებამ. სასწრაფოდ გასცა სათანადო განკარგულება. ფეხზე დააყენეს მაშველთა კორპუსის ჭიანჭველები. დახსნეს კანალიზაციის მილები, შეამოწმეს უზენაეს სალავბოდან გამოყოფილი ფეკალური წყლები... საუბედუროდ, დაღუპულთა გვამები უკვალოდ გაქრა.

დარბაზის არეულობამ კულმინაციას რომ მიაღწია, მისი უდიდებულესობა თითქოს გამოერკვა, მიკროფონს ხელი წაატანა და აუღელვებლად წარმოთქვა:

— ბატონებო!

ხმები შენელდა. მისმა უდიდებულესობამ ხმადაბლა გაიმეორა. მესამეჯერ თითქმის ჩურჩულით მიმართა დარბაზს:

— ბატონებო!

ხმაური ჩაცხრა, დარბაზში მდუმარება ჩამოწვა. თუმცა ბუტუტიას მოედნიდან აურზაური კვლავაც მოისმოდა. უზენაესი სალავბოს ჩხუბმა, ეტყობა, ქალაქში გადაინაცვლა.

— ვერც ერთი ქვეყნის ვერც ერთი ხელმწიფე ვერ აიტანს იმდენ შეურაცხყოფას, რამდენსაც იტანს ფორმიკალენდის ხელმწიფე. მე, მართალია, პატარა ბიჭი ვარ, მაგრამ, როგორც ატყობთ, ამდენმა ნერვულობამ ნაადრევად გამაჭაღარავა! მეც ღვთის მიერ დაბადებული სამეფო გვარის ჭიანჭველა გახლავართ და უფლება მაქვს ჩემი ღირსება დავიცვა! აგერ, ვკითხვით სტუმარს, რომლის ქვეყანაში რამდენი მოქალაქეცაა,

იმდენი ხელმწიფეა, დღემდე თუ გაუგონია ასეთი ლოზუნგები და მონოდებები: შევჭამოთ პრინცესა და გამოვწუნოთ ხელმწიფეო... მე არც არავის შევეჭმევინები და ჩემს სისხლსაც ვერავის შევასმევ! ამიტომ, რაკი აქ ბევრს არ ვუნდივარ, მზადა ვარ გადავდგე და ემიგრანტად წავიდე სატახტო ქალაქ თბილისში, სადაც, იმედია, ვიცხოვრებ ხელმწიფეთა შორის და ამდენ შეურაცხყოფას არავინ მაკადრებს!

არ ვიცოდი, გამხარებოდა თუ მწყენოდა ეს სიტყვები. მესიამოვნა, რომ მისი უდიდებულესობა ასეთი მაღალი აზრისაა ჩემს სამშობლოზე, მაგრამ ვაი რომ თბილისში ჩამოსვლისთანავე, მისი იმედები გაქარწყლდებოდა.

ხელმწიფის სიტყვებმა დარბაზი დათრგუნა.

ობობა გვაჯი გამობობლდა. ცოტათი ნასვამსა ჰგავდა და ავანსცენაზე კინაღამ წაიქცა.

— ხელმწიფე ანდუყაფარ პირმწყაზარი მე ავიყვანე ტახტზე! გადადგება თუ არა, ჩემი გადასაწყვეტია! თვალნათლივ ჩანს, რომ სამეფოში კრიზისია. მის დასაძლევად საჭიროდ მიმაჩნია, რომ მისმა უდიდებულესობამ დინასტიური კავშირი შეკრას ოპოზიციასთან და პრინცესა ნათელიკო მე შემერთოს. ამ შემთხვევაში აღდგება ერთიანი სულისკვეთება და ჩემი მამაცი გვარდია უფრო ერთგულად გასწევს ხელმწიფის სამსახურს!

პრინცესა ნათელიკო გაფითრდა, ხელმწიფე ანდუყაფარი კი ოდნავ მოიღუშა. იგი პოლიტიკოსი გახლდათ და თავის ჭეშმარიტ გუნება-განწყობილებას ოსტატურად მაღავდა.

ობობამ სათქმელი მოამთავრა თუ არა, რწყილი კოტე ახტა-დახტა, დეპუტატებს თავზე გადაეველო და ტრიბუნაზე შესკუპდა.

— ჩემო გვაჯი, შენ უკვე დუჟინი ცოლი შემოგეჭამა და ველარ გაძეხი! ობობასა და პრინცესას ქორწილი ზღაპარშიც ვერ გათამაშდება!.. შენ, მგონი, კონსტიტუციური გადატრიალება მოგისურვებია და იქნებ ხვალ ტახტსაც წაეპოტინო! ფორმიკალენდის კონსტიტუციის თანახმად პრინცესა ნათელიკო მხოლოდ და მხოლოდ სამეფო გვარის ჭიანჭველას შეიძლება შეეუღლოს! შენზე უარესი ვაჟკაცი არ გახლავარ, მაგ-

რამ მე ისევე ჩემს ლამაზმან რწყილუკებს ვირჩევ და ტახტს დი-
ახაც არ წავეპოტინები! გირჩევ, უკანალი სკამზე დაატიო,
თორემ ჩემს ბიჭებს შევაჯახებ შენს ნაბიჭვრებთან და მერე,
რაც მოხდება, შენს თავს დააბრალებ!

ფუნაგორია ხოჭო გედევანმა, ფორმიკალენდის ბატონმა
პრემიერმა საქანელა შეაქანა და უკმაყოფილოდ წარმოთქვა:

— ბატონებო, ჩვენი სხდომა ეძღვნება ძვირფასი სტუმ-
რის გამოყენებას! დღის წესრიგში არც ხელმწიფის გადადგო-
მა გვინერია, არც პრინციესა ნათელიკოს დაქორწინება. მე
მოვითხოვ, ყურად იღოთ კაბინეტის აზრი ამის თაობაზე,
წინააღმდეგ შემთხვევაში, კენჭისყრაზე დავსვამ საკითხს
მთავრობის ნდობის შესახებ!

ფუნაგორიას სიტყვებს დარბაზის არნახული აზვირთე-
ბა მოჰყვა. უმრავლესობის ხმები, ცხადია, ფარავდა უმცირე-
სობისას:

— გაუმარჯოს ხელმწიფეს!.. შევეხვეწოთ, არ გადადგ-
ეს!.. დაუფროქოთ!.. გაუმარჯოს მარწყვის ყელეს!.. ხელმ-
წიფეო, წინ გაგვიძებ და გვაჭამე ტკბილი მურაბა!..

ამის საპასუხოდ უმცირესობის მხრიდან კანტიკუნტად
მოისმოდა ისტერიული შეძახილები:

— ძირს ხელმწიფე!.. შეეჭამოთ პრინციესა ნათელიკო!..
მოვაკვდინოთ სტუმარი!.. გვსურს, დავლიოთ ცხელი სისხლი!..

სპიკერი გოგლიმოგლა მიკროფონს დასწვდა და შეეცა-
და დაეფარა დეპუტატების ხმები:

— დავიცვათ კენჭისყრის რიგითობა!.. პირველი წინა-
დადება ხელმწიფისა იყო!.. კენჭს ვუყრი ხელმწიფის გადადგო-
მის საკითხს!.. ჩართეთ აპარატი!.. მოემზადეთ კენჭისყრი-
სათვის!.. დაიწყო ხმების დათვლა!.. კვალიფიციური უმრავ-
ლესობა კვლავაც ხელმწიფის მხარესაა და მის გადადგომას
არ დაეთანხმა!.. გაუმარჯოს ჩვენს ხელმწიფე ანდუყაფარ მე-
ორე პირმწყაზარს!

აქ მისმა უდიდებულესობამ ხელი ასწია და მის ამ ყესტში
ძალა და გამბედაობა იგრძნობოდა.

— დღევანდელმა კენჭისყრამ ცხადყო, რომ უმრავლე-
სობა მარწყვის ყელესა და სტაბილურობის მომხრეა, მაგრამ

ამავე უმრავლესობის აზრით, მინისტრთა კაბინეტის პროგრა-
მა ჩვენი ძვირფასი სტუმრის გამოყენების თაობაზე, ჩაფლავ-
და... აზრთა სხვადასხვაობამ ხელმწიფესა და პრემიერს შორის
შეიძლება გააღრმავოს სამთავრობო კრიზისი. ამიტომაც მი-
მაჩნია, რომ კენჭისყრაზე უნდა დაისვას ბატონი პრემიერის
ფუნაგორია ხოჭო გედევანის წინადადება ნდობის ვოტუმის
შესახებ!

— ჩართეთ აპარატი! — სკამზე შეკუნტრუშდა ნესტის
ხოჭო (საბოლოოდ გავარკვიე, რომ ის ნესტის ხოჭოა!) უზენა-
ესი სალაყბოს ბატონი სპიკერი. — კენჭს ვუყურით მთავრობის
ნდობის ვოტუმს!.. ბატონებო, დანყნარდით!.. მიმდინარეობს
კენჭისყრა!.. მოითმინეთ!.. დამთავრდა ხმების დათვლა!..
ესეც ასე!.. უმრავლესობას მიაჩნია, რომ ბატონი პრემიერი
უნდა ჩამოგორდეს!

კიდურების ფხაჭუნი უმრავლესობის მხრიდან, უკმაყ-
ოფილო ღრიანციელი უმცირესობიდან, საქანელა გადაყირავ-
და და ფუნაგორია ხოჭო გედევანი ძირს გაგორდა.

უცებ დარბაზის შორი კუთხიდან ჯგუფური ყვირილი
მოისმა:

— ჭიამაია დურუ პრემიერად!.. ჭიამაია დურუ პრემიერად!..
გავიხედე, უკვე ტრანსპარანტიც გაუშლიათ: „ჭიამაია
დურუ პრემიერად!“

მამინლა მივხვდი, მთელი ეს აურზაური მხოლოდ სპექ-
ტაკლი გახლდათ და მისი რეჟისორი ბრძანდებოდა მართლაც-
და უბადლო პოლიტიკოსი, ათი წლის ჭალარა ხელმწიფე ანდუ-
ყაფარ მეორე პირმწყაზარი.

შევხედე მის უდიდებულესობას, ვითომც შეწუხებული
სახე ჰქონდა, შუბლი შეეჭმუხნა, თუმცა ბაგეზე ღიმილი უკრ-
თოდა.

— ბატონებო! — მიკროფონი აიღო ბიჭუნამ. — ბატონე-
ბო! — უფრო წყნარად გაიმეორა, მერე თითქმის ჩურჩულით:
— ბატონებო!

დარბაზი გაისუსა.

— პრემიერის კანდიდატის წარდგენა ხელმწიფის პრე-
როგატივია! სანამ ჩვენს აზრს მოგახსენებდეთ, მინდა გულ-

წრფელი მადლობა ვუთხრა ან ძირს გაგორებულ ექსპრემიერს ფუნაგორია ხოჭო გედევანს, მისი ღვანლისათვის სამეფოს წინაშე! ვფიქრობთ, ბატონი გედევანი დავაჯილდოვოთ ჭკიჭკიტია პირველის ორდენით და ხუთი კილო მაღალი ხარისხის ძროხის ფუნით, ამავე დროს დავუნიშნოთ პენსია დღეში მილიარდი ფუნის ოდენობით!

დარბაზში აქა-იქ კიდურების ფხაჭუნი გაისმა. ზოგს მოსონდა ეს წინადადება, ზოგს — არა.

— რაც შეეხება ახალ პრემიერს, აქ უკვე შემოგვთავაზეს მისი კანდიდატურა... ვფიქრობ, ჭიამაია დურუ შესანიშნავი კანდიდატია!

— პროტესტს ვაცხადებ! — შეჰბლავლა ობობა გვაჯიმ.

— ჩემთვის სულ ერთია! — ხელი ჩაიქნია რწყილმა კოტემ.

ამ შეძახილებმა ბატონ გოგლიმოგლაზე ვერაფერი ზეგავლენა ვერ მოახდინა.

— ჩართეთ აპარატი!.. მოემზადეთ კენჭისყრისათვის!.. ვინაა მომხრე, რომ პრემიერის პოსტზე დაინიშნოს ბატონი ჭიამაია დურუ!.. მოითმინეთ!.. დაწყნარდით!.. ხელს ნუ გვიშლით!.. მიმდინარეობს კენჭისყრა!.. ჩუმად! ხმებს ითვლიან!.. დიახ, სახელობითი კენჭისყრა!.. მისი აღმატებულება ბატონი ჭიამაია დურუ ფორმიკალენდის სამეფოს ახალი პრემიერია! მივულოცოთ, ბატონებო!

ჭიამაია დურუ უმაღლეს საქანელაზე აღმოჩნდა, ენერგიულად ქანაობდა, თან ყველას ღიმილით თავს უკრავდა.

უცებ საიდანღაც ქალბატონი ციციინათელა ციცი შემოვარდა და მოწყვეტით შესძახა:

— პრინცესა ნათელიკო!

მივტრიალდი, პრინცესა ნათელიკოს სავარძელი ცარიელი იყო. ყველას თვალწინ, უზენაესი სალაყბოს პრეზიდენტიდან მოიგაცეს პრინცესა ნათელიკო და ეს ვერავინ შევნიშნეთ...

თ ა ჯ ი XIX

არეულობანი სატახტო ქალაქ კვეკვერიაში

გედევანი რომ გაგორდა, ავანსცენაზე გაბარჯლულ გვაჯის გადაუარა და დატკეპნა.

ექსპრემიერი იმდენად გაოგნებული ბრძანდებოდა, რომ სხდომის ბოლომდე გულშემოყრილი ეგდო და მერე მისი ბედ-იღბლით, მართალი გითხრათ, არ დავინტერესებულვარ.

რაც შეეხება ობობა გვაჯის, იგი ოდნავ გახლდათ დარეტიანებული და პროტესტის წამოძახილის გარდა ვერაფერი მოახერხა.

ამასობაში პრინცესა ნათელიკო გაუჩინარდა. რწყილმა კოტემ ბრალი უმაღლეს ობობა გვაჯის დასდო, ბევრი არც უფიქრია, ისედაც გონებააბნეულ გვაჯის ზევიდან დაახტა.

სალაყბო კვლავ აირია. დეპუტატებმა ხელჩართული ბრძოლა გამართეს. დარწმუნებული ვარ, ორმაც არ იცოდა, რისთვის ჩხუბობდა.

დურუმ მხარი გამკრა, ხელმწიფისაკენ გამახედა.

მისი უდიდებულესობა ფეხზე იდგა და მშვიდად გაჰყურებდა ამ ორომტრიალს.

— ხელმწიფის სიცოცხლე საფრთხეშია! — ჩამჩურჩულა ბატონმა პრემიერმა.

უმაღლესი გამოვფხიზლდი, მოზღვავებული ძალა ვიგრძენი. თუ რამედ ვღირდი, თავი ახლა უნდა გამომეჩინა.

შემომხედა ხელმწიფე ანდუყაფარმა, გამიღიმა, თან ცისფერ თვალეებზე სევდა გადაეფინა.

— სტუმარო! — წყნარად მითხრა. — ალბათ, შენს სამშობლოში ასეთ გამოკრეტილებულ და ჭკუათხელ დეპუტატებს ვერ იხილავ. მერჩია, შენი თვალთ არ გენახა ეს ყოველივე. მინდა იცოდე, რომ ჭიანჭველები წყნარი, მომთმენი და მშრომელი არსებებია. ობობათა კავშირში დიდხანს ჩახლართვამ გონება დაგვიბინდა. ხანდახან ხელმწიფის პირველი მტერი საკუთარი ხალხია, რადგან მას ორიენტირი დაჰკარგვია და ავ-

კარგის გარჩევა აღარ ძალუძს. ამ დროს მისი გადარჩენა მხოლოდ მტკიცე ხელს შეუძლია!

— მტკიცეს, მაგრამ კანონიერს, თქვენო უდიდებულესობავ! — მორჩილად მოვახსენე.

— ჰო! — შემომცინა პატარა, მაგრამ უკვე ჭალარა ბიჭუნამ და მერამდენედ გამიკვირდა, რომ ამ შუბლს მიღმა ასაკოვანის გონება იმალებოდა. — კანონებს ხომ ჩვენ თვითონ ვწერთ!

შებრუნდა და სწრაფი ნაბიჯით წავიდა.

მე და დურუმ გადავასწარით, რათა მისთვის გზა გაგვეკაფა. მოურიდებლად წიხლს ამოვკრავდით და განზე ვისროდით გზაზე შემოჩეხილ სალაცხოს დეპუტატს ან მაღალი რანგის მოხელეს, რომელსაც ამ არეულობაში ხელმწიფის პატივისცემა დავინწყებოდათ და ფეხებში გვებლანდებოდნენ.

ხვეული კიბით სახურავზე ავედით. დურუმ მომიბოდიშა, ჯერ ხელმწიფის სიცოცხლეზე უნდა ვიზრუნო, შენ კი აქ დამელოდეო.

შეისვა ზურგზე მისი უდიდებულესობა და სასახლისაკენ გაფრინდა.

ვიდექი და გავყურებდი. შიშით გული მეღეოდა, რადგან გამორიცხული არ იყო ტერორისტების გამოჩენა. ფორმიკალენდში მრავალს ეხერხებოდა ფრენა და ერთი ნესტრიანი ბზიკის დაქირავება არც გაჭირდებოდა.

დავრჩი მარტოდმარტო. არ ვიცოდი, რანაირად მოვეცეულიყავი. დურუს დავლოდებოდი თუ გზა თვითონვე გამეკვლია. პრინცესა ნათელიკოს მოულოდნელი გაქრობა მიკლავდა გულს... ვის უნდა ხელეყო მისი ბრწყინვალეობა? ვინ გაბედავდა სახელმწიფო ღალატის ტოლფას ქმედებას? ვითომ გვაჯის ბიჭებმა? საბრალო პრინცესა, ვინ იცის, რას უმზადებდა მწარე ხვედრი!

უცებ ჩემს ირგვლივ სახურავი არაკუნდა. მეზობელი შენობიდან მესროდნენ. ბუხრის მილს სნაიპერი ამოფარებოდა და მიზანში მიღებდა.

ჩავიკუხე და პირველსავე ღიობში ვშვლიპე თავი. ორიოდ წუთში კვლავ სალაცხოს დარბაზში აღმოვჩნდი.

დეპუტატები ღრიანცელით დარეოდნენ ერთმანეთს. შე-

ვაცყვე, რომ შელესმოყვარულთა უმრავლესობა ჯაბნიდა უმცირესობას. მსხვერპლი ბლომად იყო. რამდენიმე კოლო და ბუზი ვნახე სიკვდილის აგონიაში. ექიმად მე არ ვვარგოდი, ან შიშველი ხელით რანაირად უნდა მეშველა კოლეგა დეპუტატის მიერ თავგაჭეჭყილი კოლეგა დეპუტატისათვის.

უმჯობესი იყო, საკუთარი თავისათვის მეშველა. აბლაბუდით შემოსილს გადარჩენის რა შანსი მრჩებოდა! საბედნიეროდ, ჩემთვის არავის ცხელოდა და მშვიდობიანად გავალწიე უზენაესი სალაცხოს შენობიდან.

ოლონდაც, რაც მე ბუტუტას მოედანზე ვნახე, იმის აღსაწერად სიტყვები არც მეყოფა.

ვრცელი მოედანი და ჭკიჭკიტია პირველის ფართო პროსპექტი თავიდან ბოლომდე გავსებული იყო მოჩხუბრებით. ვინ ვის უყუავდა და აქედან გამარჯვებული ვინ უნდა გამოსულიყო, ამას მამაზეციერი ვერ გაარკვევდა. ისმოდა ხმლების ჩახაჩუხი, კალაშნიკოვის ავტომატების კაკანი, ქვემეხების გრიალი. ქალაქის თავზე კვამლის ბოლი იდგა. ხანძარი გაუჩნდა ფორმიკალენდის არქიტექტურის რამდენიმე მშენებელს, ჩამსხვრეული ფანჯრებიდან სნაიპერები ისროდნენ ანდა ბრბოში ხელყუმბარებს ყრიდნენ. ამ აუტანელი კაკაფონიის მიუხედავად, არავინ გარბოდა, პირიქით, მომიჯნავე უბნებიდან ახალ-ახალი შეიარაღებული რაზმები შემოდისოდა, უმთავრესად მეომარი ჭიანჭველებისა, რომლებიც ერთნაირად მუსრს ავლებდნენ, ვისაც კი შეეჩეხებოდნენ.

კიბის თავზე დარჩენა საშიში გახდა, ნასვლაც არ იყო უსაფრთხო. გავიხედე, ერთ ზორბა და ღონიერ ირემახოჭოს თავგზა აბნევიდა. ზურგზე უნაგირი ედგა და აღვირი ძირს მოსთრევდა. წუთის წინ ზედ მხედარი იჯდა, მაგრამ გადმოყირავდა... აქამდე ცხენზე არასოდეს ვმჯდარვარ, მით უფრო ირემახოჭოზე, მაგრამ ქართველის გენში მხედრის კოდიცაა ჩანერილი და არც მიყოყმანია, მოვწყდი ადგილს და უნაგირზე შევაფრინდი. იმდენი ვიყოჩაღე, აღვირსაც მივწვდი და დეზი ვკარი. საბრალო არსება მტკიცე ხელს უმაღლ დამორჩილდა... სხვა გზა ვერ ვნახე და პირდაპირ მოჩხუბრებში შევაჭყენე. ვინ იცის, ირემახოჭოს ეშვებზე რამდენი მეომარი ნამოეგო, კი-

დურებით რამდენი დავტკეპნეთ. ჯავშნოსანივით გადავუარეთ მთელ მოედანს და, ალბათ, უამრავი ვინმე ვიმსხვერპლეთ.

უნაგირზე ხმლით ვერ მომწვდებოდნენ, მაგრამ ირგვლივ ტყვია ზუზუნებდა, ხანდახან ქვემეხის ჭურვიც გადამიფრენდა და კედელს მიენარცხებოდა. უბრალოდ, ბედი მწყალობდა!

პროსპექტამდე მივალნიე. ამასობაში მეომრებმა იუცხოეს მათ რიგებში შემოჭრილი ირემახოჭო, მომიბრუნდნენ და ყოველი მხრიდან დამცხეს. განსაკუთრებით კოლოებმა გამაცალეს სიქა. გიჟებივით ირჯებოდნენ. კოლო თომა შევიცანი, დანარჩენები ვერ დავიმახსოვრე... ბუზებმაც გული გამინყალეს, თუმცა ამათი იმდენად არ მეშინოდა. ერთი რწყილი მომახტა, პირდაპირ ლოყაზე მიბნკინა. ისეთი სილა ვტკიცე, კინალამ უნაგირიდან გადმოვვარდი. ის ნაძირალა კი გამისხლტა. მისი სიფათი მაინც დავიმახსოვრე, ვინძლო სადმე შემვვდეს, სამაგიეროს მივუზღავ.

ისე, რწყილები უფრო მაგარი მეომრები აღმოჩნდნენ. რწყილი კოტეს მიმართ პატივისცემა ვიგრძენი. ისე უშიშრად შემოაჯირითა თავისი კუტკალია, ისე გადაუარა მოწინააღმდეგეებს, აღტაცებული დავრჩი. დიდად უშიშარი ვაჟკაცი ყოფილა!

გვერდით რომ ჩამიქროლა, მიცნო და კივილით შემეხვიანა.

— იპოვე?! — გავძახე.

მიმიხვდა, რასაც ვეკითხებოდი.

— გვაჯისტებს ანგარიშს გავუსწორებ და პრინცესასაც ვიპოვი! — მომადახა.

გვაჯისტებს კი უსწორებდა ანგარიშს, მაგრამ იმას ვერ ხედავდა, რომ ჭიანჭველათა ახალ-ახალი რაზმები მის ბიჭებსაც არ ინდობდნენ.

ამასობაში ჩემმა ირემახოჭომ დუჟინი ობობა, რწყილი და ბალღინჯო მიაჭყლიტა და მივხვდი, არც მე დამადგებოდა კარგი დღე. დამესია, მაგრამ რა დამესია! ირგვლივ ჭახაჭუხი და ბზუილი მესმის და ვერაფერს ვხედავ.

სანაპიროსაკენ გაღწევას შევეცადე.

ირემახოჭომ ფეხი იღრძო, ან იქნებ მავანმა დრო იხელ-

თა და ცოტა მოაკვნიტა.

იძულებული გავხდი, დამეტოვებინა.

გავქანდი მთელი სისწრაფით, გადავევლე სანაპიროს პარაპეტს და პირდაპირ ფუნანყალში ვდურთე თავი...

თ ა ვ ი XX

არეულობანი გრძელდება

ადრეც აღვნიშნე, რომ ფუნანყალი თავის სახელწოდებას სავსებით ამართლებდა. კვეკვერიას მოქალაქენი აღტაცებულნი იყვნენ ამ სანაპიროებით. ოჯახებითურთ დასეირნობდნენ ხოლმე და სიამოვნებით იყნოსავდნენ იმ სურნელებას, რასაც მდინარე გამოსცემდა. თვით ფუნანყალი ფეკალურისაგან ოდნავლა განსხვავდებოდა და, მე თუ მკითხავთ, მასში ჩაყურყუმელავებულ კაცს ათი მექისე ვერ განზანდა.

ცურვა ბავშვობიდან მეხერხებოდა, ამიტომ დახრჩობა არ მომელოდა, მაგრამ ისეთ დღეში ჩავვარდი, ტირილი მომინდა. იძულებული ვხდებოდი, ჩამეყვინთა, რადგან კოლოების ლაშქარი არ მეშვებოდა და თავს როგორც კი ამოვწევდი, უმაღლესს მიშენდნენ. საბედნიეროდ, უთავბოლოდ ისროდნენ და ამიტომ ჯერჯერობით ვერ მახვედრებდნენ... გამწარებულმა შური იმით ვიძიე, რამდენიმე მდეგარი ფეხებით დავითრიე და წყალში ჩავახრჩვე. ფუნანყლის ტალღებს უჩემოდაც კოლოსა და ბუზის უამრავი გვამი მოჭქონდა. ზოგიერთ მათგანში სალაყბოდან ჩარეცხილი დეპუტატი შევიცანი.

ბოლოს, როგორც იქნა, აბეზარი მდეგარი ჩამოვიშორე და ნაპირზე ამოვძვერი. მიდამო ფრთხილად დავზვერე. თავფეხიანად ვყარდი, რითაც, ალბათ, მტრის ყნოსვას გავაღიზიანებდი.

ბუჩქებში ჩავიმაღლე, გზა ნაკუზულმა განვაგრძე. ირგვლივ სინყნარე სუფევდა. ჩანდა, აქაური მოსახლეობა აიყარა და საომრად ქალაქის ცენტრს მიაშურა.

შორიდან მოისმოდა ომის ყიჟინა და გრიალი.

ერთგან შენობაზე ნითელი ჯვარი შევნიშნე. შევიპარე... დარბაზში აღმოვჩნდი... შუაგულში ცისფერი აუზია, კამკამა წყალი ლივლივებს. იქვე გამაფრთხილებელი წარწერაა: „სტერილური წყალი, ჯანმრთელობისათვის საშიშია!“

კარგად ვიცოდი, რას ნიშნავდა ეს წარწერა. ასეთი „მომაკვდინებელი“ წყლით მაღაქიტის შადრევანში ვიბანდით მე და პრინცესა ნათელიკო. ამიტომ ბევრი არ მიფიქრია, აბლაბუდის ტანსაცმლიანად შევცურე და შესანიშნავად დავიბანე.

ამოვედი წყლიდან, გავწურე ტანისამოსი, რომელიც ერთ მუჭში ჩაეტეოდა, ძლივს ჩავიცვი და ამ დროს საიდანღაც გამოტყვრა სათვალისანი და თეთრჩაჩიანი ჭიანჭველა. ჯიბეში სტეტოსკოპი ედო და იმით მივხვდი, რომ ექიმი ბრძანდებოდა.

— ამ წყალში დაიბანე? — განცვიფრებით შემეკითხა.

თავი დავუქნიე.

— არ იცოდი, რომ სტერილურად სუფთა წყალი საშიშია სიცოცხლისათვის? — წამოიძახა ექიმმა. — ჩვენ იგი აქ მეცნიერული კვლევისათვის გვჭირდებოდა! სტუმარო, შენი სიცოცხლე საფრთხეშია! რამდენიმე წუთში იქნებ სულიც კი გააფრთხო! ჩვენი ვალია, გადაგარჩინოთ!

დააძრო სასტვენის და გაბმით დაუსტვინა. ყოველი მხრიდან გამოცვივდნენ თეთრხალათიანი ჭიანჭველები. სანამ ექიმი ამათ საქმის ვითარებას აუხსნიდა, გაპარვა ვცადე, მაგრამ ვერ მოვასწარი... მომცვივდნენ, საკაცეზე წამაქციეს და ციმციმ წამარბენინეს.

გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი, ისევ სანაპიროზე აღმოვჩნდი. ამნიეს ამ ოჯახქორებმა და ფუნანყალში გადამიძახეს.

კინალამ ვყლაპე. ძლივს ამოვძვერი.

კაცი გადარევასა ვარ, ტანზე ბინძური წყალი ჩამომდის წურწურით.

გუნებაში შევიგინე, მაგრამ ჭკუას მოვუხმე და ყოჩად ექიმს, როგორც გავიგე, სახელად სპირიდონს მივეთითლიბაზე. ავუხსენი, შეყვარებულმა მიმატოვა და სწორედ ამ გზით ვარჩიე სიკვდილი-მეთქი. ვთხოვე, „ჩემს განზრახვაზე ხელს ნუ ამაღებინებ, რადგან ყოველი ცოცხალი არსების დემოკრა-

ტიული უფლებაა, თავი მაშინ მოიკლას, როცა მოეპრიანება“.

ისე დამაჯერებლად ველაპარაკე, ბატონმა სპირიდონმა და მისმა თანაშემწეებმა დამიჯერეს კიდევ და თანაგრძნობის ცრემლები ჰყარეს.

დავბრუნდით უკან. ჭიანჭველა-ექიმების თანდასწრებით კვლავ შევცურე აუზში და გემოზე ვიბანავე.

მერე სათითაოდ გამოვემშვიდობე მედიცინის ამ ვარსკვლავებს, სპირიდონს თავზე ხელი გადავუსვი და დღეის სწორს ჩემს პანაშვიდზე დავპატიჟე.

ამასობაში მოსალამოვდა. ბნელი და ვიწრო ქუჩებით ვიარე. ცენტრიდან ძველებურად ბათქაბუთქი მოისმოდა.

სახურავებზე კვამლის ბოლქვები ტრიალებდა.

შუა ქუჩებში კოცონები ენთო და შეიარაღებული მოქალაქეები თბებოდნენ. შეშად დანესებულებებიდან გამოტანილ ავეჯს, კარ-ფანჯრებსა და პარკეტს იყენებდნენ.

სველი ვიყავი და შემცივდა. კოცონთან მივჩოჩდი, მივეფიცხე. ყურადღება არავის მოუქცევია. ჭიანჭველებს კალაშნიკოვები ჩაეხუტებინათ და თვლემდნენ, ზოგიერთნი კი ქილებიდან ჟელესა და მურაბას ლოკავდნენ. ამათი ნალაპარაკებიდან გავარკვიე, რომ თუმცა გვაჯისტები და ვილაც-ვილაცისტები ბლომად ჟუჟეს, ომის სასწორის პინა აქეთ-იქით ქანაობს და ვითარება გაურკვეველია.

აბლაბუდა შემაშრა, გავთბი და გზა ყოჩაღად გავაგრძელე. ქუჩები სავსე იყო დამწვარი და აფეთქებული სამხედრო მანქანებით. ყოველ ნაბიჯზე ეყარა დახოცილი ჭიანჭველა, ობობა და რწყილი. ზოგან ირემახოჭოებიც ეგდო, თავიანთი ზორბა ტანით ქუჩები გარდი-გარდმო გაეხიდათ.

რის ვაივაგლახით მივალნიე ბუტუტიას მოედნამდე. ფორმიკალენდის პირველი ხელმწიფის ქანდაკება თავდაყირა ეგდო, დასახიჩრებული კვარცხლბეკი ხედს აუშნოებდა. ირგვლივ განლაგებული შენობები ინვოდა, ხანძრის ენები სახურავებს სწვდებოდა. პრემიერის სასახლის სახურავი ჩაქცეულიყო... შუაში წამოყუდებულ უზენაეს სალაყბოს საიდანღაც ქვემეხებს ურახუნებდნენ, მაღალი სვეტები შეემსხვრიათ, მაგრამ თვითონ ჯერაც მაგრა იდგა.

ძირს გავწევი და ხოხვით გადავჭერი მოედანი. თავზევით ტყვიის ზუზუნი ისმოდა. ხანდახან ყუმბარა გადაინივლებდა და თავზე ხელს ინსტინქტურად ვიფარებდი.

ერთგან პოლიციის გენერალი ყარამანი შევნიშნე. თავი დაემალა და უკანალი აებზიკა. ალბათ, იმედოვნებდა, რომ ბედი ძველებურად წყალობის თვალთ გადამოხედავდა.

მივალწიე ბალის კიდემდე. მაღალი თევზირი უნდა გადა-
მელახა. ფეხზე წამოდგომა საშიში იყო... ერთგან ყუმბარას შეენგრია. მით ვისარგებლე და სწრაფი გადარბენით ბალს შევეფარე. უსაფრთხოების გარანტია, ცხადია, აქაც არა მქონ-
და. თავზე ტყვიით მოსხეპილი ფოთლები მაცვიოდა. ისიც არ იყო გამორიცხული, რომ ტოტებში კოლოთა და ბზიკთა ტერ-
ორიტული ბანდები ჩამალულიყვნენ.

ძლივძლივობით მოვნახე საიდუმლო კარი და დავაბრა-
გუნე. არ მეგონა, თუ ვინმეს გავაგონებდი, მაგრამ კარი გაიღო და ქალბატონი ციციანათელა ციციის შევეჩხე. ჩემს დანახვაზე სიხარულისაგან გული კინალამ შეუღონდა. ისე ჩამეხვია, ძლივს მოვიგლიჯე. თურმე დაღუპული ვეგონეთ და ხელმწი-
ფის კარი ძალიან ნაღვლობდა... მინდოდა პრინცესა ნათელი-
კოს ამბავი გამომეკითხა, მაგრამ თავი შევიკავე, ციციის ვერ მივცემდი ეჭვიანობის საბაბს.

გავიარეთ ბნელი გვირაბი, რომელშიც თავის დროზე ობობა ყარაყურთი შევნიშნე, ახლა კი კეთილი ქალბატონი ციცი თავისი უკანალით მინათებდა.

ხელმწიფის სამზარეულოში ისევ ისე დუღდა, იხარშებო-
და, იბრანებოდა სხვადასხვა გემრიელი საჭმელი და სასუსნავი.

მისი აღმატებულება ბატონი პრემიერი ჭიამაია დურუ ისე ჩამეხვია, ნეკნები მატკინა.

ხელმწიფე ანდუყაფარ მეორე პირმწყაზარი, მისი უდიდე-
ბუღესობა, ფორმიკალენდის სამეფოს რუკასთან ჩაცუცქუ-
ლიყო, გარს სამხედრო ჩინოსნები, უმთავრესად ჭიანჭველები და ჭიამაიები ეხვია და განკარგულებებს იძლეოდა.

დამინახა და სახე გაუნათდა, ტოლსწორივით მომეხვია, მერე სამხედროებს მიუბრუნდა:

— ამ უცხოელმა სტუმარმა ორჯერ გადაგვარჩინა. ერთ-
ხელ, როცა ტერორისტი ობობა ყარაყურთი გამოასალმა ნუთ-
ისოფელს, მეორედ, როცა სალაყბოს ამბოხების დროს უშიშ-
რად მიცავდა! პატივი მივაგოთ მას!

ხელმწიფემ ტაში შემოჰკრა. დანარჩენებმა კიდურებით იატაკი მოფხოჭნეს, რითაც გამოხატეს ჩემდამი პატივისცემა.

დიდად მაღლიერი ვიყავი ეგზომი დაფასებისათვის, თუმ-
ცა ჩემს ნამოქმედარს გმირობად სულაც არ ვთვლიდი.

მისმა უდიდებულესობამ ღირსმყო და ხელი გამომინო-
და. მონინებით ვეამბორე და ჭიამაია დურუს გამოვყევი.

ცოტათი კი გამიკვირდა, როცა ჩემი ოთახის ნაცვლად მალაქიტის დარბაზისაკენ გამიძღვა.

გული უცნაურად მომენურა, იმედის სხივი გამიკრთა. გაიღო კარი, შევაბიჯე მალაქიტის დარბაზში და ადგ-
ილზე გავხვედი.

ბუხრისპირა სავარძლიდან წამოდგა პრინცესა ნათელი-
კო და ჩემკენ ნაბიჯი გადმოდგა.

აბლაბუდის გამჭვირვალე კაბა ემოსა, ღმერთქალსა ჰგავდა.

სწრაფად მივეახლე, გამონვდილ ხელებზე ვემთხვიე. ის კი კისერზე ჩამომეკიდა და ატირებულმა, ლამაზი თავი მკერ-
დზე მომადო. ცოტათი რომ დამშვიდდა, ამომხედა და გულუ-
ბრყვილოდ შემეკითხა:

— კოცნის გაკვეთილს ჩამიტარებ?
რა თქმა უნდა, უარს ვერ ვკადრებდი...

თ ა ვ ი XXI

აქა საბუთი ხელმწიფის გონიერებისა

მაინტერესებდა, თუ რანაირად გაქრა პრინცესა ნათე-
ლიკო უზენაესი სალაყბოს დარბაზიდან და სად იმყოფებოდა მთელი ამ ხნის მანძილზე, მაგრამ თვითონ არაფერი უთქვამს

და შეკითხვა ვერ გავუბედე.

ამის ნაცვლად პრინცესა ნათელიკო ხელახლა ატირდა.

ავლელი, მივხვდი აქ რაღაც საიდუმლო იმალებოდა. თვალის უპეები ცხარე კოცნით ამოვფურე, თან ვეხვეწებოდი, მითხარი, რატომ იტირე, გული რამ გატკინა-მეთქი.

პრინცესამ ჩემი ხელი აიღო და მუცელზე მიიღო.

— აი, აქ დაიწყო სიცოცხლე ფორმიკალენდის მომავალი ხელმწიფისა, ანდუყაფარ მესამისა! — ჩამჩურჩულა.

გავშრი, არ ვიცოდი, რა მეთქვა.

უხმოდ ჩავიხუტე და ასე ვიდექით დიდხანს. გული სევდით ამევსო, ვიფიქრე, ისე ძლიერია ეს ნუთიერი ბედნიერება, უკანასკნელი ხომ არ არის-მეთქი.

კარზე ჭიამაიამ დააკაკუნა.

— ნახვამდის, ძვირფასო! — ხმადაბლა ვუთხარი.

— მშვიდობით! — მიპასუხა პრინცესა ნათელიკომ.

მეტის დაყოვნება არ შეიძლებოდა, ხელმწიფე თავისთან მიხმობდა.

დერეფანში ჭიამაია დურუს ვთხოვე, ჩემთვის მოეთხრო, თუ სად გაუჩინარდა პრინცესა ნათელიკო სალაყბოდან ამ შესვედრამდე.

— ეს მხოლოდ პოლიტიკური ილეთი იყო! — სიცილით მიპასუხა მისმა აღმატებულებამ.

— ილეთი? — პირი დავაღე.

— მისმა უდიდებულესობამ სალაყბოსთან კუკუ-დამალობანა გაითამაშა. პრინცესა ჩემმა ბიჭებმა გააქრეს, უფრო სწორად საიდუმლო გზებით მალაქიტის დარბაზში მიიყვანეს!

— კი მაგრამ, ამან ხომ სამოქალაქო ომი გამოიწვია?

— ჩვენი ხელმწიფე პატარა ბიჭია და თამაში უყვარს! თანაც ეს პოლიტიკაა, ძვირფასო სტუმარო! — განმანათლა ბატონმა პრემიერმა. — ჩვენ გვსურდა ჩვენს მტრებს ერთმანეთი დაეჭამათ და ამას მივალწიეთ კიდეც! მსხვერპლი ბევრია, მაგრამ უფრო ჩვენი მტრებისა. ჩვენ ყური მივუგდეთ შენს რჩევას!

მოსაკვნეტი ჩემი ენა! ერთი პრივატული საუბრის დროს ხუმრობით ვუთხარი მის უდიდებულესობას, პოლიტიკოსმა

ისეთი პარტია უნდა გაათამაშოს, რომ მტრებს ერთმანეთი დააჭმევინოს-მეთქი. თურმე დაიმახსოვრა ბრძენმა ბიჭუნამ და გამოიყენა კიდეც... ამოვიოხრე! აი, თურმე, რა საშიშია, როცა პოლიტიკაში ჩაუხედავი კაცი პოლიტიკურ რჩევებს იძლევა. რეგვენთა პოლიტიკოსობას მხოლოდ სისხლი და მსხვერპლი მოაქვს!

ამ ფიქრებით გულდამძიმებული შევედი იმ დარბაზში, სადაც ხელმწიფე სამხედრო თათბირს ატარებდა.

მოულოდნელად იგრიალა. მთელი სასახლე შეზანზარდა, ალბათ ქვემეხის ჭურვი მოხვდა.

მის უდიდებულესობას წარბიც არ შეტოკებია, გენერალიტეტი კი ნუთში დაიფანტა. ზოგი სამხედრო ჩინი მაგიდის ქვეშ შეძვრა, ზოგი სკამქვეშ, ერთმა ხელმწიფის მოსასხამქვეშ შერგო თავი.

— აი, ასეთი მხედართმთავრებით უნდა ვიომო და გავი-მარჯვო! — ღიმილით მითხრა მისმა უდიდებულესობამ.

გენერლები სამალავებიდან მორცხვად გამოძვრნენ, ხველება-ხველებით, ვითომც არაფერი მომხდარაო, რუკას გარს შემოეწყვინენ.

მეც ცნობისმოყვარედ დავაცქერდი. კვეკვერიას დიდმასშტაბიანი რუკა იყო. ხელმწიფის ვარდისფრით მხოლოდ სასახლე და მისი შემოგარენი შეეღებათ, გვაჯის მწვანე და კოტეს ყავისფრით კი ქალაქის დანარჩენი ნაწილი. მეგონა, ვიმარჯვებდით, ამ რუკის თანახმად კი სასიკეთო ხვედრი არ გველოდა.

— მთავარია კონცეფცია! — რიხით ბრძანა ჩინით უფროსმა, რომელიც თურმე ჯერ კიდეც წელან გენერალი ბრძანდებოდა, დილის აქეთ კი ფელდმარშალ კოკოროდ იწოდებოდა.

— ბატონო კოკორო, თქვენო აღმატებულებავ, თითქმის დავმარცხებულვართ და რა კონცეფციაზეა საუბარი? — ვიკითხე გაოგნებულმა.

ფელდმარშალმა კოკორომ ზიზლით გადმომხედა. დანარჩენმა გენერლებმა, გენერალ-პოლკოვნიკებმა, გენერალ-მაიორებმა და გენერალ-ლეიტენანტებმა მხრები აიჩიჩეს, აქაოდ-და არაპროფესიონალებს რა გაგეგებათო. ენას კბილი დავა-

ჭირე, ბატონმა ფელდმარშალმა კი უბრალო სიტყვებით განმმარტა:

— ახალ სამხედრო კონცეფციას ტლინკებით ომი ეწოდება. თუ მოხერხებულად მოვკურცხლავთ, დადევნებულ მტერს ცხვირპირში ტლინკებს მივაყრით და კარგადაც ამოვუნაყავთ! მართალია, ამის შედეგად ჩვენ სივრცეს ვკარგავთ, მაგრამ ეს მხოლოდ ტაქტიკური დათმობაა, რადგან მტერს ახალი სივრცეების შექმნა იმდენად დაამძიმებს, რომ ბოლოს და ბოლოს საკუთარი სიმძიმე გაჭყლეტს!

ვიფიქრე, ფელდმარშალი თუ ასეთი შექანებულია, დანარჩენი გენერალიტეტი რალა იქნება-მეთქი. ესენი ხომ მის უდიდებულესობას მთლად დალუპავდნენ და მივმართე:

— თქვენო უდიდებულესობავ, იქნებ ბევრი არაფერი გამეგება, მაგრამ ტლინკებით ერთადერთ ომში გაიმარჯვებს, როცა ვირმა მგელს კბილები შეუღუნა!

ხელმწიფემ სამხედრო ჩინები დაითხოვა და მომიბრუნდა:

— ძვირფასო სტუმარო! მომწონს შენი ერთგულება და გაბედულება! კარგად ვიცი, რომ ესენი ამ ომს ვერ მოიგებენ, მაგრამ კვეკვერის დათმობაც კი არ ნიშნავს ომის წაგებას. ტლინკების კონცეფცია იმითაა კარგი, რომ ბევრნი გადავრჩებით და მტერს ბლომად შევიწირავთ. მაგრამ მალე გადავალთ წინა კიდურების კონცეფციაზე, რომლის თანახმადაც მოწინააღმდეგეს თავგამეტებით უნდა ჩასცხო!

— ამასობაში მშვენიერი კვეკვერია დაინგრევა! — გულისტკივილით წამომცდა.

— გამარჯვების შემდეგ უკეთესს ავაშენებთ, იმედია ხელახლა გვეწვევით.

ეს სიტყვები გამომშვიდობებას უფრო ჰგავდა და გულზე მომხვდა.

— ძვირფასო სტუმარო! ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ფორმიკალენდის სამეფოს მართავდა ჩვენი დინასტია. ბუნებრივია, სამეფო გვარის ჭიანჭველები იშვიათად იბადებიან (ხელმწიფე გულისხმობდა *ჰომო საპიენსს*) და ამიტომაც მუდამ გვანუხებდა დინასტიური ხაზის განყვეტის სა-

შიშროება. ტრადიციისამებრ, თუ ჩვენს ქვეყანაში გამოჩნდებოდა ვინმე სამეფო გვარის წარმომადგენელი, იძულებული ვხდებოდით ამ უცხოელთან დაგვემყარებინა დინასტიური კავშირი... თუმცა მერმე ასევე იძულებულნი ვხდებოდით, ჩვენი ახალი ნათესავი საბლით მოგვეშთო, რათა მის გულში რაიმე პოლიტიკური ამბიციები არ გაჩენილიყო. ამ კანონის თანახმად, ჩემი გენერალიტეტი მოითხოვს საბლით შენს მოშობას, მაგრამ ვინაიდან გულით შეგიყვარე, მინდა ამ ხვედრს გადავარჩინო. ჭიამაია დურუს სათანადო დავალება უკვე მივეცი!

— თქვენო უდიდებულესობავ! მადლობელი ვარ, სიცოცხლე რომ მაჩუქეთ, მაგრამ...

ხელმწიფემ ხელი ასწია, სიტყვა გამაწყვეტინა:

— სტუმარო! ხელმწიფის სიტყვა კანონია, მას ვერავითარი „მაგრამ“ ვერ შეცვლის! შეგიძლია, შენი ქვეყნის მთავრობას გადასცე ჩემი კეთილგანწყობა და თუ ამას მოჰყვა საკმარისი დონის რეაგირება, უმალ სატახტო ქალაქ თბილისს ვახლებ სამი ჭიანჭველა-დიპლომატის ელჩიონს. კეთილი ნების შემთხვევაში შესაძლებელია ვიზიტით ჩამოვიდეს ჩემი პრემიერი!

თავი მორჩილად დავხარე.

— ნება მიბოძეთ, პრინცესა ნათელიკოს გამოვემშვიდობო!

ჯიუტი ბიჭუნა მოიღუშა, ჭალარა თავი გააქნია.

— ეს შეუძლებელია! პრინცესა ნათელიკო სასახლეში უკვე აღარ არის! ამ წუთას იგი მიემართება მთიანი მხარის სამთავრობო რეზიდენციისაკენ! — მერე ხმას თბილი კილო შესძინა: — ერთ რამეს კი შეგპირდები, ანდუყაფარ მესამეს ისე მოვუვლით, როგორც შეეფერება ჩემს დისნულსა და ტახტის მემკვიდრეს!.. რა თქმა უნდა, თუ ბიჭი გვეყოლა...

ამ სიტყვებით მისმა უდიდებულესობამ ხელი გამომინოდა, მოწინებით ვემთხვიე და აცრემლებული წამოვედი.

ჭიამაია დურუმ, მისმა აღმატებულება ფორმიკალენდის პრემიერმა, საიდუმლო გვირაბამდე მიმაცილა და გადამეხვია.

— მაგრამ, ბატონო პრემიერო, რა გზებითა და საშუალებ-

ბებით უნდა დავბრუნდე სამშობლოში? — ვკითხე გაკვირვებით — ხელიდან არ უნდა გავუშვათ ბედნიერი შემთხვევა! ჩინმაჩინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, ბატონი ცხვირის პოლიპის ჩინ-ჩინის ცნობის თანახმად ხვალ ჩვენს ცაზე გადაფრინდება ლაინერი, საიდანაც თქვენ ჩამოვარდით! ვიცოდი, რომ ფორმიკალენდის სამეფოში ჯერჯერობით აეროდრომი არ იყო აგებული და ვერაფრით მოვიაზრე, თუ რანაირად მოვხვდებოდი თვითმფრინავის სალონში.

— ნუ ღელავთ, ამაზე იზრუნებს ბრძენთა შორის ყველაზე გონიერი მენცარი ბატონი ჭიანჭველა ჯგირკოჩა! — დამამშვიდა ბატონმა პრემიერმა ჭიამაია დურუმ და ჩემი თავი კეთილ ქალბატონს ციციანათელა ციცის ჩააბარა.

ციცი გამიძღვა, გვირაბის სიბნელეს თავისი უკანალით მინათებდა, თან ჩუმ-ჩუმა ცრემლსა ღვრიდა...

თ ა ვ ი XXII

გზა ნეხვიგორასაკენ

საიდუმლო კართან ქალბატონ ციციანათელა ციცის გამოვემშვიდობე. იმედი მაქვს, რომ მისი უდიდებულესობა ამ ომში გაიმარჯვებს და ციციანათელა ციცის უკანალით ვერავინ ჩამოჰკიდებს.

კეთილმა ციციანათელამ სამი ჭიანჭველა მომიჩინა.

ნარდის კამათლებივით პატარები იყვნენ და სახელებიც ასეთივე ერქვათ — იაქე, დუ და სე. საველე ფარაჯებიდან ძლივს მოჩანდნენ. კიდურებით კალაშნიკოვები ეპყრათ და მათთვის ამ სიმძიმე იარაღს განსაცვიფრებელი ღონითა და მოხერხებულობით ხმარობდნენ.

პატარა მეომრებმა ამიხსნეს, რომ მათს დამრტყმელ რაზმში ჩარი, ფანჯი და შაშიც მსახურობდნენ, ოღონდ ჩარი დაჭრილია და ჰოსპიტალში წევსო, ფანჯი და შაში კი პრინცი-

სა ნათელიკოს გააყოლესო. პრინცესას ხსენებაზე გული ამიჩქროლდა, მაგრამ შევეცადე დამეოკებინა.

ტყვიის ზუზუნში და ჭურვების გრიალში დავტოვეთ სასახლის მიდამოები და ბრძოლის ეპიცენტრს გავეცალეთ.

ნინ იაქე მიცუნცულედა, სე მოშორებით მომდევდა, რათა ზურგიდან დავეცავი, დუ კი გვერდიდან არ მცილდებოდა.

ასე მივალნიეთ ტარაკანთუბნამდე. გამოცარიელებული დაგვხვდა, ტარაკნები თავიანთი ჯალაბობით სარდაფებში და ბნელ ღრიჭოებში ჩამალულიყვნენ. ერთგან, კანალიზაციის ორმოს პირზე ორი ღერი უღვაში შევამჩნიე, რადიოლოკატორივით ირხეოდა. უთუოდ ტარაკანთუბნის ლიდერის დიანოზის უღვაშები იყო. ალბათ, გარემოს უთვალთვალედა, რათა თანამოძმეთათვის დროულად ეცნობებინა საშიშროების გამოჩენა. ვინ იცის, ჩვენი ნაბიჯების ხმამ ტარაკნებში რა გულის ხეთქვა გამოიწვია.

ბალღინჯოთუბანიც მშვიდად გავიარეთ. აქ ძირითადად გვაჯისტები სახლობდნენ და, ბუნებრივია, ბრძოლის ველზე გაიკრიფებოდნენ. სამაგიეროდ, ამ ოხრებს ქუჩები ობობებისგან ნაშოვნი აბლაბუდებით დაექსელათ და გასვლა გაგვიჭირდა. ფრთხილად მივძვრებოდით, როგორმე ძაფი არ შეგვერხია. ეჭვი გვექონდა, სადმე ობობა-სნაიპერები მიმალულან და თუ აღმოგვაჩინეს, დაგვცხებენ-თქო.

ნინ ყველაზე საშიში — რწყილთუბანი გვედო. ახლა კი ვინატრე ჩემი თბილისური ტანისამოსი, განსაკუთრებით ჯინსები. აბლაბუდის სამოსში ხომ იოლ სამიზნეს ნარმოვადგენდი!

იაქე, დუ და სე ჩემს ირგვლივ შეჯგუფდნენ. ერთმანეთი გავამხნევეთ და, სანამ მოწინააღმდეგე გონს მოვიდოდა, ჯიქურ შევიჭერით რწყილთუბანში.

ამ დროს ქუჩა სავესე იყო ახალგაზრდა რწყილებით. იარაღსხმულნი, სამხედრო დოლის ბრაგუნით, მარშით მიმოდიოდნენ აქეთ-იქით. მოკლედ, საომრად ემზადებოდნენ! ჩვენს თავდასხმას არავინ ელოდა. ჩემმა მამაცმა ბიჭებმა ცეცხლი მიჯრით გახსნეს. თან მივრბოდით, თან ირგვლივ ტყვიის კორიანტელი დავაყენეთ. ვინ დათვლის, რამდენი დახოცილი, დაჭრილი და გასრესილი რწყილი დავტოვეთ ქვაფენილზე.

მტერი გონს მოეგო. რწყილები ისე გამწარდნენ, იარაღი დაავინწყდათ და საკბენად მოგვესიენ, მაგრამ ჩვენ ყოჩაღად გავუტიეთ და მცირე ნაკბენებით გადავრჩით, რადგან თავი ჭიანჭველათუბანში ამოვყავით.

ორ უბანს ერთმანეთისაგან ბარიკადები ჰყოფდა. ზედ გადავევლეთ და კბილებამდე შეიარაღებულ ჭიანჭველებში ჩავცვივდით.

შემოგვეხვივნენ ჩვენი მეგობრები, გადარჩენას გვილოცავდნენ. სამხედრო ექიმი მოვარდა და ნაკბენებზე მალამო წაგვიცხო. ერთი ჩასუქებული ვაჟკაცი ჩამაცვიდა, გინდა თუ არა, რატომ ვერ მიცანიო. ძლივს გავიხსენე, დახლიდარი ანთიმოზა იყო. კიდურებით ჩაგვაფრინდა, არ მოგვეშვა და თავის სარდაფში ჩაგვიყვანა. მაგიდაზე დაახვავა ხილი და ტკბილეული, ნაირ-ნაირი სასმელები. თან საქმიანობდა, თან მეკითხებოდა, რა ამბავი მოგვიტანე, მისი უდიდებულესობა ცოცხალი ხომ არისო. დავამშვიდე, მის უდიდებულესობას გამარჯვების რწმენა ოდნავადაც არ შერყევია-მეთქი.

აქვე გავიგე, რომ სატახტო ქალაქ კვეკვერიას ყოველი მხრიდან დამხმარე ძალები უახლოვდებოდა. ფორმიკალენდის მთელი ჭიანჭველეთი თურმე ფეხზე დადგა თავისი ხელმწიფის დასაცავად.

სანამ დავნაყრდებოდით, ბარიკადებთან შეტაკებები არ შეწყვეტილა. რწყილთა ჯარი ჯიუტად გადმოდიოდა შეტევაზე. ჭიანჭველათუბნელები თავგამოდებით უშენდნენ ცეცხლს. იქაურობა დახოცილი რწყილებით ჩაიხერგა, მაგრამ ბრძოლას ბოლო არ უჩანდა.

ჩვენ დავემშვიდობეთ კეთილ ანთიმოზას და გზა განვაგრძეთ.

ამ ადგილიდან სულ აღმართებით უნდა გვევლო. შევეცადეთ, კოლოთუბნისათვის გვერდი აგვექცია. ის იყო, სამშვიდობოს გავდიოდით, მოულოდნელად წინ ვილაცა გადამიდგა. ერთი თავხედი კოლო გახლდათ. წინა კიდურები თაბაშირში ჰქონდა და მაინც მუქარით მიბღვერდა. ვიცანი ჩემზე მტრად გადაკიდებული კოლო კაკო.

რამდენჯერ შემომელახა და მაინც ვერ მოვიშორე.

ახლაც ყბაში სილა ვტკიცე და გადავაყირავე. იმან კი ნივილი მორთო და თანამოძმეებს მოუხმო. ატყდა აქაც ერთი ვაი-უშველებელი. შეიარაღებული კოლოების მთელი ჯარი გამოგვენთო. ჩემი ყოჩაღი ჯარისკაცები — იაქე, დუ და სე ნაქცეული ვერხვის უკან ჩანვნენ და მღევარი ავტომატის ცეცხლით შეაჩერეს.

იარაღი მე არაფერი მქონდა და აღმართს სირბილით შევუყევი.

სულ მალე ნეხვიგორას ფერდობზე აღმოვჩნდი. ვერ ვიტყვი, სურნელებით დავტკბი-მეთქი, მაგრამ რა დროს სურნელებზე ფიქრი იყო.

სულის მოსათქმელად შევედექი.

ჩემს ფერხთით, ცის კიდემდე, ფუნაჭალაში, ფუნაგორასა და ნეხვიგორას შორის გადაშლილიყო სატახტო ქალაქი კვეკვერია... შორიდან მოისმოდა აფეთქების ხმები, ტყვიის კაკანი... სახურავებზე შავი ბოლი იდგა...

ამოვიოხრე.

ნეტავი რითი დამთავრდებოდა ეს საშინელი ომი? გადარჩნენ თუ არა ჩემი პატარა დამცველები — იაქე, დუ და სე? ჩამოვალწევ კი ოდესმე მშვენიერ ფორმიკალენდში? დავტკბები *ლენგუა დე ფორმიკას* კეთილხმოვანი ჟღერადობით? ოდესმე შევძლებ, ხელზე ვემთხვიო მის უდიდებულესობას ხელმწიფე ანდუყაფარ მეორე პირმწყაზარს?.. ვიცეკვებ პრინცესა ნათელიკოსთან მალაქიტის ლურჯ-მწვანე დარბაზში?..

ამ ფიქრებით გულდამძიმებული გამოვემშვიდობე ჩემთვის უკვე საყვარელ ქალაქს.

ნეხვიგორას თავზე გადმომდგარ შენობას მივადექი.

შესასვლელთან მელოდებოდა ბატონი ჭიანჭველა ჯგირკოჩა, მეცნიერებათა მეცნიერი, ბრძენთა შორის უბრძენესი, მთლად მენცარი...

აქა ამბავი სასაწაულეობრივი დაბრუნებისა

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჩვენს შამპანოდრომში! — ასე მომმართა ბატონმა ჯგირკოჩამ.

მეგონა, მეხუმრება-მეთქი და გავუცინე, ის კი მთელი სერიოზულობით შემომყურებდა. მერე შებრუნდა და დარბაისლურად გამიძღვა. მოკლე ნაბიჯებსა დგამდა და მიყანყალებდა, რადგან უზომოდ დიდი თავის ზიდვა უჭირდა. ყურებში ბამბის ტამპონები ჰქონდა, ამბობდნენ იმიტომ, რომ ტვინს არ გამოეყოფა.

ბატონმა ჯგირკოჩამ შემიყვანა უზარმაზარ დარბაზში. ვისაც ოდესმე კოსმოდრომის ანდა ატომური ელექტროსადგურის სამართავი პულტი უნახავს, მისთვის უცხო არ იქნება ჩემ წინ გაშლილი სურათი: ათასობით მოციმციმე ნათურა, ფერადი ღილაკები, დახლართული სქემები, კომპიუტერები და შუაში უზარმაზარი, თეთრი ეკრანი, რომელსაც ნახევარი კედელი ეჭირა.

შემოსვლისთანავე გარს შემოგვეხვია უამრავი თეთრ-ხალათიანი ჭიანჭველა. ყველას მსხვილი თავი ება, თუმცა ამათი ყურებიდან მთლად ტვინი არ ჟონავდა. ფორმიკალენდის მეცნიერულ-ტექნიკური ელიტა ღირსებითა და თავშეკავებით მომესალმა, რაც იმაში გამოიხატა, რომ იატაკზე შუბლი თითოჯერ დაარტყეს და ამით დაკმაყოფილდნენ.

ბატონმა ჯგირკოჩამ თეთრი ეკრანის წინ დამსვა, თვითონ ღილაკს დააჭირა.

უცბად, თითქოს დანით ჩაჭრესო, ნეხვიგორას ჭრილი დავინახე. გორაკში ჩადგმული იყო გიგანტური შამპანურის ბოთლი, რომელსაც ყელზე ბინის მაცივრისხელა საცობი ჰქონდა. ბოთლი ივსებოდა ნახშირბადით კარგად გაფერებული შამპანურით. კომპიუტერი ზედმინუნით ზუსტად გაიანგარიშებდა საცობის ქვეშ წნევის დონეს. როცა წნევა კრიტიკულ ზღვარს მიაღწევდა, კლიენტი მოთავსდებოდა საცობის თავზე, მოხ-

ერხებულ სავარძელში. დანარჩენი ისედაც გასაგებია (ყოველივე ამას იმის იმედით აღვწერ, რომ ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის წამყვანი სპეციალისტები ამ იდეას ხელიდან არ გაუშვებენ!).

ის ღამე მეცნიერ-ჭიანჭველათა საზოგადოებაში გავატარე. ტვინი გამომიჭედეს ფარდობითობის თეორიაზე მსჯელობით. ტრაბახობდნენ, აინშტაინი გუშინდელი დღეა, ჩვენი ჯგირკოჩა უფრო შორს წავიდაო. ამისი ექსპერტი მე არ გახლდით და სიტყვაზე უნდა დამეჯერებინა. სამაგიეროდ, არავითარი ექსპერტი არ სჭირდებოდა იმ შამპანურის დაგემოვნებას, რომელსაც უღევი რაოდენობით ვწრუპავდით.

ღილით მეც კაი გუნებაზე გავიღვიძე და შამპანოდრომის მთელი კოლექტივიც. გასაკვირი არაა, რომ ქვეყანაში გაჩაღებული ომი ამათ სულაც დავინწყებოდათ.

მობრძანდა ცხვირის პოლიპი, ჩინმაჩინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბატონი ჩინ-ჩინი. პირისახე ციებთანს მიუგავდა და ცხვირის ცემინება ტანჯავდა. შამპანოდრომში თურმე იმიტომ გამოცხადდა, რათა თავის დიადი სამშობლოდან გადმოფრენილი თვითმფრინავისათვის ცხვირსახოცი დაექნია.

მე რომ დამინახა, ბატონი ჩინ-ჩინი ჩამეხუტა და კურცხალი გადმოაგდო, ეტყობა, მაინცდამაინც არა ჰქონდა ჩემი გადარჩენის იმედი. მე კი პირი მოვკუმე, რათა გრიპის მიკრობები არ ჩამესუნთქა.

ჩემმა ღამის თანამეინახეებმა, შამპანოდრომის წამყვანმა სპეციალისტებმა თასები შეავსეს და „გაშას“ სამგზისი შეძახილით გზა დამილოცეს.

— გამხნევდი! — დამიყვავა ბატონმა ჯგირკოჩამ. — ჩვენს მათემატიკოსებს ისე ზუსტადაა აქვთ ყოველივე გათვლილი, ათ კილომეტრზე ბუზს მოვახვედრებთ!

— მერე იმ ბუზს რა მოუვა? — გულუბრყვილოდ ვიკითხე.

— რაში გედარდება, მთავარია, შენ იყო კარგად!

— ნეხვიგორა რატომ შეირჩა შამპანოდრომისათვის? —

ეს კითხვა მთელი ღამე თავში მიტრიალებდა და ახლალა გამახსენდა.

— თუ ტექნიკური ნუნე გამოგვივიდა და მიზანს ვერ მოვახვედრეთ, კლიენტი რბილ ნეხვში თავით ჩაერჭობა და გადარჩება!

ამგვარი პერსპექტივა დიდად არ გამხარებია და ღმერთს შევეხვეწე, ამჯერად მიზანში მომახვედრე-მეთქი.

საათს დავხედეთ, ლაინერი უკვე ჰაერში უნდა ყოფილიყო. მართლაც, ქვეყნის რადიოლოკაციური ცენტრიდან გვაცნობეს, თვითმფრინავი ფორმიკალენდის საჰაერო სივრცეში შემოვიდაო.

დადგა განშორების წამი. კოცნაობა არ დამინწყია, ხელი დავუქნიე შეზარხოშებულ გამცილებლებს და საცობზე ავედი.

ზედ რბილი სავარძელი იყო დამონტაჟებული. ჩავჯექი და უსაფრთხოების ღვედი შემოვიჭირე.

ბოთლის ყელი მალა იყო აშვერილი. აქედან კარგად ვხედავდი შამპანოდრომის მთელ კომპლექსს, ნეხვიგორას ფერდობს და ფუნანყლის ნაპირებზე გაშლილ ქალაქს. შორიდან მოისმოდა საარტილერიო ბათქის ხმები, აქა-იქ ხრჩოლავდა შავი ბოლი... დარდი შემომანვა! ნეტავი ახლა სად არიან ჭალარა ბიჭუნა, მისი უდიდებულესობა ფორმიკალენდის ხელმწიფე ანდუყაფარ მეორე პირმწყაზარი, მისი აღმატებულება პრემიერი ჭიამაია დურუ, ქალბატონი ციცინათელა ციცი, სხვა ნაცნობ-მეგობრები... სად არის პრინცესა ნათელიკო, მომავალი დედიკო ფორმიკალენდის მომავალი ხელმწიფისა... ეს ფიქრები ისე ჩამეჭდო ტვინში, გულმა ისე მომიჭირა, კინალამ ღვედი ავხსენი, რათა ფორმიკალენდში დავრჩენილიყავი... მსურდა ომის ქარცეცხლში გადაშვება, ან სიკვდილი ან პრინცესა ნათელიკოს ხილვა... მაგრამ უმალ გამახსენდა ჩემი სამშობლო, ჩემი თბილის-ქალაქი, ვაზისუბანი, პრივატიზებული ბინა, ნანიკო და სამი ჭყლოპინა ბალღი... ამან შემაჩერა!

შამპანოდრომისაკენ გავიხედე. სათვალთვალო ბაქანზე ბატონი ჯგირკოჩა შევნიშნე. აქედან ერთი ციციქნა ჩანდა. რაღაცას მანიშნებდა. მივხვდი, მოსახდენი ახლა მოხდებოდა.

უცებ საშინელი გრუხუნე გაისმა, ქვევიდან ისეთი პანლუერი ამომკრეს, კინალამ ხერხემალი თავის ქალაში ჩამეჭედა.

თეთრი ქაფის ნაკადი შხუილით აიჭრა ცისკენ და მეც ამიტაცა.

სულ რამდენიმე წამს გაგრძელდა სწრაფი ქროლვა, გონს მოსვლაც ვერ მოვასწარი.

შამპანურის თეთრ ჭავლში ვარ გახვეული, ირგვლივ მილ-იარდი წვეთი შხვიის, სკდება, მიქრის, ცვივა... პირი დამილია და უნებლიეთ ვყლაპავ მათრობელა სითხეს... ვერ გავიგე, როდის ავლილინდი.

ელვისუსწრაფესად გავილუმპე, ტანში ღვინის სუნე გამიჟდა, თავში სიმთვრალე.

თავზევით გუგუნით გადმოემხო საჰაერო ხომალდის თეთრი-ტალახისფერი მუცელი.

მოფიქრებაც ვერ მოვასწარი, თუ რამ ჩამომიბნელა ზეცის თაღედი, საშინელი სისწრაფით ვხეთქე თავი...

რას, თუ მიხვდით?

ოჰ, ფორმიკალენდის მათემატიკურ სკოლავ! ფორმიკალენდის ფიზიკოსთა ნიჭიერებავ! ფორმიკალენდის მეღვინეებო და ბოთლ-საცობის წარმოებავ! მჯეროდა თქვენი იგავმიუწვდომელი გენიალობისა, მაგრამ მთლად ასე?

გათვლილ ადგილზე და გათვლილ დროს საცობი და თვითმფრინავი ზუსტად შეხვდა ერთმანეთს და მე, როგორც ეს იყო ფორმიკალენდური გონებით გამოანგარიშებული, თავით ელვირას უკანალს შევასკდი!

თვალი ვჭყიტე! უკვე ლაინერის სალონში ვარ. საცობით ლიობი დაგმანულია. საცობზე დადგმული სავარძელი ახლა ლაინერის სავარძელია. შირაზის ვარდი და კოკობი კი წამის მეთათსედი ნაწილი, ზუსტად იმდენი, რამდენსაც ჩემი ზურგი გაუძლებდა, მხრებზე მეჯდა, მერე კი, პარდონ, გადაყირავდა იქვე ახორხლილ ჩემოდნებზე, ჩანთებზე, ტომრებსა და ტოპრაკებზე.

ჩემი სამშობლოს ბედნიერ მოქალაქეებს სატახტო ქალაქ უჩინმაჩინიდან წამოეზიდათ, რისი წამოღებაც შეიძლებოდა.

ოღონდაც, მე იმ წუთას ამაზე ფიქრიც არ შემეძლო. თვითმფრინავის მთელი სალონი ღვინის სუნით გაიჟღინთა. მე კი სიმთვრალემ საბოლოოდ მომიღო ბოლო, ვეღარ მივხვდი, სად ვიყავი და ფორმიკალენდის ეროვნული ჰიმნი დავსცხე, რომლის ტექტი ზეპირად მქონდა დაზუთხული და ჩვენებური

პნკარედი დაახლოებით ასეთი იყო: „ჩვენ, ჭიანჭველები, ერთადერთი გონიერი რასა დედამინისა, ყველაზე ჭკვიანები და მამაცები, მსოფლიოს მპყრობელები ვართ! ვაშა და ვაშა ჭიანჭველეთს!..“ სამნუხაროდ, ჩემ გარდა მგზავრებს შორის ლენგუა დე ფორმიკას მცოდნე არავინ აღმოჩნდა და სულ მალე მოფერება დამიწყეს — დანყნარდი, გენაცვალეს და დამშვიდდი, ჭირიმეს მეუბნებოდნენ.

ამასობაში ელვირა გონს მოეგო, ოხვრითა და ვაი-ვიშით წამოფოფხდა, თან ნატკენ ადგილს ძალუმად იზელდა.

თითი მუქარით დამიქნია, თუმცა მომხიბლავი ღიმილი ვერ დამალა.

— აი, შე ეშმაკო, ისე როგორ დათვერი, ხალხში ტიტლიკანა ზიხარ და არცა გრცხვენია!

თვალეში ცოტათი გამოვიხედე. აბლაბუდის ტანისამოსი თურმე შამპანურის ჭავლს შემოუფლეთია...

აი, აქ თავდება ეს ამბავი, მოსაყოლი მეტი არაფერი მაქვს. თბილისი როგორიც დავტოვე, ისეთივე დამხვდა, ოჯახსაც თითქოს გუშინ გამოვემშვიდობე, მაგრამ აი, ვალი გაორმაგებულყო და ელვირას მარიფათი რომ არა, ვახშიდან ვერასოდეს ამოვიდოდი.

ეჰ, ისევე ჩემს ეროვნულ კუპონს ვენაცვალე, ჩემს ყაირათიან ნანიკოს და სამ პატარას, რომელთაც ჩინმაჩინიდან ვერა, მაგრამ აგერ აეროპორტიდან სამი ცალი „ჟვარკა“ ჩამოვუტანე.

ცხოვრება ძველებური წესით წავიდა. ოლონდ ადრინდელი, უდარდელი ძილი გამიქრა... ჩემი ყურბალიში ლამაზ სიზმრებს აღარ ჩამჩურჩულებს. გამახსენდება ფორმიკალენდის უჩვეულო დღეები და გული ამიკვნესდება.

ნეტავ სად არის პრინცესა ნათელიკო?.. ჩემი ნათელიკო? კაცი იმედით ცოცხლობს! იქნებ მოხდეს სასწაული და ჩვენი საგარეო საქმეთა უწყება ისე გამდიდრდეს, ერთი კინკილა საელჩო ფორმიკალენდშიც გახსნას, სატახტო ქალაქ კვეკვერიაში, ხელმწიფე ანდუყაფარ მეორე პირმწყაზარის კარზე... მაშინ ხომ ქვეყანას გამოადგება ჩემი ცოდნა და გამოცდილება... ვინ იცის!

31.I.95

სარჩევი

| | |
|--|-----|
| მკვდარი სახლი----- | 3 |
| ავტორისაგან----- | 211 |
| ჭიანჭველების ხელმწიფე ანდუყაფარი----- | 217 |

